

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვ ა ს ი ლ
ბ ა რ ნ ო ვ ი

თხზულებათა
სრული კრებული

ათ ტომად

თხზულებანი

ტომი 1

1878 - 1901

თბილისი
1961
„საბჭოთა მწერალი“

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ლეონიძე (რედაქტორი)

სოლომონ ყუბანიშვილი

მიხეილ ჩიქოვანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ვარიანტები
დაურთო დ. რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა

რედაქციის აგან

ვასილ ბარნოვის თხზულებათა წინამდებარე აკადემიური გამოცემა ათ ტომად არის განზრახული. I-IX ტომებში მოთავსდება ბელეტრისტული თხზულებანი, ხოლო X ტომი დაეთმობა მემუარულ მასალებს, კორესპონდენციებს, ნარკვევებს, ეთნოგრაფიულ წერილებს, სიტყვებს, მიმოწერებსა და შენიშვნებს.

თავის თხზულებათა გამოცემა ავტორს 20 ტომად ჰქონდა განსაზღვრული და მისი ათ ტომში მოთავსება, რა თქმა უნდა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ტომთა მოცულობის გაზრდით.

„თავი მოვუყარე ჩემს ნაწერებს, ცალ-ცალკე გამოვიდნენ ქვეყნად ჟურნალ-გაზეთებში მიმობნეულნი, და მინდოდა ერთად მენახა იგინი, ხელი-ხელს ჩაბმულნი, რომ გამეგო, რა ფხისა, ან რა ხმის გამოლება შეუძლიათ მათ“¹ – წერდა მწერალი, ოთხი ათეული წლის წინათ, მაგრამ მისი სანუკვარი ოცნების განხორციელება მხოლოდ ჩვენს დროში მოხერხდა.

დღემდე ვასილ ბარნოვის ნაწერები სრულად გამოცემული არ ყოფილა, იგი ცალკეული წიგნების და კრებულების სახით გამოდიოდა. 1888 წ. ცალკე წიგნაკად დაიბეჭდა „პაპუნა“, 1894 წ. – „სესე“, 1901 წ. – „ვაი შენს დამკარგავს“, 1912 წ. – „თებერას დანიშნული“ და „ფარჩის ახალუხი“. 1919 წ. გამოვიდა „გაკვეთილები“ და „გველის ზეიმი“, 1920 წ. გამოქვეყნდა თხზულებათა I-II ტომი, 1922 წ. – „ხაზართა სასძლო“, 1923 წ. „ამქრის შევნება“, 1929 წ. – „თბილისის აჩრდილები“, „ვარდფანჯები“, 1930 წ. – „სამი რომანი“, 1934 წ. „ფერად-ფერადი“, 1939 წ. – „გიორგი სააკაძე“, 1947 წ. – „ისტორიული რომანები“, 1948 წ. – „მოთხრობები“, 1957 წ. – „მიეხმატკბილა გოგონას“.

აღნიშნულ კრებულებში შეტანილი ნაწარმოებები უმეტეს შემთხვევაში ავტორის გარდაცვალების შემდეგ მექანიკურადაა გადმობეჭდილი პერიოდული გამოცემებიდან.

კრებულებში არ შესულა, აგრეთვე, ბევრი მოთხრობა და რომანი, რომელიც თავის დროზე პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა. („სვიმონ ხელი“, „ნუშო“, „ნალიტა და ფეთება“, „სურათები ხევსურების ცხოვრებიდან“, „ალადინი“, „ჩვენი ლამპა“ და სხვა).

წინამდებარე გამოცემაში პირველად ქვეყნდება „რაინდი სული“, „საარაკო განძი“, ოცზე მეტი მონოგრაფია ქართველ და რუს მწერლებზე, მოგონებები, სიტყვები და შენიშვნები. სრული სახით პირველად იბეჭდება აგრეთვე „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“, რომელიც ადრე ნაწილობრივ იყო დაბეჭდილი (1919 წ.).

როგორც ცნობილია, ვ. ბარნოვს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, საქართველოს სხვადასხვა მხარეში უხდებოდა ცხოვრება, ამიტომ მას საშუალება არ ჰქონდა კონტროლი გაეწია ჟურნალ-გაზეთებში საკუთარ ნაწარმოებთა ბეჭდვისათვის, რედაქციები კი (მწერლის სპეციფიკური სტილის გამო) უამრავ შეცდომებს უშვებდნენ.

თბილისში დამკვიდრების შემდეგ მწერალი დიდ ყურადღებას უთმობდა თავის ნაწარმოებთა პუბლიკაციის საქმეს, იგი აქტიურად მონაწილეობდა ყოველი კრებულის გამოცემაში; თვითონვე უკეთებდა კორექტურას, ხელმეორედ (ზოგჯერ მესამედ და მეოთხედაც კი) ასწორებდა და ხვეწდა ტექსტს, რის შედეგადაც ავტოგრაფიდან უკანასკნელ გამოცემამდე (მხედველობაში გვაქვს მწერლის სიცოცხლეში უკანასკნელი გამოცემა) ტექსტები დიდ ცვლილებებს განიცდიდა როგორც ენობრივად, ისე სტილისტურად.

¹ ვ. ბარნოვი. თხზულებანი, ტ. I, 1920 წ.

წინამდებარე გამოცემისათვის შეკრებილია მწერლის ყველა ნაბეჭდი თხზულება, შედარებულია ისინი ავტოგრაფებთან, აღნუსხულია ვარიანტები და გასწორებულია მრავალი შეცდომა-დამახინჯებანი.

ძირითად წყაროდ მიღებულია მწერლის სიცოცხლეში უკანასკნელად დაბეჭდილი ან ავტორის მიერ ბოლო დროს რედაქტირებული ტექსტები, რომლებიც დაცულია მწერლის ოჯახში და საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

ნაწარმოებები დალაგებულია ქრონოლოგიური წესით. ყოველ ტომს ერთვის ვარიანტები და შენიშვნები, საჭიროდ ვსცანით, აგრეთვე ძნელად გასაგებ სიტყვათა განმარტების დართვა.

ვასილ ბარნოვის² თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა ძვირფასი საჩუქარი იქნება ქართველი მკითხველისათვის, რომელიც მთლიანი სახით ნაკლებად იცნობს ამ დიდი ქართველი, ორიგინალური მწერლის შემოქმედებას.

² 1912 წელს ჩვენმა მწერალმა სოფ. კოდიდან სოლომონ ბარნაველისაგან მიიღო ბარათი, რომელშიაც ბარნოვის გვარის წარმოშობაზე ნათქვამია შემდეგი: „თქვენ გვარს თქვენ უცხო დაბოლოვებით აწერთ. სხვები თქვენ გვარს სწერენ: ბარნოშვილი. ალბათ, არ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გვარი ბარნაველია. ჩვენი წინაპარი მღვდელი გადმოსულა სამცხიდან, სოფელ ბარნავიდან, როცა სამცხე ოსმალს დაუჭერია. აქ ის ორბელიანთ კარის მღვდლად გაუმწესებიათ. მაშინდელ საბუთებში ის მოხსენებულია ბარნაველად. კვადნიერდები და გაცნობებთ ამას, როგორც ამჟამად გვარის უფროსი წარმომადგენელი“.

ვ. ბარნოვმა ეს ცნობა დაურთო ერთერთ თავის მოთხრობას („სახალხო გაზეთის“ სურათებიანი დამატება, 1912 წ., № 93-94).

მეთხრობები

რომანები

ს უ რ ა თ ე ბ ი

(ხევსურების ცხოვრებიდან)

ახლად იყო მტრედისფრად ნანათლი, როცა ავკაზმეთ ცხენები და გავემგზავრენით ერწოსაკენ. შემოდგომის სიცივე საგრძნობლად ეხებოდა კაცს და იგი უნებლიეთ უფრო და უფრო ეხვეოდა სათბილობელში. არე ნისლით იყო მოცული; რამდენსამე ნაბიჯზე ვერაფერს ვარჩევდით.

პატარა თემურა კოხტად მოჩანჩქარებდა ვრცელ რიყეზე, მისი ანკარა წყალი სარკესავით ლაპლაპებდა აქა-იქ ქვებში. რიყეზე ეყარა დიდრონი ხეები, ნაზიდი ადიდებული მდინარისაგან.

ნისლი აიყარა. წყალს იქით იწყობოდა მაღალი პირდაპირ აყუდებული მთა; მისი წვერვალ ღრუბლებში იყო დამალული.

შევუდექით აღმართს. გზას აქათ-იქით მოსჯროდნენ თვალუწვდენელი წიფლები; ქვეშ უფრო დაბალი ხეები მეტის სიხშირით ერთმანეთს გადასჭდობდნენ და განუვალ ჭალას წარმოადგენდნენ. სუნნელოვანი ჰაერი აღვიძებდა და ამხნევებდა გუნებას; მფრინველთ ჟღივილი და მათი ამო სტვენა ატკობდა ყურს. მალ-მალ მიიქცევდა ყურადღებას თვისკენ გზის აქათ-იქით გადმომჩქეფარე ნაკადთა ხმა; ნაკადები რამდენჯერმე სჭრიდნენ გზას და მერმე სისწრაფით ეშვებოდნენ დეღეებისკენ.

თუმცა გზას ბევრი მისახვევ-მოსახვევი ჰქონდა, მაინც ხშირად გვხვდებოდნენ ძნელად ასავალი აღმართები და ცხენებს უჭირდებოდათ. რამდენიც უფრო მაღლა-მაღლა მივდიოდით, იმდენი სიცივე უფრო საგრძნობელი ხდებოდა. ბოლოს მივაღწიეთ იმ ალაგს, რომელიც ღრუბლებით იყო მოცული. ნისლმა დაგვფარა და გვაცვრევდა ნამს. ტყე აყრილი და ხელუხლებელი ჩანდა. გავიარეთ კიდევ რამდენიმე და გამოჩნდა პატარა ვაკე.

– ძლივს არ მივაღწიეთ მთის წვერს! – თქვა ჩემმა თანამგზავრმა; – ვაჰ, რომ მთის წვერი ღრუბლებით არის შემოსილი, თორემ მშვენიერი გადასახედია აქედან! აგერ იქით, – მიმითითა სამხრეთისკენ, – ქალაქი მოჩანს, აქათ, – მიჩვენა ჩრდილოეთისკენ, – მოჩანს კავკასიონის მარად დათოვლილი წვეროები, იმის აქათ – უფრო დაბალი და ტყით შემოსილი მთები.

მთის წვერზე ვაკეს ცეცხლის კვალი ეტყობოდა; ნასახლარი რამ ჩანდა, სადაც გარუჟული ძელები და თავმომწვარი ბომებილა დამრჩალიყო.

– ეტყობა, აქ უცხოვრია ვისმე, – ვკითხე თანამგზავრს.

– აქ ყარაულები ცხოვრობდნენ და რაც ეს სახლი ვილაცამ გადასწვა, მას აქათ აღარავინა ცხოვრობს.

გადავადექით თავქვეს. ის შედარებით უფრო მცირე იყო აღმართზე. აყრილმა ტყემ ისევ დაჰფარა ყოველივე. თავქვე თანდათან ილეოდა, ვაკდებოდა, აგერ ხევიდან მოისმა ჩხრიალი, ხმა თანდათან ძლიერდებოდა და ბოლოს გამოჩნდა წისქვილი, რომელსაც აბრუნებდა ღარზე გადამჩქეფარე ნაკადი.

– ეხლა კი მალე გავალთ ტყეს, – მითხრა თანამგზავრმა, – ეს წისქვილი ბერას წისქვილია.

ტყე წვრილიანდებოდა, დიდი ხეები აქა-იქა ჩანდნენ; ტყეს კაცის ხელი უფრო და უფრო დაეტყო. გამოჩნდნენ ახოებიც. გაველით ველზე; რამდენიმე გვერდგამომწვარი

მაღალი ხე ცხადად გვაჩვენებდა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც კაცს წაერთმია ეს სამფლობელო ტყისათვის. წინ გაგვეშალა ერწოს მინდორი.

მშვენიერი სანახავი იყო ეს არე: მთის კალთებს გარს შემოეზღუდათ მოზრდილი ვაკე. სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით მთები ტყით იყვნენ დაფარულნი. ჩრდილოეთით კი მთის კალთები აღარ იყვნენ დაბურულნი ტყით, აქ მოჩანდნენ შემუშავებული მინდვრები და მომწკრივებული სოფლები. აღმოსავლეთით ვაკეს სამზღვრავდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადაჭიმული, ტყით მოსილი გომბორი. ერწოს საზღვრებზე იმას კავშირი არა ჰქონდა სხვა მთებთან. ამაყად დასცქეროდა მაღალი მათ და ისეთივე ამაყი ინთქმებოდა ცის სივრცეში. მოსაზღვრე მთები, რაც უფრო უახლოვდებოდნენ გომბორს, იმდენი უფრო დაბლდებოდნენ და ბოლოს, ვერ შემძლებელნი შეხებისა, სდგებოდნენ უეცრად, თუმცა ახლოს.

– ხედავ? ის დიდი მთა გომბორის მთაა. ზედ ძირზე იორი ჩამოუდის. რა კალმახი იცის! აი ეს ნაკადულები სულ იქ იკრიბებიან იორში, ჯერ კი აძემში ჩადიან, აი იქ! – მითხრა თანამგზავრმა და მიმითითა ჩრდილოეთისკენ. იქ, მინდვრების შუაში, მოჩანდა გძლად ჩადაბლებული ადგილი, რომელსაც ჩასდევდნენ ჯაგები თუ წნორები. ეს იყო აძემის ხევი.

ამ ლაპარაკში ვიყავით, როცა გზის პირას შევნიშნეთ სამოვარზე საქონელი. იქვე, ხის ქვეშ, იდგა ქალი და ხელს აცოდვილებდა, წინდასა ჰქსოვდა. ქალმა გაიგო ხმაურობა, შემოგვხედა, მერმე ცოტა მოგვერიდა და განაგრძო ხელსაქმე.

– აი თითონ ბერას ქალიც, – თქვა მგზავრმა.

დავუსწორდით, ცხენები შევაყენეთ.

– ნათელავ, – დაუძახა ქალს ამხანაგმა, – ე ხარები რომ შენ გამოგილალა, შენი ძმა სად არის?

ქალმა აიხედა წყნარად და უპასუხა:

– ეხლა გამოუტყეთ ურმიდან და აქ წამოვალა. ჩემი ძმა სხვაგან არის.

– ბერაი ხომ კარგად არის?

– კარგად არის.

– ანდრია მოვიდა თიანეთიდან?

– დიად, გუშინ მოვიდა.

კიდევ რამდენიმე კითხვა გადაუგდო ქალს ჩემმა ამხანაგმა. ამ ხნის განმავლობაში მე ქალს ვათვალისწინებდი. მისმა ტანთსაცმელმა, ქცევამ და მთლად იმან დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოიღო ჩემზედ.

ნათელას ეცვა შინ ნაქსოვი შალის კაბა; კაბა ჩვენებურად არ იყო გამოჭრილი; წარმოადგენდა ფართო და გრძელ პერანგს მოზრდილად ამოჭრილი და ჩაღილული საყელოთი. კაბა ძირს მორთული იყო ნაოჭით ასხმულ ქოქობოთი; ქოქობო ჭრელი, ფერადი და თვითეული ფერი ოთხი თითის სიპრტყედ უვლიდა გარშამო კაბას. სარტყელი შალისავე ერტყა ფოჩებიანი, ფოჩები გვერდზედ ჩამოშვებოდნენ. კაბის გულისპირი და საყელო მორთულები მაუდის ნაჭრებით, მძივებით, ვერცხლის ყაწიმებით. ზემოდან გვერდგაჭრილი შალის ჯუბა ჩანდა, მორთული ჭრელი ძაფისგან გაკეთებული ქსოვილებით და წითელ-ყვითელი სკლატისაგან გამოჭრილი ჯვრებით თუ სხვა სახეებით. გულზედ მძივის ფუნჯი ეკიდა.

წაბლისფერი უხშირესი თმა მრავალ ნაწნავებად ჩახლართული შემორტყმოდა ქალს. თავზე ეხვია შავი წმინდა შალის მანდილი, რომლის ფოჩები ჩამოფენილიყვნენ მარცხნივ მხარზედ. ფეხზე ჭრელი წინდა-პაჭიჭი ეცვა და ზედ ქალამნები.

ქალი შუათანა ტანისა იყო, თეთრ-წითლად დაღანებდა, თუმცა მოუვლელიობას კვალი დაემჩნია იმისთვის. ზომიერი ნიკაპი, სუფთა ცხვირი, ხშირი წარბ-წამწამი მოსჯროდნენ მის მრგვალ, სავსე სახეს. ლოყებზე მიმზიდველნი ნაჩვრეტები ღიმილის დროს უკეთებოდნენ.

ნათელამ რამდენჯერმე გადმონათა ჩემკენ ჭრელი, სიცოცხლით სავსე, მღიმარე თვალები, თუმცა მალევე ჰფარვიდა მათ ხშიროვან წამწამის ჯარით. ამ სურათმა მიმიზიდა და თვალაუშორებლივ ჩავჩერებოდი მას. იქნება ამის გამო თანდათან უფრო ერეოდა სიწითლე.

– მე ვიცი, ჩვენი ქალები თუ შინა სხედან და ეს ხევსურის ქალი მინდორში აღამებს დღეს, სილამაზე არ გაუცვალონ მას! – მითხრა გზაზე ამხანაგმა.

– უთუოდ ღარიბისა უნდა იყოს, თორემ საქონელს რად მოუყენებენ?

– ჰო, არც თუ მდიდარია, მაგრამ აქ მდიდრებიც და ღარიბებიც ეგრე იქცევიან, სირცხვილად მიაჩნიათ შინ უსაქმოდ ჯდომა.

– რათა, ვინც შინ არის, განა ყველა უსაქმოდა ზის? ხელსაქმე? სახლის მოვლა?

– ხელსაქმე! მე ვიცი, ქარგაზე ქსოვნა უნდებათ. თუ ექნებათ რამე ამოსაჩხლართი, ეგრე მინდორში გააკეთებენ, როცა მოიცლიან; ტანისამოსს ეგენი საზოგადოდ ზამთარში ჰკერვენ და ჰქსოვენ. ნეტავ გიჩვენა ზამთარში თითო-თითო ქალი რომ ჩასჯდომია ქსელს და ერთგულად ჰბეჭავს!.. ამათ ტანისამოსზე არ მიზღიით ფული.

– ეგ ძრიელ მომწონს; ჩვენი გლეხი სულ ტანისამოსისაგან არის გაჩანაგებული; მაგრამ შალი ხომ ძრიელ გახეხავს, უთუოთ შიგნით მიტკლის პერანგებს იცმენ, არა?

– პერანგებს კაცები იცმენ, რადგანაც იმათი ჩოხის შალი უფრო სხვილია, ქალები არ იცმენ პერანგებს.

– ეგ შალის ტანისამოსი სამუშაოდ ძრიელ კარგი იქნება, მალე არ დაიხევა.

– მართალია! ჩვენი ჩითები რომ ეცვათ, კვირაში ერთი კაბა მოუნდებოდათ; ვინ იცის, რამდენს მუშაობენ ესენი; შინა საქმის გარდა მხარდამხარ მისდევენ კაცებს გარე საქმეშიაც; თივის აგროვებაში, ზიდვაში, მკაში, კალოში. რა მშვენიერი მკა იციან!

– უსათუოდ ერთპირი ხალხიც სცხოვრობს აქ, თორემ ქალის მინდორში მარტო სიარული!

– ჰო, აქ სულ ერთი ჩვეულების ხალხია და თავდაცული: თუ ვინმე გაბედავს რასმე, მალე იგემებს ხანჯლის ცივ რკინას. აი მაგ ქალს ევლება თავს ერთი ყოჩალი ბიჭი; მაგასაც მგონი უყვარს, მაგრამ, რადგან დედ-მამას არა ჰსურს, ხელიც ვერ უხლია.

მზის ჩასვლის დრო იყო, როდესაც მივადექით ერთ ქვითკირით ნაგებ სახლს. გამოგვეგება ჭალარაშერთული მღვდელი.

– მობრძანდით, მობრძანდით! რა მომაგონებდა?! ძლივს არ გაგიბედნიათ ჩვენი ნახვა!

მღვდლის სახლი სოფლის თავში იდგა. სოფელს აღმოსავლეთის და სამხრეთის მხრივ ჩამოუდიოდნენ ხევები; ერთი ხევიდან მოისმოდა წისქვილის წყლის ხმა. თითქმის ყველა სახლთან მოჩანდა საბძელ-სახვავე და ახლოვე მდგომი თივის, ბურდოს ან გაულეწელი ნამუშავრის ზვინები.

სახლები დაბლები და თითქმის მიწასთან გასწორებულები იყვნენ, მხოლოდ წინ ფიცრულის დერეფნებს აეღოთ მაღლა თავი და უნებურად წინა ფეხებზე წამომდგარ ოთხფეხს მოგაგონებდათ. შუა ბანზე მოჩანდა დარბაზულად ნაგები საკომი თვისის განუშორებელი კუთვნილებით – საქარეთი.

სახლების ახლოვე მოჩანდნენ პატარა ქოხები – ეს სამრევლოები იყო. სამრევლოები ერთი აღმაშფოთებელი და სამწუხარო მოვლენათაგანია. აქ თურმე მშობიარე ძლიერ უწმინდურად მიაჩნიათ, ასე რომ, არამც თუ იმისი მიკარება, ახლოს გავლაც კი სიწმინდის დარღვევაა მათთვის; „შერევა“ (როგორც ესენი ამ მიახლებას ეძახიან) დიდ საზიზღად და უბედურებად უჩნთ. ამის გამო, მოატანს თუ არა დიაცის მშობიარობის დრო, მაშინვე გაიყვანენ სახლიდგან და ქოხში დაასახლებენ. აქ ქალი მოიმშობიარებს მარტო; არც ბებიაა მათთვის და არც მომვლელი. სამ დღეს მაინც არის მშობიარე იმ ქოხში თავის ჩვილი ბაღლით.

ცხადია, უბედური შედეგები ამისთანა ჩვეულებისა: ხან დედაკაცი ვერ უვლის თავის თავს და ბავშვს და იხოცებიან ორნივე, ხან ცეცხლი გადაუვარდებათ ჩალის საწოლში და იწვიან... შემდეგ მშობიარე ამ ქოხიდან სამრევლოში გადადის, ქოხს კი სწვავენ. სამრევლო უფრო სუფთა და მაგარი ოთახია. აქ დიაცი რჩება ორმოცი დღე ისევ ისეთივე მარტოობაში. სამრევლოშივე გადიან რიგის დროს.

სახლისა და იმ ხევის შუა, რომელიც სოფელს სამხრეთისკენ ჩამოუდიოდა, იდგა ერთი ქვითვირის კოშკი; ამას ეჭირა ხუთი ოთხკუთხი ადლის ტოლი ალაგი, თუმცა კარგა მაღალი იყო, ზევიდან ყავრული ეხურა. ზედ შენობის შუაში, ორი ადლის სიმაღლეზე მოჩანდა პატარა კარი, რომელშიაც კაცი ძლივს შეძვრებოდა. კოშკის ახლოვე იდგა ოთხი ჩუქურთმით გაკეთებული მუხის ბოძი, ბოძებზე დამაგრებული იყო სპილენძის დიდი ხუფი, ზევიდან დამშვენებული სამი ჯვართით, რომლებს შუა გაბმული იყო ვერცხლის ძეწკვი, აქვე იდგა ერთი სახლი კარებამოქოლილი; სჩანდა აქ ეხლა აღარავინ სცხოვრობდა. შენობებს დაჰხვევიყო გარს შეუვალე შამბნარი. – ნეტავ რა დანიშნულება ჰქონია ამ შენობებს? – ვკითხავდი ჩემს თავს.

სადამოს ჟამია. მზე შუბის ტარის სიმაღლეზედა დგა; მზის სხივები გამოსჭვივიან მის წინ აფარებული ღრუბლის ნაპირებიდგან და ჰღებავენ მათ წითელ-ყვითლად.

მე, მღვდელი თვისის ცოლით და ქალით მოვსეირნობთ ტყის პირიდან.

სადამოს წყნარი ნიავი არხევს ხის ტოტებს და აშრიალებს გაყვითლებულ ფოთლებს. ზედ ჩვენ პირდაპირ მოჩანს თეთრად კოშკი.

– ნეტა რისთვის არის ის კოშკი აშენებული და ან სახლი რათა დგას ესე მოშორებული სოფლიდან? – ვკითხე ქალს, რომელიც გვერდით მომდევდა.

– ისა? რა ვიცი, ხევსურებს აუშენებიათ. მამა უფრო კარგა გვიამბობს რისთვისაც! – მიპასუხა ქალმა და დაიძახა:

– მამილო! აბა გვიამბე, რისთვის აუშენებიათ ხევსურებს ეს კოშკი.

– იაღსარი, შვილო?

– დიახ ის, – ვუთხარით ორივემ ერთად.

– მაგ კოშკს, – დაიწყო მღვდელმა, – იაღსარს ეძახიან. ეგ იმათი უწინდელი სალოცავია; ის, ოთხ ბოძზე რომ სპილენძის ხუფივითა დგას, საზარე იყო; სახლი კიდევ კურდღელა ხუცესისა იყო;³ ჭკვიანი და გამოცდილი ბერიკაცი იყო კურდღელა. ეხლა კი თქვენი ჭირი წაიღო, აღარ არის...

³ ხუცესი ანუ დეკანოზი ხევსურებს მღვდლების მაგივრად ჰყავთ. ესენი ასრულებენ თავიანთებურად თითქმის ყველა სამღთო წესს; ხუცობის დროს ამათგან გაიგონებ სხვა და სხვა ლოცვებიდან ამოგლეჯილ ფრაზებს (ავტორის შენიშვნა).

2. ვ. ბარნოვი.

– ეს ორი წელიწადი სრულდება, – ჩამოართვა ცოლმა სიტყვა, – ახალწელიწად ღამეს ესვა, ნასომს ჩაფში (საწოლში) ცეცხლი გადაჰვარდნიყო და დამწვარიყო; ცოტაღა იცოცხლა იმის შემდეგ...

– არ არის დიდი ხანი, – განაგრძო მღვდელმა, – რაც ეგ კოშკი აუშენებიათ, ხუცესმა თურმე ქადაგობის დროს გამოუცხადა ხალხს, რომ აქ ართანის ხატი უნდა გადმობრძანდესო და იმას სამლოცველო უნდა აუგოთო. ხუცესს ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა და ამისთვის ხალხი დაჰყვა მის ნებას: შეიქმნა მუშაობა. ცოტა ხნის განმავლობაში ააგეს ეგ კოშკი; შემდეგ ააშენეს საზარეც და დაჰკიდეს ზარი, რომელსაც დღეობაში რეკავდნენ. ამ იაღსარში ლოცვა წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებელი მოთხოვნილებაა ყოველი ოჯახისათვის. ავადმყოფობის და გაჭირვების დროს ხუცესი ხომ პირველი საშუალება იყო, რადგანაც თანდათან მლოცავი ბევრდებოდა და იაღსარის ქონა შუა სოფელში ცოტა უმარჯვო იყო, ერთ დღესასწაულის დროს თურმე გამოუცხადა ხალხს: თქვენ აქ ხატი არა გყაბულობთო და უნდა ცოტა იქით გადასახლდეთო! ხალხი დაჰყაბულდა და ამ სახით იაღსარი და მისი ხუცესის სახლი დარჩნენ გაცალკეებულნი. მას აქეთ შეიქმნა ეს ადგილი მიუვალი განსაკუთრებით დედაკაცებისათვის და თუ ლოცვა უნდოდათ, შორიდან უნდა ელოცნათ.

– ჯერ ჩემ მოსწრებაშიაც კარგი დღესასწაული იცოდნენ აქა, – განაგრძობდა მღვდელი, – ძლიერ ბევრი ხალხი მოაწყდებოდა; ყველას ჰყვანდა აქ სამღვთოდ ან ცხვარი, ან კურატი. დილიდანვე შეიქმნებოდა ზარის რეკა, რომელსაც ამ დროს ბაღდადს შეაბამდნენ ღეროზე და იმითი რეკავდნენ. ეს ამოდენა მლოცავი სულ ქუდმოხდილი შემოერთებებოდა იაღსარს. დედაკაცები და ყმაწვილები უფრო შორს იდგნენ, სინამ კაცები. ამ დროს მობრძანდებოდა თვითონ ხუცესიც მორთული, მიიდგამდა კიბეს და შევიდოდა კოშკში სალოცავად; ხალხი ევედრებოდა გარედან; მათგან მალ-მალ გამოისმოდა მალლა ხმით მტყლაშუნი, შორიდან ჰკოცნიდნენ ხატს... ხუცესი ხუცობის შემდეგ დაუვლიდა სამხთოებს და ყველა სამხთოს დაადებდა თავზე ჯვარედინად ხანჯალს. დაჰკლავდა ერთს. იმისი სისხლით აავსებდა ვერცხლის თასს და ასხურებდა ხალხს. იკვლოდნენ სხვა სამხთოები; ყველადგან მისდიოდა ხუცესს მხარ-ტყავი და საწირავი. ამ დღეს კურდღელას სრულებით არა ჰქონდა მოსვენება: აგერ აქ ქადას აჭრევიებდნენ და ეხვეწებოდნენ, რომ დაემწყალოებინა, სხვა ცალ მუხლზე დაჩოქილი ლუდით სავსე წიწანას აწვდიდა; აგერ დედაკაცი დიდის მოწიწებით უცხადებდა მას თავის მახლობელის ავადმყოფობას და ეხვეწებოდა გაეგო, თუ რომლის ხატის მიზეზით არის ის ავად და ან რით მოიმაღლიერებს იმ ხატს. ხერხიანი ბერიკაცი ყველას აძლევდა შესაფერ პასუხს. ამგვარად იმან ბევრი, ძრიელ ბევრი ფულები შეიკრიბა... ბევრი ვეცადენით და როგორც იყო მოვაშლევინეთ ეს ყოფა, თუმცა კი ჩუმად ლოცვას მაინც არ იშლიან. აი ამ ორი წლის წინათ მანდ კიდევ ვიპოვეთ ერთი ზარი, რომელიც შიშით საზარის ქვეშ ჩაეფლოთ.

ამ ლაპარაკში ვიყავით, როცა სახლის გაღავანში შევედით. აქ დამხვდა ჩვენი ნათლიმამა ხევსური და მითხრა, რომ სახვალიოდ იმასთან წავსულიყავი.

მეორე დღეს დილით ჩავიარე სოფელში და შევუხვით ერთი ბანისკენ. იქ კუნძზე ჩამომჯდარიყო ჩვენი ნათლიმამა ხევსური და ჩიბუხს ეწეოდა. დამინახა თუ არა, მაშინვე წამოხტა ფეხზე.

– ნათლიას გაუმარჯვას, რას გუნებას ხარ? – დაიძახა.

– კარგად გახლავარ, გმადლობ! – ვუპასუხე.

– წამობრძანდი შინ, – მითხრა და გახედა საკომს, – ეჰუ! ბოლიც ვეღარ ამოდის.

მოუსაქრა, შინ ჩავედით. კარებწინ ეყარა ხეების ნახეთქები და ნაფოტები, იქვე ეგდო ცული. გადავალაჯეთ ხეებს. გამოგვეგება ნათლიდედა ორთამზე და მოკითხვის შემდეგ შეგვიწვია. სახლს დერეფნის მაგვარი გრძელი შესავალი ჰქონდა; სრულებით ბნელი იყო, მხოლოდ კარების მხრიდან, რომელიც ჩვენი შემოსვლის შემდეგ ისევ თავისთავად მიიხურა ჭრიალით, შემოდიოდა ცოტაოდენი სინათლე. წინ მიმიძღვოდა სახლის პატრონი. ფეხაპარებით და სიფრთხილით მივდიოდი, არაფერში ჩავვარდემეთქი, მაგრამ მაინც ვერ ამცდა და რამდენჯერმე მოულოდნელად ისე ჩავკარ ფეხი ფოსოში, რომ გვერდები შემენჯღრა.

ჩვენ წინ გამოჩნდა ნახევრად ღია კარები; შევედით სახლში და ჩამოვსხედით გრძელ სკამზე. კერაზე, შუა სახლში, ენთო ცეცხლი. ზედ იყვნენ ჩაწყობილები წიფლის ნაჩხები. ბანიდან იყო ჩამოშვებული სქელი ჯაჭვი სულ მთლად გამჭვარტლული, მაზედ ეკიდა ყურიანი ქვაბი, საიდგანაც ერთობ უხვად ამოდიოდა ორთქლი.

ბოლისაგან სულშეგუბებულმა ავიხედე მალა. მინდოდა ცა მაინც დამენახა საკომიდან, მაგრამ თვალეხი უნებურად შეაჩერდნენ მწარედ შებოლილს და შემჭვარტლულს ჭერს. ჭერიდან ბუნჯგალ-ბუნჯგალი მჭვარტლი იყო ჩამოგრძელებული და ჩამოცვენას ჰლამობდა; იქვე საკომს ახლო იყვნენ გაწყობილები ხარხებები და ზედ ფიწლები, კომბლები, ორთითები. კაცი აქვე შენიშნავდა დაკიდებულე მთელ-მთელ ცხვრის დუმებს.

– დათიკო, – მითხრა ხევსურმა, შენიშნა რა, რომ ჭერში ვიყურებოდი, – ე ცხვრის დუმები ძალია კა საჭმელია, მემრე ჩემ დიაც რომ მოხარშავს რძეჩი!

– კარგია, რატომ, – ვუპასუხე მე, – მაგრამ დუმა, ისიც რძეში მოხარშული, ხომ ძნელი საჭმელი იქნება.

– დიად თქვენდ, ბარისეებისად, ძნელ საჭმელ ას, ჩვენ შეჩვეულნი ვართ მაგას...

კერის ცოტა ქვიდან აყუდებული იყო გრძელი ლასტი; იმის იქით იწყებოდა ზღავებით დაგებული იატაკი, სჩანდა ბაგაც; სახლი იყო დანიშნული, როგორც კაცების საცხოვრებლად, ისევე საქონლისა.

კერის პირას ფუსფუსებდა ხანში შესული დედაკაცი; იმისი მრავალგზის დაკონკებული შალის ტანისამოსი ჭუჭყისაგან იყო შელესილი. იქვე ახლო ისხდნენ ბალღები დალოხიანებულს ტანთსაცმელში. პატარებს ქალმების მაგივრად ეცვათ ძირებზე ტყავწაკრული წინდები.

დიასახლისმა მოგვართვა ტაბლა, ზედ ეწყო ხმიადები, ქადები, ყველი, ორი წიწანა (პატარა ჯამი ხისა) რძე, რომელშიაც ყვითლად მოჩანდა გამდნარი ერბო...

ვიწყეთ ჭამა და არყის სმა. პურის ჭამის დროს კიდევ რამდენიმე კაცი შემოვიდა და იმათაც ჩვენთან დაიწყეს სადილობა. დიასახლისმა ამოყარა ცეცხლზე ნაკიდ ქვაბიდან ხინკალი და მოგვართვა.

– მიირთვი, დავითო, მიირთვი; რახელ ხინკალ გაუკეთებავს ჩემ დიაცს!..

– მართლა კარგი საჭმელი ყოფილა, როდი ვიცოდი!

– ესა? ეს ხევსურების საჭმელ ას, – მითხრა და მომაწოდა არყით სავსე ყანწი...

მზე გადახრილი იყო, როდესაც ავიშალენით.

კვირა დილაა, მოჰქრის ცივი ნიავი. ცა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლებით არის მოცული; ხეებზე შრიალებენ ფერნამკრთალი ფოთლები და შორდებიან თავიანთ მზრდელ ტოტებს...

სოფლის ერთ განაპირა სახლის ბანზე შეყრილია ხალხი. ძირს დგანან დედაკაცები, იქვე ბიჭებს უჭირავთ ხელში ცხენები, რომლებსაც მარტო თაქალთო აფენიათ და წითელი ქარშიკები უჭერიან. ბანზე ვდგევარ ხალხში.

– დოლი თქვენჩი არ იციან განა? – მკითხა ერთმა ხევსურმა.

– არა, მკვდრისთვის არ იციან დოლის გამართვა; ქალაქში კი მინახავს მარულა, – ვუპასუხე მე.

– ისე უბრალოდ ცხენთ ჭენობა რა დოლი ას! დოლ კვდრისად იციან ჩვენჩი... ა, ბეჩავ, ბეწიკურო, კა ჭენობა არ იცოდი ცხენისა!.. აი წითელ ცხენ რომ დგას განა, ის იმ კაცისაი ას, ეხლა რომ დოლს უშვრებიან. კა ვაჟკაც იყვ და კარგადაც მოკვდ...

– როგორ თუ კარგა მოკვდა? – ვკითხე მე.

– როგორა და ისე, რომ ერთაი მოკლა, მერმ დეეჭრათ თავში ტყვიით; აისეთა ვიპოვეთ ქალაქის გზაზე. ბეწიკა იყო. თუ ბევრნ არ დახვედროდეს!..

ცხენებს დაუყარეს წითელ შილაზე ქერი და ცოტ-ცოტა მიაჭამეს, მერმე აიღეს მხედრებმა რამდენიმე კუბატი⁴, მოასხდნენ ცხენებს და გასწიეს...

ყველანი ბანზე შევდექით საყურებლად. მანძილი დიდი ჰქონდათ დანიშნული და მის გამო ცხენები ნელა ოთხით მიჰყვანდათ...

აგერ ყველანი შეეფარნენ პატარა ჭალას; კიდეც გამოჩნდნენ, კიდეც შეეფარნენ... რამდენიმე კაცი ძირს ჩავედით. ერთი საათი არ იქნებოდა იმათი წასვლის შემდეგ, როცა ბანიდან მოისმა ხმა:

– იჰი, გამოვიდეს, მოაჭენებენ!

ბანზე ავცვივდით. ის ალაგი, საიდამაც მხედრებს უკანასკნელად უნდა დაეკრათ ცხენებისთვის, სამ ვერსზე იქნებოდა ჩვენგან. რამდენიმე ბიჭი კიდეც შეჯდა ცხენებზე და მარდად გაექანნენ იმათკენ.

ესენი მგებრები იყვნენ. ცხენები გამოსცდნენ ნიშანს; მხედრები ხელმარჯვედ სცემდნენ და ერეკებოდნენ... აი ჯგუფიდან რამდენიმე ცხენი გამოირჩა და დაწინაურდა, ისინი თანდათან სტოვებენ თავიანთ ამხანაგებს... ერთი ამ ცხენებთაგანი უცებ დაეცა, მხედარი მარდად გადმოხტა ცხენიდან; ცხენი წამოხტა, ისევ დაეცა...

– აოი! ცხენ გაუსქდების, – გაისმა ხალხში ხმა. ლურჯამ მოისხლიტა ყველა ცხენი.

– ბეჩავ, ჩემო ლურჯა! – დაიძახა ხევსურმა. ცხენები მოახლოვდნენ; გაგიჟებული ლურჯა აღარ ემორჩილება თავის დაქანცულ მხედარს და უქცევს სწორი გზიდან. ცხენი გამოსცდა მიჯნას. აგერ გადმოხტა ერთ თხრილზე და ძირს ბურთივით დასცა თავის მხედარი.

– აოი! – გაისმა მთელ ხალხში, – ბიჩინაგა ქვე გადმოაგდ ცხენმ.

ხალხში შესდგა დიდი ჩოჩქოლი. დედაკაცები წივილ-კივილით გარბიან გადმოვარდნილ მხედრისაკენ...

მზე თითქმის გადიხარა, როდესაც შეგვიწვიეს სადილად დარბაზივით ნაგებ სახლში. ერთ მხარეზე ჩამოვმწკრივდით კაცები, მეორე მხარეზე გამწკრივდნენ ქალები. მოგვართვეს ტაბლაც, სადილობა დავიწყეთ. ქალებს გულის მორთულობაზე ლურჯი შილა ჰქონდათ აფარებული მგლოვიარობის ნიშნად.

სუფრის ბოლოს იჯდა ჩვენი ნანახი ქალი ნათელა; მისი სიმშვენიერე ეხლა უფრო ძრიელ მიტაცებდა. შევნიშნე, რომ ის მალ-მალ იხედებოდა ვაჟების სუფრის ერთ კუთხისაკენ. წამწამის ტყე მალ-მალ ირხეოდა და მის კამკამა თვალებიდან ჰკრთებოდა დელვა. დავაცქერდი იმ მხარეს. იქ იჯდა სუფთა ტანისამოსით მოსილი ახალგაზრდა. ახლად ამოსული უღვაშები და ხუჭუჭი წვერი ამშვენებდა. მოკლე ჩოხის გულისპირი და ვიწრო შარვლის ტოტები მთლად სკლატებით ჰქონდა მორთული; წელზედ ერტყა დილებით მოჭედილი ქამარი და გრძელი ხანჯალი. მარჯვენა ცერზე გაეკეთებინა

⁴ ამ კუბატებს გადუყრიან ხოლმე იმათ, ვინც მათ გზაზე შეხვდებათ.

მაღალი, ჩხუბში სახმარი ბეჭედი. მისი შეხედულება, მოძრაობა, ლაპარაკი ამტკიცებდნენ იმის სულისკვეთებას. უჩუმრად გადიხედავდა ხოლმე აღზნებული თვალებით ქალისკენ.

– აგერ ის ბიჭი, მე რომ გითხარით მაშინ! ხედავ, ნათელა და ის როგორ უცქერიან ერთმანეთს? – წამომიჩურჩულა გაბრიელმა, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა.

ამ დროს მოგვაწოდეს ორი ყანწი არაყი.

– შესვით, კესანე, შესვით!

აქედან წაგვიყვანა ერთმა ხევსურმა თავის სახლში რამდენიმე კაცი და მღვდელიც. შეიქნა სმა და სიმღერა.

– რას ღლაველუებთ, ვაჟო? მოიტანეთა ფანდურ, არ ქქონა?

გადმოაწოდეს ბეროს ფანდური. სიმები ზედ შექანგებოდნენ. ბერომ შემოიღო ფეხი ფეხზედ და აათამაშა სიმები, ზედაც დამღეროდა:

არიქა, ბაჩაყაურო, დათვია შემოგვხვდებისა,
იციან გუდამაყრელთა შორის მოქნევა ხმლისაო;
ხევი ჩადება, ჩახრჩობა, წუნკალა ხევსურისაო;
შეინახიდი ლამაზად ნახეთქი თავრივლისაო...

– იჰი, რახლად დაგვცინის ე ლოხიან გუდამაყრელი! – დაიძახა ერთმა.

ბერომ დაუკრა სათამაშოს მაგვარი. ჩამოდგა ერთი ქურქით და გრძელ ბეწვიანი ტყავის ქუდით მოსილი ხევსური და დაიწყო თამაშობა; ხან ერთ ფეხს აიღებდა მაღლა და ათამაშებდა, ხან მეორეს...

– ბერო! ბალღობისასა წაწალ არ გყონდა? რახლად უმღერდი იმას? – დაიძახა ერთმა.

ბერომ გადაისვა ხელი თავის გრძელ ულვაშებზე, ახედ-დახედა თავის ფანდურს და დაიწყო:

წაწალოე, წაწალოე!

ჩაგითოვლა საკალოე,

რად არ ჩვენკენ ჩამოივლი,

შე ღვთისაგან დამწვაროე?..

ნოემბრის ოცდახუთია. დღეები უფრო და უფრო მოსაწყენები შეიქმნენ; დრო ძლიერ ნელ-ნელა გადის; ყოველ დღე ერთგვარი ცხოვრება: წინადლითვე იცის კაცმა, როგორ გაატარებს მეორე დღეს. არსად შექცევა, არსად ლხინი... მომეწყინა ბუნების აღტაცებით ყურება, მით უფრო, რომ მან დაჰკარგა თავისი მშვენიერება და მოემზადა საძილედ.

მინდვრებმა დიდი ხანია დაჰკარგეს თავიანთ სიმწვანე; იმათზედ მომბერავი ქარი ვეღარ აღელვებს მდელს; ის ეხლა აქ აგორებს ბურბუშელებს და თავისი განუწყვეტელი გმინვით აღვიძებს გულში დარდებს...

მხოლოდ მელანოს სიცილი, ხუმრობა და ცელქობა ახალისებს გულს.

– მოგეწყინა განა? მაშ, ჩვენ როგორ ვძლებთ აქ? – მეტყოდა ის.

საღამოს ჟამია; ქარი სასტიკად აღარ უბერავს; ჰაერში შედარებით მყუდროობა სუფევს.

მე და გაბრიელი ტყის პირში დავსერიწობდით. კარგა ხშირი ბინდი იყო, როდესაც ჩვენ შემოვბრუნდით შინისკენ და შემოვყევით ხევის პირს; კიდეც დაბნელდა, მანამ სოფელს მოვატანეთ.

– სსუ!.. – მითხრა გაბრიელმა და დაიწყო დაკვირვებით ყურება ახლო მდგომარე საბძლისაკენ. მე ხმა გავიკმინდე. იმან გაიარა რამდენიმე ნაბიჯი ფრთხილად და ამოეფარა ხეს. მეც მივეყვი იმის მაგალითს.

ნიავი მოჰქროდა ზემოდან და ცხადად მოჰქონდა ჩვენკენ სიტყვები:

– მამიდურავ! ჰაა, მამიდურავ!.. – იმახდა ვიღაცა ნელის ხმით.

– გესმის? ეს უსათუოდ ის ბიჭია, ნათელას რომ ათვალიერებდა. იმ დღესაც მოვკარი ყური რაღაცა ლაპარაკს.

– მამიდურავ! ჰოლე, მამიდურავ!.. – გაისმა კიდეც ნელი ძახილი.

მოისმა ფეხის ხმა, ვიღაც შავად იძროდა იმ ალაგისაკენ, საიდანაც მოდიოდა პირველი ხმა. ორნივე შეიყარნენ ერთად და გადმოდგეს რამდენიმე ნაბიჯი უფრო ჩვენკენ. სიფრთხილით ვსუნთქავდით. ხველება მომდიოდა, მაგრამ აბა რას დავახველებდი!

– კარზე ხომ არავინ ჩანს? სადაა ნათელა? – სთქვა პირველმა ხმამ.

– აი, ბებერი რასამ კოლტაობდა, ნათელა მოლანდელს აქით სამრევლოჩია, – უთხრა მეორემ.

– აოი, – განაგრძობდა იგივე, – რახილ ბნელ ღამეი ას!

– ახლა რაილ ვქნ, შენი ჭირიმ, რაი გითხრ ნათელამ?

– ნათელამ მე არც რა არ მითხრ, არც რა სხვისად უთხრობავს.

– მე ვუთხარ, წუხრს მოვალის-თქო. წაედ, ნახი ნათელა. ძაღლებმ არ გგლიჯონ. მარტომ არ წაიყვანო. ცხენები კარგი გყონანა?..

– ცხენები კი კაეზია, მაგრამ რომ არ წამომყვესა!

– რახლად არ წამოგყვების?! – სთქვა და ნელა გაიცინა მამიდურამ.

– რო გითხარ, ეგ არ გაუშვებს-მეთქი იმ ქალს მოუტაცებელს! – მითხრა ამხანაგმა, როდესაც ისინი გაგვცდნენ.

– აი ქალის ნება არ იყოს!

– წამო, წავიდეთ, – მითხრა იმან, – მე ვიცი ქალი რომელ სამრევლოშიაც არის.

პატარა ხანს უკან ჩვენ ვაი-ვაგლახით მივძვრებოდით შამბებში, ჯოყრებმა ერთიანად ხელები დამისისხლეს. ბოლოს ერთ რაღაც შემოღობილს მივადექით.

– დაიცა, კაცო, – მითხრა გაბრომ, – იქნება ის ბიჭიც აქეთ გადმოვიდა, ზედ არ წავაწყდეთ. აგერ სამრევლოც.

ჩვენ შევდექით. მე მიხლოდა მეთქვა რამე, მაგრამ იმან პირზე ხელი დამაფარა. ქარი აშრიალებდა შამბებს. კიდეც გადავდგით რამდენიმე ბიჯი, ამოვეკარით ლობეს. ცოტა ხანს უკან მოისმა ფაჩიფუჩი, გაისმა ჭახანი ხმელი ფიჩხისა. ჩაჩუმდა ყველაფერი, მოისმა ძაღლის ყმუილი.

– გზა კარგად არ სცოდნია, ძლივს ეხლა მოატანა; ლამის ძაღლებს წააწყდეს, – სთქვა ამხანაგმა. ლობის იქით გამოჩნდა რაღაც შავად, დაუახლოვდა სამრევლოს კარებს და ჩაჯდა. გავიგონეთ კარის რახუნი, რახუნი კიდეც გაისმა, კიდეც... კარმა მცირე ჭრიალი მოიღო.

– ვინ ხარ? რაი ხარ მანდ? – გაისმა ნელი ხმა.

– მე ვარ, გაგაი ვარ, – დაიძახა გარედან.

– დაგწყიოს იალსარმ, ეშმაი ხარ, რა გი აქ?

– მე ვარ, გაგაი ვარ, გაგაი არ გახსოვსა?..

– აოი! რა გი აქ? წეედ, მოგკლამენ, – სთქვა თრთოლით ქალმა.

- არიქა, მედ აქ ბატარა ხანს!
- არ, შენი ჭირიმ, ვერ მოვალ, ჩავგხოცენ.
- არვინ ას აქ. მამიდურამ არ გითხრა მოლან?

ბიჭი შიგ დერეფანში შევიდა. გაისმა კარის ჭრიალი, გამოვიდა ქალი. ორი შავი ჩრდილი შეეწებნენ ერთმანეთს, კოცნის ნელმა ხმამ ძლივს მოაღწია ჩვენამდის...

სამრევლოს კარიდგან, რომელიც ცოტა ღია დარჩა, გამომჭირვალს ცეცხლის მქრქალს სინათლეზე ჩანდა, რომ ქალი უკანვე დადგა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები მოდიოდა ჩვენამდე.

– რახლად ლაპარაკობ? ვინ მოგვკლავს? – გაჯავრებით სთქვა ბოლოს ბიჭმა და შემობრუნდა გარე. ქალი მალევე მეეწია... გაისმა კოცნის ხმა.

- არ, შენი ჭირიმ, გაიგონებენ, დაიწყებენ დასაცილს, – ეუბნებოდა ქალი.
- რას უბნობ, ვინ გაგვიგებს? – ეუბნებოდა ბიჭი.
- რომ გიორგი მოგვეწიოსა?
- ვერ მოგვეწევის, მზად იყავ. ანდრიაც ჩემთან ას.

ამ დროს გაისმა ყრუ ბურტყუნი ძაღლისა. ბიჭი გატრიალდა. ქალი მალევე შებრუნდა შინ.

– ოი! ქალ რა არ შეუძლიან: რომ უნდოდეს ეხლავე ააკუწინებს მა ბიჭს. ერთი დამახების მეტი კი არ უნდა, – სთქვა გაბრიელმა.

– მა რა, თუ ქალიც არ დაჰყვა, მაგისტანა საქმე როგორ იქნება! ბედნიერია ვილაც არის, რომ მაგისტანა ქალი მიჰყავს.

– ბედნიერი მაშინ იქნება, თუ ტყვია მიადევნეს უკან. ვაი დედაშენს, რა ქალი მიგყავს!.. წამო, კაცო, ვუთხრათ ვისმეს.

– შენ რა გინდა, კაცო! აბა შენი თავი წარმოიდგინე მაგის ალაგას...

სულ ხუთ წუთს არ გაუვლია და ბიჭი ისევ მოადგა სამრევლოს კარებს. გამოვიდა ქალიც. ორთავემ საჩქაროდ ჩაიარეს შამბი. ხმელმა ფიჩხებმა და ჯოყრებმა შექმნეს ლაწილუწი. ძაღლებმა ასტეხეს საშინელი ყეფა; მაგრამ გვიანდა იყო: გაჩნდა იმათთან რამდენიმე ცხენოსანი და თვალის დახამხამებაზე გაიტაცეს ქალი.

– ჰაი, მიშველეთ! – შექმნა ვილაცამ ყვირილი, ჩოჩქოლი, მიწევნა. მოგვესმა თოფის ხმა... კიდევ...

დეკემბერი. მოსაწყენი ქარი თითქმის განუწყვეტლად ჰბერავს და მოუდის დასავლეთით შავი ღრუბლები, რომელთაც ესე მოუქუშიათ ცა. ღრუბლები წვიმის ბადლად მოგვიძღვნიან თოვლს, ქარი ღრიალით და სტვენით ამ ახალ მოსულ ფიფქს ჰფენს შენობის კედლებთან და ღობეებთან.

ხეები მრთლად გამხმრებს დაემზგავსენ. ბუნება მიეცა ზამთრის ღრმა ძილს. სასიამოვნოა ანთებული ბუხარი...

[1878 წ.]

ჩ ვ ე ნ ი ლ ა მ ჰ ა

რა დღესაც ჯვარი დავიწერე, იმ დღეს ვიყიდე მე ლამპა. პირველად ჩემმა ცოლმა აანთო ის. მოვედით თუ არა ეკლესიიდან და ოთახში შემოვედით, იმან მაშინვე ლამპას მიაქცია ყურადღება. თითქოს ეხლაც თვალწინ მედგეს, ისე ცხადად მახსოვს, როდესაც

ის, საქორწილოდ თეთრის ტანისამოსით, ყვავილებით თავმორთული, ჯერ ისევ თეთრი „ფერჩატკებით“ ხელზე, მივიდა ლამპართან და სიხარულით წამოიძახა: ახ, რა მშვენიერი ლამპაა!

მართლა და მშვენიერი ლამპა იყო: ბრინჯაოს საფეხურზე იდგა ქალის ფიგურა, რომელსაც ეჭირა თეთრი შუშის რეზერვუარი ვარდებში ჩამჯდარი, ჩაწნული ამურებით. ლამპას ეხურა ზევიდან ყვავილივით გამოყვანილი ბუნდი ხუფი. მხოლოდ ეს ლამპა იყო შესამჩნევი ჩვენ ღარიბ სადგომში.

ოჰ, ღმერთო, რა სანატრელი მომავალი გვილიმოდა მაშინ, იმ პირველ საღამოს ჩვენი ერთად ცხოვრებისა! გადახვეულნი ვისხედით დივანზე და ვლაპარაკობდით ჩვენს მომავალ ცხოვრებაზე. ჩვენის ცხოვრებისათვის შრომა ვერ გვაშინებდა: რადგანაც შეჩვეულნი ვიყავით; ეხლა ხომ შრომა კიდევ გაგვიადვილდება, ერთად ვიშრომებთ ჩვენი საზოგადო კეთილდღეობისათვის. ჯერ, რასაკვირველია, ბევრი დაბრკოლება შეგვხვდება, უიმისოდაც არ შეიძლება კაცის ცხოვრებაში, მაგრამ დავძლევთ მათ და პირდაპირის გზით წავესწრაფებით ჩვენის მიზნისაკენ. ჩავაცქერდი ჩემს საყვარელს გრძნობით სავსე თვალებში, რომლით გამომეტყველებდა, რომ ის მზად იყო ჩვენი ცხოვრებისათვის ყოველივე მსხვერპლად შეეწირა. ამითი მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერავითარი უბედურება იმას ვერ შეაშინებდა.

ჩვენი სადგომის ფანჯრებიდან მეზობლად სჩანდა საკმაოდ უწმინდური ეზო და შინაგანი მოწყობილობა ერთის მდიდარის სახლისა. აქედან შეიძლებოდა კიდევ კაცს თვალი ედევნებინა იმისათვის, თუ რა ხდებოდა იმ სადგომში. იქაც ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მაგრამ რამოდენა განსხვავება იყო იმათ და ჩვენ შორის! ახალგაზრდა, მშვენიერი, ჯანმრთელი ქმარი და ხნიერი, გონჯი, დასნეულებული, მაგრამ მდიდარი ცოლი! ცოლს ქმარი ნასყიდი ჰყვანდა. კაცი არც კი ჰფარავდა, რომ მას არავითარი სიყვარული არ აკავშირებს თავის უბედურ მეგობართან საცხოვრებლად.

ერთხელ ჩემი ცოლი ფანჯარასთან მივიყვანე და დავანახვე ეს ცოლ-ქმარი, ისინი ისხდნენ ხავერდის მშვენიერ სავარძელში ერთმანეთზედ მოშორებით. კაცი გაზეთს კითხულობდა და ამთქნარებდა; შორისკენ ხელზედ თავდაყრდნობილი ქალი უსაგნოდ გაიყურებოდა და მის მიმქრალ თვალებში ღრმა დარდი იხატებოდა.

– აბა მითხარ, სასურველო, – დავეკითხე ჩემს ცოლს და თან ჩავიკარ გულში, – იმ ძვირფას ფარდებს, სავარძლებს, დივნებს, ბრინჯაოს და მთლად იმ სიმდიდრეს რომ ჰხედავ, ხომ არა ჰნანობ, რომ შენ შენი ბედი ჩემს ბედს შეუერთე? ვინ იცის, იქნება გამოჩენილიყო მდიდარი მოხუცი ვინმე, რომელიც შენს სიმშვენიერეში და სინორჩეში მოგცემდა მას, რასაც ახლა აქედანა ვხედავთ? მაგრამ შენ კი, საბრალოვ, მაინც არ შეგეძლებოდა ეგრე გემთქნარებინა იმის წინ. მოხუცი ქმრები უფრო მძლავრები არიან მოხუცს ცოლებზედ. თუმცა ერთის მცირედის გაღიმებისათვის და ძალდატანებულის აღერსისათვის კი დაუყოვნებლივ მოგერთმევოდა ეტლები, ლოჟები, ბრილიანტები, ხავერდი, სამკაულები. აბა, სულიკო, გულწრფელად მითხარ: გენანება სუყველა ეს?

ცოლი მომეხვია ყელზე თავისი თეთრ მარმარილოსაგან გამოქანდაკებულის მკლავებით და ჩამჩურჩულა ტკბილის ხმით: არასოდეს... მე თვითეულ სიტყვას ვაწყვეტინებდი მას და ფუნჩულა, მრთოლვარე ტუჩებში ვკოცნიდი.

ორმა წელიწადმა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვიყავით თეატრში; საზაფხულოდ ქალაქიდან სრულებითაც არ გავსულვართ; არ დავსწრებივართ არც ერთ მუსიკალურ საღამოს; არც ერთხელ არ გაგვიმართავს შინ მეჯლიში, ბედნიერად კი ვგრძნობდით თავს. ჩემი ცოლი ჩემზე ბედნიერიც იყო, რადგან მე თითქოს რაღაც მაკლდა, მაგალითებრ თუნდ აკვანი და აკვნიდამ ჩემსკენ გამოწვდილი პაწია თათები; მას კი ეს არაფრად მიაჩნდა. მე ცოტად მიკვირდა, რომ

იმისი გული ერთხელაც კი არ მოწყენილა დედობრივი მზრუნველობით, სიხარულით და იმედების უქონლობით. როდესაც ჩვენ უშვილობაზედ ჩამოვაგდებდით ლაპარაკს, ის ყოველთვის დარბაისლურად მიმტკიცებდა, რომ ამისთანა სიღარიბეში შვილების უყოლობა ბედნიერებააო ჭემმარიტად, ხოლო მათის ყოლის სურვილი – დიდი წინდაუხედავობაო.

მესამე წლის ბოლოს ძლიერ ავად გავხდი; ორი თვე ლოგინიდან არ ავმდგარვარ. ტანჯვა ტანჯვაზე მემატებოდა, როცა ვხედავდი, რომ ჩემი ცოლი ჯანს არ ზოგავდა ლუკმა პურის მოსაპოვებლად. მე მსურდა მთელი სიცოცხლე ფუფუნებაში მყოლიყო ის, ხელით მეტარებინა და... დახე ბედს! ის ეხლა შრომობდა როგორც დღიური მუშა! მისი მუშაობა თუმცა გულს საკლავი იყო, მაგრამ ძრიელ ცოტა შეღავათს აძლევდა ჩვენ გაჭირვებულს მდგომარეობას. ბოლოს ის იძულებული გამხდარიყო და გაეყიდნა ჩემ შეუტყობრად თავისი ჯერ ქალობაშივე ნაშოვნნი საფასი ნივთები – ოქროს მედალიონი, ბრასლეტები და ბეჭდები.

ადრევე შევნიშნე ჩემს მეუღლეში ცვლილება და ეს ცვლილება ეხლა დღითი დღე უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ჩემთვის. მართალია, ის ისევ მეგობრულად იყო ჩემთან, წინანდებურად არ იზარებდა ჩემთვის ზრუნვას, მაგრამ ვხედავდი, რომ ეს ყველაფერი წინანდელი ხალისით არა ხდებოდა და მის გულში რაღაც უკმაყოფილება იზრდებოდა.

ერთხელ ვუთხარ იმას: არასოდეს არ მოგცემდი ნივთების გაყიდვის ნებას, თუ მცოდნოდა-მეთქი შენი განზრახვა. იმან მკვახედ მიპასუხა: კიდევ ორი თვე რომ იავადმყოფო, მე იძულებული შევიქნები გავყიდო ყოველივე უკანასკნელი ტანისამოსიცაო.

რომ ვისმე ლახვარი დაეცა ჩემთვის გულში, ისიც ვერ მატკენდა ისე, როგორც ამ მცირე სიტყვებმა. სიმწარით კრიჭა შემეკრა; შევიმაგრე თავი, არაფრით არ დავიჩნიე წყენა და მეორე დღეს ავდექ ლოგინიდან. ცოლი თვალცრემლიანი მეხვეწებოდა, მომეთმინა კიდევ ცოტა ხანი, მაგრამ მე გადაწყვეტით ვუპასუხე, რომ მსურდა ადგომა. ავდექ და გამოვედ სამუშაოდ გამხდარი, მიხრწნილი, ფერმიხდილი, როგორც მოჩვენება, მაგრამ მაინც გამოველ...

ამის შემდეგ თითქო რაღაცა გადილობა ჩვენ შუა, თითქოს რაღამაც დაჩრდილა ჩვენი კავშირი, ისევ გვიყვარდა ერთმანეთი, თანხმობით ვცხოვრობდით, მაგრამ ვგრძნობდი ეს ისე არ იყო, როგორც სამის წლის წინათ. იმას არა ჰშორდებოდა აზრი, რომ უჩემოდ უფრო ბედნიერი იქნებოდა, მე ვერ მეპატივებინა, რომ იმან ეს თავისი აზრი გამაგებინა. რამდენჯერმე მომივიდა თავში, რომ ჩემი სიკვდილი იმას თავისუფლად ამოასუნთქებინებდა ისე, როგორც მოუვიდა ეს ჩვენს ახალგაზრდა მეზობელს, რომელმაც ეხლახან დამარხა თავისი უბედური ცოლი. ცოლმა იმას მთელი თავისი სიმდიდრე დაუტოვა და ქვრივი ეხლა მხოლოდ დროს ელოდა, რომ შავები გამოეცვალა.

არ ვიცი შავით შემოსვამ იმოქმედა იმაზედ, თუ სხვა რამ მიზეზმა, რომ მას მშვენიერ სახეზე რაღაც ფიქრი, დარდი აღებეჭდა; მე ხშირად შევნიშნავდი ხოლმე იმას უკანა ოთახის ფანჯარასთან მდგომს და ცაში მაცქერალს... იქნება ჩვენ ფანჯრებისაკენაც – ნამდვილი ვერ შემიძლიან ვსთქვა. ამაზედ საფიქრებლად არ მეცალა.

მთლად ჩემი ყურადღება მიმართული იყო ჩემ ცოლზედ. იმაში რაღაც უცნაური ხდებოდა: მისი გულწრფელობა განჰქრა; ლაჟვარდ თვალებში წინანდელი ხალისის და კეთილგანწყობილობის მაგიერად, გამოჰკრთოდა რაღაც სხვა, რაღაც საიდუმლო ჩემთვის; ცხადი იყო, რომ ის რაღასაც ებრძოდა; თუმცა ტყუილად, უსარგებლოდ,

მაგრამ მაინც კი ებრძოდა. გაკვეთილები (ბავშვებს ასწავლიდა ის) ეხლა ემძიმებოდა – მათ თავისი ერთგვარობით თავი მოაწყინეს. ხანდიხან უნებლიეთ ისეთი სიტყვები წამოსცდებოდა, რომლებიც ძლიერ სამძიმონი იყვნენ ჩემთვის, მე ჩუმად ვითმენდი ყველა იმას, თუმცა ძვირად მიჯდებოდა ეს თმენა. ერთხელ, თბილ და წყნარ შემოდგომის დღეს, გამოვედით სასეირნოდ. კვირა იყო. იშვიათად გამოვდიოდით სახლიდან, მაგრამ ამ დღეს ცოლი კარგ გუნებაზე იყო და სიამოვნებით მიიღო ჩემი თხოვნა გასეირნების შესახებ.

ალაყაფის კარებში იძულებულნი შევიქენით შევჩერებულიყავით, გზაზე ჩვენი მეზობლის ეტლი გადაგვეღობა. ის, მშვენიერ ინგლისურ პალტოში გამოწყობილი, შავის ქუდით, რომელიც უხდებოდა მის მკრთალ სახეს, იდგა ეტლის საფეხურზე და ისეთი ხმით უბრძანებდა მეეტლეს, რომელიც კაცს ცხადად აჩვენებდა, რომ ის დაჩვეული იყო ბრძანებას. იმაში ბევრი იყო ბატონური და თავისებური.

მე – ნაავადმყოფარი, მიმტკნარებული, გახუნებულ პალტოში და მიძველებულ „ფერჩატკებში“ ძლიერ საწყლად ვჩანდი ამ ახალგაზდა და წამოსადეგ ქვრივ კაცთან.

შევნიშნე, რომ ჩემმა ცოლმა წამზე გადაგვაგლო თვალი ორივეს, შევნიშნე აგრეთვე წამიერი მოძრაობა მისი ოდნავ მოჭმუხვნილი მუქი წარბებისა; მივხვდი, რომ ის ჩვენ ერთმანეთს გვადარებდა, მაგრამ ის კი ვერ გამოვიცან, ეს პირველად გვადარებდა, თუ...

სიამოვნების მაგივრად სეირნობამ ტანჯვა მომაგო. დავრწმუნდი, რომ ჩემი ცოლი უფრო სიამოვნებით გასეირნებდა იმ ვაჟბატონთან ეტლით, სინამ ჩემთან ფეხით; როდესაც ის მეყრდნობოდა მკლავზე, მე მეგონა, რომ ამას უნდომლად, ძალდატანებით შვრებოდა; მეგონა, რომ იმას სცხვენოდა ქუჩაში ჩემთან სეირნობა.

ამის შემდეგ მე იმისთვის აღარ მითხოვნიასასეირნოდ სადმე წასვლა.

გაიარა კიდევ ორმა თვემ. ერთხელ სადამოთი სამუშაოდან მოველ და შინ აღარავინ დამხვდა. არ გამიკვირდა: ცოლი ხშირად გვიან ბრუნდებოდა გაკვეთილებიდან. შეღამდა და ის კი არსად სჩანდა. ცოტად შევწუხდი. ავდექ, ავანთე ლამპა და მხოლოდ მაშინ შევნიშნე ლამპის შანდალზე რაღაც ბარათი.

ცუდმა წინათგრძნობამ ამათრთოლა: ჩემი ცოლის ხელი იყო. ეწერა:

„ნუ მყვედრი, ნუ მწყევ, სჯობს დამივიწყო. აღარ შემიძლიან გყო ბედნიერი. ხანგრძლივი ბრძოლით გავიტანჯე. მარად გულში დახშობა კეთილ ცხოვრების სურვილისა, მარად ძალად შეწყნარება იმისი, რაზედაც გული არ მიმწევს, შეუძლებელი შეიქნა ჩემთვის. როცა გამოგყევ, კარგა არ ვიცნობდი ჩემ თავს და ეს არის ჩემი შეცდომა, ჩემი უბედურება. მე მეგონა ის სიყვარული საუკუნო იქნებოდა და დამავიწყებდა სიმდიდრის სურვილს, რომელიც ყოველთვის ფიქრად მქონდა, რომლისთვისაც საიდუმლოდ ვვოხრავდი მარად თვით პირველ დღიდანვე ჩვენის ერთად ცხოვრებისა, რადგან აწ სიყვარული აღარ არსებობს, ამისათვის...“

ვეღარ შევძელი ქვევით წაკითხვა. ყურებმა ჟრიალი დამიწყეს, თვალეებში ჯერ წითლად რაღაც მეცა, მერმედ დავიბნინდე. დავეცი უგრძნობლად. გონებაზე მხოლოდ საავადმყოფოში მოვედი, სადაც თითქმის ხუთი თვე გამეტარებინა ძრიელს ტანჯვაში.

საავადმყოფოდან გამოვედი უბინაო. სახლის პატრონს ჩემი ოთახები სხვისთვის მიეცა; ნივთები სადღაც საკუჭნაოში თუ ამბარში დაეწყობინებინა, ამ გადატანის დროს დაკარგულიყო სხვათა შორის ჩვენი ლამპაც. მითხრეს, გატყდაო. არ გამოვეკიდე: რა ფასი ჰქონდა ჩემთვის თუნდ მთლიანად ყველა ლამპებს, ან რას ვაქნევდი თუნდ იმის გაგებას, რომ ჩვენ პირდაპირ რომ სახლი იყო, იმაში ეხლა სხვები სცხოვრობენ და რომ ქვრივ მეზობელს იმ დღეს დაეცალა სახლი, რა დღესაც მე ცოლი დავკარგე?! ამის შემდეგ აღარა გამიგონია რა არც იმაზე, არც ჩემს ცოლზე. მერმე ისეთი დრო დამიდა, რომ მათზე ფიქრსაც კი გადავეჩვიე.

არც საკვირველია. ოცი წლის განმავლობაში ბევრ რასმეს შევეჩვევი და გადავეჩვევი, ეს ჩემ თავზე გამოვცადე. გუშინ არ დავიჯერებდი, რომ მე ყოველთვის არ ვიყავ ისე ობოლი, მარტო მივიწყებული, რომ მე – აწ გულჩახვეულს, გაქვავებულს, ოდესმე მიყვარდა, მწვავდა, ვითმენდი. გუშინ არ დავიჯერებდი-მეთქი იმას, დღეს კი მჯერა. შემთხვევამ დამარწმუნა.

დილით გავიარე მოედანზე, სადაც საჯარო ვაჭრობა ხდება ხოლმე. გულგრილად გავცილდი გამსყიდველის გარშემოჯგუფულ ხალხს, როდესაც უეცრად მომესმა:

– სასტუმრო ოთახის ლამპა ბრინჯაოს შანდლიანი, თეთრი მინის რეზერვუარით და ამ გვარივე ხუფით, ათი შაური მეტს ვინ იძლევა?

უნებურად შევხედე ლამპას და... კინალამ დავიყვირე: ჩვენი ლამპა იყო; დამკვლევად, დამახინჯებელი, მაგრამ თვით ის, ჩვენი!

მყიდველები ხმას არ იღებდნენ: არავის არ ჰსურდა იმისი ყიდვა.

– მანეთი! – დავიძახე და წავიწიე სტოლისკენ.

ყველამ შემომხედა; სხვებსაც მოუნდათ ამ ნივთის მოპოება.

– მანეთ-ნახევარი! – დაიძახა ვიღაცამ ჩემ გვერდზედ.

– ორი! – მივუგე სწრაფად.

– სამი!

– ოთხი!

მოწინააღმდეგე შემეჯიბრა. იმან ძველი ნივთების მცოდნედ და მოყვარულად მიმიღო; ეგონა, ჩემმა გამოცდილმა თვალმა საფასური რამ შენიშნა ამ ოინში.

რვა მანეთამდისინ ავედით. ჯიბეში თუმნის მეტი არა მქონდა. მთლად ავირიე, როცა ვნახე, რომ ესე მოულოდნელად ნაპოვნი სახსოვარი, ძველი ჩემის წარსულისა სხვას უვარდებოდა ხელში. მივირბინე მოწინააღმდეგესთან, მოვკვიდე მხარზედ ხელი და ვუთხარ:

– რად გნებავთ თქვენ ეს ლამპა? ეგ ხომ ორი მანეთიც არ ღირს!

– თქვენ რაღად გნებავთ? – მომიგო იმან და იჭვნეულად შემომხედა.

– მე?! – შევსძახე უეცრად, – ეს ჩვენი ლამპაა!.. – მაგრამ მალე მოვედი გონებაზედ და ვუთხარ: – ბატონო! ეს ჩემი ნაქონი ლამპაა... დიდი ხნის საკუთრება... სახსოვარი.

ან ბევრი სიმართლე ისმოდა ჩემს სიტყვებში, ან ის ურია ძლიერ თავაზიანი ვინმე იყო, რომ დამითმო ნივთი; მივუმატე კიდევ ათი შაური და წავიღე შინ ჩვენი ლამპა.

ამ ოცი წლის განმავლობაში ეხლა პირველად ვიგრძენ რაღაც სიხარულის მაგვარი. ავანთე ლამპა და დავუწყე სინჯვა ყოველსავე ხინჯს, რომლითაც დროს დაესაჩუქრებინა ის. საწყალო ჩვენო ლამპავ! გაჭუჭყიანებულან შენი ამურების სახეები, ამოშლილა ღიმილი მათზედ; გახუნებულა ღია ფერი შენი ვარდებისა, თითქო დამკვნარანო იგინი; შენს ხუფს ალაგ-ალაგ ჩაჰმტვრევია ნაპირები და თითქო ფერიც შეშლია. რამდენი უწმინდური ხელი შეჰხებია ამ შენს შანდალს და წაუშლია კვალი იმ პაწაწინა ფუნჩულა ხელისა, რომელიც ოდესმე მე მეკუთვნოდა! სად არის ეხლა ის?... დაიცა! თითქო მომესმა მისი ხმა, მისგან აღტაცებით წარმოთქმული სიტყვები „არასოდეს, არასოდეს, არასოდეს!“ თითქო ვგრძნობ მის ტუჩების შეხებას... თვალები... ეს კი ოცნება აღარ არის, ნელ-ნელა მევსებიან ცრემლით და ნაწილი იმ დარდისა, რომელიც ამდენი ხანია მაწევს გულზედ, დნება წარსულის მოგონებით გამოწვეულს შეუკავებელ ტირილში.

ბედნიერი საღამოები, რომლებიც გავციტარებია ჩვენ ერთად ლამპის შუქზე, წარმომიდგნენ აწ ცხადად და ამშვენებენ ჩემს ერთფერს, სავალალო მარტოობას. ღმერთო, ღმერთო ჩემო! ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს ლამპარი, რომელიც მხიარულად

მინათებდა ბედნიერ დროს ჩემის ცხოვრების დასაწყისში, განმინათებდა ეხლაც, როდესაც მე – გლახაკი ვსაზრდოებ წარსულის ნეტარების ნამუსრავით?!

[1887 წ.]

ს ე ს ე

ბნელი ღამე იყო. საღირაშენში დაბანაკებულს ქართველების ლაშქარს ეძინა. აქა-იქ მოჩანდა ცეცხლი. ერთი კარავი კი მთლად განათებული იყო. კარავში ხალიჩაზედ ისხდნენ ბატონიშვილი გიორგი, ჯამბაკურ ბარათაშვილი, იასე ორბელიანი, ნოდარ ამილახვარი და კიდევ რამდენიმე წარჩინებული. ბატონიშვილს მღელვარება ეტყობოდა.

– რა გაუტეხელი კაცია მამაჩემი! დაიჟინა, მე თვითონ უნდა დავზვერო მტერიო. ის ოცი კაციც ძლივს გავატანე... რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაწუხებს: ნახიდური შორს არის, ჯაფარ ფაშა ფრთხილობს, რომ გაუგოს სიახლოვე...

– რად მისცემიხარ საგონებელს, ბატონიშვილო? სვიმონ მეფისათვის პირველი არ არის ამისთანა სიმამაცე. ბატონი გამოცდილია, ისე არ მოიქცევა, რომ მტერმა ავნოს რამე, – ანუგეშა იასემ.

– თუნდ გაუგონ, რას უზამენ? შურდანისთანა მარდი ცხენი ჯაფარის ბანაკში ერთიც არ იქნება; ბიჭები კარგები ახლავს და გზაც კარგად იციან; ყოველთვის დააღწევს თავს, – მოახსენა ჯამბაკურმა.

– ღმერთმა ქმნას, – ამოიოხრა ბატონიშვილმა.

უეცრად გარედგან ხმაურობა მოისმა. კარავში შეიჭრა სისხლით მოსვრილი მხედარი და დაიძახა: – დავიღუპენით! ბატონი მეფე ტყვედ ჩავარდა. დაგვედევნენ; ვინც ჩამოგვრჩა, დაგვიხოცეს. ფარცხისის გასწვრივ ჩამოვეშვენით. შევეყარეთ ცხენები ალგეთში. ლაფი ყოფილიყო, შურდანი ჩაიფლა. დაგვეცნენ კიდევ და შეიპყრეს მეფე. არიქა გზა მოუჭერით...

ყველას ელდა ეცა. ერთ წამს მოიფინა ეს ამბავი და ბანაკში არეულობა შეიქნა. ბატონიშვილმა მაშინვე აადევნა მტერს რჩეული რაზმი და მთელი ლაშქარიც სწრაფად აკაზმა. უმთავრეს ლაშქარს თითონ გაუძღვა, რომ ეყელნა ჯაფარისათვის; სხვებს უბრძანა სხვადასხვა მხრიდგან თავს დაეფლოთ მტრისათვის. მალე საღირაშენიდგან მთლად მოიწმინდა ლაშქარი.

ოსმალებიც ჩქარობდნენ. ჯაფარმა ჩაიგდო ხელში ძვირფასი ტყვე, კარგად იცოდა ქართველები თავებს დაიხოცავდნენ სვიმონისთვის და არჩია იმის გატაცება. ფაშამ გაასწრო და გაიტაცა მეფე, მაგრამ დანარჩენი იმისი ჯარი მოიმწყვდიეს ქართველებმა და მუსრი გაავლეს. მეტადრე ბარათაშვილმა ისახელა თავი: კარგად იცოდა იქაური გზა-კვალი და მარჯვედ იქცეოდა.

ბარათაშვილის რაზმში ერია სამშვილდეელი გიქო, რომელსაც სოფელში გაუტანელ კაცად იცნობდნენ. რაზმი ბილიკების პირას იყო ჩასაფრებული. გიქომ მტრის მოახლოება იგრძნო. სული ტკბილია, მოშორდა სახიფათო ადგილს და ღრმა ტყეში შევიდა.

გიქოს უეცრად ფეხის ხმა მოესმა და თმები აებუბგა. გამოჩნდა ორი ცხენოსანი. ერთს სისხლი სდიოდა, მეორეს იგი ცხენ და ცხენ ხელით ეჭირა. გადმოხდა თათარი ,

გადმოსვა ამხანაგი და ჭრილობას სინჯვა დაუწყეს. გიქომ იდროვა: გაუმიზნა თოფი და ძირს დასცა ფეხზედ მდგომი, მიირბინა და დაჭრილიც ხანჯლით დაათავა. გამარჯვებულს უნდოდა გაექვეყნებინა თავისი გმირობა, მაგრამ იმისი ყურადღება მიიპყრო მოკლულის ძვირფასმა სამკაულმა. გიქომ შეხსნა სამკაული, იარაღი, გაჩხრიკა და იპოვა ოქროთი გატენილი ტყავის ქისა, დაფლა ეს ყველაფერი შორიახლოს და წავიდა.

გათავდა ბრძოლა. დაბრუნდნენ გახიზნულები, შეიკრიფნენ სამშვილდელებიც. დაიწყო სოფელში მუშაობა: მტრისგან აოხრებულ სახლ-კარს აკეთებდნენ. მეტადრე დიდ გაჭირებაში იყო დალაქიანთ სესე. მტერს გადაეწო იმის სახლი და ყველაფერი აეკლო. წვრილშვილმა სესემ არ იცოდა, როგორ წამოეყენებინა ფეხზედ ოჯახი. დადიოდა სესე დაღონებული.

– კაცო, ურჩია ცოლმა, – დარდით და ვარამით რა ეშველება დაცარულ საქმეს? მიდექ-მოდექ: ქვეყანა დიდია, ხელს გაგიმართავს ვინმე.

– სად რას ვიშოვი, დედაკაცო, – მიუგო სესემ, – ცუდი დროა: სოფელი აოხრებულია; თუ ვისმე ცოტაოდენი შეძლება შერჩა, ცდილობს თითონ მოეწყოს.

– წადი, გიქოს მოელაპარაკე, იქნება დაგვეხმაროს. ხომ ფულიანი კაცი იყო და ამ ომშიც ბედი სწევია: დიდი დავლა უშოვნია; ი დღეს ვარსამიანთ ნათლობაში დამთვრალიყო და დაეკვებნა.

სესემ მოიქეჯა თავი და გიქოსკენ გასწია. ბევრი ეხვეწა გიქოს, მაგრამ იმან არ შეიწყენარა სესეს ვედრება.

სესემ დიდი სიღარიბე გამოიარა, ბევრი შავი დღე ნახა, მაგრამ ბოლოს მაინც მოეწყო წინანდებურად.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ სესე ტფილისში მიდიოდა. გიქომ დაინახა. იმისი სახლი გზის პირას იდგა, სოფლის ბოლოს, და ცოტაოდენი რამ დააბარა. სესე დაბრუნდა ქალაქიდან. ღამე იყო, როცა ნავაჭრი წაუღო გიქოს; დაურაკუნა კარები, მაგრამ ხმა არავინ გასცა; მიაწვა კარებს – დაკეტილი დახვდა. შეხედა ფანჯრიდან და ჭრაქის შუქზედ დაინახა გიქო, რომელიც ზურგშექცევით იჯდა. დაარახუნა ფანჯარა – გიქო არ გაინძრა. გაუკვირდა სესეს. მიაწვა ფანჯარას – რაზა აწყდა და ფანჯარა გაიღო. გიქო მაინც არ ინძრეოდა. გადაძვრა სესე, მოჰკიდა გიქოს ხელი და გაშრა: ის მკვდარი დახვდა. წინ ედგა პირახდილი ოქროთი სავსე ყუთი. აქვე ეწყო თვალ-მარგალიტით მოჭედილი იარაღის სამკაული. სესეს სიხარბე შეეპარა. იდუმალი ხმა ჩასჩურჩულებდა: აიღე! მიცვალებულს არ დარჩა არც ცოლი, არც შვილი, ეგ შენი ბედია, წაიღე!

– რომ მომასწროს ვინმემ! – გაიფიქრა სესემ და გამოიხედა კარზედ. არავინ ჩანდა. მიბრუნდა და წამოყარა ფული; ყუთში რამდენიმე ოქროლა დასტოვა. მაინც ყოყმანობდა: ეძნელებოდა ქურდობის ჩადენა. ბოლოს სიხარბემ დასძლია; დაკეტა სწრაფად ყუთი, გასაღები მკვდარს ჩაუღო ჯიბეში, გამოჰკრა სიმდიდრე, წაიღო და საბძელში დამალა.

სოფელმა გაიგო გიქოს სიკვდილი და შეიყარა. ნაცვალმა იპოვა გასაღები და გააღო ყუთი, რომელშიაც ცოტა ოქროლა დახვდათ.

– ესეც შენი სიმდიდრე! – წამოიძახა ნაცვალმა, – ყბადაღებული გვყავდა, გვეგონა დიდი ფული აქვსო და ამას სამარხიც ძლივს გადაურჩენია.

სესეს ცხოვრება შეიცვალა. იმას დიდად ესამოვნებოდა თავის ქონების მალ-მალე ნახვა; უნდოდა თვალი არ მოეშორებინა იმისათვის. როდესაც ყველანი დაიძინებდნენ,

ის გაიპარებოდა, ამოჰყრიდა ფულს და ესაყვარლებოდა იმას. მთვარის შუქი ათასნაირად კრთებოდა ოქროსა და თვალ-მარგალიტზედ და გულს სიხარულით უვსებდა სესეს, სიამოვნების ღიმილსა ჰგვრიდა იმის ბაგეს. ის შეჰხაროდა სიმდიდრეს; სიზმარშიაც კი ოქრო ელანდებოდა.

ხარბობამ მთლად გაიტაცა სესე; ხელს არ ახლებდა ფულს დასახარჯად, ყოველთვის ცდილობდა რამე მიემატებინა იმისთვის. წინათ სესე გულდია კაცი იყო, ხარჯს არ ერიდებოდა, კაცის ხელის გამართვა ესიამოვნებოდა, საწყლისა და საპყრის გაკითხვა უყვარდა. ეხლა კი ფარაზედ კანკალებდა, თავისთვისაც არ ემეტებოდა, ცოლ-შვილს სულს უხუთავდა, სულ იმას ჩიოდა, ცხოვრება გაჭირდაო.

სიმდიდრე ატკობდა სესეს, მაგრამ სიმდიდრევე იყო მიზეზი იმისი იდუმალი ტანჯვისა, რადგან ახსოვდა, როგორ იშოვნა დოვლათი და ვინ იყო იმისი წინანდელი პატრონი. სიზმარში გიქო მალ-მალე ეჩვენებოდა; ის ჯერ თვალგაშტერებით ჩაჰყურებდა სესეს, თითქოს საყვედურს ეუბნებოდა, მერმე მტრობით აენტებოდა თვალები და წაიწვედა იმისკენ; თავზარდაცემული სესე გამოიღვიძებდა და პირჯვარს იწერდა.

სესეს ყოველ წამს ეშინოდა, ვაითუ გამიგონო, რომ გიქოს სიმდიდრე მე მაქვს და იმის სიკვდილიც დამაბრალონო. ხომ ყველაფერს წამართმევენ და დამლუპავენ! – ფიქრობდა ის. სესე იჭვიანი გახდა; ყველას მიუნდობლად უყურებდა, იქნება მიმიხვდნენო. სახლობაც კი აიძულა. მეტადრე ჯავრი მოსდიოდა, თუ ვინმე გიქოზედ ჩამოუგდებდა ლაპარაკს; ეგონა, შეუტყვია ჩემ მიერ ჩადენილი საქმე და მცდისო. გიქოს ნასახლარისკენ გავლა სიკვდილად მიაჩნდა. უკვირდათ ამ კაცის ესეთი გამოცვლა.

– ომიანობაში რომ ზარალი მოუვიდა, მაშინ შეშინდა და მას აქეთ გახდა მიუკარებელი, ამბობდნენ. ვერვინ მიმიხვდარიყო, რა ცეცხლი ენთო სესეს გულში. სიხარბე, იჭვი, შიში სტანჯავდნენ მას.

გაზაფხული იყო. ნაგლეჯაანთ ბაბალეს პური შემოაკლდა. დიდ გაჭირვებაში ჩავარდა მისი წვრილშვილი. ქვრივმა ბაბალემ მიმართა სესეს: შემძლე კაცია და ნათელ-მირონია, იქნება ხელი გამიმართოსო.

სესე დერეფანში იჯდა და ჯოხსა სთლიდა. ხშირ ჩამოფხატულ წარბებიდან ბოროტად გამოიყურებოდნენ მისი შავი თვალები. ბაბალე მიესალმა და უთხრა:

– ნათლია, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, დამიხსენ გაჭირებიდან, ხელი მომიმართე.

– ხელი მოგიმართო? რითა? – გაიკვირვა სესემ.

– ან პური მასესხე, ან ფული. გავიშლები თუ არა წელში, ღმერთია თავდები, სარგებლით მოგცემ შენს ვალს და სიკეთეს ხომ თავის დღეში ვერ დავივიწყებ.

– ფული გასესხო?! ხუმრობ თუ? ვინ მომცა ფული? კაცი თავს ძლივს ვიკვებავ.

– ჰო, კაცო, – ჩაერია ლაპარაკში სესეს ცოლი, – სხვა არა იყოს რა, მეზობელია და ნათლიდედა.

სესე მაინც ვერ მოარბილეს.

– არ უნდა შვრებოდე ამისთანა უდიერობას. ღმერთს განა იმისთვის მოუცია შენთვის სარჩო, რომ გაჭირვებული არ გაიკითხო? – უთხრა ბაბალემ და გატრიალდა.

სესეს სინდისმა დაუწყო ტანჯვა. რომ სიმშლით დაემართოს რამე იმ ხალხს, ღმერთს რაღა პასუხს გავცემ, – ფიქრობდა ის.

– არ ასესხე, არ ასესხე, თავ-პირი რაღას ჩამოგტირის? – ჰკითხა ცოლმა.

ქმარმა ხმა არ გასცა.

– მოუმართე ხელი, ერთი ორი კოდი ასესხე, ხომ გაქვს ღვთის მონაცემი, – განაგრძო კატომ.

– რას ჩამომეკიდე, დედაკაცო? ვინ რა მომცა? მაქვს, მე ვიცი, შენი შრომით იქნება მონაგები.

– ცოდვია, ცოდვია! დაგავიწყდა, რომ თვითონ შენ ყელგადაგდებული ეხვეწებოდი სხვას? კარგი იყო, მაშინ გიქომ რომ ხელცარიელი გამოგისტუმრა?

– კარგი, ხმა გაიკმინდე-მეთქი! – დაუღრიალა ცოლს გიქოს ხსენებაზედ ცეცხლმოკიდებულმა სესემ.

სესე ცხადად ხედავდა თავის სიბოროტეს, მაგრამ თავი ვერ დაემლია და სისხლი ყელში მოსდიოდა. გაუტყდა ღამე – სესეს ძილი არ ეკიდებოდა. ხან ბაბაღე წამოუდგებოდა თვალწინ, ხან გიქო მოაგონებოდა და ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში, ხან საუნჯისკენ გაიტაცებდნენ ფიქრები. განთიადისას ძლივს ჩაეძინა. სიზმარში გიქო ნახა; ის თავის სიმდიდრესა სთხოვდა სესეს და ყელში უჭერდა, აღრჩობდა. სესემ ხრიალი დაიწყო და გამოეღვიძა. ოფლში გაწურულიყო. შეშინებული სესე ეძებდა რამე ნუგეშს, რომელსაც შეეძლებოდა იმისი დახსნა ამ ტანჯვიდგან, მაგრამ ტყუილად. ბოლოს იმედაკარგულმა, ტანჯულმა მიმართა ყოვლად შემძლებელს.

მეორე დღეს სესე ეკლესიაში წავიდა, დაემხო მიწაზე და ევედრებოდა ღმერთს. საყდრიდან რომ დაბრუნდა, დაუძახა ცოლს და უთხრა: სამი კოდი პური მიეცა ბაბაღესათვის. გაკვირვებულმა კატომ მაშინვე შეატყობინა ნათლიდედას. ბაბაღე ლოცავდა მოკეთეს.

სესეს სევდა მაინც ისევ აწვებოდა გულზე. დაღამდა, მაგრამ დაძინებისა ეშინოდა, რომ გიქო ისევ არ მოსჩვენებოდა სიზმარში. გული უკვდებოდა ჯავრით.

– არა, უნდა გავენდო, ვისმე, უნდა ვაღიარო ცოდვები, იფიქრა ბოლოს სესემ, – მაგრამ ვის ვუთხრა აღსარება? მოძღვარ სტეფანეს? არა! ვაითუ წამოსცდეს, ან იჭვი ააღებინოს ვისმეს ჩემზე.

ამ ფიქრში იყო ის, როცა მოაგონდა მამა ვასიანე. სესემ გადაწყვიტა აღსარება ეთქვა იმასთან და რჩევა ეკითხნა.

ბერი ვასიანე მოღვაწეობდა კაბენის მონასტერში (კიკეთს ქვეით, ხევში. ეხლა ნანგრევებიღა ჩანს ამ ოდესმე დიდებულის ტაძრისა). ის ცხოვრობდა პაწაწა სენაკში, რომელსაც ერთი ფანჯარა ჰქონდა. საწოლად ფიცრის ტახტი ედგა, ბალიშად ქვა ედვა. ის იყო შუათანა ტანის, ხმელ-ხმელი, ჯერ ისევ ჭარმაგი კაცი. იმის დიდრონ თვალეში სიბრძნე და გამოცდილება იხატებოდა. მაღალს შუბლს ფიქრის კვალი ეტყობოდა. ვასიანეს წმინდანობის და გულთმისნობის ხმა ჰქონდა გავრცელებული. გაჭირვებულები დიდი კრძალვით და სასოებით მიმართავდნენ ხოლმე იმას.

სესე ხელზედ ემთხვია ბერს. მოძღვარმა ამოიკითხა იმის სახეზედ ტანჯვის ნიშნები და ჰკითხა:

– საიდან მოსულხარ, შვილო, და რას შეუწუხებინარ ეგრე?

– სამშვილდიდან გეახელი სალოცავად. მინდა აღსარება გითხრა; ცოტა რამ ცოდვა მაწუხებს, – მიუგო სესემ და თან შერცხვა.

– მარტო ღმერთია უცოდველი. ის ყოვლად მოწყალეა და შეგინდობს, თუ გულწრფელად შეინანებ. იმის ჩვენდამი სიყვარულს და მოწყალებას საზღვარი არა აქვს. შენც ხომ გიყვარს, შვილო, მოყვასი? სხვის სარჩოს უსამართლოდ შეძენაზედ ხომ არა სდგებარ? – ჰკითხავდა მოძღვარი და თან ისე უყურებდა, თითქო იმის გულში კითხულობსო.

– იმ დღეს მეზობელს პურით გავუმართე ხელი, – უთხრა სესემ, მაგრამ თვალი კი ვეღარ გაუსწორა მოძღვარს: ძლიერ შეკრთა, რადგან ბერი პირდაპირ შეეხო იმის გულის იარას.

მოძღვარი დააკვირდა სესეს. თვალები უეცრად აენტო, იმის სახემ ძლიერი გამომეტყველება მიიღო. სწრაფად წამოდგა, გაიმართა წელში, გადმოიღო ჯვარ-სახარება და უბრძანა რიხიანად:

– მოიდრიკე, უბედურო, მუხლი და აღიარე ყველაფერი!

სესეს ეჩვენა, რომ მოძღვარი ყველაფერს მიუხვდა, დაფარვა აღარ შეიძლებოდა. დაემხო მიწაზე, მოეხვია მოძღვარს მუხლებზე და თვალცრემლიანმა უამბო ყველაფერი: როგორ მოიპარა სიმდიდრე, როგორ ცხოვრობდა მას შემდეგ, როგორ იტანჯებოდა ჩუმად.

– ადექ, საცოდავო, ემთხვიე ჯვარს! სინდისს დაუტანჯიხარ. წაიღე, საყვარელო, მთლად ის უსამართლოდ ნაშოვნი სიმდიდრე, ჩაიტანე ტფილისში და მიართვი ბატონიშვილ თეკლეს. იმას გლახაკებისთვის და უძლურებისთვის თავშესაფარი სახლი აქვს გამართული და წმინდა საქმეს მოახმარებს ფულს, მე წერილს მიგიწერ. წადი, შვილო, და იშრომე პატიოსნად. კაცს პატიოსანი ამაგიტ შეშვენის სარჩოს მოპოვება.

სესე რამდენიმე დღე დარჩა მონასტერში და გულმოდგინედ ისმენდა მოძღვრის ტკბილ და ბრძნულ ლაპარაკს. მერმე დაბრუნდა და აასრულა იმისი ბრძანება. ვასიანეს წერილის კითხვის დროს ბატონიშვილ თეკლეს სიამოვნება ეტყობოდა სახეზედ.

1887 წ.

ხ ა რ ა ზ ი

1

ყველა იცნობდა ხარაზ პაპუნას. ბატონთანაც რამდენჯერმე პირდაპირ ელაპარაკნა. პაპუნა არ იყო ღარიბი. იმისი სახლი იდგა ხარაზხანის ბოლოში. ქუჩის პირის ოთახი დუქნადა ჰქონდა მოწყობილი. მეორე ოთახში სცხოვრობდა. დუქნიდან კარგადა სჩანდა გამვლელ-გამომვლელი. პაპუნა ბევრს მარტო ფეხებში შეხედვითაც იცნობდა, რადგან ყველას ფეხთსაცმელი სჭეროდა ხელში: ზოგისთვის წადის წვერი წაეცვალა, ზოგისთვის ძირი გამოეცვალნა, ზოგისთვის ახალი შეეკერნა. ბევრი მუშტარი ჰყვანდა. მკვიდრი საქმე იყო, მასალას კარგს ახმარებდა მეტის თხოვნა და ჩინჩი არ უყვარდა. თუ ვადაზედ ვერ მოასწრობდა, ხელს არ მოჰკიდებდა საქმეს. მუშტარიც ამისთვისაც ეტანებოდა.

ჯერ ისევ შუახნის კაცი იყო, როდესაც ცოლი მოუკვდა. სამი წლის ვაჟი დარჩა. პაპუნამ ჯერ დააპირა თავისი დათიკო სიდედრთან გაეგზავნა, იქ შეენახნა, მაგრამ ვეღარ გაიმეტა, თავისთანვე დატოვა. მალხაზი და აზრიანი ბავშვი დადგა; მალე მიხვდა ხელობას, ცდილობდა შეჰშველებოდა მამას. პაპუნას თვალის ჩინს ერჩივნა თავისი ვაჟი. მაგრამ რა! უბედური მამა იყო ის. ყმაწვილი გაცივდა, ცოტა ხანს იავადმყოფა და მოკვდა.

მის სიკვდილის შემდეგ პაპუნას ძლიერ დარია ხელი დარდმა: შეწუხდა, ჩათეთუთქა გული; სიცოცხლე მოსძაგდა.

ერთხელ პაპუნას ესტუმრა ნაცნობი ბერი. შესჩივლა მან ბერს თავისი დარდი.

– მე, მამაო, სიკვდილსა ვნატრობ; რა სიცოცხლეა იმედგადაწყვეტილი კაცის სიცოცხლე? – ეუბნებოდა პაპუნა.

ბერმა გულმოდგინედ მოისმინა მოხუცის სიტყვები და ანუგეშა:

– ჭეშმარიტად ძნელი განსაცდელი მოგივლინა ღმერთმა, მაგრამ მაინც ეგრე არ უნდა იბოროტებდა თავს, არ უნდა ეძლეოდე უიმედობას. საქმე ჩვენს სურვილზედ და ნებაზედ ხომ არ არის დამოკიდებული: ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჰსურს უფალსა. იმისი ნება ყოფილა, შენი შვილი მომკვდარიყო, შენ კი ცოცხალი დარჩენილიყავ. დიდება მის სამართალს! შენ იმისთვის სწუხარ ეგრე, რომ მარტო შენის სიამოვნებისთვის გდომებია ცხოვრება.

– მართალსა ბრძანებ, – მიუგო ხარაზმა, – მინდოდა მეც მესიამოვნა რამე წუთის სოფელში, დამფასებოდა ამაგი; ცხოვრება დამეცარა, იმედი გამიცრუვდა და ან ვისთვის, ან რიღასთვის მინდა სიცოცხლე...

– კაცმა მარტო თავის სიამოვნებისთვის კი არა, ღვთისათვის უნდა იცხოვროს: იმას მოუცია ჩვენთვის სიცოცხლე, იმასვე უნდა შევსწიროთ. თუ ღვთისათვის ცხოვრებას დაიწყებ, ეგრე აღარ იწუხებ: ის შეგეწევა და მოგეშვება გულიდან სევდა.

– ღვთისათვის?! მერმე როგორ უნდა ვიცხოვრო ღვთისათვის?

– უფალმა გვასწავლა, როგორ უნდა ვიცხოვროთ ღვთისათვის. კითხვა ხომ იცი? იყიდე სახარება და იკითხე: იმაში სწერია ყველაფერი.

2

პაპუნას მოეწონა ბერის სიტყვები. იშოვა სახარება და დაიწყო კითხვა. ჯერ ფიქრობდა მარტო კვირა-უქმე დღეს ვიკითხამო, მაგრამ წიგნმა ისე მიიტაცა, რომ ყოველდღე დაიწყო კითხვა, ხან ისე გაერთობოდა, ჭრაქში ქონი ამოიწვებოდა და იმას კი წიგნისათვის თავი ვერ დაენებებინა. რამდენიც უფრო მეტს კითხულობდა, იმდენი უფრო ნათლად ხედავდა, რას თხოულობდა უფალი და როგორ უნდა ეცხოვრა ღვთისათვის. დარდი თანდისთან უქარწყლდებოდა. წინად სულ გმინავდა, ოხრავდა და თავის დათიკას იგონებდა. ეხლა ისე აღარ შფოთავდა. მალ-მალ იტყოდა: დიდება შენდა, უფალო, აღსრულდეს ნება შენი!

პაპუნას ცხოვრება შეიცვალა. წინათ კვირა-უქმე დღეს ქეიფშიაც ატარებდა. თუ ან ვისიმე დუქანში კარგ ღვინოს შეაგულეებდა, ან ურმით გასასყიდად ჩამოტანილი ღვინო მოეწონებოდა, დაუმახებდა მეგობრებს და დაალევინებდა. შეზარხოშებული პაპუნა აღარც ფრთხილობდა: ყვიროდა, ჩხუბობდა, დასცინოდა ხალხს. ეხლა ამეებს თავი დაანება; წყნარად დაიწყო ცხოვრება: ადრინადა შეუდგებოდა მუშაობას. როცა მუშაობით დაიღლებოდა, სახარებას მოჰკიდებდა ხელს.

3

პაპუნას ერთხელ ძილი გაუკრთა. მამლებმაც იყივლეს, ის ისევ სახარებას კითხულობდა. წაიკითხა: „როგორც გასურთ, რომ გექცეოდნენ კაცნი, თქვენც ისე მოექცეით იმათ.“ ამ სიტყვებს ჩაუფიქრდა. კიდევ ქვეით: „რად მეძახით: უფალო, უფალო! და არ ასრულებთ, რასაც გიბრძანებთ? ის, ვინც ისმენს ჩემ სიტყვებს და ასრულებს იმათ, ჰგავს იმ კაცსა, რომელმაც ღრმად ამოიღო თხრილი და სახლის საძირკველი ამოჩენილ კლდეზედ დაამყარა; მოვარდა წყალი, მიაწვა სახლს, მაგრამ ვერ

შეძრა. ის კი, ვისაც ესმის ჩემი სიტყვები, მაგრამ არ ასრულებს, ემსგავსება იმ კაცს, რომელმაც უსაძირკველოდ ააშენა სახლი: მოვარდა ღვარი და დაანგრია“.

– ნეტა ჩემი სულიერი სახლი საძირკველით არის აშენებული, თუ უსაძირკველოდ, – ფიქრობდა მოხუცი, – კარგი, თუ საძირკველზედა სდგას! ვგონებ ეხლა ისე ვცხოვრობ, როგორც უფალი ბრძანებს. მაგრამ რა! ისევ გავერთობი, დავივიწყებ ბრძანებას და შევსცოდავ... მაინც ვეცდები.

უნდოდა დაწოლილიყო, მაგრამ ვერ დასთმო წიგნი. ჩაიკითხა: „მდიდარს ეწვია უფალი და ის შესაფერად არ დაუხვდა, მეძავმა დედაკაცმა კი ნელსაცხებელი სცხო ფერხთა მისთა, ცრემლით დაალტო და მიიღო შენდობა. მიიხედა იესომ დედაკაცისაკენ და უთხრა ფარისეველს: ხედავ ამ დედაკაცს? შენს სახლში შემოვდი და შენ წყალი არ მომეცი ფერხთ დასაბანად, ამან კი ცრემლით დამბანა ფეხი და თავის თმით შემიმშრალა; შენ არ მეამბოროე, ეს კი განუწყვეტლად ემთხვევა ფერხთა ჩემთა; შენ ზეთი არა მცხე თავზედ, ამან კი ძვირფასი ნელსაცხებელი მცხო ფეხზედ“.

პაპუნა გულში იმეორებდა: „წყალი არ მომეცი, არ მეამბოროე, ზეთი არა მცხე“. ჩაფიქრდა. ეტყობა, – ფიქრობდა ის, – ის ფარისეველი მე მგვანებია. მეც ხომ მარტო ჩემს თავზედ ვფიქრობ: ოღონდ კი სასმელ-საჭმელი ვიშოვო, არ შემცივდეს, არა მეწყინოს რა და სხვის დარდი ვისა აქვს! ფარისეველსაც მარტო თავის თავი ახსოვდა, სტუმარზედ კი არა ზრუნავდა. მერმე ვინ იყო ის სტუმარი? – თვითონ უფალი! ნუთუ მეც ისე გულგრილად დავხვდებოდი იესოს, ჩემთან რომ მობრძანებულიყო? – არა! მე ფიანდაზად გავეშლებოდი იმას.

ამგვარ ფიქრებში იყო გართობილი პაპუნა და ჩასთვლიდა.

– პაპუნავ! – გაიშრიალა იმის ყურთან.

მოხუცი შეკრთა, დაიძახა: – ვინა ხარ? – მობრუნდა, შეხედა კარებს, მაგრამ ვერავინა ნახა, ძილმა ისევ თავი წაართო.

– ჰა, პაპუნავ! ხვალ გეწვევი, – შემოესმა ცხადად.

შეკრთა, მოიფშვნიტა თვალები, გადმოვიდა ტახტიდან. ვერ მიმხვდარიყო, მოლანდება იყო თუ ნამდვილად შემოესმა ხმა. გააქრო ჭრაქი; დაიძინა.

4

ადრე გაეღვიძა პაპუნას. წამოდგა, დაიბანა პირი, ახსენა ღმერთი, მიდგა ბუხარში ქოთნით ლობიო, დანაყრდა და ჩაუჯდა სამუშაოს.

მუშაობს, ხმა კი ისევ ყურებში უყრიალებს. ხანა ჰგონია მოელანდა ხმა, ხან დარწმუნებულია, ცხადლივ გაიგონა. მუშაობს, თან გამვლელ-გამომვლელს ათვალეირებს: უნებლიეთ ვიდასაც ელის. გაიარა ხირსელაანთ ზაქარამ, აგერ ყასაბი გიქო, აგერ ვახვახიშვილის მზარეული. პაპუნა ამათ ყველას კარგად იცნობს: იმისი მუშტრები არიან ესენი. ქუჩის თავში გამოჩნდა დათიაც. მოხუცს კოკა მოეკიდნა და მოდიოდა. დათიას სამადლოდ ინახავდა პეტრე დეკანოზი, ის მაინც ცდილობდა ხელი გაეძრა და მუქთი მჭამელი არ ყოფილიყო.

– დარდმა გამომაყრუა: დათია მოდის წყაროდან, მე კი მგონია ქრისტე მოდის ჩემთან, – წაიბუტბუტა პაპუნამ და ჟინიანად დაუწყო ტყავს მუშტათი სწორება. გულმა მაინც ვერ გაუძლო, ისევ გაიხედა; დათიას კოკა დაედგა და ისვენებდა.

– ჯანგატეხილია, სად შეუძლიან კოკების ზიდვა? მოდი არაყს დავალევინებ, და გავათბობ, – ფიქრა პაპუნამ და შეიწვია ბერიკაცი.

– ქრისტემ გაკურთხოს; ხელები დამაძრა, – მიუგო დათიამ; მიაყუდა კოკა და შევიდა. უნდოდა კარებში თოვლიანი ჩუსტები დაებერტყნა, მაგრამ წაბარბაცდა.

– მე გაგიწმენდ ჩუსტებს, ჩვენი ხელობაა ეს, – უთხრა პაპუნამ და გაუწმინდა ფეხსაცმელი, მიიწვია ბუხართან, დაუსხა არაყი და მთავარი პური. პაპუნა მაინც მალ-მალ ქუჩისკენ იხედებოდა.

– ელი ვისმე, პაპუნი? – ჰკითხა სტუმარმა.

– ველი? არ ვიცი რა გითხრა, ლოდინით არავის ველი, მაგრამ წუხანდელი ხმა ვერ დამივიწყნია. სახარებას ვკითხულობდი; წავიკითხე ქრისტეს ამბავი. შენც ხომ გაგიგონია ეს?

– გაგონებით კი გამიგონია, მაგრამ რა! უცოდინრები ვართ, კითხვა არ ვიცი და წერა.

– იმაზედ ვკითხულობდი, როგორ სცხოვრობდა ქრისტე ქვეყანაზედ. ერთხელ ფარისეველს ეწვია, ის კი შესაფერად არ დაუხვდა. წავიკითხე ეს და ვთქვი: დახე! უფალი არ მიუღია წესიერად! მე რომ მწვევოდა, თავსაც ვანაცვალედი. ამ ფიქრებში ვიყავი და ჩამთვლემოდა. შემომესმა: ხვალ მოვალ შენთან! ეს ჩამრჩა გულში და ეხლა იესოს ველი.

– დიდება იმის სახელს! – სთქვა გაკვირვებულმა დათიამ.

– მიირთვი, – შეაპატიჟა მასპინძელმა და განაგრძო: – ქრისტე რომ ქვეყანაზედ დაბრძანდებოდა, არავისთან არ უკადრისობდა; მდაბიო ხალხი უფრო ებრალებოდა, იმასთან უფრო ჰქონდა ერთობა; მოციქულებიც ჩვენისთანებისაგან აირჩია.

დათიას პაპუნას სიტყვები მალამოსავით ჰხვდებოდა გულზედ; შესცქეროდა პირში და ცრემლები ჩამოსდიოდა. გულჩვილი იყო დათია.

– მადლობელი ვარ, ჩემო პაპუნი, პური ხომ ვჭამე და გავთბი და შენმა ლაპარაკმა სულიც დამიტკბო, – მიუგო დათიამ და გამოეთხოვა.

5

წავიდა დათია. პაპუნა ჩაუჯდა საქმეს. მუშაობს, თან ისევ ქრისტეს ელის.

გაიარა ზურაბ მოურავმა; უკან გლეხი მისდევდა. პირველს მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, მეორეს ქალამნები. გაიარა სირაჯმა მელქომ ჰვინტიანი წაღებით. აგერ მენახშირეც თავის ჯორებით; თოქმაჩი დარჩო ევაჭრება იმას. დუქანს დაუპირდაპირდა ძონძებში გახვეული ვიღაცა დედაკაცი. ერთი ბავშვი ხელში ჰყვანდა, მეორე უკან მოსდევდა. დედაკაცი შედგა დუქანთან ყუდროში და დაუწყო ბავშვს ძონძებში ხვევნა. ყმაწვილი ტიროდა, ძუძუს აღარ იღებდა.

– რასა დგებარ მაგ სიცივეში? შემოეფარე, გაათბე და დააჩუმე ეგ ბავშვი, – დაუძახა მოხუცმა დედაკაცს.

დედაკაცი შეკრთა, მაგრამ როცა ნახა, იმას იწვევდა მოხუცი, მოითხოვა ბოდიში და შევიდა.

– ბუხართან დაჯექი, გათბი, ძუძუ მიეცი.

– ეჰ, მამავ, დარდით რძეც კი გამიშრა, – მიუგო დედაკაცმა და მაინც ჩაუდო ყმაწვილს ძუძუ.

დედაკაცს სახეზედ სიმწარე აღბეჭდოდა. მორღვეულ თვალებში ხან შიში, ხან სევდა, ხან სიმკაცრე ეხატებოდა.

პაპუნამ ამოიღო პური, დაასხა შეჭამანდი და მთავარი დედაკაცს.

– მიირთვი, შვილო!

დედაკაცი ბოდიშობდა, მადლობას ეუბნებოდა. მეორე ყმაწვილი კი მაშინვე გულმოდგინედ შეუდგა თავის საქმეს.

დედაკაცმა სული რომ მოითქვა, მოჰყვა ამბავს:

– უღელაანთ სესიკას ქვრივი გახლავარ. შარშან კაცი ლეკებმა მომიკლეს. დამრჩა ეს ობლები. დავრჩი საცოდავად. ბატონის მოურავმა, ჩემი ცოდვით სავსემ, ჯერ ოჯახი დამინიავა: შენ ქმარს ეს ემართა, ის ემართაო; ახლა გუშინ მოვიდა და მითხრა: ბატონი შენს ბახჩას და საბძელ-კალოს ტეტის აძლევსო. შენ მაინც რაღად გინდა ესენიო. რათა, შენი ჭირიმე? ქვეყანა და სამართალი! ამათმა მამამ მტერს შეაკლა თავი, სჯულისთვის სისხლი დაღვარა და განა იმის ობლებს თავიანთ ბინა უნდა წაართონ?! წავედი, შევებზეწე ქალბატონს, ბატონიც ვინახულე, მაგრამ აღარც იმ უკაცურებმა გამიკითხეს: მოურავის სიტყვა ბეჭედია იმათთვის და ის უღმერთო კი სისხლს მიშრობს.

პაპუნამ ამოიღო შალი, მისცა.

– აჰა, შვილო, ყმაწვილს მაინც მოათბობს.

დედაკაცს ცრემლები მოერია.

– ღვთისმშობელმა დედამ დაგლოცოს, მამავ; ეტყობა განგებამ მომიყვანა შენს კარებზედ, – ეუბნებოდა ის პაპუნას.

– იქნებ ეგრეც იყოს, – მიუგო პაპუნამ.

დედაკაცმა გამოიხვია ბავშვი შალში, მოჰკიდა მეორეს ხელი და წავიდა.

6

დალამდა. ხარაზმა დაკეტა დუქანი, ანთო ჭრაქი და ისევ მუშაობა დაიწყო: საჩქარო საქმე იყო. გაათავა, წაღები გადაატრიალ-გადმოატრიალა, შეხედა გამოცდილის თვალთ და მოეწონა. მიაღაგა იარაღი, გაიტანა ჭრაქი ოთახში და დაუწყო სახარებას კითხვა. იწყო მთქნარება; თვალები ებლიტებოდა. უეცრად ფეხის ხმა შემოესმა: ზურგთ უკან თითქო ვიღაცა იძროდა. მიიხედა, ბნელ კუთხეში მართლა ვიღაცეები იდგნენ ჩრდილებივით. შეკრთა.

– პაპუნავ! ველარ მიცანი? – მოესმა ხმა.

– ვინა ხარ!

– მე ვარ, მე! – მოისმა ხმა და გამოერჩია ჩრდილებიდგან დათია; გაუღიმა პაპუნას, მერმე ნელ-ნელა მიეფარა და გაქრა ნისლივით.

– ვერც მე მიცანი, – შემოესმა კიდევ და ბნელი კუთხიდან წამოდგა წინ დედაკაცი ყმაწვილებით. დედაკაცმა გაუღიმა მოხუცს, ბავშვებმა შესცინეს იმას და გაქრნენ.

პაპუნამ სიხარული იგრძნო, ნათელი მოეფინა იმის გულს; წამოდგა, მოიფშვნიტა თვალები; ოთახში აღარავინ არა სჩანდა. გადაშალა სახარება საცა მოჰხვდა და წაიკითხა: „რამეთუ მშობიდა და მაჰამეთ მე, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველი ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეული ვიყავ და მომხედეთ მე“.

ახლა კი მიჰხვდა პაპუნა, რომ არ მოატყუა ის ზეგარდმო ხმამ, რომ თვითონ მაცხოვარი ესტუმრა იმას შეჭირვებულების სახით.

[1888 წ.]

– დედი, დედიჯან! მოდი, ნახე, რა კარგი ხე მოუტანია ჩვენს დათიკას; როგორი ქოჩორაა, რა ლამაზადა აქვს ტოტები დაწყობილი! მაგრამ მაღალი არის, როგორ უნდა შევსწვდე, რომ შექარლამები და შაქრის ჩიტები ჩამოვკრიფო? არ მინდა ესეთი მაღალი ხე, უთხარ დათიკას, ისევ წაიღოს, – ამბობდა წითლებით მორთული მანანა, რომელსაც წაველო დედისთვის კაბის კალთაზედ ხელი და ეწეოდა ოთახისკენ, სადაც დათიკას დაეყუდებინა ნორჩი ნამვი.

– არა, შვილო, ნუ გეშინიან! ეგ ისეთი ხეა, რომ ხვალ დამ, როდესაც შაქრის ჩიტების დაკრეფის დრო მოვა, თვითონვე დაგიხრის თავს, თვითონვე დაგიწევს ტოტებს, თუ არ იცელქებ და კარგად ისწავლი.

– მართლა, დედიჯან! აკი ჭკვიანად ვარ, არ გაჯავრებ. წელან ფინჯანი რომ გამიტყდა და ჩაი დამელვარა, ჩემი ბრალი არ იყო; ციციუნამ გატეხა, მე რა ვქნა! დამაფხაჭნა და იმისთვის დავარტყი. ეხლაც როგორ მეტყობა დაფხაჭნილი; ისეთი მტკივა, ისეთი რომ...

– დედი, ჰა, დედი! ამ ხეს არა სცივა? რატომ ამას არ ჩამოსცივინია ფოთლები? აკი მითხარი: ზამთარში ხეებს სცივათ, საწყლები სცივით გაიცრიცებიან და ფოთლებიც ჩამოსცივით.

– არა, ამ ხესაც სცივა, მაგრამ ყმაწვილები ძლიერ უყვარს და იმისთვის ითმენს სცივებს, არ შეუშინდება თოვლს და ზამთარშიაც ისევ ლამაზად მწვანით შემოსილი რჩება: ბავშვები უნდა გავახაროვო.

– რა ლამაზი ხე ყოფილა! უთხარ დათიკას, აღარ წაიღოს; მე არავის არ დავანებებ ამ ხეს... დედი, დედილო! ეკოსაც ხომ მოვიყვანთ ხვალ? ჩემი ხე იმასაც ხომ დაუხრის ტოტებს, ჰა? დაგლეჯილი კაბა რომ აცვია ეკოს! ჩემი ჭრელი კაბა ვაჩუქო?... საწყალო ხევ! ტურფა ხევ! ხვალ შექარლამებს დამაკრეფინებ? ეკოსაც დააკრეფინებ? ისე ლამაზად მოვიქცევით, რომ... დედი! ნენემ მითხრა, ქვესკნელთ ხელმწიფის კარს ერთი ისეთი ხე დგა, რასაც ხელმწიფე მოინდომებს, ყველაფერს დაისხამსო. ის ხე ხომ არ არის ეს?

– არა, შვილო, ის ხე კი არ არის, მაგრამ ესეც რასაც მოინდომებ, იმას დაისხამს ხვალ და დაგაკრეფინებს.

– მართლა, რასაც ვეტყვი, დამიჯერებს? მაშ, მამილოს აღარ ვაყიდვინებ ტიკინებს, აღარც ძია სოლოს შევეხვეწები შაქრის ბლითები მომიტანოს; რალად მინდა? ვეტყვი ჩემს ხეს და, ის დაისხამს... როდის მომირთავ ამ ხეს? ხვალ დალამდება? მალე მოვა ხვალა? მალე დალამდება? იცი, დედი, მე ეხლა წავალ, დავიძინებ და მალე გათენდება. ჰო?

– კარგი, გენაცვალე, დაიძინე; მაინც დღეს მთელი დღე დაცანცალე, ფეხი არ ჩაგიდრეკია.

დედამ უბრძანა ნენეს მოემზადებინა ბავშვის საწოლი. მანანა გამდელს აღარ აცდიდა ტანთ გახდას. ეჩქარებოდა დაეძინა, რომ მალე გათენებულიყო.

ჩაწვა პატარა, მაგრამ სულ ხვალინდელ საღამოზედ ფიქრობდა: სთვლიდა ამხანაგებს, რომლებიც მოპატიჟებული ჰყვანდა, არჩევდა, რა კაბა უნდა ჩაეცვა, ზრუნავდა თავის მეგობარ ეკოზედ, უჯავრდებოდა თავის ციციუნას.

ბევრი, ძლიერ ბევრი იტრიალა მანანამ ლოგინში; ბოლოს ძილმა მაინც დასძლია. ყმაწვილს სახე დაუშვიდდა. იმის სპეტაკს შუბლს გარს შემოერთყენენ კულულები. ისინი ძლივს ეღირსნენ ბავშვის ცელქ თავზედ დაწყნარებას.

ნეტარებით აღსავსე დედა ჩაჰყურებდა თავის მანანას; მერმე მიაპყრა ხატს თვალები, შეავედრა ეს ჯერეთ გაუფურჩქნელი კოკორი და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან...

– გათენებულა! ნეტა მალე დაღამდება? დედიჯან, შეხედე, როგორ მიეჩქარება მზე! იმასაც უნდა, რომ მალე დაღამდეს? კიდეც ჩადის მზე და... ნენე! მე ეს კაბა არ მინდა, წითელი კაბა ჩამაცვი; ეს კაბა ეკოს მიეცი.

მანანა და ეკო აჩქარებით შედიან დარბაზში; უკან მისდევს ნენე. ნეტა რა იქნა ნენე? სად გაქრა უეცრივ!.. დარბაზი მთლად განათებულია. აუნთიათ, კედლების ლამფებიც ყველა ანთებულია; სანთლებიც კი აუნთია დათიკას. ბაღს შუქისათვის თვალი ვერ გაუსწორებია; თვალებს ხელით იჩრდილებს, რომ როგორმე გაარჩიოს ყველაფერი. აგერ დედა... რა მშვენიერი კაბა აცვია! რა კოხტად დააფრიალებს ახალ ლეჩაქს! რა ლამაზია! ყველას დედებს სჯობია.

– აკი გითხარ, ეკოჯან, დედას ძლიერ უყვარხარ: ამენდე, შენც როგორ გკოცნის! აგერ მამაც; აგერ ძია სოლოც; ოსტატი ელისაბედიც აქა ყოფილა. არა ჯავრობს!

– არ გინდა, ეკოჯან, ელისაბედი ყოველთვის ესე ლამაზად გვიყურებდეს? იმ დღეს, შინს რომ თავი ვერ გავუკეთე, როგორ გამიჯავრდა; რამდენი ვიტირე.

მაგრამ ეკო იქ აღარ არის! დარბაზის ბოლოს მიკუნჭულა.

ხე მშვენიერი იყო: ტოტები ფერადი სანთლებითა ჰქონდა განათებული; ბლომად ესხა ზედ შაქარლამა, ტიკინები, ოქროს ყდიანი წიგნები, წითელი ვაშლები... მანანა უძახის ამხანაგებს. პატარები გარს ეხვევიან ხეს. დედამ ნება მისცა დაეკრიფნათ. ბავშვებმა ხელი წაატანეს, მაგრამ ხემ ტოტები არ დაუხარა. ეკოსაც კი არ დაუხარა ტოტები, მარტო მანანას თავი დაუქნია.

– დაიცათ, დაიცათ, მე დაგიკრეფავთ, – დაიძახა მანანამ და მიირბინა ნამძვთან. ხემ სათითაოდ დაუხარა იმას ტოტები. მანანა ჰკრეფდა და სჩუქებდა ამხანაგებს, სულ ხელები აუვსო. ზოგს საყურეებიც მოუკრიფა.

ხე დედასავით ტკბილად უაღერსებდა მანანას, ტოტებს ჰხვევდა, ჰკოცნიდა, თმას უსწორებდა.

1888 წ.

პ ა ტ ა რ ა ლ ე ვ ა ნ ი

– რად დაჩუმდი, ფართხო? რას უგდებ ყურს? მერე რა მოუვიდა იმ ობოლს? მითხარი, გაათავე!.. – შეეკითხა ლევანი, რომელსაც ჯერ კიდეც არ ეძინა.

– არაფერს, ბატონიშვილო! ქარი უბერავს და ციხეში ხმაურობა მეგონა.

...მერე ობოლს გზაზედ შეხვდა ერთი ბრძენი. გამარჯვებო! გაგიმარჯოსო! საით მიდიხარო? – ჰკითხა ბრძენმა. ბედის საძებნელად მივდივარო, – მიუგო ობოლმა. მაშ, წამო, სამი წელიწადი მემსახურე და სამ დარიგებას მოგცემ, რომელიც მთელ ცხოვრებაში გამოგადგებაო, – უთხრა ბრძენმა. კარგი, კარგიო! წავიდნენ. წლის დამლევს ბატონმა ასწავლა: რაც კი ეზოს გარეთ იპოვო, შიგნით შემოიტანეო. მეორე წლის დამლევს უთხრა: შენი საიდუმლო დედაკაცს არ ანდოვო. მესამე წლის დასასრულს უთხრა: არავის არა ათხოვო რა, თუ ძალიან არ შეგეხვეწოსო. გამოეთხოვა ობოლი და შინ წავიდა. ააშენა ქოხი, გარს ღობე შემოარტყა, შეირთო ცოლი და დაიწყო ცხოვრება. ერთხელ ღობის გარეთ წითელი გველი ნახა; მოაგონდა დარიგება და გადისროლა ეზოში. გველი დაბინავდა იქ და ყოველ დღე თავის ხვრელის პირს ძვირფას თვალს წარმოაგდებდა ხოლმე. ობოლი აგროვებდა ამ საუნჯეს და

მდიდრდებოდა. ერთხელ ცოლი აუტყდა, როგორ იძენ ამ სიმდიდრესაო; აუტყდა და აღარც...

– აგერ, ფართხო, კიდევ ხმაურობენ! ნეტა ვინ არის? ჩემ წასაყვანად ხომ არ მოსულან? – წამოიძახა ლევანმა და გააწყვეტინა ფართხოს ლაპარაკი.

მსახური ფანჯარასთან მივიდა ყურის დასაგდებად. ეზოში მართლა ხმაურობა და ცხენის ფეხის ხმა ისმოდა. ფერი ეცვალა მოხუცს, საგონებელმა წაიღო, ვინ იქნებიანო. მაგრამ გარკვევით არა ისმოდა რა, რადგან კოშკი მაღალი იყო, ქარიც ისევ უსტვენდა და ხეებს აშრიალებდა. ვერც არაფერი დაინახა, ბნელოდა. კოშკიდან გამოსვლა კი არ შეეძლო: ეს რამდენიმე დღე გავიდა მას აქეთ, რაც ბრძანება გასცეს, რომ კოშკში დაემწყვდიათ ბატონიშვილი ლევან და იმისი მსახურიცა.

ისევ მისწყდა ხმაურობა. მარტო დარაჯის ხმაღა გაისმოდა ხანდახან. მაგრამ ზღაპრისა არვისა სცხელოდა! ბავშვი შიშით ვერხვის ფოთოლივითა თრთოდა, მსახურს მიჰკროდა და დიდი შავი თვალები მალ-მალ ცრემლით ევსებოდა. უიმისოდაც ფერმკრთალი ახლა მთლად გაფითრებულიყო.

ფართხო ბევრს ეცადა დაემშვიდებინა და დაემძინებინა ყმაწვილი. როცა ბოლოს ჩაეძინა პატარას, მსახურმა დაიჩოქა მძინარის წინ და სთქვა სასოებით:

– მთავრო ანგელოზო ხეთისაო და წმინდა გიორგი ილორისაო! დაიხსენით გაჭირვებისაგან ეს უმანკო ბავშვი! თქვენ იცით, რა განსაცდელი მოელის ამას. წაუშართეთ გზა ჩვენ მომხრეებს და გაძლევთ ამის სამაგიეროდ მტკიცე აღთქმას განაახლოს და შეამკოს თქვენი დიდებული ტაძრები, როდესაც ეღირსება სამეგრელოს მთავრობა.

მსახურს მიზეზიცა ჰქონდა შიშისა, პატარა ლევანი გიორგი დადიანის შვილი იყო, სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრე. სამეგრელოს განაგებდა ეხლა იმისი ბიძა მამია, რომელსაც ცოლად ჰყვანდა გურიელის და. როდესაც ლევანის მამა გარდაიცვალა, იმისმა ბიძამ, თავის ცოლის ძმის შემწეობით დაიჭირა სამეგრელოს სამთავრო.

მეგრელებს არ ესიამოვნებოდათ ეს ამბავი. წარჩინებულ თავადებს და სამღვდელეობებს სწყინდათ მემკვიდრის დაჩაგვრა და მეტადრე ის, რომ ეს ამბავი გურულების დახმარებით მოხდა. გურულებს მთავრის კარზედ და ყველგან სამეგრელოშიაც ამაყად ეჭირათ თავი და ესეც არ მოსწონდათ მეგრელებს. უსიამოვნობა თანდითან ძლიერდებოდა და ლევანის მომხრეები მრავლდებოდნენ. იმათ აფხაზეთის მთავარიც აქეზებდა. ამ ამბავმა ძალიან შეაფიქრა ლევანის ბიძა მამია და განიზრახა მემკვიდრის თავიდან მოშორება.

ლევანი მოიტაცეს სასახლიდან და შხეფის ციხეში დაატყვევეს. მისმა ბიძამ გამოაცხადა, გიორგი გურიელმა მოატაცებინა ყმაწვილი. ყმაწვილს მარტო კარისყმა ფართხო მიუჩინეს.

ამ ამბავმა მთლად ააღელვა სამეგრელო. მომხრეებმა დააპირეს ყმაწვილის ციხიდან გატაცება აფხაზეთში. მოახერხეს და აცნობეს ეს ამბავი ფართხოს, დარწმუნებულნი იყვნენ ერთგულებას არ უმტყუნებდა. უბრძანეს მზადა ყოფილიყო.

იგრძნეს ეს მამიას მომხრეებმა და დაასკვნეს ყმაწვილის მოკვლა. მამიას ძალიან ეძნელებოდა ამისთანა ბოროტების ჩადენა და ეშინოდა კიდევ, მაგრამ მომხრეებმა და მეტადრე ცოლმა ძალა დაატანეს. ეხლა საქმე მარტო ის იყო, რომ ბავშვს და იმის მსახურს აუკრძალეს კოშკიდან გამოსვლა.

ბრძანებამ შეაფიქრა ფართხო. ლევანმა, მართალია, არ იცოდა ყველა ეს, მაგრამ მსახურს აღელვებდა ატყობდა და მიმხვდარი იყო, რომ რაღაც უბედურობას უნდა მოჰლოდებოდა.

ბავშვი რომ დააძინა, ფართხო ისევ ფანჯარასთან მივიდა ყურის დასაგდებად, მაგრამ ეხლა ქვეიდან ქარის შრიალის მეტი აღარა მოისმოდა რა.

შუალამე გადასული იყო. გაიღო კომპის კარები. ხმაურობაზედ ფართხოს და ლევანს ერთად გამოელვითა და წამოხტნენ. თავს ორი შეიარაღებული კაცი წასდგომოდათ, თავ-პირი ყაბალახით ჰქონდათ შეხვეული, თვალებიღა უჩანდათ. ფართხომ ვერ იცნო ისინი. მაინც ყმაწვილს ხელი მოჰკიდა და წინ გადაელობა.

– ბრძანებაა, ყმაწვილი ციხიდან უნდა წავიყვანოთ! – უთხრა ერთმა.

– არ ვიცი, მტრები ხართ თუ მოკეთეები, მაგრამ ყმაწვილი მე მახარია და უჩემოდ ამის წაყვანა არ შეიძლება, – მიუგო ფართხომ.

მოსულებმა შეატყეს, რომ მსახური არ მოშორდებოდა ყმაწვილს. ცოტა შეფიქრდნენ და უთხრეს, გაჰყოლოდა ბატონიშვილს. ერთი წინ გაუძღვა. როდესაც კომპის კარებიდან გავიდნენ, უკანამ ფართხოს ხანჯალი ჩასცა ბეჭში და ძუძუში გაახედა. ამავე დროს წინამ მოხვია ბავშვს ხელი და კომპიდან გადატყორცნა. მსახურის გვამი ხაროში ჩააგდეს და მიწა მიაყარეს. ლევანის გვამი იქვე დატოვეს. დაიწყეს ძახილი. შეგროვდა ხალხი. ნახეს ბავშვი კომპის წინ უსულოდ ეგდო, თავი დაეკრა ქვაზე. სისხლი იმის გრძელ ხუჭუჭ თმას გაჰბმოდა და შეეღება.

ხმა გაავრცელეს: მსახური ციხიდან გაპარულიყო, ბავშვს მარტო შეჰმინებოდა და კომპიდან გადმოსვლა რომ მოენდომებინა, გადმოვარდნილიყოვო.

[1893 წ.]

ე მ მ ა

ერთგულად მოვლილი ბაღი სავსე იყო მოსწავლე ახალგაზრდებით. ზოგნი ისხდნენ გრძელ სკამებზე, სხვანი წიგნებით ხელში ცალ-ცალკე დადიოდნენ ბილიკებზე, ან ჯგუფ-ჯგუფად დასდევდნენ ამხანაგებს, რომლებიც ბაასობდნენ. ბაღს არ დასჯერებოდნენ მოსწავლეები და სამეცადინოდ ასულიყვნენ განიერ კედელზედ, რომელიც გარს უვლიდა სასწავლებელს და მონასტერს. გადახურული ფართო ზღუდე საკმაოდ მოხერხებულ თავშესაფარს წარმოადგენდა. კედლის ვიწრო და მაღალი ქონგურებიდან ქარი უბერავდა, მაგრამ იქიდანვე მშვენიერი გადასახედავი იყო დაბისაკენ.

ზღუდის ერთ კომპთან, იდგა ახალგაზრდა, რომლის ახლადამოლილი შავი წვერ-ულვაში, შავი თვალები, ელფერი და მთლად სახის მოყვანილობა აჩვენებდა, რომ ის ჩრდილოეთის შვილი არ იყო. მიქანცული, ფერმიხდილი დაკვირვებით უყურებდა ის სამხრეთისაკენ მთებად ამართულ ღრუბლებს; იმათ მიეპყროთ ყმაწვილი კაცის ყურადღება და მისი აზრი გაფრენილიყო იქით, შორს, მის მთიან სამშობლოში.

– რას გამტერებულხარ? დროა წავიდეთ, მზე გადიწვერა; – დაუმახა ილიკოს ამხანაგმა, რომელიც იქვე მეცადინეობდა.

გაემგზავრნენ მინდვრისაკენ, გასცდნენ უკანასკნელ სახლებს პატარა დაბისა, რომელშიაც იყო იმათი სასწავლებელი, გავიდნენ ხევს და ჩამოსხდნენ მწვანე ბეჭზე. ძირს, ხევში, მოჩანჩქარებდა ნაკადი, ხევს გაღმა იწყებოდნენ მწვანით შემოსილი მინდვრები, იმათ იქით ტყე. სამხრეთისაკენ მოჩანდნენ მონასტრის დიდრონი ეკლესიები და უზარმაზარი სამრეკლო. ოქროთ დაფერილ გუმბათებზე კრთებოდნენ და ლაპლაპებდნენ ჩამავალი მზის სხივები.

ამხანაგები შეჰხაროდნენ აყვავებულ ბუნებას და ლაპარაკობდნენ მომავალზე, სამშობლოში ცხოვრებაზე. სამშობლო მხარე და მისი ბედი შეადგენდნენ უკეთეს ოცნებებს ამ უცხო ქვეყანაში მოსწავლე ახალგაზრდებისას. ისინი ნუგეშობდნენ მომავალით, რომელიც მოჩანდა ბრწყინვალედ, ფართოდ, სანდომად. შესწყდა საუბარი. იმათ სახეზე მოთამაშე ღიმილი ამტკიცებდა, რომ სასიამოვნო გრძნობას გაეტაცნათ ისინი.

* * *

ყმაწვილკაცები ოცნებიდან გამოიყვანეს ჩრდილებმა, რომლებიც უცრად გამოჩნდნენ იმათ წინ და თავქვე ჩაეფინენ; იმათ თავს წაადგა ორი ქალი, რომლებშიაც ერთი მთლად ნორჩი იყო. იმისი ლურჯი თვალები, გაპობილ ვარდის მზგავსი ბაგე, მალხაზი მიხვრა-მოხვრა ცხოვრებაში გამოცდილსაც კი შეათრთოლებდა. ახალგაზრდები წამოხტნენ. ამხანაგის თათმა აწერა ჰაერში თითქმის მთელი წრე და შეიპყრო ქალისაგან იმისკენ გაწვდილი ბროლივით სუფთა პაწაწა ხელი. ილიკოს გამხდარს და ფერმიხდილ სახეს სიწითლე მოერია, გაშეშდა ადგილობრივ; ხელის ჩამორთმევაც კი ვეღარ მოახერხა. ემმას ღიმილმა გაუთამაშა, როცა მიუახლოვდა მას და უთხრა:

– მე მთლად გავათავე გამოცდები და, აი, შინაც მოვედი, თქვენ კი ვგონებ ჯერ ისევ შრომობთ.

– დიად, უპასუხა ამხანაგმა, კიდეც რამდენსამე საგანში გამოცდა დაგვრჩა.

– ფილოსოფიაში და ღვთისმეტყველებაში არ გამოუცდივართ ჯერ, – ჩაურთო სიტყვა ილიკომ, რომელსაც ნაცნობ საგანზე ლაპარაკმა გაუხსნა კრიჭა, მაგრამ ორივე ისეთი საგნებია, რომ...

– რომ... – გააწყვეტინა ქალმა სიტყვა საალერსოდ შექმნილ ფეხის ბაკუნით, – რომ მე იმათზე ლაპარაკის გუნებაზე სრულებით არა ვარ; მე მინდა მომილოცოთ სწავლის გათავება და სასეირნოდ წამომყვეთ!

ყმაწვილები დამორჩილდნენ ბრძანებას.

* * *

დიდი დარბაზი სავსე იყო ახალგაზრდობით. ჩამწკრივებულ გრძელ მაგიდეებზე სასმელებით სავსე ჭურჭელი და ხორაგეულობა ეწყო. სუფრას გარს ეხვივნენ მოქეიფეები. ზოგნი სუფრაზე ვეღარ დატეულიყვნენ და იმათ აწვდიდნენ სავსე ჭიქებს, რომლებიც სწრაფად ცარიელდებოდნენ. ისმოდა სიმღერა. ყმაწვილკაცობას თანდითან ერეოდა სასმელი. აგერ აქეთ ორს სიყვარული გაცხოვლებიათ, გადახვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან; იქით ერთობის, ძმობის, თავისუფლების გასაძლიერებლად იყუდებენ სავსე ჭიქებს; ის გამწარებული აჭრიჭინებს საკრავს, რომლის ხმაზე ორი მოსწავლე ცეკვავს ახირებულად, ეს საღვინეს ჩახუტებია და ცდილობს ვალსს. თამბაქოს ბოლი დარბაზს ღრუბელივით ედება. არყის სუნი თანდათან ძლიერდება, აუტანელი ხდება. ხმაურობა მატულობს. აღტაცებული სიმღერა და ბაასი ღრიანცელად გადაიქცა. ცალ-ცალკე მოცეკვავეების რიცხვმა იმატა... ახალგაზრდობას დიდი დღესასწაული აქვს დღეს: მთელი სასწავლებელი ულოცავს ერთ კურსს უკანასკნელ კლასში გადასვლას.

შეზარხოშებულიყო ამხანაგიც, სავსე ჭიქით ხელში დაემებდა ის თავის ილიკოს, რომელიც იქით, მორიდებით ჩაჰყურებდა წერილს და იმის თვალეში აღტაცება იხატებოდა. ემმა ულოცავდა იმას ბოლო კურსზე გადასვლას.

– იმისაგან?

– სწორედ! ეხლა მომივიდა.

– დაჰკოცნე უსტარი! დავლიოთ იმის სადღეგრძელო: ისიც ჩვენი ქვეყნის შვილი გახდება.

* * *

ტყისკენ მიდიოდნენ ქალ-ვაჟნი. იმათი სიცილი და ლაღობა არემარეს აცოცხლებდა. ილიკო და ემმაც იმათში ერივნენ. ახალგაზრდობა შეეფარა ტყეს და გაიფანტა. ილო და ემმა ასცდნენ სხვებს. შეწყვიტეს ლაპარაკი: ნეტარებამ მოუსპო სიტყვა.

– რა უხეირო რამა ხარ! – დაარღვია სიჩუმე ქალმა;

– ყვავილები მაინც მომიკრიფე.

ყმაწვილმა მართო ყვავილების კონა. ემმამ მოინდომა ყვავილების გულში გამაგრება, მაგრამ ათრთოლებული ხელი ვერ დაიმორჩილა: ქალწულის მკერდმა დელვა დაიწყო; დახრილი თვალებიდან ძლიერი გრძნობა გამოკრთა. ილიკოც გაიტაცა გრძნობამ; ველარ მოწყვიტა მან სატრფოს თვალი. მიმზიდველმა ძალამ დაახლოვა ისინი და მათი ბაგეები ერთმანეთს შეეწებნენ...

მოისმა ბულბულის სტვენა: ის ქებას უძღვნიდა ბუნების ძალას, რომელიც ამ ორ არსებას შუა გახორციელდა ეხლა. ბუნებაც უღიმოდა იმათ, აკურთხებდა იმათ კავშირსა. სდუმდა ბულბული. შეყვარებულები გამოერკვიენ ნეტარებას...

გზაზე ემმას საათის ძეწკვი ხის ტოტს წამოედო და გაწყდა. ქალს ფერმა გადაკრა და შემკრთალმა შეხედა ვაჟს, რომლის სახეზედაც შიში გამოიხატა, მალე მოეგნენ თავს და სიცილით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

* * *

ხშირი ბინდი იყო. გაფოთლილ ხეებს და ბუჩქებს უფრო ჩაეჩრდილათ ბადის კუთხე, სადაც საფლავზე ამართული იყო ძეგლი, რომელშიაც ხატის წინ ლამპარი ენთო. სიჩუმე იყო. ილიკო ძეგლის წინ სკამზე იჯდა და წერილს კითხულობდა; სახეზე მღელვარება ეტყობოდა.

...რა სიხარულით წამოვედი კურსებზე! – სწერდა ემმა – რა აღტაცებით ვისმენდი პირველ ლექციებს! ჭეშმარიტების ტაძარი ღია იყო ჩემ წინ და იქ შესასვლელად ძალას უხვად ვგრძნობდი ჩემს შენდამი სიყვარულით აფრთოვანებულ არსებაში. მაგრამ მალე დაიწყო განულება იმ აღტაცებამ: შენმა მსჯელობამ, ტრფობის დამჩაგვრელმა შენმა აზრებმა შეიპყრეს ჩემი გონება და დაბადეს იმაში იმედის მაგივრად ხალისის დამამხობელი ეჭვი. შენი უკანასკნელი წერილი... შენი ფიქრით, ცხოვრების მიზანი, რომლის სამსახური ვალად გაძევთ თქვენ, ისეთი მაღალი და მძიმეა, რომ მოითხოვს კაცის გონებითს და ზნეობითს ძალას მთლად, მსხვერპლად მოითხოვს იმის არსებას. სიყვარულიც არ არის ნაკლებად მძიმე საგანი, ისიც ნაკლებ სამსახურს და მსხვერპლს არ ითხოვს. ამისთვის თუ მოტრფიალეები ცხოვრების იმ აზრს ერთგვარად აღიარებენ, მაშინ იმისათვის შესაწირავად გამზადებული ძალა არამცთუ არა მცირდება, არამედ

ძლიერდება, ორკეცდება; მაგრამ თუ ერთ-ერთი მოტრფიალეთაგანი ვერ თანაუგრძნობს იმ მიზანს, თუ ის კიდევ ეწინააღმდეგება იმას, მაშინ ის ძალა სუსტდება, მცირდება, რადგან იმას მოითხოვს სათავისოდ სიყვარული, რომელიც მაშინ წარმოადგენს იმ მიზნის წინააღმდეგ ცალკე საგანს. მოტრფიალე იძულებული ჰქდება დატოვოს ერთ-ერთი საგანი და მეორეს შეუდგეს, ან ვერ დააკმაყოფილოს ვერც ერთის მოთხოვნილება, ვერ მისწვდეს ვერც ერთს. და რადგან, მწერ შენ, შენი მიზანი ცხოვრებისა არ შეადგენს, არ შეიძლება შეადგენდეს ჩემს მიზანსაც, ამისთვის იძულებული ხარ ამოიჩიო სიყვარულსა და შენი ცხოვრების მიზანს შორის ერთ-ერთი...

მაგრამ განა ეს მსჯელობა ჭეშმარიტია? ნუთუ ტრფობა უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმისთანა წმინდა ვალს, როგორც არის სამშობლოს სამსახური? ან თუ ერთი ტომისათვის წმინდა საგანი ხდება მეორე ტომისათვის ბოროტ საგნად? არა! ეს სხვანაირად უნდა იყოს...

თუნდა ესეც იყოს! ტრფობა არის ჩემი ხვედრი და ვწირავ იმას ყველაფერს, რასაც ვალად მდებს ჩემი სხვაობა. სხვაობა! განა კიდევ სხვა ვარ?! განა სიყვარულის უძლეველმა ძალამ არ შეგვექმნა ჩვენ ერთხორც, ერთსულ? განა შენი ცხოვრება და იმისი მიზანი აწ არ არის იგივე ჩემი ცხოვრება და ჩემი ცხოვრების მიზანი? განა ჩვენი მისწრაფებები არ არიან მისწრაფებები ერთისა და იმავე გულისა?.. კმარა! აშფოთდა სული, გრძნობამ დამიხშო მსჯელობის ძალა, გულმა დაიმორჩილა გონება და ნება: გული შენია – მთლად ჩემი არსებაც, ჩემო, შენია...

– განა მე, – ფიქრობდა ილო, – ნება მაქვს უარყო ეს წმიდა გრძნობა? განა შემიძლია დავთრგუნო ეს ჩემი ბედნიერება? არა!.. მაგრამ იქნება ეს ჩემი პირველი გამოცდაა ბედისაგან მოგზავნილი იმის საცნობად, რამდენად შემიძლია უარი ვთქვა პირად ბედნიერებაზე მიზნის გულისათვის... ჩემი პირადი ბედნიერება! – ვერა ხედავ, რომ აქ შენს სიკეთესთან დაკავშირებულია სხვისი ბედნიერება? და ვინ მოგცა უფლება დაჩაგრო სხვისი გული, მსხვერპლად მიუტანო ის შენს ოცნებებს?.. იქნება აგზნებული გული სატრფოსი მართალს ამბობს და მსხვერპლი არ იყოს აუცილებელი, ბედნიერების უარყოფა არ იყოს საჭირო? უმანკო გრძნობა და წმინდა მიზანი იქნება არ არიან ერთმანეთის წინააღმდეგები? არა, არაფერს შეუძლია დამაშოროს სატრფოს!..

– მაცთურო აზრო! თავმოყვარეობისაგან მოსყიდულო მსჯელობავ! გახსოვს, რომ „ვერვის ეხელმწიფების ორთა უფალთა მონებად?“ ან რომელი მაღალი აზრი ასრულებულა, თუ იმას არა ჰყოლია მოღვაწეები, რომლებსაც დაეტოვოთ იმის გულისათვის ყველაფერი, რაც ძვირფასია ამ სოფლად, მსხვერპლად მიეტანოთ მისთვის ყველაფერი, უარი ეყოთ ყოველივე და შესდგომოდნენ იმას?!

ჰე, მამულო, სასურველო!

ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი?!

– დიად, „არა დაკლას თავი თვისი“ და მაშასადამე, გულიც თვისი. აი საბრკმელი, რომელიც წინააღმდეგების, უნდა წინააღმდეგებოდეს სიყვარულს... „ვწირავ იმას ყოველსავე, რასაც ვალად მდებს ჩემი სხვაობაო“. წრფელო გულო, განა შეიძლება უარყო შენი ბუნება და რასაც ის ვალადა გდებს? – შეუძლებელია, და ეს იმდენად უფრო რამდენადაც სპეტაკი და მაღალია შენი არსება... მშვიდობით, სატრფო!..

– უკანასკნელი გამოთხოვება? მაგრამ განა იმისი ნახვა, იმის ნათელ თვალებში ჩახედვა არ ამინგრევს ესე დაწყობილ აზრებს? განა იმისი ცრემლი არ ააგზნებს ჩემში გენიას, ან იმისი ერთი ღიმილი თითონ სამოთხეს არ დამავიწყებს? განა ფარვანას

შეუძლია უვნებლად ეახლოს სანთლის ალს? – არა! – მაშ? – „უკეთუ თვალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოილე იგი“. დიად, უნდა ამოვილო მაცთუნებელი თვალი, თუმცა უიმისოდ ბნელში დავრჩები: მე მიხსნის მარტო იმის უნახველად წასვლა“.

* * *

მზე ჩაესვენა. ბუნდად მოჩანდნენ შორს მთის წვერები. ცა მოიცვა ღრუბლებმა, რომლებსაც ქარი აქანებდა და მიაფრენდა. ამოვიდა მთვარე. ის ხანდისხან გამოჩნდებოდა დაწყვეტილ ღრუბლებიდან და ანათებდა მლეღვარე ზღვას. ქარიშხალი გაძლიერდა. გაძლიერდა ლელვაც. აქაფებული ზვირთები გრგვინვით, ღრიალით მისდევდნენ ერთმანეთს, ეხეთქებოდნენ ხომალდს და საშინლად არყევდნენ იმას. ნავოსნებს გარდა ყველანი მიიმალნენ. მაგრამ არა: აგერ მოაჯირთან ზის ვინმე და გადაჰყურებს ზღვას. ილიკო თითქოს შეჰხარის განძვინებულ ზღვას, ესაუბრება მრისხანე სტიქიონს:

– კიდევ მეღირსა ჩემი ქვეყნის მთების ნახვა, ვიხილე ზღვა, რომელიც რწყავს ჩემი ქვეყნის კიდეებს... რა საშინლად ჰღელავ! რად მრისხანებ ესე? ნუთუ მარტო შორიდან დამანახვე სამშობლო და დანთქმას მიპირობ? დამნთქი, ძლიერო, ნუ მადირსებ სამშობლო ნიადაგს, თუ მიგყევარ უღირსი შვილი, თუ ღირსი არა ვარ ვემსახურო იმ მიზანს, რომელიც თვალწინ უდგა ყველა ჩვენგანს, რომლის მისაღწევად ბრძოლა ისტორიამ ვალად დაგვდვა ჩვენ. ჰქაფდით, ტალღებო! მე მიყვარხართ თქვენ, რადგან ღელავთ და კვნესით ისე, როგორც ღელავს და კვნესის ჩემი გული, რადგან თქვენ მრისხანებთ ისე, როგორც მრისხანებს ეხლა ჩემი სატრფო... შეისმინე ჩემი, აზვირთებულო ზღვავ! გინდა დამნთქნა შენს უფსკრულში, როგორც უღირსი? დეე! ნუ გგონია შემაკრთო: სამშობლო სტიქიონს სიამოვნებით მოგებარები სამშობლოსავე ნაწილი. ემმა? იმისადმი სიყვარული?..

* * *

ილიკოს ამხანაგის წერილიდან.

„ბაღში ვმეცადინობდი. მომიახლოვდა შავებით შემოსილი ქალი. მუქი პირბადით ჰქონდა სახე დაფარული, ხელი ჩამომართო და მთხოვა გავყოლიყავი. ვინაობა რომ ვკითხე, ხელი აიკრა პირბადეს. ემმა იყო. ემმა კი არა, მისი ჩრდილი: გამხდარი, თვალეზმორღვეული; იმის სპეტაკ შუბლზე დარდს დაღი დაესვა. მხიარული ღიმილის მაგივრად მწუხარება აღბეჭდოდა სახეზე. ტყისკენ წავედით. ლაპარაკი არ ხერხდებოდა. ვხედავდი, რომ ქალს რაღაცა უკლავდა გულს, მაგრამ ვერა ვხედავდი მეკითხა. ტბის პირას დავსხედით; ხომ გახსოვს, მშვენიერი გადასახედი რომ არის. ემმა გაშტერებით უყურებდა ანკარა წყალს და თან ცრემლები ჩამოსდიოდა.

– აქ გვიყვარდა მე და ილიკოს დასვენება, – თქვა ქალმა.

დარდმა დარია ხელი. თავი ველარ შეიმაგრა და დაიწყო გულამოსკვნით ტირილი. ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოთქმა მესმოდა: „არ გამომეთხოვა!.. ეს ვაჟკაცობაა?! გეშინოდა შენის გულისა?.. იქნება აღარ ვახსოვარ...“

გავშრი, მიწასთან გავსწორდი. არ ვიცოდი, რით მენუგეშებინა მწუხარე ანგელოსი. როდის-როდის შეაშრა ქალს ცრემლი. გადიყარა დაშლილი თმა ბეჭებზე, წამოდგა და მითხრა:

– შეგაწუხე ჩემი დარდებით უცხო. სევდამ თავი წამართო და უნებლიად გაგიზიარეთ ის, რასაც გრძნობს გული, რაც, საუბედუროდ, ღრმად არის იმაში დანერგილი... წავიდეთ აქედან!..

[1893 წ.]

მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

პეტრე-პავლობას, 178... წელს, ალავერდელი შევიდა სასახლეში ბატონ ერეკლესთან. იმას შეჰყვა თან ევროპულად ჩაცმული ახალგაზრდა ანდრო. ასე ერქვა შავგვრემანს, ახლად წვერ-ულვაშ აშლილ ვაჟკაცს. იმის მაღალ შუბლს წლოვანების არაშესაფერი ნაოჭი ასდევდა, ფიქრიანი სახე ხანდახან ლაპარაკში სიცოცხლით ევსებოდა და მაშინ დიდრონ შავ თვალებს ნაპერწკლები სცვიოდა.

ანდრო ახლად იყო დაბრუნებული რუსეთიდან. როდესაც ბოლოს და ბოლოს საქართველოს გაუჭირდა, შეგნებულმა მამულიშვილებმა იგრძნეს, რომ წინანდელი წესწყობილება აღარა კმაროდა, რომ საჭირო იყო შემოეტანათ საქართველოში ევროპული განათლება და იმისი შემწეობით გაეუმჯობესებინათ როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრება. დაუწყეს ნიჭიერ ახალგაზრდებს უცხო ქვეყნებში გზავნა სასწავლებლად. მართალია, ჯერ ათასში ერთსა გზავნიდნენ, მაგრამ მეფეს იმათი გამრავლება და თვით საქართველოში დაარსება ევროპულად მოწყობილი სასწავლებლებისა მიზნადა ჰქონდა.

ანდრო დიაკვნის შვილი იყო. თელავის სემინარიაში, როგორც ობოლი, საეკლესიო ხარჯით იზდებოდა. სემინარია ჩინებულად გაათავა. რუსეთში გაგზავნეს სწავლის დასამთავრებლად. გატაცებით დაეწაფა ცოდნას და საკმაოდ განვითარებული დაბრუნდა საქართველოში.

გარეთ გასულ ანდროს ერთიათად გაუცხოველდა სამშობლოს სიყვარული.

– ჩემი სამშობლო ბუნებით შეუვალა, მაგრამ პატარაა, ბრძოლით არის დაღლილი, გარშემო ბევრი მტერი ახვევია, ყველასა ჰსურს ხელში ჩაიგდოს ის და, ვაითუ ქართველების გმირობაც ველარას გახდეს, თუ დროზედ არ მოეფინა იმას მეცნიერების ნათელი, – ფიქრობდა ის უცხოეთში და აორკეცებდა შრომას, რომ შემდეგში შესძლებოდა რამე სარგებლობის მოტანა მამულისათვის.

ანდრო ისე იყო ამ აზრით გატაცებული, ისე გულმოდგინედ ცდილობდა, როცა ჩამოვიდა საქართველოში, იმის განხორციელებას, რომ სურდა ყველაფერი იმისთვის შეეწირნა.

არ უყვარდა აქა-იქ სიარული, მოკრძალე იყო და უცხოობაში შევიწროებულად გრძნობდა თავს, მაგრამ ორიოდე ოჯახში მაინც სიამოვნებით დადიოდა ხანდისხან, მაგალითებრ თავად ომარიდის ოჯახში, რომლის სახლი „ბატონის-წყაროს“ ზევით იდგა.

გული შეიძლება დაიმორჩილოს რომელიმე აზრმა, შეიძლება დახშას იმაში ვნებების ღელვა, მაგრამ მარტო დროებით და, რამდენადაც უფრო დიდხანს არიან ვნებები შეკავებულნი, იმდენად ძლიერია იმათი დენა, როდესაც დასძლევენ დაბრკოლებას. ასე მოუხდა ანდროსაც. იმისი გულის სიმების ძგერას ხელს უშლიდნენ იმისი აზრები; გონებას დაემორჩილებინა გული, მაგრამ ამ დამონებამ მარტო იქამდის გასტანა, სანამ შეხვდა არსება, რომელმაც შესძრა მის სიმები. მაშინ კი დაღუპა გრძნობათა ღელვამ ბრძოლაში გამოუცდელი.

მკათათვის 18-ს ომარიძიანთ კარის ეკლესიის დღეობა იყო. კარგი დარი იდგა. წინადლით დაწვიმული მიწა გამშრალიყო, ცა ფრთათეთრ ღრუბლებით შემოსილიყო, ნიავი სისინებდა, ეს ყველა ძალას ართმევდა მზის სხივებს. ომარიძიანთ ეზოში ორ ალაგას იყო სუფრა გაშლილი: ეზოში, ხეებქვეშ სადილობდა მდაბიო ხალხი, დიდ აივანზედ ნადიმობდნენ კეთილშობილები.

აივანზედ სუფრას ჩამწკრივებოდნენ ერთ მხარეს ქალები, მეორეს – კაცები. ქალების მძიმე ჩაცმა და ძვირფასი სამკაული კაცს გააკვირვებდა. მაგრამ რად ეჭირვებოდათ იმათ სამკაული, როდესაც ბუნებას თითონ ისინი შეექმნა სამკაულად! რით არ იყო სამკაული თუნდ ომარიძის ქალი ელო? ტანადი. სპეტაკი მარმარილოს სავე მკერდი მოხდენილად წვრილ წელზედ. ნაზს პირის კანის ქვეშ გამოსჭვივოდნენ მჩქეფარე გრძნობით აფეთქილი ძარღვები. მაღალი შუბლი ნაქანდაკევ საფეთქლებს დაყრდობოდა. წაბლისფერი თმა ხშირ ნაწნავებად ეყარა ბეჭებზედ. კილოიანი დიდრონი თვალები მთვარისაგან განათებულ ცასა გვანდნენ. როგორ შველურად იცოდა შეხედვა! იმისი მაჯები თითო-თითო ქალადა ღირდა.

საკვირველი იყო ელოს საქმე! თელავის უმშვენიერეს ქალად ითვლებოდა, მაგრამ ბევრი კი ბედავდა რამე წუნი დაედო იმისთვის: მიხვრა-მოხვრა არ უვარგაო, სიმაღლაზე აკლიაო... ეს უკანასკნელი მართალიც იყო. დავლურს მარჯვედ ვერ თამაშობდა. შეუდარებელი იყო, როდესაც იჯდა სახედამშვიდებული. ვერც ერთი თელაველი ქალი ვერ წაუვლიდა წინ. იმისგან აღტაცებაში მოდიოდნენ უფრო დარბაისელი ხასიათის მექონნი, თავმსუბუქ ახალგაზრდობას არ მოსწონდა, როდესაც ის დაცინვით გადახედავდა მათ მოღიმარე თვალებით.

ანდროს ამ ქალის პირდაპირ შეხვდა ჯდომა სუფრაზედ. ახალგაზრდა ჯერ მორცხობდა, ბოლოს ხალისი და გამბედაობა გამოიჩინა. სტუმრები შეზარხომდნენ, ლაპარაკს უმატეს. ჩამოვარდა სიტყვა რუსეთზედ. მაშინ აუცილებელი იყო რუსეთზედ საუბარი, რადგან იქიდან ელოდნენ შველას. ანდრო ცოდნით და დალაგებით ლაპარაკობდა ამ საგანზედ, აზრიანად სწონავდა ამ სამძიმო კითხვას, სინჯავდა ყველა მხრივ და ისე მოფინა იმას ნათელი, რომ დაანახვა საზოგადოებას მოსაზრების შეუმჩნევი ლაქები.

მსჯელობამ გაართო ელოც. რამდენიმე სიტყვა იმანაც ჩაურია ბაასში. თან ისე ტკბილად უღიმოდა ანდროს, რომ თავი დაავიწყებინა.

ხალხი დაიშალა; მასპინძლისას დარჩნენ მარტო შეჯიბრებული მსმელები. საზანდრის ხმა და მრავალჟამიერი განთიადამდის ისმოდა არემარეში.

წავიდა ანდროც, მაგრამ თავისთავს ველარა სცნობდა, ვერ გაეგო, რა მოსდიოდა. თან გაიყოლა ელოს სახე, გულში მტკიცედ ჩაებეჭდა.

კვირამალი იყო. ხალხი იკრიბებოდა ღვთაებაში. ხატებს სანთლებს უნთებდნენ, ეამბორებოდნენ ეკლესიის კედლებს, ზოგნი გარს უვლიდნენ მუხლის თავით. ახალგაზრდებს კი მაინც და მაინც დიდი გულმოდგინება არ ეტყობოდათ.

ცდილობდნენ ჩქარა ჩარეულიყვნენ ტოლებში, რომლებიც საყდრის ეზოს ერთ კუთხეში მიქურჩებულიყვნენ. აქ თითქმის მთელს თელავის ახალგაზრდობას ნახავდით; ისინი მუსაიფობდნენ, ერთმანეთს ათვალეობდნენ, მხიარულობდნენ.

– ყმაწვილებო! – დაიმახა სარიდან მჯობინაძემ, – ცოდვა არ არის ამ შვენიერ ღამეს ასე ვატარებთ?! წავიდეთ ნადიკვარზე და ვიცეკვოთ; აქ სივიწროეც არის და ვაითუ მამა ეგნატემაც ყავარჯნით დაგვიფრინოს დაირ-ნალარის ხმაზედ.

ახალგაზრდობა გაემართა ნადიკვრისაკენ.

მთვარე დაჰყურებდა მიწას, როგორც მოტრფიალე მძინარე სატრფოს; სხივები კრთებოდნენ, ეკონებოდნენ. ერთი მხრივ წამომდგარიყო ცივი⁵, დარაჯობდა ძვირფას კახეთს, მეორე მხრივ მოჩანდა კავკასიონის ქედი; ძირს ჩაფენოდა მთვარის სხივები ალაზნის ველს. დიდებული ბუნების შვილები მისცემოდნენ გულუბრყვილო სიხარულს.

ანდრო გაიტაცა სურათმა.

– ამ შვენიერ ბუნებას ამისთანა საუცხოვო შვილები შეშვენის, – ფიქრობდა ის, – აი, თუნდ სარიდანი. ვინ დასდებს წუნს? რა სიმარდეა! მთელი არსებით მისცემია სიამოვნებას. ბუნების შვილია: ამ წამს გარემოება მაგას უღიმის, ეგეც დაუფიქრებლივ მხიარულობს, ხვალ ცხოვრება მოსთხოვს სისხლის დაღვრას, ეგეც დაუფიქრებლივვე მორწყავს სისხლით სამშობლო მიწას. სარიდანი შვილია წამისა და სარგებლობს წამიერი ცხოვრებით. ეს დღეს ისეთივე მოვლენაა, როგორც თუნდ, აი, ის ალვის ხე: დაუბერა ნიაგმა და იმანაც ააყოლა ფოთლები, გადახარა თავი; დაწყნარდა ჰაერი, – დაწყნარდა ისიც.

ორივე ერთგვარად ემორჩილებიან წამის ბრძანებას.

განა ყველანი ესე არ უნდა ვსარგებლობდეთ ცხოვრებით? რატო მე კი დაუფიქრებლად არა ვტკბები ამ შვენიერი წუთით? რატომ არ ქრებიან ჩემი შავი ფიქრები? რადა ვწუხვარ ან მომავალზედ, ან წარსულზედ?.. ერეკლე ახლა რადა წუხს, რად მისცემია ღრმა ფიქრებს სამშობლოს მომავალზედ?.. არა, სარიდანი ძვირფასია, მაგრამ მაგისტვის საჭიროა წასულზედ და მომავალზედ მზრუნველი გზის მაჩვენებელი. მაგის ხმალი მაშინ არის სასარგებლო, როცა გზას უნათებს ერეკლეს დაშინის ელვარება; მაგის ზნეობითი სახე მაშინ არის სანდომიანი, როცა ნეკრესელი უხელმძღვანელებს. ვინ არ გრძნობს მოწიწებას ერეკლეს წინ, როცა იმას თითონ ლხინში გადურბენს სახეზე შავი ფიქრი?! სარიდანი? – ის ძვირფასია, როგორც აზრი კი არა, როგორც იმისი გამახორციელებელი იარაღი.

– რა მშვენიერი ღამეა! რატომ თქვენ კი არ იღებთ ლხინში მონაწილეობას? – ჰკითხა ელომ, რომელიც მოულოდნელად დაუახლოვდა ანდროს.

– მეც ვიღებ მონაწილეობას... მე... მე კიდევ დამავიწყდა ცეკვა... დიად, შვენიერი ღამე გახლავს, – მიუგო ხმაათრთოლებულმა ანდრომ.

– ვინ იცის, არც კი მოგწონთ ჩვენი ასეთი ყმაწვილობა, მაგრამ ყველას ხომ თავისი დრო აქვს: თამაშობის დროს – თამაშობა, საქმის დროს – საქმე.

– როგორ არ მომწონს!.. საქმის დროს... – დაიწყო ანდრომ.

მაგრამ ქალმა აღარ დააცალა სიტყვის დათავება და გაშრიალდა. მერმე უეცრად მოტრიალდა, გაუღიმა და გადისროლა იმისკენ ყვავილი.

– შე უბედურო! – ეუბნებოდა ანდრო თავის თავს, – დაგებნა გონება? დაგება ენა, როცა ერთი მოხერხებული სიტყვა სიცოცხლედ გიღირდა?..

⁵ ცივს გომბორის მთას ეძახიან (ავტორის შენიშვნა).

აილო ყვავილი და დასცქეროდა. რას მოასწავებდა ელოს ეს ქცევა? ის ღიმილი დაცინვისა ხომ არ იყო? ეს ყვავილები იმედის ნიშანია, თუ?..

საეპისკოპოსო სახლში ვახშამი იყო გამართული, ვახშამზედ ისხდნენ, სხვათა შორის, ნეკრესელი, ალავერდელი და ანდრო.

– დიაღ, შვილო, ეკლესიისთვის აუცილებლად საჭიროა ახალი ლამპარი, – განაგრძო საუბარი ალავერდელმა, – ეკლესია და მამული განსაცდელში არიან. ვინ იცის, რა მოგველის! ღმერთმა გვიდღეგრძელოს ბატონი ერეკლე, მაგრამ მაგას შემდეგ საქართველოს რყევა მოელის. ვინ ჰყავს ეკლესიას ახალი ნუგეში? ჩვენ მოვხუცდით და ვერ გამოვდგებით ახალი დროსთვის. შენ უნდა ანუგეშო ეკლესია: შენზედ განათლებული და ერთგული ვინა ჰყავს იმას?!

– მართალსა ბრძანებს ყოვლად სამღვდელო. შენ შეთვისებული გაქვს ახალი მეცნიერება. მიიღე, შვილო, სქიმა და მალამოდ დაედე შენ სამშობლო ეკლესიას. ამსოფლად ყველაფერი ამაოა, მარტო ღვთისა და მამულის სამსახური არის სასიქადულო, – ჩამოართვა სიტყვა ნეკრესელმა.

ანდრო ჯერ ჩუმად იჯდა, დანას ათამაშებდა, მერმე ამოიოხრა და თქვა:

– თქვენ იცით, რომ ჩემი მიზანიც ის არის, რის სამსახურადაც თქვენ მაწვევთ, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეჭვმა შემიპყრო... განა აუცილებელია სქიმის მიღება, ბერად შედგომა? განა არ შეიძლება წმინდა მოვალეობის ასრულება და თან სოფლის უღლის წევა?

– არა! „ვერვის ეხელმწიფების ორთა უფალთა მონებად“. თუ სოფელს მიყვები, ეკლესიისათვის მოუძღურდები; იმის სამსახურად ძალა შეგიმცირდება, – მიუგო ალავერდელმა.

ვახშმის შემდეგ ანდრო აივანზედ გავიდა. დაფიქრებულმა ვერ შენიშნა, როგორ ჩაესვენა მთვარე და ჩამოწვა ბნელი; ვარსკვლავებმა კი უმატეს ბრწყინვას, თითქოს არა სურდათ დაეთმოთ ქვეყანა ბნელისათვის. დიდხანს იჯდა ის ფიქრებით მოცული. აზრები შეუწყვეტად მოსდევდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბუნდი და გაურკვეველები, ნაღვლით სავსეები, ჩასჩურჩულებდნენ რაღაც შეუძლებელს, თუმცა უსაჭიროეს საქმეზედ. ფიქრები მოეზიდებოდნენ თავიანთ მსგავს პირქუმ გრძნობებს და აწვეთებდნენ გულში ნაღველს.

– არა, – ფიქრობდა ანდრო, – ვერ მივწვდები! თუ ვერ მივწვდები, მაშ რაღად მინდა სიცოცხლე? ან რა გასაკვირველია: მე მზეს დავუწყე პირდაპირ ყურება და დაბრმავების მეტს რას უნდა მოველოდე?.. რას მოვიგონებდი, რომ ჩემ ბედნიერებას გადაეღობებოდნენ ჩემი აღმზრდელები, – ისინი, ვისაც, ნამდვილად ვიცი, ძვირფასად ვუღირვარ! მაგრამ არა! მართლები არიან: ჰგონიათ პირადი ბედნიერება გამიტაცებს და არ იციან, რომ ის ბედნიერება გააორკეცებს ჩემს მხნეობას.

ანდრო მოქანცა ამგვარმა სულისკვეთებამ, ის ვეღარ უძლებდა ფიქრებისა და გრძნობების დენას, მოუძღურებული თვალით გაჰყურებდა სივრცეს. აღმოსავლეთისკენ ცა ოდნავ შეთეთრდა, შეუთეთრდათ წვერები კავკასიონის ქედზედ გაწოლილ ღრუბლებსაც. ერთ ადგილას ღრუბლები პირისფერად შეიღებნენ; აგერ გადიშალნენ ისინი, როგორც ვარდის კოკორი და იმათ შუა ამოჩნდა სახე, სურათი თანდათან მთლად და ცხადად იხატებოდა, აგერ გამოირკვა ღრუბლებისგან. ის იყო! ელო უღიმოდა ანდროს, იმისკენ მოფრინავდა, ბროლის მკლავებს უწვდიდა.

ომარიძიანთ სახლის ერთ ფანჯრიდან მთელი ღამე მოჩანდა სინათლე, ეს ელოს ოთახის ფანჯარა იყო. ოთახში იდგა ჩუქურთმით მორთული ტახტი, ფარჩის საბანი

ფეხით იყო მიგდებული. ზეწარი ნახევრად აკეცილიყო. ყურთბალიში ეგდო ვეფხის ტყავზე, რომელიც საწოლწინ ეფინა. იქვე ეყარა აბრეშუმის ჭრელი წინდები და ოქრომკედით მოქარგული პაწია წულეები. ქალი ბალიშს დაყრდნობოდა. პერანგის საკინძი ჩამოსხნოდა, თმა დაშლოდა და გულზედ გადმოფენოდა. საწოლს წინ იდგა ჩუქურთმებით შემკობილი სპილენძის მაგიდა. მეორე მხარეს გამდელს ეძინა.

– როგორ გაუკვირდა დედას, – ფიქრობდა ელო, – როცა ცრემლები მომერია! გასაკვირველიც იყო იმისთვის: სარიდანი მართლა და შვენიერი ახალგაზრდაა – თვალადი, ტანადი, გულადი, მოლხინე, შემძლებელი. სხვა რაღა უნდა დედის გულს?... იქნება მოუაზრებლობაც იყოს ჩემი წინააღმდეგობა? მაგრამ რად იქნება წინდაუხედაობა, ანდრო რომ ვამჯობინო?! სარიდანს ჩამომავლობით უპოვია პატივიც და ქონებაც, ანდროს თავისი ნიჭით დაუმსახურებია სახელი; სარიდანი გონებითი სიბნელეა, ანდრო ნათელია. რამდენ რასმე მასწავლის ისეთს, რაც ესე ძალიან მინდა გავიგო! იმან ყველაფერი იცის... საწყალი! რა ძალიან ვუყვარვარ! თვალს ვეღარ მაშორებს... არა! ერთობ გაუბედავია. ჰგონია ვერ დავაფასებ იმის სიყვარულს, ჰგონია მეწყინება იმისი აღსარება და ვერ მიბედავს... სარიდანი? იმას რა ენაღვლება, რასა ვგრძნობ: მოვწონვარ და ცდილობს წამიყვანოს. ვინ იცის, როგორ მექცეოდეს – ელოს ცრემლები მოერია, – არა, უნდა ვაცნობო! – თქვა იმან, გადმოვიდა, მიუჯდა მაგიდას და დაიწყო წერა.

მეორე დღეს ელომ მოახლეს ხელით გაგზავნა წიგნი ანდროსთან, მაგრამ დედამ იდუმალად ჩაიგდო ის ხელში.

– მეტი აღარ შემიძლია! – ამბობდა ანდრო. – უნდა გამოვუცხადო ელოს დაფარული და მივიღო იმისაგან ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. ჩემ გაუბედაობაში დრო გადის და იმაზედ ათასს უჭირავს თვალი. რაღაც ხმები მესმის... თუ ახლა უღირსი ვარ იმისი, მერმე ხომ დავიმსახურებ ამ ბედნიერებას! მე დავარწმუნებ იმას. რატომ? ხომ უკეთესი შედეგი მომელის; ხომ იციან, როგორ მიჩნეული ვყევარ ბატონ ერეკლეს. უარი რომ მითხრას? მაშინ...

დიდი ხანი იყო ანდრო ამნაირი ფიქრებით გართული. ღამე კარგა გატყდა. ოცნებებმა მთლად შეიპყრეს იმისი გონება. იმისი სურათი, ვინც შეადგენდა ანდროს სულის დგმას, შერჩა გონებასა, მხოლოდ იგი უფრო ცხადად, უფრო გარკვევით დაეხატა თვალწინ. ელო ეხლა დაღონებული დაჰყურებდა ჭაბუკს, თითქოს ებრალებათ ტანჯული. ანდრომ ვეღარ შესძლო შორიდან მზერა, დააპირა მიახლოვებოდა, უნდოდა მუხლმოდრეკილი შეხებოდა ბაგით მის ტანისამოსს, შევედრებოდა მიენიჭებინა სიცოცხლე, გაენათებინა ცხოვრების გზა. კიდეც მიუახლოვდა სატრფოს, მაგრამ იმ ადგილმა, სადაც ანდრო იდგა, ძირს დაწევა დაიწყო; ის ძირს მიდიოდა, ქვესკნელს ინთქებოდა, შორდებოდა სასურველს. ელო იდგა უძრავად; უფრო დაღონდა, ცრემლები მოერია. გამოჩნდა მეორე მხრივ სარიდანი და დაუახლოვდა ქალს...

მეორე დღეს ანდრო მეფის კარის სამდივნოში რაღაცა ანგარიშებში იყო გართული. გაიღო კარი, შემოვიდნენ მეფე და ბატონიშვილი გიორგი. მოწიწებით მიესალმნენ ბატონს. ერეკლე მიუბრუნდა უფროს მოხელეს და უბრძანა:

– თბილისში მივდივარ. ჩემ მოსვლამდის სასტიკად უნდა ედევნოს თვალი სანაპიროს. შემოდი ჩემთან და გეტყვი, რა ბრძანება უნდა დამზადდეს ამის შესახებ.

– მინდოდა მჯობინაძეც გამეგზავნა სანაპიროში, – მიუბრუნდა მეფე გიორგის, – მხნე ახალგაზრდაა, მაგრამ დეე შინ დარჩეს: გუშინდელს დანიშნულს დღეს სალაშქროდ ვერ გავგზავნი.

– ბედი აქვს სარიდანს, – თქვა ბატონისშვილმა, – აქ თქვენი წყალობა, იქ – შეუდარებელის ელოსი.

ანდრო გაფითრდა, გულშეწუხებული იატაკზე დაეცემოდა, თუ არ მიშველებოდნენ. მეფემ შენიშნა, ცოტა ხანს ჩააკვირდა თავის საყვარელ მსახურს და გულნატკენი გატრიალდა.

მველ ოჯახში ვნახე ანდროს ნაქონი რვეული და ხანჯალი. რვეულში ერთ ადგილას ეწერა: „მარიამობის 21-ს. ველირსე ელოსაგან ყვავილის მიღებას; თუმცა პირდაპირ არ გადმომცა, მაგრამ...“ იქვე იდო თითქმის მტვრად ქცეული ყვავილები. შემდეგი ფურცლები ამოხეული იყო, ბოლო ფურცელზე ეწერა: „აღარას გამოველი ცხოვრებისაგან. სატრფოვ! ნეტა, შენი ცრემლი ეპკურებოდეს ჩემს საფლავს.“ რვეულის ყური შავად არის ჩალაქავებული, ხანჯალსაც ისეთივე ლაქები აჩნია.

– ეს ნივთები ბებიაჩემის ელენეს ნაქონია. ისე არ ამოიღებდა ცხოვრებული ამეებს, რომ თვალზე ცრემლი არ მოსვლოდა, – მითხრა მოხუცმა მანდილოსანმა, რომელმაც მიჩვენა ეს ნივთები.

1893 წ.

ს ვ ი მ ო ნ ხ ე ლ ი

1

სპარსეთი 1578 წელსაც ისევ ღელავდა. ისმაილ-შაჰის მოკვლის შემდეგ ყვენად ხუდაბანდი იყო გამოცხადებული, მაგრამ ბევრს ვერ შეეთვისებინა ის აზრი, რომ ირანის მფლობელად შეიქნა ეს საპყარი კაცი. იმასაც თავის ძმის შაჰ-ისმაილის ბედი ეწეოდა, თუ დარაჯად არა სდგომოდა თვისი დედა – შაჰ-თამაზის მეუღლე მარეხი, ოთარ შალიკაშვილის ქალი. ამ აზრიანმა და გამბედავმა დედაკაცმა დასვა ხუდაბანდი ირანის ტახტზე. ირანის გამგებლობაც ეხლა მარეხს და მის ერთგულებს ეჭირათ ხელში.

ადვილი არ იყო ამ დროს ირანის მართვა, დიდ წინდახედულობას და სიფრთხილეს ითხოვდა საქმე როგორც შუაგულ სპარსეთში, ისე სანაპიროებში. ეს აღონებდა დედოფალს. ეხლაც მძიმე საქმისათვის მოეხმო მას თავის ერთგულები და იმათ ლოდინში ღრმად ჩაფიქრებულიყო. შავ ტანისამოსში ქართულად შემოსილ დედოფალს ქირმანის შალი ბეჭებიდან ჩამოსცურებოდა, ჭაღარა ნაწნავების ბოლოებსღა ჰფარავდა. ძვირფასი გულისქინძისთავი უბრწყინავდა ჭრაქების შუქზე, რომლებიც ვერცხლის შანდლებზე იყო დამაგრებულები. სუნნელოვანი ზეთი იწვოდა ჭრაქებში. ქარვის კრიალოსანს ათამაშებდა, მარცვლის ჩახუნი მკაფიოდ გამოისმოდა. გაშლილი წერილი ედვა მუხლებზე.

დედოფლის მოშორებით იჯდა მღვდელი ზაქარია. ის საქართველოდან მოჰყვა მარეხს. თუმცა დედოფალმა მაჰმადიანობა მიიღო, მოძღვარს მაინც არ იშორებდა გვერდიდან, როგორც ვერც ის ღვთაებრივი ლამპარი ჩააქრო თავის გულში, რომელიც აეშუქებინა იქ ქრისტეს მოძღვრებას. ყაენიც განზრახ თვალს არიდებდა მაჰმადის რჯულის ამგვარ დარღვევას, რადგან ძალიან უყვარდა დედოფალი.

– ვეწიე სურვილს, ამისრულდა ნატვრა: დავსვი შვილი ჩემი ირანის მფლობელად. მაინც ვერ მომისვენია: ტახტს გამაგრება უნდა, ერთგული კაცების მოპოვებაა საჭირო.

ცუდი ამბები მოდის სანაპიროებიდან: ხონთქარი საქართველოს აოხრებს, დაუთ-ხანი კი განცხრომას მისცემია. ლალა-ფაშამ სპარსეთის სამზღვრები გადმოლახა. მართალია ქურთისტანში დამარცხდა, მაგრამ სამაგიეროდ თბილისი დაიჭირა, – ბრძანა დედოფალმა.

– და მოსრა იქ ქართველობა, შეაგინა წმინდა ეკლესიები!.. – მიუგო ზაქარიამ.

– ახლა შაქ-შირვანს შემოჰსევია, – განაგრძო დედოფალმა, – ეს ამბავი შინაურ მტრებს ფრთებს შეასხამს და ... ღმერთმა ნუ ქნას! მიტანება უნდა საქმეს... საჩინო ბარათაშვილი გამოცდილი კაცია, მისი მონაწერი ჭკუაში მიჯდება. მართაღს ამბობს ის, ოსმალეთი საქართველოში უნდა დავამარცხოთ... მაშინ ჩემი სამშობლოც განთავისუფლდება, ირანსაც ზურგი გაუმაგრდება. სვიმონ მეფე ნიჭიერი სარდალია, იმისი ერთგულება ძვირფასი იქნება ჩვენთვის... იბრაჰიმს რამლის ყრა დავავალე, ნეტა რა ამბავს მოიტანს? ან ნეტავ რას ნიშნავს ეს ჩემი სიზმარი?

დარბაზის ერთ მხარეს ჩამოფარებული ორხო შეინძრა, ფარდის კალთა გაიხსნა და ფეხაკრეფით წარმოსდგა წინ მხევალი.

– დიდებულო დედოფალო! იბრაჰიმი გაიხლათ.

მარეხმა ანიშნა შემოეყვანათ მოგვი, იბრაჰიმი მდაბლად მიესალმა დედოფალს და მოწიწებით დაჯდა, როდესაც უბრძანა დედოფალმა.

– ბრწყინვალე დედოფალო ირანისავ! ავასრულე ბრძანება თქვენი, ვყარე რამლი, დავათვალიერე ვარსკვლავთა წყობაც.

– მერე?

– გაბრწყინდა ვარსკვლავი საქართველოსი, დაუახლოვდა მნათობს ირანისას, შუქი შეჭვინა მას, მაგრამ უეცრად შეირყა იგი და ბინდი გადაეკრა.

მღელვარება დაეტყო დედოფალს. მარცხენა ლოყა აუთამაშდა, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მალე შეიკავა თავი.

– დიდება შენს განგებას, უფალო! ჩემი სიზმარიც იქნება მაგისტანავე ამბის მომასწავებელი იყოს.

– რა იხილეთ, დედოფალო?

– ვნახე ვითომ სვიმონ მეფე მეტეხის კლდეს გადმოსდგომოდა ხმალამოწვდილი. ებრძოდა ვეშაპს, რომელიც გარს შემორტყმოდა ციხეს. ვეშაპის სისხლი ნაკადულად ჩადიოდა მტკვარში. უეცრად მეფის ხმალი და მარჯვენა ბნელით დაიფარა. მომესმა ხმა მისი: „ისევ აქ?! ისევ ესე?!“ შევკრთი, გამომეღვიძა.

– სვიმონ მეფეს დიდება მოელის და იგი დიდება სპარსეთისათვისაც სასახელო იქნება, მაგრამ ბოლოს ისეთი ამბავი შეუშლის ხელს, რომელიც ერთხელ კიდევ წაჰკიდებია მას! – მიუგეს ზაქარიამ და იბრაჰიმმა.

2

ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც მოახსენეს დედოფალს: ვეზირი, საჭურისთუხუცესი და საქართველოდან მოსული კაცი გაიხლენო.

ახლად შემოსულები მიესალმნენ დედოფალს და წარუდგინეს იასე ორბელიანი. შუა ხნის კაცი იყო იგი. მის ვაჟკაცურ საქმეს მრისხანე გამოხატულობას აძლევდა ხმლის კვალი, რომელიც შუბლზე ალმაცრივ ჩასდევდა. ორბელიანმა ხელზე აკოცა დედოფალს და მოახსენა:

– ბრწყინვალე დედოფალო ირანისა! ბედნიერი ვარ, რომ მეღირსა პირისპირ ნახვა თქვენი!

– მესიამოვნა, როდესაც წავიკითხე შენი მოსვლის მიზეზი. გვიამბე პირადად. გვსურს მოვისმინოთ და მოვიფიქროთ, – ბრძანა დედოფალმა.

– რასაც წერილით მოგახსენებენ საქართველოს დიდებულები, პირადად იმას გევედრებით ვიცით. ვიცით, არ დაგვიწყებიათ სამშობლო, ირანზე ნაკლებად არ გიყვართ ის. დღეს თქვენა ხართ საქართველოს იმედი; უნდა გაგვინთავისუფლოთ სვიმონ მეფე! გამოცდილი სარდალია: ჯერ ნეტარხსენებულ ლუარსაბის დროსვე გაითქვა სახელი, მემრე დაუთ-ხანს, მოგეხსენებათ, რა ყოფა დააწია. თავსაც გაიტანდა სამეფოს სადიდებლად, თუ ყორღანაშვილს არ ეღალატნა. ხალხსაც ძლიერ უყვარს სვიმონი; უკეთეს ქართველებს თვალი ირანისკენ უჭირავთ, სადაც დატყვევებულია ჩვენი იმედი. გევედრებით, აგვისრულო სათხოვარი, შენი მრავალტანჯული სამშობლო გევედრება!

– მართალს ამბობ, არ დამვიწყებია საქართველო. მიყვარს სპარსეთი, ჩემი ახალი სამშობლო, მაგრამ მიყვარს საქართველოც, ჩემი აკვანი. საქართველო უმცროსი ძმია ირანისა, ამათ მხარი მხარს უნდა ჰქონდეთ მიცემული; უფროსმა მფარველობა უნდა გაუწიოს, უმცროსმა არ უნდა უღალატოს, სხვას არ მიემხროს.

– დიდებულო დედოფალო! ნუ დაივიწყებთ, რომ სვიმონ მეფემ სახელი სპარსეთთან ბრძოლაში გაითქვა, – თქვა საჭურისთუხუცესმა.

– საქართველოს მტრებთან ბრძოლაში! სპარსები მაშინ მტრები იყავით. მეგობრებისათვის კი სვიმონ მეფეც, მთელი საქართველოც თავს დასდებენ, – მიუგო იასემ.

– სპარსეთს საქართველო მხოლოდ მაშინა მტრობდა, როდესაც ირანი მოისურვებდა თავისთან შეეერთებინა ის. ნუ შეეხებით ნურც იმის რჯულს, ნურც იმის ხალხოსნობას; ნუ შეკლახავთ მის თავმოყვარეობას; ნუ ჩაიდებთ გულში მოუსპოთ მას საკუთარი არსებობა, და მაშინ გამოსცდით, რა ერთგული მეგობრობა იცის ქართველმა. დიდი ირანი დაიფარავს საქართველოს მძლავრი მტრებისაგან, პატარა საქართველო განამტკიცებს ირანს ჩრდილოთ კერძო. საქართველო ბუნებით ციხეა შეუვალი და სანამ ეს ციხე სპარსეთისაკენ იქნება, ირანი დაცულია ჩრდილოეთიდან, – მიუგო ზაქარიამ.

– მართალსა ბრძანებ, – ჩამოართვა სიტყვა ვეზირმა, – საქართველო მეგობრად უნდა ვიყოლიოთ და მოკავშირედ; ირანის ჩრდილო სამზღვრები იქ უნდა გავიმადგროთ. ვინც საქართველოს შემუსრავს, იმისთვის ადვილი იქმნება სპარსეთის დამცირებაც. აბა ეხლა საქართველო ძლიერი და მეგობარი სახელმწიფო იყოს, თუ ლალა-ფაშა გაზედავდა შაქ-შირვანში შემოსევას! მაგრამ საჭურისთუხუცესიც ბრძნულ სიტყვას ამბობს: სანდო არის სვიმონ მეფე? ან ოსმალოს, ან რუსეთს რომ მიემხროს?

– არ შეიძლება სვიმონ მეფე პირს გადავიდეს! – მიუგო ორბელიანმა.

– სვიმონ მეფე აღთქმას არ გასტეხს, რადგან იცის, რა ძვირფასია საქართველოსთვის სპარსეთის მეგობრობა, – დაუმატა ხუცესმა.

– ვცადოთ! ოსმალო წინ მოიწევს და მეტი ღონე არ არის. უნდა კი შემოგვფიცოს ერთგულობაზე, – თქვა საჭურისთუხუცესმა.

– ბრძენი კაცი ბრძნულ სიტყვას იტყვის, – მიუალერსა ვეზირმა.

– ვხედავ თანახმა ხართ, აუსრულოთ საქართველოს სათხოვარი. კარგი, თუ დიდებული შაჰიც დაგვეთანხმა, – ბრძანა დედოფალმა.

ბჭობა რომ გათავდა, დედოფალმა სტუმრები აივანზე გაიწვია. ფართო აივანი მარმარილოს სვეტებზე იდგა. იატაკიც მარმარილოსი ჰქონდა შეფერადებული. განიერი კიბე ჩასდევდა ბაღში. წალკოტიდან მოჰქროდა სუნნელება და მოისმოდა შადრევნის ხმა. კიბის აქათ-იქით ბრინჯაოს ფასკუნჯები იწვნენ. სვეტებს წალკოტიდან ამოსული ვარდი აჰხვეოდა. აივანი ფერადი შუშის ფარნებით გაენათებინათ. ერთ მხარეს

ორხოები ეფინა, ბალიშ-მუთაქები ეწყო. შიგადაშიგ სპილენძის დაბალი მაგიდები იდგა ჩუქურთმიანი.

სტუმრები დედოფლის მოშორებით ისხდნენ. მათ ზანგები ედგნენ უკან და ხმაგაკმენდილნი ემსახურებოდნენ, ჩრდილებივით მიდმოდიოდნენ. მოართვეს ოქროს სინებით ხილი, ტკბილეულობა. მოიტანეს შარბათი, სუნნელოვანი სასმელები.

შექცევის დროს საუბარი ისევ საქართველოსა და ირანის ურთიერთობაზე ჩამოვარდა. დედოფალი უფრო დაწვრილებით კითხულობდა ქართველების ამბავს, გამოიკითხა სვიმონის ოჯახობის გარემოებაც, რადგან ხმა ჩასულიყო, მეფის სახლობას უპატიურად ეპყრობიანო. ბაასმა ეხლა უფრო ნათლად გამოარკვია, რომ ის გზა, რომელსაც დედოფალი დაადგა, კარგად იყო მოფიქრებული. მხოლოდ ემინოდათ ხუდაბანდი უარზე არ დამდგარიყო. იცოდნენ, რომ ეს უხასიათო კაცი ხანდისხან საშინლად გაჯიქდებოდა, თუნდაც საქმე ცხადი ყოფილიყო და მოსაწონი.

3

სვიმონ მეფე ამ დროს ისპაჰანში ცხოვრობდა. შაჰ-ისმაილი რომ ტახტზე დაბმანდა, ბრძანება გასცა სვიმონი გაენთავისუფლებინა ალამუტის ციხიდან და მის კარს მიეყვანათ. ისმაილი მაშინ დაუმეგობრდა სვიმონს, როდესაც ორივენი ყალყის ციხეში იყვნენ დაპატიმრებულნი. სვიმონის ხათრით შაჰი ქართველებსაც კარგი თვალთ უყურებდა: კახთ-ბატონის შვილი იასე გაანთავისუფლა ალამუტის ციხიდან და თავისთან მიიყვანა, გაანთავისუფლა მუხრან ბატონი არჩილი და სხვა ქართველები, რომლებიც ტყვედ წაეყვანათ სპარსელებს. ისე რომ ისპაჰანში ეხლა საკამოდ შეგროვდნენ ქართველები და მათი ნატვრა იყო სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ სვიმონის წინამძღვრობით.

შახ-ისმაილის შემდეგ ხუდაბანდ-ყაენიც პატივსა სცემდა ქართველებს, კარგად ეპყრობოდა მათ, სამშობლოში კი არ უშვებდა. ეხლა ყეინს აცნობეს ქართველების სურვილი, აუხსნეს რა სარგებლობას მოელოდნენ სვიმონისაგან და სთხოვეს გაენთავისუფლებინა ის, საქართველოს მეფობა დაებრუნებინა მისთვის.

-თუ სვიმონი ისმალს არ მიიღებს, ვერ მივცემ მფობას! ვიცი ქველობა სვიმონისა, დარწმუნებული ვარ, რომ დიდად დაგვეხმარ ხომთქართან ბრძოლაში, მაგრამ ვერ მივცემ მეფობას: დაუთ-ხანი მაჰმადიანია და ქრისტიანზე ვერ გავცვლი მას!-ბრძნა ყეენმა.

მტკიცედ დადგა ყეენი თავის სიტყვას. ვერ დდის თხოვნამ და რჩევამ, ვერც ვეზირის მეცადინეობამ ველარ გასჭრა. ეს იყო მიზევი, რომ ქართველების დესპანს კარგა ხანი მოუხდა სპარსეთში ცდა.

როცა შაჰთან ვერა გააწყვეს რა, სვიმონს სეუჩნდნენ და რჩევა დაუწყეს, მიელო მაჰმადიანობა. მეფე დიდ უარზე იდგა: ეზიზღებოდა რჯულის გამოცვლა. შიშობდა კიდეც, რჯულს რომ გადვუდგე, ვაი თუ ქართველებმა სიყვარულით აღარ მიმიღონო. ამისთანა მდგომარეობამ დაანაღვლიანა სვიმონი.

-თუ სჯული დავიცვა, სამეფო გამოიხრდება, იქნება არსებობაც მოესპოს მას; თუ თავს ვიდვა სამეფოს დაცვა, სჯული უნდა გავტეხო, რადგან მხოლოდ ამ პირობით მანთავისუფლებს ყეენი,-ფიქრობდა მეფე.

არიცოდა, ამ ორ მოვალეობათაგან რომლი აერჩია-სჯულის დაცვა თუ სამშობლოსი. ორივე ერთად კი არ თავსდებოდა თანაც ბევრი ცდა და ყოყმანი აღარ შეიძლება, რადგან დაუთ-ხანის დაუდევრობამ და უაზრობამ ოსმალები ძლიერ

წახალისა; იმათი ურდოები დაუსჯელად დათარეშობდნენ საქართველოში და სპარსეთის ჩრდილო მაზრებში.

ამ გაჭირვების დროს მარხმა ზაქრია მოძღვარს მიმართა. ეს მღვდელი დუიდი ხანია სცხოვრობდა სპარსეთში. შეისწავლ სპარსული და ბევრს კითხულობდა. გაიცნო ყურანი და მაჰმადიანთა სჯულის სხვა წიგნები, გაიცნო ძველი სპარსული რწმენა, შეისწავლ ინდური მოძღვრებანი, ებრაული სჯული დაქრისტიანული ღვთისმეტყველებ ხომ ისეც იცოდა ის ადარებდა ამ სხვადასხვა მოძღვრებებს ერთმანეთს და დაინახა, რომ ყოველი სჯულის დედააზრი ერთი და იგივეა, ყველა ეს მოძღვრებები თავიანთ არსებით ნაწილში ჰგვნიან ერთმანეთს. ყველა ესენი აღიარებენ მიუწვდომელ არსებას, რომელიც არის შმოქმედი ყოველის და დასაბამი კეთილისა. თანაც ყველა მოძღვრება იმასა თხოულობს ქმნილებისაგან, რომ ის ზნეობით და მოქმედებით უახლოვდებოდეს ყოვლად სრულ შემოქმედს.

ყველა სჯულისათვის ამ საერთო ჭეშმარიტების ქვეით იწყება გარჩევა მოძღვრებებში აქვე იწყება ერთი ხალხის მეორისგან სარწმუნოების მხრივ გაცალკავება და სიმულვილი, გარნა ეს მცირე ხარისხოვანი და დროებითი მოვლენაა. ბოლოს ეს განსხვავებანი უნდა მოისპოს და უმთვრეს ჭეშმარიტებამ უნდა შეაერთოს რწმენის მხრივ მთელი კაცობრიბა, მაშინ შეიქმნება ერთი სამწყსო ერთის მწყემსისა თუ ეს ასეა, მაშ განვითარებული კაცისათვის რად უნდა იყოს მომაკვდინებელი ცოდვა უარჰყოს მეორე ხარისხოვანი წესები რომელიმე სჯულისა, თუ ამას მოითხოვს სამშობლოს დაცვა? თვის ერისა და სამშობლოს დაცვა წმინდა მოვალეობაა. როდესაც ებრაელთა ერი ცოდვებისათვის უნდა აღგვილიყო პირისაგან ქვეყნისა, მოსემ შესთხოვა ღმერთს, შეეწირა სული მისი მსხვერპლად, მისი სახლი ამოეშალნა საუკუნო ცხოვრების წიგნიდან, ერისთვის კი შეენდო შეცოდება და დაეფარნა. ეს ფიქრობდა მოძღვარი და დაასკვნა, ერჩია სვიმონისათვის მაჰმადიანობის მიღება ხალხის დასაცველად.

როდესაც ამ აზრით ზაქრია ეახლა სვიმონს, იმასთან არჩილ მუხრან ბატონი იყო. კარგ დროს მივიდა მოძღვარი: სვიმონს და არჩილს ამავე საგანზე ჰქონდათ საუბარი და მეფე თითქმის დაეძლია სამშობლოს სურვილს. მოძღვარმა განუმარტა ყოველივე და სთხოვა მიეღო მჰმადიანობა. სვიმონს დიდი მღელვარება დაეტყო.

-თუნდ ეს ჩემი მსჯელობა ამაო იყოს, თუნდ მაცდურისაგან მქონდეს ეს ჩაგონებული, -ეუბნებოდა ხუცესი, -შესწირე სული შენს სამოხლს! მეც შევწირე სული ჩემი ჩემს ქვეყანას, რადგან მე, შენს მაცთუნებელს უფრო დიდი ცოდვა მიმიძღვის: უმჯობესია, იტყვის უფალი, ლოდი მოიბას ადამიანმა და ზღვაში გადავარდეს სინამ აცდუნოს ვინმე.

-მამაო, თუ შენ, ერთი ხუცესი ვინმე, სულსსწირავ სამშობლოს, მე, მეფე საქართველოსი ვერ ჩამოგრჩები! ილოცეთ ყველამ, მიიღოს უფალმა მსხვერპლი ჩემი.

-შენგან განთავისუფლებული საქართველო ერთხმად შეევედრება შენთვის უფალსა!-მოახსენა არჩილმა.

-სულსა სდებ ერისათვის და შენგან ხსნილი ერი უკვდავგყოფს შენ! მისი ლოცვა გუნდრუკად აეფინება საქართველოს. მფარველის წინაშე და იგი იმ ლოცვას მსხვერპლად მიართმევს თვის უკვდავ ძეს, -მიუგო მღვდელმა.

სვიმონმა სთხოვა მოძღვარს დაელოცნა იგი უკანასკნელად. მოძღვარმა ამოიღო ჯვარი. სმივემ მუხლი მოიდრიკეს. მეფე იატაკზე დამხობილი ტიროდა და მისი ცრემლი ანგელოსებს აჰქონდათ ყოვალდა მოწყალესთან.

შაკ-ხუდაბანდს ძლიერ უამა, როცა სიტყვა გაიყვანა და იმისთანა თავისნება კაციც კი დაიყოლია, როგორც სვიმონი. მით უფრო უხაროდა ხუდაბანდს, რომ გამარჯვებას მხოლოდ თავის გავლენას აწერდა. მოისურვა ხელმწიფური პატივი ეცა სვიმონისთვის. დანისნა დარბაზობა.

კრება სასახლის დიდ დარბაზში გამართეს. დარბაზის იაკი ფერადი მარმარილოთი დაგებული, ჭერი და კედლები ჩუქურთმით და მინანქრით შემკული. ჭერზე და კედლებზე გამოყვანილი ყეენტა სურათები, ისტორიული შემთხვევები, ზღაპრული ამბები, საოცარი მცენარე თუ სულდგმული. სამეფო ტახტი დაფენილი თეთრი ფარჩით, რომელსაც გარშემო თვალ-მარგალიტით ნაქსოვი ბაბთა ევლო. ტხტის ზურგზე თვლებით გამოყვანილი სამეფო ღერბი. ტახტზე ბრძანდებოდა ხუდაბანდი სრულ სამეფო ტანისამოსში. ტხტის აქათ-იქით და უკან ჩამწკრივებული იდგა ცსრა ყმაწვილი ერთგვარად ჩაცმული.

ყმაწვილებს უკან მწკრივადვე იდგა ძვირფასად მორთული და შეიარაღებული ახალგაზრდობა. ხელსი ოქროთი დასევადებული თოფები ეჭირათ კონდასხებით. დარბაზი სავსე იყო დიდკაცობით. ათასფერი მორთულობა კაცს თვალსა სტაცებდა. ამოდენა ხალხი ისე ჩუმად და უძრავად იდგა, ადამიანს ზღაპრული სასახლე ეგონებოდა მოჯადოებულ - გაქვავებული. შემოიყვანეს იასე ორბელიანი და ტახტის წინ წააყენეს.

-წავიკითხე საქართველოს დიდებულების წერილი და გავიგე, რის სავედრებლად მისულხარ ჩემს კარს. დღეს მოისმენ ჩემს ნებას!- ბრძანა ყეინმა.

-შენი სიბრზნე და სიკეთე ეფინება ქვეყანას, როგორც სხივი მზის. მრწამს, რომ მოწყალედ გადმოხედავ საქართველოს!- მიუგო იასემ.

შემოიყვანეს სვიმონ მეფე და ქართველი ტყვეები. სვიმონ მუქ ტანისამოსში იყო. თვალ- მარგალიტით მოჭედილი ოქროს სარტყელი ერტყა და მოოჭვილი ხანჯალი. სხვები უიარალოდ იყვნენ. სვიმონ წარსდგა და მეფურად მიესალმა ყეენს. მისმა ქცევამ და შეხედულობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს მოდარბაზეებზე.

-დღეს, როდესაც მიიღე მაჰმადიანობა და შეასრულე სურვილი ჩემი, სასიამოვნოა შენი ნახვა. ქართველებისათვის თავი შეგიყვარებია ვაჟკაცობით, მათ შეზე დაუმყარებიათ თვისი იმედი, მთხოვენ, გაგანთავისუფლო. მომინიჭებია მეფობა! შენ იქმნები მარჯვენე ჩემი საქართველოში!

- მარჯვენე ჩემი არდაიღლება სპარსეთის სამსახურით, სინამ სპარსეთი მფარველად ეყოლება საქართველოს. შენს მოწყალეობას კი ვერ დავივიწყებ სიკვდილამდინ!

-ვისაც მეგობრად დავსახამ, მას უნდა მოეფინოს წყალობა ჩემი!- ბრძანა ყეინმა და მარჯვნივ დაისვა სვიმონი.

გამოიტანეს სამეფო თაჯი. შემოსეს სვიმონი სამეფო ტანისამოსით. ქართველებმა თავი ველარ შეიმარგეს და შესძახეს:

-გაუმარჯოს ბრწყინვალე ხუდაბანდს! გაუმარჯოს სვიმონ მეფეს!

-მეფეო სვიმონ! წადი საქართველოში, გაანთავისუფლე სამშობლო შენი მტერთაგან და იყავ ერთგული ჩემი ტხტისა.

სვიმონ წამოდგა და მოახსენა ყეენს:

მეფეთ მეფეო! დღეს მეორედ მივიღე ხელმწიფობა. ისევ მეღირსა ვნახო ჩემი ოჯახი, ჩემი სამეფო, ჩემი სამშობლო. ამის დავიწყება არ შეიძლება!

- განმითავისუფლებია ყველა ქართველი ტყვეები.

-სვიმონ მეფეს და საქართველოს მფარველ შაჰ-ხუდაბანდს შევეწირებით!- შესძახეს მათ აღტაცებით და წარსდგნენ სათითაოდ, თაყვანი სცეს ყვენს და სვიმონს.

გამოიტანეს ოქროს ლანგრებით იარაღი, ძვირფასი ტანისამოსი და ყველა საჩუქარი, რაც კი შაჰს ქართველებისათვის ეწყალობებინა. იქ იყო მეფისთვის კაბა, სარტყელი, გვირგვინი, ხმალი, მარგალიტის საბუხრები, ცხენის შეკაზმულობა ოქროსი, ოქროს სურა და თასი. ყველა ქართველისათვის ტანისამოსი, იარაღი, ცხენის შეკაზმულობა. აგრეთვე მისცეს ყველას ცხენი და სახარჯო. სვიმონს მისცეს ცხრა ათასი თუმანი ოქრო. გასცა ბრძანება, სვიმონ მეფეს მგზავრობაში დახმარებოდნენ, მიეცილებინათ საქართველოს სამზღვრებამდის და იქაც შემწეობა აღმოეჩინათ მისთვის. ამ ბრძანების ქალაქი მდივანმა გადასცა სვიმონს.

დარბაზობა თავდებოდა, როდესაც შემოვიდა დედოფლის კარის კაცი და შემოიტანა ხმალი, რომელსაც ლეჩაქი ეხვია ტარზე. მოსულმა თქაყვანი სცა ყვენს, მიართვა ხმალი სვიმონს და მოახსენა:

-სვიმონ მეფე! დიდებულმა ირანის დედოფალმა გიბოძათ ეს!

გაუკვირდათ: ვერ გაეგოთ ლეჩაქის მნიშვნელობა. სვიმონი მიხვდა. გაიღიმა, ჩამოართვა ხმალი და წარმოსთქვა:

-ხმლით მოვსრავ საქართველოს და მის მფარველის ბრწყინვალე ხუდაბანდის მტრებს; თუ გავტეხო აღთქმა, ლეჩაქი მეხუროს!

ძლიერ ესიამოვნათ დედოფლის ქცევა და სვიმონის სიტყვა.

გათავდა დარბაზობა. ყვენი რომ მიბრძანდებოდა, საკრავების ხმა ისმოდა; ირანული ჰანგები გულსა სწვდებოდნენ.

5

საჩინო ბარათაშვილმა სვიმონის მომხრეების წერილი რომ გაგზავნა ირანში იასე ორბელიანის ხელით, ეს საქმე ფარულად მოახდინა: ეშინოდა მტრებმა ხელი არ შემოშალონო. დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა კი იცოდა ეს, მაგრამ უბედობისაგან გული ჰქონდა გატეხილი და იმედი დაკარგული. მაშინ უფრო დაკარგა დედოფალმა სასოება, როცა ბარათაშვილმა შემოუთვალა, სპარსეთიდან პასუხმა დაიგვიანა და წამოსასვლელად მოემზადენით: მეშინიან, მანდ არ აგიტეხონ რაო.

დედოფალი ამ დროს კავთი ხევში ცხოვრობდა თავის შვილებით. უბრალო სახში იყო დაბინავებული. ეზოს ტყრუშელი ერტყა. მეფის ოჯახობა უპატრონოდ დაეტოვებინათ დაღონებული; ორიოდე ერთგულია ახლდა. სახლი ღარიბულად იყო მოწყობილი, რადგან კახთ-ბატონის ალექსანდრეს წაქეზებით, მისმა სიმამრმა ბარდიმ ამილახვარმა და ელიზბარ ქსნის ერისთავმა აიკლეს დედოფალი. მაშინ იყო, ხალხი რომ ამბობდა: «ვაი სვიმონ მეფის საქოჰნელსაო!»

მოწყენილს, შავ ფიქრებით მოცულ დედოფალს სახლთხუცესის ლოდინში ძილი გაჰკრთომოდა. თუმცა ღამე გატეხილი იყო, ის ისევ აივანზე იდგა და თვალს ადევნებდა კუდიან ვარსკვლავს. მიღეული მთვარე ვერ უსუსტებდა ამ ვარსკვალს შარავანდეთს, ის ბრწყინვალედ გადარტყმოდა ცის კამარის და ბოლო ფართოდ გაიშალნა. დედოფლის ახლოს იჯდა მოხუცი გეგენა, სვიმონის შინა ყმა.

-ნეტა რა უბედურებასლა გვიქადის ეს კუდიანი ვარსკვლავი? -ფიქრობდა დედოფალი. -რა ხვთის წყრომის ნიშანია?.. დედაო ღვთისაო, დაგვიხსენ განსაცდელისგან! განა არ გვეყო?! სვიმონი ტყვედ არის, სამეფოს მტერი აოხრებს, ჩემმა მაზლმა დავითმა სჯულთან ერთად პატიოსნებაც დაჰკარგა: ზის ქვეშის ციხეში და

განცხრომას მისცემია. ბარძიმ ამილახვარმა და ერისთავმა ელიზბარ... ღმერთო! ვინ მოიგონებდა, რომ ისინიც გადაგვიდგებოდნენ და გაჰბედავდნენ ჩვენს აოხრებას?! ეს სულ ჩემი ძმის ალექსანდრეს საქმეა, იმ ხვთის გარეგნიოსა. ორბელიანისაგან არა ისმის რაო... იწერება საჩინო. ნეტა მიახწია კი იასემ ყენის კარამდინ? იქნება სვიმონს აუტეხეს რამე?! უწინამც დღე დამელევა?... საჩინოს შემოუთვლია, მანდ თქვენი ყოფანა საშიშოა, უნდა წამოხვიდეთო. უნდა გავეშურო, ისლა გვყავს ერთგული. ნეტა რა იქნა აქამდის სახლთხუცესი?

ამ ფიქრებში იყო გართული ნესტან-დარეჯანი, როდესაც ოთახიდან გამოვიდა მისი ქალი ელენე; თან გამდელი მოსდევდა. ქალს თმაგაჰშლოდა, ბეჭები დაეფინა, ყელზე მარგალიტის ფარული ეგდო-ერთადერთი სამკაული, რომლის დამალვაც მოასწრეს აკლების დროს.

-დედიჯან! ძლივს დაიძინა გიორგიმ, შფოთავდა.

-კარგი, შვილო, თითქოს შეუძლოთ არის ყმაწვილი. იქნება ბოლმაც აწუხებს: ამაყია, ვერ აუტანია ჩვენი დამცირება. უბედურ ვარსკვლავზედა ვართ დაბადებულნი.

-ნუ სწუხართ, დედოფალო? საქართველო და მისი მეფეები ბევრჯელ ყოფილან გაჭირვებულნი, მაგრამ გამარჯვებულნი გამოსულან განსაცდელიდგან. ისევ გნახავთ ბედნიერს და მხიარულს. მე რომ ბატონ სვიმონს ვიცნობ, ის ისე ადვილად არ დაჰმორჩილდება ბედს.

-ღმერთმაჰკითხოს ყორანაშვილს! იმან გასცა მეფე, თორემ ირანელები ვერ შეიპყრობდნენ სვიმონს ფარცხისის ომში.

-არა, ძალიან შეუპოვარია ის კურთხეულიშვილი. ტყუილად კი არ ემახიან ხელს. პატარაობაშიაც ეგეთი იყო: ყოველდღე რამე ხიფათს უნდა შეჰმთხვეოდა. ნეტარ ხსენებულ ლუარსაბ მეფეს ძალიან უყვარდა გულადობისთვის, მაგრამ სულ ეშინოდა, აიტეხს რსმეო.

-შეხედეთ, გენაცვა, შეხედეთ, რა ძალიან ანათებს ვარსკვლავი! თითქო კუდი თანდთან ეფურჩქნება, ნეტა იმისთანა თმები მქონდეს! ნენე, რა არის კუდიანი ვარსკვლავი?-ჰკითხა გამდელს ელენემ, რომელიც დერეფნის ბოძს მოჰხვეოდა და ცას შეჰყურებდა.

-ღვთისგან მოვლინებული მომასწავებელია, ბატონიშვილო! ღმერთი ყოველთვის წინათვე გვაცნობებს, თუ განსაცდელი მოგველის.

-მაშ კიდევ უნდა მოგვივიდეს უბედურება რამე?

-არა, მშვენიერო, ეს კუდიანი ვარსკვლავი ჩვენ არაფერ ცუდს არ გვიქადის: ჩვენთვის რომ იყოს მოვლენილი, მაშინ თავი ექნება ჩვენკენ, ეხლა კი კუდი აქვს ჩვენსკენ.

6

ამ ლაპარაკსი იყვბნე, როდესაც აივანზე ამოვიდა სახლთხუცესი და მიესალმა:

-აქა მშვოდობა!

-განჰქრა, სახლთხუცესო, მშვიდობა ჩვენი! დღეს დედოფალი ვარ საქართველოსი და დახე, ჩემს მამულში საიმედო სავანე ვერ მიპოვნია.

-ღმერთი ჰფარავს საქართველოს და თქვენც, დიდებულო დედოფალო! გულს ნუ გაიტეხთ.

-მოამზადე?

-სულ ყველაფერი! რაზმი თუმცა მცირეა, მაგრამ ერთგული და გამოცდილი. საჩინო გზაზე შეგვეყრება, ხვალვე უნდა გავემგზავრნეთ. ხმა დავყარეთ, ვითომ უძოში მბრძანდებით სალოცავათ.

-მრავალი მტერი გვყავს, თბილისი თათარს უჭირავს. არ გვიგრძნონ! გახსოვდესთ, რომ თქვენ ხელშია საქართველოს მომავალი იმედი, ჩემი გიორგი!

-მეც მაგის ფიქრში ვარ, დედოფალო! მანამ ვერ მოვისვენებ, სანამ თქვენ ყველას საჩინოსთან არ დაგაბინავებთ.

დედი, დედიჯან! აბა, ყური დაუგდე, რა თქართუური ისმის. ცხენის ფეხის ხმაა, - თქვა ელენემ და დედას მიეკრა.

-ალაყაფის კარები ჩაკეტეთ, გენაცვათ! -დაიძახა დედპფალმა.

-მეფის სახლობა ხელშეუხებელია! -შესძახა სახლთხუცესმა და ხმაღს ხელი გაიკრა.

ხმაურობაზე გამოჰღვიძებო ბატონიშვილ გიორგის და მოვის პერანგისამარა გამოვარდა ოთახიდან. იმავე დროს ალაყაფის კარებთან მოცვივდნენ ცხენოსნებუი. ერთი მათგანი გადმოხტა, ლაგამი ცხენს გადააგდო და შეირბინა ეზოში.

-ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ საქართვეღს დედოფალს და ბატონიშვიღებს. მიხარებია! სვიმონ მეფე გაუნთავისუფლებიათ. დიდებით მობრძანდება საქართვეღოში. გაუნთავისუფლებიათ ქართვეღი ტყვეებიც.

-სვიმონი? გაუნთავისუფლებიათ?! -შესძახა დედოფალმა და ფერი წაუვიდა. - მანუჩარ, მამა გაუნთავისუფლებიათ?! -ჰკითხა ელენემ და უნებღიეთ მიუახლოვდა მახარობღეს, მაგრამ სახლთხუცესი ჩადგა მათ შუა და მკვახეთ უთხრა მოსულს:

-შენ აგირჩია საჩინომ მახარობღად?! შენც და შენი ძმაც ყვარყვარეც ხომ მტრები ხართ სვიმონისა და საქართვეღოსი. საფრთხე რამ დაგიგია მეფის სახლობისათვის!

მანუჩარი აენტო, ხანჯალზე ხელდადებულმა წაიწია წინ.

-მე?.. საქართვეღს მტერი?!..

მაგრამ დედოფალი უკვე მოეგო გონებას და ანიშნა დაწყნარებულიყვენ.

-ინებეთ, დედოფალო, მეფისა და საჩინოს წიგნები, -თქვა მახარობღელმა და მიართვა ფარჩაში გახვეული წერიღები.

დედოფალმა გახსნა წერიღები, ჩააკვირდა.

-სვიმონის წერიღია! გმადღობ, უფალო, რომ შემასწარ ამ ბედნიერებას!

-მანუჩარ, სვიღო, -მიუბრუნდა დედოფალი მოსულს, -შენ სიხარულით აავსე გული ჩემი, დაუვიწყარია შენი სამსახური..

გიორგი გადაეხვია მოსულს. სახლთხუცესს შერცხვა აჩქარებისა.

-მტრებისგან შეშინებულნი ვართ და მაშინვე ვერ გენდე, -მოიხადა ბოღიში.

მაგრამ მანუჩარს აღარ ეცალა სახლთხუცესისათვის: მას თვაღი ვეღარ მოეწყვიტა ეღენესათვის, რომეღიც ათრთოღებული თითებით თმას ისწორებდა.

-აკი მოგახსენე, ბატონისვიღო, ეს კუღიანი ვარსკვღავი ჩვენ ცუღს არას გვიქადის-მეთქი, -მიუბრუნდა გამღელი ეღენეს და დაუმატა: -ხოლო საკუთრივ შენ, ჩემო მშვენიერო, სხვა სიხარულსაც გპირდება კეთიღი მნათობი.

ამ სიტყვების გაგონბაზე ქალს აღმა აჰკრა; მორცხვად დახარა თავი.

თუმცა მაშინ სამცხე ცალკე სამთავროს შეადგენდა და ყვარყვარე ათაბაგი მტრულად უყურებდა საქართვეღოს მეფეს, მაგრამ ხალხში, რასაკვირვეღია, არ იყო მოშღიღი მისვღა-მოსვღა, მოყვრობა და მოკეთეობა. როცა საჩინოს მოუვიდა სვიმონისაგან წერიღი და სპარსეთიღგან დაბრუინების ამბავი, მანუჩარი სემთხვევით მის სახში სტუმრობდა.

ბარათაშვილმა იცოდა, რომ უყვარდა მანუჩარს ელენე, ატყობდა, რომ ელენესაც მოსწონდა ეს ლურჯთვალეებიანი წაბუკი და მახარობლად ის ამოირჩია: იმედი ჰქონდა, რომ ელენეს სურვილით გატაცებული მარდად და ერთგულად აასრულებდა მინდობილობას. საჩინოს სხვა აზრიც ჰქონდა: უნდოდა დაეხლოვებინა საათაბაგოს მემკვიდრე სვიმონ მეფის სახლობისათვის, რომ გაეადვილებინა მეფისათვის მის აზრის განხორციელება- საქართველოს მოწყვეტილი ნაწილების შეერთება.

ბარათაშვილმა მანუჩარი რომ დედოფალთან გაისტუმრა თითონ შეკრიბა რაზმი და სვიმონის შესაგებებლად გაემგზავრა.

7

სწრაფად მოდიოდა სვიმონ მეფე საქართველოს სამზღვრებზე რომ მოვიდა, აღჯაყალას ჩამოხტა. ციხის ეზოში დაუთმეს სადგომი. ჩამოხადეს ბარგი. სვიმონ ტანთ გამოიცვალა, ახალუხი გადიცვა და ისე წამოწვა ტახტზე. ყალიონი ედგა წინ. დაღალვა ეტყობოდა. ორიოდე კაცი იყო მასთან ოთახში.

- ტყვეობამ და დარდმა გამტეხეს: გზა ვეღარ ამიტანია დაღალვა და ავადმყოფობა არ ვიცოდი, ეხლა კი... კარგი, კიდევ, ჩემ სამზღვრებს მოვახწიე! ციხისთავი რატომ არ მეახლება? აცნობეთ ჩემი მოსვლა? - იკითხა სვიმონმა.

- ციხისთავის ნახვა და ყოველივე სარისტა არჩილმა ითავა, ბატონო! - მოახსენა მხლებელმა.

შემოვიდა არჩილ მუხრანბატონი.

- ცხენები და ბარგი დაგვიბინავეს, პატივცემით გვეპყრობიან. ციხისთავი კი არ გამოვიდა, თუმცა ყენის ბრძანება შეუგზავნე. ავადა ვარო, შემოუთვლია სტყუის ცბიერი! ნეტა სპარსელების რაზმი ჯერ არ დაგვებრუნებინა.

- როგორ თუ არ გამოვიდა! მას შაჰის ბრძანებას ეწინააღმდეგება? შევანანებ კადნიერებას, არ მოკვდეს სვიმონ მეფე!

- ბატონო, აჩქარებითა სოფელი არავის არ მოუჭამია!

- მაგრამ არა! მართალს ამბობ, ჩემო არჩილ, მოთმინება სჯობია. მანამ უნარს არ გამოვიჩენ და ძალას არ ვუჩვენებ, ყველა ეჭვით შემომხედავს, ყველა სიფრთხილით მომექცევა. რა იციან, დამრჩება თუ არა გამარჯვება! სპარსების რაზმი კი ... არა, არჩილ, მე ეხლა ჩემ სამეფოში ვარ და იმედი მაქვს, ჩემი საქუთარი ძალით დავიპყრო სამკვიდრო. - მეფე ჩაფიქრდა. მარჯვენა უღვაშზე ეკიდა ხელი.

- არჩილ! ჩვენებმა ისევ აისხან იარაღი, ფხიზლად იყვნენ. ყარაულები დააყენეთ გარეთ კარს. პატივისცემით კი მოეპყარეთ ყველას.

- ბატონი ბრძანდები! - მიუგო არჩილმა და გატრიალდა.

- განა თქვენი გამოცდილი თვალი საეჭვოს ხედავს რასმე, ბატონო? მაშ ჩვენც ავისხავთ იარაღს, - მოახსენეს მხლებლებმა.

- ემჯობინება! ისეთ გარემოებებში ვართ, რომ წინდახედვით უნდა ვიქცეოდეთ. ჯერ ყენის ფირმანის მეტი ძალა ხომ არა გვიჭირავს რა ხელში. დაუთ-ხანის ან მისი მომხრეების ერთი მარჯვე ნაბიჯი და ჩვენი დალუპვა ერთია. ესა მქონდა აზრად, კაცი რომ დავაწინაურე და ვუბრძანე ბარათაშვილს მოგეგებებოდა. აქამდინ უნდა შემოგვეყროდა კიდევ.

ამ ლაპარაკში იყო მეფე, როცა გაიღო კარი და შემოვიდა საჩინო ბარათაშვილი.

- ბატონო მეფევ! ბატონო სვიმონ! - შესძახა იმან და ცდილობდა ხელზე ეკოცნა მისთვის.

სვიმონი წამოდგა და გადაეხვია.

- საჩინო, ჩემო მეგობარო, ჩემო ერთგული!

- სხვებიც გყვანან, ბატონო, ერთგულები! თქვენ რომ გნახეთ განთავისუფლებული, მითომ სამშობლო მინახავს თავისუფალი. რა გაეხარდება თქვენ სახლობას! რა აღტაცებაში მოვა მთელი საქართველო!

მოკითხვა რომ გაათავეს და დასხდნენ, საჩინომ ისევ დაიწყო:

- მოვიდა თუ არა თქვენი კაცი, მაშინვე მახარობელი ვაფრინე დედოფალთან. ათაბაგის ძმამანუჩარი გავგზავნე, ძალიან გაეხარდა. სტუმრად იყო ჩემთან და შემთხვევით ვისარგებლე. დედოფალიც და ბატონოშვილებიც კარგად არიან. ის იყო ვემზადებოდი მათ წამოყვანას, რადგან ფიქრი მქონდა.

- მაღლობა ღმერთს, მშვიდობით ყოფილან! - თქვა მეფემ და განაგრძო: - მანუჩარი გავგზავნეო?! ჩვენია განა მანუჩარი?

- მთლად საიმედოა! ცხოველსმყოფელი ჯაჭვით არის თქვენ სამეფო ტახტთან შეჭედილი. - მე დავწინაურდი, - განაგრძო საჩინომ, - რაზმიც საცაა მოვა. ახ, ბატონო, რა ცუდ დროს გვიღალატა მაშინ ბედმა!

-მართალს ამბობ! სამეფო თითქმის განთავისუფლებული მქონდა მტრისაგან. ვამბობდი, ეხლა კი შევძლებ მთელი საქართველოს შეერთებას და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას-მეთქი ავასრულებდი კიდევ, თუ ფარცხისის ომში ყორღანაშვილს არ ეღალატნა.

- მაშინ ბრძოლაში ერთობ წინ წაიწიეთ, ბატონო. სულ სამოცამდინ კაცი ძლივს მოგყევით, - ჩაერია ლაპარაკში ერთი, რომელიც სვიმონთან დაეტყვევებინათ მაშინ სპარსებს.

- აღმაშენებლის და თამარის ანდერძი მაინც თქვენ უნდა შეასრულოთ და შეაერთოთ საქართველო. ჯერ დრო წასული არ არის. თქვენ სიმხნეს ახლა დიდი გამოცდილება მიემატა. ყორღანაშვილი კი იუდა იყო და ისევ მოელო ბოლო, -მოახსენა ბარათაშვილმა.

-როგორ, ყორღანაშვილი აღარ არის?

-გული ყარნახის ხევშია დათხეული მისი არამი სისხლი. კოჯრიდან მოვდიოდი. გზაზედ შემომეყარა. დავაჭერინე, ხევში გადავამზღვრევინე.; მივაძახე: თუ მეფისა და ქვეყნის გაცემი კეთილი საქმეა, აპა, ნახე-მეთქი. ლექსიც გამოუთქვეს: «ყორღანაშვილ ქარაფინდას, ხელი ჰქრეს და გადაფრინდა».

-ღირსი იყო! პატიება არ შეიძლებოდა. კარგია, უჩემოდ დაგისჯიათ. სხვებს კი არ მინდა ჯიბრში ჩაუდგე: ვინც ჩემკენ გადმოვა, მივიღებ.

-მეფური სიტყვაა! მოყვრები გვიჭირს, მტერს ნუ გავიმრავლებთ, -თქვა საჩინომ და შეყოყმანდა. უნდოდა ეხლავე ემზნა ბარძიმ ამილახვარის და ქსნის ერისთავის ავაზაკობა, ეთხოვნა ღმობიერად მოჰპყრობოდა იმათაც, მაგრამ ეშინოდა, ძლიერ არ გარისხნდეს მეფეო. ამ მდგომარეობიდან საჩინო სიმღერის ხმამ გამოიყვანა, გუგუნნი რამ მოისმა, თანდათან ახლოვდებოდა.

-ჩემი რაზმია!-თქვა საჩინომ კმაყოფილებით.

შემოვიდა არჩილი და მოახსენა, ბარათაშვილის რაზმი თქვენ ნახვას თხოულობსო. სვიმონს სახე გაუბრწყინდა, ადგომა დააპირა.

-არა, ბატონო, ბრძანდებოდეთ!-მოახსენა ბარათაშვილმა, -მარტო უფროს კაცებს შემოვიყვან. ხვალ კარგად იქნებით და ეჩვენებით.

საჩინო შემოუძღვა მეფესთან რამდენსამე შეიარაღებულ კაცს. მიესალმნენ. მეფემ ყველას აკოცა.

ციხის თავმა გაიგო ბარათაშვილის მოსვლა, მიხვდა, რომ ეს სახუმრო საქმე აღარ იყო, დაიბარა არჩილი, გამოჰყვა მეფესთან, მართვა ვერცხლის სინით ციხის გასაღები და მოახსენა:

-ჩამიბარებია ციხე; თქვენ გამორჩილებთ აღჯაყალა: ესე ჰსურს ირანის მფლობელს დიდებულ ხუდაბანდს!

სვიმონმა გასაღები ისევ ციხის თავს გადსცა და უბძანა:

-შენთვისვე ჩამიბარებია ციხე! ბრწყინვალე ხუდაბანდის ერთგულებს ჩემ მეგობრებად ვსთვლი. მხოლოდ მოამზადე ორმოცი კაცი, რომ თან გამომყვინენ: შენგან გაწვრთვნილი მხედრობა დიდ სამსახურს გამიწევს.

მემრე უბრძანა საჩინოს:

-გადაარჩიე შენი რაზმიდან ოცი მეომარი, დაუნიშნე უფროსი და ციხის თავს ჩააბარე!

8

არჯაყალიდან დაწყებული, სვიმონის მგზავრობა ერთი განუწყვეტელი დღესასწაული იყო: ხალხი ახტაცებითა ხვდებოდა გზა-გზა, ციხეებიდან გამოდიოდნენ მეციხოვნენი და დროშა გაშლილი სიმღერით ეგებებოდნენ საყვარელ მეფეს. სვიმონს გული უჩუყდებოდა, ამგვარ სიყვარულს რომ ხედავდა და ეს გაუტეხელი ვაჟკაცი ცრემლს ველარ იკავებდა.

მამულის სეგნებული შვილები ეგებებოდნენ მას, როგორც მთელს საქართველოს მეფეს; ხალხი ეგებებოდა მას, როგორც ზლიერ მმართველს, რომელიც ნებას არვის მისცემდა კანონი გადაეხლახნა და ხალხი დაეჩაგრა.

არც სვიმონის მოწინააღმდეგე ქართველებს, არც ოსმალებს არ ეგონათ, რომ ხალხის მეფისადმი სიყვარული ასე უეცრად იფეთქებდა! იმათ ამბაცვმა მოუმზადებლებს მოასწრო. დაუთ-ხანი მხოლოდ კვებნაში იყო:

სვიმონი თავის ფეხით მოდის ჩემთან, აჰა, დამატყვევეო!

არც ეცალა დაუთ-ხანს: ეს განსწავლული კაცი ხასიათფუცი გამოდგა და ქეიფში ჰლეუდა თავის დღეს.

მხოლოდ ქსნის ერისთავი და ბარძიმ ამილახვარი გძნობდნენ მართალს და იცოდნენ რა განსაცდელი მოელოდათ მათ, რადგან შეუნიდობელი ცოდვა ცაიდინეს მ.ეფის წინ. საჩქაროდ შეკრიბეს ცოტაოდენი ჯარი და გაემართნენ ქვეშის ციხისკენ, სადაც მაშინ ცხოვრობდა დაუთ-ხანი. ღამე მივიდნენ.

ქეიფობდა დაუთ-ხანი. მოიკეცნა ძვირფასად დაფენილ ტახტზე. ახალუხი გახსნილი ჰქონდა, საკინძი ჩამოხსნილი. ბუზმენტებიან წითელ მოვის პერანგზე ოქოს სარტყელი ერტყა სამეფო. ფესი ქეჩომდინ გადაეწია. სანდომი ქალი უჯდა გვერდით. მომსხო ტუჩები წითლად უღვიოდნენ ზულეიმას. ზევითი ტუჩი ცოტა ასწეოდა, აღმასი კბილის წვერი უჩანდა. კუპრივით თმა წვრილ კულულებად ეყარა ბეჭებზე და ღია მკერდზე. ქალის უდარდელ კასკასს ეშხზე მოჰყვანდა ყველა. ცოტა მოშორებით რამდენიმე ახალგაზრდა იჯდა. ტახტის ბოლოს პატარა ჩიბუხჩი იდგა ყალიონით ხელში. ტახტის პირდაპირ მომღერლები და მესაკრავეები ჩამწკრივებულიყვნენ. მერიქიფე და მსახურები ფეხსე იდგნენ. სუფრა სავსე იყო ხორაგით.

დაუთ-ხანი ერთხანს ახტაცებით ჩაჰყურებდა ზულეიმას მორევივით თვალებში, მემრე გადაჰკოცნა და შესძახა:

-მაშ, ჩემო მზეთუნახავო! ნამდვილად ღირსი ხარ დედოფლობისა. ტყუილად კი არ წამოგიყვანე ისპაპანიდან! საქართველოს ფიანდაზად გაგიშლი. განა მოიფიქრებდი, რომ ესეთი დიდება მოგელოდა?

-ჩემო ხელმწიფევ! რამდენსა ვტიროდი, როცა მითხრეს საქართველოში უნდა წაგიყვანოსო; მე მეგონა, ჩემი სიკვდილის დღე მოვიდა-მეთქი.

-რომ სტიროდი, არა გებრალეზობდა ეგ მაყვალა თვალეები?! ახლა? ახლა ხომ შეგეცვალა სიმძიმისი სიხარულად? და ეს, იცი, ვისი წყალობით? -მაჰმადისა! ვენაცვალე იმას წვერებში: დღეს მე იმის მადლითა ვარ საქართველოს მეფე და სენ დედოფალი.

-ბრწყინვალე დავით! ყელი გაგვიშრა: თქვენი რიგია სადღეგრძელო, -უთხრა ერთმა მოქეიფემ.

-ზადიები, მერიქიფევ!

-სმენა იყოს, სმენა!

-ეს ღმერთმა გამარჯვება მისცეს ჩემს მარჯვენას! მიცნობთ? დავით მეფე ვარ საქართველოსი. დავით აღმაშენებელი ხომ იყო, მე დავით ბრწყინვალე ვარ! კახეთს და საათაბაგოს დავიბყრობ, იმერეთს დავიმონებ და შავი ზღვით სტამბოლს მივადგები. ოო! მაშინ ნახავს ბრმა ხუდაბანდი, ვისთანააქვს საქმე. შევანანებ, ვფიცავ მაჰმადს და წვერის წმინდა გიორგის! მაშინ, ჩემო ზულეიმ, ხონთქალის ცოლებს მოახლეებად დაგიყენებ. ნახავს ჩემი ძმა სვიმ...

-გაუმარჯოს ბრწყინვალე მეფე დავითს!-შესძახეს მოქეიფეებმა, როცა ნახეს დავითს ენა ერეოდა.

-ზულეიმ, ჩემო სიცოცხლევ! ერთი დამტკბე შენის ცეკვით!-შეევედრა დავითი

-ამ წუთს, ჩემო ხელმწიფევ!

გადმოფრინდა ქალი. ერთი შედგა შემჯრთალი შველივით და შეარხია ტანი. გატაცებულმა დავითმა თავი ველარ შეიმაგრა, გადმოვიდა და ცდილობდა აჰყოლოდა ქალს.

9

ამ ამბავში რომ იყო დაუთ-ხანი. გაიღო კარები და შემოვიდნენ ბარძიმ ამილახვარი და ქსნის ერისთავი. გადაავლეს მოქეიფეებს თვალი და უკმაყოფილოდ შედგნენ.

- ბატონ დავიტს გაუმარჯოს!-მიესალმა ბარძიმი.

დაუტ-ხანი შედგა გალაჯული, ცოტა წინ წაიხარა დათვალეები დაამტერა მოსულეებს.

-სიმხიარულე არ გაკლიათ, ბატონო, გამარჯვება მოგცეთ ღმერთმა!-უთხრა ელიზბარმა.

-როგორ? ბატონოვო?! მუხლი მოიდრიკეთ, თორემ, ვფიცავ მაჰმადს და წვერის წმინდა გიორგს, თავებს დაგაყრევინებთ: ბრწყინვალე დავით მეფეს ელაპარაკებით!

-საქართველოში მხოლოდ ღმერთს უყრიან მუხლს,-მიუგო წყენით ერუსთავმა.

-ალბათ ჩვენი ერთგულება იქნება მიზეზი, რომ შეურაცხოვას გვაყენებ,- უსაყვედურა ამილახვარმა.

-დიდებულო მეფეთ-მეფევ! ეგენი მშიერ-მწყურვალნი არიან და აბმიათ თვალეები. მოიღეთ მაგათზე მოწყალება, მოჰყარეთ ეგენიც ჩვენამდინ,-მოახსენა მოქეიფემ.

-ჰა,ჰა,ჰა! მეც არ გამიკვირდა ჯიხვები! მიაართვეს.

-უსუნთქებლივ!

-სამძიმო საქმისთვის გხლებივართ. ეს არის გადმოვხედით ცხენებიდან. გვედრებით, მოგვისმინეთ!- შესთხოვა ბარძიმმა.

-უსუნთქებლივ-მეთქი!- შესძახა დავითმა და წინ წაიწია.

-მოგვისმინეთ! სვიმონ მეფე გაუნთავისუფლებია ყვინს, დიდი სიმდიდრით და წყალობით გამოუსტუმრებია, ქართველი ტყვეებიც თან გამოუყოლებია,-უთხრა ბარძიმმა.

- ბრძანება გაუცია ყვენს, რომ ყველა ხანება თუ ბეგლარ-ბეგები დაეხმარნონ სვიმონს. სვიმონ ჯარით მოდის თქვენზე, - დასძინა ელიზბარმა.

ამის გაგონებაზე შეკრთა დაუთ-ხანი, თითქო გამოფხიზლდა, გონს მოვიდა.

- ჩემი ძმა სვიმონი? ჯარით?!

- სვიმონ მეფე მობრძანდება?! - შეიკითხნენ სხვებიც.

- დიაღ, ბატონებო. დღედღეზე უნდა მოველოდეთ. საჩინო ბარათაშვილი შესაგებებლად წავიდა. დედოფალს ეს ამბავი ათაბაგის ძმამ მანუჩარმა მოუტანა. ახლავე უნდა შევუდგეთ თავდარიგს, თორემ გვიანდა იქნება: ხალხი მისკენ გადავა.

- მაშ, დავლუპულვარ! - ამოიგმინა დავითმა.

ზულეიმა გაკვირვებული შეჰყურებდა ხან დაუთ-ხანს, ხან სტუმრებს. როცა დავითმა თქვა, დავიყუბებით, ქალს ელვა ეცა, გული წაუვიდა.

- რად ბრძანებ დალუპვას? საკმაო ძალა გვაქვს ხელში. გაგვიძებით, გვიწინამძღვრეთ, ვაჟკაცს მინამ ხმალი ზედ არტყია, დალუპვა არ ეთქმის, - გაამხნევა ბარძიმმა.

- რას ამბობ, კაცო! ახლა სპარსებიც ხომ სვიმონს დაეხმარებიან. როცა სპარსები ჩვენ გვეხმარებოდნენ, მაშინაც ვერ გავუსწორეთ იმას ომი და ეხლა რიღას იმედი უნდა გვქონდეს? არა! წავალ, თითონ სვიმონს შევედრები: ძმა არის, შემითვისებს, მაგრამერთი შლეგიანი კაცია, ვაითუ ამითეხოს რამე... ხონქართან წავალ: მაჰმადიანი ვარ, მიმიღებს, -ამბობდა შიშით გამოფხიზლებული დავითი.

-ჩვენ? ერთგულება რომ დაგვემტკიცებინა თქვენთვის. სვიმონის ოჯახიც კი ავიკელით, მის მემკვიდრის ავსაც ვაპირებდით, თქვენ კი უმწეოთ გვტოვებთ გაჭირვებაში,-უსაყვედურა ბარძიმმა.

-კარგი! თუმცა უზომოდ გაცარისხეთ სვიმონი, იმასვე მივმართავთ: მეფური გული აქვს და ისე მოგვექცევა, როგორც ვაჟკაცს შეშვენის. - თქვა ერისთავმა.

-მართალს ამბობ, ერისთავო, წავედით. სვიმონს მუხრანბატონი ახლავს თან; ის და კათალიკოზი გვიშუამდგომლობენ,-დაეთანხმა ამილახვარი.

დაუთ-ხანი ხან ერთს შეჰყურებდა, ხან მეორეს. როცა ნახა, რომ მის საშველად მოსულნი გაბრუნებას აპირობენ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და შესტირა:

-თქვენცა მტოვებთ? არ გებრალეებით?!

ამის გაგონებაზე მოსულებმა ზიზღით შეხედეს დავითს.

აასრულა დაუთ-ხანმა ნათქვამი: დაუთმო ოსმალეთის სარდალს ლალა-ფაშას ყველა ციხე, რომელიც კი ხელთა ჰქონდა და თითონ ხონთქართან წავიდა. სულთანმა რომ გაიგო, რა სიკეთე უყო დაუთ-ხანმა მას საქართველოში, დიდი პატივით მიიღო და ორი საფაშო უწყალობა.

როდესაც გაიგო სვიმონ მეფემ, როგორ მოიქცა დაუთ-ხანი, ძლიერ ეწყინა.

-იმ ციხეებს ყველას უომრად დავიჭერდი, ეხლა კი ოსმალები გაამაგრებენ,-თქვა იმან.

ლალა-ფაშამ მართლა ყველა ციხე გაამაგრა და თავის მეციხოვნეები ჩააყენა. ახლა ამ ციხეების უბრძოლველად არება შეუძლებელი შეიქმნა. თანაც დაცდა აღარ შეიძლებოდა, სავნებელი იყო. არც ხასიათადა ჰქონდა სვიმონს ხანის დაზმა.

მეფემ მოისურვა ესარგებლა მომავალი ზამთრით და გასცა ბრძანება, ყველა დამორჩინებული ციხეებიდან რაზმები შეკრებილიყვნენ მარაბდაში, საჩინოს მამულში: შეუთვალა მორჩილ თავადებს ჯარი გამოეყვანათ; მისწერა ყარაბაღის ბეგლარბეგს იმამ-ყული-ხანს, დაუყოვნებლივ წამოსულიყო ჯარით.

დაიწყო ლაშქარმა დენა. სვიმონი თავს არა ზოგავდა: თითონ ათვალიერებდა ჯარს, თითონ აწყობდა, სარისთას აძლევდა, ასწავლა ზოგიერთი ახალი საომარი ვარჯიშობა, რომელიც სპარსეთში ენახა. ისეთს თავდარიგს იჭერდა, ისე ჰმოსავდა ლაშქარს, რომ ზამთარს ვერ შეეშინებინა ის და თოვლიშიც შესძლებოდა ბრძოლის განგრძობა. სულ ცოტა ხანში კარგად შეიარაღებული და გაწვრთილი ჯარი ჰყვანდა სვიმონს. ჯარის მოთავეებად ისეთი გამოცდილი კაცები დააყენა, როგორც ამირსპასალარი საჩინო ბარათაშვილი, არჩილ მუხრან ბატონი, იასე ორბელიანი, საამ თუქისტანიშვილი, შიოშა სააკაძე, ზაზა ციციშვილი.

ჯაშუშებმა ამბავი მოუტანეს სვიმონს, ლალა-ფაშა ჯარს აბარებდნენ. ქართველებმა არ იცოდნენ, რა აზრი ჰქონდა ფაშას, რად ჰბარგავდა ლაშქარს; შიში ჰქონდათ, არ დაგვეცესო, ბრძოლისთვის ემზადებოდნენ. ბოლოს ამბავი მოვიდა, მტერმა პირი ოსმალეთისკენ იბრუნაო. მართალი გმოდგა: ოსმალების ჯარი ზამთრის გასატარებლად უფრო მოხერხებულ ადგილს ეძებდა.

სვიმონს მეფე მაშინვე ამხედრდა, თუმცა ჯერ სწორედ არც კი დაესვენა, არ დამტკბარიყო ცოლ-შვილში, ჯერ ჯარის გაწყობაც კი არ დაემთავრებინა. უმთავრეს ჯარს თითონ წაუძღვა და დიდ გზაზე წაიყვანა ოსმალებისკენ, დანარჩენი ჯარი წვრილ-წვრილ მოძრავ რაზმებად დაყო და უბრძანა აზღვევებოდნენ ფაშას.

ქართველები მარჯვეთ სარგებლობდნენ ადგილებისა და გზა-კვალის ცოდნით: უსაფრთხეოდნენ ტყეებში, მთებში, უხვდებოდნენ მდინარეებში გასვლის დროს, ვიწროებში, მოულოდნელად ესხმოდნენ თავს და დიდ ზარალს აძლევდნენ, რადგან ოსმალების ჯარი ამისთანა ადგილებში გაშლით ვერ იბრძოდა და თავის დიდი ძალა ამაოდა რჩებოდა. თანაც მტერი ძალიან ეჩქარებოდა, რადგან ერთი მხრივ სვიმონისა ეშინოდა, რომელიც უმთავრესი ძალით უკან მისდევდა მას, მეორე მხრივ, სიცივემ შეაწუხა: თოვლი მოვიდა და ზამთრისთვის მოუმზადებელი თათარი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ისე აჩქარდა ფაშა, რომ ჯარი დასტა-დასტა რჩებოდა უკან და ტყვედ უვარდებოდა ქართველებს; გზა-გზავე რჩებოდა ოსმალებს თოფ-იარაღი ზარბაზნები, აურებელი ბარგი. ბოლოს ფასამ შეასწრო სამცხეში.

ხელმწიფემ მტერი რომ სამცხეში შემწყვდია, გამოაბრუნა ჯარი და სამეფოს დაპყრობას შეუდგა. აღჯაყალა, შულავერი, ციხის სოფელი, ლურჯი ვანქი, ყის ყალა, ნაგები, მარნეული, ოზის ციხე, კოჯრის ციხე, ფარცხისი ხომ წინათვე დაიჭირა. ახლა გაჰყვა და აიღო მიყის ციხე, ლოქი, ქვეში სამშვილდე, ხულუტის ციხე, ბირთვისი, ორბეთი, გუდარეხი, მოდამნახე, ხორხედი, კლდე კარი, დედაციხე, მომჩივარი, უზნარანი, ციხის ჯვარი, პეტრეს ციხე, მკვრის ციხე და ჩამოვიდა მცხეთას. ამგვარად გარს შემოუარა სამეფოს; თბილისიღა დარჩა ოსმალების ხელში.

დადგა გაზაფხული. ქართველების ლაშქარი გორს შეიკრიბა, სადაც დროებით, თბილისის აღებამდინ, დადგა სვიმონმა თავისი სამეფო ტახტი. მეფე გაუმასპინძლდა ჯარს, რომელიც დაბანაკებული იყო მტკვრის გაღმა, გორის პირდაპირ. ჯარის უფროსები თითონ ქალაქში იყვნენ, მეფესთან ნადიმობდნენ.

ამ საერთო დღესასწაულს მარტო ის აჩრდილებდა, რო თბილი აულებელი იყო, მეფეს კი განუზრახა ლაშქრის დათხოვნა. გამარჯვებით წაქეზებულ ქართველებს ეს აზრი ვერ შეეთვისებინად; თანაც ვერაფერი გაეხედნათ მეფისთვის.

დადგა გამოთხოვების დღე. სადილს მხიარულობა არ ეტობოდა, რაღაც აწუხებდა ყველას. ხემწიფემ შენიშნა ეს და თითონაც მოიწყინა. მაშინ დიდებულებმა მიგზავნეს არჩილი დარდის გასამჟღავნებლად. არჩილმა მხარით მეფეს ღვინით სავსე ბადია და ცალ მუხლზე დაჩოქილმა სთხოვა, ნება გვიბოძეთ ჩვენი დარდი მოგახსენოთო.

-მითხარ, ძვირათ ვაფასებ ჩემის ერთგულების სურვილს.

-ბატონი მეფე, ჩვენ ვერ მიმხვდარვართ თქვენის მოქმედების აზრს; თქვენმა წინამძღვრობამ საქართველოს მხედრობას შევარდნის ფრთები გააშლევინა, ერთი ნავარდით შემოვიარეთ სამეფო, მტერი თავის დახწევასდა ცდილობს. ერთი ადგილიდა დარჩა, სადაც მტრის მფლობელობა არ მოსპობილა და ეს ადგილი თბილისია, გული საქართველოსი. მხოლოდ ერთი ნისნება უნდა თქვენს ლაშქარს, რომ იქაც რისხვა დავსცეთ მტერს. თქვენ კი შინ ისტუმრებთ ძლევამოსილთ.

-გამოცდილი მეზრძოლი ხართ და მიჰხვდებით ჩემი ამგვარ მოქმედების მიზეზს,- უთხრა სვიმონმა-თბილისი გამაგრებულია. რომ მოვადგეთ ქალაქს, არ ივარგებს რადგან არა გვაქვს საკმარი არც სარბაზნები, არც ტყვი-წამალი არც სურსათი. მანამ ჩვენ თბილისთან ვიდგებით, თათარი გარშემო ციხეებს ისევ დაიჭერს და გაამაგრებს. სამეფო ეხლა ჩვენს ხელშია. თბილისს გარს ვარტყვივართ. ვინ მიაწვდის მტერს საზრდოს? გაზაფხულის პირია: წავიდნენ, იმუშაონ, მეც სამეფოს საქმეების განგებს მივმართავ. მოვიყვან ყველაფერს წესრიგში, შევკრებ და საუკეთესოდ შევაიარარებ ჩემ მხედრობას და მაშინ საქართველოს სევარდენი უფრო მძლეთ გაშლის ფრთებს!

მოუწონეს მეფეს მოაზრება, გამხიარულდნენ.

მეორე დღეს მტკვრის პირას სვიმონ მეფე ეთხოვებოდა ლაშქარს. მხედრობა ახტაცებაში იყო, რადგან უყვარდათ სვიმონი, როგორც მეფე, აზრიანი სარდალი და მძლე მეთმარი. ჯარში ათიოდე თუ მოიპოვებოდა, რომელთაც შეეძლოთ ომი გაეწსორებინათ სვიმონისათვის. მეფე ყველა რაზმს სათითოთ დაემშვიდობა.

-გაუმარჯოს სვიმონ მეფეს! გაუმარჯოს საქართველოს!-გვრგვინავდა ლაშქარი.

11

სვიმონი გორს დაბინავდა და შეუდგა სამეფოს წესში მოყვანას, მალე ყველგან იგრძნეს, რა ძალის მექონი ხელი ჰმართავდა სამფლობელოს. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. სამეფოს მართვაში მას ჰმველოდა კათალიკოზი ნიკოლოზი, რომელმაც თავის გონიერებით დიდი სამსახური გაუწია მეფეს.

სვიმონმა იგრძნო თვისი ძალა და მოისურვა ბარძიმ ამილახვრის, ელიზბარ ქსნის ერისთავის და ზოგიერთ სხვა დამნაშავის დასჯა. დამნაშავეებს ვახტანგ მუხრანბატონი გამოესარჩლა, მაგრამ მეფემ მაინც შეასრულა თავის სურვილი: ერისთავი ქევხის ციხეში დაამწყვდევინა, შეიპყრა ამილახვარიც. დამნაშავეებმა დააბრუნეს ყველაფერი, რაც მეფის სახლიდან გაეტაცნათ. ბოდიში მოითხოვეს დედოფალთან და შეევედრნენ ეშუამდგომლა მეფის წინაშე. მეფემ შეიწყნარა დედოფლის თხოვნა და სიცოცხლე აცუქა მოღალატეებს, მხოლოდ დაარბია ისინი.

ამავე დროს მეფე თვალს არ აშორებდა მტერს. თბილისს შეუკრა გზები, უნდოდა სიმსილით შეეწუხებინა ქალაქი და აეღო. აგრეთვე თვალს ადევნებდა, იარაღი არ მიეწოდებინათ ქალაქისათვის.

სვიმონ მეფე ამ ხნის განმავლობაში ყველა საქმიდან გამარჯვებული გამოდიოდა. თვისი მეფობის ნათელ დროდ ჩათვლიდა ამ ხანს, თუ ალექსანდრე კახთ ბატონს არ ეტკინა მისთვის გული: ღალატით შემოეპარა მეფეს დამოისურვა სასაცილოდ გაწხადნა მისი ოჯახი. მეფემ ჭოტორთან სასტიკად შეანანა იმას უშვერი ქცევა, მაგრამ გული მაინც ვერ გაემთელებინა.

როცა ჰკითხავდნენ მეფეს, ჭოტორთან ბრძოლის შემდეგ რატომ არ მიჰყვა გაქცეულ ალექსანდრეს და არ შემოუერთა კახეთი თავისსაბრძანებელს, ის იტყოდა ხოლმე:

-მარტო ის მინდოდა დამესაჯა ალექსანდრე თავის სულელური ქცევისათვის და დამენახვებინა კახთათვის მისი ლაჩრობა. კახეთზე გალაშქრება სიკეთეს არ მომიტანს. ახლა ჯერ ოსმალები უნდა განვდევნო საქართველოდან და უნდა შემოვიერთო იმერეთი შავ ზღვამდინ. კახეთს მერმეც შემოვიერთებ. გარდა ამისა კახეთის დაპყრობა ყენს ეწყინება, მე კი ჯერ არა მსურს მისი ამტერება. მართალია, ალექსანდრე თავისას არ იშლის, ახლა ღმასა სცდილობს ყენთან ცემზე ჩივილით ფონს გავიდეს, მაგრამ მე ამისი არ მეფიქრება. ის ვერ შეარყევს შაჰის ჩემდამი რწმენას.

12

1581 წელს, ღვინობისთვის გასულს, სვიმონ მეფე თავის სახლობით ლილოში ბრძანდებოდა. კარგი დარები იდგა და მეფემ გასართობად წამოიყვანა ქალები, ჯარიც კი ახლდა თან, რადგან თბილისს არ აშორებდა თვალს და ყოველი მარჯვე შემთხვევით სარგებლობდა იქ მომწყვდეული თათრის ჯარი შეეწუხებინა.

მეფე დღეს მეტად მოლხენით იყო: ერთმა მუჭა მისმა ჯარმა ნახირი მოსტაცა ოსმალებს და ისინიც დიდად დააზარალა, როცა მოტაცებული საქონლის წასართმევადა დაედევნენ.

მეფის სახლობას ახლდნენ თან საჩინობარათაშვილი, არჩილ მუხრანბატონი, იასე ორბელიანი და რამდენიმე სხვა წარჩინებული თავისი ჯალაბობით.

- აღარ დაწყენარდა ხალხი, მეტადრე ქალები. ნეტავ რატომ არ იღლებიან ამდენი ცეკვით?! ბატონიშვილმა ელენემ მოიმხიარულა, კარგა ხანია არ მინახავს ასე გახალისებული. მხედრობა ხომ ისეთ აღტაცებაშია, თითქო მართლა თბილისი აედოთ,- სთქვა სახლთხუცესმა, რომელიც შემოვიდა დარბაზში.

-არ მეგონა თუ ესე გამიჯავრდებოდით! თბილისშიაც შევიჭრებოდი, რომ მომენდომებოდა, მაგრამ ამ ერთი ბეწო ხალხით ქალაქში შესვლა თავხედობა იქნებოდა,- თქვა არჩილმა.

-ჩვენ მარტო საქონლის მოტაცება გვინდოდა და რას მოვიფიქრებდით, თარეში ასეთ გამარჯვებულ ომად გადაგვექცეოდა,-ჩამოართვა სიტყვა იასემ.

-როცა დაიძახეს, ჩვენებმა საქონელი დაირეკეს, მაგრამ ქალაქიდან დიდი ჯარი დაედევნათო, ქალებს შიშით გული გაგვისკდა,- ბრძანა დედოფალმა.

-მეც შევფიქრიანდი: ამდენ ქალ-ყმაწვილს ისე უეცრად სად მივმალამდი, მაგრამ ღმერთმა გამარჯვება მოგვცა და იმედია დღეს თუ ხვალ თბილისსაც ავიღებთ,-ბრძანა სვიმონმა და განაგრძო:-ეხლა კი სხვა სამძიმო საქმე მაქვს დასაბოლოოვებელი, მსურს ვისარგებლო ამ შემთხვევით, რომ ერთად ვართ და რჩევა გკითხოთ. თქვენც ამისათვის გაგსარჯეთ, უსამღვდელოესო,-მიუბრუნდა სვიმონი კათალიკოზს.

-ყოველთვის მზად ვარ გემსახუროთ ბატონო მეფევ!-მიუგო კათალიკოზმა.

-გვიბრძანეთ, ბატონო! თქვენთვის სისხლის დაღვრა სიმხიარულედ მიგვაჩნია,-
მოახსენა საჩინომ.

-არა, ჩემო საჩინო, დღეს საგმირო საგნებზე არა მსურს საუბარი,-უთხრა მეფემ
ბარათაშვილს და მიჰმართა ყველას.

-მსურს მონაწილეობა მიიღოთ ჩემ საოჯახო საქმეებში, რადგან იგი საქმე სამეფოს
ბედთან არის დაკავშირებული. თქვენისთანა ერთგული მე სხვა არავინა მყავს და
მინდა გავიგო თქვენი აზრი. ჩემს ქალს ელენეს ირანის ყეინი მთხოვს თავის შვილის
ჰამზად-მირზასათვის. გარდა ამისა წერილი მივიღე ყვარყვარე ათაბაგის ძმის
მანუჩარისაგან: იხვეწება სიყვარულს ნუ გამოძწირავ და ელენე მე მომეციო. მსურს
მოვისმინო თქვენი რჩევა.

-მე დარწმუნებული ვიყავ რომ მანუჩარი გთხოვდათ ქალს. თქვენ რომ
სპარსეთიდან მობრძანდებოდით, მანუჩარი ჩემსას იყო და სულ ბატონიშვილ ელენეზე
ლაპარაკობდა, მაშინვე ვიგრძენ რა სურვილის ჯაჭვით იყო დაბმული მისი გული. ავი
მახარობლადაც ის ამოვირჩიე,-თქვა საჩინომ.

-მანუჩარი რომ დაისიძეოთ, საათაბაგო თითქმის შემოერთებულად ჩაითვლება,
რადგან ის მემკვიდრეა ყვარყვარესი. რაც შეეხება ჰამზად-მირზას, გავკადნიერდები და
მოგახსენებთ: თქვენს ხელში საქართველოს ისეთი არა უჭირს რა, სპარსეთს მიწამდის
დაუხაროს თავი, უარი ვერ გაუბედოს და საყვარელი მეფის ქალი მისცეს უსჯულოს,-
მოახსენა არჩილმა.

-არც შემდეგ გაუჭირდება საქართველოს, თქვენის დღეგრძელობით. მანუჩარი
ჩვენია. ქალ-ყრმას უყვართ ერთმანეთი და ცოდვა იქნება დაამოროთ,-მოახსენა
სახლთხუცესმა.

ჩემს ელენეს დიდი ხანია მოსწონს მანუჩარი, ვაჟს ხომ გაგიჟებით უყვარს ქალი.
თუ ირანში გავათხოვთ, იდარდებს და ჩამოჭლექდება - ბრძანა დედოფალმა და
მიჰმართა:-გახსოვს, სახლთხუცესო, მანუჩარი როგორ იყო სიყვარულით გატაცებული,
როდესაც მეფის დაბრუნების ამბავი გვახარა?

-განა ის სანატრელი წუთი როდესმე დამავიწყდება!

-იქნებ ველიროსო და ვნახო საათაბაგო შემოერთებული, მთელი საქართველო
შეკრებილი და გაძლიერებული, წმიდა ეკლესია აღყვავებული!-წარმოსთქვა
კათალიკოზმა.

ხელმწიფე ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მარჯვენა უღვაშს იგრებდა. მერმე
ბრძანა:

-სხვა აზრები მქონდა და მინდოდა ჰამზად-მირზასათვის მიმეცა ელენე, მაგრამ
იქნება ნებაც არ მქონდეს ძალა დავატანო შვილის გულს, თუნდაც სახელმწიფო
მოაზრებისათვის...მანუჩარის სასარგებლო კაცია. საათაბაგო ჩვენკენ იქნება.
სათაბაგოში რომ შეუკრათ ოსმალებს გზა, ერთის დაკვრით ავიღებთ ტფილისს. მერმე
გადავალ ლიხს და მოვსპობ ოსმალეთის ბრძანებლობას შავ ზღვამდინ. შევკრებ
საქართველოს და შეერთებული საქართველო არვის ხელში შემყურე არ იქნება, არც
მტრისა, არც მეგობრისა, გესმით? რც მეგობრისა!

- ადრევე მივხვდით თქვენს განზრახვას, ბატონო მეფევ! შეერთებულ
საქართველოს თავისით შეუძლიან ცხოვრება, სხვის დაუხმარებლად და შეუწყვნად.-
მიუგო საჩინომ.

- შემოიყვანეთ ელენე, მოვისმინოთ მისი სიტყვაც,- ბრძანა მეფემ.

შემოიყვანეს ქალი. მამამ აკოცა, გვერძედ დაისვა.

- ეს დღე ჩემთვის სასიხარულოა, შვილო! ღირსეული კაცი გთხოვლობს. მოვიაზრეთ და თანხმობა გამოუცხადეთ ჩვენის მხრივ.

ამის გაგონებაზე ქალი გაფითრდა, სიმკაცრე დაეტყო სახეზე. მამა მიუხვდა და განაგრძო:

- ნუ გეფიქრება, ჩემო მშვენიერო, ჰამზად-მირზას არ მიგცემ. განა მართლა ეგრე გულქვაა მამაშენი! ათაბაგი ყვარყვარეს ძმა- მანუჩარი მეხვეწება მოყვრობას. თუ გული მიგწევს, მე მას სიამოვნებით მივიღებ შვილად.

მანუჩარის ხსენებაზე ელენეს ვარდი გადაეფურჩქნა სახეზე, თავი ჩალუნა; ეშინოდა მაღლა აეხედნა, რომ არ ამოეკითხათ მის თვალებში, რა ბედნიერებასა გრძნობდა.

- გვითხარ, შვილო, ნუ გრცხვენთან, გაგვაგებინე შენი გულის პასუხი,- უთხრა დედოფალმა.

ელენე უფრო ააღელვა მორცხვობამ.

- როგორ არას ამბობს! იცით? სინამ მაშინ მანუჩარი ჩვენთან იყო, ეგ სულ მხიარულობდა, ცელქობდა, მოსვენებას არ გვაძლევდა; ის რომ წავიდა, ტირილი დაიწყო, მთელი კვირა გაბუტული იყო,- გაამხილა ბატონიშვილმა გიორგიმ.

- არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს!- თქვა ღიმილით კათალიკოზმა.

-სულ ომი და ომი! მინდა ერთიც მოვილხინოთ,- მიუბრუნდა სვიმონისახტუცესს.

- ეგ ჩემზე მოაგე, ბატონო მეფე! ყველანი მაღლიერი დამრჩებით. დიდი ხანია თავი არ მომიგიჟიანებია, - მოახსენა სახლთხუცესმა.

13

1582 წელს, აპრილში, მეფის კარს დიდი მხიარულობა იყო.: ქალს აქორწინებდა სვიმონი.

საქორწინო სეფა ყავრულით იყო დახურული. სეფაში სამრიგად იდგა ჩამწკრივებული მაგიდა, რომლებსაც აქათ-იქით გრძელი სკამები ჩასდევდნენ აბრეშუმის ჯეჯიმიტ გადაფენილნი. შიგნიდან მთელ სეფას გაკრული ჰქონდა ოქროქსოვილი ფარჩა, ხავერდი და ერელი ტილო, ეს ყველა ისე ხელოვნურად იყო შეხამებული, რომ სეფას ჭერი და კედლები ლამპარ- ლიფლიფათა შუქზე ყვავილებით მორტულსა ჰგვანდა. იატაკი ხალიჩებით იყო მოფენილი. თავში იდგა სამეფო ტახტი; სვეტები ყვავილების გრეხილით იყო მორთული. სუფრაზე თაიგული მამრათებში. ორმოცამდინ ვერცხლის ლამპარი ანათებდა, მათში სინნელოვანი ზეთი იწოდა. მეფის ახლო ოთხი ლამპარი იდგა ოქროსი.

სეფა ხალხიტ იყო სავსე. ხელმწიფეს მარჯვნივ ბატონიშვილი გიორგი იჯდა, მარცხნივ კათალიკოზი. სიძისთვის ბატონიშვილის გვერძედ იყო ადგილი. მომღერლებს და მესაკრავეებს ძირს მოეკეცნათ. ხალხი რომ დალაგდა, კათალიკოზი წამოუძღვა მეფე-დედოფალს. მშობლებმა მიულოცეს დაპირისანახავი მიართვეს. შემდეგ მიულოცეს სტუმრებმაც, მიართვეს პირისანახავი ხარისხისა და შეძლების გვარად.

სძღვნიდნენ თვალ-მარგალიტს, ძვირფას ნივთებს, ოქროსა და ვერცხლის ფულს. ყველას თვალი მოსტაცა დედოფლის საჩუქარმა: სადედოფლო ჯილა იყო ხელოვნურად შეთხზილი პატოსანთა ქვათაგან. სიმამრმა ხმალი მიართვა სიძეს.

-დამასკია გამოცდილია, საქართველოს დაცვაში არასოდეს არ გიმტყუნებს,- უბრძანა სვიმონმა.

როცა ქნის ერისთავმა მარგალიტით სავსე თასი გადაულოცა, შიოშა სააკაძემ წასჩურჩულა სახთხუცესს:

- სულ დედოფლის საუნჯიდან იქნება ეგ მარგალიტი მოტაცებული.

- რა შვილია სვიმონ მეფე! ნეტა ერისთავისა არა წამოერო რა, თორემ თავისას არას დასტოვებდა იქ, - მიუგო სახლთხუცესმა.

დაიწყო ვახშამი. გაშალეს სუფრები, ჩამოარიგეს ლავაში, შოთი, ნაზუქი. საჭმელები დახურული მოჭკონდათ ვერცხლის ლანგრებით. სუფრის ბოლოზე აწყობდნენ და სუფრაჯი არიგებდა. კერძი უფროს- უმცროსობაზე მიდიოდა. ჯერ კი ჭაშნაგირი სინჯავდა სასმელ-საჭმელს. სამარხვოც იყო, რადგან სუფრაზე ბერებიც ისხდნენ და ისინი ხორცეულს არა სჭამდნენ. ათასგვარი სასმისი ტრიალებდა: ბადია, თასი, კულა, აზარფეშა, ყანწი, ჯიხვი. ეს ამოდენა ჭურჭელი ოქრო-ვერცხლისა იყო, ძვირფასი ქვებით მოჭედული. სრული წესიერება სუფევდა. ჯერ ნაზადა სვამდნენ. მერმე და მერმე უმატეს. გამხიარულდნენ. მეფემ გასცა საბოძვარი. ბევრს მოეფინა მისი წყალობა. მოიგონეს საპყრები, პყრობილები. ამ წუთით ისარგებლა კათალიკოზმა და მოახსენა:

- დიდებულო ხელმწიფე! თქვენი სიუხვე და სიკეთე თქვენს გმირობას ედარება. ყველას მოჭფინეთ წყალობის შუქი, მხოლოდ ერთიღა დარჩა ბნელში.

ვინ არის ეგეთი უბედო, მღვდელთ მთავარო?

-ის დიდი შემცოდია თქვენს წინაშე: მან არ შეასრულა ბრძანება თქვენი, ხალხი გაამუსვრინა მტერს და კინალამ ხიფათი შეგამთხვიათ. გერმანოზიშვილზე მოგახსენებ, ბატონო მეფე!

აბელ გერმანოზიშვილის ხსენებაზე მეფემ შუბლი შეიკრა.

-მისი სიბრიყვით კახთ ბატონს ზურგი ვუჩვენე. თავის მოჭრის ღირსი იყო!

-მას არ უღალატნია მაშინ, სწორედ სირეგვნიტ მოუვიდა. სადარაჯოთ დაყენებულს რაზმისათვის თავი დაენებებინა, დედასთან ამოსულიყო დიღომს. ჯარისკაცთ დრო ეპოვნათ, დამთვრალიყვნენ. ქურდულათ მოსულ ალექსანდრეს ამითი ესარგებლნა და მოულოდნელად დაგვეცა, -მოახსენა მუხრან ბატონმა.

-დედისერთაა, მისი მოხუცი დედა ლამის ჭკვაზე შეიშალოს გვედრებით, იმაზედაც მოილოთ მოწყალება!-შესთხოვა იასე ორბელიანმა.

-შენც იმისკენ გადიხარე?! მიპატიებია! მხოლოდ პირობა: ეხლავე გაჭრინდი ჭენებით, ჭენებით წადით დაუსვენებლივ და მომგვარე იგი გერმანოზიშვილი აქ, სეფაშივე.

-კარგი სასჯელი კადნიერებისათვის, მე და ჩემმა ღმერთმა! სწორედ ჭენებით უნდა იაროს და მოუსვენებლივ, რომ მოასწროს ქორწილსავე, -გაისმა ჩურჩული.

გახურდა სმა მსმელნი შეიჯიბრნენ. ახლა კი წამოდგა კათალიკოზი, ითხოვა წასვლის ნება, მადლობა მოახსენა მეფეს, ჯვარი გადასწერა სუფრას და გაბრძანდა. მთელი სამღვდლოება გაჰყვა მას. ცოტა ხანს უკან ქალებიც გაიკრიბნენ. თავისუფლება იგრძნეს ვაჟკაცებმა და ჯიხვები მოითხოვეს. დახელოვნებული თამადა ისეთ სადღეგრძელოებს იგონებდა, უარის თქმა შეუძლებელი იყო. ყველა სადღეგრძელოზე საკრავებს უკრავდნენ; გუგუნი გაჭკონდა მრავალჟამიერს.

ქორწილში მოსულ გლეხკაცობას ვერ იტევდა უშვლებელი ფარდული, რომელიც სეფის პირდაპირ გაემართნათ; ხეებქვეშაც გაემალნათ სუფრა. დიდი ღრეობა იყო.

-რღვარისავით არ მოდის ე დალოცვილი ღვინო!-ამბობდა ერთი გაჟინჟდილებული.

-დალიე, შენი კვნესამე! ბატონი თურმე ბრძანებს, ხალხს კარგად დამილევინებო,- ამბობდა სხვა და სავსე ჯამს აწვდიდა მეზობელს.

-მიბძანოს მეფემ და ი ხონთქარს აქ მოვგვრი ხელფეხშეკრულს!

-ქა, მხიარული პატარძალი კი გვყავს, სულ ილიმება,-ამბობდა მანდილოსანი.

-ეგრეა, ჩემო სალომე, როცა ქალს საქმრო მოსწონს და უყვარს.

-ჩვენი ბრალი! მეჯერ არც კი ვიცნობდი ჩემ კაცს, როცა მიმათხოვეს,-დაიჩივლა სხვამ.

ქორწილი სასიამოვნო ამბით გათავდა: მანუჩარს მოუვიდა კახთბა ტონისაგან მილოცვის წერილი და ზღვენი. ეს ყველამ ისე მიიღო, რომ კახთ ბატოს შერიგება ჰსურსო. მართალიც იყო, ალექსანდრეს დაახლოვება ეწადა სვიმონთან. ამის მიზეზი შეიქმნენ ერთის მხრივ თითონ კახელები, რომლებსაც მოსწონდათ სვიმონი და არ ყაბულობდნენ მასთან მტრობას; მერე მეორე მხრივ, აშოთან მუხრან ბატონი, რომლის ქალი, ქეთევანი, ალექსანდრეს უფროსმა შვილმა შეირთო. აშოთანიც და იმისი ქალიც დიდი პატივისმცემლები იყვნენ სვიმონისა და ძლიერი გავლენა იქონიეს ალექსანდრეზე.

14

სვიმონის ხელში სწრაფად ძლიერდებოდა სამეფო. ეხლა მისს გავლენის ქვეშ იყო მთელი აღმოსავლეთი საქართველო. ხონთქარი თვალს ადევნებდა მეფეს. ბევრჯერ ეცადა ხელი შეეშალნა იმისთვის, მაგრამ ამაოდ. სვიმონის მოხერხებული ქცევა, მისი სიმხნევე და ქართველების მისადმი სიყვარული აცრუებდნენ სულთანის იმედებს. ეხლა კი, როცა კახეთი და საათაბაგო დაუახლოვდნენ სვიმონს, შეფიქრიანდა ხონთქარი, მოისურვა, ერთი დაკვრით მოესპო მეფის ამოდენა ღვაწლი და შრომა; შეკრიბა ურიცხვი ლაშქარი და გამოგზავნა საქართველოში მაჰმად-ფაშის წინამძღვრობით. მტერი თრიალეთზედ წამოვიდა.

ყვარყვრე ათაბაგს არ მოსწონდა თავისი ძმის მანუჩარის ქცევა: გრძნობდა, რა შედეგი მოჰყვებოდა საათაბაგოსათვ ეს მანუჩარის მოყვრობას. ეხლა ისარგებლა ოსმალეთის შემოსევით და იმათ მიემხრო. ესეც არ აკმარა: წავიდა დასავლეთ საქართველოს მფლობელებთან, დაუხატა იმათ, რა მოელოდათ, როდესაც სვიმონი უფრო გაძლიერდებოდა და მოიწვია მიმხრობოდნენ ოსმალეთს. გაუვიდა სიტყვა: გიორგი იმერთა ბატონი, გიორგი დადიანი, გიორგი გურიელი დასთანხმდნენ ყვარყვარეს, შეკრიბეს ჯარები და წამოვიდნენ. ეს კი იყო ყვარყვარეს დიდი მეცადინეობა დასჭირდა და ბევრი დრო მოუწადა, სანამ დაითანხმებდა მათ სალაშქროთ, რადგან დასავლეთ საქართველოში წარჩინებულნი არ თანაუგრძნობდნენ ბატონებს, არ მოსწონდათ ეს ომი. ამის გამო სეუგვიანდათ იმერთ და ვერ შეჰხვდნენ ოსმალებს სურამთან, როგორც განზრახვა ჰქონდათ მათ და მოელოდდა ოსმალთა სარდალი.

დაიდრა თუ არა ოსმალი, სვიმონს დაწვრილებითი ცნობები მოართვეს მტრის ლაშქრისა და მის მოძრაობის შესახებ. მეფემ შეკრიბა ჭარჩინებულნი, გამართა ვეზირობა.

-სჯობს ეხლავე მარდათ წავიდეთ და თავს დავესხათ მაჰმად-ფაშას მტკვრის ვიწროებში, სანამ ქართლში არ შემოსულა. იმას რომ დავამარცხებთ, პირს ვიბრუნებთ და წინ შევხვდებით იმერთა ლაშქარს, -ბრძანა მეფემ.

-გავბედავ, ბატონო მეფევ, და ვერ დაგეთანხმებით: ძალიან კეთილი, თუ თათარი მაშინვე დავამარცხეთ და გავაქციეთ. მაგრამ პირველ შეტევითვე რომ ვერ დავსძლიოთ? თუ ბრძლო გაგრძელდა, ზურგიდან იმერნი მოგვესწრობიან და ჩვენი ლაშქარი ორ

ცეცხლ შუა მოჰყვება. ესე ვარჩევ: გაეცით ბრძანება, დაცალონ ყველა დაბები და სოფლები მტკვრის ხეობაში გაიხიზნონ. ჩვენ მუხრანს გავმაგრდეთ. გალაღებული მტერი თავს დაგვესხმის და დაიყუპება, -შეჰკადრა საჩინომ.

-ძლიერ კარგი, მაგრამ მტერი რომ პირდაპირ ტფილისს ჩავიდეს? -ჰკითხა არჩილმა.

-უფრო კარგი! იმდენი ხალხი რომ ქალაქს მიაწყდეს, გზებს შევეკრავთ და მტერი ამწყდება სიმშლით. არც საფიქრებელია, გახალისებულმა ფაშამ ჩვენი ჯარი უბრძოლველად დატოვოს და ციხეს შეეფაროს, -მიუგო საჩინომ.

ბევრი რჩევისა და ბაასის შემდეგ საჩინოს აზრს დაადგინენ. ბრძანა მეფემ, ხალხისათვის სარისტა მიეცა გახიზვნის დროს. ეს საქმე ჩააბარა თავის შვილს გიორგის.

მაფმად-ფაშა ჯერ ძალიან ფრთხილად მოდიოდა; თან კაცს კაცზედა ჰგზავნიდა იმერთში მეშველის სათხოვნელად. მერმე, როცა ნახა, წინ არავინ უხვდებოდა, გალაღდა, გაბედა, სწრაფად წამოვიდა. დაიჭირა სურამი, აიღო გორი. გაიგო, მეფე მუხრანში სდგასო და გასწია მისკენ. გახდა მტკვარს ქსნის შესართავთან. თითქმის დაუწყობელი ჯარიოთმისია ქართველებს.

ქართველთ ჯებირები ჰქონდა გავლებული, ჩასაფრებულნი იყვნენ. ჯერ საფრებიდან აუტეხეს სროლა, შიაფერხეს მოზღვავებული თათარი, შეატბორეს იგი; მერმე მწყობრად შემოვიდნენ დროშა გაშლილნი. რაზმი რაზმს მოსდევდა შეუპოვრად, შეუფერხებლივ. მაჰმად-ფაშა არ მოელოდა ამას, იგრძნო გამოცდილმა თვის სახიფათო ყოფა და რამდენჯერმე მრთელი თავისი ურდოებით დააწყდა თავს ქართველებს, რომ თავისი სიმრავლით შეემუსრა მათი ძალა, ამაოდ! არ შეედრკნენ ქართველთა რაზმები, არ აირივნენ; თუმცა ნელი ნაბიჯით, მაინც წინ იწევდნენ. მეტადრე დიდი მხნეობა გამოიჩინეს მთიელებმა. მათი ლაშქარი მთლად რკინაში იჯდა, მტერი ეხეთქემოდა მას როგორც სალკლდეს და ბრუნდებოდა უკან დამტვრეული-შემუსვრილი.

თითონ სვიმონი ხელმძღვანელობდა მეზრძოლთ. გამოცდილი თვალით ათვალაიერებდა ომის მსვლელობას. ბოლოს სენიშნა, რომ მაჰმად-ფაშა ნელ-ნელა დაიწია, ლაშქარს უკან მოექცა. ამავე დროს დიდი მზადბა შეიქმნა ფაშის კარბებთან. მეფე მიჰხვდა, რომ ფაშა გაქცევას აპირობდა; სწრაფად გააწყო ცხენოსანი ჯარი, ერთად შეკრიბა. როდესაც თავის საომარ რაშხედ, ფალავანზედ მჯდომმა სვიმონ მეფე გაუთამამა წინ თავის ცხენოსან რაზმებს, ლაშქარმა ახტაცებული ყიჟინა შექმნა.

თათრის ლაშქარში ხმა გავრცელდა, მაჰმად სარდალი ბრძოლიდან გავიდაო. შეკრთა ოსმალი, დაიხია, თუმცა კი ოდნავ. ამან გაათამამა მთიელები და წაემართნენ დაშნა ამოწვდილნი. იბრუნა მტერმა პირი, გაიქცა თავზარდაცემული. ამ წუთს ელოდა სვიმონ; გამოეკიდა ცხენოსანი ჯარით, იწყო მტრის კაფვა. გაქცეულ ბრბოს მტკვარი დაუხვდა წინ, თათარი გუნდ-გუნდათ გადაერია მდინარეში. დიდძალი ოსმალი დაიყუპა მტკვარში; უფრო მეტი ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს. მთელი ოსმალის ჯარის იარაღი თუ საკვებ-სამზადისი ქართველთ დარჩათ.

თბილისის ციხის თავმა ასამ-ფაშამ იცოდა, ომი უნდა მომხდარიყო მუხრანის ველზედ; სრული იმედი ჰქონდა გამარჯვებისა და ურძანა თავის ჯარსაც, მოქალაქეთაც, ღირსეულად დაჰხვედროდნენ ძლევა მოსილთ; განცვიფრდა და შეშინდა ასანი, როცა ქალაქის კარს მიადგა დამარცხებული სარდალი და თბილისის სიმაგრეებს შეაფარა თავი. მოვიდა გამარჯვებული სვიმონიც. გარემოიცვა ქალაქი.

ხელმწიფემ რომ ოსმალნი დაამარცხა და თბილის ალყა შემოარტყა, იმერნი მაშინ გადმოვიდნენ კორტოხს. გაიგეს აქ რომ გვიანდა იყო ოსმალთა შველა და დაბრუნდნენ უკან.

სვიმონმა დაასკვნა უსათუოდ აელო ქალაქი. თითონ ხელმძღვანელობდა თბილისის გარშამო მდგომ ლაშქარს. კარგა ხანი გაუმაგრდა ციხე ქართველებს: დიდძალი საგზალი ჰქონდა მტერს შეზიდული. ბოლოს სემოაკლდათ საზრდო, აღელდნენ მოქალაქენი. მაჰმადმა და ასანმა გადაწყვიტეს შებრძოლებოდნენ სვიმონს, გაეპოთ მისი ლაშქარი, რომ საგზალი შეეტანათ ქალაქში. მეფემ იცოდა ქალაქის გჭირება, იცოდა უბრძოლველად არ დაჰნებდებოდნენ ოსმალნი და თითონაც დიდს მზადებაში იყო. თავის კარავი მეფეს ოქროყანის ფერდობზედ ედგა. იქიდან ადევნებდა თვალს თბილისის ყველა მოძრაობას.

15

1583 წელს ღვინობისთვის დამდეგიდანვე არაჩვეულებრივი მოძრაობა დაეტყო თბილისს. თვის თექვსმეტს, ალიონზე, დაიდრა შურის ციხიდან ოსმალოს ჯარი რაზმ-რაზმად და კოჯრის ფერდობებს აეფინა. როცა სვიმონმა დაათვალიერა მტრის ჯარის წყობილება, როცა მიხვდა იმათ მოძრაობის მიზანს, დარწმუნდა, რომ გამოცდილ სარდლებთან ჰქონდა საქმე.

ქართველების რაზმები დაეწყვნენ და დაიჭირეს ნაჩვენები ადგილები. ქართველები უფრო მოხერხებულ ადგილზე იდგნენ რადგან ზევიდან იყვნენ მოქცეულები.

დაიგრიალა ზარბაზანმა, გავარდა თოფი, დაიწყო ბრძოლა. ორივე მხრიდან ფრთხილად, აუჩქარებლივ მოქმედობდნენ; ორივე მხარეს ესმოდა, რომ ახლა უნდა გადაწყვეტილიყო მათი ბედი. შენივთდა ბრძოლა, ქართველებს ყველა მხრიდან ემატებოდნენ მებრძოლები, რადგან თბილისის გარშემო მდგომმა სარდლებმა დააგზავნეს მეფისკენ მეშველი ჯარები. რაზმები დროშა გაშლილი მოეფინებოდნენ კლდეებს. ოსმალების ჯარის უკან კი ქართველების ვერცერთი რაზმი ვერ მექცა, ვერ მოწყვიტეს ოსმალები ციხეს რადგან ხევის პირები ციხიდან დაწყობილი ზემომდინ გაემაგრებინათ და ზურგი შეენახათ. ხელჩართული ომი შენივთებული იყო, როცა სვიმონ მეფე გამოიყვანეს შუაგულ ბრძოლიდან. მაჰმად-ფაშას შეხვედროდა პირდაპირ, ცხენიდან ჩამოეგდო, თითონაც ჭრილობა მიეღო. მეფე არ ისვენებდა, ისევ ომისკენ იწევდა.

-მომგვარეთ ცხენი! ცოტაცა და თბილისი ჩემია!

-არ შეიძლება, ბატონო მეფე! ვგონებ, არარც საჭიროა,- მიუგო მხლებელმა.

-მაჰმად-ფაშის ჩამოვარდნის უმღვე დაიდრა თათარი. ასან-ფაშაველარ შეიმაგრა ჯარი. შურის ციხისკენ გაეშურნენ, მაგრამ შაჩინო მიასწრო იქ. თათარი ხევდახევ დაეშვა,-თქვა მეორემ.

-მაჰმად-ფაშა სასიკვდილოდ დაგიჭრიათ, ბატონო! ასე გვიამბეს ტყვეებმა,- მოახსენა სხვამ.

-არა! ხანჯალი ცოტათ აისხლიტა ჯაჭვმა, ჩემი ტყვე იქნებოდა, თუ სხვის შუბი არ მომხვედროდა.

- დაბრძნდით, ბატონო მეფე!-მოახსენა ექიმმა.

სამკლავე რომ შეხსნეს, მეფეს ფერი წაუვიდა. ექიმმა გასინჯა ჭრილობა და თქვა:

-შუბს მთლად გაუვლია მკლავში, მაგრამ ძვალი დაშავებული არ არის.

ამ დროს შემოვიდა სხვა მოამბე, მტრის დროშა მიაართვა მეფეს და მოახსენა:

-საჩინო ბარათაშვილმა მოგართვათ შურის ციხიდან. იქ თქვენი ალამი ამართა. თქვენი მშვიდობის ამბავს კითხულობს!

-ამირსპასალარი სწორედ ჩემი მარჯვენაა! უთხრა საჩინოს: შემიხვევს ექიმი ჭრილობას და მეც ისევ ჩამოვალ ომშითქო.

-ბატონო! საამ თურქისტანიშვილის რაზმმა მოაუარა ისნიდან და მეტეხი აიღო. ჩვენი დროშა ამართა ციხეზე,-მოახსენა სხვამ.

-იასე ორბელიანს და ზაზა ციციშვილს აცნობეთ ახლავე, მიაშველოს ჯარი. გაიმაგროს ციხე!

-დაკოდილი მაჰმად-ფაშა განჯის კარის კომკში შეიყვანეს. მთელი თათრის ჯარი იქ მოგროვდა. ბარათაშვილი დაგვიჭრეს.-მოახსენა ახალმა მოამბემ.

-ბარათაშვილი? საჩინო?! აქ მოიყვანეთ! ცხენი! მომგვარეთ ცხენი!-შეშფოთდა სვიმონი.

-არა, ბატონო, ვერ შეიძლება: ბევრს სისხლს უდენია,-მოახსენა ექიმმა.

-შიოშა სააკაძე კლდე-კლდე მოუარა, კრწანისის ბაღებიდან აპირობს განჯის კარებს დაეცეს. თათარი ისნის ხიდს მიაწყდა, მაგრამ ჩვენები არ უშვებენ. იასე ორბელიანი და ზაზა ციციშვილი მიეშველენ თურქისტანისვილს. არჩილ მუხრან ბატონი სეიდაბადში აწყობს გაფანტულ ჯარს,-მოახსენა ახალმა მოამბემ.

სვიმონი დაფიქრდა მერე უბრძანა:

არ გაბედოს სააკაძემ განჯის კარებიდან შებრძოლება და გზის შეკვრა! დაიწიოს უკან, შურის ციხის წინ გამაგრდეს. იქ იქნება საჭირო იმისი ჯარი, თუ თათარი ისევ მოაწყდა ციხეს. არჩილმა ცხენოსანი ჯარი მიაშველოს ხიდზე. დანარჩენი ჯარი განჯის კარისაკენ წასწიოს. სამივე მხრიდან შეეკრა წინ წასწიონ, განჯის კარის წინ არავინ დაუხვდეს, სოღანლუღის გზა არ შეკრან,-ბრზანა მეფემ.

-მტერი გამწარებული იბრძვის, ზღვის ტალღებივით აწყდება აქეთ-იქით. ამირ-სპასალარი დაიჭრა, აითუ მეც ვეღარ შევძლო. როგორღაც ვსუსტდები. შეშინებული თათარი გაქცევას ირჩევს, როცა წინ გზას გახსნილსა ნახავს,-ფიქრობდა მეფე.

-გამიგეთ, მოახერხეს თუ ვერა ჩემი ბრძანების შესრულება!-ბრძანა მეფემ.

გავიდა მხედარი. კარავში ბარათაშვილი შემოიტანეს. საჩინოს მუზარადი ჰქონდა გაჩეხილი, სვიმონმა რომ ნახა დაჭრილი, გამოიწია და შესძახა:

-გიმსხვერპლეს?! ჯერ ადრეა ჩვენი სიკვდილი, საქართველო ვერ აიტანს!

ექიმმა მოახდევინა მუზარადი, მოზანა ჭრილობა, გასინჯა და სიხარული დაეტყო.

-მადლობა ღმერთს! უბრალო ჭრილობაა, მუზარადს უშველია. თავი შეკრყევია და შეჭლონებია გული,-თქვა ექიმმა.

-ისნის ხიდის ყურიდამ დააბრუნეს ჩვენებმა ოსმალები, სააკაძე შურის ციხის მხრიდან შემოერთყა იმათ, არჩილმა აბანოებამდის წაიწია; თათრები განჯის კარს შექუჩდნენ,-მოახსენა ახალმა მოამბემ.

საჩინო ჯერ ცნობაზე ვერ მოსულიყო, ომისაკენ ჰქონდა გონება ბოდავდა.

-მტკვრისკენ მირეკეთ! მტკვრისკენ!.. სვიმონი ხომ ფალავანზე ზის?.. დამრჩი! დამრჩი!..

შემოირბინა სხვა მახარობელმა და მოახსენა მეფეს:

-ბატონო! ოსმალებმა გააღეს განჯის კარი, მთელი თათრის ჯარი გავიდა, სოღანლუღის გზას გაუდგნენ, განჯს კარი არჩილმა დაიჭირა.

-ახლავე აცნობეთ, რომ არჩილი და თურქისტანიშვილი მიჰყვნენ გაქცეულებს შორიახლო. გაუჭირვებლად ნუ შებმიათ. ზევით მხარეს მოექცნენ, რომ იაღლუჯისაკენ დასწიონ მტერი, თორემ სოფლებს აგვიოხრებენ. ახლავე აფრინეთ კაცი თელეთის გზით, აცნობეთ წალახურს, კუმისს, კოდას, მარაბდას კომუკებში შეეფარონ!-ბრძანა მეფემ. მერე დაიჩოქა, მადლობა შესწირა ღმერთს:

-გმდლობ, უფალო, რომ მომასწარ თბილისის განთავისუფლებას და გადმოხედე მრავალტანჯულ საქართველოს!

მეფე რომ ლოცულობდა, საჩინო გონებაზე მოსულიყო და სიხარულით მიმართა:

-ბატონო, დიდებულო სვიმონ! თბილისი აიღეთ?

-თბილისი ჩვენია, დაიძლია მტერი!-მიუგო სვიმონმა და გადაეხვია სარდალს.

მოპისმა ფეხის ხმა და სიმღერის გრგვინვა. მეფის კარავს მოადგა ომგადახდილი ჯარი, რაზმი-რაზმზე წინ საქართველოს მთავარ-დროშა მოუძღოდა. იასე ორბელიანმა შემოიტანა ოსმალების ალაში, მეფის ფეხის წინ დააგდო და მოახსენა:-ძლევამოსილო მეფევ! თქვენმა გმირობამ, თქვენმა ბრძნულმა განკარგულებამ თბილისი გაათავისუფლა. ყველა სიმაგრეები თქვენს ხელშია!

გამოჩნდა თბილისის სამღვდელთა, რომელიც საეკლესიო დროშებით, ხატებით გამოსულიყო სვიმონის სესაგებებლად. მოვიდნენ პატივსადები მოქალაქეებიც, მეფეს პურმარლი მოართვეს. მთელი ქალაქი გამოსულიყო მეფის სანახავად და კლდეს ამოჰფენოდა.

ოსმალების ჯარი თითქმის მთლად, თუმცა ნაწილ-ნაწილ, ჩაუვარდა ქართველებს ხელში, როდესაც ასან-ფაშა მიემშურებოდა გზას.

ხონთქარმა რომ შეიტყო ეს ამბავი, ფიცხლავ მოაშველა მთავარ სარდალი ფერად-ფაშა დიდი ლაშქრით, მაგრამ სვიმონ მეფემ დიდი თავგანწირულობა და მოხერხება გამოიჩინა: ერთი დაგვრით გააქრო მთელი ეს ლაშქარი ხატის სოფელთან. ამ გამარჯვების შემდეგ სვიმონმა აიღო დმანისის ციხე და დაიპყრო დმანისის ხეობა.

16

ამ ომიანობის შემდეგ რამდენიმე წელიწდაში მშვიდობიანობა იყო. ოსმალები ვეღარა ბედავდნენ საქართველოში გადმოსვალას. ათაბაგად ახლა მანუჩარი იჯდა და სათაბაგო თითქმის სემოერთებულ მხარედ ითვლებოდა. მართალია, იქური ზოგიერთი თავადები ჯერ კიდევ ოპსმალეთისაკენ იწევდნენ, მანუჩარს ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ სიმამრის შემწეობით მაინც ხელში ეჭირა ისინი. კახთ ბატონმა ალექსანდრემაც ხომ მტობა აღარ დაიჩინა, როცა გარემოებებმა იზულებული გახადეს ასე მოქცეულიყო.

სვიმონი ახლა ისე სახელმწიფოს განგებას და აშენებას შეუდგა. ამ დროს იყო, რომ ცდილობდა შეემცირებინა სახელმწიფო გადასახდი, რადგან ომების დროს მეფე იზულებული იყო ეს ხარჯი ას მორჩილამდის აეყვანა კომმზედ.

სვიმონმა იცოდა, რა ავი თვალთ უყურებდნენ ოსმალები საქართველოს ძლიერებას, იცოდა რომ ხონთქარი, ეს საქართველოს დაუძინებელი მტერი, პირველ მარჯვე შემთხვევით ისარგებლებდა იმის დიდების დასარღვევლად და დიდი გულმოდგინებით შეუდგა ციხეების შენება-გამაგრებას. სპარსეთის მხრიდან კი არ ეფიქრებოდა.

-სპარსეთი დაჰზავებია ოსმალეთს, მაგრამ ეს ზავი ხანმოკლეა. ყენი ვერასოდეს ვერ დაუმეგობრდებ ხონთქარს და სპარსეთს ყოველთვის სასიამოვნოდ დარჩება, თუ საქართველოში ძლიერი მტერი ეყოლება ხონთქარს. ოსმალები უნდა გავდევნო საქართველოდან. შაჰ-აბაზი გუნიერი კაცია, იმას, როგორც შორგამჭვრეტელს, ჩრდილოეთისაკენ უჭირავს მზიერი თვალი, ეშინიან საქართველო შევარდენი ჩრდილოელს არწივს არ დაუმეგობრდეს და ორივემ ერთად სპარსეთის ლომზედ არ გაინავარდო, მაგრამ სანამ მე ცოცხალი ვარ ეს შიში უსაფუზვლოა: მე მსურს

საქართველო შევარდენი თავისუფლად დანავარდობდეს. ამისთვის მემეგობრება შახ-აბაზი და მეგობრადაც შემრჩება ბოლომდის,-ფიქრობდა მეფე.

სვიმონმა არც ეკლესიები დააგდო უყურადღებოდ: დაუწერა სვეტიცხოველს და სიონს ბოზების გუჯრები, შეამკო და დასაჩუქრა სხვა ტაძრებიც. ისე ექცეოდა ეკლესიის და სამღვდელოებას, როგორც ჭეშმარიტი მართმადიდებელი, თუმცა ისევ მაჰმადიანად ირიცხებოდა. როდესა ერთხელ კატალიკოზმა გაუბედა მეფეს და თხოვა საჯაროთ აღეარებინა თავისი თავი ისე ქრისტიანათ, სვიმონმა უპასუხა:

-არა, ყოვლად სამღვდელოვ! ეს ცოდვა მოვიმოქმედე სამეფოს დახსნისათვის, მსურს ჯერ სამეფო მთლად გავანთავისუფლო. როცა ამას შევასრულებ, როცა ღვთისმშობლის ხვედრს ქვეყანას მთლად გავწმედ უცხო ტომებისაგან, მაშინ შევევედრები დედას ღვთისას: იგი მიიღებს ჩემს კეთილ საქმეს მსხვერპლად.

ეს დრო ბედნიერი დრო იყო ქართველებისათვის. ბედნიერება უფრო სრული ინებოდა, თუ მეფეს თრიაქისათვის არ დაეტანებოდა ძალა. სვიმონი თრიაქს სპარსეთში შესჩვეოდა ტყვეობის დროს, ახლა უფრო უმატა იმის ხმარებას. ბანგით გონება მიზნედილი მეფე თვს ვეღარ იჭერდა და უდიერად ეპყრობოდა ზოგიერთს. ამისთანა მდგომარეობაში იყო სვიმონ მეფე, როცა ბრძანა გადაეყარათ გელიყარნახის კლდიდან ყორღანაშვილის ცოლ-შვილი, იმავე კლდიდან, საიდანაც თითონ ყორღანაშვილი გადააგდო საჩინომ; ამავე მდგომარეობაში იყო, როცა გორის ციხესთან მხოლოდ ჟინის მოსაკლავად გააწყვეტინა ხალხი ოსმალებს და თავის ძმისწული გოჩაც იმსხვერპლა.

ეს უკანასკნელი სემთხვევა გულის დაღად ჩააჩნდა ხალხს.

-კაცო, მეფე კი არის, მაგრამ განა შეიძლება მწვანის გულისათვის, აქაოდა თვალითა ვხედავთ, სუფრაზედაც მომიტანეთო, ხალხი გააჟღღეტინოს?!

-მართალი რომ სთქვას კაცმა, მეფის მახლობელის კი იყვნენ მაშინ დამნაშავეები. ბიჭო, მეფემ ბრძანა, მაგრამ რა ვუყოთ? ხომ ხედავენ, უაზრობა იყო რაზმის გაგზავნა იქვე ციხის კედლებთან მდებარე ბაღებში მწვანის დასაკრებად. უნდა დაემოშმინებინათ მეფე.

-სხვა სხვის ომში ბრძენია! აბა, ერთი შენ ყოფილიყავი და ვნახავდით, შეჰბედავდი თუ ვერა სიტყვის შებრუნებას შექეიფებულ სვიმონ მეფეს,-იტყოდნენ სხვები.

ამისთანა შემთხვევებში ოჯახიც კი ეკრძალებოდა მეფეს.

-ხელია, ნამდვილი ხელი! ტყვილად კია არ დაარქვეს ეს სახელიო,-ამბობდნენ.

სამეფოს აშენებას ცდილობდა სვიმონი, თან თვალი იმერეთისაკენ ეჭირა. უნდოდა ახლა დასავლეთი საქართველო შემოეერთებინა. არც ძალიან ძნელი იყო ეს საქმე, რადგან სვიმონის სახელი დასავლეთ საქართველოშიც გაითქვა; ბევრი იყო იქ გაცალკავების მოწინააღმდეგე მართლაც, როცა სვიმონმა სანდო კაცები გააგზავნა იმერეთში იქაური გავლენიანი კაცებისათვის პირის საკითხავად, იმათ აუთქვეს დახმარება. მეფეს რომ მოუტანეს ეს ამბავი, დააპირა იმერეთზე გალაშქრება. მიზეზად ის მოიღვა, იმერნი რომ მაჰმად-ფასას საშველად წამოვიდნენ.

გადავიდა თუ არა სვიმონ იმერეთს, მიეხმარნენ იმათ ზემოური თავადები. იმერეთში მაშინ ლევანი მეფეობდა. სცადა ლევანმა წინააღმდეგობა, მაგრამ ამოდ: სვიმონმა ერთი შეტევით გაფანტა იმისი მომხრე რაზმები, სულ ცოტა ხანში დაიჭირა იმერეთი შემოუერთა თავის სამეფოს, ჩააბარა სიმაგრეები თავის მომხრეებს, გამარჯვებული დაბრუნდა უკან.

ამ ამბავმა შეაშინა დადიანიც და გურიელიც. იცოდნენ, ახლა ჯერი იმათზე მიდგა და დაასკვნეს შეეყენებინათ სვიმონის წინსვლა. დადიანმა შეკრიბა ჯარი, მოიშველა აფხაზები, შემოესია იმერეთს, აიღო სიმაგრეები და დასვა ქუთაისს მეფედ როსტომი.

გაიგო გურიელმა, შეკრიბა ლაშქარი, მოიშველია ოსმალები, შეესია იმერეთს, დაიპყრო ციხეები, განდევნა როსტომი დასვა მეფე ბაგრატი.

სვიმონი იმერეთს უბრძოლველად ვერ დაუთმობდა ვერც დადიანის, ვერც გურიელის მომხრეს. შეკრიბა ლაშქარი, გადავიდა იმერეთს, დაატყვევა ბაგრატი და ჩააყენა ციხეებში თავისი ჯარი.

სვიმონ მეფე ახლა დაიმედებული იყო, ვედარავინ წაართმევდა იმერეთს. ბევრი აღარ აკლდა საქართველოს შეერთებას. ეს იმედი უღიმოდა სვიმონს. ესევე იმედი ახალისებდა შეგნებულ ქართველებს: იცოდნენ, საქართველს დიდება იმის ერთობაშია. მაგრამ გაისმა უსიამოვნო და საშიში ხმები: მოვიდა ამბავი რომ ოსმალეთი გამოლაშქრებას აპირებსო, რომ ოსმალებისაგან წაქეზებული დადიანი დიდი ჯარით წამოუძღვა როსტომ მეფეს იმერეთში, ქუთაისი აიღო და როსტომი მეფედ დასვაო. სვიმონს ეს ამბები ძლიერ ემძიმა, გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ დაეპყრა მთელი დასავლეთი საქართველო.

17

1592 წელს, გაზაფხულის პირზე, დაიწყო დენა ლაშქარმა თბილისისაკენ. მეფე იმერეთის დასაპყრობად ემზადებოდა. ჯარს მოსდევდა საგზალი, იარაღი. დიდმარხვის მიწურულებში გაემგზავრა. ქართლი სწრაფად გაიარა, გადავიდა იმერეთს., აიღო სვირი, კაცხი, სკანდა; მოადგა ქუთაისს. როსტომ მეფე გაიქცა დადიანთან. ასე სწრაფად იმისთვის დაიპყრო მეფემ იმერეთი, რომ თითქმის მთელი იმერლობა იმისკენ იყო. ოდიშისკენ გასწია ხელმწიფემ.

- უნდა დავიპყრო ოდიში, თორემ დავბრუნდები თუ არა წინანდელი ამბავი მომიხდება იმერეთში. ოდიშიდან გურიაზე გადავივლი და იქიდან სამცხე-საათაბაგოზე დავბრუნდები. თუ მანამდის შემოვიდა თათარი, ჩემი და იმერეთის ლაშქრით შევებრძოლები იმას, - ოცნებობდა მეფე.

სვიმონის ლაშქარი მივიდა ოფიშკუთს და დაბინავდა, მაგრამ აქ იგი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. წვიმიანი გაზაფხული იყო, მთელი ოდიში გაუალ ჭაობად გადაიქცა. ხალხი იწუწებოდა, სველ მიწაზე ეყარა. ღომმა და სიმინდმა უგრძელეს, ავადმყოფობა გახშირდა ჯარში. ლაფმა და უგზობამ ხომ გააჭირვეს საქმე. მთელი ოდიში ტყით იყო დაფარული და ტყეში გაფანტული საცალფეხო გზები აბა რა გამოსადეგი იქნებოდა ამოდენა ლაშქრისათვის?

ამ გაჭირვებაში იყო მეფე, როცა მოვიდნენ დადიანისაგან მოციქულები. ხელმწიფემ პატივით მიიღო დესპანები და ლაშქრის მოთავეები შეკრიბა დადიანის წინადადების მოსასმენად. მამია წერდა:

«...ვიცი თქვენი მხნეობა, თქვენი ლაშქრის სიდიდე და სიმლიერე, ამისთვის გმორჩილდებით, როგორც ემორჩილებოდა იმერეთი და ოდიში დიდებულ თამარ მეფეს; მხოლოდ მიეცი იმერეთი როსტომს და გადაიყვანე შენი ლაშქარი ქართლშივე: ისე დაიმკვიდრე მთელი საქართველო, როგორც ეპყრათ ის შენ დიდებულ წინაპრებს».

ეს წერილი არ იამა არც მეფეს, არც მის ამაღას.

-თუ იმერეთში ისევ როსტომი იქნება ჩვენ კი სინ დავბრუნდებით, მაშ რიდასთვის წამოვსულვართ აქ?!-- თქვა საჩინომ.

-ეგ იმას ნიშნავს, უომრად დავთმოდ ის რაც ომით დაგვიჭერია,- თქვა არჩილმა.

მეფე დაფიქრებული იჯდა, მარჯვენა უღვაშს ატამაშებდა ბოლოს ბრძანა:

-მოკითხვისათვის მადლობა მოახსენეთ დადიანს. უთხარით: იმერეთს ვერ დაუთმობ როსტომს, ოდიში არ შემოვალ, თუ როსტომს მომცემს ხელში.

ეს პასუხი მიიღეს მოციქულებმა და წავიდნენ. მეფე შავ ფიქრებს მიეცა.

-ლაშქარში ავადმყოფობა ზლიერდება, აქ დგომა არ ხერხდება; წინ წასვლაც ამ ჭაობშიც შეუძლებელია. უნდა დავბრუნდე, მაგრამ თუ როსტომი არ ჩავიგედ ხელში, რა გამო?

დადიანმა კარაგად იცოდა მეფის ლაშქრის მგდომარეობა ისიც იცოდა, რომ სვიმონ მეფე არ დათანხმდებოდა პირობებზე, ამისთვის მოუვიდა თუ არა აფხაზეთიდან მეშველი ჯარი, რომლის ლოდინსაც იყო ის აქამდის, აღარ მოუცადა დესპანებს, შეკრიბა მოთავეები და იმათთან ერთად დაასკვნა თავს დასხმოდა სვიმონს.

-სვიმონ მეფის ლაშქარი დიდია, მაგრამ ავდრისა და ავადმყოფობისაგან მისუსტებულია; არც ბრძოლას მოელიან ჯერ, რადგან ჯერ ისევ დესპანებს ელაპარაკება. ოფიშკუთში პატარა ველი უჭირავთ, გარშემო კი ტყეა დ ჭაობი. იქ მის დიდ ლაშქარს გაშლა არ შეუძლია. გიბრძანებთ ახლავე აშალოთ თქვენი რაზმები, სხვადასხვა ბილიკებით გაუდგეთ გზას. ხვალ ზეით, განთიადისას, ყველას სვიმონის ბანაკს ახლო უნდა იდგეთ ტყეებში, ჩემ ბრძანებას ელოდეთ. საიდუმლოთ უნდა მოხდეს ყველა ეს,-ბძანა მამიამ.

მოუწონეს მოფიქრება. მალე აიშალა მეგრელების ლაშქარი ბანძიდან და გაუდგა გზას. არც თითონ დადიანმა დააგვიანა, ჯერ რიჟრაჯი არ იყო, როცა ის აწყობდა ტყეში სვიმონის ლაშქრის გარშემო, თავის ჯარს და ბრძანებას აძლევდა.

სვიმონის ლაშქარს ჯერ იევ ეძინა; მხოლოდ ყარაულები იდგენე ფეხზე; ისინიც წვიმას გაეჟენთა, მობუზულიყვნენ. გაისმა საყვირების ხმა და მეგრელები თავს დაესხნენ ლაშქარს სხვადასხვა მხრიდან. შეშინებული ჯარი წამოიშალა, აირია. მიხვდა სვიმონ მეფე საქმის ვითარებას და ფიცხლად შეუდგა ჯარის დაწყობას. არც ამირსპასალარმა დაკარგა გონება. სულ მცირე ხანში უმთავრესი ჯარი მთლად იყო საომრად გაწყობილი. მაგრამ არ იქნა, ომი არსად შენივთდა: მეგრელები გუნდ-გუნდად ეცემოდნენ ჯარს ყიჟინით და ისევ მარდათ უკუიქცეოდნენ ტყისაკენ. ამგვარ ბრძოლაში სვიმონმა ვეღარც ზარბაზნები მოიხმარა რიგზე, ლაშქარიც დაეღალა, ომის ხალისი დაკარგა. შეატყეს ეს მეგრელებმა, უფრო მედგრად დაუწყეს თავდასახმა; დიდ ზიანს აძლევდნენ.

მეფე ჯერ თითონ ხელმძღვანელობდა ჯარს, მერმე გამოვიდა ომიდან, გადახედა ბრძოლის ველს და მწარედ ჩფიქრდა დიდხანს დაჰყურებდა მებრძოლებს, თან უღვაშს ხელს არ აშორებდა, მერე ბძან:

-მომგვარეთ შურდანი!

შეჯდა სვიმონი შურდანზე და უბრძანა, დაემახათ საამთურქსტანიშვილისათვის რომლის რაზმი მეფის ახლოს იბრძოდა. თურქისტანიშვილმა მეფე რომ შურდანზე ნახა, ეწყინა და შეჰბედა.

-რა არის მიზეზი, რომ წასავლელათ მომადებულხართ? ღმერთმა ნუ მიჩვენოს გაქცეული ჩვენი მრავალჯერ გამარჯვებული მეფე!

ასე იმისთვის მოახსენა თურქისტანიშვილმა, რომ შენიშნული ჰქონდა მეფის ჩვეულება. მეფეს ორი ცხენი ჰყვანდა: ფალავანი და შურდანი. როცა გამარჯვების იმედი ჰქონდა ფალავანზე მჯდომი ომობდა, როცა დაატყობდა მარცხი მომდისო, შურდანზე შეჯდებოდა და გაეცლებოდა.

სვიმონმა სიყვარულით შეხედა საამს და უთხრა:

-ჯერ ახალგაზრდა ხარ, გამოუცდელი, თუმცა მხნეობით ბევრს გამოცდილსა სჯობიხარ. დაიხსომე, რასაც გიბრძანებ უთხარი ამირსპასალარს, რომ რაც შეიძლება მალე გამოიყვანოს ჯარი ბრძოლიდან და წამოვიდეს; მძიმე ბარგი დაყარეთ საამს

გული ყელში მოეხუნა, ხმა ვეღარ ამოიღო. სვიმონმა გამოაბრუნა შურდანი და მისცა სადავე.

თურქისტანისვილი ისევ ჩავიდა ბრძოლაში. ისიც, ჯარის სხვა უფროსებიც კიდევ ეცადნენ ბედი წაღმა დაებრუნებინათ, კიდევ რამდენჯერმე შეებრძოლენ მტერს, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ სვიმონი არ მოატყუა თვალმა და უკან დაწიეს ლაშქარი. ზარბაზნებიც, სხვა მძიმე ბარგიც გამარჯვებულებს დარჩათ.

დადიანი ომის დაწყებიდანვე ეძებდა სვიმონს, მაგრამ რას იცნობდა, როდესაც ის უბრლო მეომარივით იბრძოდა ჯარში და არც მოკაზმულობით ირჩეოდა სხვებისაგან. სვიმონის ძეგნაში მამიამ შენიშნა, რომ ერთ ადგილას მხედრობა ძალიან თვალს ადევნებდა, მტერს ახლო არ უშვებდა; იფიქრა, სწორედ აქ იქნება მეფეო და დაეცა რჩეული რაზნით; მაგრა დაუხდნენ. დადიანმა მაინც გააპო ჯარი და ზედ წააწყდა მღვდელს ხატით ხელში. ეს იყო დეკანი გარსევანიშვილი, იქონის ხატის მტვირთელი. დეკანოზი მოკლეს, ხატი გაიტაცეს.

-იმე! სვიმონ მეფე მეგონა და ხუცესი ვინმე არ ყოფილა!-იწყინა დადიანმა.

რას მოიფიქრებდა რომ სვიმონ მეფე ახლა მარტოდ მარტო მიდიოდა.

მიდიოდა მეფე, გულზე ბოღმა აწვებოდა. ის ახლა ვერც იმშვენებდა თანამგზავრს: კაცის დანახვა ეჯავრებოდა, მარტო უნდოდა ჩაეკლა დარდები გულში. კორბეულის მონდორზე რომ მოდიოდა, დაინახა, დედაკაცი ახოსა თოხნიდა. მივიდა, წყალი სთხოვა. დედაკაცმა იცნო მეფე.

-გახსოვს, ბატონო, საომრად რომ მიბრძანდებოდით, ჩემი შვილი კი არ იახლეთ, კაცისაგან მთვრალივარო? ვგონებ ახლა კი გამოფხიზლებულხარ.

სვიმონ სიზმარივით მოაგონდა, რომ ეს დედაკაცი ეხვეწებოდა, ჩემი შვილიც წაიყვანე ჯარსიო. მაგრამ პასუხი არ გასცა: ახლა სხვაგანა ჰქროდა მისი გონება.

გადმოდგა მგზავრი ლიხის მთას. თვალწინ გადაეშალა თავის შვენიერი სამფლობელო მწვანე ვაკეებით, ტყით შემოსილი გორებით, თოვლიანი მთის წვეროებით შემკული. შეაყენა ცხენი. დიდხანს იდგა და კბებოდა ქვეყნის სურათით.

-ღირსი ხარ, ჩემო ბაღდადო ქვეყანავ, მსხვერპლისა!.. შეიწირე შენთვის დათხეული დიადი სისხლი!

მეოთხე დღეს სვიმონი კავთისხეს მივიდა. ღამდებოდა. მგზავრიც და იმისი ცხენიც ძალან დაღლილები იყვნენ. სვიმონმა ცხენი მიაბრუნა გლეხქვრივიძის სახლისაკენ, რომელიც სოფლის განაპირას იდგა. ეზოში რომევიდა, წინ დედაკაცი შემოხვდა. დიასახლისს კაბის კალთა სარტყელში ჩაეჭდო, რძით სავსე საწვეველი მოჰქონდათ შინ. კალთაზე ხუჭუჭთმიანი ბავშვი ეჭიდებოდა.

-საღამო მსვრობისა! სტუმარს არ მიიღებთ?-ჰკითხა მგზავრმა.

-სტუმარი ღვთისაა, მობმანდით!-უპასუხა დედაკაცმა. სვიმონი რომ ჩამოხდა, დედაკაცს უნდოდა ცხენი ჩამოერმია. მეფეს უნებლიეთ გაეღიმა, როცა ნახა, რომ შურდანს დედაკაცი უპირებს წყვანას.

-არა, დაო, ავი ცხენია მე თითონ მოუვლი-უთხრა სვიმონმა.

დიასახლისმა მხოლოდ ახლა შენიშნა რა რაშზე იჯდა იმისი სტუმარი.

ცხენს რომ მოუარა, თითონ დერეფანში ჩამოჯდა ტახტზე. სახლის პატრონი ვახშმის მზადებას შეუდგა; ტან ცალი თვალთ სტუმარს ათვალთიერებდა. ამ თავით ფეხებამდის იარაღჩამჯდარმა კაცმა რაღაც ეჭვი დაჰბადა დედაკაცის გულში, მეტადრე მაშინ როცა სტუმარმა უთხრა, იმერეთიდან მოვდივარო: ქალს ქმარი იმერეთს ჰყავდა ჯარში.

მხედარმა მუზარადი მოიხადა, ჯაჭვი გაიხსნა, მხარ-თემოზე მიწვა. ძალიან მოქანცულიყო, მიეძინა. ძილში ჯაჭვის კალთა გადაეხადა და ქვეშ მშვენიერი სამეფო

სარტყელი გამოჩნდა. დედაკაცს თვალი დარჩ მკირფას ნივთზე; მიხვდა, რომ თუ თვითონ მეფე არა, ვინმე წარჩინებული კვი მინც უნდა ყოფილიყო იმისი სტუმარი. ვახშამი რო მიართვა, ჰკითხა:

-თქვენ ბძანეთ, რომ იმერეთიდან მობრძანდებით; ხომ არ გაგიგონიათ ბატონი მეფე როგორ ბძანდება, ან როგორ მშვიდობით გადაიხადა ომი?

-არა, მე მეფისა არა ვიცი რა,-მიუგო სვიმონმა.

-ჩემი ქმარი იქ არის ომში, მაგრამ ოღონდ ღმერთმა წყალობის თვალთ გადამოხედოს ჩვენ ხელმწიფეს, და ყველ;ანი იმის ჭირის სნაცვლოები იყონ,-სთქვა დედაკაცმა.

ჯერ ალიონი არ დაძრულიყო, როდესაც მგზავრი გამოეთხოვა თავის მასპინძელს. უცნობი სტუმრის ვინაობა ქალმა მაშინ გაიგო. როდესაც შემდეგ სვიმონმა იმის ქმარს აზნაურობა უწყალობა და მეფურად დაასაჩუქრა.

18

ოსმალებმა რომ სვიმონ მეფე იმერეთს გაიგულეს, საქართველოზედ გამოითარეშეს. სვიმონს თბილისში ამბავი დახვდა. ოსმალები ტშირზე არიანო დაბანაკებულები. მეფემ სწრაფად შეადგინა ლაშქარი მეციხოვნეებისაგან, გაუძღვა წინ, დაეცა მტერს. თათრებს სვიმონი ჯერ ისევ იმერეთში ეგულებოდათ. როცა გაიგეს ჯარს თვითონ მოუძღვისო, შეშინდნენ, დაიწიეს ტაშირიდგან, მაგრამ მეფე მისწვდა იმათ, დიდად დააზარალა, წაართვა სიმაგრეები, რომლებიც ხელში ჩაჰვარდნოდათ იმათ. დამარცხებული იმისი ლაშქარი რომ მოვიდა იმერეთიდან თბილისს, თითონ მეფე გამარჯვებული, დავლამრავლად შემოვიდა თბილისში.

ხონთქარი ახლა კი მთლად განრისხდა და გადაწყვიტა ბოლო მოელო სვიმონის ძლიერებისათვის. დროც მარჯვე იყო, რადგან სპარსეთთან ზავი ჰქონდა შეკრული და არ ეშინოდა იმათი მხრიდან. უბრძანა თავის ამირსპასალარს ჯაფარ-ფაშას, გაელაშქრა საქართველოზე, თან ნება დართო მოეთხოვა რამდენიც უნდოდა კაცი თუ ხარჯი.

ჯაფარ-ფაშა გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. შეყარა დიდი ლაშქარი, შეაგროვა საგზალი, წამოიღო თან საომარი იარაღის გარდა გზების საკეთებელი და ტყის საკაფავი მანქანები: ამოდენა ლაშქრის მოძრაობისათვის გზების კვლა იყო საჭირო. ძალიან ფრთხილად იქცეოდა ფაშა: იცოდა სვიმონის საარაკო გამბედაობა და ყოველ წუთთს მოელოდა თავდასხმას.

-ჯაფარ-ფაშა ერთი უკეთესი სარდალთაგანია ხონთქრისა, ღირს კაცი გაემკლავოს იმას,- თქვა სვიმონმა და შეყარა ლაშქარი.

სვიმონის ლაშქარი ეხლა დიდი არ იყო, მაგრამ სულ დარჩეული რაზმებიდან შესდგებოდა და ისე იყო მოწყობილი, რომ მოძრაობა ადვილად შეეძლო; ამას დიდი ყურადღება მიაქცია სვიმონმა, რადგან უნდოდა ეცადნა ისეთი ომი, როგორიც დადიანმა გაუწია მას.

ჯაფარ-ფაშა ნახიდურამდინ მოვიდა და იქ დაბანაკდა. ჯაშუშებმა მოუტანეს მეფეს ამბავი, როგორ იყო ოსმალების ბანაკი გაწყობილი. სვიმონი დაფიქრდა, ნახა, შესაძლებელი იყო მარჯვედ დასხმოდა თავს მტერს, მაგრამ ცოტა იჭვი შეეპარა მოტანილი ამბის სინამდვილეზედ და დაასკვნა თავისი თვალთ ენახა ბანაკი. ბევრი უშალეს, მაგრამ არ დაიშალა და წავიდა საღირაშენიდან, სადაც დაბანაკებული იყო მეფის ლაშქარი.

ოსმალების დასათვალთვლებლად რომ წავიდა მეფე, თან მხოლოდ ათი მხედარი და ერთი მექანარი წაიყვანა. დაათვალთვლა მტრის ბანაკი ნახიდურში, მოინდომა ენახა

რამდენად ფხიზლად იყვნენ ოსმალები, და უბრძანა მექანარს ბუკი დაეკრა. ბუკის ხმაზედ შეკრთა მტერი, ბანაკში დიდი მოძრაობა შეიქმნა. სვიმონი გამობრუნდა. მტრის რაზმი დაედევნა იმას. იგრძნო მეფემ და ფიცხლად წამოვიდა. ჩამორჩა მღვეარი, გამოასწრობდა კიდეც მაგრამ ალგეთში რომ შემორეკეს ცხენები, შურდანი უეცრად დატორტმანდა და ლაფიდან ვეღარ ამოვიდა. მოასწრო მტერმა. შეიპყრეს სვიმონი. მოაგონდა თავის პირველი დატყვევების ამბავი, როცა ამავე ადგილებში სპარსებმა შეიპყრეს ღალატით და დაიძახა:

-კიდევ აქ?! კიდევ ესე?!

დაღამდა . მეფე არსად სჩანდა. ლაშქარმა დაიძინა. აქა-იქლა მოსჩანდა ცეცხლი. ერთი კარავი კი მთლად იყო განათებული. კარავში იყვნენ ბატონიშვილი გიორგი, საჩინო ბარათაშვილი, იასე ორბელიანი, არჩილ ბატონიშვილი, საამ თურქისტანიშვილი, შიოშა სააკაძე, და რამდენიმე სხვა წარჩინებული. ბატონიშვილი ძლიერ ღელავდა.

- რა გაუტეხელი კაცია მამაჩემი! ხელია ნამდვილ ხელი! აიტეხა, მე თვითონ უნდა დავათვალიერო მტრის ბანაკი, ის ათი კაციც ძლივს გავატანე, მაშინდელი არ იყოს, თითონ რომ წავიდა დესპანად ფერად-ფაშასთან ხატის სოფელში.. გული კარგს არას მეუბნება... ჯაფარ-ფაშა ფრთხილობს. რომ გაუგოს სიახლოვე?..

- რად მისცემიხართ საგონებელს, ბატონიშვილო? სვიმონ მეფისათვის პირველი არ არის ამისთანა სიმამაცე. ბატონი გამოცდილი; ისე არ მოიქცევა მტერმა ავნოს,- მიუგო საჩინომ.

- თუნდ გაუგონ რას უზამენ? შურდანისთანა ფეხმარდი ცხენი ჯაფარის ბანაკში ერთიც არ იქნება; ბიჭები კარგები ახლავან, გზა კარგად იციან: ყოველთვის დააღწევენ თავს,- მოახსენა არჩილმა.

- ღმერთმა ქნას! ამოიოხრა ბატონიშვილმა.

- თულაშვილი მაინც თან წაიყვანა? ძალიან ენდობა მეფე იმ კაცს, მე გული ვერ შევაწყე იმას.-თქვა სააკაძემ.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, უეცრად ხმაურობა მოისმა, კარავში შეიჭრა სისხლით მოსვრილი მხედარი და დაიძახა:

- დავიღუპენით! ბატონი მეფე ტყვედ ჩავარდა. დაგვედევნენ, ვინც ჩამორჩა დაგვიხოცეს. ფარცხისის გასწვრივ ჩამოვეშვენით. შევყარეთ ცხენები ალგეთში. ლაფი ყოფილიყო. შარდანი ჩაეფლა და დასჭრეს. შეიპყრეს მეფე. არიქა, გზა მოუჭერით!..

ყველას ელდა ეცა. ერთ წამს მოეფინა ეს ამბავი და ბანაკშიარეულობა შეიქნა. ბატონიშვილმა მაშინვე დაადევნა მტერს რჩეული რაზმი, მთელი ლაშქარიც სწრაფად აკაზმა. უმთავრეს ლაშქარს თითონ გაუძღვა, სხვებს უბრძანა სხვადასხვა მხრიდან თავს დაეველოთ მტრისათვის. საღირაშენიდან მთლად მოიწმინდა ჯარი.

ოსმალებიც ჩქარობდნენ: ჯაფარმა ძვირფასი ტყვე ჩაიგდო ხელში, იცოდა ქართველები თავებს დაიხოცდნენ საყვარელი მეფისათვის და აირჩია გატაცება. ფაშამ გაასწრო, გაიტაცა მეფე, დანარჩენი იმისი ჯარი კი მოიმწყვდიეს ქართველებმა, მუსრი გაავლეს. მეტადრე ბარათაშვილმა ისახელა თავი, კარგად იცოდა იქაური გზა-კვალი, მარჯვედ იქცეოდა, მაგრამ ლაშქარს გასმარჯვება აღარ ახარებდა: მტერმა გული მოსტაცა იმას.

1604 წელს სტამბოლს მივიდა საქართველოს მეფის გიორგის დესპანი და ხონთქარს წერილი მიართვა. გიორგი სთხოვდა სულთანს გაენთავისუფლებინა იმისი მამასვიმონი და მძევლებს გარდა უგზავნიდა სწორედ რომ ღირებულ სასყიდელს, რომელიც ანუხსული იყო მეფის წერილში.

ამ წერილმა ხონთქარი დააფიქრა. თან არ უნდოდა გიორგი მეფე მოემდურებინა და ძვირფასი სასყიდელი ხელიდან გაეშვა. თან ეშინოდა სვიმონი გაენთავისუფლებინა, რადგან იცოდა რა გამბედავი და რა გამოცდილი სარდალი იყო ის. ბოლოს გადაწყვიტა ერთი კიდევ ეკითხა სვიმონისათვის პირი და თავისთან დაიბარა.

სვიმონი ციხის ფანჯარასთან იდგა დაღონებული, როცა შევიდა იმასთან კაცი და ხონთქარის ბრძანება გადასცა.

სვიმონი წადგა ხონთქრის წინ. სულთანმა დიდი პატივისცემით მიიღო და უთხრა:

- შენს შვილს გიორგის სასყიდელი გამოუგზავნია, მთხოვს გაგათავისუფლო; გაათავისუფლებ, მაგრამ იმ პირობით, რა პირობითაც წინადაც მსურდა გამენთავისუფლებინე: უნდა შემომფიცო ერთგულებაზე და ხარჯი დაიდვა ჩემი.

სვიმონს ეწყინა ამ წინადადების გამეორება, თავი ველარ შეიმაგრა და მკაცრად უპასუხა:

- ნუ იფიქრებ! მიყვარს თავისუფლება, მომსურვილდა საქართველოს ხილვა, მაგრამ მაგ ფასად არ მინდა არც თავისუფლება, არც ჩემი სამშობლოს ნახვა. საკუთარ ბედნიერებას ქართველი არასოდეს არ იყიდის მაგ ფასად!

სვიმონი ჯერ არც კი დამშვიდებულიყო, როდესაც შევიდა იმასთან ხონთქრის კარისკაცი. თან შეჰყვა მონა, რომელსაც ოქროს კულა და ფული ეჭირა ხელში ოქროსავე სინით. კარისკაცმა სალამი მისცა სვიმონს და მოახსენა:

- ბრწყინვალე ხონთქარი გაჰკვირდა, თქვენ რომ ისე იწყინეთ იმისი სიტყვა; ჰსურს წყენა არ დაიჩნოთ; მეგობრობის ნიშნად ღვინო მოგართვათ.

სვიმონმა მწარედ გაიღიმა და უთხრა:

- ვიცი რა მეგობრობის ნიშანია ეგ... დაასხი!

- ჩემო ძვირფასო სამეფო, ჩემო ტკბილო სამშობლო, შეიწირე მსხვერპლად ჩემი სიცოცხლე!- თქვა მეფემ და დაცალა საწამლავითსავსე ფიალა.

1895 წ.

გ ა გ რ ი ლ ე ბ უ ლ ი ყ ო

მძიმე საქმე ჰქონდათ გასარკვევი: დეპო რომელიც იმოდენა წვალებით დაეარსებინათ, იმოდენა ტანჯვით აეღორძინებინათ, რომელისაც იმოდენა იმედები ჰქონდათ,- ეს დეპო დღეს შერყეულიყო და ინგროდა.

- რადა, რად უნდა მოგვივიდეს ამისთანა მარცხი? ვაჭრობა დიდია, უფრო მეტი, სანამ სხვა მაღაზიებში, შემოსავალს კი ხარჯიც ველარ დაუფარავს; სათადარიგო თანხისათვისაც ხელი შეუხიათ. რაღაც საკვირველი დაუჯერებელი ამბავია ესა,- ამბობდას განცვიფრებული სარდიონი.

- შიგნიდან ტყდება ციხე, ღალატი უღებს ბოლოს ჩვენ საქმეს.

- ვინა გვღალატობს? ვინც შიგა ტრიალებენ, ხომ ვენდობით იმათ.

- ვენდობით და სანდონიც არიან, მაგრამ გამგეების მეტი არავინა ტრიალებს შიგ? ბიჭები?

- ეგეც იქით იყოს, ნისიამ შეარყია საქმე, ნისია ხუმრობაა?

- მერე რომელი მაღაზია ვაჭრობს ისე, ნისიად არავის ანდობდეს საქონელს. აქ ბევრ ამისთანა მაღაზიას უფრო მეტიცა აქვს ნისია, მაგრამ ხეირს კი აძლევს; პატრონს კიდეც აცხოვრებს, კიდეც ამდიდრებს.

- ან კი რა ნისიაა ეგ? ეგეთი ნისიები ყოველთვის სწორდება, როცა სანისიო დავთრების მქონებლები ჯამაგირს იღებენ. მაშ რა ქნან, თუ დავთარით არ ზიდონ სანოვაგე; სხვა არა იყოს რა, არ შეიძლება ყოველთვის ნადდი აძლიო მსახურს; ფულს თუ ჩაიგდებს ხელში, დეპოში კი აღარ იყიდის მაშინ, იქ მივა, საცა იმისათვის ხელსაყრელი იქნება, საცა მეტ სარგებელს აჩვენებენპირადად იმას.

- საკვირველია, რომ ვერსად ვერ შეიმაგრა თავი იმისთანა დაწესებულებამ. არსებობს და ჰყვავის კიდეც საქმე, სანამ სათავეში გამოცდილი და მოცლილი საიმედო მშრომელი უდგა; როგორც კი რაიმე მიზეზით გამოეცლება ის, მაშინვე ინგრევა!.

- მაგისტანა საქმემ რომ ვერ მოიკიდა ჩვენსი ფეხი, მაგის მიზეზი არის ნამდვილი პატრონის არ ყოლა, ისეთი პატრონისა, რომ ყველაჟამს და ყველაფერში ადევნოს თვალი და ცდილობდეს ააშოროს იმას ყოველგვარი უბედური შემთხვევა. ისეთ გულშემატკივარს, სურვილის და მოცალეობის გარდა, გამოცდილებაც ეჭირვება; ის რამდენიმე წელიწადი უნდა ედგეს სათავეში საქმეს, რომ შეისწავლოს ხელობა და ისე შეუწყოს სავაჭრო დაწესებულებას ხელი, როგორც ადგილსა და დროს შეეფერება; ეხლანდელი გამგეები კი შემთხვევითი ხალხი ვართ; ხვალ სხვაგან; ეგ საქმე კი ისეთია, თუ თვალი მოაშორა პატრონმა, დაინთქება, ჯიბე-უბით გაზიდავენ თავმინებებულ საქონელს.

- თვითონ მაგ დაწესებულებების ხასიათში და მიმართულებაში ვხედავ შეუსაბამობას და უნიადაგობას. ვაჭრობამ მხოლოდ საკუთარი სიკეთე იცის, აქ კი ვაჭრობას სამირკვლად სხვის სიკეთე და ქველმოქმედობა აქვს. შეუფერებელ საფუძველზეა საქმე აშენებული და იმისათვის ინგრევა.

- ვერ დაგეთანხმები! ალებ-მიცემობის დედააზრი არის რაც შეიძლება იაფად იყიდო საღი საქონელი და იაფად გაჰყიდო; ეს ორივე მხარე რომ ერთნაირად იყოს დაცული სავაჭრო დაწესებულობაში, საზოგადო სიკეთესაც მოიტანდა ის, მაგრამ ჩვენ ეხლა მხოლოდ მეორე მხარე გვახსოვს:სხვებზე უფრო პირიანად და პირნათლად ვყიდით; ჩვენ კი ისევ ვყიდულობთ და, მამასადამე, სხვებთან შედარებით ზარალი უნდა ვნახოთ. შესწავლილი რომ გვექონდეს ბაზარი და საქონელს ისეთს ვეზიდებოდეთ და იქიდან, რომელსაც უფრო გასავალი აქვს და საიდანაც უფრო ხელსაყრელია, საქონლის არჩევაში და ყიდვა-მოზიდვაში რომ ვჯობდეთ ჩვენებურ ვაჭრებს, მხოლოდ მაშინ დავძლევდით აქაურ ბაზარს.

საქონლის შენახვაც მიიღეტ სახეში: ვაჭრები თვალის ჩინივით უფრთხილდებიან საქონელს., ჩვენს სავაჭროს კი აგერ ჭიაც დაჰხვევია.

ეს ლაპარაკობდნენ ამ რამდენიმე წლის წინათ ერთად შეყრილი მოწინავეები და ჭმუნვა ეტყობოდათ.

- რატომ რამაზს კი არა ვხედავთ აქ, არ მოსულა, შინ არ არის?- იკითხა პირმოკლე ახალგაზრდამ, რომელიც მაგიდას მოსჯდომოდა და წევრების სიას ატვალთიერებდა.

- შინ ყოფილიყო, მაგრამ შემოეთვალა, ვერ მოვალ, შეუძლოდა ვარო,- მიუგო ხუჭუჭა ბაბომ და მსხალს ჩაუყარა ალმასივით კბილები.

- აფსუს!- თქვა უღვაშდაშვებიტ დემეტრემ,- ძალიან დაგვაკლდება უიმისობა; მიმწონს მისი მსჯელობა და ხალისი; ამ საქმისათვის ზედ გამოჭრილია ის.

- ამ ბოლო დროს რამაზმა ძალიან დაუშვა ფრთები, როგორღაც დაბეჩავდა და ხალისი დაეკარგა; კაცს ეგონება ავად არისო.

- მართლა და ავად არის რამაზი, ეშხით არის ავად; ტრფობის საბელით მიაბა ის დარიკომ და მერე რა მოკლედ!

- რა დროს ხუმრობაა, ყმაწვილო!- მიუგო კოპწია კეკამ და კიკინები შეიხუჭუჭა.

- ნამდვილს ვამბოფ; ხომ იცით არა გამომეპარება რა,- თქვა ილიკომ და ულვაში გაიგრიხა.

- მაგის თავის ტკივილი თუ აქვს რამაზს,- ჩამოარტვა სიტყვა შავმა სტეფანემ და ჩაიმღერა; «ავადა ვარ, თავი მტკივა, ქინზი მინდა ძმარიანი; გოგო, თუ შენ არ შეგყროდი, ბიჭი ვიყავ გვარიანი».

მარტლა-და გვარიანი ბიჭი იყო რამაზი, განვითარებული და მშრომელი, მაგრამ ვაგლახი საქმე შეემთხვა: შეხვდა გოგოს რომელმაც მოაჯადოვა, დაატყვევა, სებოჭა ის; სასიამოვნო ძეწკვებით კი არ შეჯაჭვა ის, ყოველ გრძნობათაგან შეთხზულ სიმებით, რკინის ჯინ-ჯილი შეუყარა ხელ-ფეხში და წყალში გადააგდო, დარდის უძირო მორევში. ეს უნებლიეთ მოუვიდა ქალს, თორემ თითონ არაფერ შუაში იყო. გაშლილი ვარდი იყო ის და თუ ბულბული იმისთვის ბნდებოდა, იმას რა ბრალი ჰქონდა. ქალი იცნობდა რამაზს, არა სძულდა ის, პატივსა სცემდა, მაგრამ მეუღლეთ ვერ გაჰყვებოდა: ის გვარიშვილი, მდიდარი, ლამაზი და განათლებული ქალი, ერთ პირველ სასძლოთაგანი ქალაქში, რამაზი კი ღარიბი, თავის მარჯვენის შემაცქერალი.

თუმცა კარგი განათლებული იყო რამაზი, მოხდენილი ვაჟკაციც, მაგრამ მაინც ვერ იყო დარიკოს საფერი.

არა, თუ ქალსაც ჰყვარებოდა ის, როგორც ვაჟს უყვარდა ის, მაშინ ყველა დაბრკოლებები თავისთავად ჩაიშლებოდნენ, მაგრამ საქმეც ის იყო, მხოლოდ ვაჟს უყვარდა; ცალფრთა სიყვარული იყო და ერთი ფრთით, თუნდაც ძლიერით, აფრენა როგორ შეიძლებოდა.

ეს ძალიან კარგად იცოდა რამაზმა და შორით სცემდა თაყვანს, უცეცხლოდ იწოდა სანთელივით დნებოდა.

ხანდისხან თითქოს იმედიც უღვივოდა გულში, როცა ქალი ალერსიანათ შეხვდებოდა, ოცნებობდა, რამე შემთხვევა ამამაღლებს ან გამამდიდრებსო. იქნება ქალსაც აეგზნოს იმისთანა გრძნობა, რომ ჩვენ შუა ამართული კედელი გადმოანგრიოსო, გაუვლიდა გულში.

ვინ, იცის კიდეც რას არ ოცნებობდა, მხოლოდ ოცნებობდა. ნამდვილად კი იმასაც ვეღარ აკეთებდა, რაც აქამდინ სასიამოვნო და სასარგებლო კაცად ხდიდა მას, მთლად თავი დაანება მოქმედობას, ყველაფერზე გული აიცრუა, აღარაფერი იზიდავდა, რადგან ყველაფერი უაზროდ და უმნიშვნელოდ მიაჩნდა: დარიკომ მოუსპო იმას მოქმედების ძალა. წიგნს აიღებდა- ყველა ფურცელზე მხოლოდ დარიკო ეწერა, მისთვის მიუწვდომელი დარიკო; კალამს აიღებდა ხელში, კალმის წვერს მხოლოდ ერთი სიტყვა გამოჰყვანდა- დარიკო, სხვისტვის გაჩენილი მისი დარიკო. ქუჩაში გავიდოდა, ყველა ნაცნობს ჯავრზე მოჰყავდა ის, რადგან არც ერთი მათგანი დარიკო არ იყო.

სხვის ოჯახში შევიდოდა, მასინვე გასვლას ცდილობდა: დარიკოს ოჯახი არ იყო ის და გული არ უდგებოდა, თანაც ყველას ეჭვით დაუწყო ყურება, რადგან ეგონა ყველამ იცის ჩემი საიდუმლო და დამცინისო. მთლად განმარტოვდა ვაჟკაცი, გაგარეულდა.

ესე გარინდებული იყო რამაზი თითქმის სამი წელიწადი და იქნება მართლადაც გაქვავებულიყო, თუ ქალი თავის ბედს არ შეჰყროდა და არ გათხოვებულიყო.

ის დრო, როდესაც დარიკო დაინიშნა და თხოვდებოდა, ისეთი ძნელი იყო რამაზისათვის, კინაღავ თავი მოიკლა. ვინ იცის რამდენმა ველურმა აზრმა გაურბინა მაშინ თავში და იქნება რომელიმე მათგანი კიდეც განეხორციელებინა, თუ მეგობრები

დარაჯად არა სდგომოდნენ. მაგრამ თანაც ეს დრო იყო მისი გამობრუნების ხანა: როდესაც სიყვარულის მიზეზმიზანი განქრა რამაზისათვის, გრძნობამაც ვერ ისაზრდოვა, ნელ-ნელა ჩაჰკნა და განქარდა როგორც აღზნებული ცეცხლი საწვავშემოლეული.

მხოლოდ ნაიარალიდა დარჩა გულში და იმასაც დრო დავიწყების ნავლით ჰფერფლავდა.

გავიდა წლები. რამაზი წინანდებურად საყვარელი მოქმედი შეიქმნა, უწინდებურად ხალისიანად ეკიდებოდა ყოველსავე სქავეყნო-საქველმოქმედოს, არა ჰზოგავდა არც შრომას, არც დროს.

მხოლოდ ეხლა უფრო მეტი სიდინჯე და გამოცდილება ეტყობოდა; ხანიც უთხრობდა, აგერ ჭადარა შეაჩნდა თმა-წვერში. ეხლა ის მეთაურობს აქაურ მოწინავე რაზმს.

ხომ გითვალთვლებიათ მოწინავე რაზმი? ყველა ქალაქში და დაბებშია ის. ზოგ დიდ სოფელშიაც იჩინე თავი. ეს დასი შესდგება მცირერიცხოვან რჩეულთაგან; ცხოვრებიდან შერჩეულ და მალა დაყენებულთაგან კი არა, იმ რჩეულთაგან რომლებიც აზრს ემსახურებიან, რომლებიც ყოველ კეთილის მზრუნველნი და ხელის შემწყობნი არიან. ეს ხალხი უჩინარია და უჩინო საზოგადოდ, მაგრამ იმათ ხელშია საქველმოქმედო დაწყობილებანი- წიგნთსაცავი საკვირაო სკოლა, დეპო, დამზღვევ – გამსესხებელი ამხანაგობა, თეატრი და ყოველივე სასიკეთო, რაც კი კერძო თაოსნობას და ხელმძღვანელობას მოითხოვს. ეს უანგარო მუშაკნი თანაც ქველმოქმედნი არიან, რადგან ყველა ამისთანა საქმე უფრო იმით საფასით და მუქთი შრომით ითქვამს სულს. სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს ეს დასი, როცა რამე საზოგადო საზრუნველი დაჩნდება. გატაცებით რომ მოჰკიდებენ საქმეს ხელს- მძურათ, თანხმობით, მძლავრად, თავაზიანად- სწორედ გულს დარდი უკუ გეყრება. ეს აზრის გამორკვევის და გეგმის შედგენის შემდეგ, თორემ მსჯელობის დროს რომ ნახოთ ისინი, მტრები გეგონებათ, ისე მედგრად იბრძვიან საქმის უფრო აზრიანად და საიმედოთ წარმართვისათვის.

როცა აზრი გამოირკვა და ასრულებას თხოულობს, დაკოცნა მოგინდებათ ამ პატიოსანი ხალხისა! დიდი ვინმე ან ხნიერი ისე ემორჩილება უმნიშვნელოს ან ახალგაზრდას, როგორც წინამძღვარს, თუ მას მეთაურობის ნიშანწყალი ატყვია. აი ამ პატარა წრეში ხორციელდება ძმობა, ერთობა და საზოგადო სიკეთისადმი დაუცხრომელი ლტოლვილება. მართალია ქვეყნისა ეს წრე. ვინ ამბობს, ამ წრეშიაც შეხვდებით დასაღონ მოვლენას, მაგრამ რა ვუყოთ?! ესეც ადამიანთა კრებულია და რას არა აქვს თავისი ჩრდილი. ეს რჩეულთა წრე ხან ძლიერდება და მეტ სიცოცხლეს იჩენს, ხან სუსტდება და ძლივს მიწანწკარებს, ხოლო ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში შეუდრკომლად მიმდინარეობს, როგორც ჩხრიალა წყარო, და თუმცა მცირე, მაინც ამშვენ-ასულდგმულებს არეს. იცით, მე ამ პატარა წრეებს დიდი იმედით შევყურებ, იმ უჯრედებად მიმაჩნიან ისინი, რომლებიც ჩაქსოვია ჩვენში საზოგადო სიკეთისადმი მისწრაფებას. ქსელის ეს უჯრედები გამრავლდებიან, დაუახლოვდებიან ერთმანეთს, გაეზმიან ერთმანეთში და იმ ძლიერ ბადედ გადაიქცევიან, რომელიც წასწევს და გაიტანს ჩვენს ცხოვრებას აზრის ნათელით გაბრწყინებულ გზაზე.

მხოლოდ ერთი აკლიათ ამ პაწაწინა წრეებს,- შეწყობილი მოქმედების დადი არაზით. მაგრამ არაფერი: გაღვივდება სადმე უმთავრესი სასიქადულო აზრიც, რომელიც აჰკინძავს ამ გაბნეული მარგალიტების მარცვლებს.

იმას ვამბობდი, რამაზი ეხლა ისევ ჰმეთაურობს-მეთქი ქამ მოწინავე რაზმს. ამ წინაზედაც იმან შეგვკრიფა ერთად საქველმოქმედო საქმის თაობაზე. დიდი კრება გაიმართა, მანდილოსნებიც შეგვეშველნენ. კრებაზე დარიკოც დაესწრო. ქმარს

ჩამოყვანა სამშობლოში და ქალს მოეწადინა საზოგადო საქმეში გარევა, რამაზი რომ შევიდა დარბაზში და დარიკოს შეხედა, ერთ წამს ფერი ეცვალა და შესდგა, მაგრამ მხოლოდ ერთს წუთს; მერე ერთი უცნაურად ჩაიღიმა და დაჯდა დამშვიდებული. არ მეამა მათი შეხვედრა; მისი სიწყნარე ნამალადევი მეგონა, ცეცხლზე გადაფარებული რამ საბურველი. წინანდელი ღელვა-ვაება გაუახლდება და დაიტანჯება ვაჟკაცი, იქნებ მაშინდელივით საქმის ხალისიც დაჰკარგოსმეთქი.

რამაზი კი გულდასმით ათვალთვლებდა საქმეს. თან კრებას წინამძღვრობდა, წესსაძლევდა, თან დარიკოს ათვალთვლებდა და წინანდელი რომ აგონდებოდა უკვირდა.

- აი ის თვალები, - ფიქრობდა რამაზი, - უძირო ზღვად რომ მეჩვენებოდნენ, ხან კი ცეცხლს მაფრქვევდნენ, მაწამებდნენ. მაგდენი არაფერი! ცხვირისფერი თვალი, თითქმის მომრგვალო, ამ მაჯებს, ეხლა ჩასუქებულ-ჩამრგვალებულ ჭენჭიან მაჯებს, თითქოს თითო ქალს ვადარებდი! ცხვირს რაღა მოსვლია, ქრისტიანებო ცხვირს! დაღლილა დგომით და წამოწოლას აპირებს. მახსოვს ეს ხალიც თვალის ძირში, გრძნობათა შესაკრებელ წერტილად რომ მიმაჩნდა- მეჭეჭია, უბრალო ხორცმეტი. ლაპარაკიც რატომ ესე უთავბოლო უსწავლია ამ ჩემთვის ოდესმე სიბრძნის ბუდეს! სადღაა ის მნიშვნელობა, რომელიც ოდესმე ჰქონდა ჩემთვის ამის ყოველივე ნათქვამს, მის ყოველსავე სიტყვას, ამის უბრალოდ ხმის ამოდებასაც კი! რატომ უწინდებურად ტკბილათ აღარ მეწვეთება მისი ხმა ყურში?! არა, სულქვემ რომ თქვას კაცმა, მაინც მადიანი ქალი დამდგარა, მაგრამ სად მაშინდელი დარიკო, სად ეხლანდელი?! - გაკვირვებულმა რამაზმა გულში ჩაიხედა, რომ დაენახა გულის ფიცარზე აღბეჭდილი სატრფოს სურათი, მაგრამ დროს იქაც წაეშალა მისი სახე, დავიწყების წყალით ჩამოერეცხა ის.

დარიკო კიკრიქასი ჩასდგომოდა რამაზს, ესაუბრებოდა, ულიმოდა, ეკეკლუცებოდა, ცდილობდა წინანდელი ცეცხლი დაეტრიალებინა მის გულში და თან უკვირდა, რომ ვაჟკაცი გაგრილებულიყო, უწინდებურად აღარ დნებოდა.

1896 წ.

ნ უ შ ო

გარეთუბანში ბუჭყიაანთ სახლის მხრიდან ორბელიაანთ სახლებისაკენ რომ გაივლით, მარჯვნივ ვიწრო ქუჩას დაინახავთ, რომელიც მტკვარზე ჩადის. მტკვრის პირი აქ დაქანებული კლდისაგან შესდგება. მდინარის ტალრები კარგ მანძილზე ასველებენ ამ კლდეს. არც ვიცი, ახლაც არის იმ ადგილას მორევი, თუ წყალმა წალამა, ადრე კი იქ საკმაოდ დიდი მორევი იყო, რომელიც მდორედ ტრიალებდა, დიდ ადგილას უვლიდა გარს, შუაში ღრმად იხვევდა წყალს და აქოჩქოჩებდა, მორევი სიკეთეს უშვრებოდა გარეტუბნელ ღარიბ ხალხს.

ხელმოკლე ხალხი მოსახლეობდა ვანქის მეიდანთან დაწყებული ორბელიანთ სასახლეებამდინ. ისინი ეტანებოდნენ ამ ადგილს, რადგან ბაზარზე და წყალზე ახლო იყო, შუა ქალაქი ზედ ეკრა და თანაც ძველი შენობები იდგა წვრილ სადგომად დაყოფილი, რომლებიც იაფ ფასად ქირავდებოდნენ. მარტო შიგა და შიგ თუ ერია დიდრონი სახლები. ერთპირი ხალხი სახლობდა აქ. ცხოვრება უფრო სოფლურად ჰქონდათ მოწყობილი, ყველამ იცოდა ერთმანეთის ავ-კარგი და გაჭირვებაში

დაუხმარებელს არ დასტოვებდნენ არავის. ბევრჯელ მინახავს, რომ ღარიბ ოჯახს მეტი ქირის გაღება უმჯობინებია აქ სხვა უბანში გადასვლას.

- გაჭირვება რომ დამადგეს რამე, ვიცი მაინც, მეზობლები ხელს მომაწვდიან; სხვა უბანში აბა ვის მივადგე კარს?- უთქვამთ ამისთანა შემთხვევაში.

გარეთუბნელები უმეტეს ნაწილად ქალაქის გარშემო სოფლებიდან იყვნენ ჩამოსული. როცა ოჯახი ჰკარგავს უფროსს და ვედარ უძღვება მინდორს, ვენახს, საქონელს და სხვა სოფლურ საქმეს, მაშინ ქვრივი სოფელში ბინასა შლის, ქალაქს მიატანს, რომ ყმაწვილების შაგირდანიტ და თავისი გარჯით იცხოვროს, მეტადრე მაშინ, თუ ქალი ქალაქიდან არის სოფელში გათხოვილი. ვაჟები წამოესწრებიან ამისთანა ხალხს - ცოლებს ხშირად თავიანთ სოფლიდანვე უთხოვენ, ქალები წამოესწრებიან -ქალაქის მუსა ხალხს აძლევენ. ხომ დღიური შრომით ცხოვრობენ, მაინც ცდილობენ სოფლელებზე მაღლა დაიჭირონ თავი; ხანდისხან კიდევ დასცინიან სოფლელებს, თუმცა თითონ მარტო სიღატაკით არიან იმათზე დაწინაურებულები და თვალი სოფლისკენვე უჭირავთ.

აი ამ ღარიბ ხალხისათვის მოჰქონდა იმ მორევს სიკეთე. მტკვარი რომ ადიდდებოდა და ჭალებიდან ნარიყს მოაქანებდა, მორევი ცაიხვევდა ამ შემას და კარგა ხანს ატრიალებდა; უფრო მომცრო ტოტები და ნაჩეხები ნაპირზედაც მიჰქონდა. ხელმოკლე ხალხი ჩადიოდა და იჭერდა ნარიყს; შემის ყიდვის ილაჯი რომ არა ჰქონდათ, იმით ითბობდნენ საჭმელს. ამ საქმეს უფრო დედაკაცები და ბავშვები მისდევდნენ; რადგან ვაჟკაცები დილითვე გადიოდნენ სამუშაოდ. ამგვარადვე შოულობდნენ შემას ღარიბი მოსწავლეები, რომელნიც ცხოვრობდნენ გარეთუბანს რამდენიმე ერთად პატარ-პატარა ოთახებში, ან შეჰვარებოდნენ თავიანთსავით ღარიბ ოჯახებს.

მტკვრის ქუჩაზე, მდინარის პირას იდგა მაგდა ძამიაშვილის სახლი, ერთი მოგრძო ოთახი მიწურა ბანით. სართულს შუშაბანდით დახურული დარბაზული სანათური ჰქონდა. ოთახი აქედან ნათდებოდა, რადგან ორი პაწაწინა ფანჯარა, რომლებიც ოთახსა ჰქონდა ეზოს მხრივ, კრამიტით დახურული საჩეხით იყო დაჩრდილული და ვერ ანათებდა ოთახს. პაწაწინა ეზო ფიცრულით იყო შემოზღუდული, ფიცარი ალაგ-ალაგ ჩამპალიყო და აყრილიყო, ეზოს ვეებერთელა ჰისკარი ება, რომელიც ახალი იყო, ჯერ წამალიც არ გადასვლოდა. ალაყაფის კარებისთვის ზევიდან თუნუქა წაეკრათ და თავდაყირა დასმული ლურსმნები გაემწკრივებინათ. ეს კარები ძამიაშვილმა მაშინ გააკეთა, თავის რძალს რომ გაეყარა: უნდოდა ნიშნი მოეგო განაყოფისათვის, მაგრამ კარი პატრონსავე უსიებდა გულს მას აქეთ, რაც რძალმა დასცინა: გაუფრთხილდი, კარებიდან სახლი არ გაგეპაროსო. ცხონებული ფიქრობდა სახლიც გაეახლებინა, ეზოსთვინაც ქვითკირის გალავანი შემოერთყა, მაგრამ არარ დასცალდა: ხარაჩობზე მუშაობის დროს გაცივდა და მოკვდა. დარჩა ახალგაზრდა ქვრივი მაგდა ბავშვით ხელში.

ქალმა თავი დადო, გადასწყვიტა თავისი სიცოცხლე ბავშვისთვი შეეწირა; თავისი იმედი თავის პატარა ნუშოზე დაამყარა. შვენიერი ხელსაქმე იცოდა, მეტადრე ჩიქილ-თასაკრავის კერვა; ჩაუჯდა საქმეს და ისე ინახავდა ოჯახს. ძნელი იყო, ძალიან ძნელი დილით საღამომდინ ქარგის ჩაცქერა, ან ნემსის წვალეზა და თან ყმაწვილის მოვლა; ხანდახან მხნეობაც ღალატობდა, მაგრამ პაწაწინა ნუშოს ღიმილი ისევ ფრთებს უსხამდა დაქანცულს, მხნეობას უორკეცებდა. ჭერი ხომ თავისი ჰქონდა, ხელსაქმიტაც იმდენს შოულობდა, რომ შეემლო ეცხოვრა. ბაღს არაფერი არ აკლდა; დედა თავს ევლებოდა, ცივს ნიავს არ ადენდა, დფარავანასავით ზედ დასტრიალებდა. მეზობლები რომ შევიდოდნენ და სიყვარულით მიუალერსებდნენ ფაქიზად შენახულ ბამბის ქულა

ყმაწვილს, მის დედას გული უღიმოდა, სიამაყესა გრძნობდა. ბევრს ეჭირა მაგდაზე თვალი, ბევრმა შესაფერმა კაცმა ითხოვა ის, მაგრამ ქალი უარზე იყო, არა თხოვდებოდა.

-ხელობით კი, მართალია, არ ჩამოუარდება ცხონებულს, მაგრამ, ვინ იცის, რა ხასიათი დაიჭიროს. ვაი თუ ქოხიც ხელიდან გამომაცალოს, ჩემი ნუშოც შეიძლოს,- იტყოდა მაგდა და სიყვარულით მიუბრუნდებოდა პატარას:-არა, ჩემო გვრიტო, შენთან არავის არა აქვს ხელი, დედაშენი შენ არავის არ დაგაჩაგვრინებს.

-აგრე რომ ლაპარაკობ, განა არ იცი რა ღვთისნიერი კაცია ნალბანდიანთ ნინია ან დურგლიანთ ვანუა,-ეიტყოდა წყენით მაჭანკალი.

-რავიცი, ქაჯან! ხომ მოგეხსენება გველი გარედან არის ჭრელი, კაცი შიგნიდანაო,- მიუგებდა მაგდა და უფრო მარდათ აათამაშებდა ნემსს.

2

გარეთუნნელებს დილიდანვე დიდი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში, მეტედრე ხშირად შედიოდნენ მაგდა ზამიაშვილის სახში. მხიარულად იყვნენ. დღეს გარეთუბნიდან ხარფუხში მოჰყავდათ გეგენას ძმისწული კაკატო და იმის მზადებაში იყო უბანი: არ უნდოდათ ხარფუხელებს ენახათ იმათი ნაკლულეევანება და დაეძახნათ ისინი.

ობოლი კაკატო თავისმა ბიძამ ჩამოიყვანა სოფლიდან. გოგო იზრდებოდა ბიძის სახში. კარგა მოღერებული იყო, როცა ისევ პერანგა და ფეხშიშველა დარბოდა. დაუდევნელი კაცი იყო ეს გეგენა. პატარა ჩამოეყვანათ სოფლიდამ, ხელობაზე მიეცათ; ათასნაირი ხელობა გამოეცვალა. ბოლოს ზედ სიძეთ შესულიყო. ცოლის სიკვდილის შემდეგ სამოთახიანი ძველი შენობა დარჩენოდა. ერთ ოთახში თვითონ ცხოვრობდა, მეორე ოთახში მდგმური შვიდ აბაზს აძლევდა თვეში, მესამე ქუჩისპირა ოთახი მანეთ-ნახევრად ქირავდებოდა. თითონ გეგენას ძილი აწვა სენათ: სულ ეძინა; დღე, ღამე იმისთვის ერთი იყო. საქმე ჭირივით ეჯავრებოდა. ოთახის ერთ კუთხეში ბადე, ნემსკავები და ტილოს პარკი ეკიდა. სახლის ქირა და ეს აბე აცხოვრებდა იმას. როცა გროშები გამოეღოდა და მეზობლებიც ვერ მოახერხებდნენ კერძი მიეწოდებიათ, დაიძვრებოდა ადგილიდან. მუხლებზე ხელშომოხვეული იჯდა კარგა ხანს. უაზროთ გასცქეროდა კედელს. წამოდგებოდა მთქნარებით, ჩამოიღებდა ბადეს, გაშლიდა, დაუწყებდა შინჯვას. მთელი საათი ათვალიერებდა. ბოლოს ამოიოხრებდა და გასწვდა მტკვრისაკენ. საკვირველი მარჯვე ხელი ჰქონდა: უთუოდ გაავსებდა პარკს თევზით. მერე ისევ ძილს მიეცემოდა. სოფლად მამული დარჩენოდა, მაგრამ უპატრონობით გავერანებულიყო. გეგენა ხანდისხან მოიგონებდა სოფელს, ჩაიცვამდა ყურთმაჯიან კაბას, ყაფალიან წაღებს, ტერნოს ახალუხს, შემოირტყავდა ვერცხლის ქამარს, დაიხურავდა ბუხრის ქუდს და გასწევდა. თავის მამულს რომ ნახავდა, დაიწყებდა:

-კაცო, ე ვენახი რომ გაგიტიალებიათ, მიწებს რომ ხან ერთი ხნავთ და ხან მეორე, სახლი რომ სატუსალოთ რომ გაგიხდიათ და ტანაც ყველა ხარჯს მახდევინებთ, ღმერთი აღარ არის თქვენში? ქვეყანაა და სამართალი! გიჩივლებთ. მე ვიცი ვერ ვიპოვი სამართლის გზას?!

-რას გვემართლები? მოქალაქე კაცი ხარ, უხნავ-უთესადაც კარგად ცხოვრობ; სახლ-კარსაც, რაც შეიძლება, თვალყურს ვადევნებთ. თუ შენისთანა ქეთხუდა ხალხი არ შემოგვეშველა, როგორ გავუძღვებით ან მღვდელს ან ერს,-ეიტყოდა ერთი.

-არა, ბატონო, ეგგენი! მაინც მარტალი არა ხარ: გასცლიხარ სოფელს, აღარც ჭირში გვარგიხარ, აღარც ლხინში. შენისთანა ასაჰყალო კაცები სოფელს სჭირია, შენ კი ქალაქში დასეირნობ,-უსაყვედურებდა სხვა.

გეგენამ კარგად იცოდა, რომ სოფლის მამული იმისათვის და ის სოფლისათვის გამოუსადეგრები იყვნენ, მაგრამ მაინც ამისთანა სიტყვებით თავმოწონებული გადაიყრიდა ყურთმაჯებს და უფრო შეუმადლებდა ხმას. ბოლოს იმითი თავდებოდა საქმე, რომ ასაჰყალო მოქალაქეს ღვინოს ჩამოასხმევინებდნენ დუქანში.

აი ამ კაცის ძმისწული მოეწონა ხარფუხელ ბიჭს, რომელიც ბუჭიაშვილის სახლებზე მუშაობდა, და ითხოვა. გეგენა დატანხმდა, მაგრამ ამის მეტი შრომა კი აღარ მიუღია. აბა ტიტველ-შიშველ გოგოს ხომ ვერ გაისტუმრებდნენ უბნიდან? მზადებას შეუდგენე. ჯერ კიდევ რამდენჯერმე მიმართეს თითონ ბიძას, მაგრამ ის მეორე გვერდზე გადაბრუნდებოდა ხოლმე და ხვრინვას ამოუშვებდა. რა გაეწყობოდა, თვითონ უბნელები შეუდგნენ სამზადისს. ზოგს საცვალი მიჰქონდა, ზოგს კაბა, ზოგს თავსაკრავი, ზოგს ჩიქილა. ორბელიან ყურამდინაც მიახწია ამ ამბავმა და იმათაც შემწეობა აღმოუჩინეს ქალს. ვისაც არაფრის შემწეობა არ შეეძლო. ის შრომას არ ჰზოგავდა. ჰკერდნენ, რეცხდნენ, აუთოებდნენ, ახამებდნენ, აცხობდნენ. მზითებს მაგდას სახლში აგროვებდნენ, რადგან იმას უნდა გამოეჭრა, გამოეწყო, თვალი ედევნებინა.

3

უბნის ქალები შეკრებილიყვნენ მაგდასას, საქმეს აშურებდნენ. ნახმარი ფარჩის კაბა სარტყელ-გულისპირით, თასაკრავები, ჩიხტი, კოპები, ფეხსაცმელი, საცვლები გაშლილი იყო ტახტზე. ზოგი გადაეკეთებინათ, ზოგი შეეკერათ, ზოგი დაეკერებინათ. ქალების ხელმარდათ მუშაობას, მათ წყნარ ღიღინს, იმათ ხუმრობას და სიცილს ეშხზე მოჰყავდა კაცი. ეშურებოდნენ, რადგან სადილობა მოტანებული იყო, ქალი კი იმ ღამეს უნდა წაეყვანათ. მაგდა ჩასჯდომოდა ქარგას და თასაკრავს კილიტას აყრიდა, თან თვალი ბუხრისკენ ეჭირა, საცა ქვაბით საჭმელი ჩუხჩუხებდა.

მოისმა მაღალი სიცილი. ოტახში შემოვიდნენ ცალხელაანთ მარტა და სოფლელიანთ ეკა. მართას თავზე ხილაბანდი ჰქონდა გადაჭერილი, ხილაბანდიდან თმა გამობურძგნოდა, ტილოს ფეშტამალი ეფარა, დამკლავებული ხელებით წინდას აშურებდა. ეკას კევი ედო პირში და ლაშებს იქნევდა.

-ბარაქალათ, ქალებო! გაისარჯენით კიდევ ცოტა, მერე მოირთეთ და მოიკაზმეთ, რომ სადამოზე დაირა-ნაღარა გავაჩალოთ, მტერს თვალები დავუყენოთ, - შეახალისა მართამ ქალები და მიუბრუნდა მაგდას.

-პური ამოვყარე; კიდევ კარგი, ცოტა ფქვილი შერჩენოდა გეგენას. სარეცხს მელანა აუთოებს. მე წავალ და ი გოგოს პირს გავუკეთებ.

-ნახავთ, თუ ჩვენი პატარძალი არ დაშვენდეს!

-მითომ რატომო? ლამაზი გოგოა; კარგი რომ არ ყოფილიყო, ბიჭი რას დაეხარბებოდა?

-არა, ქალო, ჩვენ უბნის ქალებს იმისთვის უფრო ეტანებიან, რომ საქმიანობის და ნამუსიანობის ხმა აქვთ დავარდნილი, - მიუგო მართამ და ბუხართან ჩამოჯდა, მაგრამ დასცხა და მიუბრუნდა სახლის პატრონს:

-ადამიანო, ამ სიცხე პაპანაქებაში შენ რაღას ათუხთუხებ?!

-ჩემმა ნუშომ რძის ფლავი მოითხოვა, გამიკეთეო საცაა მოვა სკოლიდან.

-ნეტა ეგრე არ ანებივრებდე მა გოგოს! რა დროს რძის ფლავია?

-ვინა მყავს, ქა, იმის მეტი? - მიუგო მაგდამ.

ამ დროს შემოვიდა პატარა: კოხტად ჩაღილული წულები, წიგნების ჩანთა, ვარდებით მორთული შაპო, გაქათქათებული მაჯა-საყელო. თმა წინ შეკვერცხილი ჰქონდა: ბუნჩულა ხელებზე ცოტა მზე მოჰკიდებოდა. დედამ გულში ჩაიკრა ბავშვი.

-დედილო! მომიხარშე რძის ფლავი?

-ჰო, შვილო, აგერ დუღს.

-დუღს! დუღს! მე კი მეგონა დასხმულიც იქნებოდა... -წაიბუზღუნა პატარამ, ტუჩები გამობურცა, კედლისკენ მიბრუნდა და კედელს თითით ჩიჩქნა დაუწყო.

დედა წამოხტა და ქვაბს შეუმარჯვა.

-სკოლაში ჩემ ამხანაგებს ყველას თათმანები აცვია, მე კი არა. დღეს ოსტატმა ხელებზე შემომხედა; მგონია, შემატყო, რომ მზე მომკიდებია, -უთხრა პატარამ ცოტა ხანს უკან.

-კარგი, საყვარელო, გიყიდი,-მიუგო დედამ და ისევ ქარგას ცაუჯდა.

დედა-შვილის ლაპარაკს ყურს არავინ ათხოვებდა, ყველანი საქმეს ჩასცქეროდნენ, შერჩეული თითებით მარდად აცურებდნენ ნემსს, მართა კი ყურს უგდებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და უთხრა:

-გოგო! აღარც ისე პატარა ხარ, რომ არ გესმოდეს. რას აგულებ დედაშენს ეგრე რომ აწუხებ? ვერა ხედავ, ნემსის წვერით ცხოვრობს. გაუფრთხილდი მაგას. თორემ თვალი დაგიდგება.

-შენ ვინა გკითხავს?-გაუბედა პატარამ და რომ ნახა ყველამ გაკვირვებით შეხედა იმას, ტირილი დაიწყო.

ბავშვის პასუხი იმისთვის გაუკვირდათ, რომ მართას ყველა პატივსა სცემდა, წვრილფეხობას კიდევ ეშინოდა იმისი. თუმცა პირდაპირი თქმა და გასწორ-გასწორა სიტყვა იცოდა, მაინც დიდად აფასებდნენ, რადგან მისი გამჭრიახობა და ხერხიანობა ყველამ იცოდა, ხოლო იმას პატიოსნება საარაკოდ ჰქონდათ უბანში: შიმშილით მოკვდებოდა, არმად კი ლუკმას არ შეჭამდა.

მართას ეუცხოვა ყმაწვილის სიტყვა, სახტად დარჩა; წინდის ქსოვაც კი შეწყვიტა. ბოლოს უთხრა მაგდას:

-დაიხსომე, ქალო, ჩემი სიტყვა: თუ მაგ ბავშვის გაყვინიზებას ახლავე თავი არ დაანებე, ინანებ!

დალამდა. გეგენას სახლი გაჩაღებული იყო. გარეთუბნელები მორთულიყუყუნენ; უფროსები- ფარჩის ან ტერნოს კაბებში, სუფთა ლეჩაქ-თასაკრავებით გამოწყობილები, უმცროსები-კოხტად შეკერილ და ფაქიზად შენახულ ჩითის კაბებში. სიამოვნებით სახ გაჰბრწყინებოდათ. ერთ მხარეს პატარძალი იდგა ფარჩის კაბით. ოქრო მკერდით ნაკერ სარტყელ-გულის პირით, დაბასმული ლეჩაქით, კილიტა და კნეთელშეყრილ თასაკრავით. პატარძლის გვერდით მუშო იდგა მთლად თეთრებით მორთული და ხელში თაიგული ეჭირა. მართას დაირა აელო, ჰაერში აქანებდა, რომ გაფიცებულიყო და უკეთესი ხმა მისცემოდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, თვალებს აბრიალებდა, მაგრამ დახვედრა და შესაფერი პასუხი ხომ არსად არის საჭიროო. ვინ იფიქრებდა, რომ აქ ღარიბი ოჯახების ქალ-რძალს მოეყერა თავი; გემოვნებით შეხამებული თაიგული იყო. გეგენაც იქ იყო; უღვაშები შეეღება, წვერი მოეპარსა, კაბის მარჯვენა ყურთ მაჯი მარცხნივ გადაეგდო, ბუხრის ქუდი ჩაეტეხა: უცხოს შეაკრთობდა.

გაზაფხულის დილა იყო, დიდი ხნის ოღრუბლული ცა მოწმენდილიყო. კაშკაშა მზე გარეთუბნის ტალახიანი ქუჩები გაენათებინა და აშრობდა. თავის ბრწყინვალე სხივებით საწყალი ხალხის სახლებშიც შეეშუქებინა, ეგება გული გაუნათო, დანესტიანებულ.ი სადგომები ცოტათი მაინც გაუშროო. მაშ, რა უნდა ექნა, როცა უიმისოდ ამოდენა ხალხს ნესტი და სუნი ამოჟღელტდა! ფანჯრების პატარა ბუნდი შუშები კი ეწინააღმდეგებდნენ მზის სურვილს, არ აძლევდნენ ნებას მთლად გამოეჩინა თავისი მაცოცხლებელი ძალა. ხალხს გარეთ გამოეფინა დაობებული ტანისამოსი, ლოგინი.

მთელ გარეთ უბანში მოისმოდა გაგიჟებული მტკვრის შხული. მტკვარს ერთი ათად ემატა და ნაპირებზე მდგომი შენობების სარდაფები აევსო. აზვირთებული მდინარე დიდძალ ნარიყს მოეზიდებოდა. მორევი მთელ-მთელ ხეებს იხვევდა. მდინარი ნაპირზე ხალხი შეგროვილიყო; ზოგი ნარიყს იჭერდა, ზოგი სეირს უყურებდა. ნარიყს ერთი გრძელი ჯოხით ითრევდა წყლიდან, სხა თოკზე კავი მოება და ესროდა. ფეხთ დაეხადნათ, ზოგს დაეკარწახებინა კიდეც, რადგან ტალღები შორს აჩქაფუნებდნენ. ეს შრომა უფრო გართობასა ჰგავდა: ერთმანეს ებაასებოდნენ. ლაზღანდარობდნენ, სიცილ-ხარხარი ჰქონდათ, მეტადრე როცა რომელსამე მარცხი მოუვიდოდა და დაჭერილ შეშას მოსტაცებდა წყალი, ან ფეხი წაუცდებოდა და მუხლამდის წყალში ჩავარდებოდა; შეღერებული გოგოებიც იყვნენ იქ; იმათ ფაქიზად ეცვათ, წყალს არიდებდნენ ტანისამოსს: უფრო შეშის დაწყობა შველოდნენ. ყმაწვილ კაცებიც იყვნენ. სოსანაც იმათში ერია.

სოსანას მწვანე ახალუხის სახელოები გადაეკეცა, დუგმები გაეხსნა და გახამებული მაჯა-საყელო უჩანდა. მხრებამდის გადაშლილი ხუჭუჭი თმა ასწეწოდა, გაჰვანტოდა. ხელში გრძელ თოკზე მობმული რკინის ბორჯღი ეჭირა და შუა მორევიოდან ითრევდა ხეებს. არავინ არ ეკრძალებოდა ამ ახლად წვერ-ულვაშ აშლილ ახალგაზრდას, ყველა შინაურულად უყურებდა: უბნის საყვარელი შვილი იყო ის. პატარობითვე ამ უბანში იზრდებოდა ცალხელაანთ მართასას. ყმაწვილმა მალე შეაყვარა თავი სახლი პატრონსაც და უბანსაც. წყნარი და მოკრძალებული ხასიათი ჰქონდა. არც არაფერს საქმეს ერიდებოდა: წყლის ამოტანა, ბაზარში წასვლა, შეშის დაჭრა, ჩაიდნის დადგმა,-ყველაფერსა ჰკიდებდა ხელს. ისე ირჯებოდა როგორც სახლუის შვილი. თანაც თქავის საკუთარ საქმეს არა ჰღალატობდა: იმისი ბეჯითობა სამაგალითოდა ჰქონდათ უბანშიაც, სკოლაშიაც. ამხანაგს წინ არ გაისწრობდა. პატარები საყვარელიც იყო: უბნის ბიჭები თამაშობის დროს იმას ირჩევდნენ დიამბეგად თუ მამასახლისად. უბნის გოგოები იმას აწერინებდნენ საქორწილო ბარათებს, როცა ტიკინას ათხოვებდნენ. იმასთანვე მიქჰქონდათ გასასინჯათ ნაწერები, როცა ერთმანეთს წერაში შეეჯიბრებოდნენ, იმასთანვე მიარბენინებდნენ ხილს, თუ კი ხელში ჩაუვარდებოდათ. როცა წამოიზარდა და შეიძლო, ნამდვილ ეხმარებოდა უბანს: წერილების წერა, დეპეშების გაგზავნა, ქალაქისაგან შემწეობის გამოთხოვნა ღარიბებისათვის და იმისი გამოტანა, ქუჩის ყარაულებთან თუ სხვა მოხელეებთან ლაპარაკი, როცა ისინი რამეს საქმისათვის ღარიბ ხალხს ჩაუვლიდნენ, და სხვა ამისთანები სოსანას ებარა? ამისთან საქმეების გამკეთებელი ის იყო. ბოლოს ხომ სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს ის, მაგრამ მაინც არ ივიწყებდა უბანს, ისეთი სიამოვნებით მიდიოდა თავის დედობილის სახლში, როგორც სხვა იმისი ამხანაგები თავიანთ დედ-მამასთან ან ნათესავებთან. ღვთის წინაშე, სხვა რამეც კი იზიდავსდა სოსანა გარეთუბნისაკენ.

ახლაც პანსიონიდან ცამოსულიყო უბანში და ნარიყის ჭერას შველოდა მართას. გარეთუბნელი ქალები, წინანდელი იმის მეგობრები, ისევ უნაზდებოდნენ იმას. თუმცა

იმათ ქცევას ახლა მოკრძალებაც ეტყობოდა: ყმაწვილური სიახლოვე ნდომას შეემდგვრია და გულუბრყვილობა წაერთმია. ახალგაზრდას თვალი ეჭირა იმათკენ, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ვიღაც აკლდა თვალში: მალ-მალ იხედებოდა წყალზე ჩამოსავლელ ბილიკისაკენ ელოდდა.

სოსანას თვალში აკლდა თავის სიყმაწვილის მეგობარი თავისი სატრფო ნუშო; იმას ეძებდა, იმას ელოდდა. ეს ტრფიალი მისი დიდი საიდუმლო იყო, ყველა ღონისძიებით ჰფარავდა მას. ეს ტრფობა იყო იმისი მანუგემბელი, გამამხნევებელი, როცა შრომისაგან დაქანცულს ხალისი ეკარგებოდა, სევდა შემოაწვებოდა; ეს ტრფობა იყო იმისი ამაშფოთებელი, როცა გონებაში დაისახავდა, რა გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი ცხოვრებაში შესვლამდის და რა გრძელი წარმოსადგენი იყო, რომ იმის მშვენიერ ნუშოს მანამდის არავინ დაჰკატრონებოდა. ეს ტრფიალი უხილავად თან დასდევდა ყმაწვილის ყველა სურვილს, ყველა ფიქრს, ყველა მოქმედებას. აშუქებდა და ჰაზრს აძლევდა მის ცხოვრებას. ნუშოც ატყობდა, რანაირად უყვარდა ის სოსანას, თითონაც მოსწონდა, მაგრამ ყმაწვილებს ერთმანეთისათვის ეს არ უთქვამთ; ის კი იყო რომ ქალი ძალიან ენაზებოდა ვაჟს.

წყალმა ჩამოატარა მთელი ხე თვის ტოტებიან-ჯირკვებიანად; ვინ იცის, რომელ ქალაში მოეგლიჯა ნიაღვარს, მორევმა რამდეჯერმე მზიმეთ მოატრიალა ის და ჩაიხვია.

-აბა, სოსან, თუ ყოჩალი ხარ, იმ ხეს არ გაუშვებ,-უთხრა ყმაწვილს მართამ.

-ცოტა შორს არის.

-სცადე, მარჯვე ხელი გაქვს; აფსუსია, რომ წაიღოს, -შეახალისა ეკამ.

-ალაღბედზე კი ნუ გადააგდებ კავს, ვისიმე ბედზე ესროლე, ამ ქალებში ჩაიფიქრე ვინმე, -გაეხუმრა მაგდა.

მაგდას სიტყვაზე ყმაწვილი კაცი ყაყაჩოსავით აწითლდა. რჩევა მოეწონა მაგრამ იქ მყოფ ქალებთაგანი კი არავინ ჩიფიქრა.

-ნუშოს იღბალზე!-თქვა გულში, აიკეცა თოკი.; კავი მოიმარჯვა და დაუწყო მანძილს თვალთ ზომვა.

მორევი მძიმეთ ატრიალებდა ხეს, შუაგულიდან არ უშვებდა, არ ეთმობოდა.

ზემოდან გამოჩნდნენ ორბელიანთ ქალები და იმათთან ნუშო. ქალებს უკან მოსდევდათ სუფთად გამოწყობილი მსახური ჯაგუ კორსაია. სოსანას ისინი არ შეუმჩნევია, იდროვა, ესროლაკავი და მარჯვეთ მოდვა ხეს.

-ყოჩალ, ბიჭო!-წამოიძახა ყველამ.

თოკი დაიჭიმა, ყმაწვილი წაბორძიკდა. ჯაგუ მარდად გადახტა და მიეშველა. სოსანა მოტრიალდა მაშინვე დაინახა ნუშო. კაბის განიერი სახელოებიდან თეთრი მკლავები იდაყვამდის უჩანდა ქალს. თვალების ღიმილით გაუწოდა სოსანას პაწაწინა მოვლილი ხელი. ბუცუცა ხელის გაწცდის დროს თითები სახსრებში ნაჩვრეტები დააჩნდა. ვაჟმა შენიშნა ეს და თვალი ვედარ მოაშორა იმ წუთში მთლად ქალი ამ ხელის ნაჩვრეტებში გახორციელებულიყო იმისთვის.

ჩსულ ქალებს მიესალმნენ, საპატიო ადგილი დაუთმეს, საიდანაც უფრო კარგად ჩანდა ყველაფერი. ეს პატივი ნუშოსაც შეხვდა უნებლიეთ და დააქავლა იმის პატივმოყვარება, მაგრამ თანაც უხერხულობა აგრძნობინა, რადგან ხედავდა, თავაზა იმას არ ეკუთნოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ქალი ვედარც იქით იყო ვედარც აქეთ, ვერც ორბელინთ ქალებისათვის დაენებებინა თავი, ვერც თავის ტოლ-სწორებისათვის. მაგდა კი სიყვარულით შეჰყურებდა თავის ქალს, თავი მოსწოდა.

არა, რითი ჩამოუვარდება ჩვენი ნუშო თავადიშვილის ქალებს? მე ვიცი, სიმშვენიერით აკობებენ!-მიუბრუნდა ეკა მაგდას.

-ეჰ, ჩემო კარგო, შეიძლება უნდა მქონოდა რომ ბოლო მიმედევნებინა და სწავლა დაეთავებინა. მაღლი ის იქნებოდა, ხელი რომ მოემართად და სკოლიდან არ გამომეყვანა უფულობით, თორემ რათ მინდა რომ ახლა მალ-მალ ეპატიჟებინა.

-არა, ნუშოს არკი არგებს, ჩემო მაგდა, მაგათი აყოლა: მაგათ მამულები აქვთ, ყვლაფერი მზამზარეულად მოუდისთ, ჩვენ კი ჩვენი ხელით უნდა ვიცხოვროთ; ვაი თუ უსაქმობას და მეტ ცხოვრებას შეეჩვიოს.

--იი, შენ კი გაიხარა! ვამბობ, ყმაწვილია, გული გაართოს-მეთქი; მერე თითონვე მიხვდება ყველაფერს.

-გახსოვდეს კი, რომ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია.

5

შემადლებული მზე მაგდას სახლის ეზოში ჩამდგარიყო, სხივებით აევსო, გაებრწყინებინა. მზე ცდილობდა ფანჯრიდანაც შეენათებინა თავისი შუქი, რომ ოთახიც გაემხიარულებინა, მაგრამ ტყუილად: ფარდები ჰქონდათ ჩამოფარებული, კარები კი მარტო იმდენად იყო ღია, რომ ადამიანი ძლივს შეძვრებოდა.

ეზოსი, ტახტზე, ჩაიდანი იდგა, იქვე ეწყო ჭიქა-ლამბაქები. ფინჯანი რძით და თეფში თეთრი პურით. ტახტის წინ ქარგა იდგა მიტკალგადაფარებული. ტახტის პირდაპირ, ალაცაფის კარებს უკან, რამდენიმე ლილიფარა ამოსულიყო. მცენარეებს სახე მზისთვის მიეპყროთ, უღიმოდნენ. ეზო ისე სიფთათ იყო მოკრიალებული, ერბო დაღვრილიყო აიკრიფებოდა.

მაგდა ჯერ ტახტის ბოლოზე იჯდა, ხელები უძრავად დაეყარა მუხლებზე, ფიქრს მისცემოდა; მერმე გაისწორა კავი, ადგა და ფეხაკრეფით შევიდა ოთახში. ისევ მალე გამობრუნდა იცადა რამდენიმე ხანი; ბოლოს შეხედა მზეს, ამოიოხრა და ისევ შევიდა სახლში.

ოთახში, ტახტზე ნუშოს ეძინა. ყუითიკის ბალიშ-დოშაკში ჩაფლულიყო, კულულები ცელქათ გაჰფანტოდნენ, შეხრილი გრძელი წამწამი თეთრ ღაწვებს დაჰფენოდა, ზევით ტუჩის ქიმი აეწია- ლოგინზე მიმდგარ ციაგს სწუნობდა, კოკოს საბნის კალთა გადაჰკეცოდა და სათუთი წვივი ფაქიზ საურს სითეთრეს ეცილებოდა; ისევ ათქვირებული უბიწო სხეული სითბოს და მოსვენებას გაეფუებინა., გაღვივებული ნორჩი ხორცი გაურკვეველ ნდობას დაემსჭვალა და ვნების გამაღვიძებელ სუნნელობასა ფშოდა. დედა შედგა, ყურება დაუწყო შვილს და სიამოვნებით თვალეხი გაუბრწყინდა.

- შვილო ნუშო, გაიღვიძე, დედა გენაცვალოს!

ქალი შეიძრა, გაიშმუშნა, თვალეხი ოდნავ გაალო და გადაბრუნდა. დედა მიუჯდა გვერდზე, აშლილი თმის სწორება დაუწყო. თან აღვიძებდა.

-დექი, შვილო, აგერ მეთერთმეტე საათია.

ქალი წამოჯდა, გადაეხვია დედას, დაჰკოცნა, ძუძუებში ჩაუყო თავი.

-დედი, დედიჯან! ერთი კაბა მომაწოდე!

დედამ მოართვა ტანისამოსი. ქალმა ცაიცვა ნებივრად; ტაშტი და წყალი მოითხოვა.

-ეს რა თბილი წყალი ყოფილა, დედი!

-გამთბარა, სვილო! ზაფხული დღეა; ის იყო მზე ამოდოდა, წყალი რომ ამოვიტანე.

პირი რომ დაიბანა ნუშომ ჩაიდანს მიუჯდა.

-აღარც კი შიშინებს!-უსაყვედურა დედას ტუჩების ბრეცით.

-რა ვქნა, შვილო, ორჯელაც ჩაუმატე ნახშირი.

-იცო, დედიჯან, სოსანა ზეგ ხომ რუსეთს მიდის და მოდი დღეს სადილად დავპატიჟოთ. ორი დღეა რაც სოფლიდან ჩამოსულა მარტასტან. ვინ იცის, სადილადაც არა აქვთ რა.

-აბა, შვილო, ეგ რა სათქმელია? რასაც ღმერთი მისცემთ, იმითი წავლენ იოლად, პატივი რომ ვცეთ ყმაწვილს, ის კი მართლა კარგი იქნება, მაგრამ სადილად მოწვევა აღარ შეიძლება: დილითვე რო მცოდნოდა, მაშინ სხვა იყო; ახლა აღარა მოესწრება რა.

-აღარ მოესწრება! არ შეიძლება! -უკმეხად უთხრა ქალმა, -შენ მაინც ეგრე იცი, თუ მე მოვინდომე რამე...

დედას უნდოდა დაემშვიდებინა ქალი, ის კი თანდათან ხმას უმაღლებდა, უტევდა. საწყალ დედაკაცს რცხვენოდა მეზობლებისა, სირცხვილისაგან ილეოდა. ბევრი უაღერსა, ბევრი ეხვეწა და ბოლოს როგორც იყო დაითნხმა, რომ სალამოს ჩაიზე მიეწვია ყმაწვილი კაცი.

მზე გადაიწვერა. სალამოს ნიავმა დაჰბერა მტკვრიდან და სიგრილესთან სიმყრალეც მოჰვინა. მაინც სანატრელი იყო ეს ნიავი, რადგან საშინელი სიცხის ბული იდგა ქუჩებში. მაგდას ეზოში ისევე გამოჭიმულიყო კრიალა ჩაიდან. იქვე ეწყო ჭიქები, დაჭრილი პური, ვარდისა და კაკალის მურაბა. რამდენიმე დედაკაცი და ქალი იყო ეზოში; ზოგი წინდასა ქსოვდა, ზოგი ტანისამოსს აკერებდა, ან ძაფს ართავდა. ნუშოს გულამოჭრილი კაბა ეცვა, გულის პირი თეთრი არშით მოერთო, ყელზე მსხვილი თაღლითის ფარღული ეგდო. მაგდა ქარგას ჩაჯდომოდა.

-აბა, შვილო ჭიქებს წყალი მოავლე მე არა მცალია.

-ბუმბულაანთ თეკლეს შემოეთვალა, უთუოდ ხვალისთვის უნდა მომისწროვო, - მიუბრუნდა სხვებს. ნუშომ გადმოუტრიალა დედას დიდრონი თვალეხი და თითებზე დაიხედა; ეფიქრებოდა, ცხელ წყალს და ჭუჭყს არ ევნო ხელებისათვის; მეტი ღონე კი აღარ იყო, უნდა დაეჯერებინა დედისათვის, რადგან მართას სახეზე მაშინვე ბოროტი ღიმილი შენიშნა.

სოსანამ დაიგვიანა. სადილს უკან რომ გასულიყო სახლიდან,ჯერაც არ დაბრუნებულყო.

-ქა, რა იქნა იყმაწვილი? გამოუცდელია და არსად ჩაითრიონ,-თქვა მართამ.

-შენ კიდევ ყმაწვილი გგონია იმოდენა ვაჟკაცი! აბა რა უნდა დაუშავდეს დღისით-მზისით? გასათხოვარი ქალი ხომ არ არის, -მიუგო ეკამ და კვეი გაატყლაშუნა.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა სოსანი შემოვიდა. ხელსი ყვავილების კონა ეჭირა მიესალმა ყველას.

-როგორ თავისუფლად დასეირნობ! ცოდვა არ არის, რომ ახლა გაკვეთილებს არ იზეპირებ-უთხრა მართამ

-არ მეყო? ჯაგუკორსაიამ წამიყვანა ლუდის სასმელად. ჯერ კი ვერ შევჩვევივარ მწარე მეჩვენება. ეს ყვავილებიც იმის ბაღში დაკვრიფე, -თქვა სოსანამ და მიაწოდა თაიგული მაგდას რომელიც ახლა ჩაიდანს მოჯდომოდა. უნდოდა ნუშოსათვის მიერთმია თაიგული, მაგრამ ხალხში ვერ გაბედა.

-განა რა საქმეზე ეხლა ი კაცი?-კითხა ეკამ.

-ვაჭრობს. ძალიან მოხერხებული კაცი ჩანს. მუშტაიდისკენ ბაღი აუღია იჯარით, საუზმეს და სასმელებსა ჰყიდის ძალიან დიდი ვაჭრობა აქვს. «სალხინოს» რომ ეძახიან, იმის ბაღია.

-ყოჩად, ბიჭო! მაინც ხომ მოხერხებული ხალხია ეს იმერლობა.

-მშრომელებიც არიან. აი, ახლა კორსაია დილიდან სადამომდის ფეხზე ტრიალებს, ყოველგან სარისტას აძლევს; ერთი წუთი მოსვენება არა მაქვსო მეუბნებოდა.

ჩაის შემდეგ ქალებმა დაირა-ნადარა გააჩაღეს. ხალხიც თანდათან მიემატა. ეზოში ვიწროდ იყვნენ, ამიტომ ქუჩის თავში ავიდნენ, პატარა მეიდანს რომ არის ჯვარედინ გზაზე, იქ გამართეს ცეკვა. სავსე მთვარე უშურველად ჰფენდა ქალაქს თავის ნაზ ნათელს. გამხიარულებული ნუშო მთვარის შუქზე ციდან ჩამოსულ ანგელოზს დაჰგვანებოდა. იმისმა ნარნარმა ცეკვამ სისხლი აუჩქროვა სოსანას.

ზოგნი რომ ცეკვავდნენ ან სეირს უყურებდნენ, ზოგნი დამსხდარიყვნენ ეზოების წინ და მუსაიფობდნენ. რიგი კიდევ დასეირნობდა ქუჩაზე და ტკბებოდა ნათელი ღამის სიწყნარით. ეს ქუჩა ორბელიანთ ეკლესიამდი ერთ ეზოსა ჰგავდა, აქ იშვიათი იყო მგზავრი: ორბელიანთ ეზოზე გავლას ერიდებოდნენ; ისევ უბნელი ვინმე თუ ჩამოივლიდა; ხალხი ზევით ქუჩაზე დადიოდა, რომელზედაც ახლა ცხენის რკინის გზის ლიანდაგი მიდის. ნუშო და სოსანა გაცალკევდნენ. ყმაწვილი კაცი ძალიან ადელვებული იყო. მარაო გამოერთმია ქალისათვის და თითონ ათამაშებდა ხელში.

-ნუშო! მე ზეგ უნდა გაუდგე შორ გზას. ხომ ვეღარ ჩამოვალ, მანამ სწავლას არ გავათავებ და თითონ არ გამომგზავნიან.; აბა ვინ მომცემს საგზაო ფულს?!

-ბევრი ხანი უნდა ისწავლო?

-თუ სწავლას მოვერიე, ოთხი წელიწადი მომინდება. ამდენხანს ვეღარ გნახავ. ვინ იცის, სულ დამვიწყო. მე კი უშენოდ სიცოცხლე გამიმწარდება. პანსიონიდან რომ ის ხშირად დავდიოდი მარტასთან, შენს სანახავად დავდიოდი. მთელი კვირა გაუწყვეტელი რომ ვმუშაობდი, ის მანუგეშებდა, კვირას ჩემ, ნუშოს თვალეში ჩაგხედავ-მეთქი. რომ იცოდე რა გულდაწყვეტილი ვბრუნდებოდი, როცა ვერ მოვახერხებდი შენს ნახვას!..

ქალი ჩუმად იყო, ნელ-ნელა დადიოდა, ქუსლს რო დაადგავდა, მიწას ფეხის წვერამდის წყნარად გადაზომავდა, თავი დაეხარნა, სახე უღიმოდა.

-მითხრ, ამ ბოლო დროს მაინც მითხარ, იცოდი, რომ შემოგტრფოდი? იცი, რომ საუკუნოდ მეყვარები,

-განა მე კი არ მიხაოდა შენი ნახვა. ხანდახან რომ ვერ ჩამოხვიდოდი, ვიტირებდი ხოლმე, დედას კი ეგონა შეუძლოთ არისო.

ახალგაზრდები თანდათან გაიტაცა გრძნობამ, ვეღარ ფრთხილობდნენ ლაპარაკში, ისე რომ იმათმა ღულუნმა სხვების ყურადღებაც მიიქცია, მგარმ მთელი უბნის საყვარელი იყო სოსანა და ცუდათ ვინ შეხედავდა იმის ქცევას? ესეც რომ არა ყოფილიყო, კაცი შორ ქვეყანაში მიდიოდა რამდენიმე წლობით და ვინ რა მნიშვნელობას მისცემდა დღევანდლ იმის გატაცებას? კარგა ხანი დადიოდნენ მარტო. შინ რომ მიაცილა ქალი, მაგდა მეზობლისას გადასულიყო. ნუშოს წიგნის ნიშანი ჰქონდა ოქრო მკერდით ნაკერი, ამოიღო და მიაწოდა ყმაწვილს.

-ჩემს სახსოვრად გქონდეს. წახვალ, ვინ იცის ვის შეეყრები... მე სადრა მოგაგონდება!

-მეე? დაგივიწყო?! არასოდეს!..

ახალგაზრდამ ვეღარ შეიკავა თავი, გატაცებით გადაეჭდო სატრფოს. ქალი ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა და მიაპყრო სურვილისაგან ოდნავ გაპოზილი ბაგე ყმაწვილს. სოსანა ხარბად დაეწაფა ცხოვრების წყაროს. ის ამის მეტად აღარ შეჰხებოდა ქალს ამგვარი სურვილით და დაითრო. იგრძნო უძლველი ძალა სიყვარულისა, რომელიც ცხოვლისმყოფელია, სძლევს და თრგუნავს სიკვდილს, ქვეყანაზე მარტო ის არის სიცოცხლის დასაბამი და იქვე სიკვდილთა თითონ სიკვდილის მსხვერპლისაგანაც კი ჰზადებს სიცოცხლეს.

ჯაგუ კორსაია დასავლეთ საქართველოდან იყო. ცოტა ხანს სკოლაში ესწავლა, მერე გამოსულიყო სასწავლებლიდან, რადგან დედ-მამა რომ დახოცოდა, ნათესავებს გაეტაცნათ ყველაფერი და ულუკმაპუროდ დაეტოვებინათ ყმაწვილი. ბევრი ვარნა აქათ-იქით ბევრი გაჭირვება გამოეწვო, ბევრ ხიფათს ფგადარჩენოდა და ბოლოს შეჭვარებიყო ორბელიანთ ოჯახს. ძალიან შესთვისებოდა. თავის აზრიანობით და სიმკვირცხლით ბატონის ყურადღება დაემსახურებინა. ათ წელიწადზე მეტი იყო, რაც ამ ოჯახს ემსახურებოდა. ამ ხნის განმავლობაში ჯაგუს ცოტა ოდენი ფული შეეგროვებინა, საზღო და ტანისამოსი ბატონისა ჰქონდა. არაფერი ფულით საყიდი დროს გატრება არ უყვარდა. როგორც მოხერხებული კაცი, შეგროვილ ფულს ისე ინახავდა, რომ კიდევ ესარგებლა. ფულს იმ მიზნით აგროვებდა, რომ თავი დაეხწია სხვის სამსახურისათვის, რამე საკუთარ საქმეს დასდგომოდა. ჯერ ფიქრობდა თავის სოფელში მამული შეეძინა, მაგრამ სოფლისაკენ გული აღარ მისწევდა. ქალაქში ცხოვრებას შესჩვეოდა; მაინც ვეღარ შეიძლებდა სოფლურ მუშაობას გადაჩვეული იყო. ბოლოს ვაჭრობი დაწყება განიზრახა.

ჯაგუმ მუშტაედისაკენ, მტკვრის მხარეს, აიღო იჯარით ბაღი. ეს ბაღი დიდრონი ხეებით იყო დაჩრდილული. საზოგადოდ ძალიან მდიდარი იყო მცენარეებით, რადგან მტკვრიდან გამოტანილი არხი უვლიდა მთელ ბაღს და თბილისში თუ წყალი არ აკლია ადგილს, თესლი ქვაზედაც კი გაიღვიძებს. ბაღი მშვენიერ სარგებელ ადგილს წარმოადგენდა. ჯაგუ ჩადგა ბაღში. ისე მოაწყო «სალხინო, რომ დაქანცულ და სიცხისაგან დათენთილ ხალხს თავისუფლად ამოსუნთქვა შესძლებოდა. შუა ბაღში ფანჩატური ჩადგა. ფარდულში, იმის გარშემო ხეივნებში, თალარებქვეშ სკამები და მაგიდები დააწყო. მთელი ბაღი სხვადასხვანაირი ყვავილებით მოჰფინა და ააფერადა. მერე გამოაქვეყნა გაზეთების შემწეობით: ბაღში იყიდება ლუდი, სხვადასხვა სასმელები; პურის ჭამაც შეიძლება-საუზმისა, სადილისა თუ ვახშმისაო. მიიწვია მემუსიკეები და ერთ საღამოს მშვენიერად განათებულ და დასუფთავებულ ბაღში სამხედრო მუსიკის გრიალი გაისმა.

ამისთანა საგრილობელი ადგილები ბევრი იყო ქალაქში და მუშტარიც არ აკლდა. აქაც შეიხედეს და ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ: ლუდი თუ სხვა სასმელები უკეთესები გამოდგნენ, თანაც ისე იაფად ჰყიდნენ, რომ თითონ ქარხნების პატრნებთან თუ დაღვედა კაცი იმ ფასად და იმ თვისების სასმელს. სანოვავეც უწუნო და იაფი გამოდგა. მსახურები ქართულად იყვნენ გამოწყობილი, ისე მკვირცხლად ირჯებოდნენ, ისე ზდილობით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მუშტარს, რომ კაცს ეგონებოდა, სადმე კარგ ოჯახში ვარ მიწვეულიო.

მსახურებს ჯაგუმ დიდი ჯამაგირები დაუნიშნ. შემოსავლის ზრდასთან ერთად უმატებდა გასმრჩელოს. ეს იყო მიზეზი, რომ ამოდენა ხალხი, რომელიც უნდებოდა ვაჭრობას, ცდილობდა, რაც შეიძლებოდა სინდისიანად და მარჯვეთ აესრულებინა თავისი საქმე.

მუშტარს აქ უთუოდ რამე გასართობი ჰქონდა: ან ჯამბაზი თამაშობდა, ან დასტა უკრავდა საკრავებს, ან მომღერალი მღეროდა. ან ფალავნებს აჭიდავებდა, -ყოველთვის ამისტან რასმე მოიგონებდა ხოლმე. ეს ძალიან იზიდავდა მუშტარს. სუფთა ხალხიც არ ერიდებოდა: ყველა დარწმუნებული იყო, რომ არაფერ სიყალბეს არ გაბედავდნენ.

ვაჭრობა ძალიან კარგად წავიდა და ისე გაიდგა ფესვები, რომ რამდენიმე ამგვარი გასართობი და საგრილობელი ადგილები რომლებიც ახლო მახლო იყვნენ გამართული,

დაიკეტა უმუშტრობით. «სალხინომ» დაჯაბნა ისინი და მოუსპო არსებობა. როგორც უსპობს სიცოცხლეს ახლო ამოსულ მცენარეებს ამაყად ასული წიფელი.

პირიანი ვაჭრობა ახლი ხილი იყო, დიდი ნდობაც დაიმსახურა. ჯაგუს მუშტარი ისე არ უყრებდა, როგორც უყურებს ჩვენი ხალხი ვაჭარ საზოგადოდ, ე. ი. როგორც უპიროს და მძარცველს, არამედ ისეთ კაცად სახავდა, რომელიც შრომობდა მუშტრის ინტერესებისათვის და შრომისათვის შესაფერ გასამრჯელოს იღებდა.

ყველა ამას ჯაგუ თავისი დაუცხრომელი მხნეობით და აზრიანი მოქმედებით ახერხებდა, თორემ თანხა პირველად იმოდენა ძლივს ჰქონდა, რომ ბალი მოეწყო და რამდენიმე დღის საკმაო სავაჭრო შეეძინა. ალიონზე რომ ადგებოდა, ფეხს აღარ ჩაიდრეკდა, სანამ არ გატყდებოდა ღამე, პურის საჭმელადაც კი ვეღარ იცლიდა.

ამ კაცის დაუცხრომელი შრომით ვაჭრობის საქმე ყოველთვის გაჩარხული იყო. ბოლოს ხომ ჩვეულებად გადაიქცა «სალხინოში» სიარული და იმდენი მუშტარი მიაწყდა, რომ ტევა აღარ იყო. ფული სულ პარკებით შედიოდა პატრონისას და იქიდან ურიგდებოდა, ვისაც ერგებოდა. კაც ხაზინა ეგონებოდა ჯაგუს ოთახი.

ამ დროს იყო, ჯაგუს რომ გაეცნო რეზიკო, ყველას ნაცნობი რეზიკო, რომელიც ყოველთვის იქ იყო მაყარი სადაც კვამლი იყო მაღალი. თავის თავს «თავადს» უწოდებდა, თუმცა აზნაურობის მაძიებელიც ვერ იყო. ყოველთვის თავ ის მამულეებზე ლაპარაკბდა, თუმცა ადლი მიწა არსად მოეძეოდა. რეზიკოს მოჰყვნენ იმისი წრის ქალებიც რომლებიც ზნეობის და უზნეობის შუადგანან. ვიწროა ეს ადგილი, ირყევიან ხან აქეთ ხან იქეთ, იმის კვალად საიდან უბერავს სიო. ისინი ქალაქის ყველა კუთხიდან იკრიბებოდნენ. ამ ხალხს ზიანი არ მოჰქონდა «სალხინოსათვის»: მათი ცხოვრების მიზანი ცუდაობა და ლხინი იყო და «სალხინო» კარგად ითვისებდა იმათ.

7

რამდენადაც გაიწია ვაჭრობამ, იმდენად იმატა ჯაგუს შრომამაც. ეს დაუღალავი კაცი, ფულის შოვნით გახალისებული, ხანდახან თავწყალს ვეღარ ადენდა. ღონემიხდილი, ილაჯგაწყვეტილი მიეშვებოდა და გამტერებული გასცქეროდა სივრცეს.

ამისთანა წუთებში ხედავდა, რომ საჭირო იყო იმისათვის მეგობარი, რომელსაც შეეძლო გაეთბო და გაენათებია იმისი გული, მიეღო თავის თავზე რამე ზრუნვა შინ მაინც, სარისტა მიეცა შეტანილი დოვლათისათვის, გაემართა იმისათვის კერა, საცა სიყვარულს უნთია თავის გაუქრობელი ლამპარი.

სად უნდა ეპოვნა ასეთი მეგობარი? ახლანდელ თავის ნაცნობებში?- რა პასუხია! ისინი ხომ მარტო კეკლუცნი ყვავილები იყვნენ, რომლებიც უნდა გეყნოსათ და გადაგეგდოთ. იმერეთში არავინ ეგულებოდა, იქ აღარავის იცნობდა. იქნება ამ ქალებთაგანი ვინმე გამოჰყოლიყო, რომლებსაც მისვლა მოსვლა ჰქონდათ იმის ნაბატონარის ოჯახში; უთუოდ გამოჰყვებოდა ვინმე იმის სიმდიდრეს, მაგრამ ისინი მარტო ფუჭ თავმომწონეობაში და ფლანგვაში იყვნენ დახელოვნებული, იმატ ამ საქმეებში სიყმაწვილიდანვე ავარჯიშებდნენ და აბა რას გამოადგებოდნენ მშრომელ კაცს? არც აპატიებდნენ იმას, რომ წინათ მსახური იყო, უთუოდ წაყვედრებდნენ პირველსავე უკმაყოფილობის დროს. არც ერთი იმათგანი არ გამოადგებოდა ჯაგუს მეუღლეთ.

- ჩემი ცოლი ჩემი ტოლი კაცის სახლიდან უნდაიყოს; დეე, ღარიბი ოჯახიდან იყოს: დოვლათი ღვთის მადლით, მე თვითონ მაქვს. საჭირო კია ცოტა ესმოდეს რამე,

რომ შნო მისცეს სიმდიდრეს. ლამაზიც უნდა იყოს, თორემ დამცინებენ ნაცნობები, - ფიქრობდა ჯაგუ.

ვინ არის იმის ნაცნობ ქალებში ამისთანა? - არავინ! საკვირვალი კი იყო: როცა ჯაგუ ამ საქმეზე ჩაფიქრდებოდა და მიეცემოდა საგონებელს, თითქო რაღაც სახე წარმოუდგებოდა, თითქო ეს ფიქრები და მოსაზრება ადრევე ჰქონდა ვისგანმე გონებაში ჩასახული, მაგრამ ვისგან, ან როდის ვერ მოეგონა.

ერთხელ მოქანცულ ჯაგუს ძილი გაჰკრთობოდა და მისცემოდა საგონებელს. ფიქრობდა, რა ტანჯვა გამოიარა, რამდენი ეცადა მანამ გზას გაიკვლევდა და ამ ადგილს მიაღწევდა. დაობლება, ულუკმაპუროდ დარჩენა, სკოლიდან გამოსვლა. ჩამოვიდა ქალაქში ჯერ ისევ პატარა ბიჭი გრძელი ჩოხით და ყაბალახით თავზე. უკიოდნენ, დასცინოდნენ ქუჩის ბიჭები. უდიეი ოჯახები სადაც იმას პირუტყვივით ამუშავებდნენ უცმელუჭმელს. ჟრუანტელმა დაუარა ტანში ამ მოგონებაზე...ავადმყოფი მასწავლებლის სახლობა, საცა ის ცოტახანს მსახურობდა, ორბელიანთ სამსახური. იმათი ქალები არსად წავიდოდნენ, თუ ლამაზად გამოწყობილი ჯაგუ არ გაეყოლებინათ თან...ამ მოგონებაზე ზე წამოიჭრა.

- ბიჭო! ორბელიანთა რომ ძამიანთ ნუშო მოდიოდა, სწორედ ის არის, ვისაც მე ვემბე! პატარა რომ იყო მაშინ, იმისთვის გადამვარდნია გონებიდან. ახლა ვეება ქალი იქნება. სწორედ იმისი სახე მიტრიალებდა გონებაში. სწორედ ისინი არიან ჩემი საფერები. უკანასკნელად რომ ვნახე, შეღერებული ქალი იყო. ახლა ოცი წლისა კიდევ იქნება. პატარა კი უნდა იყოს ჩემთვის: აგერ ორმოცი წლისა ვიქნები...მაგრამ ვინ დატოვებდა იმ მშვენიერ ქალს აქამდინ.

ამ უკანასკნელმა აზრმა დაარონა ვაჟკაცი. რამდენიმე წელიწადი იყო მას აქეთ, რაც არ ენახა ქალი. იმით ინუგეშებდა თავს, რომ ის უბრალო კაცს არ გაჰყვებოდა. ხეირიანი კაცის შოვნა კიდევ ღარიბი ქალისათვის საძნელო არის.ჯაგუს კი წამოჰყვება, რადგან მდიდარია და კარგი შეხედულობისაა.

- ეს ასეა, მაგრამ მე იმ ქალს პირად არ ვიცნობ, იმის ოჯახში თავის დღეში არ ვყოფილვარ და არც ისეთი ვინმე მყავს, რომ გამაცნოს.პირდაპირ მივიდე და, ვაი, თუ საქმე წავახდინო!

უნდოდა თვალი მოეკრა ქალისათვის, მაგრამ ესეც მოუხერხებელი იყო, რადგან ისეთ ქუჩაზე ცხოვრობდა ქალი, რომელზედაც მარტო ისინი დადიოდნენ, ვინც იქა ცხოვრობდა, ან დოსტორივ საქმე რამე ჰქონდათ იქ. ბოლოს მოიგონა რომ ნუშოს ორბელიანთა ეკლესიაში უყვარდა სიარული.

ლაგუ პირველსავე შაბათს მივიდა ეკლესიაში. შვენივრად ჩაეცვა. ვერცხლის ქამრ-ხანჯლით და ყაწიმებით მორთულიყო. გადაავლო თვალი თავის ნაბატონარებს და შეკრთა. გაიფიქრა, იქნება თქვან, რახან ფული იშოვა, თავისი თავი დიდი ბუზი ჰგონია და მოვიდა, შეიკავა თავი. გადაათვალიერა ხალხი და მაშინვე იცნო ნუშო. ქალს მარცხნივ დაეჭირა ადგილი, საწიგნეს უკან დაეჩოქა, თავი მოეხარა, ევედრებოდა. ბეჭებზე გადაყრილი თმა დგადაჰვენოდა, რადგან არ დაეწნა, მარტო თმითვე ჰქონდა აქეთ-იქიდან აკრული. მორტული კაბა ეცვა. ნაკერი საყელო უჩანდა. თმა რომ აეკრა, პაწაწინა ყური გამოჰჩენოდა. ჯაგუმ მოზომა, როგორ დაშვენდებოდა სპეტაკ ყურს მარგალიტებით მორთული ზარი საყურე. ნუშომ ერთი კი შეანათა ბრიალა თვალეები ვაჟკაცს და ისევ დაღუნა თავი, ისევ ლოცვა დაიწყო. მლოცველი მშვენიერება იყო, თუ მშვენიერებასაც ეჭირვება ლოცვა. ჯაგუ დააკვირდა ქალს; დიდი სურვილი და ლტოლვილება იგრძნო.

- მე თუ ეს ვარდი არ მოვწყვიტე, რად მინდა ჩემი კაცობა ან ჩემი სიმდიდრე?! - გაიფიქრა.

ადვილი საქმე კი არ გამოდგა ეს. ორი თვე მეტი ხან აქეთ უარა ქალს, ხან იქით, მაგრამ ვერ მოახერხა გაცნობა. ისევ საყდარში თუ ეღირსებოდა ნახვას. რამდენიც უფრო მეტი დრო გსდიოდა, იმდენად უფრო ითვრებოდ კაცი ქალის ემხით; თანაც იმდენი უფრო შიშობდა და ფრთხილობდა: იცოდა, რა მნიშვნელობა აქვს პირველ ნაბიჯს და გული უცემდა. თითონ რომ ველარაფერი მოაგვარა დაასკვნა მაჭანკალი მიეგზავნა

- თუ მაჭანკალმა ვერ მოახერხა, მაშინ მე თვითონ შევეცდები, - ფიქრობდა ჯაგუ.

8

ვანქის ვიწრო ქუჩაზე, მუხრანთან ხიდისკენ, ცხოვრებდა დალალი პელააგო. ეს დედაკაცი დალილიც იყო, მაჭანკალიც; დალალობით რომ დაიწყებდა, მაჭანკლობით ათავებდა. საცა შეშა ვერ მოჰქონდა ურემს, თითონ შემობდა ურემი. ახალგაზდა დაქვრივებულიყო და მალე მიეყო ამ ხელობისთვის ხელი. დალაადრიანვე გამოჰკრავდა ყალამქრის ბოხჩაში სადალალოს, დაიხურავდა ჩადრს და გაუდგებოდა გზას. ჩადრის მოკლედ აწევა უყვარდა. იმისი გზა-კვალი არავინ იცოდა. ეჯავრებოდათ. პირს იქით ბევრსა ძრახავდნენ, პირში თქმას ერიდებოდნენ, რადგან ემინოდათ იმის გესლიანი სიტუვისა. მიმინოს ნისკარტივით მოყვანილი ცხვირის წვერი გაუთეთრდებოდა და ისეთ სიტყვას მიახლიდა კაცს, ისეთ ნაცილს ესროდა, რომ გულს მოუკლევდა.

ჯაგუმ დაიბარა თავისთან დალალი, გააგებინა თავის გულის წადილი. მდიდარი გასამრჯელო აღუთქვა. პელო ჩაფიქრდა, გონების თვალთ წონავდა ამ სახეირო დავალებას. ეჭვი შეეპარა ჯაგუს გულწრფელობაზე, ეგონა ქალის ყიდვა გაუძრახავსო.

- გინდა რაღა, გარეთუბანს თვალი გამოთხარო, ი ბამბის ქულა გოგო ჩაიგდო ხელში, - უთხრა მაცთური ღიმილით მაჭანკალმა, - მაგრამ მე რომ იმის დედას ვიცნობ, არა მგონია, შეაცდინო და დაიყოლიო, რაც უნდა მისცე.

- ცუდს ნურას იფიქრებ! ცოლად მინდა, როგორც გითხარი, - მიუგო ჯაგუმ მკვახედ.

ჯაგუს ეწყინა, რომ იმისი წრფელი სურვილი ესე შესვარა მაჭანკალმა. მას ამ ახალ გრძნობისათვის დაეკავშირებინა, რაც კი იმის არსებაში კარგი იყო - ან გრძნობა, ან სურვილი, ან ფიქრი. უნდოდა ნუშო იმის წმიდა წმიდათა ყოფილიყო, ეს დედაკაცი კი აპირებდა ამ სიწმიდის შელახვას. ძალიან ეწყინა, გული ჩაეთუთქა, მაგრამ რას იზამდა? თავის ბედი ხელში ჩაუგდო ამ დედაკაცს და მოთმინების მეტი რაღა გაეწყობოდა, თავი შეიკავა.

- პელო! ეგრე რომ იყოს საქმე, პირდაპირ გეტყვოდი. მე ის ქალი ჩემ მეუღლედ მინდა. თუ მოახერხებ ამ საქმეს, არ მოკვდეს ჯაგუ, უმადური არ დაგტოვო.

- მაშ, კარგი! მაგრამ ხომ იცის, მე იმათგან საშუამავლოს ვერ ავიღებ: რა აქვთ, რა უნდა მომცენ?! იმათ მაგივრადაც შენ უნდა მომცე გასამრჯელო.

მზეს კარგა მოევილო, როცა პელაგონ შეალო ძამიაშვილიანთ ეზოს კარი და მიადგა მაგდას. მაგდა წამოდგა ტახტიდან, მიიპატიჟა სტუმარი, ჩამოართვა ბოღჩა და ჩადრი.

დაბრძანდი! რისგან არის მოგგონებივართ?-უთხრა და თან ეჭვით შეხედა დედაკაცს, რადგან იცოდა, ის უსაქმოდ არ მოვიდოდა.

-იჰ, ქალო, ძალიან მინდოდა მენახეთ მაგრამ მოცლა არა მაქვს. ლუკმა-პურისთვის დავწანწალებ. გმადლობთ! ახლაც საქმეზე მოვედი: უნდა მოიცალო და კვირამდინ ერთი ლეჩაქი შეკერო. ჯაგუ კორსაიას ხომ იცნობდი, ორბელიანთანრომ იყო

ბზლებლად? ახლა იმას დიდი ვაჭრობა აქვს გამართული, სოვდაგარი კაცი შეიქმნა. იმან დამავალა საგულდაგულოდ შეკერილი ლეჩაქი მიშოვეო; თურმე სადღაც უნდა გააგზავნოს საჩვენებლად. მაშინვე შენ დაგასახელე. ვიცნობო! ნაირიც თითონ ამოარჩიოს, ფასიც თითონ დაადვას; ვენდობი იმ პატიოსან ადამიანსაო, -მითხრა.

-კარგი, ჩემო პელო, შევკერავ. საქმე ღვთის მადლით ბევრი მაქვს, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, რომ მოგგონებია, რახან საჩვენებლად სდომებია, მე ვიცი, როგორ ლეჩაქსაც ამოვიღებ, ფასი კი შენ უთხარი, ხომ იცი, რა რა ღირს; მე შემრცხვება და უფრო ნაკლებ დავაფასებ.

ამ ლაპარაკის დროს პელაგოს ოთახისკენ ეჭირა თვალი. ოთახის კარი ღია იყო, ფანჯარას ფარდა ეფარ. ძალიან უნდოდა სახლში შესვლა და ქალის ნახვა. როცა ნახა, შინ არ იწვევდნენ, წუყალი მოინდომა და მანამ მაგდა დაიძვრებოდა ადგილიდან თითონ შესრიალდა კარებში. მაგდა განგებ არ იწვევდა ოთახში, არ უნდოდა ეჩვენებინა მძინარე ქალი და ლიულაგებელი სახლი.; არ იამა დედაკაცის ქცევა, მაგრამ ველარა აწამა რა.

-ქა, გაფუჩფუჩებული არა წევს! ავთვალს არ ენახება. აფსუსი არ არის ამისთანა ქალი უფულო იყოს და ტუტყიან ხეპრე ვისმე ჩაუვარდეს ხელში?!

ნუშო გაიშმუშნა ლოგინში.

-დაიძინე, შვილო, ინებივრე, ჯერ შეგიძლია იაზიზო: კარგი დედა გადგას თავს. მემრე, ქმრის ხელში, ვინ იცის რა დღე მოგელის; იქნება განთიადისას გაყენებდნენ, სახლს მოუარეო. ღარიბი კაცის გაჩენაში ხომ ღმერთი არა რეულა.

-გუშინ გვიან დავიძინეთ და ადრე აღარ ავაყენა, შემეცოდა,-მოჰჰადა ბოდიში დედამ; თან თვალისა შეულოცა ქალს გუნებაში.

პელაგო კიდევ შეეხვეწა მაგდას დროზე შეეკერა ლეჩაგი და საგანგებო რამ გამოეყვანა.

დადლილი რომ წავიდა, მაგდა დაუფიქრდა იმის სიტყვებს და სევდა აეშალა.

-მართლა და რა ეშველება ჩემ ნუშოს? თუ მივცე საწყალ ვისმე, რა გამოვა? ჯაფა ამას არ შეუძლიან, გაჭირვებულ ცხოვრებას არ არის შეჩვეული. ორ დღესაც ვერ გაძლებს, დაჭლექდება... უწინამს დღე დამელიოს!.. კიდევ რომ გავიმეტო და მივცე განა თვითონ გაჰყვება? სწავლა ვერ დავამთავრებინე ჩემი ხელმოკლეობით, ვერც ხელსაქმე ვასწავლე. არ მივცემ და მაშინ ვინ წაიყვანს უმზითვოს? ეს საცოდავი ქობია და მე მეყოს სამარხად თთუ ქალს მზითვად? რომ მომივიდეს რამე, ხომ დაიილუპება, მოვარდება ნიაღვარი და წაიღებს, -ფიქრობდა მაგდა.

დანიშნულ დროს მაჭანკალი ისევ მოვიდა მაგდასას. საღამო ხანი იყო, ნუშო ტოლ-ამხანაგებში გასულიყო. ახლა კი პირდაპირ მიმართა საქმეს.

-მას აქეთ, რაც იმ დღეს შემოვბრუნდი, გული აქ დამრჩა: ძალიან მომეწონა შენი ქალი; რამდენი ხანი იყო, არ მენახა. ვეება გამხდარა, გათხოვების დრო აქვს. ქალი იჯდეს-ბერდებოდესო. გავიგე კუნწულაანთკონა გთხოვს. რატომ არ აძლევ?

-ერთი საწყალი კაცია, რითი უნდა შეინახოს ცოლშვილი?

-ლოთი არ არის და ფოთი, როგორმე დაარჩენს ოჯახს თავის ხელობით. ხომ გაგიგონია, ქალი პირდაღებულმა მგელმა რომ გთხოვოს პირველად უნდა მისცეო.

-ვიცი, ჩემო პელაგო, მაგრამ ეგ მგელი ერთობ გაქუცული და პირმყრალია.; როგორ გადაუგდო ჩემი სათუთად აზრდილი გოგონა?

-მართალს ამბობ, -გაილიმა მაჭანკალმა. -გცდიდი. შენი ქალი არ გამოდგება ღარიბ და მუშა ოჯახში. ხომ იცი, შვილივით მიყვარს, მაინც ვიტყვი, მაგას ოჯახის მოვლისა და ჯაფის თავი არა აქვს, შეჩვეული არ არის.

-ყმაწვილია, გამოიცვლება, შეეჩვევა.

-მერმე რა საჭიროა, რომ გამოსაცდელ ადგილას ჩავაგდოთ? ისეთ კაცს მივცეთ, ქალბატონივით იცხოვროს.

-შენ პირს შაქარი, ჩემო პელოვ, მაგრამ ვინ გვადირსებს ისეთკაცს? მდიდრები მდიდრებსვე ირთავენ, ფული ფულს ეძებს.

-მაგდა! ჭკვიანი ადამიანი ხარ, კარგად დამიგდე ყური,-უთხრა პელაგომ და მიუჯდა მუხლი ზირას.

ჯაგუ კორსაია ახლა სოვდაგარი კაცია, დიდი მდიდარი შეიქმნა. სხვა არა იყოს რა, იმან რომ მთაწმონდაში სახლი შეიძინა, მარტო ის აცხოვრებს ერთ ოჯახს. გუშინ შევიარე იმასთან. ლაპარაკში სიტყვა გაუტარე ცოლის შერთვაზე: ვიცოდი, ქალს ეძებდა. იმანაც აღარ დამიმალა. ლამაზი ქალი მინდა, ოღონდ ცოტა იცოდეს რამე ა მიხვრა-მოხვრა ჰქონდეს, ფულს არ დავეძებ, ფული ბევრი მაქვსო; უთუოდ პატიოსანი ოჯახისა უნდა იყოსო, მე მაშინვე ნეკზე ვიკბინე: ჩვენი ნუშო მომაგონდა. იმას რომ მივცეთ, მაგის ბედს ძალლი არ დაჰყეფს.

მაგდა დააკვირდა მაჭანკალს და ჩაფიქრდა.

-ეგ ყველა კარგი, მაგრამ ხომ იცი ჩემო პელოვ, მა ბავშვის მეტი არავინ გამაჩნია, მაგას შევალე ჩემი ყმაწვილ ქალობა; მაგას რომ შეემთხვეს რამე, ეგ რომ გაუბედურებული რომ ვნახო თავს მოვიკლავ, ის კაცი, ვინ იცის, ვინ არის, ვინიცის როგორია, იქნება ერთი გაქნილი ვინმეა.; რომ გვიღალატოს, რაღა გვეშველება? მდიდარი კაცი და ჩვენ, ღარიბები, იმასთან რას გავაწყობთ?

-იი, ქა! საეჭვო ვინმე რომ იყოს, განა მე გამომეპარებოდა? მაინც ისე დავიჭიროთ საქმე, რომ ვერავინ მოგვატყუოს.

კიდევ ბევრი ილაპარაკეს ამ საგანზე და ბოლოს დაჰყვა მაგდა. ან კი ჯაგუზე კარგს ვის დაუწყებდა ლოდინს? ერთი პირობა კი დაუდო: ნიშნობა და ქორწილი ერთად უნდა მომხდარიყო.

9

პელო რომ წავიდა, მაგდამ ერთი პირი იტირა, თუმცა სასიხარულო იყო იმისთვის, რომ თავის შვილს გზას აძლევდა და კარგ გზასაც, თუმცა იცოდა, რომ ერთხელაც იქნებოდა ქაფრინდებოდა ბუდიდან მისი გვრიტი, იცოდა მისი ნუშო დედის კალთიდან სხვის კალთაში უნდა გადასულიყო, თუნდაც ეს დედის კალთა სულ ვარდებით ყოფილიყო მოფენილი, მაგრამ ის შესჩვეოდა ტავის შვილს, რომ უიმსოდ ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნდა: თავისი თავი და შვილი ჯერ კიდევ ისევ ერთი ეგონა.

იმ დამეს ქალს დედა ძალიან უალერსებდა ფარვანასავით თავს ევლებოდა, თაფლივით ტკბილ სიტყვებს აწვეთებდა, თან სულ თავის ქვრივ-ობრობაზე ელაპარაკებოდა, სიღარიბეს უჩიოდა. თანდათან ვსუსტდები, ხანდახან ცუდათ ვგრძნობ თავს და შრომა მიჭირდებაო. როცა ქალი ლოგინში ჩაწვა, დედა მიუჯდა და ვაჭრობაზე ჩამოუგდო საუბარი: ვაჭრობა უფრო სასარგებლოა ხელობაზედაო; მაგალითად ჯაგუ კორსაია მოიყვანა რომელიც აღებ-მიცემით გამდიდრებულიყო, ფულიანი კაცი გამხდარიყო. ბოლოს გაუცხადა, ჯაგუმ კაცი გამომგზავნა, შენა გთხოულობსო.

ქალი სულაც არ აღელვდა ამ ამბავზე, გულდამშვიდებით მოისმინა დედის სიტყვები; მარტო «იჰ-ს» იმახდა და იქით ბრუნდებოდა. დედას ეგონა ქალს ისევე გაუძნელდებოდა დედის დაშორება, როგორც თითონ დედას ქალის და, ცოტა არ იყოს, ეწყინა სვილის ესეთი ქცევა.

-მე გული მიკვდება, დაშორებაზე რომ ვფიქრობ, ამას კი, ვგონებ, აინონშიაც არ მოსდის,-გაიფიქრა მაგადამ.

ქალმა კი იმისთვის მიიღო გათხოვების ამბავი ესე დინჯათ, რომ მომზადებული იყო, წინათვე იცოდა, ესე უნდა მომხდარიყო. ნუშომ მიაქცია ჯაგუს ყუადღება, როცა იმან ორბელიანთ საყდარში დაიწყო სიარული და აღზნებულ თვალებს არ აშორებდა მას. ისიც კარგად შენიშნა, რომ თუ ან წირვას, ან ლოცვას დააკლდებოდა, ჯაგუ უთუოდ გაივლიდა მახლობელ ქუჩაზე და თვალი სულ მაგდაათკენ რჩებოდა. ქალი მიხვდა, რომ ჯაგუს შეჰყვარებოდა ის და დატკბა. ადამიანი კამყოფილებასა გრძნობს, როცა ხედავს, რომ ის უყვარს ვისმე, თუნდა უღირსაც. ქალმა იცოდა, რომ ჯაგუ ახლა დიდი მდიდარი იყო და ვერცხლის ბრჭყვიალი Yთვალს უბამდა, მით უფრო ადვილად, რომ უსაქმობით და მდიდარ ოჯახებში სიარულით კეთილ ცხოვრებაზე ოცნებას შესჩვეოდა.

-ჯაგუმ რომ შემირთოს,-ფიქრობდა ეკლესიაში მუხლმოდრეკილინუშო,-ჯაგუმ რომ წამიყვანოს, მაშინ გამოსკდება კაალანთ ლიზას შურიზთ თვალეზი, იმ დღეს რომ ვერცხლის ქამარი სეეკრა და იპრანჭებოდა,; ზოგიც მაშინ აუკრან ტუჩი ჩემ ტანისამოსს თუნდ ორბელ;იანთ ქალებმა! ჩამოვალ უბანში ეტლით ძვირფასად ჩაცმული, უბნელებს ხილსა და საჩუქრებს ჩამოვუტან. როცა შინ მეწვევიან, ისე დაგუზვდები, რომ უკვირდეთ. შევებვეწები ჯაგუს და დედას ხავერდის ქათიბს შევუკერავ... მაგრამ, დასწყევლა, რა სახელია ჯაგუ? ნეტა სოსანა ერქვას... საწყალი სოსანა! იმასაც ხომ ძალიან უყვარვარ. ვინ იცის, ახლა სად არის. რუსის ქალს გაიცნობდა ვისმე.

როცა პელო მივიდა ლეჩაქის შესაკვეთად და ჯაგუს სახელი ახსენა, ნუშო ლოგინში სმენად გადაიქცა: ეგონა ან ახლა ეტყვის დედას კორსაია ქალსა გთხოვსო, ან ახლა, პელო რომ ისე წავიდა, სამაჭანკლო საქმეზე კრინტიც არ დამრა, ქალს იმედები გაუტრუვდა და ძალიან ეწყინა; გაჯავრდა პელოზედაც, ჯაგუზედაც.

-იი, მეხი კი დავაყარე! გამდიდრებულა და დავიწყებია რომ ორბელიანთ მოსამსახურე იყო. თუ ლეჩაქის შემოკვეთის მეტი არა უნდოდა რა, მაშ რაღას დაეხეტება საყდარში და თვალებს იბრეცავს ჩემკენ? მედუქნეა და ფულის ძებნაში ამოუვა სული. ვის ეკადრება?! სწორედ მაგის ცალია სოსანა! იმან პირობა მომცა; აგერ გაათავებს სწავლას, ჩამოვა რუსეთიდან და ჯვარს დავიწერთ. ნასწავლი კაცია. მეუბნებოდა: მასწავლებლად გავმწესდები, ვიცხოვრებთ ჩვენთვის ტკბილად და პატიოსნადო. მართალია, სიმდიდრე არ გვექნება, მაგრამ ჩვენი სიყვარულით მდიდრები ვიქნებითო, -ასე ფიქრობდა ნუშო. ჯაგუზე მაინც გული მოსდიოდა, ჯავრობდა; იმ შაბათს საღამოს შეხედვაც კი არარ აღირსა კაცს, თუმცა საწყალი ციცასავით შესცქეროდა მას.

ამ გუნებაზე და ფიქრებზე იყო ნუშო, როცა დედამ შეატყობინა ჯაგუს სურვილი. ამ ამბავმა დააკმაყოფილა ქალი მაგრამ ჯაგუზე გული მაინც ჯერ ვერ მოებრუნებინა, ვეღარც მთლად დაეჩრდილა სოსანას სახე, რომელიც ისე ცხადად წარმოუდგა იმას, როცა ჯაგუზე ჯავრობდა. ეს იყო მიზეზი, რო როდესაც დედა რამდენჯერმე ჩეკითხა ქალს, იმან პირდაპირი პასუხის მაგივრად მორცხვობით მიუგო:

-სოსანა რომ მიდიოდა, მითხრა, მიყვარხარ, მე შეგირთავ, როცა რუსეთიდან დავბრუნდებიო; პირობა მივეციტ ერთმანეთს.

დედის გულს ისარივით მოხვდა ეს ამბავი და მოულოდნელად შეარყია იმისი ფიქრები. მართალი, უხაროდა, რომ მდიდარ კაცს აძლევდა ქალს, მაგრამ სულ არ იცნობდა იმ კაცს, არ იცოდა რა ხასიათისა იყო, როგორ შეეთვისებოდნენ ერთმანეთს ქალ-სიმე, სოსანა კი, ის პატიოსანი, განათლებული, ყველას საყვარელი სოსანა რომ დასიძებოდა, მაშინ სხვა იყო. მდიდარი არ იყო სოსანა, არც გამდიდრდებოდა მისი

ფიქრების კაცი, მაგრამ იმდენი მაინც ყოველთვის ექნებოდა სუფთად და უვალოდ იცხოვროს. სოსანა ჯერ როდის გაათავებს სწავლას. იქნება რუმეთშივე შეირთოს ცოლი. ვინ იცის, აღარც კი ახსოვს ყმაწვილობის გრძნობა. ესეც რომ არ იყოს, პელოს რა პასუხს გავცემ? ხომ გადაგვიხდის, გველის ხერელში გამძვრება და გადგიხდის. ან რად უნდა მივაყენოთ უპატიურობა იმ კაცს, რისთვის უნდა დავიწუნოთ?.. ყველა ამ ფიქრებმა სისწრაფით გაურბინეს მაგდას თავში, გადასწყვიტა გზისათვის არ გადაეხვია.

-ხომ იცი, შვილო, როგორ მიყვარს სოსანა, როგორ უყვარს ის მთელ უბანს: ბედნიერი ვიქნებოდი შვილად დამესახა ის, მაგრამ დანიშნულებიც იღებენ ხელს ერთმანეთზე, ჯვარდაწერილებიც კი იყრებიან და ყმაწვილის ერთ სიტყვას როგორ დავენდოთ, იმის გულისათვის როგორ ვუთხრა უარი სოვდაგარ კაცს? რუსეთი გრილია, ვინ იცის, როგორ გაუგრილდა გული. ან დაბრუნდება კი საქართველოში? ამბობენ ბევრ ქართველებს ტოვებენ რუსეთში, იქ აძლევენ ადგილებსაც.

ნუშოც ესე ფიქრობდა, დედის სიტყვები ჭკუაში უჯდებოდა. ჯაგუსაც და სოსანასაც ისე უყურებდა, როგორც ცხოვრების სახსარს, ისეთ ცხოვრების საშუალებას, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა იმის სურვილები და იმისი ოცნებები. ჯაგუ ამოირჩია, მდიდარი ჯაგუ, რომელიც აგზნებულყო მისი ეშხით და რომელიც ფეხქვეშ გაუშლიდა ტავის ვაჟკაცობასც, თავის ქონებასაც. ქლმა ამიტო მიუგო უკანასკნელ ჩაკითხვაზე დედას, რაც გინდა ქენიო.

10

გაისტუმრა ჯაგუმ პელო და მოლოდინად გადაიქცა. რაც მეტი დრო გადიოდა, იმდენი უფრო მოუსვენრობა ეტყობოდა, ღელავდა. მართალია, ისევ წინანდებურად მუსაობდა თავის «სალხინოში», ყველაფერს სარისტას აზძლევდა, ყველგან იყო ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ამას ყველაფერს შეუგნებლად ასრულებდა; ჩვეულებად გადაქცეოდა ესეთი მოძრაობა და ისე მოქმედებდა, მისი სული კი სხვაგან იყო, მისი გობნება სხვაგან ჰქროდა. ნუშო გახდომოდა ცხოვრების მიზნად; იმის ფიქრები ნუშოს დასტრიალებდნენ, როგორც შუქს ფარვანები, მისი სურვილები, ნუშოსკენ მისწრაფოდნენ. ნუშო იყო იმისი მნათობი და მოუთმენლად ელოდა თავის მზის ამოსვლას; მზის ამოშუქებამდინ კი ბნელი სულს უხუთავდა: სუნთქვა უგუბდებოდა, ჰაერი ვეღარ ჰყოფნიდა, თვალი კარისკენ ეჭირა, ჩადრიან დედაკაცს არ გაუვლია ქუჩაზე, რომ ჯაგუს პელო არა ჰგონებოდა. და ფერი არა სცვლოდა.

პელო კი იგვიანებდა: გამოცდილი იყო თვალის ხელობაში და საქმეს აგვარებდა, არა ჩქარობდა. როდესაც გამოიკითხა ყველაფერი და მიიღო გადაწყვეტილი პასუხი, ჯაგუსაკენ გაეშურა. ჯაგუმ ვერ შენიშნა მაჭანკალი: სწორედ იმ დროს ვიღაც მუშტარს ელაპარაკებოდა. როცა ბიჭმა პელოს სახელი ახსენა, ვაჟკაცს ფერი წაუვიდა, გულმა ძგერა დაუწყო. მოისმინა მაჭანკლისაგან სასიამოვნო ამბავი. ძალიან გაეხარდა, კინაღამ გადაეხვია დედაკაცს.

-ძალიან მემამა, რომ ეგრე ფრთხილობენ და ჯვრის წერას აჩქარებენ: რას მიცნობენ, რომ ახლავე მენდონ! პატიოსანი ხალხი ყოფილა. წადი, ჩემო პელო, და უთხარი: ზეგ სადამოზე ნიშანს მოვიტან, დღეის-სწორს ჯვარს დავიწერ.

პელო გატუსტუსდა; თან ჯიბეს ისინჯავდა ფული არ დაგვარგო.

კაცის ცხოვრებაში არის ისეთი წამები, როცა ის აფრთოვანებულია, მთვრალს მოგაგონებთ; უღვინოთ მთვრალია: რომელიმე აზრი თუ გრძნობა, ან სურვილი მთლად დაიმორჩილებს, განხორციელდება მასში და თავის სახეს აძლევს მის მოძრაობას, მოქმედებას, მთლად მის არსებას, მოუჯადოვებს ნებას და ისე აქანებს, როგორც ნაფოტს

ტალდა. ჯაგუს არსებაში ახლა იმ ქალის ნდობა განხორციელდა და შეცვალა კაცი. თანხმობის ამბავი რომ მუვიდა, ჯერ გარინდა,-არა ჯეროდა, თუ ჯერ ვერ გაეთვალისწინებინა ეს ბედნიერება, მერე აღელდა, ახტაცებაში მოვიდა და ველარც გამოერკვია ამ მდგომარეობას ქორწილამდინ. ნუშოს თვალეზი ათრობდნენ იმას, მის კულულებს სხივების ბუნჯგალს ადარებდა. შინ იყო-დანიშნულთან მისვლას ნატრობდა, ქალისას იყო- იმასთან ახლო ჯდომა უნდოდა, მოხვევნას და ჩაკონებას მოახერხებდა- სწყინდა, რომ ნუშო ცალკე არსება იყო. წამოვიდა და ჯერ ათი ნაბიჯი არ გადმოედგა, რომ ისევ მოსწყურებოდა ქალის ნახვა, მოსწყურებოდა ისე როგორც იზმაილს წყალი უდაბნოში. ბევრჯელ რასმე მოიმიზიზებდა, უკანვე დაბრუნდებოდა. როცა თითონ ვერ მიდიოდა დანიშნულთან, მაშინ უგზავნიდა წერილებს, ხილს, ძვირფას ნივთებს, ყვავილებს. სურდა მისი სახლი თაიგულად გადაექცია, რომ ყვავილებს მოეალერსებინათ იმისი თვალეზისათვის, დაეტკბოთ იმისი ყნოსვა, იამზნათ იმისათვის, რა რიგად უყვარდა ის ჯაგუს. ყვავილებსაც ესმოდათ ვაჟკაცის გულისთქმა, იმიტომ უღიმოდნენ ისე მშვენივრად; ნუშოც ხომ ყვავილი იყო, კეკლუცი: უხაროდათ ყვავილებს იმასთან წასვალ.

გარეთ უბანში ნუში შენატროდა ყველა, ყველა ჯაგუს ლოცვდა, რადგან ეშხით მთვრალი ვაჟკაცი მეზობლებსაც პატივს სცემდა. მაგდა ხომ სიხარულით ფეხზე არარ იდგა. გაათკეცა მეზობლების პატივი, მეზობლების ალერსი: თითონ რომ ბედნიერი იყო, უნდოდა ყველა მხიარული ყოფილიყო.

მოვიდა ქორწილის დამე. მაგდას სახლი წახჭახებდა. ხალიჩებით მოეფინათ: ჯაგუს გამოეგზავნა. სხვაც ბევრი რამ გამოეგზავნათ საქორწილო. გარეთუბანი იქ იყო. სახლი და ეზო ვერ იტევდა, ქუჩაც გავსებულიყო. ბევრს უხაროდა ნუშოს ბედნიერება, ზოგი შურით უყურებდა, ბევრი პატარძლის შვენებას გაეტაცა, ზოგ ახალგაზრდას ახლა აჰხელოდა თვალეზი და ჯავრით გულში მუშტს იცემდა, რად გავატანე სხვას ამისთან მარგალიტიო.

ნუშოსთვის თავი დაეხურათ. თეთრ ტანისამოსში იყო. მარგალიტით ნაკერი თასაკრავი შუქს აყენებდა მას, დაბასმული, მალათასეყრილი ლეჩაქი ბრჭყვიანლებდა, თითქო ოქრო ფურცელი გადაუბნევიათ ქალისათვისო. ყურადღებას იზიდავდა ძველებური გულისქინძისთავი: ოქროს ღერს შტოები ამოსვლოდა, შტოების გადმოხრილ თავებზე მარგალიტის კუფხლები გადმოჰკიდებოდნენ. აღელვებული ქალი რომ სუნთქავდა, მარგალიტები თრთოდნენ, ღია მკერდის კოცნას ცდილობდნენ. ორბელიანთ ეკლესია და იმისი მიდამოც გაენათებინათ; ხალხით ავსილიყო იქაურობა. ორბელიანთ ქალებიო დაჰპირებოდნენ პატარძალს ჯვარის წერაზე გვერდის დაშვენებას. შემოსილი მღვდელი ხან კარებიდან იხედებოდა, ხან საკურთხეველშივე შედიოდა.

მოგრილდნენ ზამიანთ სახლტან ეტლები. გადმოხტნენ ჯაგუ და ათიოდე იმისი მაყარი. ეს ფაქიზად ცაცმული, იარაღში ჩამსხდარი ვეშაპივით ვაჟკაცები რომ გენახათ, მშობლებს კურთხევით უხსენებდით. ბევრ გარეთუბნელ გოგოს გააჟრიალა ტანში იმათ ნახვაზე. ჯაგუმ გააცნო ქალებს თავისები. ყმაწვილკაცების თავაზიანობა და მოხდენილმა ქცევამ მოხიბლა სტუმრები. ქალი მიჰყვანდათ ეკლესიაში, დედა თან ცრემლებს აფრქვევდა და თან ილიმებოდა. ღვდელი უხვ სასყიდელს გამოელოდა და პრტყელ სიტყვაობდა.

მეჯვარემ ამოწვდილი ხმლით გაუკვალ ნეფე-დედოფალს სახლის გზა და კარის ბჭეში თავგვირგვინიან ვაჟკაცს საინი დაამტვრევიენეს-ბოროტიო დაათრგუნინეს. ვერცხლის ბადით შარბათი დაალეინეს-სიტკბოებას აწაფეს. ჯაგუმ მიაცილა ქალი მისთვის მომზადებულ ოტახის კარამდინ. ოთახი კოხტა იყო, მაგიდა სავსე საჭირო და

სალამზო ნივთებით. გაწვრთნილმა მოახლემ თავი მოაწონა ნუშოს. ქალმა სეისწორა ტანისამოსი, გაუღიმა თავისთავს კედლის სარკეში და გამოვიდა. ხილულობით სავსე ოთახები. გაიმართა ცეკვა: გაშალეს ვახშამი. მხიარულება არ შეწყვეტილა. გათენებამ მოატანა, სტუმრები რომ წავიდნენ. ჯაგუმ სატრფო საწოლში შეიყვანა.

მიწიერი სიყვარული განუსაზღვრელი სიყვარულის აჩრდილია, თითონ განუსაზღვრელი სიყვარულია ქვეყნით მოვლინებული.

ჯაგუ გაგიჟებით ეტრფოდა ცოლს და ტკბებოდა, მაგრამ იმას რომ ნეტარების ფრთები ასცმოდა და მეშვიდე ცას მისწვდომოდა, ნუშო დედამიწაზედვე დარჩენილიყო და ქმრის ახტაცებას ცნობის მოყვარეობით უმზერდა შემდეგაც ვერ შეძლო გაეზომა ქმრის გრძნობის სიღრმე. ქმარი რომ თავს ევლებოდა ქალს, ის რომ სანთელივით დნებოდა მის შუქზე, ქალს სიყვარულის საზომად არ მიაჩნდა ეს, თავის ღირსებების სასყიდლადა თვლიდა. ვისთვისაც უნდა შეხვედრებინა ბედს მისი თავი, მაინც ფუფუნებაში უნდა ყოფილიყო; ესე ძვირად უნდა დაეფასებინათ ის. თავის მხრივ ისიც საკმარისად მიაჩნდა განაზებოდა შეყვარებულ ქმარს და ლოყა მიეშვირა მისთვის საკოცნელად.

11

გავიდა ხანი. ნუშო შეეჩვია ახალ ყოფას, დიასახლისად იგრძნო თავი, აღარ ეჩოთიერებოდა, როცა მოსამსახურეები ქალბატონობით იხსენებდნენ, ოჯახის თაობაზე ჰკითხავდნენ. კეთილი ადვილი შესაჩვევია ბატონობას რა დიდი ჭირი უნდა? სჯდოდე და სთოდე! ჯაგუს ჯიბე ნუშოს ნატვრის თვალი იყო: უყვარდა, და ნდოდა თავისი სასურველი ძვირფასი თვალივით ოქროში ცაესვა; თანაც უნდოდა გაელაღებინა ცოლი რადგან გრძნობდა, რომ ქალის გული ხურვალე ვერ იყო იმისთვის, მხოლოდ ნელ-თბილი იყო.

-აბა, ჩემო კარგო, მივდივარ და ხომ არას დამაბარებ , ხომ არა გინდა რა გამოგიგზავნო? -ჰკითხავდა ჯაგუ ცოლს გარიჟრაჟზე.

-რა უნდა ინდოდეს? არაფერი არ მინდა, მარტო გუშინ რომ მოსკოვიჩის მაღაზიაში მაგიდაზე დასადგმელი მარმარილოს საათი ვნახე, ის არ დაივიწყო, სენი ჭირიმე!

-კარგი, საყვარელო!

-რა არის, რომ ეგრე ადრე დგები? მეც მაღვიძებ...

-არ შეიძლება, საყვარელო! შენ არ იცნობ ხალხს: თუ მეთითონ არ ადევნე თვალი ყველფერს, თუ ფეხდაფეხ არ მივყევი, ერთ დღეზე გააქრობენ ჩემ ვაჭრობას.

-საწყალო ჯაგუ! რამდენს შრომობ!-ეტყოდა ქალი და მოხვევდა კისერზე მკლავებს. ჯაგუ დნებოდა ქალის ალერსზე.

ქმრის წასვლის შემდეგ ნუშო ჩაჰკეტავდა საწოლის კარს და ტკბილ ძილს მიეცემოდა. ბევრჯელ თიტქმის შუადღემდე ეძინა. მსახურები ფეხაკრეფით დადიოდნენ. მაინცდამაინც არც თუ საჭირო იყო ქალბატონი შეეწუხებინათ რისთვისმე: სარისტა წინათვე იყო მიცემული ჯაგუსაგან, ხშირად ჯაგუ შინ არ იყო სადილად; ვაჭრობაში ერთობოდა, ვერ იცლიდა, თუმცა შინ ახალი სული ეგულებოდა. ქალი ან მარტო სადილობდა. ან დედა ჰყავდა, ან რომელსამე ნაცნობ ქალს მიიწვევდა. ჯაგუ გვიან ათავებდა საქმეს და მაშინვე შინისკენ ეშურებოდა, ცოლის ნახვაზე დღიური ზრუნვა ავიწყდებოდა, გულს ვარდი ეფინებოდა. ნუშომ იცოდა ქმრის მოსვლის დრო; სუფთად ცაცმული მიეგებებოდა, გაუღიმებდა ნათელს მიჰფენდა.

ახლა ჯაგუს ოთახები შვენივრად იყო სულ ახალი ავეჯით მოწყობილი. ნუშოს დედაკაცობაში ენახა ოთახების მოწყობუილება, თითონაც იმ გემოვნებაზე აწყობდა სადგომს. ერთი იყო ცუდი, რომ ჯაგუს სადგომს სასტუმრო დარბაზი არა ჰქონდა: სახლის მეორე ნახევრში მდგმური იდგა და დარბაზი იმას ეჭირა; აქეთ მხარეს მარტო მომცრო ოთახები იყო. ჯერ მანამ დიასახლისი ორ-სამ ქალს იწვევდა სადილად ან ჩაიზედ, სასტუმროდ მომზადებული ოთახი ჰყოფნიდა. ქალს უდარბაზობა არ მოსწონდა. მართლა და როდემდინ უნდა ყოფილიყო ის ასე შევიწროვებული?!

იქნება ერთი ათიოდე ადამიანი გვინდა მოვიწვიოთ, იქნება მინდა, ერთხელ მაინც პატივი ვცე ქალებს. კნეინა ელისაბედმა რომ ნახოს, დარბაზი არა გვაქვს, ტუჩს აგვიკრავს: გაუნათლებელი არიან, სიმდიდრის მოხმარება არ იციანო, ფიქრობდა ნუშო. ქმრისთვის კი ჯერ პირდაპირ არაფერი გაემჟღავნებინა, თუმცა ყოველი სემთხვევით სარგებლობდა სასტუმროს ვიწროობა ეგრძნობინებინა მისთვის.

თვის ოცი იყო. ჯაგუს მდგმური სამხედრო პირი ამ დღეს შეგზავნიდა ხოლმე ოთხ თუმანს, რომელსაც იხდიდა ყოველთვე სადგომში. ეს დღე ამოირჩია ნუშომ თავის სურვილის შესასრულებლად. წინა დღითვე ტკბილი არშიყო დაუწყო ქმარ: ისეთ სანდომი ნუშო, თუ კი მოისურვებდა, ეშხით კაცს გააგიჟებდა. ქმარს თავბრუ დაასხა. დილით თითონაც ქამრთან ერთად ადგა და თავისი ხელით გაუკეთა ჩაი. ხალვათი სადილო კაბქალი ტანზე ეხვეოდა მიხვრა-მოხვრის დროს და ცხადად სახავდა ნაპატივებელ სხეულს, მარცხენა მკლავზე მარგალიტებით შემკული და ძეწკ-ჯინჯილებით მორთული ოქროს სამაჯური ეკეთა. ამ სამაჯურს ქალი არასოდეს არ იშორებდა მკლავიდან. ჯაგუ ტრფობით მთვრალი წავიდა საქმეზე; ღიღინებდა: ეგონა გაათბო ცოლის გული. ქმარი რომ დაბრუნდა, ცოლი ისევ მხიარული დაუხვდა, თავს ევლებოდა, უსურვაზივით ეწმახნებოდა. ჯაგუ სადილათ იჯდა, როცა შევიდა სამხედროს მსახური და მიართვა ფული. სახლის პატრონმა მოაწერა ქალადზე ხელი და დიასახლისს გადასცა ფული. ნუშო ამას ელოდა. ფული იქით მიაგდო, ტუჩები დაიბურცა, პირი შეიბრუნა. შეწუხდა ქმარი, ჰკითხა ცოლს უსიამოვნობის მიზეზი. ქალი ხმას არ იღებდა, იბუტებოდა. თან კი გვერდზე გადახედავდა ქმარს: იცოდა, რა ძალიან უხდებოა გაბუტვა, იცოდა, რა სიამეს მიაგებდა ვაჟკაცს, როს მიბჟუტვით ნისლით გამოუდარებდა მას. ბოლოს შეჰბუზღუნა:

-ნეტავ ვიცოდე, რით არის ჩვენზე მეტი ე გლობჟაია თუ ვილაც, სიმდიდრით თუ გვარიშვილობით, რომ ჩვენს სახლში უკეთესი ოთახები უწირავს და თვეში რარაც ოთხ თუმანს იძლევა?!

მდგმური ჯერ ერთი ჯაგუს მუშტარი იყო და გულუხვი მუშტარიც, მეორე ძალიან კარგ ფასს იძლეოდა სადგომში და თანაც ნაღდი კაცი იყო: ქირას არასდროს არ აგვიანებდა. ჯაგუს სახლი კი ჯერ ისევ ბანკში იყო დაგირავებული: საჯარო ვაჭრობით რომ დაინარჩუნა ეს სახლი ბანკის ვალი თავისზე გამოიტნა. სახლის ქირა ამ ვალის გადასახდათ ჰყოფნიდა, პატრონსაც ბინას აძლეოდა მამული. ამიტომ ჯაგუს ძალიან ემძიმა მდგმურზე ასეთი ლაპარაკი, მით უფრო, რომ მიხვდა ამ საუბრის მიზანს და ისიც იცოდა, რომ უთუოდ აასრულებდა ცოლის სურვილს. მაინც ცადა შეეყებინა საქმე.

-ქალო, განა არა გვყოფნის ჩვენი ოთახები?

-გყოფნის! გვყოფნის! შენ გინდა მოლოზანივით კარჩაკეტილში მაცხოვრო! აბა, თუ კაცი ხარ, ერთ ათიოდე სტუმარს მიიღებ... ...

-ეგ კაცი კარგ ქირას იძლევა, პატიოსანი ოჯახი აქვს, დიდი ხანია ამ სახლში ცხოვრებს, ძალიან პატივსა ვცემ და აბა როგორ დავითხოვო სახლიდან?

-მერე ვინ გეუბნება დაითხოვეო? ის აქეთ გადმოვიდეს და ჩენ აქით გადავიდეთ. მკველიანთ კი უნდა ჰქონდეთ ნაქირავებელ სახლში დარბაზი, ჩვენ კი ჩვენ სახლში არა...

-შენ რომ ამბობ, ეგრე არ მოხრბდება: თავს დამცირებულად ცათვლის და ეწყინება; სჯობია პირდაპირ დავითხოვოთ.

-დამცირებულადაო?! მაშ, ჩვენ დასამცირებელი ვყოფილვართ, რომ აქა ვცხოვრობთ... აღარ მინდა აქეთ ცხოვრება. იქით მინდა! ჩვენი სახლია და მინდა! -თქვა ქლმა და ქვითინი ამოუშვა.

ცრემლები დილის ნამივით გადმოეკიდნენ გრძელ წამწაებს, დაღარეს ვარდისფერი ლოყები, ღაპაღუპით დაიწყეს კალთაში დენა, ცრემლებმა... მტარვლის გული უნდა სდებოდა ჯაგუს მკერდში, რომ არ მორბილებულიყო. განა არა ღირდა ათას სახლად, მთელ დუნიად მარტო ის ნეტარება, რომ კოცნით ამოეშრო კაცს ეს ცრემლით სავსე თვალებიო?!

ჯერ სახლში არც კი შესულიყო დედა, როცა ქალი გადაეხვია და ახარა, სადგომს ვიცვლით, ჯაგუმ ჩემი სიტყვით მდგმურები დაითხოვა და ახლა მეორე მხარეს ვიცხოვრებთო. დედას არ ეამა ეს და უსაყვედურა:

-ჯერ ერთი წელიწადია, რაც ქმრის ხელში ხარ და ხელს კი უშლი მომგებ ვაჟკაცს! საქმე როდი უნდა დაუცარო, შვილო: ვაჭარი კაცისათვის დიდი რამ არის თვეში უკვდავთ ოთხი თუმანი. გაუფრთხილდი, შვილო, ოფლით მონაგარს ქარს ნუ მისცემ.

ნუსოს მიესმა დედის სიტყვები, მაგრამ ვერ მიხვდა. დედა რომ რიგებდა, ქალი იმის ფიქრს გაეტაცნა, როგორ მოვაწყო დარბაზიო, დედას ხან რასა ჰკითხავდა ამის შესახებ, ხან რასა.

ჯაგუს ოთახში ახლა უფრო ხშირად დაიწყო სტუმარმა სიარული. თავლი იყო და ბუზი ბაღდადიდან მოდიოდა. მოსდევდნენ ნაცნობები და ნაცნობების ნაცნობები. უმეტეს ნაწილად ქალები, ვაჟკაცებიც ერივნენ. ორგვარი სტუმარი ელტვოდა ნუშოს. თავის გარეთუბნელი ტოლ-ამხანაგი ნათესავებით და ნაამხანაგარი თავადისშვილის ქალები და იმათი საკადრისი სტუმრები. როცა ეს უკანასკნელები ჰყავდა მწვეულები, ნუშო მაშინ იყო გამოჩენაში; პირველები მალე მოიმწვანილა, მედიდურება დაიწყო იმათთან, ისე გამოდიოდა, თითქო იმისთვის პატიჟობდა მათ, რომ თავისი ქონება და მდიდრული ცხოვრება ეჩვენებინა, თავისი უპირატესობა ეგრძინებინა. მაღტალია, დღიური ლუკმისათვის მშრომელი ხალხი იყო გარეთუბნელები, მაგრამ სიამაყე არ აკლდათ: იგრძნეს დამცირება და შემოეფანტნენ. სახლიც ისე ჰქონდა მოყობილი კორსაიას, რომ დაბალი ხალხისათვის მდიდრული იყო, შეუფერებელი. მაღალი საზოგადოებაც არ ეტანებოდა ჯაგუს სახლს. ბოლოს და ბოლოს გმოირკვა ჯაგუს მიმდევარი ხალხი: ესენი ივნენ ვაჭრები თავიანთ ოჯახობით, მცირე ჯამაგირიანი მოხელეებით და დაქვეითებული კეთილსობილობა, რომლებსაც ჯაგუს სახლის სიუხვე იზიდავდა. კეთილშობილებში ვერ რაცხდა თავს ხსირი სტუმარი რეზიკო, რომელიც არცა ჰხნავდა, არცა თესავდა, ცხოვრებდა კი სიამით, როგორც ფრინველი ცისა შემოდგომაზე.

ჯაგუს ვაჭრობა უწინდებულად იყო გაჩაღებული ფული ჩეჩქივით მოდიოდა. და ამისთანა ხარჯები იმის ქონებას ვერ შეარყევდა, თუმცა შეუყენებელ ზრდას უშლიდა.; ეს კი იყო ძნელი, ომ საჭიროება მოითხოვდა მასპინძელს თითონაც მიეღო მონაწილეობა სექცევებში; ეს კი არ უხდებოდა ვაჭრობას, რომელიც მთლად ჯაგუს მხნეობაზედ და სიმარჯვეზე იყო აგებული. მიიწურა სემოდგომა და ეს უხერხულობაც მომორდა: ზამთარში მუშტარი კლებულობდა, ბევრი ტავისუფალი დრო რჩებოდა.

ჯაგუ მდიდრულ ცხოვრების ტბაში სეცურდა და განცხრომის ტალღებს მიენდო: საბძელი ეწოდა და ხელს ითბობდა.

12

ჯაბუ ბედნიერად ჩათვლიდა ტავს, რო ერთი დარდი არა ქონოდა რა: აგერ მეოპრე წელიწადი ტავდება, რაც ჯვარი დაიწერა სვილი კი არა ჰყავდა.

-ცოლი უშვილო გამოდგა. ჩემ სემდეგ ჩემი სახელი გაჰქრება, კერა ჩანელდება. რად მინდა სიმდიდრე ან რისთვის ვიწვალ? ვემ შემდეგ ვინ იცის ვინ გაიხარებს ჩემ მონაგარზეო,-წუხტა ჯაგუ.

ხალხის აზრის წინ ხომ მთლად გატახსირებულია ესეთი მეუღლეობა: ერის თვით არსებობისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ბრძოლაში გამრავლებას და გაძლიერებას დიდი ადგილი უჭირავს. ესეთი სეხედულება მეუღლეობაზე ყველა მქრისაგან ტარიელობასა თხოულობს.

ჯაგუ ამ სიმალლეს ვერ შესწვდომოდა, ტარიელი არ იყო ის და თუმცა მეტად უყვარდა ცოლი, მაინც ცხოვრების მხრიდან უყურებდა საქმეს: გულით უნდოდა ჩამომავალი ჰყოლოდა. ჩქარობდა ჯაგუ, ტყუილად ემდურებოდა ყისმათს: ბედის ჩარხი ჯერ იმისკენ ბრუნავდა. აგერ რამდენიმე ხანი იყო ნუსო ნიშნებს ატყობდა, რომ დედობა მოელოდა; ქმარს კი ჯერ არას ეუბნებოდა. ეტყობოდა კი ქალს ცვლილება: ხან სახე უღიმოდა, ხან მოუსვენრობა ემჩნეოდა,; თვალეები თითქო უფრო კილოიანი, ბუნდოვანი და ნამიანი გაუხდნენ. საიდუმლო გამომეტყველება მიიღეს. ცოლი უფრო ეალერსებოდა ქმარს. ჯაგუ ატყობდა აღელვებას უთუოდ რამდენიმე დიდი ხარჯი მოუნდომებია და მეხატრებაო, გაიფიქრა. ჩაეკითხა. ქალი დარცხვენით მიუახლოვდა ქმარს, მიეკრა და ყურში ჩასჩურჩულა თავის საიდუმლო. კორსაია სიხარულით ცას ეწია, გულში ჩაიკრა. ამის შემდეგ ნუშო ნამდვილი სალოცავი გახდა თავისი ქმრისა.

რაც ხანი გადიოდა, იმდენაც ქალს სიზარმაცე ემატებოდა, უცნაური სურვილები ეშლებოდა. ექიმი და ბებია გნუწყვეტილივ ადევნებდნენ თვალს. ქალი სამზადისმა გაიტაცა. რა საცვალი, რა საურები, რა პაწია საბნები, პერანგები, არაღჩინები, სახვევები, სულ რბილი და ძვირფასი, წმინდა არსიებით და ბაბთებით მორთული.

-იყიდე, საყვარელო მოამზადე! დეე ყველაფერი იყოს სახლსი,-ეუბნებოდა ჯაგუ, რადგან ხედავდა ეს ფანცი ფუცი ართობდა ქალს.

რაც უფრო დრო იწურებოდა, იმდენი აგზნებდებოდა ქალი. ნუშო ბოროტი ადამიანი არ იყო ბუნებით, მხოლოდ ალქატი ხასიათი დაიჭირა და მედიდურობით იყო გატაცებული. ეხლა კი გააშრდა. მსახურები დალალულები იყვნენ იმის ტუქსვით, ჯაგუმ იცოდა, რომ ყველა ეს დროებითი მოვლენა იყო და ითმენდა, ან როგორმე იგერებდა ცოლს.

13

დადგა ჟამი. ექიმი და ბებია თავს ევლებოდნენ მშობიარეს, სასიკვდილოთ გაჭირებულ ცხოველის ხრიალსა ჰგვანდა კივილი. პატივსადენი კი იყო ეს ხრიალი: ის იყო ნიშანი ტანჯვისა მეორე არსების გულისათვის. საიდუმლო სრულდებოდა-ცხოვრება იბადებოდა. არარაობიდან არსების წარმოშობა ტკივილითა ხდება არსების არარაობსადმი მიქცევაც ტანჯვითა ხდება.

ჯაგუს ბებია ვაჟიანობა ახარა. ქალის ტანჯვაზე ვაჟკაცს ცრემლი მოსვლოდა. თვალცრემლიანმა სიხარულით ბებერი გადაკოცნა.

ზუბუთი აზდა ყმაწვილისა მეორედ შობაა, მისი განხორციელება. ხოლოდ ის დედა არის ნამდვილი დედა, რომელმაც არმც თუ შვა, არამედ თავისი არსებითვე აზარდა შვილი.

ჯაგუმ საგანგებო მიმა მოჰგვარა ტავის კოწიას, თუმცა ეწყინა, რომ დედამ უღალატა ჩვილს.

14

ცოლის ლოგინობაზე, მეობაში, ნათლობაში, რომელიც ქორწილს არ ჩამოუარდებოდა, დიდი ხარჯი მოუვიდა ჯაგუს. თითონ ოჯახმაც განზე გაიწია, მეტს თხოულობდა: ბავშვის აღმზრდელ-მომვლელელების შენახვის გარდა, ათასი წვრილმანი ხარჯი მოემატა; მსახურები ხან აფთიაქში გარბოდნენ, ხან ექიმთან ხან მოსარეცხესთან, ხან ბაზარში; ხომ წვრილი ხარჯი იყო, მაგრამ კარგა ფული ქუჩდებოდა. ამას გარდა ათასი ნივთი იყო საჭირო: სახლი ახლად ეწყობოდა, ძველად დარჩენილი არაფერი იყო; მართალია, ჯვარისწერისათვის რომ ემზადებოდა, სახლი მოაწყო ჯაგუმ, მაგრამ მოაწყო სუბუქად, რამდენადაც საჭირო იყო ორი ადამიანისათვის. ახლა სხვა იყო, ოჯახმა მდიდრულად დაიწყო ცხოვრება, მიმსვლელ-მომსვლელისათვის კარი ღია ჰქონდათ, ცდილობდნენ უკეთესებს უკან არ ჩამორჩენოდნენ და ბევრი რამე იყო საჭირო ამის დასაკმაყოფილებლად.

იმან უფრო გააჭირა საქმე, რომ თითონ ნუშო შეეჩვია ბაზარს. შინ იმას ახლაც უწინდებურად არაფერი საქმე არა ჰქონდა: ყმაწვილს სხვები უვლიდნენ და ჰკვებავდნენ. სანამ პირს არ დაბანდნენ და არ მორთავდნენ, არც კი უჩვენებდნენ დედას; ოჯახის მოვლა ხომ წინათაც არა ჰქონდა იმას მინდობილი. სხვა რაღა დარჩენოდა, რომ ლეში არ ენებივრებინა? გორავდა ლოგინში, მერე მოირთვებოდა და რადგან უსაქმობით საათი საუკუნედ ეჩვენებოდა, დროს გასატარებელ ელტვოდა. ბაზარიც გასართობ ადგილად გაიხადა, მით უფრო, რომ ეს გართობა საქმეს ჰგვანდა: დიასახლისი იყო და ოჯახისათვის ვაჭრობდა, ზრუნავდა, მოიკაზმებოდა, ჩაიდებდა ფულით გატენილ ქისას და მიაქროლებდა ეტლს ქარვასლისაკენ. ძვირფასი ნივთები, ფარჩეულობა, კობტა რამ ავეჯი - ყველაფერი, რაც კი თვალს მიიტაცებდა, შინ უნდა გაეგზავნა. ნეტა ვაჭრობის შნო მაინც ჰქონოდა! დღეს ნაყიდი საქონელი ხვალ გასაყიდი ხდებოდა. დალალობაში დახელოვნებული პელაგო მიცემული ფასის მეათედსაც ძლივს უბრუნებდა.

ბაზარში სიარული თანაც იმის თავმოყვარეობას აკმაყოფილებდა: ქარვასლაში თუ სხვა მაღაზიებში ბევრი ვაჭრიბდა გარეთუბნელი. იმათ იცოდნენ ნუშოს ქისაც, იმის ვაჭრობის უნარიც და ცდილობდნენ თავიანთ მაღაზიაში მიეწვიათ. როცა დაინახავდნენ მიმავალ ქალს, გამოეგეგებოდნენ დუქნიდან და მოწიწებით ეპყრობოდნენ, ნავაჭრს კობტად გაუხვევდნენ და ეტლში ჩაულაგებდნენ; თუ საჭირო იყო, ბიჭს სახლში აახლებდნენ. იმ ღამესვე მთელმა გარეთუბანმა იცოდა რამდენი დახარჯა ქალმა, როგორი პატივით მოექცნენ იმას თვითონ ალები, რა ტანისამოსი ეცვა. ნუშომ ეს კარგად იცოდა და კმაყოფილი იყო, ჩემ ბედს შენატრიანო, და ფიქრობდა. ჯაგუს სახლს კი აკლდებოდა და მგელს მიჰქონდა თუ მგილფერ ძაღლს, ეს იმისთვის ერთი იყო.

გარეთუბანში ხშირად ლაპარაკობდნენ ნუშოზე. მაგდა ყურს ადევნებდა ამ ლაპარაკს, ხედავდა, რომ იმისი ქალი ფულს აბნევდა და არ იამებოდა, სწყინდა გულში, თუმცა წყენას არ იმჩნევდა დასხვებთან საუბრის დროს ბოდიშსაც ხდიდა ქალს:

- ახალი ოჯახია, ყველაფერი ახლად არის შესაძენი; მაშ რა ქნას რომ არ იყიდოს? ჩემს სიძეს რომ შეეძლოს თვითონ გაჰყვეს ბაზარში, თითონ აურჩიოს სავაჭრო, დიახ კარგი იქნებოდა, მაგრამ აბა იმას სადა სცალია? ვაჭრობას არ ელაღატება.

- ქალო, როცა ამისთანა ძვირფას ნივთს ყიდულობ, მარტო როდი უნდა ვაჭრობდე, - უსაყვედურებდა ხანდახან ქმარი.

- შენ რომ არა გცალიან! შენ სულ საქმეში ხარ გაბმული და აბა მე ვინ მიპატრონებს, ვინ წამომყვება?

- მერე რა საჩქარო იყო მაგის ყიდვა? მეტყობი; მეც დროს შევარჩევდი და ერთად წავიდოდით.

ქალი შემოეხვევოდა ქმარს კისერზე, ჩახედავდა თვალებში და ეტყოდა:

- გენანება ჩემთვის რაღაც რვა თუმანი?

- ქალო, კი არ მენანება, მაგრამ ჯავრი მომდის, რომ გატყუებენ. ესეც იქით იყოს: მეც ჩემი მარჯვენითა ვცხოვრობ. მეშინიან ბედმა არ გვიღალატოს. ხედავ ჩვენ ნათლიას, როგორ ცხოვრობს შინ? უბრალო ხელოსნის სახლი გეგონება; ვაჭრობა კი ჩემზე ნაკლები არა აქვთ.

- ეგრე რომ ამბობ, ნახე იმ დღეს ნათლიის ცოლს რა ფარული ეგდო გულზე? აბა რომელი მაქვს იმისთანა ძვირფასი ნივთი?

- კი, საყვარელო, მაგათზე რომ თვალმარგალიტა ხედავ, მაგათ რომ ავეჯი და მოწყობილობა აქვთ, სულ ძველისძველია ეგ; მამა-პაპასვე აუშენებია ეგ ოჯახები, ეგენი მარტო ინახავენ და უმატებენ, ჩვენი საქმე კი სხვა არის: ჩვენ ყველაფერს ახლად ვიძენთ, ყველაფერი ჩვენი მარჯვენით უნდა ვიშოვოთ.

- როგორც გატყობ, ბოლოს შენ კატასაც აწონამ. აღარ გიყვარვარ... იტყოდა ქალი და ცრემლებს გადმოაფრქვევდა.

მოდო და შენ ატირე ანგელოზი ფარებისათვის.

მსახურებმა შენიშნეს ქალბატონის ხასიათი და იმისი მნიშვნელობა ოჯახში და ცდილობდნენ ეამებინათ იმისთვის, საკუთრად იმისთვის, სახლს კი ცარცვა დაუწყეს.

ჯაგუს ვაჭრობას და იმის ოჯახის ვითარებას ძალიან ადევნებდნენ თვაკლს ის ვაჭრები, რომლებსაც იმასთან ჰქონდათ აღებ-მიცემა, ან რომლებსაც თავიანთ სასარგებლოდ მიაჩნდათ იმისი დამხობა. ესენი დარწმუნებული იყვნენ, რომ ამგვარი ცხოვრება ცუდ ზეგავლენას იქონიებდა ჯაგუს შემძლებაზე და აღებ-მიცემაზე; პირველნი ეჭვით უყურებდნენ იმას რადგან ეშინოდათ, ჩვენი არა დაიტანოს რაო, მეორენი სიამოვნებით ხელებს იფშვეტდნენ, რადგან იცოდნენ, «სალხინოს» დაქცევა იმათ აშენებას მოასწავებდა. ჯაგუს კარაგად ესმოდა ეს ყველაფერი.

დადგა ზაფხული. ეს ის დრო იყო, როცა კორსაიას ვაჭრობა ცხოველდებოდა, ერთი ათასად მატულობდა სწორედ ამ დროს დახვდა ჯაგუ მოუმზადებელი. ფული ჰქონდა გადარჩენილი, აპირებდა იმ ბაღის შესყიდვას, საცა ვაჭრობა ჰქონდა გამართული. ახლა ამისთანა ფიქრების დრო აღარ იყო. ამ ფულიდან ნაწილი კიდევ დაეხარჯა. გადაწყვიტა, რომ ეს ფული «სალხინოს» უკეთესად მოწყობაზე ვაჭრობის გაძლიერებაზე მოეხმარა. ჯერ მთლად გაუსწორდა ყველას, ვისგანაც კი რამე საქონელი წამოიღო სავაჭროდ და ამით დიდი ნდობა დაიმსახურა სოფდაგრებისაგან. მერე გააშვენიერა და სწორედ რო კეკლუცად მოაწყო თავისი ბაღი. მომდერლები, მემუსიკეები, მუშაითები წინათვე დაიქირავა მსახურები გაამრავლა და უკეთესები

შეავსო; მეეტლებს გაურიგდა მუშტარი ნაკლებ ფასად მიეყვანათ იმასთან და თითო გზა მუშტარზე გადაკვეთილი საჩუქარი დაუნიშნა. ვინ იცის, კიდევ რამდენი ხერხი იხმარა! გაზეთებში ახლად დაბეჭდა განცხადებები ქალაქი ალაპარაკა. ჯერ ხომ გაზაფხული ახალი დამდგარი იყო და «სალხინოს მაშინვე მიაწყდა ხალხი. ჯაგუმ გამოცდილი თვალით აწონ-დაწონა საქმე და წელში გაიმართა, გამხიარულდა; დარწმუნდა, რომ ერთი ზაფხულის მოგებასთან მთელი წასული ხარჯები უბრალო ხარჯად გამოჩნდებოდა. ეს ნამდვილ ასეც მოხდებოდა, თუ ბედს არ ემტყუნა მისთვის.

მთაწმინდობა დღე დაღამდა. კარგი დარი იდგა. ქუჩები ამშრალიყო, ქუჩის ტალახი კი ჯერ მტვრად არ ადენილიყო. ბუნებას გაეღვიძნა, გამოფხიზლებულიყო. თბილისის მიდამო ჯერ არ იყო გატუსული და უდაბნოდ გადაქცეული, ისევ მწვანე ემოსა; ქუჩების დაჩაგრული ხეებისათვის სიცხეს ჯერ ფოთლები არ შეეხრუკა, მტვერს ჯერ არ დაეტვირთა ისინი. მთვარე კაშკაშებდა. თუმცა ღამე იყო, მაგრამ ქუჩებში ისევ ირეოდა ხალხი. სადღესასწაულოდ ეცვათ, დღეს მამადავითში ელოცათ.

მთაწმინდის მეიდანის პირში, ჯაგუს სახლის წინ, შექუჩებულიყო ხალხი და ფანჯრებს შეყურებდა. სახლიდან საკრავებითა და დაირის ხმა გამოისმოდა: ჯაგუს დიდი მეჯლიში ჰქონდა. სტუმრები გულით მხიარულობდნენ: მასპინძლის სიუხვეს და გულღიავობას გაეხალისებინა ისინი. ახლა კორსაიას ამისთანა ხარჯებისა აღარ ეშინოდა, რადგან ფული ნიაღვარივით მოუდიოდა. ჭალითა და სანთლებით განათებულ დარბაზში ცეკვა გაემართად. მძიმედ მორთული ქალ-რძალი სიმშვენიერეში ერთმანეთს ეჯიბრებოდა. რეზიკო მოთავობდა ცეკვას. რუსთველურად წვერშეკვერცხილი, ულვამ ფაქიზად გადაგრეხილი, თმა ხუჭუჭა თავადი ქალები გართობასა ცდილობდა. ყურთმაჯებ გადაყრილი, ბანომ ხავერდის მოკლე ახალუხში, ხავერდის განიერ შარვალში, რომლის ტოტები კოხტა წაღებში ჰქონდა ჩატანილი, შექედილი ქამარ-ხანჯლით მორთული, ტანადი ყველასა ხიბლავდა თავის ცეკვით. ფეხების ისე ცქვიტად ნძრევისა და მოხდენილი თამაშობისათვის მარტო ვარჯიშობა არა კმარა, ამას ნიჭი უნდა, განსაკუთრებითი აგებულობა. ფარჩა ხავერდში ჩამჯდარი, თვალ-მარგალიტით მორთული დიასახლისი სურვილებს აღვიძებდა. იმის შემხედავ ვაჟკაცებს ჭკუა დაბნეოდათ და ეშხით მთვრალეები ცოლებს თვალს არიდებდნენ. თავმომწონე ჯაგუ სიამით და სიამაყით ახტაცებაში მოსულიყო, ფრთები შესხმოდა, ვარსკვალავებს ეთამაშებოდა.

შეწყდა ლეკური. სული მოითქვეს საზანდრებმა. ჩამოატარეს ტაბაკი ხილეულ-ტკბილეულობით, მათრობ-მაგრილებელი სასმელებით. გაიღო კარები და ძიძა ბაბთებით და ნაზ არშიებით მორთული ბავშვი შემოიყვანა. დედა მიეგება, ხელში აიყვანა და ჩაჰკოცნა. სტუმრები გარს შემოეხვივნენ, ყმაწვილს ჰკოცნიდნენ უალერსებდნენ, ესაყვარლებოდნენ. პატარას მოსწონდა დართული ხალხი, ათვალეირებდ, უცინოდა, ხელებს აწვდიდა. დედა ახტაცებაში მოვიდა, ასწია ყმაწვილი მაღლა და ჰაერში შეათამაშა გაჩაღებული ხომლისაკენ. ბავშვს ესიამოვნა, კუჭკუჭი დაიწყო. გახალისებულმა დედამ კიდევ შეაგდო ყმაწვილი. ყმაწვილის შეთამაშების დროს უეცრად მარჯვენა ხელის თითები სამაჯურის ჯინჯილებში გაება, ბავშვი დაეშო, დედამ სტაცა მეორე ხელი, მაგრამ ვეღარ შეიმაგრა: ბავშვი თავდაყირა დაენტხა იატაკს. გაისმა საზარელი კვილი, აიტაცეს პატარა. ძლივსღა ფეთქავდა. ქალი ხელებ გაწვდილი გაშეშდა. ღიმილი ტუჩებზე შეჰყინოდა, სახე კი დაჰპრანჭოდა. ჯაგუმ მოჰკრა თვალი გასისხლიანებულ პატარს იგრძნო უბედურება, გადაფრინდა ვეფხვივით და ხანჯალ მოწვდილი შეჩერდა მკვლელტან, მაგრამ მარჯვენა დაუდუმდა, ხანჯალი დაუშვა; გაბეჩავებული სატრფო დაინახა. მაგდას გული სესწუხებოდა, პირს

სისხლი მოსდგომოდა; აბრუნებდნენ, ეს ყველა ერთი თვალის დახამხამებაზე მოხდა, ელვასავით სწრაფად.

16

შავი დღე გაუთენდა სახლობას: ექიმების ცდამ ამაოდ ჩიარა, ყმაწვილი გათავდა. ცოლ-ქმარი გონს ვერ მოსულიყვნენ ერთმანეთს ერიდებოდნენ, თვალი ვერ გაესწორებინათ ერთურთისათვის.

ქალი ხედავდა, რომ დიდი უბედურობა დაატყდა თავს, რო ამ უბედურობის მიზეზი თითონ იყო, თითონ ნუშო, ის ნუშო, რომელსაც აქამდინ ყველა შეჰნატროდა. ახლა ვინ იცის რამდენი უგებს ნიშანს, რამდენის გული ილიმება ბოროტი სიამით; ვინ იცის, რა თვალთ უყურებენ ახლა იმას.

-ყველას ესმის, რომ უბედური შემთხვევა იყო, მოულოდნელი, მაგრამ ჯიბრით ყველა მე დამგობს, დამკრულავს, მკვლელად გამომიყვანს, შვილის მკვლელად ვიცი, რა ბოროტებიც არიან!-ფიქრობდა ქალი და ჯავრით გული უკვნესოდა, უნდოდა ამ წუთებში კბილით დაეგლიჯა ისინი, ის მეჭორეები, საგანგაშოდ რომ ხდიან, აზვიადებენ ყველაფერს.

-მაგრამ ეს საცოსდაობა განა თითონვე დიდი და საშინელი არ არის, რაღა გაზვიადება უნდა! ან როგორღა შეიძლება იმისი გაზვიადება?! -ეჭურჩულეობდა იდუმალი ხმა და ქალს ბოღმა ყელში ებჯინებოდა, სუნთქვას უხუთავდა. უნდოდა ჰყოლიყო ვინმე ნუგეშის მცემელი, უნდოდა ვისმე უბეში დაემლა ტანჯული თავი და ვრემლით ჩამოებანა გულის ჟანგი, მაგრამ გვერდს არავინ ჰყავდა ისეთი. ცრემლი თვალეზე ამრებოდა; ცრემლის ნამები ცეცხლის ალად გადაქცეულიყვნენ და გენიას უკიდებდნენ ისეთს დადაგულ გულს.

გამწარებული დედა ცდილობდა დაეხატა გონებაში თავისი პატარა, მაგრამ ვერ წარმოედგინა მკაფიოდ: არც იმისი სახე ახსოვდა ნათლად, არც თვალეები, არც ხმა; ვერ წარმოედგინა ის ვერც მძინარე, ვერ გამოლვიძების დროს, ვერც წოპლნაში. კარგად მყოფი კოწია ნისლით იყო მოცული იმის გონებაში. მაგრამ ნათლად, საშინლად ნათლად იდგენდა დედა თავის შვილს იმწუთს, როცა ყმაწვილი სისხლში გაბასრული აიტაცეს იატაკიდან და პატარამ ტანჯული ტვალეები დედისკენ გადაატრიალა, თითქო უსაყვედურებდა, რად მომისპე ნორჩი სიცოცხლეო.

ქალი მოსვენებას ვერსად პოულობდა, იტანჯებოდა, ბრაზდებოდა, იქმდის ბოროტდებოდა, რომპაწაწას მტრულად უყურებდა, იმის გაჩენის დღესა წყევლიდა, თითქო გაფრენილი ანგელოზი რამეში ყოფილიყო დამნაშავე.

-რომ არ გამჩენოდა, ეს უბედურობა არ დამემ, ართებოდა!-გაივლებდა გულის გამწარებული.

ულმობელმა ცხოვრებამ შეანათა ქალს თავისი სისხლმორეული თვალეები და თავზარი დასცა.

ჯაგუს ვერ შეეთვისებინა ის აზრი, რომ კოწია აღარა ჰყავდა, რომ პაწაწა გვრიტს დაეტოვებინა ქვეყანაზე თავისი ბუდე და ზეცას გაფრენილიყო. არა ზსჯეროდა ეს. ეგონა აგერ გავიგონებ ყმაწვილის ჭუჭქუქს, აგერ გამოიყვანს ძიძა და მომგვრისო. დაავიწყდებოდა ოთაში ფეხაკრეფით შედიოდა, ბავშვს ძილი არ შევეფრთხოო. გაახსენდებოდა ნამდვილი, წარმოუდგებოდა თვალწინ გასისხლიანებული პატარა და აღმური აუვიოდოდა სახეზე, ბრაზი მოერეოდა, უნებურად ხელი ხანჯლისკენ მიჰქონდა, ტვინამღვრეულს უნდოდა მკერდიო გაეპო ამ უბედურობის თავხედი მომქმედისათვის, მაგრამ შეხედავდა თავის ნუშოს, თან თითქო გაცეცხულს, თან

სევდიან ნუშოს, დაინახავდა როგორ დაბეჩავებულებო, როგორ დაჩაგრულიყო ეს თავმომწონე შვენება- და გული უკვდებოდა.

-ამ საწყლისა რა ბრალი? უბედური შემთხვევა იყო, უცაბედად დატრუიალდა საცოდაობა. რა ნაირად იტანჯება! გაფრთხილება უნდა თუ არა, კაცს რომ წყალში წალდი ჩაუვარდა და ცულიც ზედ მიაყოლა, ისე მომივიდა. საწყალი! პირდაპირ ვერ შემოუხედიდა... -გაიფიქრებდა ჯაგუ და უნდოდა ნუგეში ეცა მეუღლისათვის, უნდოდა მოხვევნოდა. მიუახლოვდებოდა, მაგრამ სატრფოს მაგივრად თავის კოწიას მკველელს დაინახავდა და საალერსო სიტყვები პირზე ეყინებოდა, ნუგეშის საცემლად მომზადებული გული სიმწრით ინთებოდა, მოსახვევნად გაშლილი ხელი სამტროდ შეხებას ლამობდა.

იტანჯებოდნენ ცოლ-ქმარი სევდის გამქარვებელი კი არავინა ჰყავდათ. მაგდა რომ ფეხზე ყოფილიყო იქნება ცოტათი მაინც დაეშუშნა იმათი წყლული, იქნება სხვა რამ საგნისათვის მიექცია იმათი აზრი, მაგრამ მაგდას თითონვე გასჭირებოდა თავი: უკანასკნელ დღეში იყო. ხომ სულ ავადმყოფობდა, ზერა ქვერად იყო, იმ გაზაფხულზე ძალიან დარია ხელი სენმა; უბედური შემთხვევის შემდეგ ხომ მთლად მოწყდა, ლოგინად ჩავარდა. მალე გარდაიცვალა მაგდა და დაზარალებული ქალ-სიძე უფრო დააღონა.

17

გავიდა დრო. არ იქნა ვერ დამშვიდდა ჯაგუ. მარტალია დადიოდა «სალხინოში» სარისტას აძლევადა, მაგრამ სადრა იყო წინანდელი ხალისი და სიმარჯვე?! უნდოდ გაკეტებულ საქმეს ემხი აკლდა. მუშტარმა იგრძნო და შეკრთა, ვაჭრობა შემძიმდა: პატრონი წინანდებურად ახალ-ახალი ფანდიტ ფრთებს არ უსხამდა იმას. ხანდისხან ჩაფიქრდებოდა ჯაგუ და ისე იყო გარინდებული რამდენსამე ხანს; არ ესმოდა რა ხდებოდა გარშემო., სიტყვას ეუბნებოდნენ, სიტყვის ძალა ვერ შეეგნო. დაეხმო გული. დარდიან გულზე თავის მხარის ნახვა მოუწდა.

- ქალო, ძალიან მინდა იმერეთის ნახვა. რამდენი ხანია არა ვყოფილვარ! გული რომ ესე საშინლად მაქვს დახურული, იქნება მგზავრობამ გამარტოს, გულის ვარამი გამიფანტოს,- ეუბნებოდა ერთ ღამეს ჯაგუ თავის ცოლს.

- წადი, გული გადააყოლე; მალე კი დაბრუნდი: მეშინიან უშენოდ ამ სახლში.

-შენც წაგიყვანდი, მაგრამ სახლს აიკლებენ, ვაჭრობას დამიმხოვენ, თუ შენ მაინც აქ არა ხარ. ხომ იცი, როგორ შურით გვიყურებენ.

- მერმე მე რა ვიცი მაგეებისა?! - ჰკითხა ცოლმა და გაეღიმა.

- კი, მაგრამ ისე მოვაწყობ საქმეს, რომ თუ ცოტა ყურადღებას მაინც შეიძლებ, ისიც კმარა. დავამზადებ ყველაფერს, ისე რომ მაინცდამაინც ბევრს არ შეგაწუხებენ; მხოლოდ თვალი გეჭიროს.»სალხინოდან» ყოველ დილით ანგარიშს ჩაგაბარებენ, ფულს რომ მოგიტვლიან, თან დავთარს მოიტანენ და ხელს მოაწერ, ამდენ-ამდენი მივიღე-თქო. თუ რამ სახარჯო დასჭირდებ, მიეცი და ბარათი ჩამოართვი მიცემულ ფულში. იქნება მომიგვიანდეს და ასე სჯობია.

ქალს გაეხარდა რომ ქმარი საქმეზე გამოელაპარაკა ამას, რომ სახლსა და ვაჭრობის საქმესაც კი ახარებდა. ალბად გული მოიუბრუნდაო, ფიქრობდა. დაასკვნა მხნედ მოჰკიდებოდა ყველაფერს, პირნათლად გამოსულიყო.

- შენ გენაცვალე, წერილს ნუ დამიძვირებ!- ეუბნებოდა ქალი ქმარს, რომ ემშვიდობებოდა.

ჯაგუ ხშირად ატყობინებდა ცოლს თავის ამბავს, წერილები გრძნობით იყვნენ ნაწერები; თითქო დამშვიდებულიყო, ბედს შეჰპრიგებოდა. ნუშომ მოიხედა, კაემანი შეუმსუბუქდა, ლამაზობასავე მიჰყო ხელი; გარეთაც გადაგა ფეხი. ახლა ქმარს მალე მოელოდა. უწინდებურად უდარდელად ცხოვრება უღიმოდა.

ჯერ ისევ დილა იყო. მზეს კი ახლავე გაეხურებინა ქალაქის მტვრიანი ქუჩები. მოხელები სამსახურებში მიემშურებოდნენ. გლებ რძით სავსე კოკები გადაეკიდა სახედარზე და «დილის რძე-ს» გაჰყვიროდა. გაიღო კარები, გამოვიდა ნუშო რკინის პატარა აივანზე, რომელიც გადმოჰკიდებოდა ქუჩას. განიერ კაბაში ბოზად დაწნული თმით, ოქრომკერდით მოქარგულ ფაჩურებში, ფურფუმებით მორთულ ფემტამალში დიასახლისად მოჩანდა დამკლავებული ქალი, მაგრამ ხელები, იაზმასავით წმინდა და ფიფქივით სპეტაკი ბუნცულა ხელები ჰღალატობდნენ, ყველას ატყობინებდნენ, რომიმათი პატრონი არ იყო საქმეს შეჩვეული.

ჩამოჰკრეს ზარი. ქალმა გადაიხედა, დეპემის დამტარებელი იყო; ჯაგუ მოდის და მოუწერია დავხვდე სადგურზეო, გაიფიქრა. მორთვეს დეპემა. გახსნა, ქაიკითხა, იწერებოდნენ: ჯაგუ მძიმედ ავად არის, დაუყონებლივ წამოდიო. ელდა ეცა. უთუოდ გათავებულა, ოჯახის ბურჯი დანგრეულაო, გაურბინა ელვასავით თავში. წყვილი შემოერტყა, ბნელი ლოდით დააწვა გულზე, სული შეეხუთა. ქალი გულშეწუხებული დაეცა ხალიჩაზე. შეიქმნა ჩოჩქოლი. მსახურებმა არ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს ნათლიასთან გაიქცნენ.

ნუშო და ნათლია მაშინვე შეუდგნენ საგზაო მზადებას, რადგან გადაწყვიტეს მეორე დილითვე წასულიყვნენ ქუთაისს. რაც ფული ჰქონდა შინ, სულ თან წაიღო. ქმარი სულთმებრძოლი დახვდა. ცოტახანს მოვიდა გონს, ჩაიკრა ქალის ხელი გულში, უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ენა აღარა ჰქონდა; რაღაცას ანიშნებდა, მაგრამ მისულეებმა ვერა გაიგეს რა. გარდაიცვალა.

მაპინძელმა აუხსნა: გუშინ ერთად ვიქეიფეთ დავბრუნდით შინ და სახსალამათი კაცი უეცრად წაიქცაო; რომ შემძიმდა გაცნობეთო. ზოგის სიტყვით ჯდომი მოსვლოდა, სხვები ექვიანად კითხულობდნენ, ფული ხომ არა ჰქონდაო. გასინჯეს და ფული არ აღმოაჩნდა, თუმცა თბილისიდან ბლომად წამოეღო. საათი და ვერცხლის ქამარ-ხანჯალიც კი აღარა ჰქონდა ზედ. ერთი კი მოიკითხეს ყველაფერი და თავი დაანებეს. რას იზამდნენ? დამარხეს, დაბრუნდნენ.

ქალი გონს ვერ მოსულიყო, ვერ გამორკვეულიყო. რაც მოხდა ყველაფერი სიზმარით ეჩვენებოდა. დადიოდა ოთახებში მარტოდ მარტო, უაზროდ, უმიზნოდ. ხარჯი წინანდებური იყო, უფრო დიდიც: მსახურებმა დაიუკაცურეს სახლი.

ვაჭრობას პატრონობა უნდოდა, მეტადრე იმისთანა ვაჭრობას, როგორც ჯაგუსა ჰქონდა, საცა ყველაფერი იმის გამჭრიახობაზე, შრომაზე და მოხერხებაზე იყო დამოკიდებული. უპატრონოდ ყველაფერი დაიქსაქსებოდა, როგორც ფარა უმწყემსოდ. მტრები მგელებივით გარს ეხვივნენ ჯაგუსაგან დაწყებულს და თავმობმულ საქმეს. არც თითინ ისინი დაინდობდნენ რასმე, ვინც «სალხინოში» ტრიალებდა, როცა უპატრონოდ დაინახავდნენ იმას. ამისათვის საჭირო იყო ვაჭრობა ხელად გათავებულიყო, «სალხინო» ალაგებულიყო, ანგარიში გაწმენდილიყო. ეს ყველაფერი კარგად ესმოდა ნათლიას, როგორც გამოცდილ ვაჭარს, და უნდოდა თავის ჩამოსვლადინ ყველაფერი ხელუხლებლად დარჩენილიყო. ეს იყო მიზეზი, რომ ქუთაისიდან მოიწერა, ჯაგუ

უკეთ არის, მალე ჩამოვალთო. ქალაქში რომ ჩამოვიდა, მაშინვე დაიბარა თავისტან რეზიკო.

- კაცო! ახლავე უნდა ავაღაგო «სალხინო», ანგარიში უნდა გავაკეთო და თუ რამ ნაღდი დარჩება, ქვრივს ჩავაბარო. სხვა მემკვიდრე ცხოვრებულს არავინა ჰყავს. კანონი რას ითხოვს ამისთანა შემთხვევაში, ის შენი საქმეა შენ უნდა მოახერხო ყველაფერი.

- ხელობა რა არი? ქალი ხომ თანახმაა. შენ ჩავაბაროს საქმე? - შეეკითხა რეზიკო ცოტა ფიქრის შემდეგ.

- ყველაფერზე თანახმაა; მაშ, ვისა სთხოვს, საქმე გამიკეთეო?!

- მოვახერხებ. ჯერ გარდაცვალებულის ქალაღდეები უნდა გაისინჯოს: უთუოდ ანდერძი იქნება იქ, ცოლს უანდერძებდა. საჭირო ქალაღდეები უნდა შედგეს და ქალმა ხელი უნდა მოაწეროს. ბევრი დევნა კი დასჭირდება.

- რა ვუყოთ, რომ გარჯა დაგჭირდება! მალე უნდა მოხერხდეს ყველაფერი, რომ ბოქაული მოვიყვანოთ და ავწეროთ. გასამრჯელოზე თუ ეჭვობ...

- რა პასუხია! რა გასამრჯელო მინდა. მაგრამ, ხომ იცი ვაჭრობის საქმე, იმ კაცს ათასგან ექნება ვალი; ზოგისაგან საქონელი ექნება წამოღებული, ზოგისაგან ფულად; ცნობაში უნდა მოვიდეს. არა მგონია ძირს ბევრი დარჩეს.

- შენგან არ მიკვირს! რა დარჩება? მგონი მოვალეებიც ძლივ დავაკმაყოფილოთ.

- კარგი! კარგი! ქალაღდებს ისე შევადგენ, რომ ქვრივი მე და შენ გვაბარებს თავის საქმეებს; ესე ემჯობინება.

ნათლია ამას არ ელოდა. იმას უნდოდა მიეხმარებინა რეზიკოს გაიძვერობა და ცოტა რამ გასამრჯელოთი დაეკმაყოფილებინა ის; ახლა კი მიხვდა რომ ამ კაცს თავიდან ვეღარ მოიწყვეტდა.

- თუ უამისოდ დავიწყო საქმე, იპოვის გზას, კვალში ჩამიდგება და თუ არა, მგონი მეც ცარიელზე დამსვავს, თორემ ქვრივს ვინღა ჩივის, - ფიქრობდა ის.

ინანა, რომ რეზიკოს მიმართა, მაგრამ გვიანდა იყო. დათანხმდა.

მეორე დღეს ნათლია და რეზიკო ისე ირჯებოდნენ «სალხინოში» როგორც საკუთარ სახლში. დიდძალი საქონელი დაიტანეს, რადგან ყველას უარი უთხრეს, ვინც ნამდვილად დასაბუთებული ქალაღდი არ წარმოადგინა. «სალხინოს» მთელი მოწყობილობა ჯაგუს საკუთრება იყო. ამოჩნდა, რომ თიტონ კორსაიასიც ბევრსა ჰმარტებდა, კარგა ნაღდიც დახვდათ დახლში, მაგრამ ისე მარჯვეთ წაიყვანეს საქმე, რომ ყველაფრის გაყიდვასა და ანგარიშის გაწმენდის შემდეგ ცოტა თანხა ჩააბარეს ქვრივს. დიდი შნო გამოიჩინა რეზიკომ: მოხერხებულად და წინდახედვით მიჰყავდა საქმე, მარდად პოულობდა საჭირო წერილობით საბუთებს, ხერხიანად ათათბირებდა კანონის წარმომადგენლებს, მოგეწონებოდათ. ქალმა მადლობა გადაუხადა კეთილისმდომელებს.

დაიწყო ნუშოსათვის ერთგვარი მოსაბეზრებელი ცხოვრება. დაჯავრიანებული, აზრებაფუტკნული ახალგაზრდა ქვრივი იჯდა შინ, გარეთ ვერ გამოდიოდა: მგლოვიარობდა. თუნდა გამოსულიყო, ვისთან წავიდოდა? ნაცნობებმა, რომლებიც იმის სახლში პატივცემული იყვნენ და რომლებსაც იმის პურ-მარილი ყელში ამოსდიოდათ, თითოჯერ კი ნახეს ქალი, მიუსამძიმრეს, იწუწუნეს, რომ ქალმა ცხოვრების სახსარი დაჰკარგა, შემადღეს ღმერთს, რომ ისინი არ არიან ამისთანა სამძიმო მდგომარეობაში და წავიდნენ. ხედავდნენ ეს უცხო ფრინველები რომ საკენკი აღარ იყო და გაფრინდნენ; ნუშოს ნუგემის მაგივრად სამსალა ასვეს.

- ხომ მარტო დედაკაცი დავრჩი, მაინც ვაჩვენებ, რომ ისე არ დავცემულვარ, მაგათზე ნაკლებად ვიცხოვრო; დეე, თვალები დაუსკდეთ შურით, - გაიფიქრა ქალმა.

მართლაც არა შლიდა ნუშო წინანდელ კეთილ ცხოვრებას, არ ატყობინებდა სახლს უვაჟკაცობას: უკანასკნელს ხარჯავდა. განა ბევრი ხნი შეიძლებოდა ასეთი ცხოვრება? ტბიდან გადადიოდა, არაფერი კი ჩადიოდა: უნდა ამომშრალიყო. შემოაკლდა ნაღდი და შეწუხდა. ფული ხომ კაცს მაშინ აგრძნობინებს თავის თავს, როცა გამოილევს. დღიური ხარჯისათვისაც აღარა იყო. დაფიქრდა, რას უშველიდა? სახლის ქირა წინათვე ჰქონდა აღებული. მიმართა სესხს, მაგრამ ფული არავინ ანდო უგირაოდ, გირაოებშიც ღირებულის მეათედსაც არ აძლევდნენ, თანაც უკაცურ სარგებელს ახდევინებდნენ. დაუწყო ნივთებს გაყიდვა. ეს საშვალეა უფრო იმიტომ მოსწონდა, რომ ადვილად ვერ გაიგებდნენ ოჯახის გაჭირვებას, რადგან ქმრის დროსაც ხომ ხშირად ჰყიდიდა ნივთებს. გარჩევა კი იყო: მაშინ რომ ჰყიდიდა, უკეთესებს ყიდულობდა, ახლაკი...რომ შეუჩნდა ნივთებს ჩრჩილივით, გააწყალა. პელაგოს გამოუღეველი საქმე გაუჩნდა ნუშოსთან და სასარგებლო საქმეც.

გამოუცდეულ ქალს არავინ ჰყავდა გამშლეული, დამრიგებელი. ნაცნობები ხომ შემოეფანტნენ, ნათლია განზე გადგა. არც ნუშოს უნდოდა იმისი სიახლოვე, რადგან რეზიკომ ჩააგონა, ნათლიამ სიყალბე გასწია «სალხინოს» ალაგებაშიო.

- თქვენმა მზემ, ჩემო ბატონო, თუ შემთხვევით არ შევსწრებოდი მაშინ თქვენ საქმეს, ვალსაც კი წამოგადებდათ ის, მაგრამ მე დავემუქრე და შეშინდა,- ეუბნებოდა ქალს რეზიკო.

ამ კაცს ახლა სხვა მიზანი დაედო, სხვა აზრი მოსვლოდა ქვრივის შესახებ და უნდოდა იმისთვის ნაცნობები მთლად შემოეფანტნა. გაიმარტოვა ქალი. მიზნის მისაღწევად ისე ფრთხილად, ისე მოაზრებით იქცეოდა, როგორც გამოცდილი სარდალი ბრძოლის ველზე. ჯერ ისევ ათასი საქმე იყო გახლართული, ვაჟკაცის ხელი იყო საჭირო, რეზიკო კი სწორედ მისწრება იყო ამ საქმეებისათვის. დასაწერი იყო რამე თუ სამსჯავროში უნდოდა საქმეს გაწყობა, ნოტარიუსთან, რომელიმე ვაჭარტან თუ ბანკში-ყველაფერს კისრულობდა ეს კაცი და სარულეობდა ერთგულად, უსასყიდლოდ; გეგონებოდათ საკუთარ საქმეს აკეთებსო. თანაც ცდილობდა ქალისათვის თავი არ მოეებზრებინა ხშირი სიარულით. როცა მოდიოდა, დღე მიდიოდა და მალე ბრუნდებოდა, რომ არავისთვის არაფერი ეგრძნობინებინა. ეს კი იყო, სევდიანი სახით ეჩვენებოდა ქვრივს. ეს ბრვე ვაჟკაცი ისე მორცილად, ისე ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ქალს, რომ იმის გულში სიბრალულს აღვიძებდა. მერე რა ზრდილობით ექცეოდა! სულ იმის ცდაში იყო არ ეწყენინებინა რა.

- ნეტა ვიცოდე, რა დარდი აქვს ამ ვაჟკაცს,- იტყოდა ხოლმე ნუშო გულში.

სიბრალული ქალის გულში შესასვლელ კართაგანია.

მოვიდა ბანკსი ფულის შეტანის დრო იმ ვალის გადასახდელად, რომელიც სახლს ედო, ფული კი არსად იყო, თუ რამე ასაღები ჰქონდა, დიდი ხანია აელო. ნისიად ბევრი ეზიდა. ნივთების გაყიდვითაც ცხოვრობდა. შესფოთდა ქალი.

- ბანკში ფულის შეტანის დრო არის. მეუბნებიან, თუ არ შეიტანე სახლს გაგიყიდინანო, მე კი ფული არა მაქვს,- შესცივლა რეზიკოს დანაღვლიანებულნმა.

რეზიკომ ეს კარგად იცოდა, მაგრამ იუცხოვა:

- იმდენს მაინც ვერ მოახერხებთ, ამჟამად დააკმაყოფილოთ ბანკი?

-სულ აღარა მაქვს ნაღდი,- მიუგო ქალმა და თავი ჩაღუნა, თვალეზზე ცრემლი მოადგა. რეზიკო შეწუხდა, ფიქრს მიეცა, მერე აიხედა მალა, მისწია სკამი ქალისაკენ, ოდნავ მიაკარა ხელი იმის მაჯას, რომელიც უღონოდ გადმოჰკიდებოდა სავარძლის ფრთას და დაიწყო.

- თქვენ იცით, რა მეგობრობა მქონდა განსვენებულ თქვენ მეუღლესთან, რა პატივსა გცემთ თქვენ და, იმედია გულდასმით მოისმენთ ჩენს აზრს.

- ბრძანეთ ბატონო!- მიუგო ქალმა, უნდოდა ხელი მოეცილებინა: ვაჟკაცის ხელი ხორცსა სწვავდა მას, მაგრამ ვეღარ გაბედა ეს მოძრაობა, რადგან კაცს ისე ეჭირა თავი, თითქო ფიქრისაგან გატაცებულს არ ესმოდა რასა შვრებოდა.

- შესატანი ფული მაინცდამაინც ბევრი არ არი. მართალია დიდი მდიდარი არა ვარ, მაგრამ ახლავე მოგართმევდით მაგ ფულს, რომ ერთი მოსაზრება არ მაბრკოლებდეს. ვთქვათ ახლა შეიტანეთ ხვედრი, მერე ხომ ისევ მოგთხოვენ და ასე ყოველთვის რამდენსამე წელიწადს. რომ ვეღარ შეძლოთ როდისმე, სახლი მაინც გაიყიდება და ეს ამდენი შეტანილი ფული დაიკარგება. რადგან, ვინ იცის, მერე როგორ დაფოლდეს სახლი. ხომ მოგეხსენებათ, შენობა მალე ფიჭდება, თუ მოვლა არა აქვს. არა სჯობია, გამოსაშვები სისხლი ახლა გამოუშვო?

- გაყიდვის ნება რომ მივცე, ვინ იცის რა იაფად გაყიდოს, იქნება ვალი ძლივს მოიშოროს.

- რა ბრძანებაა! აქ არ გახლავარ? მე თითონ შევალ ვაჭრობაში და ძალიანაც ავწევ ფასს, ისე რომ ვალიც მოიშოროს სახლმა და ფილიც დაგრჩეთ. ამ ფულით შეგეძლება თუჯახის ზოგიერთი საქმეებიც გაასწოროთ და ოთახებიც დაიქირაოთ სადმე, ისე რომ სარგებელში იცხოვრობთ, თავნი უკვდავი იქნება.

ნუშოს ჭკუაში დაუჯდა რჩევა, მით უფრო რომ ნაღდი უჭირდა. დათანხმდა. სახლს რომ ჰყიდნენ, რეზიკოც შეევაჭრა; დიდი რიხით დაიწყო ფასის აწევა, მაგრამ მალე ჩაჩუმდს, როცა ერთმა მუშტარმა ათ თუმნიანი ჩაუღო ხელში, ოღონდ თავიდან მოეშორებინა. ქვრივს მაინც დარჩა ფული, მოიშორა ნისიები. დაიქირავა გაეთუბანშივე სამი სუფთა ოთახი და რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა ბაზარში დარცენილის გასაფლანგავად.

რეზიკომ ახლა უფრო გაახშირა ქალთან სიარული: შველოდა ბანკის საქმის გაწმენდას, სახლის დაქირავებას და მოწყობას. შეაჩვია ქალს თავისი თავი. მერე აგრძნობინა, რომ შეყვარებულია. ბოლოს გაუცხადა, უსენოდ სიცოცხლე ჩალად მიმაჩნია, ცოლად წამომყევო. ნუშოდაფიქრდა და დათანხმდა.

- აი, ჩემო სიცოცხლე,- ეუბნებოდა შეჩვეული ვაჟკაციმ ქალს,- დადგება შემოდგომა და ჯვარი დავიწერთ. ქორწილს ხარჯი უნდა, დიდძალი ნაცნობი მყავს და უიმისოდ არ შეიძლება. მამულითა ვცხოვრობთ და მოსავალს მოველით ხოლმე; ღალის პურს შემიგროვებენ, ღვინოს დამიყენებენ და გამოეწყობა საქმე.

- ეგ კარგი, მაგრამ ათას ხმებს რომ ავრცელებენ ჩვენზე...

- ილაპარაკონ, ნათელო ჩემო! თითონვე შერცხვებათ, რიცა ჯვარს დავიწერთ და ნახავენ რა წმინდა განზრახვა გვქონია. ცოტაც, ჩემო ყველავ, და ველირსებით იმ დღეს, როცა თავისუფლად შეგვეძლება ერთად ცხოვრება, - ეალერსებოდა ვაჟკაცი ქალს.

შობის მარხვა მიწურულიყო, ბედნიერი დღეები მოახლოვებულიყვნენ. წინათ ნუშომ დიდი მზადება იცოდა ამ დროს, მთელი სახლი ფეხზე იდგა: გვა, წმედა, რეცხვა, ხარშვა. ბაზრიდან ბოხჩა-ბოხჩაზე და ჭურჭელი-ჭურჭელზე მოდიოდა ნავაჭრით; მშვენიერი ტანისამოსი, ახალი ავეჯი, სანოვაგე, ტკბილეულობა! ახლა კი სახლი დაღონებული იყო, სიცოცხლე მოჰკლებოდა, გოგო-ბიჭს დრო ეპოვნათ და ნახევარზე სხვაგან ეყარნენ. არც თავის დროს სმა, არც თავის დროს ჭამა. ახალგაზრდა ქვრივი მიყუჩებულიყო თავის ფანჯარასთან, ფერი ხან მოუდიოდა ხან მიუდიოდა, ცრემლებს აფრქვევდა; ბევრი ტირილისაგან ქუთუთოები დასჯირჯებოდა.

- წერილებზედაც პასუხს არ იძლევა! ...ის არ იყო მუხლმოდრეკით მევედრებოდა, კალთებს მივოცნიდა? ახლა კი აგერ ორი კვირაა, არ გაუწაწანია; რაც გაიგო ჩემი უბედურება ფეხი აღარ მოუდგამს...თითქო თითონ არ იყოს დამნაშავე...ცოლად წამომყევ, მეუღლეობა გამიწიე, ჯვარი დავიწეროთო. დავენდე. ჩაქოლილო ჩემო თავო!. ახლა რაღა მეშველება? იმის რჩევით სახლი გავყიდე, იმის იმედით ფულს არ ვუფრთხილდებოდი: აქ არა ვარ ვაჟკაცი?!- მოთქვამდა ქალი და ჩამოსდიოდა მდუღარება.

სევდით გატაცებულს ვერ შეენიშნა, რომ თავზე პელაგო წამოსდგომოდა. მაჭანკალი იცნობდა რეზიკოს. ახლაც რეზიკოს მოეგზავნა ეს დედაკაცი. რეზიკო გამოცდილი იყო ამისთანებებში, ბევრი ოინი ჩაედინა და იცოდა, როგორ მოევლო საქმისათვის, რომ თავს რამე უსიამოვნო შემთხვევა არ დასტეხოდა.

ყველაფერს ავიცდენ თავიდან. პირველია თუ? მე ჩამაბან მაგისტანა უბრალო საქმეში?! მამ თავადი რეზიკო არა ვყოფილვარ! ისე მოგიწყვიტო თავიდან, ჩემო მშვენიერო, რომ ბუზიც კი ვერ აუფრინო შენს რეზიკოს,- ეუბნებოდა თავის გულში მოტყუებულ ქვრივს, როცა იმიოს წერილს კითხულობდა. - ერთი დავიბარო პელაგო!

დილა მშვიდობისა, რათა სტირი, აგრემც გენაცვალე პელაგო? რად ისიებ მშვენიერ თვალებს? ბედნიერი დღეამომავალი, მოიწმინდე წრემლები, კერას ნუ შეაჩვევ ნამეტნივ მწუხარებას.

ნუშო მოეგო გონებას.

- დაბრძანდი, სატირელი მაქვს, ჩემო პელაგო, და ვტირი; თავი მაქვს მოსაკლავი...

-რათა, შვილო? ქმარი ვის არ მოჰკვდენია, მაგრამ თან არავინ ჩაჰყოლია. საწყალი ჩემი კაცი! ისე ვუყვარდი ცხონებულს, თვალში ჩავარდნოდი, ხელს არ მოისვასმდა. რამდენი მწარე დღე გამოვიარე იმის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მადლობა ღმერთს, თავი კი არ მოვიკალი. აგერ სხვა მშვენიერი ვაჟკაცი შემოგრტვის.

- ნუ ამბობ, ნუ მიხსენებ იმ ავაზაკის სახელს! დამწყა...ახლა განზე გადგა, წერილებზედაც კი პასუხს არ მაძლევს...ვეღარ შეიმაგრა ქალმა თავი.

-უი, დამიდგა თვალი, იქნება?! რატომ არ დამეკითხე? ვაჟკაცს რახან ნებას მისცემ, როგორღა შეიძლება იმისი საყდარში შეტყუეჯერ ისე უცხოობდა ამას, თითქო არაფერი იცოდა, თითქო პირველად ესმოდა ეს. მერე დაფიქრდა. და ბევრი ყოყმანის შემდეგ დაუსახელა ერთი დედაკაცი, რომელსაც შეეძლო კიდევ გაენთავისუფლებინა ქალი და საიდუმლოც შეენახა. ამ ხელობას ადგასო უთხრა.

- გასამრჯელოს კი ნუ დაიშურებ ქაჯან! ხომ იცი თითონ ჯერ მორჩენას უნდა ხარჯი; ესეც რომ არ იყოს, საფათერაკე საქმეა და თუ სასყიდელს არ დავახარბებთ, ხელს როდი მოჰკიდევს.

ნუშო დათანხმდა ყველაფერზე. მეტი რა ღონე ჰქონდა! ექიმმა დედაკაცმა თითქმის გამარცვა ქალი, თუმცა ისე მარჯვედ კი ვერ უშველა, როგორც იმედს იძლეოდა: განთავისუფლდა, მაგრამ ძალიან ავად შეიქნა. რომ დაატყო საქმე ცუდად არისო, დედაკაცი კვალწმინდად დაიკარგა. მოიყვანეს ექიმი. ეწყიმა, როცა ნახა რა ურჯულოდ მოპყრობოდნენ ქალს.სასწაულით გადარჩენილხარ სიკვდილსაო, უთხრა. უნდოდა ამ უდიერების მოქმედი სამართალში მიეცა, მაგრამ ავადმყოფმა ნება არ მისცა, არც იმისი ვინაობა აცნობა: ემინოდა უფრო არ გაქვეყნებულიყო ამბავი. დახელოვნებულმა მკურნალმა მთლად მოარცინა ავადმყოფი. დიდი ხარჯი კი მოუვიდა ნუშოს; თუ რამ საფასური შერჩენოდა, გაჰყიდა, ხელმოკლეთ შეიქნა.

მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. განათებულ სასახლის ქუჩაზე ხალხი ბუზივით ირეოდა, მეტადრე თითონ სასახლის წინ. გადასწვრით კი, საჯარო წიგნთსაცავის და ქალების გიმნაზიის წინ თითქმის ბნელოდა. აქ ხალხი არ იყო, ათასში ერთი მგზავრი თუ გაივლიდა. ამ ადგილას ბოლთასა სცემდა თითქმის ხანში შესული კაცი. ევროპულად ეცვა. გრძელი, ჭადარა შერთული წვერი შუაში გაეპო, ნიკაპი გამოეჩინა; უღვაშების ბოლო ძირს დაშვებოდა; წარბები თვალეზზე ჩამოფხატოდა. მარჯვენა სალოკ თითზე ფირუზის დიდი ბეჭედი უჩანდა. ღიპი გადმოეგდო. კარგა ხანი იყო, რაც ეს ზერდაგი კაცი აქ დადიოდა. თანდათან მოუთმენლობა ეტყობოდა. ხშირ – ხშირად იღებდა უბიდან ოქროს საათს. ბოლოს მუზეუმის მხრიდან გამოჩნდა შავებჩაცმული მანდილოსანი. მოკლე წამოსასხამზე ფუნჯებიანი პრტყელი არშია ჰქონდა მოვლებული. ქალი ქვექვეით მოდიოდა და ყველა ნაბიჯის გადადგმაზე ფუნჯები ირხეოდნენ. მარჯვენა ხელში მაღალტარიანი შავი ქოლგა ეჭირა, მარცხენა მკლავზე აბრეშუმის შალი გადაეგდო. ქალი რომ ქუჩაზე გამოჩნდა, კაცმა ის იყო იბრუნა პირი წინგთსაცავისაკენ, მაგრამ სწრაფად შემოტრიალდა, თითქო იგრძნო საყვარლის მოახლოვება.

- სახლის პატრონის ცოლი შემოვიდა და იმაზე დავიგვიანე; ვინ იცის რამდენი მელოდე.

- მთელი ღამე რომ მომდომოდა ლოდინი, მაინც ფეხს არ მოვიცვლიდი აქედან,- მიუგო კაცმა, მოუჭირა ხელზე ბანჯგვლიანი ტლანქი ხელი და დაიძახა:

- ეტლი!

გამოქანდა ეტლი. წამოახურვინა, ჩასვა, უბრძანა მუშტაიდში წასულიყო, მტკვრის პირის ქუჩაზე გაევილო. ეტლი რომ მუშტაიდის ბაღს უვლიდა გარს ხეივანებზე, ნუშო ჟინმოსულ ვაჟკაცის მძლავრ მკლავებში თრთოდა, როგორც გველშემოხვეული ჩიტი. კაცმა გამოიყო თავი დახურული ეტლიდან და უბძანა სასტუმროში წასულიყო.

მუშტაიდის მხრიდან რკინის გზის სადგურისკენ რომ ქუჩა მიდის, იმ ქუჩაზე იყო ეს სასტუმრო, ოთახები სუფთად ჰქონდათ შენახული, ყოველთვის დიდი სიჩუმე სუფევდა აქ. არც დღიურად, არც ხანგრძლივი მცხოვრები მუშტარი არა ჩანდა; დერეფანში რომ შავი ფიცარი ეკიდა, ერთი-ორი გვარის მეტს ვერას დროს ვერ ამოიკითხავდით იმაზე. რასაც მოითხოვდით-სასმელს თუ საჭმელს - მაშინვე გააჩენდნენ. ღამე კი იღვიძებდა ეს სასტუმრო; მაშინ ხშირად ჩერდებოდნენ იმის კარებზე წამოხურული ეტლები, რომლებიდანაც გადმოდიოდნენ სამრუშოდ გამოპარულები და ფეხაკრეფით, ფრთხილად ამბობდნენ კიბეზე. ეს ხალხი დაქირავებულ ოთახში სულ საათი, საათ-ნახევარი რჩებოდა, ათასფერ რასმე თხოულობდა, არ ჩინჩობდა, ფულს აბნევდა. ზოგიერთ ოთახებიდან ბანქოს მოთამაშეების ხმა გამოისმოდა. მსახურები დერეფანში არ ირეოდნენ, მარტო სასტუმროს პატრონი იღებდა ყველას. ზარის პირველსავე დაწკარუნებაზე კი გაჩნდებოდა ბიჭი, მარდად აასრულებდა ბრძანებას და ისევ გაქრებოდა. სასტუმროს მეორე კარი ჰქონდა სხვა ქუჩისკენ.

ნუშოს შალი წამოეფარებინა, თვალეზილა უჩანდა. აირბინეს კიბეზე. კაცმა ამოიღო ჯიბიდან გასაღები და გააღო ოთახი. დახვდა გაშლილი სუბუქი ვახშამი. ქალმა მოიხსნა შალი. ღაღანა სახემ ოთახს ნათელი მოჰფინა. მარჯვედ გადაატრიალა გასაღები.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა დახურული ეტლი ანჩხატისკენ ჩასავლელ ვიწრო ქუჩასთან გაჩერდა. კაცმა გადმოსვა ნუშო ეტლიდან. ჩაიარეს ვიწრო ქუჩა, შეუხვიეს მარცხნივ, გავიდნენ ძველ ალაყაფის კარებში, რომელსაც მუხრანთან ხიდზე გაჰყავს, გაიარეს ხიდი და გამოჩნდა ქალის სადგომი. აქ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

ნუშო ფრთხილობდა, რომ არავის გაეგო იმისი ამბები, ეტლს იმისთვის აჩერებდა მოშორებით. ერთხელ რომ შესცდა, იმ შეცდომას იმეორებდა. თავქვეს დასდგომოდა, წუმპისკენ მისრიალებდა. უზრუნველ ცხოვრებას იყო შეჩვეული, ფლანგვა უყვარდა, ხელიდან კი არაფერი გამოუვიდოდა. სანდომიანობა დაენათლებინა ბუნებას და ახლა ამ ნიჭს ხარჯავდა, მაინც კი იმედს არა ჰკარგავდა, რომ დაიჭერდა საქმროდ ერთ იმ ვაჟკაცთაგანს, რომლებიც ახლა ევლებოდნენ მას: არ იცოდა, კაცები რა მალე იმწვანილებენ კეკლუცებს, თუ კი იხილეს ხილი.

ქალი ფლანგავდა თავის თავს, ხვავი კი არა ჰქონდა. ქარის შემოტანილი ქარსვე გაჰქონდა. ავადმყოფობაზე რომ ვალი დაედო, ის ხომ ვეღარ მოიშორა და ახლა კიდევ უმატებდა. სახლის ქირას ვეღარ იხდიდა. ეს გარემოება და თანაც ქვრივის საექვო ქცევა იყო მიზეზი, რომ სახლის პატრონმა ჯერ აღმაცრივ დაუწყო ცქერა, მერე აგრძნობინა, დაეცალა სახლი. ეს ამბავი რომ აცნობა ქვრივმა თავის ახალ კაცს, იმან სიტყვა ბანზე აუგდო. ჩავარდა გაჭირვებაში. მეტი ღონე აღარ იყო, თავის საკუთარ ქოხისათვის უნდა მიემართა.

გაზაფხულის დილა იყო, სოფლელიანთ ეკას სურა ეჭირა და მთკვარზე მიდიოდა. შეიხედა მაგდას სახლისაკენ - ჭის კარი გაედოთ, პელაგო დასდგომოდა ვიღაც პატარა გოგოს, სახლს და ეზოს აგვევინ-აწმენდინებდა. არ იამა: ეგონა პელაგოს უქირავნია სახლიო.

- დილა მშვიდობისა, ეკავ! - მიესალმა პელაგო.

- ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! შენ დაიჭირე ეგ ოთახი? კარგია, დაგინებებია თავი ვანქის ქუჩისათვის.

- არა, ქა! პატრონი ჰყავს და ის გადმოდის: რა ჭკუაა სხვაგან ქირის ძლევა.

- თითონ ნუშო იცხოვრებს აქ? - იკითხა ეკამ.

21

სოსანა რუსეთშიაც საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, იმისმა გამჭრიახმა გონებამ და დაუღალაღვმა შრომამ იქაც დააწინაურეს ეს ახალგაზრდა. ეს კი იყო, ძალიან ბევრს ჯაფაობდა, ესმოდა, რომ შემდგომში არ ექნებოდა ამდენი თავისუფალი დრო, ესე მთლად მისცემოდა სწავლას, როგორც ახლა. ახლა რა ჰქონდა სხვა საზრუნავი? არაფერი, სრულებით არაფერი! ხარბად დაეწაფა ცოდნას. გარდა ამისა შრომაში აღრჩობდა ნაღველს, რომელიც შემოსწოლოდა მას აქეთ, რაც თავის ქვეყნიდან გასულიყო და ყველაფერს მშობლიურს მოშორებოდა. ერთი მხრით შრომამ, მეორე მხრით ჰაერის სისასტიკემ და შეუჩვევლობამ ცუდად იმოქმედეს იმის ჯანმრთელობაზე.

დაასრულა სწავლა. გაგზავნეს დასავლეთ რუსეთში. მართალია, გვარიანი ადგილი მისცეს, მაგრამ იქაურმა სინოტიემ დაზიანებული ადამიანი უფრო დაამაბუნა. იქნება ამ სიმრთელის დაკარგვაზე იმის ხასიათსაც ჰქონდა გავლენა: ძალიან გულჩათხრობილი კაცი დადგა. თავის ცხოვრებას ოთხ კედელშუა ატარებდა, თავის პირდაპირი მოვალეობისა და წიგნის კითხვის მეტი იმას არაფერი ახალისებდა. მას შემდეგ, რაც ნუშოს გათხოვების ამბავი გაიგო, კიდევ უფრო დანაღვლიანდა. სხვებს რომ იმის

გრძნობა ყმაწვილური და უხანო გატაცება ეგონათ, თითონ დიდად მიაჩნდა ეს გრძნობა, იცოდა, რომ ეს ნამდვილი ისარია სიყვარულისა, რომელიც მარტო ერთხელ დაესობა რჩეულ გულს და უკურნებლად დაჰკოდავს მას. იმედიცა ჰქონდა, რომ ბედი არ უმტყუნებდა. ადრიდანვე ეს იმედი იყო იმისთვის ცხოვრების გზის მანათობელი სხივი: ნუშო ამხიარულეზდა, ამხნევეზდა, ანუგეშეზდა, ასულდგმულეზდა მას. ჩაითუთქა. როცა გაიგო რა ადვილად გაცვალეს ის სხვაზე. მას აქეთ იმის გული აღარ ამღერებულა, სიყვარული აღარ უგვრძვნია: ნამდვილი სიყვარული ვერ განმეორდება, გული ველარ თუ დაიტევეს მეორე იმისთანა გრძნობას. ახალგაზრდა საზოგადოებაში იშვიათად გადიოდა და ვერ შეხვდა ისეთ ქალს, რომელიც ქვესად მოხდომოდა იმის გაქვავებულ გულს და სიყვარულის ნაპერწკლებითკვლავ გაემუქებინა, გაებრწყინებინა, გაეთბო, აენტო.

მთავრობა აფასებდა სოსონას ნაყოფიერ შრომას და როცა დარწმუნდა, როგორა ვნებდა იმას უცხოობა და უცხო ჰავა, უსმინა თხოვნა, თბილისში გადმოიყვანა. შემოდგომა მიწურული იყო, როცა სოსონა ჩამოჰვიდა ქალაქში და დაბიონავდა. დიდი დალაგება კი არ დასჭირებია: მთელი იმისი ავლა-დიდება წიგნებისაგან შესდგებოდა; ეს საუნჯე კი, ღვთის წინაშე, ბევრი შეეკრიბა. დაბინავდა თუ არა, გარეთუბისაკენ გაემურა: ათავის ნაცნობების ნნახვა მოსწყურებოდა, თანაც უნდოდა ნშოს ამბის გაგება.

უმთვარო ღამე იყო. წვიმდა. ბნელოდა. ქუჩის ფარნები მხოლოდ ბჟუტავდნენ. ტალახი კოჭამდინ სწვდებოდა. ცალხელაანთ მართას კარები ჩაეკეტა, მისჯდომოდა პაწაწინა ლამპარს და წინდასა ქსოვდა. ციოდა. თუნუქის ძველ ღუმელში ნახშირი ჩანელებულიყო. დედალაც შალისძველა წამოესხა მხოებზე. თავზე ხილაბანდი გადაეჭირა, ჰალარა კავები გამოსწეწოდა.

-სტუმარი არ გინდათ, -შემოესმა ხმა.

მართამ თითქო კიდეც იცნო კაცის ხმა, ვერც ნამდვილად მოიგონა.

-სტუმარი ღვთისაა. ვინა ხარ?

-მე ვარ, სოსონა ვარ!

მართა მაინც ვერ ჩავარდა გონებაში.

-ახა, ღმერთო! ვინ იქნება ამ დროს? -ჩაილაპარაკა დედაკაცმა და წამოდგა.

კარი რომ გაალო, შემკრთალივით შედგა. სოსანამ გაუღიმა დედაკაცს და აკოცა. მართამ სიხარულით ტირილი დაიწყო გეგენას გამოღვიძებოდა, გაეგო სოსონას მოსვალა და შევიდა მართასას. კაკატოც ბიძისას ყოფილიყო და უკან შეჰყვა გეგენას. გაიგეს სხვა მეზობლებმაც. გაივსო ოთახი ისე ეგებებოდნენ ამ კაცს თიტქო ძმა ან შვილო მოსვლიათო. აღარ გაუშვეს ვახშმად ვისაც რა ჰქონდათ მოიტანეს. გეგენამ ჰანარი შემოიტანა. არიფანასავით გადმოვიდა. ნარიყი მოიტანეს საიდანლაც, ბუხარი გაამხიარულეს. არც ზურნა იყო, არც სიმღერა, არც სმა, არც ღჩეული საჭმელები, მხიარულეზა კი დიდი იყო. შეჰყურებდნენ უბნის შვილს და უხაროდათ სასახლეს მიაჩნდათ. ისლა აღონებდათ, რომ ეს ახლაგაზრდა უწინდელათ ჟინჟლივით აღარ იყო. ბოლოს ესეც დაივიწყეს, როცა ყმაწვილმა დააშოშმინა, გზამ გამლახაო. ყველაფერი მოიგონეს, არც ახლა, არც ძველი არა გაუშვეს. ერთი უკვირდა სოსონას: ნუშოზე კრინტი არავინ დაძრა, იმას კი სწორედ იმ ქალის ამბის გაგება სწყუროდა. ბოლოს ველარ მოითმინა და იკითხა:

-მაგდა როგორლა ცხოვრობს? ხომ მშვიდობით არის?

-მაგდა შენი წირი წაილო, შვილო! -მიუგო მართამ.

-აქამდინ არ გაგიგია ეგ?!-გაიკვირვა გეგენამ.

-ვინ ძწეტყოდა? საწყალი! ნუ... ნუშო როგორლა არის?

ნუმოს ხსენებაზე ყველამ ერთმანეს შეხედეს: იცოდნენ, ყმაწვილს უყვარდა ის ქალი და ემზიმებოდათ ნამდვილის თქმა, ეწყინებო.

-ნუმო, შვილო, აქა ცხოვრობს, თავის დედისეულ სახლში; ქმრის სიკვდილის შემდეგ გადმოვიდა. ახლა ცოტა შეუძლოდ არის, -უპასუხა მართამ.

-როგორ? განა ჯაგუ არარ არის?

-შენი წირი წაიღო.

-ჯავრმა აურია კვალი და თან გადაიტანა, -ჩაურთო გეგენამ.

-ჯავრმა კი არა! -შეუტია სოფლელიანთ ეკამ.

-ნუმო რაღად არის ავად? მარტო ცხოვრობს?

-ჰო, მარტოა. რაღაცა შეუძლებლობს; არ კი ვიცი სწორედ, არ შევსულვარ, -მიუგო მართამ.

სოსანა დაღონდა.

-ავად არის, მარტოა, არ შეგიხედნიათ! ეს თქვენ არა გგავთ, რაღაცას მიმაღავთ, - თქვა სოსანამ და თვალი გადაავლო ყველას.

გაჟეჟილს გატეხილი სჯობია, -სთქვა ეკამ, გატეხილს გეტყვი, რადგან ჩმოვარდა ლაპარაკი. ის ქალი მეზობლობის ღირსი არ არის: სანამ ბედში იყო არა გვკადრულობდა, აბუჩდა გვიგდებდა, მერე უბნის სახელი შეარცხვინა და უბანმაც პირი შეაქცია მას. უამბო სოსანას ყველაფერი დაწვრილებით. რაც ეკას ავიწყებოდა სხვები უმატებდნენ.

ყმაწვილი კაცი აღელვებული უგდებდა ყურს: თას ნაირ გრძნობები უზვირთდებოდნენ და ეფუტკნებოდნენ. სახეზე ხან განუსაზღვრელი სიობრალები და მწუხარება აებეჭებოდა, ხან ზიზღი და სიხარული ეხატებოდა, ხან ღმობიერების ცრემლით თვალის გუგა ევსებოდა, ხან ბოროტება და ხან სიმკაცრე გაუელვებდნენ და უშრობდნენ თვალის ნამს. ბოლოს ათასნაირმა გრძნობებმა და ფიქრებმა მთლად დაიმონავეს, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდეს. თავს ვერ მოგებოდა, ვერ გამორკვეულიყო, რომელსამე აზრს ან გრძნობას ვერ დასდგომოდა, მხოლოდ უსაზღვრო აუტანელი სევდა რჩებოდა.

-არა, სულ უპატრონოდ კი არ დაგვიტოვებია ავადმყოფი, მსუდრავი თათელა ყარაულობს, -უთხრა მართამ.

-მსუდრავი თათელა... პატარობისას რანაირად ეშინოდა ნუმოს მსუდრავი თათელასი!-ჩაილაპარაკა უფრო თავისთვის სოსანამ.

დაიწყე სხვა საგანზე ლაპარაკი, მაგრამ სოსანა გონებაზე ვეღარ მოიყვანეს. დაღონდნენ თითონაც. სუფრიდან სიმხიარულის ანგელოზი აფრინდა. დაიშალნენ.

წამოვიდა სოსანა და გონებაში სულ ნაამბობს იმეორებდა, გაგონილს აკვირდებოდა. იმისი აზრი, იმისი გული, მთლად იმისი აზრება ზიზღით უარყოფდა მიეთვისებინა ნუმოსათვის ის ზნეობითი დაქვეითება რომელიც უამბეს.

-ნუმო, მზის ამყოლი ნუმო და ასეთი სისაძაგლე! ჩემი უმანკო ნუმო და გარყვნილობა! არასოდეს! მას ტყუიან? სულ მართალს ამბობენ, ისინი ტყუილს არ იტყვიან. მამ?-ფიქრობდა სოსანა და იტანჯებოდა. ვერ წარმოედგინა სატრფო ნათელშეუმოსელი, სხივ მოკლებული. იმის გონებაში ორ არსებად გადაიქცა სატრფო: ერთი ის უმანკო, გულისწამრტაცი ანგელოზი, რომელსაც სიყმაწვილითვე თაყვანსა ცემდა ის, მეორე-მამიაშვილიანთ ნუმო, უბნისაგან დასაგმობი. მაგრამ რანაირად სტკიოდა გული ამ მამიაშვილიანთ ნუმოსთვის!

მეორე დღეს საღამოს სოსანა ჩავიდა მართასთან და სთხოვა ნუმოსთან წაეყვანა. წავიდნენ. ოთახში საშინელი სუნი იდგა. ლამპარი ძლივსდა ბჟუტავდა, შუშა შემჭვარტლულიყო. სახლის ბანი წამხდარიყო, ადგილ-ადგილ წვეთავდა და მიწური იატაკი ატალახებულიყო. ავადმყოფი წუჭყიან ლოგინში იწვა. თვალები დაეხუჭა, ტუჩები სიცხისაგან შავად შესწოდა, თმა აწეწოდა, მონაბდოდა, უსწორ-მასწორად ეყარა: სახე აჭარხლებოდა; თეთრ ყელზე გამშრალი ოფლი ლაქებად დაჩნეოდა; დაგრძელებულ ფრჩხილებში ჭუჭყი ჩაჰკვდომოდა. თათელა ბუხართან იჯდა, თავი კედელზე მიედო და ეძინა. ბუხარში ჩაწყობილ ღერებს თავები წასწოდათ, ცეცხლი მიმქრალიყო.

მართა შეჰყვა ყმაწვილკაცს და ავდმოყოფი ასე უპატრონოდ რომ ნახა, შერცხვა; თათელა შეტევით გააღვიძა. სოსანამ დაინახა სანატრელი სახე ამ მდგომარეობაში ალაგობრივ გაქვავდა. უნდოდა დაჰკონებოდა ძვირფას ავადმყოფს, ცრემლით დაეღბო იმისი სიცხით აგზნებული მკერდი, ადგილიდან კი ვერ იძროდა; უნდა ყველა საშვალემა ერთ დროს ეხმარა იმის საშველად, ვერაფერი კი ვერ მოეფიქრებინა; უნდოდა ეთქვა რამე იქ მყოფებისათვის, დაესაქმებინა, ხმას კი ვერ იღებდა, ენა არ ემორჩილებოდა.

სნეულმა იგრძნო ადამიანების მიახლოება, გაიბრძოლა, გამშრალი ტუჩები აატოკა, დაიგმინა, წყალი ახსენა. სოსანა ახლა მოეგო გონებას:

- წყალი!

მონახეს ლიტრა. გარეცხეს ჭუჭყიანი ჭიქა, ახალი წყალი შემოიტანეს. სოსანამ მარცხენა მკლავით თავი აუწია ავადმყოფს და წყალი მიაწოდა. ქალმა ხარბად ჩანთქა მაგრილობელი სასმელი, ერთი ამოიგმინა, გააღო თვალები და დაამტერდა ახალგაზრდას. ავადმყოფის მიმქრალ თვალეებში აზრი გამოკრთა; ისევ მილულა თვალეები, ამოიკვნესა:

- მფარველო ანგელოზო, დამიშრიტე ცეცხლი... თავი, დედა, თავი!

- აბა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, ყური უგდე, ექიმთან წავალ,- მიუბრუნდა ყმაწვილი კაცი მართას.

- შენ რომ არ წახვიდე, მერას ვაკეთებ? ახლავე მოვიყვან ექიმს,- უთხრა გეგენამ, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყოლოდა სოსანას.

მოვიდა ექიმი. ახლა ავადმყოფი აღარა ჰგავდა ისე უპატრონოს: თმა გადაევარცხნათ, თეთრეული გამოეცვალათ, ცეცხლი აენტოთ, ლამპარი გაესუფთავებინათ, აეშუქებინათ, უწმინდურება გაეტანათ. ექიმმა გულდინჯად გაშინჯა ავადმყოფი.

- ცოტა დაგვიანებულია. ფილტვების ანთება აქვს. სიცხისაგან არის მიბურდოებული. ახალგაზრდაა, მაგარი აგებულობისა და იქნება მორჩეს.

- მომვლელი დედაკაცი უნდა დავიჭიროთ. რასაც ითხოვს, მივცემ, ოღონდ სანდო იყოს: მე თითონ არ მოვშორდები, რადენადაც კი დრო მომცემს, - თქვა სოსონამ.

- შენ კი გაიხარე! რა მომვლელი დედაკაცი გვინდა: აი ამაღამ მე ვყარაულობ, - მიუგო მართამ.

- ხვალღამ მე!- წამოიძახა ეკამ.

- მერე მე ვუგდე ყურს, - თქვა სხვამ.

გარეთუბნელებმა თავისებურად გაინაწილეს შრომა. სოსანა იქ დარჩა, რომ აესრულებია ექიმის დარიგება. ღამე ძალიან შემძიმდა მდებარე, ბორგვა დაიწყო. სოსანა გამოუცდელი იყო ამისთანებში და შეშინდა; არ იცოდა, რომ ავადმყოფი ღამე უფრო შემძიმდება, იქნება იმისთვის, რომ აკლდება მზის სხივების მაცოცხლებელი

ზეგავლენა. თუ იღვიძებდა ავადმყოფი - თვალებს რეტად აყოლებდა, თუ მიეძინებოდა - ბოდავდა. სოსანა სულ განაბული უგდებდა ყურს ქალის სუნთქვას, ესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად;

- ოო! თავი, დედა! რად მიჭირებ თავზე რკინას?.. უნდა წახვიდე, თავი უნდა გამანებო?..ჯაგუ, ყინული!.. ამირალოვის მაღაზიაში... რა ლამაზია! ვიყიდი... მობრძანდით!.. აი კოწია! როდის მოვკალი?.. თუნდა სოსანასა ჰკითხეთ... მიშველეთ! რეზიკო მოდის, ანგელოზი უნდა მოკლას...არ შეიძლება!..

ქალი მძიმედ იყო ავად. სულთამხუთავი მოვლენოდა და ცდილობდა მოეტაცა ნორჩი სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლეს ემძიმებოდა მოსპობა, არსებას არ უნდოდა გამქრალიყო, არარაობის უფსკრულში ჩანთქმულიყო. სიცოცხლე ებრძოდა სიკვდილს და ამ ბრძოლაში იმას ხელოვნურად შველოდა ექიმი, თავგამოდებით ეხმარებოდნენ მომვლელნი. ექიმი ღვთის კაცი გამოდგა: ერთხელ თუ სასყიდელს იღებდა, ბევრჯელ უსასყიდლოდ მოდიოდა, ავადმყოფობას კვალში ჩასდგომოდა, არ ვიცი იმისთვის, რომ სენს თავის საკუთარ მტრად რაცხდა და სამარცხვინოდ მიაჩნდა, ზურგი შეექცია მისული მტრისათვის, თუ დანადგლიანებული თვალები ახალგაზრდა სოსანისი და თავგამოდებული შრომა ამ საწყალი ხალხისა ხიბლავდნენ და ამხნევებდნენ იმას.

სოსანა კი ძლიერ ნაღვლიანად იყო. დაჰვიწყებოდა ნუშოს წინანდელი ცხოვრება, დაჰვიწყებოდა ყველაფერი, რაც საგმობი ჩაედინა იმას და ეს ქალი ახლაც ისევე ძვირფასი იყო მისთვის, როგორც მაშინ, იმ ნეტარ ღამეს, როცა კოცნა მოსტაცა საუკუნო ტრფიალების ნიშნად.

[1896 წ.]

ნალიტა და ფეთება

I

ქალაქის განაპირას იდგა სამსართულიანი სახლი. ეზოს ქვითკირის გალავანი ერტყა. სახლის წინ, ხეებქვეშ, გრძელი სკამები. ეზოს ერთ კუთხეში მსახური ნაგავს ხვეტავდა. რკინის პატარა აივანზე, რომელიც სახლის მეორე სართულს გამოჰკიდებოდა, დადიოდა სათვალეებიანი ჭაღარა გაზეთით ხეკლში. სხვა არავიონა ჩანდა არც შენობაში, არც ეზოში.

ჭაღარამ დახედა საათს და ჩასძახა ძირს. გაისმა ზარის წკრიალი იმწამსვე მთელ სახლში შეიქმნა ჟრიამული და ეზოში გამოიფანტა დიდძალი ბავშვი. ყმაწვილებით აივსო მთალად ეზოურე. ერთ წამს ყველა ცალ-ცალკე ხმაურობდა, იზროდა, ტრიალებდა, დახტოდა; გაეზნენ ერთმანეთს, ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ და დაიწყეს ცელქობა: ერთგან წრე-ლახტი დააბეს, სხვაგან კაციდავლა მოაწყეს, აქ ბზრიალები შეაჯიბრეს, იქ ხელბორბალი შეაბზრიალეს-დიდმარხვის პირველი კვირები იყო და ამ თამასობების ხანა იდგა. რამდენიმე ყმაწვილი ცხენობანას თამაშობდა და ბრაგი ბრუგით ურბენდა ეზოს.

კაციდავლას რომ თამაშობდნენ, იმ ჯგუფის შორიახლო იდგა ერთი ბავშვი და პირზედ ღიმი უქროდა, თითონ თუმცა მონაწილეობას არ იღებდა თამაშობაში, მაგრამ ტოლპ-ამხანაგების ცელქობას სიხარულით შეჰყურებდა. ეს ყმაწვილი თხელი აგებულობისა იყო, ფერმრქთალი, ჭორფლიანი; პატარა ხელები გაჰსრობოდა, ძარღვები

ჩაპლურჯებოდა, თითებიო სახსრებში ჩაჰშავებოდა. წვრილი კისერი დალდასავით წაეგრძელებინა. სიცოხხლით სავსე მორცხვივით ყმაწვილებში ეს ძონძი ბავშვი შესამჩნევად არ იქნებოდა, რომ იმის ნაღვლიან, ჭკვიან თვალებს და კეთილ ღიმილს არ მიეზიდნა იმისკენ კაცის გული.

ყმაწვილები რომ გართული იყვნენ თამაშობაში, ოთახიდან გამოვარდა ერთი ქერა ბიჭი, ჯმუხი, მხარბეჭიანი, აჭარხლებული. ვეება ცისფერ თვალებს აფეთებდა. ბიწი შეხტა სემოტრიალდა, გამოჰკრა სარმა იქვე მდგომ ალაწოდას და მიწაზე გაართხო; მან ის გონს მოვიდოდა, გაქანდა შორს, ეცა სხვას, წამოუწვა და გორგალივით გააგორა; გასხლტა ხარხარით, შევარდა იმ ჯგუფში, სადაც კაცი დალას თამაშობდნენ და დაუქროლა.

-მოვიდა, ბიჭო, ფეთება მოვიდა!-გაისმა აქა-იქიდან.

ფეთებამ თვალი შეასწრო ნალიტას, გადაფრინდა, მოჰკიდა ხელი, მოიტაცა, დასვა წრის შუა. დაუარა, დაჰკვივლა:

-დაჰკარით, დაჰკარით, ბიჭებო! ერთი დაუფრთხეთ ამ შეჩვენებულს ბერძნული სიტყვები!

მოთამაშენი გახალისდნენ, დაეხვიცნენ. ბევრი მოხვდა ნალიტას, კიდევ ბევრი მოხვდებოდა, რომ ზარს არ გაეწკრიანა და კლასებისკენ არ გაეფანტა წვრილ ფეხობა. წამოდგა ნალიტაც, გაიბერტყა, აკრიფა წიგნის ფურცლები და ღიმილით გაჰყვა ტოლებს.

2

კლასში ნალიტა და ფეთება ერთად ისხდნენ. ფეთება მოუსვეს გვერდით ამ წყნარ და მუყაით შეგირდს, რადგან ერთობ შეფია იყო, ვერ დაწყნარებულოყო, ვერ მოესვენა და ეგება ამხანაგის სიწყნარემ ალაგმოს როგორმე იმის დაუდეგარობაო. სასწავლებელში ყველა ცდილობდა ამ ყმაწვილის მოშინაურებას, ყველა ულოლიავებდა, რადგან მახვილი გონების პატრონი იყო. ესე რომ არ ყოფილიყო, აქამდინ გამორიცხული იქნებოდა, რადგან დღე რომ ერთი იყო, იმისგან წესების დარღვევა-ათასი. უთმენდნენ გადაჭარბებულ ამცობას, ეგება გონზე მოვდეს და იმისი ნიჭი საბოლოოდ არ წახდესო.

ამ მეზობლისგან ბევრი შავი დღე ადგა ნალიტას, მაგრამ მოთმინებით იტანდა ყვეკლაფერს, რადგან უყვარდა: იმისი სიცოცხლით და რონით სავსე არსება აკვირვებდა და იზიდავდა. ფეთებაც, თუმცა ათასნაირად აწამებდა მეზობელს, გულში პატივსა სცემდა იმის მუყაითობას; ვერ წარმოედგინა, როგორ შეიზლებოდა იმდენი ხანი ერთ ალაგას ჯდომა და მეცადინობნა, რამდენ ხანსაც ნალიტა ანდომებდა ამ საქმეს; მოსწონდა ისიც, რომ ამ ჭია ყმაწვილს პატივისცემით ეპყრობოდა მასწავლებლობა, სკოლის დამამშვენებელს ეძახდა.

საჭიროც კი შეიქნა ნალიტა ფეთებასთვის: ამას უთუოდ ან წიგნი დაავიქედებოდა შინ, ან მის თუნდ ახალ კალამს წვერი წამტვრეული შეაჩნდებოდა, ან რვეულ-ქალაღდი არ დახვედბოდა აბგაში. ამისთანა შემთხვევაში ნალიტა იყო იმისი მხსნელი: მალე შეამჩნია ამხანაგის ხასიათი და წინდაწინვე ამზადებდა ყველაფერს, რომგაჭირებაში დაჰხმარებოდა. როცა გაკვეთილების დაწყებისას ფეთება თავის აბგას ეცემოდა, ნალიტა ღიმილით გაჰყურებდა იმას ქვეშ-ვეშ, აბა რა დასჭირდებოდა. მარტო დანა არასოდეს არ დასჭირდებოდა ფეთებას, რადგან სულ ხელში ეჭირა და ჩარკნიდა ყველაფერს; ხელებიც ხომ ყოველთვის დაბალთუ-დასერილი ჰქონდა. გარდა ამისა ნალიტამ ყოველთვის მშვენივრად იცოდა გაკვეთილები, ფეთებას კი უფრო ხშირად,

ჩაუხეპირებელი რჩებოდა გაკვეთილები და შველა სჭირდებოდა. ეს იმისთვის კი არა, რომ ბლაგვი გონების იყო, არა! ცელქობა-თამაშობაში იყო გაბმული და არ ეცალა, ვერც ხანგრძლივ ჯდომა-შრომას ეწყობოდა.

ფეთებაც კი უხდიდა ვალს თავისებურად; წინათ თუ ადვილი ხელწამოსაკრავი იყო ნალიტა, უღონო, ეხლა ვინ გაბედავდა იმის დაჩაგვრას!? ფეთება იმ წამსვე იქ გაჩნდებოდა და ელდასავით ეცემოდა თავხედს.

ეხლა კლასში რომ ჩამწკრივდნენ ყმაწვილები, ფეთება გამოხტა შუაზე და მასწავლებლის მაგიდაზე დაიწყო დოლის დაკვრა. ეშხზე მოსულმა ამხანაგებმა ტაში ააყოლეს, სხვებმა საცეკვაოდ გაშალეს ხელები, მაგრამ მასწავლებელმა შემოალო კარები და ჩაუშალა დაწყობილი ქეიფი.

ამ მასწავლებელს ჩვეულებადა ჰქონდა, ჯერ შემდეგისათვის ახსნიდა საჭირო საგანს, მერე გაუგონებდა გაკვეთილს. მასწავლებელმა რომ დაიწყო ლაპარაკი, ნალიტამ კისერი წაიგრძელა და თვალეგაბრწყინვებული სმენად გადაიქცა. ისე ხარბად ჰკრეფდა მასწავლებლის სიტყვებს, თითქო მარგალიტებიაო. ფეთება კი ამ დროს წიგნს ცასჩერებოდა და ტუჩებს ატოკებდა, უხეიროდ დასწავლილ გაკვეთილს იმეორებდა.

მასწავლებელმა შენიშნა ეს, ისიც სენიშნა, რასა სჩადიოდა ფეთება გაკვეთილების დაწყების დროს და გამოუძახა. ფეთება წამოხტა, ეშხიანად დაიწყო, ქვევით და ქვევით ხმა დაუშვა, დაბორძიკდა, ჭირის ოფლი დაასხა; ბოლოს საფანელიც შემოაკლდა და... ნალიტამ იგრძნო იმის მუშტი გვერდში. ის შეჩვეული იყო ამ ნიშანს, მაგრამ ეხლა ჯერ ყური არ შეიბერტყა: წელან რომ ეზოში ოინი უყო ფეთებამ, იმაზე იყო გაჯავრებული. გაუჭირდა ფეთებას. ნალიტას ვეღარ გაუძლო გულმა და დაუწყო ჩურჩულით დავიწყებულის მოგონება. მასწავლებელმა შეამჩნია, მაგრამ ყური მოიყრუა: ორივე იმისი საყვარელი შეგირდები იყვნენ. როგორც იყო ჩაათავა გაკვეთილი მასწავლებელმა რამდენიმე კერძო კითხვა მისცა. ფეთებას ახლა კი აღარ დასჭირდა სხვისი შველა: იმის შესანიშნავ მეხსიერებას და მკვირცხლ გონებას ამისთანა კერძო კითხვებისა არ ეშინოდა.

-კარგი, მაგრამ შენ რომ ეგეთი ერთგული ამხანაგი არ გეჯდეს, თავგები ჩაგითრევენ, -აყვედრა მასწავლებელმა.

-არა, ბატონო, ვერ ცავეტევი სოროში! - მიუგო ფეთებამ.

3

ლამპრები ჩაწეული იყო. ცისფერ ხუფებიდან შეღებილი სინათლე გამოკრთოდა. ოდნავ განათებული საწოლებით სავსე ოთახები გაჰბმოდნენ ერთმანეთს. საწოლები ისე მწიდროდ იდგა შუა-შუა ზღვივს გაეტეოდა კაცი. თავით ჩაჩხირული იყო ტანისამოსის დასაწყობი დაბალი სკამები. ოთახებსი ძალიან მზიმე სუნი იდგა, რადგან საქარეებიდან რიგიანად ვერ იწმიდებოდა ჰაერი, ფანჯრები კი დაეკეტნათ. გათენება მოტანებული იყო. ყმაწვილებს ეძინათ. სულ ბოლო ოთახში კი, კუთხეში, ერთი საწოლი ცარიელი იყო. ამ საწოლის ახლო რამდენსამე ყმაწვილს გამოჰღვიძებოდა და ჩურჩულებდნენ:

-ბიჭო! ჩვენი ნალიტა ამდგარა კიდეც, -თქვა ერთმა და გადახედა ცარიელ ლოგინს.

- დღე იმუშაოს! ხვალაც თუ ხუთი მიიღო, ის გამოვა პირველი.

-არა, ისევ ვალოდის დასწერენ პირველად; სულ ის არის ხოლმე პირველი.

-არამგონია! ნალიტამ ხომ რუსულშიაც ხუთი მიიღო; ვალოდია რომ პირველობს, რუსულის წყალობით პირველობს, თორემ სხვაში აბა რაში სჯობია ამას?

-იმისთვის მაგ საგნით პირველობა რა საკვებარია? რა გასაკვირველია, თავის ენაზე ლაპარაკში ის ნალიტას სჯობდეს? ბიჭი იქნება, სხვა საგნებში წაუაროს წინ.

-ნუ იტყვი, ვალოდიაც კარგი!

-ბიჭებო! იცით მაგ თქვენმა ლაპარაკმა რა გამახსენა? -გამოეხმაურა ფეთება.- ბატონს და იმის მოჯამაგირეს თათრის ოჯახში დაუღამდათ. მოჯამაგირეს ადრიან გამოელვიდა, ნახა, ბალებს დაჰღვიძებოდათ და ჯიყჯიყებდნენ. გაუკვირდა, ბატონს ტოტი წაჰკრა და აცნობა თავის განცვიფრება.

-ბატონო, ბატონო! დახე როგორ სხაპასხუპით ლაპარაკობენ თათრულს! ნეტა ისე პატარებმა სად ისწავლეს!

-ბიჭო, შე ოჯახ დასაქვევო, მაგისთვის როგორ მალვიძებდი? ეგენი ხომ თათრები არიან და თათრები რომ თათრულად ლაპარაკობდნენ, რა გასაკვირველია?! -მიუგო ძილგამფრთხალმა ბატონმა.

სამეცადინო ოთახში კი მისჯდომიყო ფანჯარას, სანთლის შუქზე საგანს იმეორებდა. დღეს უკანასკნელი გამოცდა იყო, და მერე იმ მასწავლებლის საგანში, რომელსაც უყვარდა ეს პატარა, - და უნდოდა თავი ესახელებინა. ძვირათ დასჯდომოდა გატაცებით მუშაობა: ისეთს ფერმქრთალს მიწისფერი დასდებოდა, თვალები ჩაღრმავებ -ჩაშავებოდა.

გამოცდამ ადვილად ჩაუარა: არც კი არაფერი ეკითხათ, რიოდესაც მასწავლებელმა ხმამაღლა თქვა:

-ამ ყმაწვილმა კარგად იცის საგანი, მთელი წელიწადი მუყაითობდა, ნასიამოვნები ვარ მაგისგან!

მაშინვე გაანთავისუფლეს. როცა უკან დაბრუნდა, ბეცრმა ამხანაგმა დაჰნატრა იმას. ფეთებამ ბარაქალა უთხრა და ალერსის ნიშნად გვერდში წაჰკრა. ამ წუთს ნალიტას სიხარულს საზღვარი არა ქონდა, სიწითლეც კი დაემჩნა ლოყებზე.

გათავდა გამოცდა. ყმაწვილებმა გადიყარეს ზრუნვა ამ საგანზე და იმაზე დაიწყეს ოცნება, რა სიამოვნება მოელოდათ სახლსი.

-ბიჭებო, ეხლა ჩემი ლურჯა გზაზე იქნება; მამაჩემი კაცს გამოგზავნიდა. რა ცხენია! ბიჭი უნდა, რომ ის გააჭენოს, -ამბობდა ერთი.

-შენ ჩვენი მერანა უნდა ნახო, რომ მაშინა თქვა. ორ-ორ ნაბადზე ხტება; დოხში დაგვყავს ხოლმე, - დაიკვება მეორემ.

-ბიჭებო, ბიჭებო! ბალს კიდევ მიუსწრებ, მერმე რამდენი ბალი გვიდგა!-თქვა სხვამ.

-მე კიდევ ჩვენი წყალი და ტყე მიხარია. რა კალმახი იცის! ტყე კიდევ ჟოლით არის სავსე. აი ფეთებასთან ამახანაგი უნდა მყვანდეს თან, რომ მთელი ტყე ფეხქვეშ ამოვიდო, - თქვა მეოთხემ.

-ჰო სწორეთ შენთვის მეცლება! - გამოსძახა ფეთებამ, - ვინ იცის, ეხლა როგორ მელის ცემი თოფი; რა ნიშანი იცის!

ნალიტაც იმათში იყო, ისმენდა ამ ლაპარაკს და გულს ბინდი ეფინებოდა: იმას არაფერი არ მიუხაროდა სოფელში.

მზე საშუადღეოს გადასცილებოდა. ცხელოდა. კალოში სალენი ფიწლებით საქვევი გამხდარიყო. ესე დაეხურებინა მზეს ნამჯა, რომ კვერის ქვეშ იფქვებოდა, მოლეჭილი ჩალა არსად ჩანდა. კალო გარს ხარიბებით შემოეზღუდათ. ერთი ცხენით

ლენჯვდნენ. კევრი თოკებით აებათ ცხენისათვის. თოკებზე მონძები ეხვია, ცხენს ბარკლები არ დაცვდესო. ჩამოძონძილ უღეს ქვეშ ჩვარი დაეფინათ. კევრზე ვეება ლოდი იყო დაკრული. ცხენზე ნალიტა იჯდა; პერანგზე ქამარი ეჭირა თავზე ჭრელი ხელცახოცი წაეკრა, ოფლი ჩამოსდიოდა სახეზე. დაღლილიყო, ჰარაქათი გასწყვეტოდა, მაგრამ მაინც გულდასმით ათვალეერებდა სალექს, რომ ყველგან დროზე მოეხვედრებინა კევრი და თანაბრად გაელეწნა. ცხენიც ოფლში წურავდა; თხელი კისერი წაეგრძელებინა, ლაში დაეშვა, ყველა ნაბიჯის გადადგმაზე ქშინავდა.

საზხლის გვერდით ჩრდილოში მიწოლილიყო გაპოხილ მუთაქაზე, გამხდარ-გამხდარი დედაკაცი და ორივე ხელი თავზე მოეჭირა- თავი სტკიოდა. იქვე ბუჩოში თამაშობდნენ პერანგისამარა ბალლები -ერთი სულ პატარა, მეორე მოზრდილი; იქვე იწვა ჭრელი ძალლი, ცხვირი ტოტებ შუა ჩაედო და დაძინებას აპირებდა.

საზხლიდან გამოვიდა მაღალ-მაღალი კაცი; გაბადრულ წვერ-ულვაშში ჩალა-ბზე გაჭხიროდა, ღილებჩახსნილ ახალუხზე ულო ერტყა ხელში ფიწალი ეჭირა. კაცმა მიავლ-მოავლო ნამზინარევი თვალეები კალოს და მერე მზეს გახედა.

-ბიჭო! კარგი, გადააყენე ე ცხენი, ქცევის დროა. მანამ მე უკუქცევ, შენ ცივი წყალი ჩამომირბეინე, -დაუზახა ნალიტას და მიუბრუნდა პატარაებს,-თქვე წუწვიშვილებო, ე არნადი არ გამიტეხოთ, თორემ ტყავს გაგძრობთ!

ნალიტამ ცხენი მიაყენა გვერდზე და ჩამოხდა. ყმაწვილებმა დააგდეს არნადი. ნალიტა სურით და ხოხონით ხელში წყარსკენ წავიდა დედაკაციადგა კვნესით და ფიწალს მოჰკიდა ხელი.

წყარო ხევის პირას ამოჩუხჩუხებდა ხევის ძირში. ხევს ჯირკვები შემოეხვია ანკარა წყლისათვ ის და აუზი გაეკეთებინა. თიტონ ხებში მოზრდილი ნაკადი მოჩანჩქარებდა. შამში და ბუერა მოსდებოდა მიდამოს.

ნალიტას მიუხაროდა წყაროზე, მაგრამ სიარული უძნელდებოდა: ფეხშიშველი იყო, გორახები ფეხებს აჩქლეთდნენ, გზის გადახვევა კი სეუძლებელი იყო, რადგან მარცხნივ შამმძორეული ხევი მოსდევდა, მარჯვნივ ბლაგვებით სავსე ნათიბი. მივიდა. ეწაფა, გაგრილდა. მოსწონდა ნალიტას წყაროზე და კანადის პირას ყოფნა, ტყე-მინდორში სიარული. უყვარდა ბუნების კალთაზე ოცნება; სულითა და ხორცით ისვენებდა აქ. წამოწვებოდა მდელოზე და დაუწყებდა თვალეერებას ყველა ბალახს, ყველა ყვავილს, ყველა ჭიას, რომელიც ცხოვრობდა ამ ბალახ-ყვავილებში უჩინარად და სტკებოდა ტავის არსებობით; მოუნდებოდა შეერთებოდა იმათ ცხოვრებას. ან როცა ტყეში ხის ძირში წამოწოლილი შეჰყურებდა ლაჟვარდ ცას, ათვალეერებდა ამაყად აზიდულ ტოტებს, ნას ყლორტებს, თითქო მისწვდებოდა ხასხას ფოთლების არსებობის მიზანს და დაჰნატროდა, რომ ეგრე უდარდელად სარგებლობდნენ განგებისაგან მინიჭებულ სიცოცხლით.

ნაკად-წყაროს საუბარიც იცის ნალიტამ, ანკარა რომ ჩუხჩუხ-ჩხრიალებს და მიისწრაფება. ნალიტას იტყუებს: ჩავსხლტეთ, ჩავისრიალოთ, ყვავილ-ბალახს მოვეხვივ-მოვესაყვარლოთ, თევზები ვაბან-ვახალისოთ, სხვა ნაკადებს დაუძმობილდეთ, ქვეყნები ვნახოთ, ავამწვან-ავაღაღანოთ, ჩამომყე, ჩამოირბინე!

მაგრამ ნალიტას საოცნებო დრო ერთობ ცოტა ჰქონდა, არ ეცალა. იმისი მამა მუდმივ ცხენზე იყო გაკრული და გარე გარე დამრწონდა ლუკმის საშოვნელად, დედინცვალი ავდმყოფობდა და თავი მოსძულებოდა, თვის პატარებსაც ვერ უვლიდა. მსახური ვინმე ხომ არ ჰყვანდათ და არა; ნალიტა იყო ერთადერთი მორბედი.

-ნალიტ, წადი, ნალიტ, მოდი, აკვანი გადაარწიე, ძროხა შემოაგდე, წყლი მოარბეინე, შეშა მოიტა, საჭმელს მოუმარჯვე. ცოცხი, ცოცხი ნალიტ, სკოლაშიაც გეყოფა უსაქმით გდება! -ესმოდა ნალიტას ყოველ წამს ჰყრთიალი.

ნალიტა ქედმოხრილი ასრულებდა ყველაფერს, მაგრამ იმდენიც რომ აღარ შეეძლო! ბევრჯელ ჩაუკეცნია ტვირთქვეშ, ბევრჯელ გაჩენის დღე უწყევლია., მაგრამ იმისი სახლი ასე იყო მოწყობილი და რას იზამდა.

აი წლეულაც კალოობის შემდეგ ნალიტა პურის რეცხვას შველოდა თავისებს. მთხლად ნაქსოვ ღაზლის ტომარაში ჩაეყარათ ხორბალი, ჩაეგდოთ მდინარეში და ფეხით სჭეკყამდნენ. წყალში ხორბალთან ერთად მიწა-მტვერიც ლბებოდა და წყალს ჭუჭყად გაჰქონდა. ხორბლის რეცხვა, ზიდვა, ფენა, ყარაულობა, საქმე იყო და თუმცა ნალიტაანი ყველანი ებრძოდნენ ამ საქმეს, მაგრამ ყმაწვილი მაინც ძლიერ დაიღალა. სადამოზე ქანცგაწყვეტილი მიეგდო ბანზე. იმ დღიდან ნალიტას ციება დააწყებინა. ისეც გამხდა-გავრეცილი კატების ნატლევს დაეგვანა.

აგვისტოს გასულებში მაინც საქალაქოდ გამოწყობილიყო ნალიტა: თეთრი ხალათ-შარვალი ჩაეცვა, წადები მოენახა, რუსული ქუდი. ბოღჩა შვინდის ჯოხზე აეგო. ნალიტას ხშირად მოუხდებოდა ხოლმე ქალაქში ფეხით სიარული. დაემშვიდობა ყმაწვილებს, დაჰკოცნა მერმე მივიდა ტახტთან და მოკრძალებით შედგა: იქ მისი დედინაცვალი მიწოლილიყო, მუთაქაზე; იქვე იდგა ძმარში გახსნილი სახამებლით სავსე ლამბაქი-თავის ტკივილის წამალი. ყმაწვილი ერთხანს უცდიდა, ეგონა დამემშვიდობებო, ბოლოს გაბედა და უთხრა:

-დედიჯან! აი, ქალაქს მივდივარ.

დედაკაცი წამოჯდა, ამღვრეული, უსიცოცხლო თვალები მიაშტერა ნალიტას, თითქო ვერ შეუგნია რას ებნებოდა დაუთხრა:

-კარგიო! კარგი!

ნალიტა თვალცრემლმორეული გაუდგა გზას.

5

შემოდგომის წვიმა გადალევას აღარ აპირებდა. ისეც მალე რამდებოდა და მოღუშულ ცას უფრო ადრე ჩამოებნელებინა. შეჰლალეს ყმაწვილები სარამოს სამეცადინოთ. ცხრა საათამდინ შემწყვდეულები უნდა ყოფილიყვნენ. ზოგიერთისათვის ეს დრო საკამრისიც არ იყო, რადგან მეცადინეობაში იყვნენ გართული და საათი წუთად ერგებოდათ. უმეტესობას კი ჩვეულებად ვერ გადაჰქცეოდა და ეძნელებოდა ამხნის გატარება. ესენი ზოგი თვლემდნენ, ზოგი წამდაუწუმ კარში გარბოდნენ, ზოგი რასმე ხატავდა, წიგნი კი დაეკეცა, სხვებს საუბარი გაებათ და აინოიში არ მოსდიოდათ, რომ სხვებს მეცადინეობას უშლიდნენ.

ბაასი მეცადინეობის დროს სასტიკად იყო აკრძალული ამისთანა უწყესობაში ბევრჯელ შეენიშნა ფეთება, ბევრჯელაც დაესაჯნათ ის, მაგრამ არ იქნა, ვერ შეეჩვია წყნარად ჯდომას. აი, ეხლაც შეეკრობა ამხანაგები და მოუთხრობდა.

-რომ გადავადექ, ბიწო, ბექს და გადავხხედე ტბას, გული ამიფანცქალდა: ზედ ჯელგა-ჯელგათ დაცურავდნენ იხვები. დავიხარე და გავწიე. მალე ლელიანამდის მივაღწიე. ერთ ალაგას ლელი წყდებოდა და ტბის პირამდინ მარტო ბალახბულახი იყო. გავეკარ მიწას. მივსრიალებ და თან თვალს არ ვაშორებ დედალ-მამალ იხვს, რომლებიც ზედ ნაპირზედ დაცურავდნენ. ცოტაცა და სროლა შეიძლებოდა. წამოვაყენე ჩახმახი. უცებ ბალახებმა შრიალი მოიღეს და ზედ წინ გველი კი წამომიდგა ყირაზე. მერმე რამოდენა! წვივი სისქე კი იქნებოდაი წყეული.

-ამბობენ, მაგისთანა ადგილებში ძალიან დიდი გველი იცისო, ზოგჯერ ჯაგრიანი და რქიანი გველიც უნახავთ; ღამღამე თვალს ათამშებენო,-ჩაურთო სიტყვა სხვამ.

-თმები ყალბზე შემიდგა,-განაგრძო ფეთებამ,-ერთი შევკვლე და იჭექა კიდევ თოფმა. გჰველი მაშინვე უკან გადაიშლართა. მე ჯერ გამოვიქეცი, მერმე ფრთხილად დავბრუნდი და დავხედე: იხლაკნებოდა, თავ-კისერი დაგლეჯილი ჰქონდა საფანტით.

-ამბობენ, ბიჭო, გველს ტყვია არ ასცდებოა,-ჩაერია ლაპარაკში სხვა.

ამ ბაასში რომ იყვნენ შეგირდები, შემოესმათ ამღზრდელის ხმა, რომელიც ფეთებას უხმობდა. გაჩუმდნენ. თავთავიანთ ადგილას დაიფანტნენ. ფეთება ფერნაცვალი გაჰყვარფროსს.

-ეხლა კი მოხვდება ჩვენ ფეთებას,-თქვა ერთმა.

-ჩაამწყვდევენ, -მოიაზრა სხვამ,

-ნახა, თუ არ გამოორიცხეს,-დასძინა მესამემ.

ფეთება მისდევდა უფროსს და დასჯას მოელოდა, უფროსმა კი საავადმყოფოში შეიყვანა ნალიტასთან: ავდმყოფს მოენდომებინა ამხანაგის ნახვა და ექიმსაც უარი ვერ ეთქვა იმისთვის.

ნალიტა ხომ სახლიდან ავდმყოფი ჩამოვიდა, ქალაქში თუმცასწამლობდნენ, მაგრამ სიცხე მაინც არ ჰნელდებოდა. შემდეგ სიცხე-უგემობას ხველა დაერთო და ყმაწვილი საავადმყოფოში ჩააგდო. ეხლა ნალიტა ისე ჩარჩეულიყო, რომ საბანქეშე ძლივსდა ჩანდა. მარტო თვალებად იყო გადაქცეული; ეს ღმობიერი და აზრიანი თვალები ეხლა უფრო უბრწყინავდნენ.

-მოხვედ, ბიჭო!-შეჰკნავლა სიახრულით ნალიტამ და ხელი გაუწოდა.

ფეთებამ რომ დახედა დამდნარ მეგობარს და იგრძნო გამხდარი ცხელი ხელის შეხება, სიბრალულით აივსო, თვალცრემლი მოედინა. უნდოდა ენუგემებინა ავადმყოფი, მაგრამ გული ყელში მოებჯინა და სიტყვა შეუხუთა. ნალიტა კი შედყურებდა იმას სიყვარულით, რადგან ეხლა ამ მეგობარში გახორციელებულიყო იმის ნათესავ-მოკეთე.

[1898 წ.]

ქოჩორა ხე

სოფელი ბლაგვიანი მდებარეობს თბილისიდან ასიოდ ეჯის მანძილზე.მოზრდილი ღელე, როცა მთას უახლოვდება, ფართოვდება, იშლება და მთის კალთის რამდენსამე ნაღარს უერთდება; მთის კალთა რომ თავდება და ღელე იწყება, იქ არის ბლაგვიანი.

სოფელს შუაზედ ნაკადი ჩამოუდის. ეს ნაკადი ვენახებსა რწყავს გაღმა- გამოღმა გატანილი რუებით, თითონ ხევში კი ზაფხულობით ძლივს მოწანწკარებს და მისი დახავსებული გუბეები კამეჩების საყრელადლა ვარგანან ბლაგვიანელები სასმელად წყაროს წყალსა ხმარობენ: კლდის ძირში, სოფლის თავში, რამდენსამე ადგილას გადმოდის წყალი. სოფლის უკან შვინდიან-თხილიანი ტყე იწყება, რომელიც ზევით- ზევით აყრილ ტყეს უერთდება. სოფლის წინ სახნავებია გადაჭიმული. მოსავლიანი ადგილია, მეტადრე თუ ნოტიო გაზაფხული დაუდგა. იქაური სიმდიდრე ხორბალია. თავთუხს სთესენ, შავფხა გვარობს.

ბლაგვიანში, ხევის პირას, განმარტოებით იდგა მიწური სახხლი; მარტო დერეფანიდა ამოჰგლოდა მიწას და ყელი შეეღერებინა სახლის წინ, მარჯვნივ

გაეშენებინათ, მარცხნივ კალო-საბმელი იყო გამართული, წინ ბაკი; შუაზე პატარა ეზოლა დარჩენილიყო. მთელი მიდამო სუფთად იყო შენახული. ყველაფერს გამრჯელი პატრონის ხელი ეტყობოდა.

შუა დღე იყო მოტანებული. ცხელოდა. სახლის პატრონები ჭერს შეჰფარებოდნენ. ქათმებსაც კი ჩრდილი მოეძებნათ და ფიჩხების ქვეშ მიწაში ბუდარაობდნენ. ოთახში დიდ ტახტზე შავებით მოსილი ქალი იჯდა და ახალუხსა ჰკერავდა. იმის გამხდარ სახეს ნაღველი დასჩენოდა. ხანდახან აიღებდა თავს და მოხუცს შეხედავდა, რომელიც მეორე ტახტზე იჯდა იმის პირდაპირ. დიდრონი შავი თვალები აზრიანად დალმობიერად იყურებოდნენ.

მოხუცი პატარა ტახტზე იჯდა ბუხართან. გრძელი, მუქი ახალუხის ზევით ღილები გახსნილი ჰქონდა, შალის განიერი შალვარი პაჭიჭებში ჩაეტანა და ჩახსაკრავის ფოჩები გადმოეფინა. ერთი ფეხი მოერთხო, მეორე წინ გაემოტნა. წინდებით იჯდა, ქოშები ტახტის წინ ეწყო. მოხუცი ერთხანს ჩაფიქრებული იყო. ჯილა წარბები წინ წამოსჯროდნენ. გიშრის კრიალოსანს მარცვლავდა, ნელ-ნელა ათამაშებდა. ბოლოს შეხვდა მომუშავე ქალს და გაეხმაურა:

- კიკოს ახალუხსა ჰკერავ; ჩემო რძალო?

- დიად, ბატონო!

- შეკერე, მოამზადე ყმაწვილი, აგერ მარიამობისთვის იწურება და დრო არის წავიყვანო ქალაქში. ჰაი და ჰაი! რა შეუძლიან დროს? თითქო გუშინ იყოვო, შენს მეუღლეს, ჩემს საცოდავ დავითს რომ ვამზადებდი სასწავლებელში წასაყვანად. “ათასი წელი წინაშე შენსა, უფალო, ვითარცა დღე ერთი...” რამდენი იტირა მაშინ კურთხეულმა შენმა დედამთილმა!.. რა უეცრად გაქრა, შვილო, ჩვენი ნათელი; რა გამოუტყერა ისე მოულოდნელად საღსალამათ კაცს?!

მოხუცმა ამოიოხრა და თავი ჩაჰკიდა. ქალმა უფრო ძირს დახარა თავი და ცრემლი გადმოადგა წამწამზე.

- დარდს ნუ გადაჰყვები, შვილო, - განაგრძო მოხუცმა და თან ბურნუთის კოლოფი გახსნა, - ჩვენი პატარა კიკო დაგვიტოვა იმან თავის სანაცვლოდ; გონებამახვილი და აზრიანი ბავშვია, გულკეთილიც არის; სწორედ თავის მამაა. სწავლა არ გაუჭირდება, იქაც თავს შეიყვარებს ყველას. გაივლის დრო, დაამთავრებს სწავლას და სიხარულით შეგიცვლის სიმძიმის ცრემლებს, მე ხომ მარტო ეგ ბავშვილა მაკავშირებს ამ ცოდვილ ქვეყანასთან.

- ბატონო, ამბობენ, ძალიან ძნელია იქ სწავლა, მასწავლებლები უდიერად ეპყრობიან ყმაწვილებსაო? - შეუკითხა რძალი.

- ჰო, სწავლის ძირი მწარეა, მაგრამ ფიქრი არ არის ამ ყმაწვილისა; “კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავს”. ხომ იცი, რა ეადვილება სწავლა, რა გამჭრიახი გონებისაა! ადვილად შეითვისებს ყველაფერს. ბეჩავი მაგის მამაც ეგეთი იყო, ოღონდ ერთი ყური მოეკრა, ერთი ჩაეგონებინათ რამე, თორემ სეუთვისებელ-გაუგებარი არა დარჩებოდა რა. აკი სახელოვანი კაციც დადგა.

- ამბობენ, ბატონო, ქალაქელები დამშეულებივით არიან, სულ გამორჩენაზე დგანან, ყველას ხელში შესცქერიანო; მეშინიან, ყმაწვილი არ მომიძმივ-შემიციონ.

- ჰო, ქალაქში სიღარიბეს უფრო მეტი სიმკაცრე ეტყობა, ნაკლებულობა იქ უფრო უტეხს კაცს გულსა და თვალს, იქნება იმისთვის, რომ იქ უფრო დიდი მზღვარი სძევს მდიდრებსა და ღარიბებს შუა და თანაც იქ უფრო ბევრია თვალ-გულის მომტაცი ფულით საშოვნელი რამ. ქალაქელები უფრო გულქვავეები არიან, მართალია ეს; იქ ყველას თითქო მარტო თავის თავი ახსოვს; შეიძლება, ერთ შენობაში სცხოვრობდეს რამდენიმე სახლობა, ერთმანეთისა კი არა იცოდნენ რა. მაგრამ მაგისი ნუ გეფიქრება,

შვილო; აი მე ხომ ცხრა თუმანი დამინიშნეს ჩემი ნამსახურობისათვის ულუფად, სულ მაგას მოვახმართო, კარგ ადგილას დავაბინაოთ, ჩვენ კი როგორმე გადავივლით, იოლას წავალთ, ღმერთია მოწყალე.

ქალს გულმა გაუღიმა და მადლობის თვალთ შეხედა მადლიანს მოხუცს.

2

ამ ლაპარაკში იყვნენ რძალ-მამამთილი, რომ ეზოში მოისმა ბრაგიბრუგი და ოთახში შეიჭრა გაჭარხლებული პატარა; ერთ ხელში ლიტრა ეჭირა, მეორეში ყვავილების კონა, ფეხდაფეხ ხტომით ლეგა ძალი შეჰყვა.

- აი, პაპავ, ცივი წყალი, - უთხრა და ლიტრი მიართვა მოხუცებულს. მერე მიუბრუნდა დედას და თაიგული მიართვა:

- დედილო, ნახე, რა ლამაზი ყვავილები დაგვკრიფე წყაროს თავზე!

დედამ სიყვარულით შეხვდა ბავშვს, ძალი შუბლიდან დასველებული თმა გადუწია და აკოცა.

- მერე რა მოგარბინებდა, ბიჭო?! ცხენს გადაუნაცვლე? - შეიკითხა პაპა.

- მერანა კარგ ბალახზე დავაბი, ხედალმა რომ ნათიბია, იქ. ალაბემა მორბოდა და მეც მოვდრვდი.

ალაბემა არა შორდებოდა პატრონს, თვალეში შესცქეროდა და იმასთან ერთად ხან მოხუცთან მირბოდა, ხან ქალთან.

-მამ, ახლა ქალაქშიც წაიყვან, ბიჭო, მაგ შენს ალაბემას,-უთხრა მოხუცმა.-აბა, შვილო, მოიტანე შენი წიგნები, გადავათვალიეროთ, რაც გისწავლია. სკოლაში მასწავლებელთან არ შერცხვე, იტყვიან ეს როგორი შეგნებული ოჯახის შვილია, არც იცის რაო.

ქალაქის ხსენებაზედ ყმაწვილს დარდმა გადაურბინა სახეზე, მაგრამ მალე გამხნევდა, მამაცად მივიდა ხატის წინ რომ თახჩა იყო წიგნები გადმოალაგა: ვაჟკაცი იყო, ჯავრს ვერ შემცნევდა, გადაშალა დავითნი და დაიწყო: «უფლისა არს ქვეყანა და საკსება მისი, სოფელი და ყოველნი».- და ჩაათვა ბოლომდის.

- დიად, რომ უფლისაა ყოველი, იმის შექმნილია ხილული და უხილავი! -განმარტა მოხუცმა და ჰკითხა:

- არ არის ქვეყანა?

-ქვეყანა ჰქვიან ყველაფერს, რაც კი შექმნილია ღვთისაგან, ხილული და უხილავი.

- ის რა ქვეყანაა, უხილავი რომ არის?

- ანგელოზების სავანეა. ზეცის ძალთა გუნდები სცხოვრობენ იქ: საყდარნი, სერაბინნი და ქერაბინნი, ეფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი, მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.

-რამდენ დღეს შექმნა ღმერთმა ქვეყანა?

-ექვსს!- და სულ თითებზე ჩამოუთვალა, რომელ დღეს რა გაეკეთებინა ღმერთს; თან თავმომწონედ გადახედა დედას, - აი არც ერთი არ შემეშალა, რაც დილას შენ მომაგონეო.

-პირველ კაცს რა ერქვა?

- ადამი! იმისაგან წარმომდგარა ხალხი დედამიწასა ზურგზე და ის ყველას მამამთავარია.

-კიდევ ვინ იყვნენ მამამთავრები?

- აბრამი, ისაკი, იაკობი და კიდევ ქართლოსი, ჩვენი მამამთავარი.

- მეფეები?

- დავით, სოლომონ, ალექსანდრე მაკედონელი, მირიანი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ირაკლი.

-რითი ისახელეს თავი?

-დავით მეფემ დავითნი დასწერა, სოლომონი ბრძენი იყო, ალექსანდრე მაკედონელი დიდი მეომარი იყო, მირიანი ჩვენი მეფე იყო, ქრისტიანობა იმან მიგვაღებინა.

-ის რომელი მეფე იყო, რომ საქართველო ინდოეთშიაც კი ასახელა?

-ვახტანგ გორგასლანი იყო! იმან თითონ მოკლა ინდოეთის მეფე; ბაღათარ გმირიც იმან მოკლა და წყალს მისცა:

ბაღათარ წყალსა მიეცა,

აღიხოცა ოსთა ჯარი...

-აბა, თამარის ლექსი სთქვი.

თამარს ვაქებდეთ მეფისა

სისხლისა ცრემლდათხეული,

ვსთქვენით ქებანი...

-სადა სწერია ეგ?

-»ვეფხისტყაოსანში«, შოთა რუსთაველის წიგნში. აი კიდევ სხვა ლექსი:

უბის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,

ისპაანს დევდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე...

-ერეკლეზე რაღა იცი?

-გმირთაგმირი იყო და მამა ქართველებისა. აი, იმაზე ლექსი:

აღზდექ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია...

და როცა ყმაწვილმა სთქვა: «აწლა გამოვცნოთ, მოძმენო, ვინც და იქმს ერეკლობასაო», მოხუცმა სთქვა, აკი ვერავინ შესძლო ერეკლეობაო.

-მოციქულები?

-ანდრია, პეტრე, იოანე, ნინო ქართველთ განმანათლებელი.

-წმინდა ნინოს რაღა ჰქვიან ქართველთ განმანათლებელი?

-იმიტომ ჰქვიან, რომ მირიან მეფესა და ქართველებს თურმე იმან მიაღებინა ქრისტიანობა. უწინ ჩვენ წარმართები ვყოფილვართ და კერპები გვყოლია არმაზი, გაცი და გაიმი,

-როდის მოხდა ეგ ამბავი?

-მეოთხე საუკუნეში.

-ეხლა რომელი წელიწადია ქრისტეს აქეთ? დამიწერე!

-ათას რვაას სამოცდახუთი- ჩყიე.

-ასოებით კიდევ რასა ვანგარიშობთ?

-ფულს!

-ეს რა ფულია?

-ორაბაზიანი უ ზის.

-მანეთში რამდენი აბაზია?

-ხუთი!

-უზალთუნი?

-ათი!

-ათჯერ ათი რამდენია?

-ასი!

-ასის მეოთხედი?

-ოც და ხუთი!

-მთავრის ანგარიში გახსოვს?

-დიალ, ბატონო! იანვარში ისე უნდა დავთვალოთ: იანვარი, იანვარი, იანვარი, ნიადაგი და თავისტავი; ზედნადებიც უნდა მივათვალოთ, თვის რიცხვით. თუ ოცდაათზე ნაკლები გამოვიდა, მთვარე იმდენი დღისა იქნება, თუ მეტი, მაშინ ოცდაათი უნდა გამოვაკლოთ და რაც დარჩება, იმდენისა იქნება მთვარე, სხვა თვეებში იანვარი ერთხელ იხსენება, ესე: იანვარი, თებერვალი, მარტი...

-კარგი, აბა, მიჩვენე რა გადასწერე.

ყმაწვილმა ამოიღო რვეული და «გვირგვინი». ამ წიგნში რომ თხრობაა, «ტავის განმსყიდველისა და მოწყალეობად მიმცემლისათვის», ის თხრობა გადაწერე.

მოხუცმა შეიბა სათვალეები და ჩათვალა რვეული.

-ბარაქალა! მიგიმსგავსებია; ბოლოს კი ცოტა აჩქარებულხარ. ზღაპარი დაისწავლე რამე დღეს?

-დიალ, ბატონო, დედამ ჯომარდისა და ნამარდის ზღაპარი მიაძმო.

-კარგი, შვილო, ზღაპარი და გამოცანები ამაღამ მითხარი; საგალობელიც მაშინა ვთქვათ, - უთხრა მოხუცმა და ჯვარი გადასახა.

ყმაწვილმა ხელზე აკოცა პაპას, ჩაალაგა წიგნები, სემოტრიალდა ქუსლზე და კარს ეცა. ალაბემა რომ აქამდინ დინჯად იწვა კარის ბჭეში და გულმოდგინეთ ყურს უგდებდა წვრთვნას, ეხლა წამოვარდა, ხტომით გაჰყვა ცელქს: იცოდა, რა კარგი იყო შრომის შემდეგ ხალისი.

-ნიწიერი, ღმერთმა აკურთხოს; ეს ყმაწვილი გვასახელებს; მაინც ჩვენ გვარს სწავლა ეხერხება, - სთქვა მოხუცმა დაფიქრებით.

დედას სიამოვნების ღიმილი უქროდა სახეზე.

-სადილობის დრო ჯერ არ არის, ჩემო რძალო?

-გახლავსთ, ბატონო! - მიუგო ქალმა და გადადო საკერავი ნაალზე.

3

მზე გადახრილი იყო, როცა კიკო და პაპა ტფილისში შევიდნენ. მერანზე ისხდნენ, კიკო უკან იჯდა, უხერხულად კი გრძნობდა თავს, რადგან გატენილი ხურჯინი მუხლებზე ეხეხებოდა.

პაპას სუფთა ანაფორა ჩაეცვა, წოწოლა ბუხრის ქუდი ცოტა უკან გადაეწივნა, შუბლი გამოეჩინა, განუშორებელი ქოშების მაგიერად წალები ეცვა. წითელტარა შვიდ ტოტიანი მათრახი ეჭირა ხელში.

დიდ საბაჟოს რომ დაუახლოვდნენ, კიკოს ცხვირში საზარელი სუნი ეცა: ჩამჟავებული პურისა, ჩამპალი კომბოსტოსი, წალებისა, ლობიანი მაზარებისა და კიდევ სხვა განსაკუთრებული ბუღისაგან შეზავებულმა სიმყრალემ ცუდად აუჩუჩუნა სუფთა ჰაერის ნაჩვევი ნესტოები. გაიხედა და ერთ გრძელ სახლში ჭიანჭველასავით ირეოდნენ ჯარისკაცები, შედი-გადიოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ილანძლ-იკრიჭებოდნენ. ის საძაგელი ბული იმათი სადგომის კარ-ფანჯრიდან გამოსჩქროდა, არ უამა პატარას.

ითანზაზარში და მოედანზე ხალხი რომ აირია, ყმაწვილი შეკრთა; ფეხებს მაგრა უჭერდა ცხენს, პაპასკენ იწევდა წინ: იმისთვის პაპას ზურგიდა იყო ერთადერთი საიმედო ნავი ამ ხალხის ზღვაში.

მეჩუსტეების ქუჩაში უფრო სიწყნარე ჩამოვარდა და ყმაწვილმა თვალიერება დაიწყო; გაუკვირდა: ეს რამდენიმე ქოშჩუსტი შეუკერიათ, რამოდენა ფეხშიშველა ხალხს შემოსავსო!..

სიონის ქუჩაში ეტლები, ურმები, ცხენები, ქვეითი ხალხი ერთმანეთში დომხალივით არეულიყო, გზას არ იძლეოდნენ; ძლივს გაახჭიეს. გავიდნენ მიყრუებულ ქუჩებში. ერთ მაღალ ფანჯარაზე ტანგაკრეჭილი თავბანჯდვლიანი ფინია გადმომდგარიყო, იყეფებოდა. კიკოს გაეღიმა: ჩემ ალაბემას ეს წუწკი ლუკმადაც ხომ არ ეყოფაო.

მანამ ხალხით სავსე ქუჩებზე მოდიოდნენ, პაპა ჩუმად იყო, მარტო იმასა ცდილობდა მარჯვედ გაეარნა, რომ მერანას არავინ შეჭხლიყო, ან არავის დასჯახებიყო ის: ფიცხი ცხენი იყო, ქალაქს შეუჩვევარი და ეშინოდა. ხალვათ ადგილებში რომ გავიდნენ, მერე კი ქუჩებს დაუწყო მოხუცმა თვალიერება და სულ ჰკვირობდა, ეს ჩვენი ქალაქი რა სწრაფად იზრდება და მშვენიერდებაო, ყველა მიღეთის ხალხი აქეთ იწევსო.

მივიდნენ. ჩამოსხდნენ. სახლიდან ვიღაც ბანჯგვლიანი შავი კაცი გამოვიდა მოკლე, ძალიან მოკლე ტანისამოსში, მოიკითხა მგზავრები და ხურჯინი დაითრია.

ცხენი რომ დააბინავეს და დაბრუნდნენ, პაპა სხვაგან წავიდა, პატარა კი შინ დასტოვა. კიკომ მიიხედ-მოიხედა, დაათვალიერა თავისი ახალი ბინა: ოთახის ორივე ფანჯარას სხვა სახლის ყრუ კედელი აჰფარებოდა, კარი და მესამე ფანჯარა პაწაწინა მურდალ ეზოს გადასცქეროდნენ, ეზო კი არა, რაღაც ხარო იყო, ნესტიანი კედლებით შემოზღუდული. შევიწროვდა ბავშვი, მარტოობა და ტყვეობა იგრძნო, გული დაეხშო, თვალს ცრემლი მოედინა, ატირდა. ის ბითუმი კედელი, რომელიც ფანჯრებს ვაგლახად აჰყუდებოდა წინ, თითქო პატარის ცხოვრების გზას გადაჰლოებოდა და ბედი დაეხშო მისთვის.

4

მეორე დღეს ადრე ადგნენ პაპა და კიკო, სუფთად გამოეწყვნენ, ახსენეს ღმერთი, წავიდნენ სასწავლებელში. დარბაზი სავსე იყო ყმაწვილებით, გმელ მერხზედ ჩამომწკრივებულიყვნენ. ჩამოჯდა კიკოც, მაგრამ სკამსა და იმაზე მიკრულ საწიგნეს შუა იმოდენა მანძილი იყო, ყმაწვილი წიგნს ვერა სწვდებოდა; თანაც საწიგნე მაღალი გამოდგა, თითქმის მთლად დაფარა პატარა. გაუკვირდა: ეს რა ჯურის ავეჯი სცოდნიათო. დარბაზის კედელთან დიდი მაგიდა იდგა წითელ მაუდ-გადაფარებული, ზედ ეწყო საწერ-კალამი, წიგნები, ფანქრები, შიმშა, ზანზალაკი.

-ნეტა ეს ზანზალაკი რაღად უნდათ?- გაიფიქრა კიკომ.

მაგიდასთან სავარძელში ცკმუტავდა წამოწარხლებული ქერა კაცი, თმა აბურმგნოდა, გატყაპნილ განიერ სახეზე პაჭუა წითელი ცხვირი მოუსვენრად იძროდიფხლიკებოდა, ად-ჩადიოდა; თეთრი თვალები შფოთავდნენ, დაუცხრომლად გადრბოდნენ, ვერ წყნარდებოდნენ. ხელში ლორნიოს ათამაშებდა, ოქროს ძაფით ყელზე ჩამოგდებულს, მალ-მალ ცხვირთან მიჰქონდა, მაგრამ ღილივით ამომჯდარი ცხვირი მას ვერ მშვენებოდა. ყელწაკვერცხლილ წალამაზებულმ წულებიდან აბრემუმის ჭრელი წინდები მოუჩანდა; ფეხს ანძრევდა, წულას ატოკებ-აჭრიალებდა.

მარჯვნივ შავგვრემანი მღვდელი ეჯდა სუფთად ჩაცმული როცა უფროსს უებნებოდა რასმე, ყურში ჩასჩურჩულებდა, თან ფაქიზ ხელს პირზე იფარებდა.

-ნეტა ეს მღვდელი რა საიდუმლოებას ელაპარაკება ამ კაცსო, -გაიფიქრა კიკომ.

მარცხნივ ეჯდა წვერშეკვერცხლილი კოპწია ახალგაზრდა, კოხტად ჩაცმული. ხშირი თმა ეყარა, მარჯვედ აკრეჭილ-ალამაზებული. ღიმილში ტუჩების ქიმები მაღლა

ეწეოდა, ალმასივით კბილები უჩნდებოდა: ღიმილი ღრინვას უგვანდა. ეს კაცი მოეწონებოდა პატარას, რომ იმისი თვალების სისასტიკეს არ დაეფთხო ის.

ყმაწვილებს თავს დასტრიალებდა მშვენიერი ხუჭუჭი გძელი თმით შემკული ახოვანი ვაჟკაცი. შენიშვნებს რომ ამღევდა, ლომივითა გრგვინავდა; დიდრონ თვალებს რომ გადმოუტრიალებდა, გეგონებოდათ, ჩანთქმა ჰსურს პატარებისაო. ეს ჩვენი ამზდელიო, წასჩურჩულეს კიკოს, ეგრე საშიში ჩანს, თორემ კეთილია, ჯავრის ჩაყოლა არ იცის, ადვილად არავის დალუპავსო.

გაიწვრიალა ზანზალაკმა, დაიწყო გამოცდა. კიკოს უნებლიეთ გული აუფანცქალდა; მიიხედა კარებისკენ, უნდოდა პაპა დაენახნა, მაგრამ დარბაზში აღარც ის იყო, აღარც სხვა გარეშე ხალხი: უცხოები სულ დაეთხოვნათ.

-ნიკოლაი კანცაროვ! - ამოიკითხა უფროსმა.

კიკომ მიიხედ-მოიხედა, ნეტა ვის ემახიანო.

-ნიკოლაი კანცაროვ! - მოისმა გაჯავრებით.

-მე ყანწარაშვილი გახლავარ, ბატონო, კიკო ყანწარაშვილი, - მიუგო ყმაწვილმა.

მასწავლებელმა ისე გაიღიმა, თითქო ღრინავსო. მღვდელმა ხელი აიფარა და რაღაცა წასჩურჩულა უფროსს. უფროსი აინთო. შესძახა.

-დახე! სახელი და გვარიც არ იციან! ოჯახებიდან კი არა, ტყიდან არიან გამოსულები...

გამოიყვანეს. პაჭუამ ახედ-დახედა ყმაწვილს და შეუტია, წამოხტა, ჩოხის კალთას ხელი წაატანა, ახალუხს თითი წაჰკრა. ყმაწვილი შეკრთა და კალთებზედ დაიხედა, ცუდად ხომ არა მაქვს რაო, მაგრამ რუხი სკლატის ჩოხა, ჩოხასთან შეხამებული შალვარი და ახალუხი, კობტა მესტები, ბუზმენტის ქამარი ყველაფერი რიგზე და ლაზათიანი იყო; ეს იყო, ხანჯალი არარ ამშვენიებდა ტალავარს, პაპამ დილას შემოახსენებინა, მოსწავლეს არ შეშვენისო. უფროსი კი უფრო ბრაზდებოდა და სხვა ყმაწვილზე უთითებდა, რომელსაც თეთრი ტილოს ხალათი ეცვა.

-ჩოხა-ახალუხში რომ გამოწყობილხარ და ბუზმენტის ქამარი შემოგირტყამს, იმაზედ გიჯავრდება, იმ ყმაწვილივით უნდა ჩაიცვა,-გადაუთარგმნა აღმზრდელმა.

გაუკვირდა პატარას: ამ ბიჭს ეს რა ტოპრაკი აცვია, ან რა მოსაწონია, ან გასაჯავრებელი არ რა არისო.

ბოლოს წიგნი მიაჩქეს ხელში და თითი დაუდეს ერთ ალაგზე, წაიკითხეო. კიკოს გაუხარდა, ეხლა კი გამოვიჩენ ჩემს სწავლა-ცოდნასაო, მაგრამ იმის საუბედუროდ, წიგნი ქართული არ გამოდგა, უცხო ენაზე იყო დაწერილი. გაჩერდა. სახეზე სასოწარკვეთილება აღებუქდა.

-არ იცის! ასოც არ იცის!! ჩამოჰყავთ ვეება ვაჟკაცები, არაფერი კი არა იციან რა! ნამდვილი ნადირები არიან...- ბობორაქობდა უფროსი, - ცასწერეთ დაბალ მოსამზადებელ კლასში!-უბრძანა მღვდელს.

-პატარავ! შენ არაფერი არა გცოდნია რა და სულ დაბალ კლასში მიგიღეს, - უთხრა მღვდელმა.

კიკოს ეწყინა, როცა უთხრეს, არა გცოდნია რაო, ვიციო, მიუგო და ჩამოუთვალა, რაც იცოდა. მღვდელმა პირზე ხელი აიფარა და ჩასჩურჩულა პაჭუას.

-დახე მაგას!-შესძახა იმან და აღმური აუვიდა. - ვიციო! რა იცი? არაფერი არა იცი რა... ის უნდა იცოდე, რასაც გთხოვენ! ვისთანა ჰბედავ ლაპარაკს? ხმა-მეთქი!..

-შენი შეგირდი იქნება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე მაგას! - უბრძანა მასწავლებელს.

-მაგაზე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო!- მიუგო იმან და გაუღიმ-გაუღრინა.

ის იყო ირიჟრაჟა, კიკომ რომ გამოიღვიძა და შეიშმუშნა. ჩათბუნებულს ლოგინიდან ადგომა ეძნელებოდა. ციოდა. ჰყინავდა. სიცივეს თავი ეპოვნა და თავისუფლად ეცელქნა ოთახში. შუშებზე შტოები გამოეყვანა. მრავალი ფოთოლი მოექარგნა. ან კი რა დაუშლიდა? მე ვიცი, ანთებული ბუხარი შეაკრთობდა!

ეძნელებოდა კიკოს ადგომა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, მანამ ჩაიცვამდა და სასწავლებელში მივიდოდა, გაკვეთილები კიდევ დაიწყებოდნენ. გვიან მისვლისათვის კი ისეც, ვინ იცის რამდენჯერ დაუსჯია ოსტატს. მაინცდამაინც რა ენაღვლებოდა ოსტატს, თუ სახლის პატრონი სარფის გულისათვის განაპირას დაბინავდებოდა და ყმაწვილი ვეღარ მოასწრობდა სასწავლებელში დროზედ მისვლას? რა იმისი საქმე იყო ეს?

ადგა, მოემზადა, პური მოიტეხა. წიგნებს რომ აწყობდა აბგაში, უნდოდა გაკვეთილები გადაეთვალეირებინა, მაგრამ აღარ გადაშალა; გუშინ ისეც ბევრი, ძალიან ბევრი იკითხა. თუმცა მაინც ვერა შეიგნო რა, ვერა დაისწავლა რა. რომ არ იცოდა რასა კითხულობდა, რომ არ ესმოდა წაკითხული, როგორ დაისწავლიდა?!

გზაზე სიცივემ ძალა უყო ყმაწვილს, ფეხი ააჩქარებინა. კუკის ხიდზე ქარმა სასტიკად დაუბერა, სახე-ყურები დაუშხიპა, გაამწვავა, მაგრამ კიკო მაინც შედგა ცოტა ხანს და გახედა კრწანისის კლდეს. ხრიოკ მთის წვერზე რომ ქოჩორა ხე იდგა, ის ქოჩორა ხე მოჩანდა ხიდიდან და იმის დანახვა მოსწყურდა პატარას. იმ ხესთან გადადიოდა ბლაგვიანისაკენ მიმავალი გზა. სოფლიდან მომავალი იმ ხეს რომ მოახწევდა, მთელი ქალაქი ხელისგულივით გადაეშლებოდა წინ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადაგედგათ უკან, ქალაქი მიეფარებოდა, წინ სოფლები და სოფლის გზა გადიჭიმებოდა. ბევრჯელ გასჭირებია ყოფა, ბევრჯელ დასჩაგვრ-ასტირებია გული. თავის ყუთში იმ ქოჩორა ხის რტოც კი ჰქონდა შენახული და ხანდისხან დახედავდა, როგორც რამ საიმედო საუნჯეს...

გაიხედეთ, ერთი გაიხედეთ, ნეტა იქვე დგა გამარტოვებით. ობლად და თან შეუპოვრად ის ქოჩორა ხე, თუ დრომ იმასაც მოუსპო ყოფა!..

კლასში რომ შევიდა კიკო, უფროსმა შეგირდმა, რომელსაც ის ებარა, გაკვეთილები გაუგონა, მაგრამ ყმაწვილმა ვერც წაიკითხა რა, ვერც საანგარიშო გამოთვალა. დასწერეს, კანცაროვმა გაკვეთილები არ იცისო.

გაისმა ზარის ხმა, ყმაწვილები დასხდნენ თავიანთ ადგილას; კიკო და ატიოდე სხვა ბიჭი კი კედელთან ჩამომწკრივდნენ დაჩოქებულები. ყმაწვილმა გადაავლო თვალი დაჩოქილებს - ყველანი იქ იყვნენ, ვინც თითქმის ყოველთვის ერთად ეჩოქნენ, ერთიდა აკლდა, გაიფიქრა, ალბად დღეს ხილი რამ მოუტანია მიჩენილ ამხანაგ უფროსისათვის, თორემ ისიც ხომ ეხლა ჩვენთან უნდა იყოსო.

შემოვიდა მასწავლებელი. თქვეს ლოცვა. ოსტატმა ერთი გადაავლო თვალი შეგირდებს, ამოიღო ნიშანი ზოგიერთი და დაჯდა. ამოაწყო დავთრიდან ქალაღები, დაიწყო წერა. ყმაწვილები დაინაზდნენ, - იცოდნენ, შავი დღე დაადგებოდა იმას, ვინც თუნდა უნებლიეთ დაარღვევდა სიჩუმეს: სხვადასხვა თხოვნებისა და საჩივრების ფასით წერას იყო მიჩვეული და ამეების საწერად მარჯვე დროდ მიაჩნდა გაკვეთილებისათვის გადადებული საათები. მართლა და, რა უნდა გაეკეთებინა იმოდენა ხანს? მთელ ოთხ-ხუთ საათს ბევრჯებს ხომ ვერ შეაღვედა?! ან კი რას ეყოფოდა რაღაც ოთხი-ხუთი თუმანი თვეში, რომ სხვანაირადაც არ ეშრომნა ფულის საშოვრად?

-ნეტა ზარის დარეკამდინ მაინც წეროს!-ნატრობდნენ ყმაწვილები.

და თავისუფლად მიხედ-მოხედვასაც ვერა ბედავდნენ. ოსტატმა თვალი არ შეგვასწროს, შავი დღე არ დაგვაყენოსო.

ოცი წუთილა აკლდებოდა გაკვეთილების გათავებას, როცა მასწავლებელმა გადადო კალამი, დაიძგიფ-დაიტკაცუნა გადჭდომილი თითები, გაიჭიმ-გაიზმორა და ოდნავ მიავლ-მოავლო შეგირდებს თვალი; აიღო, ჩაიკითხა ქალაქის ფარატინი, რომელზედაც აენიშნათ მყუდროების დამარღვეველი ყმაწვილები. რამდენიმე თავჩაღუნული ყმაწვილი თავისთავად წამოდგა წინ.

-რამდენჯერ მიბრძანებია თქვენთვის, ჩემ შემოსვლამდინ კრინტი არ დამრათ-მეთქი! იმ დღესაც თქვენი ჟღვიღხივილი გამგეს გაეგონა. დაიჩოქეთ! მოვიცლი თქვენთვისაც...

ყმაწვილმა აასრულეს ბრძანება.

მასწავლებელმა ახედ-დახედა დასჯილებს, გაუღიმ-გაუღრინა და დაიძახა:

-ნიკოლაი კანცაროვ!

კიკო მივიდა მასწავლებლის მაგიდასთან.

-რატომ არ დაგისწავლია?

-გუშინ ბევრი ვიკითხე, ბატონო, წუხელაც ვკითხულობდი.

-ვნახოთ! წაიკითხე.

-»ავდოტია პეტროვნა«...

-ავდოტია.

-»ავდოტია პეტროვნა ზიმინა ბილა ნეზდოროვა ი ნე«...

-ბილა ნეზდოროვა... - წაიკითხა თავიდან!

-»ავდოტია პეტროვნა ზიმინა ბილა ნეზდოროვა ი«...

-ბილა! ბილა-მეთქი... - შეღრიალა ოსტატმა და გაუშალა ყბაში. -ამდენი ხანია სასწავლებელში გდიხარ და კითხვაც არ იცი ჯერ. რა თქვენისთანა გამოყრუებულების საქმეა სასწავლებელი? მეხრეებად უნდა ეყარნეთ, მერხეებათ...

ოსტატი მოეტია ახლა სხვებს, მაგრამ იმათ ბედზე გაკვეთილი გათავებულებო და ზარმა გაიწკრიალა. მთელმა კლასმა თავისუფლად ამოისუნთქა. კიკო კი ტიროდა და საგონებელს მისცემოდა.

-დედა იწერება, ისწავლე, ნუ ცუდლუტობო, პაპას სიბერე დაერია, ავადმყოფობს და წყალს ნუ მიგვცემ ნურც ჩვენ, ნურც სენ თავსაო. თითქო არ მინდოდეს სწავლა, თითქო არ ვცდილობდე! გუშინ, ვინ იცის, რამდენჯერ წავიკითხე გაკვეთილები, მაგრამ რომ არ მესმის. ნეტა მესმოდეს, თორემ როგორ არ დავისწავლიდი. როცა პაპა მასწავლიდა, განა ვერა ვსწავლობდი? ახლა ეს წიგნებიც რომ შემძულდა! რა საზარელი სუნი ასდით!.. სოფელში რომ წიგნები მქონდა? ახ, რა მიყვარდნენ ისინი! რა კარგ რამეებს მიაძობდნენ ხოლმე! პაპასავით დინჯად ჩამაგონებდნენ, დედილოსავით ტკბილად მეუბნებოდნენ.

6

მოწმენდილი ღამე იყო, ვარსკვლავები კრთოდნენ, ციმციმებდნენ. მთვარე გუნებაზე მოსულიყო და ეღიმებოდა, პირს ციაგი ეფინებოდა; იმისი პირის ნათელი შავ დედამიწას ეფრქვეოდა, გულს უნათებ-ულარებდა, კაემანს უკუუყრიდა, უქარვებდა. გულკეთილ მნათობს კიკოს სადგომის დახშული ეზოაივანიც არ დაჰვიწყებოდა, იქაც გაეგზავნა ტავისი შუქი, დეე, ის ეზოც მე შემომხაროდეს, ჯურღმელივით პირი ნუ

მოუქუშავს, ერთ წამს მაინც განათლგაბრწყინდესო. შუქი ჩაფრენილიყო: კიკო რომ ზღაპარს ისმენდა, იმ ზღაპარს ისიც მოეხიბლნა, დაეტყვევებინა.

ზღაპარს ეუბნებოდა კიკოს ბეკო,-ეული, გადაგებული ხნიერი ბეკო, რომელიც ეხლა კიკოს სახლის პატრონს შეხიზვნოდა. ის ეუბნებოდა საღამ-საღამოობით ყმაწვილს ზღაპრებს, ამბებს, თავგადასავალს. მემრე რამდენიმე რამე იცოდა, სად არ ყოფილიყო, რა არ ენახა, რა არ გამოეცადა!

უნდა გენახათ, რა ხალისით ისმენდა კიკო: თვალეზი აენტებოდა, სულს განაზავდა, ყურადღებად გადაიქცეოდა; წმინდად აკრეფდა, რაც უნდა დიდი თხრობა ყოფილიყო, სიტყვას არ გამოსტოვებდა, არ შეშლიდა. ბეკომ მუყაითი, ნიჭიერი მსმენელი იპოვა და წახალისდა: სულ ახლებს მოუთხრობდა, ხალხურ ლექსებსა და გამოცანებს ასწავლიდა.

-ახლა უნცროსმა ძმამ გასტყორცნა ისარი და გაჰყვა თან, -ამბობდა მთვარის შუქით გაბრწყინებული ბეკო, -ისარი ერთ ხრიოკ ადგილას დარჭობილიყო. მიიხედ-მოიხედა და თქვა, ეს რა ბიამანი ადგილი ყოფილაო, მე აქ ჩემ სამებარს როგორ ვიპოვიო. დალონდა. წამოწვა დასასვენებლად. რომ წამოწვა, ვნახოთ დედამიწიდან გმინვა მოესმა. ახლო ერთი უშველებელი ლოდი ეგდო, გმინვა იმ ლოდის ქვეშიდან ამოდიოდა, გაუკვირდა ეს...

-ბიჭო, მაგ ზღაპრის გუდას რომ მისჯდომიხარ და ამბებს შეექცევი, გაკვეთილები კი დაისწავლე? შენ პატრონსა ჰგონია, შვილი სკოლაში მყავს, კაცად იქცევაო. ზღაპრები თუ გინდოდა, აქ რაღა მოგარბენინებდა, სოფლის ბოსლები იქ არ იყო?-მოესმათ უეცრად სახლის პატრონის ხმა.

-რა ვიცი, რაც ამ დღე ეს ბავშვი კითხულობს! სულ წიგნს კი ჩასჩიჩინებს და, - მიესარჩლა ბეკო.

-ჩასჩიჩინებს, მაგრამ ალბათ, თავში არა რჩება რა, - მიუგო მასპინძელმა და მიუბრუნდა კიკოს.

-ბიჭო, თქვენი სამღვთო წერილის მასწავლებელი შემხვდა და მითხრა შენზე, მაგისტანა ჩერჩეტ ბავშვს ძნელად შევხვედრივარო. ისწავლე! ყოველ წელიწადს ქრთამით და ზღვნებით ხომ არ გადაგიყვან.

მოშორდა მასპინძელი. ბეკოს უნდოდა განეგრძო ზღაპარი, მაგრამ კიკო სმენის ეშხზე აღარ იყო: გაკვეთილებისა და მასწავლებლის გახსენებამ ფრთები შეაკვეცა მის ოცნებას და ძირს დასცა, შემუსრა. მთვარის შუქსც არ უამა ზღაპრის უეცრად შეწყვეტა და გულნაკლული მოშორდა აივანს.

კიკო ხელახლა მიუჯდა წიგნებს, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ასჯერ, ათასჯერ იმეორებდა რარაც მისთვის გაუგებარ სიტყვებსა და ფრაზებს. მაგრამ ეს სიტყვები და ფრაზები სულ უცნობი იყვნენ მის გონებისთვის და ვერ შესთვისებოდნენ იმას, მოუმზადებელ-შეუფერებელი ნიადაგი ხვდებოდათ იმათ და ფეხს ვერ იკიდებდნენ, სხლტებოდნენ; იმის ტვინში ვერ ეპოვნათ სავანე და უფრთხობდნენ იმას, ეპნეოდნენ, ევანტებოდნენ. მოქანცულმა ყმაწვილმა რომ დაიძინა, იმ უცნაურმა სიტყვებმა და ფრაზებმა ხორცი შეისხეს, გარს შემოეხვივნენ პატარას სხვადასხვა უმსგავსი სახით, აზიებდნენ იმას, ზიზღზე მოჰყავდათ, აწვალებდნენ და თან ხელიდან უსხლტებოდნენ, არა ნებდებოდნენ, სიცილ-ხარხარით თავს ევლებოდნენ, ელმიჭებ-ეპრანჭებოდნენ, აწამებდნენ.

იურთი შემოჰკრეს, როცა კიკოს გამოელვიდა. რა ძალიან უამა, რომ სასწავლებელში წასასვლელად ადგომამდის კიდევ დრო იყო დარჩენილი! გადაბრუნდა ლოგინში, თვალეზი მოისრისა და არ უნდოდა ისევ ჩასძინებოდა; ჰსურდა დამტკბარიყო იმ თავისუფალი საათით, რომელიც იმას შერჩენოდა ძილისა და საზარ საქმეზე

დადგომამდის. ეხლა იმას სწავლა აუტანელ ტვირთად მიაჩნდა,-ისეთი სწავლა, რომელშიაც ის შეაბეს: შეუგნებლად ზეპირობა, შეუსმენელის გაუგებრად განმარტება, უცხოსი უცნობით ახსნა და თან შხრთიალი, შხრთიალი. ესეთი სწავლა იმის გონების ნიადაგში საზრდოს ვერა პოულობდა, ფესვს ვერ იმაგრებდა, იმის გულს წყვილიადივით ეფინებოდა, მთლად იმის ბუნებას ამახინჯებდა. ყმაწვილმა შეიძულა სწავლა, შეიზიზღა სასწავლებელი, რომელიც დედინაცვლობას უწევდა მას, რომელიც პურის მაგივრად ქვას მიაპყრობდა, რომელიც თევზის მაგივრად გველს აწვდიდა; მთლად მისმა არსებამ უარყო ესეთი შეუსაბამო წვრთნა.

მართალია, კიდევ ცდილობდა კიკო, კიდევ იბრძოდა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ გული უთხრობდა და მისწევდა, არამედ იმისთვის, რომ პაპასი და დედის დაღონებული სახე არა შორდებოდა იმის გონებას. აი ეხლაც ცხადად ესმოდა იმათი ხმა:

-ისწავლე, შვილო, ეცადე! რას შემფრთხალხარ, დაოჩნებულხარ? ნუ მიგვცემ ადელვებულ წყალს. რის მაქნისია რეგენი კაცი? თუ არ ისწავლი, ჩვენც დაგვლუპავ და შენს თავსაც. რის იმედი გაქვს?

-სწორედ უცოდინარი დავრჩები და დავილუპები. რომ ვერა ვსწავლობ! აი დღესაც ხომ გამიწყრებიან, თუმცა გუშინ იმოდენა ვიკითხე!-ფიქრობდა ლოგინში კიკო და ცდილობდა მოეგონებინა, რას კითხულობდა გუშინ.

-გრამატიკიდან ბრუნვები გვაქვს: «პრეჟნიაია ზაბავა»: «პრეჟნოი ზაბავი»... არა, პრეჟნეი! თუ პრეჟნოი უნდა წავიკითხო დილაზედ ნეტა რა იქნება პრეჟნიაია ზაბავა? პრიმერი? «ნა ალეუტსკიხ ოსტროვახ ვოდიატსია ჩორნიე ი ჩორნობურიე ლისიცი». არა! ჩორნია ი ჩორნო-ბურია. თუ... ისტორიიდან?-ჰო: ნავუხოდონოსორ ცარ ვავილონსკი რაზრუშილ იუდეისკოე ცარსტოვ» ი... ი... ახ, როგორ დამვიწყებია ის სიტყვა! კიდევ არითმეტიკა გვაქვს: დელიმოე რავნიაეტსია დელიტელიუ უმნოჟენომუ ნა... დილიტ... რავნ... ზაბავა... დელიმო... დელამ... ახლა შენ მასწავლი ღრამატიკას, პაპილო?! კატელორიასაც? ეგრე არა, შენი ჭირიმე, წინანდებურად მასწავლე...

-დილის ძილი რომ გაგიჭიმია, დღეს სკოლაში წასვლას აღარ აპირობ?

სახლის პატრონის ხმაზე კიკო ელდანაკრავივით წამოვარდა ზეზე. უბედური დღე იყო იმისთვის: ყველა გაკვეთილები ჰკითხეს. ისტორია მესამე გაკვეთილი იყო. კიკომ ყოჩაღად დაიწყო: -»ნავუხოდონოსორ ცარ ვავილონსკი რაზრუშილ«, მაგრამ შუაზე რომ ცავიდა, რაღაც ეშმაკად დაარახუნეს, ხმაურობაზე სიტყვა შეეშალა და ველარ ჩააყოლა ქვეით. ოსტატმა ხელი აიფარა პირზე, უნდა მოეგონებინა, მაგრამ გადიფიქრა. დაიწყო ბავშვმა გონებაში თავიდან, რომ ჩასულიყო დავიწყებულ სიტყვამდინ, მოეგონებინა ის, მაგრამ მასწავლებელი ცუდ გუნებაზე იყო და აღარ აცალა: აიმრიზა, მოკლე შუბლი შუაზე აუნაოჭდა, უკან გადავრცხნილმა თმამ შუბლთან აიწია, აიბურძენა, თვალები ბოროტად აუგიზგიზდნენ და შეუტია ყმაწვილს. კიკომ შეხედა და უცებ გაახსენდა: ერთხელ გველს ქვა ესროლა, ის შემოუტრიალდა, აზავთებული თვალები ჩანანათა, აიწვერ და ის იყო უნდა სცემოდა; პატარა შიშმა გააშრო, მაგრამ პაპა იქ იყო, მიაძახა: ჰაი, შე მხდალო! ჯოხი მავნესაო! და თვითონ დაუშვა გესლიანს ყავარჯენი. ეხლა გვერდით პაპა აღარა ჰყვანდა, ეხლა ქომაგობას ველარავინ გაუწევდა და ყმაწვილი შიშმა მოლოხა, მოკვეთა. ოსტატი კი უფრო გააფრთდა, ეცა შაგირდს, სწვდა თმაში. ხომ ვსთქვი, კიკოსათვის უბედური დღე იყო-მეთქი: ბრძოლაში სათის ძეწკვი მოედო ბავშვის ხელს, საათი ამოვარდა უბიდან, დაენარცხა იატაკს, დაიმტვრა. ამან მთლად გონება დაუბნია მასწავლებელს, გააუკაცურა. შაგირდი ტიროდა, ეხვეწებოდა, ნუ მომკლამ, ყმად დაგიდგები და ისე გიზღამ, მაპატიეო, მაგრამ ამაოდ. ზარის წკარუნზედა მოვიდა გონს მწვრთნელი. კიკო უსადილოდ დასტოვეს, დაამწყვდიეს.

შემოდგომა მიწურულიყო, მაგრამ დარი ჯერ მშვენიერი იდგა; მოწმენდილ ცაზე მზე უდარდელად ჭახჭახებდა, თითქო ვერა გრძნობდა, რომ სიცივეს კიდევ დაემლია ის, რომ დღეს თუ ხვალ იმისთვის უნდა დაეთმო სამყაროს ბატონობა. დილის სუსხზე დათრთვილულ სართულებზე კი შეატყობდა კაცი, რომ ზამთარი მოახლოვებულიყო, კარს მომდგარიყო.

ხალხი საღამო-საღამოობით ქუჩაშივე ირეოდა, ჯერ შინ არ ჩაკეტილიყო. წვრილფეხობას ხომ სულ არ უდგებოდა შინ გული, ქუჩაში გაჰქონდა ჟივილ-ხივილი.

კიკოც კარზე ცელქობდა, «დაგვინახეს» თამამობაში პირველობა დაესაკუთრებინა; შველივით დაჰქროდა ქუჩიდან ქუჩაში, ქუჩები ბლაგვიანის ორლობები ეგონა. ამ ბოლო დროს მაინც ძალიან მიეჩვია ის ცელქობას; უბანში ამხანაგები გაიჩინა, კოჭაობაში, ჭიდილში საპატიო ადგილი დაიმსახურა. სწავლისა რომ ვერა გაიგო რა, ზურგი შეაქცია იმას და უსაქმოდ დარჩენილმა ცუდად ჯდომას ცუდად ხტომა ირჩია. კრივი კი არ ემარჯვებოდა; კრივის დროს მეზარგულობდა, რადგან მარჯვე ყარაულობა იცოდა.

კიკო რომ შინისკენ გაქანდა, გზაზე თავის ამხანაგ დევრიშვილს შეეფეთა და კინალამ გადაჩეხა. დევრიშვილმა კიკო განზე გაიხმო და ჩასჩურჩულა: სუფნიშნის ქუჩაში კრივია, ჩვენები კრივობენ და წავიდეთო. კიკო გაჰყვა. ყმაწვილები რომ მივიდნენ, კრივი ჯერ არ დაწყებულიყო. შელამდა. მთვარე ამოვიდა. შეიკრიბნენ მეზრძოლი. ერთ მხარეს მარტო ათიოდე მოსწავლე ახალგაზრდა იდგა. ახალუხებში გამოკვართულიყვნენ, კინკრიხოზე დადებული ნაბდის ქუდები ხელეურებად გამოშლილ ქოჩრებს ვერ დასწვდომოდნენ, მამაცურად დაემკლავებინათ, რაზმი შეეკრათ. ამ მოსხეპილ ახალგაზრდების მნახველი განა იფიქრებდა, რომ ეს ის ყმაწვილები იყვნენ, რომლებიც სასწავლებელში სკამებზედ ოთხად ჩაკეცილები ისხდნენ, იკავებოდნენ და მასწავლებელს თვალს არიდებდნენ, ეგება ყურადღება არ მოგვაქციოს და გაკვეთილი არა გვკითხოსო! ეხლა თავი ამაყად აეღოთ, ბეჭებში გაშლილიყვნენ და ამპარტავნულად გადასცქეროდნენ მოპირდაპირეებს. მაყურებლების გული დაემორჩილებინათ იმათ. ხალხიდან გამოისმოდა:

-აი, კაცო, შკოლელები! რა ტალიკ-ტალიკი ბიჭებია! ბურჯრბივით კი დგანან და! შეითნებია რაღა, შეითნები...

მოპირდაპირეები თუნდ ხუთჯერ მეტი იყვნენ, ქალაქის ბიჭები სულ ერთად იდგნენ.

კრივის დაწყებისას ოთხი-ხუთი მოკრივე ჩადგა მოსწავლეების რაზმში, ცოდვაამისთან ბიჭები სიმრავლით დასძლიონ და წაახდინონო.

კრივი პირდაპირ დაიწყო: შეგირდები ეშურებოდნენ, აღმზრდელმა არ მოგვასწროსო: შენივთებულ ბრძოლიდან გუგუნი და ბაგიბუგილა გამოდიოდა, რომელსაც ხანდახან სილის მჭახე ტყლაშუნი და მამუცური შეძახება ასხვაფერებდა. მოსწავლეების რაზმი დაურღვევლად მიიწევდა წინ ნელი ნაბიჯით. გარს ბევრი ეხვია იმათ, ერთს ათი სცემდა, ვერ კი ერეოდა; ცემას არ იმჩნევდნენ ისინი, თითქო ქვისა არიანო, და შეუფერხებლივ მიზიდავდნენ წინ მოწინააღმდეგეების უმთავრეს გუნდს. ქუჩის ბოლომდის ჩააცილეს. ის იყო, აპირობდნენ უკანასკნელად შეეტიათ მედგრად და ყიჟინით გაეფანტათ მოპირდაპირეები, რომ მოულოდნელად თითონ დაშალეს რაზმი და დაიქსაქსნენ. გამწვავებულ ბრძოლის დროს ამხანაგებმა შეატყობინეს, აღმზრდელი მოვიდაო, მოწინააღმდეგეებმაც გაიგეს მოსწავლეების უბედურება,

შეეცადნენ დახმარება გაეწიათ და როგორმე გაეპარებინათ ყოჩაღები. ვისღა ახსოვდა, რომ ეს იყო, ეხლა დაუნდობლად ბეგვდნენ ერთმანეთს!

ქუჩაში რომ კრივი იყო გაჩაღებული, კიკო ქუჩის თავში ერთ ალაყაფის კარებთან იდგა დაბარგული: მოკრივე მოსწავლეების ტანისამოსს ჰყარაულობდა. იდგა იქ და გატაცებით გასცქეროდა კრივს, გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს თავისებს, ყველა იმათ წინააღმდეგულ ნაბიჯს აღტაცებაში მოჰყავდა ის. კიკო რომ მთლად ყურადღებად იყო გადაქცეული და კრივის მეტს ველარასა ხედავდა, მოულოდნელად ისეთი სილა მოხვდა, თვალებიდან წინწკლები წამოსცვივდა: აღმზრდელი თავს წამოსდგომოდა. ელდაცემულმა ყმაწვილმა გაუშვა ხელიდან ყველაფერი და გაჰქრა. აღმზრდელმა კი ამოიღო ვერცხლის სათუთუნე და დინჯად დაიწყო თამბაქოს ქალაღდში ხვევა.

კრივი დაიშალა. მოსწავლეები გაემუրნენ იქით, საცა მებარგულე ეგულებოდათ. მაგრამ ეხლა იმათ ტანისამოსს სულთამხუთავი დასდგომოდა ტავს. რას იზამდნენ? რომ გაქცეულიყვნენ, ტანისამოსზედ მაინც იპოვნიდნენ და სავ დღეს დააყენებდნენ, არა და... მიდიოდნენ თითო-თითოდ ტანისამოსის ასაღებად. აღმზრდელიც ერთს შეუბღვრდა მისულს, გაარტყავდა და უბის წიგნში მოაქცევდა იმის გვარს.

8

რა ღამე იყო ის ღამე, კიკომ შინ გაატარა! შიშით თრთოდა, ძილი არ ეკარებოდა. ჩასთვლემდა თუ არა, სულ თავის უბედურება ეზმანებოდა, კრთებოდა და თვალი ღია რჩებოდა.

-ეხლა კი უთუოდ გამომაგდებენ! მაშ ინდა გამომაგდონ რაღა? ნეტა ეხლაც მაპატიონ და მერე მე ვიცი: თავს ჩავიკლავ წიგნში და ვისწავლი. მე კიკო ყანწარაშვილი ვიყო და უნიჭოს მეძხდნენ! ვაჩვენებ, როგორ შემიძლიან სწავლა... მაგრამ რომ არ მესმის, რასაცვკითხულობ! ვერ შემიგნია, რა სწერია წიგნში და, თუნდ ათასჯერ წავიკითხო, რა გამოვა? არაფერი, სულ არაფერი! აახ! ერთი მესმოდეს წაკითხული, ერთი ჩვენებური წიგნი მომცა ხელში! - ფიქრობდა კიკო.

და ბოლმით ლოგინში ტრიალებდა, ვერ მოესვენა.

ბოლოს ჩაემინა და სიზმარში ნახა, რომ თავქვე-თავქვე მიდიოდა. სალ კლდეში გაჭრილი გვირაბი იყო და იმას ჩასდევდა. ყველა მხრით წუმპე ჟონავდა, მონიჭყულიყო, ფეხი სხლტებოდა. გვირაბი თანდათან შევიწროვდა, ხვრელს დაემსგავსა. კიკოს უკან გამობრუნება უნდოდა, მაგრამ გზა შეკრულიყო, სინათლე ძლივსღა ჩამოდიოდა ზევიდან. კიკო გაწვა და ცურვით სწრაფად წავიდა წინ, ეგება გავახწიოვო, მაგრამ ხვრელი უფრო დავიწროვდა. აღარსაით იყო შველა, სული შეეხუთა, განწირულებით შესძახა «პაპავ!» და გამოელვიდა. ოფლში გაწუწულიყო, შიშის ზარს აეტანა, გონს ძლივა მოვიდა.

ადგა, ტანთ ცაიცვა და წავიდა. ფეხები უკანა რჩებოდა. იმის იმედიღა ჰქონდა, რომ იქნება აღმზრდელმა დაგვიფაროს და გამგეს არ შეატყობინოსო. აღმზრდელი თუმცა სასტიკად ეპყრობოდა ყმაწვილებს, მაგრამ დასალუპად კი გაუჭირებლივ არავის გაიმეტებდა, არ გამოარისხვინებდა სკოლიდან; არც ადვილადა სწერდა მოწაფეებს შავს დავთარში; არ დაასმენდა და უფრო თითონ ახდევინებდა დანაშაულს.

კიკოს ამ იმადმაც უმტყუნა: სკოლაში მისვლის უმაღლესად გამგეს სადგომის დერეფანში შეიყვანეს, კლასში შესვლა აღარ აცალეს. გუშინდელი მოკრივე მოსწავლეებიც იქ იყვნენ ჩამწკრივებულნი; მუხლები ჩაჰკეცოდათ, წელში მოხრილიყვნენ, თავი ჩაეკიდნათ,

თვალეში უღონო ჯავრი უქროდათ, დაბეჩავებულებიყვნენ და უიმედობა დასჩენოდათ. ვინ იცნობდა ამ მომჩვარებულ მოსწავლეებში გუშინდელ ხალისით სავსე ბრგე ახალგაზრდობას?!

გამგეს ოთახიდან ჭიქების ჩხარიჩხური გამოდიოდა-ბატონი ჩაის მიირთმევდა. გაიარა აღმზრდელმა, მაგრამ ყმაწვილებს ზედაც არ შეხედა. ეს ცუდი ნიშანიაო, - იფიქრეს იმათ. რომ დაეტუქსა, უფრო იმედი მიეცემოდათ, ამით გადაივლისო. მსახურმა ჭიქები გამოიტანა და ყმაწვილებთან რომ გაიარა, დასცინა, ცემა-ტყეპა თუ მოგწონთ და ატანა შეგიძლიათ, ეხლა გამოჩნდებაო. მოსწავლეებს ფერი ეცვალათ, მიხვდნენ, რომ შხეპლებით ცემას უპირებდნენ იმათ. სკოლაში შხეპლები თუმცა აკრძალული იყო ეხლა, მაგრამ გაჭირებაში კიდევ ხმარობდნენ, რადგან გაჭირების ტლკვესად მიაჩნდათ. მიხვდნენ ყმაწვილები, რა შეურაცხყოფას უპირებდნენ და სეტოკდნენ.

კიკოს ელდა ეცა, ჭირის ოფლი დაასხა. თავის ტავი რომ ისე საზიზღრად გალახული წარმოიდგინა, სირცხვილით აღმური აუვიდა სახეზე, თანაც ერთი შემთხვევა მოაგონდა და შიშის ზარმა აიტანა: ერთხელ ჯარი იდგა ბლაგვიანში; ერთმა ჯარისკაცმა რაღაც დააშავა და უფროსმა გაალახვინა ვაჟკაცი; დასცეს ძირს, შეუკრეს ხელ-ფეხი, დასხდნენ ზედა და სამაგლად დაშხიპეს, სისხლი ადინეს; მისი ღრიალი ზეცას ადიოდა. გულშეწუხებული წაიღეს.

მოაგონდა ეს და ძრწოლა დაიწყო. გაახსენდა, პაპა რომ იტყოდა იმაზე, კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო, და მწარედ გაიღიმა.

-მიხსენ მე, უფალო მტერთა ცემთაგან და მდევართა ჩემთაგან განმარინე მე,- გაივლო გონებაში უნებლიეთ

და ხსნაზე დაიწყო ფიქრი; აზრად მოუვიდა, თავისთვის ეშველნა, დაეხწია ტავი ამ უბედურებისაგან. გაუძლიერდა ეს სურვილი, მთლად შეიპყრო ის ამ სურვილმა; იმის გონებაში ყველაფერს ნისლი გადაეფარა, ამ მისწრაფების გარდა, ეს სურვილი კი თანდათან გაირკვა, გაბრწყინდა, მთლად სეიპყრო ის და უნებლიედ აამოქმედა. კიკო ნელ-ნელა დაუახლოვდა კარებს, გასხლტა დერეფნიდან, გაზვრა ალაყაფის კარებში და დაეშვა შინისკენ.

9

კიკომ მიირბინა შინ, აიპარა ბინის კიბეზე და ცამოჯდა. ბევრი ხანი კი ვერ დაჰყო იქ: შიშმა აიტანა; იფიქრა, უთუოდ მიპოვნიაწო და ისევ კარზე გამოვიდა. გაიარა რამდენიმე ქუჩა,- იმ ქუჩებზე იშვიათად გაევლო. არ იცოდა, სად მიდიოდა; მარტო ერთი სურვილი იყო იმის ტვინსი გამორკვეული, რომ გასცლოდა, დამალვოდა თავის მტარვალებს. ეს მტარვალეები რომ ეხლა ეძებდნენ იმას, ფეხდაფეხ მისდევდნენ, ამაში ის დარწმუნებული იყო.

ხიდზე რომ გადიოდა ფეხაჩქარებით, გაიხედა თავის სოფლისკენ და კლდის წვერზე ქოჩორა ხე დაინახა. ერთ წამს შედგა, გაუღიმა, თავი დაუქნია: ქოჩორა ხე მფარველ-პატრონად დაესახა იმის ტანჯულ გონებას. იმან ანდამატივით მიიზიდა გაწამებული ყმაწვილი: ის ხომ იმის სოფლის გზაზე იდგა; იმის იქით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ქალაქი თვალითაც არარ გამოჩნდება, იმის იქით ხომ თავისუფლებაა.

აახ!-მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მდევართ ჩემთაგან განმარინე მე.-

კიკო დაჰყვა ქუჩებს და გასცდა ქალაქს. ჯარისკაცების სადგომს რომ მიატან, ნაცნობი აუტანელი ბული ეცა ცხვირში და უნებლიედ ფეხი ააჩქარებინა:

სასწავლებელი, მასპინძლის სახლი, მთელი ქალაქი ამ სამაგელ სუნს დაადარა, ეს სიმყრალე იმათ გამომსახველ ნიშნად დასახა.

-მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მდევართა ჩემთაგან განმარინე მე,- გაიმეორა გონებაში.

გორხანებთან რომ გაიარა, თქვა, თუ მართლა ღამდამობით ყველა ამ საფლავებიდან სამ-სამი ლეკვი ამოდის, დიდი წკაფწკავი უნდა იდგეს ხოლმე აქ სიბნელეშიო.

-მაგრე ეს ხომ ტყუილი იქნება: მე ქრისტიანებში ვიყავი, განა ისინი თათრებზე უდიერები არ არიან? თუ აძაღლებაა, იმისტანები უნდა აძაღლდნენ, - გაიფიქრა კიკომ.

წინანაურის წყაროსტან რომ მივიდა, პირზე წყალი შეისხა. რამდენიმე ყლუპიც ჩაყლაპა. წყალი თბილი ეჩვენა. გაიფიქრა, ნეტა ზამთრობით წყარო უფრო თბილი რად არისო, ალბად ღმერთს სიცივისაგან დასუსხული ხალხი შებრალებიაო. ავიდა აღმართს. გაჰყვა წინანაურის ბაღების ორღობეებს. ვენახები სულ დაკრეფილები იყო, კაკლებიც დაებერტყათ, გზაზე გადმოშვერილ კენწეროებსღა შერჩენოდათ რამოდენმე. ორიოდე ჩამოაგდო ქვით. მივიდა წინანაურის ეკლესიასთან, საყდრის პირდაპირ რომ ხატი იყო დასვენებული, იმას ემთხვია; ჯიბეში ორი გროში ეგდო, ის ბრმა გლახაკს ჩაუდო ხელში, იმ ხატს რომ შეჰკედლებიყო. ჩაირბინა თავქვე, გახდა კლდეზე მოჩახჩახე ნაკადს, შეუდგა აღმართს. საბაჟოსთან რომ მიდიოდა, მებაჟის სახლს განძრახ ახლო აუარა ხტომით, ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო. დაადგა სალ კლდეზე ამაველ გზას.

ეს გზა მგზავრის ფეხით არის გაკვალული, მკეთებლის ხელი არ მოხვედრია იმას. სულ ოღროჩოღროა. არაფერ ეტლს არ შეუძლიან აქ გავლა; საურმე გზა სხვა არის, ცხენსაც უნდა ჩამოუხდეთ. ჯანდაკ ვისმე ან პატარას თუ შემშენის აქ ცხენდაცხენ ავლა. ნაცური ცხენის ნალისაგან დათლილია სიპი. ნიაღვრისაგან დაღარული მთელი კლდე. მცენარეს ვერ მოუკიდნია ზედ ფეხი, გრაკლა ან ზემვილა გამაგრებულია აქა-იქ, კლდის ნაპრალებისთვის ჩაუჭდნია ფესვები, ლოდებისთვის შემოუხვევია ზედ და დიდის გაჭირებით პოულობს საზრდოს: ძალი ხეებია, ცოტათი იციან იოლის წასვლა.

კიკომ იცოდა რომ ამ გზის უეცრად შებრძოლება არ ივარგებდა, აჩქარებულ მგზავრს ხელადვე მოსჭრიდა მუხლს და ნელი ნაბიჯით შეუდგა აღმართს. გაერთო. ხან ქვას ისროდა, თუ კარგი გასასროლი ნატეხი შეხვდებოდა, ხან კალმის დანით გრაკლასა სჭრიდა და აჭრელებდა, ხან ძემვის ფარასა ჰკრეფდა, დედაჩემი ამას ხელებისთვისა ხმარობსო, ხან ქვაზე გაწოლილ ჯოჯოს აფრთხობდა. ყმაწვილი იყო, ვარამი დავიწყებოდა, წუთით სიამოვნებდა. დარიც ხელს უწყობდა: იმისტანა თბილი და ნათელი დღე შემოდგომის მიწურულებში იშვიათია. მგზავრები ათასში ერთხელ ხვდებოდნენ: სოფლიდან წამოსული ხალხი ჯერ კლდეს არ ჩამოჰფენოდა.

აღმართის მესამედი ექნებოდა ავლილი, როცა გზის პირში მოძებნა პატარა ნაპრალი, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა. ეხლა თბილოდა და ორთქლი კარგად არა ჩანდა. ხელი რომ დაგედოთ, კი იგრძნობდით სითბოს; ზამთარში იმ ნაპრალის გარშემო თოვლია ხოლმე გამდნარი და კლდიდან თოვლი თვალსაჩონად ამოდის. პაპამ პირველად რომ უჩვენა კიკოს ის ადგილი, უთხრა, აქ თბილი წყალი მომდინარეობს კლდის გულში და ეს იმისი ორთქლიაო. კიკომ რამდენიმე კენჭი ჩააგდო ნაპრალში და თან გაიფიქრა, ნეტა მართლა გოგირდზე მომდინარეობს ეს ქყალი, გოგირდსა ხსნის და ისე თბება, თუ დედამიწის გულში რომ ცეცხლა ამბობენ, ის ცეცხლი ათბობსო.

კიდევ კარგა გზა გაიარა და ორსულ კლდეს მიახლოვდა. აქ გზა ხევს ჩაუხვევს, რომელიც ერთ ალაგს გაფართოვებულია ესე ასიოდ ნაბიჯის სიგანეზე. ამ ვაკის პირში, გზის გადასწვრივ, ტყუპად ამართულია ორი კლდე. იმათი მოთეთრო გვერდები

მთლად ცამოლესილ-ცამორეცხილებია. ძველებურ კომკებსა ჰგვანან ნაგებობით, მხოლოდ მუცლები უფრო გამოზღვრილები აქვთ. იმათ სიპ გვერდებზე ბალახიც კი ვერ იმაგრებს ფესვებს, მხოლოდ ხავსი მოჰკიდებიან. ამ კლდეების თავზე გრაკლის ჯაგები დაზდილან, ქოჩორით გადმოჰფენიან. აფროთოვანებულ ოცნებას გაქავებულ ადამიანებს სეუძლიან ააგვანოს ისინი. კლდე ხმას ისხლეტავს, მკაფიოდ აბრუნებს. ამ კლდეს ეძხის ხალხი ორსულ კლდეს. იშვიათად გაივლის აქ მგზავრი, რომ არ შესძახოს კლდეს:

-ქლი გყავს თუ ვაჟი?

-ვაააჟიიი!-მიუგებს მაშინვე კლდე.

ეს მიყრუებული ხევი საშიში ადგილია: აქ ბევრჯელ გაუძარცვავთ ან მოუკლავთ მგზავრი.

კიკომ გადირბინა ვაკე, მივიდა კლდესთან და ძირიდან დაუწყო თვალიერება. მერე შესძახა, ქალი გყავს თუ ვაჟიო, კლდემ ხმა მისცა, ვაჟიო. ეს ხმა ყრუდ გაიმეორა ხეობამ.

ორსულ კლდიდან გზა უფრო ფართოვდება, გზის ნაპირებს ხშირი ჯაგი მოსჯარვია: კლდეს ნიადაგი გადჰფარვებია და მცენარეებს მკვიდრათ მოუკიდნიათ ფესვი. მგზავრი აქ უფრო ხალისიანად ასდევს გზას, რადგან ფეხი აღარ უსხლტება და აღმართის დათავებასაცა ჰგრძნობს.

თუ გზის მოკლედ მოჭრა გსურთ, ორსულ კლდის ცოტა ზევით, მარჯვნივ შეუხვევთ და ღრმა ვიწრო ხევს შეჰყვებით. ეს ხევი ჩარეცხილია წყლისაგან, ძნელი სავალია, ორ-სამ ადგილას კიბეებივით არის ასასვლელი და ხელი თუ არ მიაშვლეთ, ვერ ახვალთ; მცირე წვიმის დროსაც კი ნიაღვარი აქ დიდი ქშულითა და ღრიალით მოქანობს. ცხენი ვერ დადის ამ ბილიკზე. საშისი გზაა; ჩასაფრებულ ავზაკს ადვილად შეუძლიან აქ ნავნები ცაიდინოს; შეიძლება, მხეციც სეეფეთოს მგზავრს. ბილიკს რომ ანახევრებთ, მარჯვნივ გამოქვაბულ კლდესა ნახავთ, რომელიც ოთახივით არის წამოხურებული. კლდე იცრემლება გამოქვაბულსი და ნაჟონი გამოქვაბულსივე გროვდება. ვაი რომ ცოტაა, თორემ მშვენიერი ცივი წყალი იცის.

კიკომ ამ პატარა ბილიკისკენ სეუხვია. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მელა დაინახა ლოდის ძირში მიწოლილი; კუდი გვერდზე გადაეგდო, კბილები დაეღრიჭა და მყუდროზე ისუშებოდა. ყმაწვილი ჯერ შეკრთა, მაგრამ მერე იცნო მხეცი და გამოუდგა. მელამ იქვე ლოდებისკენ სეუხვია. კიკომ ორჯელ-სამჯერდა მოჰკრა თვალი იმის ფაფუკ კუდს, რომელიც მსუბუქად მიცურავდა ფაერში, მიწას არ ეკარებოდა. გამოქვაბულს რომ მიახწია, შიგ სევიდა დასასვენებლად. პაწაწინა აუზი წყლით სავსე დახვდა. მგზავრი გამოუწვა წყალს და ხარბად დალია. დაღალვა იგრძნო. ფეხები უჟუოდა და პური მოშივნოდა. დილას პურის ნატეხი ჩაედო ჯიბეში და იმას შეექცა, ტან წყალში ასველებდა. უამა, მალე კი გაუთავდა, მარტო საღერღელი აუშალა.

-ახლა მიპოვონ ცემმა მტრებმა! რომ მიპოვონ კიდეც, რას წაიღებენ? სულ ჩავაქვავებ, მანამ ქა ამოვლენ! ტარიელი ხომ დევებსაც გაულმკლავდა, ქვაბი რომ იპოვნა. ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვე, დევთა შეეკაფნეს. შემოვები, ამოვწყვიტე. დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდინ აიწეოდა, მათითა ლახტის ცემითა...დედი! დედიჯან! აქაც რომ საუნჯე იყოს დაფარული! მაშინ დედასაც მოვიყვანდი, პაპასაც და... - ოცნებობდა პატარა, მაგრამ გვიანდებოდა, დრო იყო გზას შესდგომოდა.

გამოვიდა გამოქვაბულიდან, აიარა დანარჩენი აღმართი, აივაკა. ქოჩორა ხე ცოტა უკან დარჩენილიყო. დაუბრუნდა, მიესალმ-მიესაყვარლა, მოეხვია, შესჩვილ-შესტირა. ქოჩორამ იგრძნო პატარას გულის ტკივილი, წყენა დააჩნდა, აღელდა და აღშფოთებული დასცქეროდა თავს; მკრთალ ფოთლებს აშრიალებდა, ესაუბრებოდა:

ბეჩავთ ბედს მოუთხოვობდა, ჩაგრულთ ხვდრთან ბრძოლას ავალეზდა, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, ირხეოდა, ტორებს მისკენ იწვდიდა-პატარის დაყვავება, დაიმედება, მოხვევნა, გულსი ჩაკვრა მოსურვებოდა.

კიკომ გადახედა იქიდან ქალაქს, იაზრა, საცა იყო იმათი სკოლა და სიზულვილით, სიბოროტით აივსო; მუშტი მოუღერა, მიაფურთხა და კბილების კრაჭუნით გატრიალდა უკან. ქვაცრილთან რომ გაიარა, საქოლავეებს თითქო ქვა მიაგდო,-ესე უნდა, ესეთი წესიაო.

გადაადგა თავქვეს. გაეშალა წინ ნაცნობი ადგილები: მოხდენილი პატარა ვაკე, რომლის ბოლოს მოცისფროდა კუმისის ტბა; ტბის გარშემო მარილნაფრქვევი ნაპირები მოსჯროდნენ, სპეტაკ ჩარჩოში ჩაესვათ საგუბარი; ტბის მარცხნივ მიკამკამებდა მტკვარი, რომელსაც მარჯვნივ იალღუჯა ასდევნოდა. მდინარეც და ეს გორებიც შორს ბუნდოვან სივრცეს ეფარებოდნენ. ტბის მარჯვნივ კუმისის მთები შესდევდნენ, სამხრეთისაკენ იწევდნენ, ალგეთის ხეობაში იკარგებოდნენ. მინდორზედ, ტბისა და კუმისის შუა, თეთრად მიიხლაკნებოდა ბლაგვიანისაკენ მიმავალი შარა, გეზად ასდევდა გადასახედავის აღმართს, მერმე... აახ! რამდენჯერსიხარულით ასტოკებია კიკოს გული, ამ გზისათვის რომ დაუხედნია; ეხლა კი გული აუკვნესდა, მუხლი მოეჭრა, თვალს ცრემლი მოადგა.

-დედას და პაპას ჰგონიათ, ეხალ სასწვლებელში ვარ, კარგადა ვსწავლობ, ზევით კლასში გადავალ, ის კი არ იციან, რა ამბავია ჩემს თავს, რა უბედურება მეწია. წინათ, როცა მივიდოდი, როგორ გაეხარდებოდათ ხოლმე! ეხლა კი ელდა ეცემათ. დავიღუპე! იმატაც ყელი გამოვჭერი... ან როგორ უნდა ვიმართლო თავი ვინ რას დამიჯერებს? ყველა იტყვის, გაქსუებულა, უზარმაცნია, უნიჭო გამომდგარაო... დავბრუნდები! ისევ დავბრუნდები!.. მერმე ხომ მომკლავენ, უფრო ამითვალწუნებენ, დევნას დამიწყებენ, ვერც ვისწავლი, როგორც იმათ უნდათ, ისე ვერ ვისწავლი: არ მესმის! არ შემეძლიან!- ფიქრობდა კიკო.

და იტანჯებოდა. ვერ დასდგომოდა გადაწყვეტილ აზრს, ვერაფერი ვერ გამოერკვია იმის გონებას, ირყეოდა, ხან ერთ კედელს აწყდებოდა, ხან მეორეს; ვაისგან გამოქცეულს შინ უი დახვედროდა; ცხოვრების ზღვა აჰლელვებოდა და ტალრას ბიამანზე გაეტყორცნა, გაერიყნა.

შარშან შემთხვევით სოფელ მჭადისყუას გავატარე ზაფხული, გავლით ვეწვიე ჩემს მეგობარს, მაგრამ ის მხრის სიმსვენეირემ გული დამიხვია და დავეევ მასპინძლის გულითად თხოვნას. მით უფრო ადვილად დავთანხმდი ჩემ მეგობარს და დავრჩი, რომ იქ ყოფნას ვერ შეიმჩნევდა, მე იმათ ვერაფრით ვერ შევაწუხებდი.

ბალისკენ ერთი გაცალკევებული ოტახი და ის მომიჩემეს. ჩემ ფანჯარას ხეხილი ეალერსებოდა, ყუდროზე ვარდის ბუჩქები გალაღებულიყვნენ, გარშამო ჩიტუნებს გაჰქონდათ ჟღივილ-ხივილი, მეტადრე იმის სემდეგ, რაც ნამცეცებს ვუყრიდი ჩისა და სადილსემდეგ. იმოდენად პატივსა მცემდნენ იმ მადლიან ოჯახში, რომ სადილ-ვახშამსაც კი ცალკე მიგზავნიდნენ, რომ არაფერი მოკრთალეზა არ დამჭირებოდა, ან არ შემეწუხებინა ვინმე, ან არ შევწუხებულიყავი. ჩაის შემდეგ რომ გავიდოდი, სადილადა ვბრუნდებოდი შინ.

მჭადისყუას დაქანებლი ადგილი უჭირავს. სოფლის ზევით აღმართი ტყით არის შემოსილი მთის წვერებამდინ. გადაღმა დიდი ხეობაა გადაშლილი. სოფელს ქვევით პატარა მდინარე ჩამოუდის. თითონ სოფელი ბაღებში ზის. ეკლესია ქვემო უბანში

დგას, ხევის პირას, გარს კომპეტიანი მაღალი გალავანი არტყია. ძველად ეს ეკლესიაც იყო და ამ ხეობის ციხეც. საყდარს ორი სამწირველო აქვს, მეორე-უმთავრეს საკურთხევლის მარჯვნივ. ძველი მხატვრობაა. ნივთების დასაცველ ოთახში, საკურთხევლის მარცხნივ, რაღაც შემთხვევით ძველი სათემო დროშები შენახულან აქამდინ, ზანზალაკებით და ფოჩებით შემკული გრძელტარიანი დროშები. ამ დროშების ჟღერიალს ბევრჯელ საგმიროდ აუღელვებია აქაურების გული, ბევრჯელ დანთხეულა ამ ციხე ეკლესიასთან მამულისვილების წმინდა სისხლი და გაუვალ ღვარად ჩადენილა მტრების წინ,-ასე მოგვითხრობს ჩვენი წარსული. მოწიწებით გაგსინჯე ეს ნაშთები და მღვდელსა ვთხოვე, სიწმინდესავით დაეცვა ისინი.

ეკლესიის ეზოში რომ დახავსებული ხე იდგა, იმის ჩრდილში მომწონდა ხანდახან ჯდომა. რამდენიმე მოსწავლე ყმაწვილი იყო იმ სოფელში, ისინი მიდარიელებდნენ და როცა მივიდოდი იქ, შეგროვდებოდნენ, გარს შემომხებოდნენ, მკითხავდნენ, მიაშობდნენ, ცელქობდნენ. წირვა-ლოცვაზედაც მიყვარდა იმ ეკლესიაში სიარული. ზეამზიდველი ლტოლვილება იქით იყოს, და იქაური დიაკვნის კითხვა-გალობა მიზიდავდა. პირველად სევხვდი ისეთ მეტყველ დიაკვანს. ის რომ წიგნს გაშლიდა, სიტყვები მარგალიტებით დამარცვლილ-დამთავრებული იწყებდნენ, იმის პირიდან დენას, სეუბრკოლებლად გადმოჩხრიალებდნენ, ქართული კილოთი ალაპარაკდებოდნენ, ყურს ეალერსებოდნენ, ესიყვარულებოდნენ, გულს ნაზად ჩასჩურჩულებდნენ, ლმობიერად ესაუბრებოდნენ, მუდარით გარს ეხვეოდნენ; ხან კი შერისხ-შეუტევდნენ, მუქარით განზე გაუხტებოდნენ, გაუწყრებოდნენ, მაგრამ მერე ისევ დაუტკბებოდნენ, მიუალერსებდნენ, ზეცისკენ ეზიდებოდნენ. ხომ მარტოდმარტო გალობდა, მაგრამ გალობაშიაც რაღაც ნაცნობი, საამო, გულთან ადრიდანვე დაკავშირებული ხმები მომესმოდა. გალობის დროს ზევით უყვარდა მზერა.

თითონ კაცს დაგრძელებული თმა შუაზედ გაეყო, წვერი მოეშვა. დაჩაგრულ სახეზედ ბედისადმი მორჩილება აღბეჭდოდა. საწიგნესთან რომ წმინდანის ხატი ეკიდა, იმ ხატს დამსგავსებოდა.

წირვა-ლოცვის დროს საწიგნეს უკან იდგა ხოლმე ყავარჯენზე დაყრდნობილი მოხუცი დედაკაცი. ეტყობოდა, თავის დროზედ ლამაზი უნდა ყოფილიყო. დიდრონი შავი თვალები ეხლაც უბრწყინავდნენ, როცა დიაკვანი რაიმე საგულისხმოს წაიკითხავდა, ან რომელსამე საგალობელს ჩააკაკანებდა მარჯვედ. ბევრჯელ კი დიაკვანის ცქერაში თვალები ცრემლით ევსებოდა, სახეზე სევდა აჩნდებოდა და წაიბუტბუტბდა:

-ღმერთო! რა შეგცოდე იმისთანა, რომ გამიუბედურე შვილი? განა ამას გამოველოდი ამისაგან?..

ეს მოხუცი დიაკვანის დედა ყოფილა.

ეს დიაკვანი ძალიან მოკრძალებით მექცეოდა: სალამს შორიდან მაძლევდა, ცდილობდა, გზა აექცია, ეჭვით მიყურებდა. როცა უეცრად შევხვდებოდი სადმე, განზედ ხტებოდა, მთელ გზას მითმობდა. მაინც კი უყვარდა შორიახლოდან ჩემი თვალიერება, მეტადრე მაშინ, როცა ეკლესიის ეზოში ვიყავი და ყმაწვილები გარს მეხვივნენ. ბევრჯერ შემინიშნავს, რომ მწარედ გაუღიმიო, ხელი ჩაუქნევია და გაგვცლია. ხანდახან ჩვენკენაც წამოვიდოდა ხოლმე, თითქო ჰსურს ჩვენს საუბარში მონაწილეობა მიიღოსო, მაგრამ ისევ გატრიალდებოდა, ერთხელ მოგვიახლოვდა, მკაფიოდ მოგვამახა: ჩორნია ი ჩორნობურია ლისიცა ვოღიატსია ნა ალეუტსკიხ ასტრავახ! და გაიარა.

ამ დიაკვანმა ძალიან მიიქცია ჩემი ყურადღება და მე თითონ გამოვეხმაურ-გამოვეცნაურე. როგორც იყო, სევიჩვიე.

კიკო ყანწარაშვილი ყოფილიყო ეს დიაკვანი.

-აბაიმე! მაშ ეხლა შკოლაში ცემა აღარ არის? - მკითხავდა ხოლმე კიკო.

და უკვირდა, ვერ დაეჯერებინა.

-მაშ მასწავლებლები თუ უხსნიათ ეხლა სიტყვის ძალას და კარაგად ექცევით, ამდენი გამორისხულები რაღად არიან?- მკითხავდა კიკო

და უნდოდა გაეგო ამის მიზეზი.

[1898 წ.]

მართალი კაცი

არჩილ კახთ ბატონის დროს ცხოვრებდა მეფის კარს გამოჩენილი ზაზა. ეს კაცი შაჰნავაზის კარს იყო გაზდილი და იმისგან დიდად მიჩნეული. ახლა არჩილს ახლდა. ბატონს უყვარდა ზაზა და ენდობოდა. მხნე ვაჟკაცი იყო, გამჭრიახი, მეფისთვის თავდადებული. მხოლოდ ძალიან ამაყი და პირდაპირი კაცი არავის ეფერებოდა, არავის უთმობდა, არც მეფეს. ყველა პატივისცემით ეპყრობოდა ამ კაცს.

ბატონ არჩილს ეწვივნენ ლევან დადიანის კაცები. წიგნი მოართვეს, ძღვენი უძღვნეს არჩილი იმერეთში რომ იყო მეფედ, მაშინ გაეცნო ეს კაცები. მეჯლიში გადაუხადა სტუმრებს, მოუმხიარულა. ზეიმში თავი იჩინა ზაზამ.

მეფემ სტუმრები გცერდზე მოისვა, ძალიან თავაზიანად ექცეოდა. როცა შეზარხოშდნენ, ალერსი ტვის დამცირებამდის მიიყვანა, სუფრაზე მსხდომ კახელ გმირებს და თავკაცებს კი მეტად ამაყად ეპყრობოდა, თითქმის ამცირებდა, ბატონის ასეთი ქცევა საჩოთირო იყო ყველასათვის. ასე იმისთვის ეფერებოდა არჩილი თავის სტუმრებს, რომ უნდოდა იმერეთის სამეფო ტახტი ისევ მიეთვისებინა. ლევან დადიანიც ამ დესპანების პირით იწვევდა მეფეს უსინათლო ბაგრატის წინააღმდეგ და შველს ჰპირდებოდა. არჩილი კახეთის მეფე იყო, ქართლის მემკვიდრედაც სთვლიდა ტავისთავს და იმერეთისკენაც იწვდიდა ხელს, შეერთებულ საქართველოს ხელმწიფედ ოცნებობდა თავს.

ზაზამ შენიშნა შეუსაბამო ქცევა შექეიფიანებული ბატონისა და ეწყინა. იმიტომ უფრო აირია, რომ იცოდა არცილის ოცნებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვებოდა და იქნება სხვა ტახტის მძებნელს კახთბატონობაც გამოცლოდა ხელიდან. ვეღარ მოითმინა, თქვა იგავი:

-ვნახე კაცი, რომელი ჭალაში ფიჩხსა სჭრიდა; შეჰკრა კონა, აიკიდა და ემძიმა; დააგდო, შეჰკრა მეორე, დაადვა პირველს, შეუჯდა ასაკიდებელ და ძლივს დასძრა; წამოდგა, შეჰკრა მესამე კონა, დაადო ტვირთს, მოუჭირა სამივეს საბელი, მაგრამ ახლა სულ ვერ დასძრა ტვირთი. გამეცინა. ვუთხარი., ერთი კოცნაც აგრე მძიმა სენტვის, სამის აწევას როგორ შესძლებ-მეთქი.

სტუმრებს გაელიმათ. არჩილს ენიშნა, აენტო, შეუტია, უღვაშის აწევას დაემუქრა, გააწბილა ერთგული. ეს მწიგნობარი მეფე აჩქარებული ხასიათისა იყო და თავი ვეღარ შეიმაგრა.

მეორე დღეს ზაზა სადღაც დაიკარგა, ეძებს, მაგრამ ვერ იპოვეს, კვალსაც ვერ მიაგნეს.

ზაზას უეცრად დაკარგვამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: ამბობდნენ შაჰნავაზსზე შეეკედლაო, არა, შაჰ-სულეიმანთან არისო. ჯურმუნტში წასულა და იქიდან

მუქარას ითვლევინებო, იქნება არჩილმა კიდევ მოაკვლევინაო. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

დაკარგული კი ახლოს იყო. არჩილი რომ გაურისხდა, ზაზამ აისხა იარაღი და წავიდა. მიდიოდა, თითონაც არ იცოდა სად. ამის ერთადერთი სურვილი იყო, გასცლოდა ხალხს: ადამიანის დანახვა ეჯავრებოდა. შეჰყვა თურდოს. ამ ხევის შეყოლებით ახლაც დიდი ტყეა და მაშინ ეს ტყე შეუვალი იყო, გაუტეხელი. ყოველგვარი ნადირი ბუდობდა აქ. იარა, იარა და ღელის ტავში ავიდა; იქ მარცხნივ პატარა ველი ნახა უდაბური ტყით შემოზღუდული. ველის თავში წყარო რამ გამოჩუხჩუხებდა. მინდორი ყვავილებით მოკაზმულიყო, სამოთხის უბესა ჰგავდა. ზაზას იამა კუთხის ნახვა და დაისვენა; მოისურვა აქ დარჩენა, სანამ ფიქრებს შეიკრებდა და რამე გზას დაადგებოდა.

პირველ ხანში ზაზა ჯავრით იყო მოცული, განმარტობას ცდილობდა და სიამოვნებდა განშორებული ყოფით. ნანადირევით ირჩენდა თავს. მერე მოეწყინა, მოსწყურდა ხალხში ყოფნა, ადამიანებთან ცხოვრება, მაგრამ არჩილთან ნამყოფმა და ამაგდარმა არ იწება სხვის კარს ყოფნა. ბოლოს ნელ-ნელა შეეჩვია მარტოობას. ზამთრისთვის მიწური რამ ბინა გაიმართა და შეეფარა.

დღე დღეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს. გავიდა ხანი. თითქმის გაველურდა ზაზა. თავის დახოცილი ნადირის ტყავის ტანისამოსი ეცვა. თმა აპბურძენოდა. თითონაც ნადირს დაჰგვანებოდა. ამ დროს იყო, რომ კახეთში ხმა გავარდა, ცივზე ტყის კაცი დაბუნაგებულაო.

გარეულის თვალებს აზრიანი გამომეტყველება არ დაჰკარგოდა, მის ბუნაგს ახლო სისუფთავე სუფევდა, წყაროდან რუ მოსდევდა, ბაღჩას რწყავდა.

1669 წელს მთელ საქართველოში დიდი ზამთარი იყო, მთაში თოვლი ორ ადღზე მეტი მოვიდა, ზედ ქარი დაერთო და საშინელება ტრიალებდა ტყეში. ზაზა შეჰფარებოდა თავის ბუნაგს, კერაზე სათრისათვის წაეკიდებინა ცეცხლი და ჩიბუხს აბოლებდა, ქარი კი იბრძოდა, გუგუნო გაჰქონდა, ხეებს ჰლეწდა, ძირიანად აბრუნებდა.

-ღმერთო, დაიხსენ საქრისტიანო! - იწერდა პირჯვარს ზაზა, რომლის გაქვავებულ გულსაც კი შეჰპარვოდა შისი ამ საშინელ ღამეს.

უეცრად ქარის ღრიალთან მხეცის ღმუილიც შემოისმა და ამავე დროს კარებმა ზანზარი მოიღო, მოწყდა, გადმოვარდა და ირემი კი გაიშხლართა კერის წინ. ზაზამ ხანჯალი შეიმაღლა, რომ გაეგმირა ცხოველი, მაგრამ მალე მოვიდა გონს და ისევ ჩააგდო; გაამაგრა კარები, დაჯდა თავის ადგილას და შინჯვა დაუწყო თავის უცნაურ სტუმარს.

ჰურ-ირემი იყო. მწყაზარი ტოტები მის სიმარდეს სახავდნენ, მაგრამ ახლა უღონოდ დაეყარა წვიცები, შიმშილით ფერდი ფერდს მიჰკროდა, ნაკბილარებიდან სისხლი ჩამოსდიოდა: ნადირს დაჰლწეოდა პირიდან. შეებრაღა, შეუხვია ჭრილობა. ირემი კანკალებდა; ზაზამ ტყავი დაახურა. საწოლიდან თივა ამოგლიჯა და წინ დაუდო, მაგრამ ცხოველს ჭამის თავი აღარა ჰქონდა: უკანასკნელი ძალა ეხმარა გადასარჩენად და ახლა ღონემიხდილს ყელი ბეჩავად გადაეგდო.

მეორე დღესაც ისეთივე საშინელი დარი იყო. ამ საზარელმა ამინდმა ერთ კვირაზე მეტს გასტანა. ირემი პირველ დღეებში ფეხზე ვერა დგებოდა, ისე იყო დასუსტებული. ამ ხანში ზაზა წამლებს ადებდა იარაზე, ასმევ-აჰმევდა, უვლიდა, ჰპატრონობდა: უხაროდა სულდგმული თავის ბუნაგში.

ირემს რომ ჯერ განუსაზღვრელი შიში ეტყობოდა თვალეებში და მიახლოვებაზე თრთოდა და თავს აწყვეტდა, მერე ნელნელა შეეჩვია ზაზას, თვალეებში ნდობა

გამოეხატა. მეტედრე ძალიან იამებოდა ირემს, როცა პატრონი მარილს ალოკებდა და თან თვალებზე ხელს უსვამდა.

გავიდა ხანი, ცხოველი მოსულიერდა, მობრუნდა. ზედატანებაზე თოვლიც გადნა, მიწა აფუვდა, ტყე აკოკორდა; გაზაფხულმა აათქვირა ბუნება. ზაზა ძალიან შეეჩვია თვის სტუმარს და ახლა ნაღვლობდა, ირემი ისევ წამივანო, მაგრამ ირემი რომ გამოვიდოდა ქოხიდან, მიივლ-მოივლიდა, ისევ ბრუნდებოდა შინ. შეამჩნია, ნადირი სემეჩვია, ამაგი დამიფასაო და უმატა ალერსს, მოვლას. ბოლოს დარწმუნდა, ირემი თავს აღარ დამანებებსო და სიამოვნებით აევსო გული.

ერთ დილას ჩვეულებრივ გამოვიდა, მიიარ-მოიარა ველი, წყაროში ტუჩი დაისველა, ბუჩქნარი გადიარა, მიეფარა. ზაზა ამეებს ახლა ყურადღებას აღარ აქცევდა, რადგან ბევრჯელ მიეფარებოდა, მაგრამ სადამოზე ისევ გამოჩნდებოდა, მიეალერსებოდა პატრონს. დაღამდა კიდეც, ირემი არსადა ჩანდა. იმ ღამეს არ დაბრუნებულა. მეორე დღეს ზაზა სეუდგა ირემის ძებნას, შემოუარა ტყეს, ბევრი ეძება, სახელიც უძახა. ამაოდ: ირემი დაიკრგა. დაღონდა ზაზა.

-მე მეგონა, ცხოველს მაინც შევასმენ ჩემ სიკეთეს, ის მაინც დამრჩება მაღლიერი და, დახეთ, აქაც მოვტყუვდი,-ფიქრობდა ის.

რამდენისამე დღისშემდეგ ირემი ისევ გამოჩნდა ველზე, მაგრამ მარტო კი არა, ამხანაგით: უშველებელი ხარირემი მოსდევდა თან. ზაზას ძალიან გაეხარდა, დაუძახა, გაემურა იმისკენ. ირემმ ხელის ლოკვა დაუწყო, ხარირემი ცოტა ხანს გაკვირვებული უყურებდა თავის ცალის ქცევას, მაგრამ მერე დაიფრუტუნა და გადახტა ტყეში.

მას შემდეგ ირემი ხშირად მიდიოდა ბინიდან, ღამეც დაჰყოფდა სახლგარეთ, მერე კი ისევ ბრუნდებოდა. ტოლიც აუცილებელივ მოჰყვებოდა და აღარც ისე ძლიერ უფრთხოდა ზაზას, თუმცა კი არ ეკარებოდა.

ერთხელაც გადიკარგა ირემი და რამდენისამე დღის შემდეგ დაბრუნდა, თან პაწაწინა ნუკრიც მოიყვანა. ხარ-ირემს ეძნელებოდა ახლა თავისების თავდანებება, მაგრამ როცა ზაზამ ისინი სახლში შერევა, ის ისევ ტყეში გადავიდა. ამას შემდეგ ზაზამ სადგომი გააფართოვა, გომური რამ გამოუთხარა ტავის მეგობრებს.

გავიდა ხანი, ზაზამ მოაშენა ირმები. ახლა საჭიროც იყო იმისთვის ეს ღვთისწყალობა, რადგან გატყდა, მარჯვენა აღარ ერჩოდა და სინ უნდა დაეგულეზინა სარჩო.

ზაზა გულდამშვიდებით ცხოვრებდა, უვლიდა თავის ათასგვარ მწვანელით და ყვავილით აფერადებულ ბაღჩას, უგროვებდა სუნნელოვან თივას თავის მეგობრებს, რომ ზამთარს არ დაეჩაგრა ისინი.

გიარეს წლებმა. ერთ რამეს იყალთოდან დაინახეს სინათლე, რომელიც თურდოს ღელის თავში ტყიდან გამოშუქდა. გაუკვირდათ, აცნობეს მოძღვარს. იმან იფიქრა, ალბათ, სასწაული რამ გამოჩენილაო და გზას გაუდგა. შეიარაღებული ბიჭები გაჰყვნიენ თან. მივიდნენ იმ ადგილს და მიცვალებული დახვდათ; დაწყნარებულ სახეზე ღიმი შეჰპრობოდა. ირმები გარს სემოხვეოდნენ და განცვიფრებული ჩაჰყურებდნენ უძრავ პატრონს.

-მართალი კაცი გარდაცვლილაო,- თქვამოდვარმა და პირჯვარი გამოისახა.

იოსებ კაიაფა

1

მეფე არქელაოსის დროს ებრაელები ყოველმხრივ დიდ სევიწროებაში იყვნენ ამ უნიჭო და დაუნდობელ მმართველისაგან, რომელმაც ტახტზე დაჯდომისთანავე სამი ტაასი კაცი ამოახოცინა ტაძარში და შეურაცკყო ებრაელების სიწმინდე. მარტო იმითი ასახელა ტავისი ათი წლის მეფობა, რომ აწამა და დაამდაბლა თავისივე საბრძანებელი.

მაგრამ ამ მეფობი დროს ებრაელები მაინც ნუგეშობდნენ, რომ მათი სამშობლო თავიასუფალ სამეფოდ იყო აღიარებული, მხოლოდ მოკავშირედ ითვლებოდა რომისა, ეს კი დიდად სასახელო და სასრგებლო იყო, როდესაც რომს ფართოდ გაეშლნ ძლევამოსილი ფრთები და მთელი ქვეყანა დაემონებინა. სამფოს ესეთი მდგომარეობა იმითი იყო ძვირფასი, რომ კანონების ძალით მოკავშირე სახელმწიფოების შინაური ცხოვრება თავისუფალი რჩებოდა, სინაურ წესწყობილებას ვერვინ შეარყევდა, ხელს ვერვინ შეახებდა; მხოლოდ კეისრის დაუკითხავად მეფე ვერ დაჯდებოდა ტახტზე და სხვა სახელმწიფოებდთან ურთიერთობის დროს, უნდა დაჰმორჩილებოდა კეისარს.

არქელაოსის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ რომმა მთლად მოუსპო ებრაელებს ტავისუფლება, შეართა ტავის იმპერიას, როგორც მაზრა, გამოგზავნა მმართველად პროკონსული კოპონია, შეაწერა ხარჯი, შელახა იმაი შინაური ცხოვრება.

ეს ველარ მოითმინა ისრაილმა და ალელდა. აჯანყებულების წინამძღვრებმა იუდა გამალმა და სადოკმა შეიარაღეს და ფეხზე დააყენეს მთელი პალესტინა. მაგრამ თავისუფლების სურვილით გატაცებულ ებრაელებს დაჰვიწყებოდათ, რომ უძლეველ მეომრებს ებღზოდნენ, იეგოვას კი ზურგი შეექცია მათთვის: კეისარის მხედრობამ დაამრაცხა ისრაილი, სისხლის ღვარს მისცა მისი სურვილები, ცეცხლში ჩასწვა მისი მისწრაფებები.

შეკრთდნენ ებრაელები და გაჩუმდნენ, ეგონათ უკანასკნელი ჟამი დადგაო, დამაუძღურებელმა შიშმა შეიპყრა ისინი.

ხალხის ესეთი მდგომარეობა ძალიან საფიქრებელი იყო შეგნებული მამულიშვილებისათვის. იმედმოღებულ ერს მოსპობა მოელოდა. ნუთუ მთლად დაუტევა ისინი?!-არა, ბევრჯელ დასდგომია ისრაილს შავ დღე, ბევრჯერ მიწასთან გასწორებული ჰგონებიათ, მაგრამ იმის წიაღიდან მოვლინებულან ძლიერნი, აუმაღლებიათ ხმა, მოუგონებიათ შემრწუნებულ ერისათვის, რომ ღმერთი სამუდამოდ არ გასწირავს მას, არც სამუდამოდ გარისხდება ამსზე და ისევ იმედებით აუვსიათ მოუძღურებული ხალხი, განუმტკიცებიათ ის. ეხლაც სასოწარკვეთილ ერს ხმა მისცეს რჩეულბმა. მათ რიცხვში იყო იოსებ კაიაფაც.

2

იოსებ კაიაფა აღიზარდა იერუსალიმს, სვიმონ ბენ-სათახისაგან დაარსებულ სასწავლრბელში. ეს სკოლა გაირჩეოდა სხვა სკოლებიდან, რომლებიც გაფანტულები იყვნენ მაშინ პალესტინაში: აქ უფრო ვრცლად ასწავლიდნენ საღმრთო წერილს და იმის განმარტებას, სხვებში კი საღმრთო სჯულის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ახსნით კმაყოფილდებოდნენ. გარდა ამისა, ამ სასწავლებელს უფრო მეტად ეტყობოდა

ეროვნული ხასიათი. იერუსალიმში, ისრაელების დედაქალაქში, უფრო საგრძნობელი ხდებოდა უცხოეთის მფლობელობა, აქ მეტი იყო იმისადმი სიძულვილი, აქ უფრო გაძლიერებული მამულის სიყვარული და ყველა ეს სასწავლებელსაცემჩნეოდა.

ნიჭიერმა იოსებ კაიაფამ ზედმიწევნით შეისწავა სასწავლებლის მოძღვრება, შეითვისა სწავლა-მიმართულება. მაგრამ შემდეგ, როდესაც გაიცნო ელინთა სიბრძნე და ალექსანდრიელი რაბინების შეხედულება, ზოგიერთ კითხვებში გადაუხვია საზოგადო გზას, თავისებურ შეხედულებას დაადგა.

საღმრთო სჯულის შესწავლამ ის იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ იქ ცხადად არაფერია მოთხრობილი კვდრეთით აღდგომაზე და საუკუნო ცხოვრებაზე, რომ საიქიო ცხოვრება ძველ აღთქმაში არამც თუ არსად არ არის ცხადად აწერილი, არამედ ზოგ ადგილას საიქიო და სამარე ერთ და იმავე საგნად მიაჩნიათ საღმრთო მწერლებს; ამიტომ უარჰყო კვდრეთით აღდგომა და დაუსრულებელი ცხოვრება.

რადგან საუკუნო ცხოვრება უარჰყო, ამისთვის საღმრთო წერილის ყველა ის ადგილები, სადაც ღმერთი აღუთქვამს ისრაილს დიდებას და განცხრომას, ისე ახსნა, რომ ეს სიკეთე და სიმძლავრე ამ ქვეყნად, მხოლოდ ამ ქვეყნად უნდა ღირსებოდა რჩეულ ერს. აღთქმულ მესიასაც ამ თვალთ შეჰხედა, მესია მისთვის ქვეყნიური მეფე იყო, მხოლოდ ქვეყნიური მეფე, ეროვნული გმირი, რომელს წამოგზავნიდა ცა. იგი შემუსრავდა თესლთ ძლიერებას, დაიმორჩილებდა მათ, მორჩმული დაჯდებოდა დავითისა და სოლომონის გაახლებულ სამეფო ტახტზე.

მესიას თითქმის ყველა ებრაელებიც ისე უყურებდნენ მაშინ, როგორც რომაელთა ხელიდან დამხსნელს.

კაიაფას ესეთი მიმართულება იყო მიზეზი, რმ ის შეუერთდა სადუკეველებს, რომლებიც თითქმის ამგვარსავე სწავლას ქადაგებდნენ, და შეიქმნა ამ დასის დამამშვენებელი. მით უფრო ადვილი იყო კაიაფასათვის სადუკეველებთან დაახლოვება, რომ ეს სასარგებლო და ხელსაყრელი იყო პირად მისთვის: სადუკეველები მდიდარ და ჩინებულ ხალხად ითვლებოდა, მათთან კავშირს ახალგაზრდა სწავლულისათვის დიდი სიკეთე შეეძლო მოეტანა.

აი, ამ კაცმა აღიმადლა ხმა იერუსალიმში იმედგარდაწყვეტილ ხალხის გასამხნეველად.

3

იერუსალიმის თორა სავსე იყო ხალხით. ერთ მხარეს კაცები ისხდნენ, პირველი ადგილი მწიგნობრებსა და თავ-კაცებს ეჭირათ; მეორე მხარეს, მოაჯირის უკან, ქალები ემწკრივნენ; ქალებს ჩადრი ესხათ. თვალებიღა უჩანდათ ჩადრიდან.

თორა ოთხკუთხი გრძელი შენობა იყო. კედლებიც და თალიც შიგნიდან თეთრი მარმარილოსი ჰქონდა, შემკული მარმარილოზევე გამოქანდაკებული მსხმოიარე ვაზებით, ფოთოლშესხმული და აყვავებული კვერთხით - არონის კვერთხით, - მანანით სავსე სტამნით. მოხდენილი დერეფანი და კამარად შეკრული შესავალი მარმარილოს სვეტებზე დაყრდობოდნენ. ეს სვეტებიც და ბრინჯაოს მძიმე კარიც ჩუქურთმით იყვნენ მორთულები. ვიწრო ფანჯრები თუმცა თავისუფლად არ უშვებდნენ მზის სხივებს დარბაზში, მაგრამ შუქი სპეტაკ კედლებზე კრთოდა და საკმაო სინათლეს ჰფენდა დარბაზს.

დარბაზის ბოლოს ამალღებულ ადგილზე კიდობანი იდგა, საცა სჯულის წიგნები ინახებოდა. კიდობანს წინ ფარჩის ჭითელი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, ფარდას

ოქროსქსოვილი ფოჩებიანი ბაფთა ევლო. ეს კრეტსაბმელი ეკიდა ვერცხლის რგოლებით ვერცხლისავე მავთულზე. რჯულის კიდობნის გვერდით, ცოტა უკან, კათედრა იდგა მქადაგებლებისათვის.

სალოცავად შეკრებილი ხალხი სევდით და სასოწარკვეთილებით იყო მოცული. ილოცეს. ახლა რომელსამე მწიგნობარს უნდა წაეკითხა ერთი ადგილი რჯულის კანონიდან, ერთიც საწინასწარმეტყველოდან და ხალხისათვის განემარტა წაკითხული, მაგრამ საპატიო ადგილას მსხდომი მოძღვრები და მოხუცებულები მწარედ ჩაფიქრებულიყვნენ, არც ერთი იმათგანი არა გრძნობდა ზეშთაგონებას, ვერც ერთი ვერა ჰბედავდა თავს ედვა ეს საქმე. ახალი საქმე კი არ იყო ამთავის ეს მოვალეობა, რადგან ესენი ყველანი დიდად დახელოვნებულები იყვნენ მწიგნობრობაში და ქადაგებაში, მაგრამ უცხო თესლთაგან დათხეული მამულიშვილების სისხლი ჯერაც არ შეჰშროდა მამულს, სამშობლოს, უბედურება მძიმე ტვირთად დასწოლოდათ გულზე, შისი და ძრწოლა მოჰხდომოდათ მათ და ბნელს შეეპყრო მათი გონება, ენა მათი აღქმოდა სასასა მათს და მდუმარებდნენ, როგორც მდუმარებდნენ მათნი წინაპარნი ეფრატის ნაპირზე: ვერ ეპ[ოვათ სიტყვა ამ უბედურების გამოსახატავად, ვერ მოეხერხებინათ რამე სანუგეშო ეთქვათ კრებულისათვის, გაემხნევებინათ ის.

ამ გამოურკვეველ მდგომარეობაში რომ იყვნენ მლოცველები, წამოდგა ბოლო სკამებიდან ახალგაზრდა და მოკრძალებულის ნაბიჯით მიუახლოვდა კათედრას. სახეზე კრძალვის ალი ასდიოდა, ცეცხლისმფრქვევ თვალებში კი გამბედაობა ეხატებოდა, იმისი სუფთა მდიდრული ტანისამოსი და მოვლილი ხელები აჩვენებდნენ, რომ უბირი ხალხისაგან არ იყო ის.

იმის დანახვაზე მწიგნობრებმა ერთმანეთს შეჰხედეს, ქალებმა ჩურჩული შეჰქმნეს.

-იოსებ კაიაფა! - გაისმა ხალხში. - კაიაფა!

გვადრუცის მცველმა ახედ-დახედა ახალგაზრდას, მერმე დინჯად გადასწა კრეტსაბმელი, გამოიღო კიდობნიდან ეტრათი და მისცა მას.

4

კაიაფამ გადაშალა რვეული და ამოიკითხა:

უთხრა უფალმა გველს: წყეულ იყავ! მტრობა დამიდვია შენსა და დედაკაცს შუა, შენი ნაშენის და დედაკაცის ნაშენის შუა; ნაშობი დედაკაცისაგან შემუსრავს ოდესმე შენ თავს!..

წაკითხა ეს, წიგნი ისევ ხაზუნანს გარდასცა და დაიწყო:

-გველმა სეაცდინა ჩვენი წინაპარნი და ღმერთმა სასტიკად დასაჯა შემცდარნი, მიაგო იმათ მისაგებელი მათი, მაგრამ იმათი მტერიც მიწასთან გაასწორა-მუცლით ცურვა დაუწესა, სიტყვიერება წართო და თუმცა ყველა ცხოველზე ჰკვიანი ცხოველი იყო, ისე რომ პირველობას ჩემობდა ქვეყანაზე, საზიზღარ სულდგმულად გადრააქცია, რომელიც მიწაში იმაღავს ტავს, რომელსაც უღონო სიძულვილიდა შერჩენია კაცისადმი. კაცთა ნათესავი კი აღორძინდა, ქვეყნის მფლობელი და მეფე შეიქმნა.

-ჩვენ წინაპართ ბედსი ჩვენი ერის ბედია განხორცუილებული: გველმა ან მტერმა სძლია, მოუსპო დიდება და თავისუფლება, დასჩაგრა და დაამდაბლა ის, მაგრამ მოვა დრო, აღთქმული სანატრელი დრო, და აღსდგება რჩეული ღვთისა უმეტესი დიდებით, რისხვას მოჰყენს მდევართა თვისტა, შეჰმუსრავს თავსა გველისასა!

დაღონებულ კრებულს სიცოცხლე დაეტყო: მწიგნობრებმა ყურადღებით დაუწყეს სმენა მქადაგებლებს, მლოცავები სეიდრნენ და წინ წაიწიეს, დედაკაცებმა ჩურჩული

მოსპეს; ერთმა იმათგანმა ჩადრის წვერი გაუშვა ხელიდან და თუმცა ნორჩი სახე თითქმის მთლად გამოუჩნდა, მაგრამ ცადრს მაინც აღარ აქცევდა ყურადღებას და შავი განიერი თვალები ველარ მოეწყვიტა ვაჟკაცისათვის.

-ღმერთი შემდგომაც ყოველთვის გვიმეორებდა და განგვიმარტებდა ჩვენი ერის ამგვარ ხვედრს, გვამცნებდა ცვენი ერის ამგვარ დიდებას: აბრამს უთხრა, ძლიერ გაგამრავლებ შენ მეფეები იშვებიან სენგან, მე ღმერთი ვიქნები მფარველი შენი და სენი ჩამომავლობისაო; ისაკს ამცნო, იცხოვრე ამ ქვეყანაში, რომელიც მომიცია შენთვის, და მე შენთან ვიქნები, გავამრავლებ სენს ჩამომავლობას, როგორც ვარსკვლავებს ცაში, და ერთი შენი ჩამომავალთაგანი კურთხევას მომცემს მთელ ქვეყანასაო; იაკობს გაუმეორა, შენი წიაღიდან მეფეები იშვებიან, გაძლევ შენ და შენს შემდეგ შენ ჩამომავლობას იმ ქვეყანას, რომელიც მივეცი აბრამს და ისაკსაო.

-ეს აღთქმა ყოვლადშემძლებლის აღთქმაა უცვალებელი. თუმცა ეხლა გაგვირისხდა უფალი, გარე შეაქცია პირი თავისი ჩვენგან და დაგვამდაბლა ჩვენ, თუმცა ქალაქნი ჩვენნი და ქვეყანა ჩვენი მისცა მტერს და დაგვამონა, გარნა არა სრულიად განრისხდების უფალი! მოვა დრო და ისევ ამლდებდა რქა ისრაილისა, მოვა დრო და აღიგვებიან პირისაგან ქვეყნისა მტერნი იუდასი როგორც მტვერი; ამობრწყინდება ვარსკვლავი იაკობისაგან და აღსდგება კაცი ისრაილისაგან, რომელიც სემუსრავს მტრის ძლიერებას; მოგვევლინება მეფე იუდასაგან და წინამძღვარი იმის ჩამომავლობისაგან, რომელიც დაიმორჩილებს უცხო თესლთ და მოგვანიჭებს მშვიდობას!

-ჭემმარიტად! ზემთაგონებით ამბობს, როგორც წინასწარმეტყველი ვუნმე!-გაისმა დარბაზში და მლოცავებს ღელვა დაეტყოთ.

-დიაღ,- განაგრძო მქადაგებელმა,-ისეთს წინამძღვარს აღვიდგენს უფალი, როგორც იყო მოსე, იმას ვუსმინოთ და გვიხსნის მონობისაგან; იგი უძლიერესი მეფე იქნება; ის, რომელზედაც უთხრა უფალმა დავითს: აღვადგენ შენს თესლს შენ შემდეგ, შევუმზადებ სამეფოს და მის სამეფო ტახტს საუუნოდ განვაგე, მე მამა ვიქნები მისი და ის იქნება ძე ჩემი; ეს ის მეფე იქნება, რომელზედაც სთქვა იასაიამ: ქალქული მუცლად იღებს და შობს ძეს და უწოდებენ მას ემანუილ, რომელი ჰნიშნავს: ჩვენთანარს ღმერთი!..

-ჩვენთან არს ღმერთი და რისა უნდა გვეშინოდეს ჩვენ? ჩვენთან არს ღმერთი! სცანით, წარმართნო, და იძლიენით, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

-ჩვენთან არს ღმერთი! სცანით, წარმართნო, და იძლიერნით, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!.. -გრგვინავდა თორა და ველარ წყნარდებოდა აღელვებული ხალხი.

5

გავიდა რამდენიმე დღე ამ ამბის სემდეგ და მღვდელ მთავარნმა ანანმა იხმო კაიფა თავისათან. ანანანს თავის სასახლეში შეეკრიბა უწარჩინებულესი კაცები ერის საქმეზე მოსალაპარაკებლად და ახალგაზრდა სწავლულიც დაებარებინა დასასწრებლად. ბჭობამ დიდი ხანი გასტანა. დიდად საზრუნველი საქმეები ჰქონდათ: იმათ რჯულს და ხალხოსნობას არყევდა რომაელების მძლავრი ხელი და შველა იყო საჭირო, სესაფერი ღონისძიების მიღება იყო აუცილებელი.

კაიფა, მართალი, მოკრძალებასა გრძნობდა, როცა ნავითარებელ ფარისევლებსა, მწიგნობრებსა და მოხუცებულებში იჯდა, მაგრამ თანაც იმის თავმოყვარეობას

აკმაყოფილებდა ეს,-მით უფრო რომ კრებაზე ყველა პატივით ეპყრობოდა მას, ყვრლა ისე უყურებდა მას, როგორც მომავალს ისრაელისას.

კრებაზე დაესწრო ანანის ერთადერთი ქალი მელქოლაც, რომელიც თუმცა ჯერ ნორჩი იყო, მაგრამ ძლიერ განათებულ ქალად ითვლებოდა პალესტინში. მამას მეტად უყვარდა ის გვერდიდან არ იშორებდა, ყველა საიდუმლოს ანდობდა, მით უფრო, რომ ვაჟებმა ვერ გაუმართლეს, ძლიერ დაუფიქრებელი ვაჟკაცები დადგნენ. მელქოლა ახტაცებით უყურებდა ახალგაზრდა კაიფას. და მის ყველა სიტყვას ისე ისმენდა, რომ წინასწარმეტყველის თქმას.: კაიფამ რომ თორაში იქადაგა, იმ ქადაგებამ სამუდამოდ მოაჯადოვა ქალი.

ღამე გატეხილი იყო, როცა კაიფა დაბრუნდა სინ. მონას ლოგინი მოემზადებინა, მაგრამ კაიფა ძილი გაუკრთა, ფიქრებმა გაიტაცეს. ის ავიდა თავის სახლის ბანზე და მიუშვირა გახურებული შუბლი სიო. იმისი სახლი გორაზე იდგა კედრონის გამოღმა, ტაძრის დასწვრივ. სახლის წინ თავქვეზე პატარა ბაღი ქონდა გაშენებული. რამდენიმე ხე სახლსაც ერტყა გარს და იმათი ფოთლების წყნარი სრიალი ნანას ებნებოდა კაიფას.

ბანიდან თითქმის მთელი ქალაქი მოჩანდა წინ გააშლილი. მთვარის შუქით განათებულ ტაძარს დიდებული შეხედულება ქონდა, მაგრამ მის დიდებას არღვევდა ტაძრის ზემოთ აშენებული ანტონიუსის ციხე-სასახლე, რომელიც განიერი კიბით უერთდებოდა თაძრის ეზოს და დაეპყრი სიწმინდე. რომაელებმა ეს ციხე იმისთვის ააშენეს, რომ იერუსალიმის ტაძარი, ეს უმთავრესი ციხე-სიმაგრე ებრაელებისა, ხელში სჭეროდათ ყოველი შემთხვევისათვის: რომაელთ ლეგიონებს ერთ წუთზე შეეძლოთ ციხიდან ტაძარში გაჩენილიყვნენ. ამ სანახაობამ უფრო აუშალა დარდები კაიფას.

-დაგვამადლა ურჯულომ, -ფიქრობდა ის,-დაგვითრგუნა და შეგბალა სიწმინდე. ვიდრემდის გარე მიაქციო პირი შენიჩვენთაგან, უფალო?! ყველა ქალაქში, ყველა დაბაში გამოთესლდა უცხო ტომი, ურჯულომ შეგვინახა და გაგვირყვნა ერი, ლამის რჯულზედაც გააგურგლიროს ის და მაშინ ხომ ამოიფრხვება ხსენება ისრაელისა. ნუ იქმნ ამას, უფალო, ნუ! მოიგონე ახტქმა შენი და შეგვიწყალე.

-არა! ცვენი ვალია, სეგნებული ხალხის ვალია სიწმინდით დავიცვათ ერი დაღირსყვით ის აღტქმული მხსნელისა, მესიასი.

-სიწმინდით დავიცვათ! ადვილი სატქმელია! რა ძნელია ეს საქმე-მხოლოდ ის მიხვდება, ვინც ხედავს, როგორ დაუცხრომლად და განუწყვეტლად, თუმცა შეუმჩნევლად და ნელ-ნელა სწამლავს უცხო თესლის სიახლე ჩვენს ერს. ამ გავლენის შესაზღუდავით ძალა რამ უნდა ეჭიროს კაცს ხელში, ძალა...

-ჩვენი ძალა დღეს მღვდელ-მთავარია,-განაგრძობდა კაიფა,-ის არის ჩვენი რჯულის თავიც და ერის წინამძღვარიც. მოსეს მოადგილეა ის. ერმაც ხომ ესე აღიარა, როცა დაადგიბნა სვიმონ მაკაბელი მღვდელ-მმთავრადაც და ერის მართველადაც. ჩვენი მღვდელ მთავარი ანანი.. სუსტი კაცია ის, ერის გულშემატკივარია, მაგრამ სუსტი. ჰეროდემ ტყუილად კი არ გამოიწვია ის ალექსანდრიიდან და ეს ღირსება ჩააბარა: იცოდა, რომ ანანი ვერაფერ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა იმას, ყურმოჭრილი ძმა იქნებოდაიმისი. ანანის შვილები? ისინი მარტო განცხობით ცხოვრებას უნდებიან... არა! ეს უმაღლესი თანამდებობა იმისთანა კაცს უნდა ებაროს, რომესმოდეს კიდევ იმისი მნიშვნელობა და შეეძლოს კიდევ იმისი მოხმარება. მე უნდა ვიყო მღვდელ-მთავარი, რომ იმისი ქალი? მელქოლა ნამდვილი ებრაელი ქალია: მსვენიერი, გონება მახვილი, მეოჯახე, მერე როგორ უყვარს შამშობლო! იმ დღეს თორაში როგორა ჰდელავდა, როცა მე ვლაპარაკობდი! ანანმა რომ მომცეს მელქოლამ, მერომ ის ქალი შევირთო და...

კაიფა ტკბილ ოცნებებს მიეცა. აგერ იმას ასრულებია ნატვრა: დიდებიც შემოსილან, -დღეს ის არის ისრაელების მღვდელ-მთავარი; მაღლიერი ისრაელი მესიის წინა მორბედადა სთვლის იმას, იმისაგან მოელის სწორე გზის მაჩვენებელ სიტყვას; აგერმელქოლაც მის გვრედზეა, ეს მშვენიერი და წკვიანი დედაკაცი სწორედ რომ მეუღლეა ყველასაგან პატივცემული მღვდელ-მთავრისა. ოცნებამ აღტაცებაში მოიყვანა კაიფა: აზრების მსვლელობა შესწყდა, გამოურკვეველ ნეტრებას მიცა ის. ოდნავ შემოესმა სრიალი და მერემე მწყობრი გალობა, ტანაც ცხადად გაიგონა:

-კაიფავ! მღვდელ მთავარო კაიფავ!

კაიფამ აიხედა მაღლა და დაინახა: რომ სხივმოსილი ანგელოზები ჰგალობდნენ და იმათ გუნდ შუა მოსჩანდა დაბრწყინებული ჩვენება, რომელსაც სახეზე დიდი რამ ტანჯვა აღბეჭდოდა. ჩვენებამ შეჰხედა იმას და უთხრა ყვედრებით.

-მღვდელ-მთავარო კაიფავ! შენ ვერმიცანი მე და მხსნელი სოფლისა მიმეც სატანჯავად წარმართთა!

-მე, უფალო?!-შესძახა შემკრთალმა კაიფამ და ფეხზე წამოხტა. ჩვენება მიეფარა.

6

გავიდა დრო, აგერ ოცდახუთი წელიწადი გავიდა, როგორც ერთი წამი. ათასი წელი წინაშე შენსა, უფალო, ვიტარცა დრღე ერთი. კაიფა ეწია ყველა თავის სურვილებს. ეხლა იმას თავისი სიმამრის ანანის ადგილი ეჭირა ურიასტამში, ებრაელების მღვდელ-მთავარი იყო, კაცი დიდად მიჩნეული ებრაელებისაგანაც და რომაელებისაგანა. ხშირი ჭაღარა წვერი სარტყლამდის სწვდებოდა, თვალები ჩაღრმავებოდა და სასატიკო გამომეტყველება მიეღო. ჩაფიქრებული იჯდა ტახტზე ფეხმორთხმული, კრიალოსანს ათამაშებდა. დარბაზს ლამპრები ანათებდნენ, ლამპრებში სეზავებული ზეთი იწოდა და ჰაერი გაჟღენთილი იყო სუნნელებით.

-არა! ყურის-წაგდება და ცდა აღარ შეიძლება,-ფიქრობდა კაიფა, -დღეს მბარია მთელი ერის ბედი, წინამძღვარი ვარ ხალხისა, მე უნდა ვიყო იმისათვის ისუ ნავეც და არონიც, უნდა დავიცვა ის რისხვისაგან ღვთისა და მძლავრებისაგან მტრისა ხალხი ფარაა უმწყემსო, რა ესმის?! ახთაცებიტ უსმენს და თაყვანსა სცემს ნაზარველ იესოს. ის მესია ჰგონია ხალხს, აღთქმული მხსნელი... მოცთუნებულ ხალხს ის კაცი განსაცდელს შეამთხვევს რასმე. მაშინ ხომ მთლად დაითქმება ისეც დაღუპული სამშობლო... დღეს უნდა გადასწორდეს იმ ნაზარველის ბედი.

კაიფა რომ ამგვარ ფიქრებში იყო გართული, დარბაზში ნელ-ნელა იკრიბებოდა საპატიო ხალხი, ესე ოცამდინ კაცი შიკრიბა, უფრო სიმედრიონის წევრები. მდაბლად მიესალმნენ მღვდელ-მტავარს და დინჯად დაიჭერდნენ თვაის ადგილს. ბოლოს კაიფამ უბრძანა მნას აღარავინ მიეღო. კრება მცირე ხანს ცაფიქრებული იყო კაიფამ დაარღვია სიჩუმე.

-თქვენ იცით, რისთვისაც შეგკრიბეთ აქ. ნაზარველი იოსეს მომღვრება და საქმეებმა იქამდინ მიახხწიეს, რომ ყურის წაგდება აღარ შეიძლება; ეხლა ჩვენი გაჩუმება ღალატი იქნება ჩვენი ქვეყნისა. ყველას მოგეხსენებათ, რომ ის კაცი გუშინ ისეთი დიებით მოაცილეს იერუსალიმში, თითქოს მართლა მეფე ყოფილიყოს,-ის აღთქმული უძლეველი მეფე, რომელმაც უნდა აღადგინოს და განამტკიცოს ჩვენი ერი, რომელმაც უნდა გვიხსნას უსჯულოთაგან დაგვიმორჩილოს წარმართნი, გაახლოს და გააბრწყინოს დიდებული ტახტი დავითისა.

-მართალსა ბრძანებთ,-ჩამოართვა სიტყვა სადუკეველმა ელიაზარმა,-მე გუშინ თითონ გახლდით და ვნახე, როგორ დიდებით მოჰყავდათ ის გალილეელი: ხალხის შიხარულს საზღვარი არჰქონდა, ტანისამოს და ხის შტოებს უფენდნენ ფეხ-ქვეშ, არხტაცებით უღაღადებდნენ კურთხეულ არს მეფე, მომავალი სახელითა უფლისათა! საწყალ ხალხსა ჰგონია, რომ მოვიდა დღე უფლისა, რომელშიაც უნდა ვიშვებდეთ და ვიხარებდეთ, ჰგონია, მოვიდა ხსნის დღე!

-ხსნის დღე!-გაიკვირვა კაიაფამ, -ეგ როგორი მხსენილი, როგორი მეფეა, როცა იძხის, ჩემი მეფობა მაქვეყნიური მეფობა არ არისო?! საკვირველია, ღმერთმანი, მაშ, რომელი ქვეყნიურია იმისი მეფობა?

-არც რჯულს ემორჩილება,-სთქვა ფაისეველმა გამაღეილმა, -წმინდა შაბათს სრულებით არა უქმობს; მოსემ რომ დაგვიწერა ცოლ-ქმრის გაყრა პატივსადები მიზეზით, ის ამბობს ეს შეუძლებელიაო: რაც ღმერთმა ერთხელ შეაერთა, იმას კაცი ვეღარ გაჰყრისო, მოსემ ხომ დაგვიწერა ფიცი საწჭირო შემთხვევაში, ის კი ამბობს; ფიცი ცოდვაა, თქვენი სიტყვა ფიცსავით მტკიცე უნდა იყოსო; მოსემ დაგვიწერა: თვალი თვალისა წინ და კბილი კბილისა წინ. ის კი ამბობს, ბოროტისათვის ბოროტის მიგება ცოდვააო, ბოროტს ნუ ეწინააღმდეგებო.

-სწორედა ბრძანებს!-ცამოართვა სიტყვა მოხუცებულმა მისახმა,- მე ჩემი ყურით გამიგონია ყველა ეგ იმისაგან, კიდევ მეტსაც ამბობს: მოსემ ხომ დაგვიწერა, გიყვარდეთ მოყვასი თქვენი და გპულდეთ მტერი თქვენიო, ის კი ამბობს, მტერიც გიყვარდეთო, კეთილსუყობდეთ თქვენს ბოროტმყოფელს და მდევნელსაო.

-საოცარი მოძღვრებაა, თქვენმა მზემ! -გაიკვირვა მწიგნობარმა ელიოზმა, -გამოდის, რომ რჯულისა და მამულის მტრებს არ უნდა ვეწინააღმდეგებოდეთ, თუმცა ისინი ბოროტს გვიშვებინან, თუმცა იმათა ჰსურთ, ამოწყდეს თვით ჩვენი სახსენებელი; არამც თუ არ უნდათ ვეწინააღმდეგებოდეთ მათ, ვმადლობდეთ, რომ კეთილ ინებეს და ყმად დაგვიჭირეს!

-მეც მიკვირს ებრაელისაგან ეგეთი მოძღვრება, მაგრამ ნამდვილ ეგრე კი არის,- განაგრძო ლევიტმა მალეღეიმ,-ის კაცი უფრო უცხო თესლებისკენ იწევს, შვილებს ტოვებს და ძაღლებს უყრის პურს: წარმართებსა სწავლობს და ჰკურნავს; როგორც ილიამ შიმშილობის დროს ფინიკელი დედაკაცი გადაარჩინა სიკვდილს, თუმცა დამსუფლები ებრაელებიც ბევრნი იყვნენ, როგორც ელისემ სირიელი განკურნა კეთრისაგან, თუმცა კეთროვანები ებრაელებშიც ბევრნი იყვნენ, ისე ღმერთი ეხლაც წარმართებს აირჩევსო. იმას კი ნუ უყურებთ, რჩეული ხალხი ხართ, აბრამის შტომომავლებიო: ღმერთი თუ ინებებს, ქვებიდანაც აღადგენს აბრამის შვილებასო: თქვენ რომ აბრამის შვილები იყოთ, აბრამის შესაფერს საქმეებსაც იქმობდითო; არა, თქვენი მშობელი ეშმაკია და ეშმაკის საქმეებს გადაკიდებიხართო. არც წინადაცვეთასა აქვს დიდი რამ ძალა, ძალა მხოლოდ სარწმუნოებასა და სიყვარულსა აქვსო. ხოლო მოყვასი ჩემი ის არის, ვინც კეთილს მიზამს, სამარიელი იქნება ის თუ წარმართი, სულ ერთიაო; ისე რომ ჩემთვის ებრაელი, ელლინი თუ რომაელი სულ ერთია, ოღონდ კი ირწმუნოს ის რასაც ვქადაგებო. შესამღებელია, უცხო თესლნი მოვიდნენ და აბრამის სამკვიდრებელი დაიმკვიდრონ, ისინი კი, ვინც არჩეულნი იყვნენ სუფევისა და დიდებისათვის, განიდევნონო.

-მაგის გარდა, ის დაურიდებლად ქადაგებს, კეისარს ხარჯი უნდა ვაძლიოთო; ფულს კეისრის ნიშნები აზის, მაშასადამე, იმისი კუთვნილება არის და კეისრისა კეისარს უნდა მიეცესო. ებრაელია და ვერ შეუგნია, რა შეურაწყოფაა ერისა, რა სეგინებაა წმინდა რჯულისა და მამულისა, რა დარღვევაა და რა უარყოფაა

თავისუფლებისა, როდესაც რჩეული ღვთისგან ხალხი ხარჯს აძლევს ურჯულოსა; ამის ქადაგება ჩვენი ეროვნების ამოფხვრის ნიშანია,-სთქვა სოვდაგარმა სადოკმა.

-ჩვენი კანონი მოითხოვს,-აიმაღლა ხმა სიმედრონის წევრმა ნიკოდიმოსმა,-რომ გასამართლების დროს არ დავფაროთ ის, რაც ბრალს უმსუბუქებს დამნაშავეს. ის კაცი მარტო ავის მომქმედი და მქადაგებელი არ არის, ბევრი კეთილი მიუძღვის იმას და ბევრ ბრძნულ სიტყვას ქადაგებს. რომ ამბობს ცოლ-ქმარს ნუ გაჰყრიოთ, ამითი გვამცნებს: ისეთი სიყვარულით უნდა შეუღლდეს ცოლ-ქმარი, რომ შემდეგ რაც უნდა შეემთხვეთ ის სიყვარული და იმ სიყვარულის მოგონება ჰფარავდეს ყველა ბოროტს; რომ ამბობს ნუ დაიფიცავთო, სურს გვამცნოს: ისეთი პატიოსნები უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენს ჰოს ჰო ერქოს და არას არა, და ფიცი საჭირო აღარ იყოს.; რომ ქადაგებს, მტერი გვიყვარდესო, ის უნდა სთქვას...

-კმარა!-გააწყვეტინა სიტყვა კაიაფამ,-შენც მიგიბირა?! ებრაელია, მოძღვრად სახავს ტავის თავს და ის კი არ ესმის, რომ ჩვენ მხოლოდ რჯული და ჩვეულებები და დავგჩნია უწინდელი დიდებიდან, რომ ერთი მხრივ რჯულისა და ჩვეულებების სასტიკ დაცვაში და მეორე მხრივ მტრის სიძულვილსი და იმასტან ყველა კავშირის მოსპობაშიდა ჩვენი ხსნა, და თუ შევარყიეთ ეს, ჩვენი ერის ყოფაც, მისი არსებობაც შეირყევა. მტერი რომ არ გვედგეს სახლში, თავისუფლება რომ არა გვექონდეს შეხუთული, მაშინ სხვაა, მაშინ შეიძლებოდა ყოველგვარი მოძღვრების დინჯად მოსმენა და მსჯელობა-კამათი იმაზედ, ეხლა კი სხვაა: ეხლა ეგეთი ქადაგება, ეგეთი აზრების გავრცელება ეროვნების უარყოფა და დამღუპველია, აგეთი მოქმედება ერის ღალატია და ხომ იცით ერის მოღალატეს როგრო ეპყრობა ცვენი კანონი?.. დიაღ, მაგის მქადაგებელი უნდა მოისპოს: მთელი ერის დაღუპვას სჯობს ერთი კაცი დაიღუპოს!

კრებამ დაადგინა მოეკლათ იესო.

7

ბნელი და სუსხიანი რამე იყო. პალესტინაში მსრალი ჰავაა და ახალგაზაფხულზედაც ღამე ხადისხან ისეთი სიცივე დაჰკრავს, კაცს ცეცხლს მოაძებნიებას. ეხლაც პასექის სადღესასწაულოთ იერუსალიმსი სეკრებილ ხალს ეზოებში და მოედნებზე ცეცხლი დაენთო და გარს შემოსხდომოდა. ნელნელა ცეცხლებიც გაქრა, ქალაქი სიბნელემ და მყუდროებამ მოიცვა.

ქალაქმა დაიზინა, მაგრამ იმ სასახლეს კი, რომლებშიაც ცხოვრობდენენ მღვდელ-მთავრები კაიაფა და მისი სიმამრი ანანი, არ ეძინა. ეზოში ცეცხლი ენთო, შედიოდ-გადიოდნენ, აღელვებულნი ლაპარაკობდნენ.

გაისმა ქუჩიდან ხმაურობა და ხალხი კიაწყდა ეზოს. შეიარაღებულ ვაჟკაცებს პყრობილი ვინმე მოჰყავდათ. გარს ათასი ხალხი ეხვია. ზოგს ჩაცმაც ვეღარ მოესწრო და რაც ხელში მოხვედროდა, ის წამოესხა; ოგნი კეტებით და კომბლებით იყვნენ შეიარაღებულნი; ზოგს სანათი ეჭირა ხელში.

მპყრობილს ხელები უკან გაკრული ჰქონდა. ეს იყო ახალგაზრდა ვაჟკაცი. მარალი, მოხდენილი ტანისა. წაბლისფერი ხუჭუჭი თმა გრძლად ეყარა. ფერმკრთალი მოგრძო სახე, სურათი ცხვირი... წაბლისფერივე ხუჭუჭა მოკლე წვერი ცოტათ შუაზე გაყოფოდა. თნა და წვერ-ულვაში ასწეწოდა. ცისფერ დიდრონ თვალეში სიბრძნე და კეთილშობილური სიამაყე ახატებოდა. ხალხი რომ იმის გარშემო ხმაურობდა და ღელავდა, ის დაფიქრებული მოდიოდა შუაზე, რაღაც აზრებს და ოცნებებს გაეტაცნათ

ის, სხვაგანა ჰქროდა მისი გონება და თითქო ვერც კი ამჩნევდა რა ხდებოდა მის გარშემო. პერობილი ჯერ ანანს სადგომსი შეიყვანეს.

კაიაფა ძლიერ აღელვებული იყო და მოუთმენლად ელოდებოდა იესოს შესაპრობლად გაგზავნილ კაცებს: უნდოდა პასექამდინ მოესპო ამ კაცის მოქმედება, დაეცვა ხალხი მავნესაგან და დროზე აესრულებინა თავისი მოვალეობა. ეხლა კი, როდესაც ეს კაცი შეპრობილი იყო და სასჯელს ვერ აცდებოდა, ეხლა ის ნელ-ნელა დაწყნარდა, დააკვირდა თავის მომედებას, და იმისმა ზარებმა სულ სხვანაირი მიმართულება მიიღეს.

-მოვსპობ ამ კაცს, ვანაცვალე ერის კეთილდღეობას-ეს ჩემი მოვალეობაა, მაგრამ ნამდვილი ღვთის სასიამოვნო საქმე კი იქნება ეს? მართალია, ნაზარეველი არ არის აღთქმული მესია, მაგრამ თუ ბოროტი ადამიანი იყოს ის, ამდენ კეთილ საქმეებს როორღა მოქმედებს? ფარისევლები ამტკიცებენ, ეშმაკის ზალით მოქმედებსო, მგრამ ეს რა სათქმელია?! ბოროტი სული კეთილს ან როგორ იზამს, ან რად იზამს? ეს კაცი სასწაულებს და სამადლო საქმეებსა სჩადის: ბრმებს თვალებს უხილებს, დავრდომილებს და კეთროვანებს კურნავს, ეშმაკეულებს მავნეებისაგან ანთავისუფლებს... რომ ძეთ ღვთისად და მესიად არ ეღიარებინა თავი, ან კიდევ, რახან მესია უწოდა ტავის ტავს, თავის ძალა მტრის განდევნისათვის და მამული ხსნისათვის მოენდომებინა, კიდევ კარგი, მაგრამ მაგან პირდაპირ უარჰყო ის საქმე, რომლისთვისაც მესია უნდა მოვიდეს ქვეყნად. როგორ სეიძლება ეს? მტრის დევნის მაგივრად, ეგ თითონ ჩვენ წინააღმდეგ აღელვებს ხალხს, ჩვენ წინააღმდეგ, რომლებიც დღეს ერისა და რჯულის დამცველები ვართ...

ამ ფიოქრებში იყო კაიაფა, როდესაც შეიყვანეს იმასთან შეპრობილი იესო. თან შეჰყვნენ სინედრიონის წევრები და ათასი სხვა ვინმე. კაიაფა გაიმართა წელში, ამპარტავნულად დაიჭირა თავისი ადგილი და უბრძანა სინედრიონის წევრებს დამსხდარიყვნენ. ესე უდროოდ შეკრებულ მსაჯულების წინ წარსდგა იესო.

მღვდელმთავარი ერთხანს უჩუმრად შესჩერებოდა პერობილს, უნდოდა გონების თვალთ გაეჭვრტნა ის, მაგრამ ამაოდ: პერობილი თითქო ვერც კი ამჩნევდა თავის მსაჯულებს, სხვა სურათები ეხატებოდა იმას თვალწინ, გონების თვალთ ის ეხლა ჰხედავდა იმ ჰეშმარიტების ზრდას, რომელიც მოჰმადლა იმან ტანჯულ კაცობრიობას და რომლის ასაღორძინებლად ეხლა უნდა დაენთხია წმიდა სისხლი თვისი. ბრბო კი იმის გარშემო ბოროტად რელავდა, ათას ბრალსა სდებდა უბრალოს, ათას მანკიერებას სწამებდა უმანკოს. კაიაფას უკვირდა ამ კაცის ქცევა, უკვირდა, როდესაც ის თითქო ვერც კი ჰხედავდა, რომნ იქ ყვეკლა იმის წინააღმდეგი იყო და ყველას სასიკვდილოთ ჰყვანდა ის განწირული. წამოდგა, მივიდა იესოსთან.

-რას გაჩუმებულხარ? ხომ ხედავ, რამდენს ბრალსა გდებენ, და რატომ არას იტყვი? მე მაინც მითხარი, მე მაინც მომიგე, შენ ხარ აღთქმული მესია-ძე ღვთისა მოსული სოფლად ჩვენს დასახმარებლად?

იესო ტავის სიცოცხლეში მხოლოდ ამ ჰეშმარიტებას ამტკიცებდა საქმით თუ სიტყვით და ეხლაც აღიარა თავის მოვლინების მიზანი:

-ძე ვარ! და ამიერთგან იხილეთ ძე კაცისა მარჯვენით მჯდომარე ძლიერებითა და მომავალი ღრუბელთათანა ცისათა.

-ძე ჩვენს მხსნლზე გეკითხები, მონებიდან მხსნელ მესიაზე, შენ კი კაცზე ლაპარაკობ... არა! შენ არა ხარ მესია, მხსნელი ისრაილისა! ჰგმობ ღმერთსა, ძეთ ღვთისად რომ აღიარებ თავს!-შესძახა კაიაფამ და ჯავრით საყელო გადაიხია.

-სიკვდილი მაგას! სიკვდილი!-დაიგრიალა ბრბომ...

გათავდა განკითხვა. იესო ერთ წამს ჩაკვირდა კაიაფას და გაჰყვა მცველებს.

გავიდნენ ყველანი. კაიაფა კი იქვე დარჩა გაქვავებული, შიშმა შეიპყრო ის და ადგილიდან ვერ იძვროდა. იმან ცხადად დაინახა ეხლა ის სახე, ის სევდით საბსე თვალები, რომელიც ახალგაზრობაში ეჩვენა მას და ეხკლაც ცხადად მოესმა იგივე საყვედური:

-მღვდელ-მთავარო კაიაფავ! შენ ვერ იცან მესუია და მხსნელი სფლისა მიეც სატანჯველად წარმართა!

შიშმა აიტანა კაიაფა. უნდოდა დაემახნა, უნდოდა დაებრუნებინა უკან მსხვრპლი, მაგრამ ენა არარ ემორჩილებოდა. ან კი რაღა დროსი იყო? ეხლა ვერც კაიაფას სინანული, ვერც პილატეს მეუღლის სიყვარული, ვერც თითონ პილატეს სურვილი, რომ არ დაეღვარა სისხლი მართალი, ვეღარ უშველიდნენ საქმეს; აზვირთებული ბრბო მსხვერპლსა თხოულობდა და რაღა შეაჩერებდა იმას?!

კაიაფამ ვეღარ დაივიწყა იესოს სახე და მისი შეხედვა. რაც უნდა ლხინში, თინდ საქმეში ყოფილიყო გართული, ეს სახე მოულოდნელად მოელანდებოდა, ცხადად დაუდგებოდა წინ სევდით ასვსე მოსაყვედურე თვალები და სულს უხუთავდნენ. მეტადრე ხშირად ევლინებოდა მას ეს სახე შემდეგში, როდესაც ვიტელიმ ჩამოაგდო ის მღვდელ-მთავრობიდან და როცა საყვარელი მეუღლე მელქოლაც დაკარგვა. ბოლოს ხომ მაინც ამ ჩვენებამ გადიტანა თან კაიაფა.

[1899 წ.]

ვაი შენს დამკარგავს

1

სიონის ქუცას რომ ცაათავებთ დახურულ ბაზრისკენ შეუხვევთ, იქვე მარცხნივ ვიწრო ქუჩა დაგზვდებათ, მტკვარზე ჩასასვლელი ტალახიანი ქუჩა. ამ ქუჩის პირიდან დახურულ ბაზრამდინ პატარა-პატარა დუქნები იყო გამართული, უფრო მოზრდილი თახჩები, მინამ დუქნები. ერთ ამ დუქანში იჯდა აზაზი ალხო.

დუქანი ყოველთვის სუფთად იყო შენახული. საქონელი ან ხელის ყუთებში, ან მინიან განჯინებში, ან პატარ-პატარა ფაქიზ ბოღჩებში ეწყო; მინებიდან მოჩანდა რიგზე დალაგებული სავაჭრო; წინ გამართულ პატარა ხარხიზზე ათასფერი ძაფი ეკიდა. ამ დუქანში ყოველგვარ ზაფეულობას, ყაითნებს ჩაფარიშებს, ფუნჯებს თუ ბუზმენტებს ნახავდით. იმისტანა ჯურა საქონელსაც შეხვდებოდით აქ, მეტადრე ჩაფარიშებს და ბუნჯებს რომელიც სხვაგან არსად იყო: ეტყობოდა, ხელოსანი ცდილობდა ხელობის გაუმჯობესებას, ახალი ჰანგის შემოტანას.

თუ მუშტარი თვალში მოუვიდოდა, ყაზაზი ყუთს გახსნიდა და რამდენსამე ნაჭერს ახალ საქონელს უცვენებდა. მოხდებოდა, რომ მუშტარს მოეწონებოდა სავაჭრო და იყიდდა, თუმცა თავდაპირველ აფრ ფიქრობდა იმ სავაჭროს ყიდვას. მაშინ ყაზაზი ნდობის კილოთი წასჩურჩულებდა იმას:

- ჩემი «სახლობის» უანარია ეს, ოქროს თითები აქვს ი კურთხეულის სვილს!

თითონ ყაზაზს სუფთა ტანისამოსი ეცვა. მისი ყურთმაჯ საყელო გაქონილი არავის უნახავს, არც იმისი თეთრი წინდები გაჭუჭყიოანებული. პატარა ნაალი, რომელზედაც ამ დღე მოკეცილი იჯდა ის, გაბუებული და გაქათქათებული იყო. სხვების ნაალებს კი არა ჰგვანდა. გათელილ-გაპოხილებს! ქოშები ნაალის გვერდზე

ეწყო; ტალახ-მტვერს ვერ შეამჩნევდით ზედ. თითონაც ყოველვის წვერმოპაარსული და დაბანილ-დავარცხნილი იყო. მხოლოდ თითებზე საღებავი ეტყობოდა, რადგან ყოველთვის ფერად ძაფ-ყაითანს აცოდვილებდა.

თუ ყაზაზებში გივაჭრიათ, ადვილად გაიხსენებთ ალხოს, რადგან უთუოდ ძმენიშნავდით იმის ქუდის თვისებას. იმის წოწოლა ჩაუტეხელად დახურული ქუდი დიდის ოსტატობით ცურავდა პატრონის ტავზე; როცა პატრონი მაღლა იხედავდა მუმტრის ან გამვლელის სანახავად, ქუდი მაშინვე უკან გადაცურდებოდა და შუბლს მთლად გამოუჩენდა; როცა ძირს დაიხედავდა, ქუდიც წამოსრიალდებოდა, თვალეზე გამოეფხატებოდა. ეს კაცი მუდამ კმაყოფილი იყო, სახე უღიმოდა. ვაჭრობაც ავისებური იცოდა: დააფასებდა და მორჩა! რაც უნდა ჯანჯალი მუმტარი სეხვედროდა, აღარას დაუკლებდა. იმისი ფიცი იყო: «ჩემი სახლობის მზე». ამ ფიცზე აცნობებს გაეღიმებოდათ ხოლმე, რადგან მთელი იმისი სახლობა მარტო იმის ცოლისაგან შესდგებოდა: შვილები არა ჰყვანდა.

მიხაროდა, როცა საყაზაზო სავაჭროსათვის მგზავნიდნენ. გროშებს მაშინვე ალხოს მივურბენინებდი. ის გულდასმით მომისმნდა დაბარებულს, ამირჩევდა და დიდის სისწორით ამიწონავდა. არასოდეს არ აღუწუნებიათ ცემთვის ნავაჭრი. აკი ძაფ-ყაითნის სასყიდლად უბნის ქალები სულ მე მგზავნიდნენ.

ბევრჯელ სემინიშნავს, რომ ჩუმ-ჩუმად ულვაშებსი გაუღიმია ალხოს, როცა ახლი რამ ნაქსოვი სჭერია ხელში, ტავის «სახლობის ნაქსოვი»: იმის მოგონებაზე გული უღიმოდა. მოდი ნუ გაუღიმებდა, მედნიერებას ნუ იგრძნობდა, როცა ეს მისი «სახლობა» მისი მზე იყო ამომავალი, მისი სულის დგმა!

2

დიაღ, თუ იყო რამე ეხლა ალხო, თავის «სახლობის», თავის ცოლის უნარით იყო; ბედნიერი რომ იყო ის, ეს ბედნიერება და დაუშრეტელი სიამოვნება მარმამამ მიუტანა იმას, თორემ თითონ რა იყო? -არაფერი.

პატარობა ალხომ ტავისი ბიძის სახლში გაატარა. იმისი ბიძაც ხაზაზი იყო. ძმისწული ვითომ შეგირდადა ჰყვანდა, მაგრამ უფრო ხელადით სამიკიტნოსაკენ, ან კოკით მტკვარზე რბენას ასწავლიდა, ვიდრე ხელობას. დუქანში სულ რამდენსამე წუთსა რჩებოდა, ისიც მაშინ, როცა სადილს მიუტანდა ოსტატს. დანარჩენ დროს სახლში ატარებდა, -ოსტატის ოჯახს ემსახურებოდა მშიერ-შიშველი. მერემე რამდენს უბრაგუნებდნენ თავში! ხომ უტყვი და უწყინარი ბავშვი იყო, მაგრამ სახლში მაინც ყველა იმაზედა სცდიდა თავის ძალღონს. რა უდიერად ეპყრობოდა ზალუა! დღე რომ ერთი იყო იმისი ცემა-ათასი.

-არაუშავს რა!-იტყოდა ხოლმე ზალუა,-მაგის დედამაც ბევრი დღე გამიმწარა; ახალი პატარძალი ვიყავი და მჩაგრავდა.

წარმოიდგინეთ, მეზობლებისათვისაც კი აზიდვინებდა წყალს ფასით. მუშავს კოკა ორ გროშად მოჰქონდა, ალხოს კი ორ კოკას ავსებინებდნენ ორ გროშად. შორს კი არ იყო მტკვარი. იარმუკიდან მუხრანიანთ ხიდისკენ რომ მიდიხართ, მარცხნივ შესახვევი ქუჩა ხომ გახსოვთ ვანქის მეიდანზე რომ გადის? იქ გაატარა ალხომ ყმაწვილობა. მაშინ ამ ქუჩის მარცხნივ ცარიელი ადგილი იყო, ვება ფიცრულით შემოზღუდული, მარჯვნივ ძველი შენობები იდგა, ხელმოკლე ხალხით სავსე. აქა ცხოვრობდა ალხოს ბიზა.

იმას ვამბობდი, ძალიან სტანჯავდნენ-მეთქი პატარას. იქამდის მივიდა საქმე, რომ გროშუადაც კი ატარებდნენ. არიცით, რა არის გროშუა?!-ცაიარეთ ნახშირის მოედანზე და ნახვთ პატარა ბიჭებს, გამურულებს, ჭუჭყიან კონკებში გამოხვეულებს;მ იყიდეთ ნახშირი და ეს ბიჭები მაშინვე გამოგიცვივდებიან,-მე წამაღებინეთო; ან ჯორს წამოიყვანენ, თუ მთელი საპალნე იყიდეთ. ბევრს კი ნუ მისცემთ,-ორი გროშია იმათ გასამრჯელო. ხილის მოედანზედაც შეხვდებით იმათ! მაშინვე იცნობთ: დამსრიტუილები დაზვრებიან ხილის გოდრებს შუა. შეგროვილ გროშებს ალხო ზალუას მიართმევდა ხოლმე.

-რას ამბობ, ქალო? თუ ესე არ მოვახერხე, დამთქნვს ეგ გულმკვდრის სვილი!-მართლულობდა ზალუა ტავს.

ამისთანა ტანჯვით იზრდებოდა ალხო. დაიცაგრა: ბუნებით დუნე და მიამიტი ყმაწვილი იყო, მერმე სათუთად აზრდილი, როგორც ერთადერთიო ბავშვი დედ-მამისა და სასტიკ გარემოებაში რომ ცავარდა, მთლად დაბეჩავდა, იბუზებოდა, ქვემ-ქვემ იყურებოდა; ჰკრთოდა, -ჩარტყმას ელოდდა. ვინ იყო მისი შემწე-დამყვავებელი? არავინ, არავინ! მარტო ნალბანდიანთდა ახსოვდათ ალხოს მშობლების კარგი მეზობლობა და ებრალებოდათ ბავშვი, თუმცა ვერაფერ სშველოდნენ. იმათი პატარა მარმამა კი მოურბენინებდა ხოლმე ალხოს, თუ სასუსნავი გაუჩნდებოდათ რამე სახლში. ალხოს ბნელ ყოფაში ესლა იყო ერთად-ერთი სხივი.

3

შესამჩნევი ყმაქვილი იზრდებოდა მარმამა. არც სახით, არც ქცევით, არც ხასიათით არ შეეფერებოდა თავისს სახლს. გინახავთ უსუფთაო ადგილას ამოსული მშვენიერი რამ ველის ყვავილი? გარს მოყრილი უწმინდურობა ვერ ეხება იმას, თითქო ფესვებიც არ უდგას მას ამ ნიადაგში და ჰაერში სდგას ჰაეროვანი ქმნილება. მაგრამ არა, არ გენახვებათ! ნაგვისაკენ რა მიგახედებდათ, თუნდაც საჭირო ყოფილიყო შეგეძლებოდათ იმისი გასუფთავება.

პატარობითვე ეტყობოდა მარმამას თავისებურობა. ხომ ნახევარზე მშვიერი იყო, მაგრამ უკვდადების საჭმელი რომ მიგეტანათ, თვალი არ დარჩებოდა ზედ; ხომ შიშველ-ტიტველი დადიოდა, ფარჩასაც ისე ამაყად უყურებდა, როგორც რამ შილას; გარშემო ხომ სიღარიბით დამონავებულ - დაბეჩავებული ხალხიმ ეხვია, მაგრამ ისე ეჭირა თავი როგორც ვინმე ბატონის ქალს.

ან რად ეჭირვებოდა იმას ქვეყნიური სიმდიდრე და სიდიკაცე როდეს თითონ იყო სხივების კონა სემკული.

გიხავათ სადმე ღიბ უბნებში ჩითის კაბაში გამოწყობილი ანგელოზი? სად გენახვებათ! თქვენ ხომ არ იკადრეთ საწყალი ხალხისაკენ ცავლას... რომ გამოვა ამისტანა უბანში ზოგიერთი ქალთა-მზე, ტრფობის მცოდნე კაცს მთავრ-ცნებას დაუწევს. რად უნდა ამისათანა ბამბის ქულას ძვირფასი ბაღდად-მანდილი , როდესაც შუქებისაგან შემდგარი კულულები შარავანდედს ჰფენენ მის ნათელ შუბლს, იალერსებიან მის სპეტაკ ყელ-ყურს, ჰბურავენ მის ნაქანდაკებ ბეჭებს?! რად უნდა ბეჭედ-სალტები იმის ხელებს, როდესაც სამკაული მხოლოდ დაჰფარავს მის ბროლის თითებს, მის ფუნთუშა მაჯების სინაზე-სიკეკლუცეს?! ცარიელი ჩითის კაბა მირცევნია მის ტანზე რადგან ის ზედ ეკვრება, ეტმასნება მის ტანს, არა ჰფარავს მის სხეულის საუცხოო მოყვანილობას,მ გვანიშნებს მის აგებულობის სიმდიდრეს.

იქნება თითონ ტანისამოსიც ჰგრძობდა იმის სხეულის მიმზიდველობას და ზედ ეკონებოდა, აკვდებოდა? ვინ იცის!

იმის ფეხზე აზრებული ჩუსტი მერჩივნა ყელიან წულეებს, რადგან უფრო ცხადად მოჩანდა ამ პაწია ფეხის სიფაფუკე და გამეკილა კოჭ-წვივის ცამოსხმულობა. რომ ილიმებოდა, პირს ია ეფიინებოდა, გულს ათბობ-ანათებდა.

ეჰ, ენას უნდა შეეძლოს საცსებით გამოთქვას ნანახ-ნაგრძნობი, რომ მიგახვედროთ, რა ცეცხლი სეუძლიან დააგზნოს ამისტანა არსებას კაცის გულში...

არდაიჯერებთ, ყოველ კვირა განგებ მივდიოდი მარმაშას სა\ნახავად, მისი ეშხით დასათრობათ. სხვა არაფერი სიამოვნება არ იყო ჩემთვის საჭირო. სევდა რომ შემნომწოლია, მომიგონია ახირებული რამ, დავთხოვნივარ და მარმაშაანთ ქუჩას მოვქცეულვარ, ეგება თვალი მოვკრა-მეთქი სიხარულს.

მერე რა თვით ნება იყო პატარობითვე! მის სურვილს უნდა დამორჩილებულიყო გარშემო ყველა. არც ძნელი კი იყო ეს მორჩილება, რადგან მისი სურვილი ხშირად აზრიანი იყო, მისი გამჭრიახი გონებით განათებული.

აი ამ პატარა მარმაშამ მიაქცია გროშუა ალხოს ყურადღება და ამოიყვანა ცხოვრების წუმპიდან.

4

...თვით ნება და ამაყი რომ იყო მარმაშა, უნარიცა ჰქონდა, თორემ ხელმოკლე ხალხსი უბრალო ჟინიანობას გასავალი არა აქვს. სადა სცალიან, ან ვინ მისცა სეძლება ყველას და ყოველთვის სეუფერონ? ჟინობა იქ ან თავმინებებულისა. ურჩი აღვირ-წაყრილია, რომ ან გადიცხოს, ან თვით შეეყაროს ცნებას; თუ არა ჯობილთ გამოჰქნიან ხოლმე ამისტანას, მოარბილებენ. მარმაშას საქმე სულ სხვა იყო: ის აზრით ხომ არ გამოუვარდებოდა შინაურებს, საქმიანობიტ კიდევა სჯობდა იმათ. სახლის მოვლა სულ ადვილ საქმეს შეადგენდა იმის მარჯვე ხელიისათვის. დანარჩენ დროს ხელსაქმეს ანდომებდა. მეორე რა მადლიანი საქმე იცოდა! უფრო ქსოვნა ეხერხებოდა. წინდა, პაჭიწი, ჩახსაკრავი, ყაითანი, შურდული, ბადე, ცაფარისი, ლეცაქის არშია, ქისა, -ყველა ეს დიდი სისწრაფითა სცვიოდა იმის ჯადოქარ თითებს. ისე წახალისა ქალი ხელსაქმემ, რომ დღემ-ღამეს ასწორებდა. ბოლოს ძალიან დახელოვნდა: იმისი ნაქოვი არსია ევროპულ ნაწარმოებს არ გამოუვარდებოდა.

აი ამ ხელსაქმემ დაახლოვა პირველად ალხო და მარმაშა. მანამ სულ პატარა იყო, ქალი თითონ დადიოდა ბაზარში და ასაღებდა ტავის ნაწარმოებს, მაგრამ მალე სეუძლებელი შეიქმნა ეს, რადგან იმის ტვალწარმტაცი სილამაზე ყველას იმისკენ იზიდავდა, მადას უღვიზებდა გაჰხახუნებოდა. მეტი ღონე აღრ იყო, უნდა ეშოვნა ვინმე თავის ნაწარმოების გასასყიდად.

მოგეხსენებათ, რომ ამისტანა შინაურ ნაწარმოებს ჩვენში აჩენილი ბაზარი არა აქვს, არც გადაკვეთილი თასი ან ბაზარ-ბაზარ და უბან-უბან უნდა ატარონ გასაყიდად, ან მეწვრილმანეს უნდა მიჰყიდონ ლილა-საპონზე. ფასის რაოდენობაც მუშტარზე არის დამოკიდებული. მაშ ამისტანა საქონლის გასასაღებლად უნარიანი და ალალი მორცილი უნდა, რომ მუშტარიც მოძებნოს და ფასიდანაც არა დამალოს რა.

მარმაშამ აირჩია მორბედად, იმის ალალ-მართლობაში დარწმუნებული იყო, მხოლოდ იმის უნარში ჰქონდა ეჭვი, რადგან უნდილი რამ ბიჭი მოჩანდა. მაინც სცადა. ცდამ კარგად ჩაიარა; მარჯვეთ და ფასში გაეყიდნა სავაჭრო. შემდეგში უფრო მეტი ფხა გამოიჩინა და თანდათან დახელოვნდა ამ საქმეში. გასამრჯელო გადაწყვეტილი

ჰქონდა: სამშაურზე ორი გროში. ამ გროშებს ალხო უკლებლად აძკლევდა თავის ძალუას.

მარმაშამ ნახა, რომ იმის ნამუშევარი მარდად იყიდებოდა და მოგებაც კარგი მოჰქონდა, ამისათვის გასამრჯელო მოუმატა ალხოს, აბასძზე ოთხი გროში დაუწესა, მხოლოდ ძალუას ჩუმიად კი, ისე რომ ბიჭს თითონაც დარჩენოდა ფული. მაგრამ სად უნდა სეენახა ეს გროშები? თითონ ვერ შეინახავდა: ძალუას ვერას გამოაპარებდა, ის ყოველ ღამე უჩხრეკდა ალხოს ჯიბეებს; ადგა და მარმაშასვე დაუწყო ფულის მიბარება. ამან უფრო დაახლოვა ყმაწვილები: საერთო საიდუმლო აახლოვებს ადმინანებს. გარდა ამისა პატარა ქალმა თითონ ალხოსაც მიაქცია ყურადღება: ხელპირის დაბანა ასწავლა, თანისამოსის ლაზათიანად ხმარებას შეაჩვია თითონ დაუჯღანებდა ხოლმე კონკებს.

ამისთანა ყურადღება ბიჭს გულს უჩუყებდა და მადლობის ცრემლებსაც ჰგვრიდა თვალებზე, რადგან გულშემატკივრობას გადაჩვეული იყო; ისეთ ჰაეროვანი მარმაშა ციდან მის სანუგეშებლად ცამოსული ანგელოზი ეგონა. რითი გადაიხდიდა მადლობას, თუ არა იმითი რომ მისი ყურმოჭრილი ყმა გამხდარიყო, თვალწარბში ეცქირნა იმისთვის, ეამებინა. მარმაშას სახე გაუსორებლივ თან დასდევდა ალხოს და ამ მფარველი ანგელოზოვით იხსნიდა იმ ზნეობითი უწმინდურებიდან, რომლის გარშემო ძალაუნებურად დაძრწოდა უპატრონო ბიჭი.

-ასეთი ურთიერთობა ქალ-ვაჟისა აღარ მოსწონდა ალხოს ძალუას და ცდილობდა დაემორებინა ისინი: ხან დასცინოდა, ხან ემუქრებოდა, ხან უჯავრედებოდა ყმაწვილებს, მაგრამ მარმასას ტყუილად კი არ ემახდნენ გაუტეხეკლს: ის მაგრა უხვდებოდა დედაკაცს და ხანდისხან შეეკამათებოდა კიდევ ძალუა ატყობდა, რომ ალხო ხელიდან უსხლტებოდა იმას, რომ ის სხვის სურვილზე აპირებდა სიარულს-ატყობდა და ბობოქრობდა, კაპასობდა. არამგონია, ალხოს სახიერით გათავებულიყო ეს ბრძოლა, რომ ბედს არ გაეღიმა იმისთვის და ეს ავი ადამიანი არ გაჰშორებოდა წუთისოფელს.

5

ძალუას სიკვდილის შემდეგ ალხოს ცხოვრება შეიცავალა. ბიძა აღარ სტუქსავდა, ავი თვალთ აღარ უყურებდა, უდიერად აღარ ეპყრობოდა, რადგან ამაზავთებელწამქეზებელი არავინა ჰყავდა და თვითონ კი არ იყო ბოროტი ადამიანი. მით უფრო მოლბა მისი ბიზა, რომ მიხვდა, რა ერთგული და პატიოსანი ხელქვეითი გამოადგა ალხო, რა ცოდნას და მუყაითობას იჩენდა ის თანდათან როგორც დუქნის საქმეში, ისე შინ.

ალხომ რომ ნახა, ბიძა კეთილად მეპყრობაიო, უმატა ერთგულობას: ისეთი საქმე არ გაჩნდებოდა, სახლში იყო თუ დუქანში, რომ იმას არ მოეკიდა ხელი. ბოლოს და ბოლოს ისე სეეჩვია იმას ბიძა, რომ ნამდვილ სახლის სვილად მიიჩნია და ანდო ოჯახიც და ვაჭრობაც. თუ ეზარებოდა, ან უგუნებოდ იყო, დუქანში ალხოსა გზავნიდა ტავის მმაგივრად.

ამ ხანში მარმასაც გაიზარდა, ხორციით აივსო, აფუვდა როგორც ნოყიერი ნიადაგი გაზაფხულზე, გაიზადრა, დამშვენდა, ახლა მთხოვნელებიც აუჩნდნენ იმას ტავს ევლებოდნენ, თუმცა ის ზედ არავის უყურებსდა. ხანი არ მოსჭრებოდა ჯერ. ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორ გაჰყოლოდა ის ამ ღატაკ და ხეპრე ხალხს, რომლის საზოგადოებასაც ეკუთნოდა, რომელიც ეხლა ეპოტინებოდა იმას, ცდილობდა ჩაეთრია ცხოვრების იმ ტალახში, სადაც თითონ დაფორთხავდა? ლოგინსი ჩაწოლილი ბამბის-

ქულა ამაყიო ქალი რომ წარმოიდგენდა თავისზე დაკონებულს ქონ-წვიმწვირით აყროლებულ, ღვნით გაღეშილ ცხოველს, რომელიც საძაგლად დაპრანჭულ-დაკოჟიჟებულ თითებს უპოტინებნს თეთრად აპენტილ ძუძუებზე და დაღრენილ პირს ნდობის დორბლი მოსდებია, ჰო, რომ წარმოიდგენდა ამას, ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში, ზიზლით შეათრთოლებდა მერე იმის მამიებელ კაცებს რომ სიყვარული და პატივისცემა არა აქვთ იმისი, ისინი პირუტყულად ელტვიან იმის სანდომ სხეულს, იმის ეშხიან სახეს და თანაც იმედი აქვთ, რომ იმის ოქრო თითები გაუადვილბენ იმათ ლუკმის შოვნას... ზარმაცი ბინძურები!.. ეხლავე ყოყოჩობენ, თავ-სუბუქ ურემივით მაღლა-მღლა იღებენ ი უტვინო გოგრას და მერემ ხომ ბატონობას დაიწყებენ; იქნება საცემრადაც მიიწიონ, როგორც აგერ პროშებიანასას სცემს თავუისი ქმარი... რჩევას რომ გაიგონებდნენ, ჭკვას რომ დაჰმორჩილებოდნენ ცხოვრებაში, კიდევ კარგი, მაგრამ ისინი მაშინვე ბატონობას მოისურვებდნენ, რეგენი ბატონის ხელში კი სამუდამოდ უპატრონოდ დარჩენა სჯობია. ეჰ, ვინმე სუფთა უნდა მოჰკრას თვალი მარმამას, რომ იმან დაუმშვენოს და დაუტკბოს ვაჟკაცს ყოფა! მაგრამ სად არის, სად?! იმისტანა ხალხი მაღლა-მაღლა იყურება, ვარსკვლავებს ეთამაშება, თუმცა ბევრი მათგანი ბევრი იმათგანი სწორედ ამისათვის ჩავარდება ხომლე ფლატეში.

ამისთანა მდგომარეობაში რომ იყო ქალი და მხსნელს ელოდა, მისი გონების თვალი მთხოვნელებს უნებლიედ ალხოს ადარებდა-მისგანვე გამოყენებულს, კაცად ნაქცევს და მისთვისვე თავდადებულ ალხოს.

ალხო? ის ჯერ ხომ განუსაზღვრელ მაღლობასა ჰგრძნობდა მარამაშასადმი და ისევ უყურებდა იმას, როგორც ციურ არსებას, მერმე შეეჩვია ქალს, დაუახლოვდა, როგორც უმცროსს ამხანაგს. ყოპველთვუის კი ჰგრძნობდა, რომ ეს ქალი ერთადერთი ნუგეშია იმისი და ცდილობდა ესამოვნებინა მისთვის-წინააღმდეგობა არ გაეწია, ძირს არ დაეშვა მისი სიტყვა და სურვილი. ხომ შეგიმჩნევიათ, უპატრონო ძაღლს რომ სეითვისებს ვინმე, როგორი მაღლობა და მონება იხატება იმისთანა მაღლიერი ზაღლის თვალებში? სწორედ ასეთი მონობით იყო ალხო გამსჭვალული.

მერმე წამოიზარდა ალხო, გაიგო ქვეყნის ავ-კარგი და დაინახა, რომ მისი მფარველი მშვენიერებაც იყო. ბოლოს, როცა მარამაშა სასძლოთ მოიწაფა და მუშტრის თვალით დაუწყეს იმას ყურება, ალხოს მოუნელებელი ცეცხლი დაენტო გულსი, მოთმინების ილაჯი უწყდებოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ შეიძლენ\ბოდა მარამაშა დაემორებინათ იმისთვის. გონება უბნელდებოდა, შიშის ზარი იტანდა, რადგან ვერ წარმოედგინა, როგორღა შეეძლო უიმისოდ სიცოცხლე, ან რადღა უნდოდა იგი სიცოცხლე. როცა გაიგებდა- ესადაეს კაცი თხოულობსო მარამაშას, მზე უბნელდებოდა, ჯავრით ტოკავდა, იხლანებოდა, ლამის კიოდა. ეხლა მიხვდა, რომ ის კარგი გრძნობები რომლებიც იამს აკავშირებდნენ მარამასთან, სიყვარულის წინაკლაცები ყოფილიყვნენ, რომ ის გრძნობები ეხლა ერთად შეიკუმშნენ და დაჰმორჩილდნენ იმ მძლავრ გრძნობას, რომელმაც მთაღდა აავსო მისი არსება და დაიმონა; ეხლა მის გულსი ფრთები გაშალა იმუკვდავმა გრძნობამ, რომელიც არის ერთ-ერთი ქვეყნიური განხორცელება არსისა, რომელიც არის დასაბამი სიცოცხლისა, რადგან სიცოცხლე მის მიერ არის შექმნილი.

ეხლა ალხო იდუმალ ჰკოცნიდა მარამაშას ტანთსაცმელს, იმის ხელში ნაჭერ ნივთს, ტკბებოდა მისი ხმით, შეჰღიმოდა მის ჩრდილს, შესციცავებდა თვალებში, იმ მომხიბვლელ თვალებში, რომლებშიაც ჰხედავდა ის თავის ბედს და უბედობას.

ეს მძლავრი გრძნობა დიდ ნეტარებასთან აუტანელი ტანჯვაც იყო იმისთვის, რადგან რამდენადაც ძლიერ უყვარდა იმას მარამაშა, იმდენად უიმედო იყო მისი სიყვარული. ვერც კი ჰხედავდა შეემჩნევიანებინა, გაემხილებინა ეს გრძნობა, რომ არ

შეეფრთხო ეს უცხო ფრინველი. ხომ გიმზერნიათ სიამოვნებით ცვარსკვლავებით მოჭედული ცისათვის? მოგწონებიათ განა რომელიმე მნათობი, გიგრძვნიათ იმისადმი ტრფობა, როგორც რამ სულდგმულისადმი? მაშინ რომ იმიდი აღმძროდათ იმ შემჩნეული მნათობის შოვნისა, იმის მოყვეტისა, ეს ხომ სიყმმაწვილე იქნებოდა! განა არა კმარა, რომ იგი სასურველი ვარსჯკვლავი თავის ციურ სხივებს აწვდის თქვენს თვალს? ჰოდა, სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო ალხო: იმას ისა ჰკლავდა, ქალის ნახვაც არ გამიძვირდესო.

გაზვიადებული კი იყო ალხოსაგან ასეთი თავის დამცირება. რახან ქალს აღმერთებდა, მისთვის ეგონა იმასტან შედარებით თავისი თავი ასე პატარა, თორემ კაც როპმ ეფიქრნა, რითი იყო ეხლა მარმასა ალხოზე მეტი, -ეხლა, როცა უშვილო ბიძის შემდეგ სახლიცა და ქონებაც იმას დარჩა, როცა დუქანდარი და ბინიანი კაცი შეიქნა ის, მარმამა თითონ იყო კარგი, თორემ ვერც ჩამომავლობით, ვერც შემლებით ის ალხოზე წინ ვერ წადგამდა ფეხს; რა ვუყოთ, რომ სისაწყლეში გამოიზარდა კაცი? ის სისაწყლე იმის ზნეობას ხომ ვერ შეეხო და ვერ დაამახინჯა, ვერ დაამხო ახალგაზრდა. ერთი ეს იყო, რომ ისეთს ბუნებით მოკრძალებული და წყნარი ბავშვი დაცაგრა, გააბეჩავა, რბილი კაცი დააყენა, მაგრამ ეს თვისება ხომ გასაკვიციხი არ არის საქმროში, მეტედრე თუ შახ საცოლეს გადააწყდა ის.

აკი კიდეც ეარშიყებოდნენ და ეკუკლუცებოდნენ ალხოს უზნის ქალები, თუმცა ის, მარმასას სხივებით თვალეზაბმული, ვერაჰხედავდა ამას და უნებლიეთ ჯავრზე ჰხეთქავდა სანდომად შებროწილ გოგოებს.

-მეხი კი დაგაყარეთ, შე დუნდულავ! როცა ეგ შენი მარმასა სხვას გაჰყვება და მაგ დასაბრმავებელ თვალეზაბმულში ნაცარს ჩაგაყარის, მაშინ გაიგებ! ვაი შენსთიებს! არჩევანი კი კარგი გცოდნია, -ბუტბუტებდნენ გოგოები.

6

მაინც კინაღამ თვალში ნაცარი ჩაეყარა ალხოს.

შაბათს საღამოობით ალხო ადრე აუგდებდა ხოლმე დუქანს დარაბებს, გადავიდოდა იქვე შეითან ბაზარში, იყიდდა ხილს და გასწევდა სიონისაკენ. ხომ მოგეხსენებათ, შაბათობით ქალაქის ქართველობა სიონში დადის სიონის ღვთისმშობლის სალოცავად, სანთლის დასანთებად. უფრო კიმიდაბიო ხალხი მისდევს ამ ჩვეულებას, რადგან ლოცულობს კიდეც და სეირნობს, თვალს წყალს ალევინებს. მარმასაანიც დადიოდნენ სალოცავათ. ალხო აქ სეხვდებოდა ხოლმე მარმასას, ხილს მიართმევდა და აედევნებოდა. ქალი რომ ხილს აკნაწუნებდა, ეს ყველზე ტკბილი მუსიკა იყო ალხოსათვის. მისდევდა ალხიო ქალებს, იღიმებოდა სიამოვნებით და თან აქეთ-იქით აბრიალებდა თვალეზს, არავინ არა აწყენინოს რა ქალებსაო. საჭიროც კი იყო ქალებისათვის მხლებელი, რადგან მარმამა ტანს დინჯათ მიარხევდა და მიანათებდა, ვაჟკაცებს იმის დანახვაზე ელექტ-მელექტი მოსდიოდათ.

ედღესაც ესე მოიქცა ალხო. მოადრეობით დაკეტა დუქანი, შეითანბაზარში იყიდა ქიშიმი-ლაბლაბო და თხილ-ნული, გამოჰკრა ყველა ეს აბრეშუმის ჭრელ ხელსახოცში, რომელსაც მარტო ამ შემთხვევისთვის ინახავდა და გასწია სიონისაკენ. მიდიოდა და თან პირს ღიმილი უქროდა; დარწმუნებული იყო, რომ შევიდოდა თუ არა ტაძარში, თავის მარმამას ნახავდა. მე ვიცი, მალე ვერ შეამჩნევდა თუნდა ათას ქალში! მაშინვე იგრძნობდა მის მიმზიდველ ძალას, მიატანდა სანდობს, რადგან ეს ძალ ძკლიერ ეზიდებოდა ქალისაკენ ვაჟკაცს, როგორც ანდამატი-რკინას.

ალხო ჯერ ისევ კიბეზე ჩადიოდა, როცა გამოურკვეველი უსიამოვნება იგრძნო. შევიდა ტაძარში, მაგრამ ხალხით სავსე ტაძარი ცარიელი ეჩვენა; დაიარა ყველა კუთხეები, გავიდა მარჯვნივ სამწირველოში, გავიდა გარეთ, რამდენჯერმე შემოუარ ეკლესიას. -თვალი ვერსად მოჰკრა სატროფოს. დაეშვა შინისკენ. ეგონა, -გზაზე შემხვდებო. მაგრამ ტყუილად! ფეხი ააჩქარა; მივიდა უბანში. მარმამაანთ სადგომი გაცადებულ განათებული დახვდა, ეზოში ვიღაცეები მოსჩანდნენ. გულმა უგრძნო, აუკვნესდა, სუნთქვა შეეხუთა. უბნის ქალებმა დაინახეს ალხო; ჩურჩული შეჰქმნეს, ხითხითი დაიწყეს. გამოხტა ნალბანდიანი რიფსო და მიაახა:

-შენი მარმამა გითხოვდება, ბელგა მოუტანეს!

-რაო? ბელგაო?! -წაილულლულა ალხომ და მუხლი აუთრთოლდა, მოეჭრა, წატორტმანდა.

-უი შენს თიებს, გეწყინა! - მიაძახა მეორემ .

-ქა, ხილიც რომ მოაქვს!-წაიტუტუნა სხვამ და დაეკითხა:

ყმაწვილო, ნიშნობისათვის გინდა ეგ ხილი?!

მაგრამ ალხოს ეხლა შორიდან, ძლიერშირიდან ესმოდა დაცინვის ხმები: იმას თვალთ დაუბნელდა, ბარბაცით წავიდა შინისკენ.

გაგიტარებია ძნელი ღამე, როდესაც სიბნელე ლოდივით დასწოლია გულს, სუნთქვა შეუხუთავს, ტვინი აუღულ-აურევია, ტანჯვის ფიალა დაუცლევინებია? არა?! ბედნიერო... შეჰყურებ სულთშეხუთული შავბნელ ცას, ელი განთიადის სხივს, მაგრამ ამაოდ! არა ჰქრება წყვდიადი, ღამე ღამეს ებმის დაუსრულებლად.

ესეთი ღამე გაატარა ალხომ. იმის გონებიდან აღარც ამოფხვრილა ეს შემადრწუნებელი ღამე. ბედნიერი რომ იყო შემდგში, მაინც იმ წყეული ღამის მოგონება ფერს აკარგვინებდა, შიშის ზარსა სცემდა. ხომ ვერც აიტანა ჭაბუკმა იმ ღამის სასტიკი ტანჯვა. მეორე დღეს მძიმე ავადმყოფი იპოცვნეს ის.

ზოგი ჭირი მარგებელიაო. სწორედ ესე დაემართა ალხოს.

იმ ღამეს, მართალია, მარმამას სინჯავები იყვნენ იმათსა, მაგრამ მარმასას და მარმამაანთ სულაც არ მოეწონათ იმათიქცევა და ქრთამ-მზითებზე ლაპარაკი, თითქო ქალთა მზეს კი არა, უბრალო ვინმე გოგოს ეღირებიათ. ეს შეატყეს მსინჯავებმა და საქმე უბრალო სტუმრობითლა გათავდა. ალხოს ავადმყოფობამ კი ქალს თვალი აუხილა, მის სასარგებლოდ ჩააფიოქრა. ალხოს მაინც დამაინც დასაწუნი არა ჰქონდა რა ეხლა, მეტადრე იმ ხალხთა შედარებით, რომლებიც ეღირებოდნენ ქალს. და თუ ქალი ისე გაგიჟებით უყვარდა, რომ მისი გამსინჯველების დანახვაზე მზე დაუბნელდა, ეს პატივსადები საქმე იყო. ხომ იცით, სიყვარული ანდამატივით იზიდავს ადამიანს, თუნდა უღირს ვისმეში შეამჩნიოს იმან ის.

დიაღ, ალხოს ცა გაეხსნა და ნატვრა აუსრულდა: ის მარმამას მეუღლე შეიქმნა. პირველ ხანში იმდენად გაბრუებული იყო ალხო ბედნიერებით, რომ სიმხიარულე ვეღარ მოეხერხებინა, შიშით შეჰყრობილიყო, ვაითუ სიზმარივით გამიქრეს ეს ნეტარება, რომლის ჩრდილის ღირსიც კი არა ვარო. მერმე ნელნელა სეეჩვია კეთილს და მით უფრო რომ ქალსაც სურვილი დაატყო: ქალი გრძნობათა ღელვას დაუზარებლივ და ტკბილად აწყნარებდა იმასთან. ალბათ ერთმანეთის შესაბამისი სხეულნი შეხვდნენ. ამ გარემოებას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს სიყვარულის განხორციელება-ხანგრძლივობაში; ბევრჯელ სიახლოვესა ჰბადებს ეს გარემოება, მაგრამ ხშირად სიყვარულსაც სპობს, ჩვენ კი გვიკვირს, ამ ქალ-ყრმას ჯერ თითქო ვერ უყვარდათ ერთმანეთი, შეუღლების შემდეგ კი თანდათან გიჟდებიან ერთმანეთისათვისაო; ან კიდევ, ჯვარის წერამდის ისე ეტრფოდნენ ერთმანეთს და

ეხლა ნეტა რამგლის ქონი მოსცხეს იმათაო. რას იზამ? ხორციელნი ვართ, შვილნი მიწისა.

იმას ვამბობდი, ცოლ-ქმარი ძალიან შეექვსნენ, ძალიან შეეთვისნენ ერთმანეთს და ბედნიერად ცხოვრობდნენ. აკი პირველადვე გაიმბეთ, როგორ უღიმოდა ალხოს ბედიცა და გულიც.

7

ესე კარგად მიდიოდა ალხოს ცხოვრება და ამ სიკეთეს არფერი არ აბუუნდებდა; ის კი არა, ცხოვრება თანდათან უტკბებოდა ცოლ-ქმარს და სარჩოსაც პირი უჩანდა, რადგან ვაჭრობა უფრო უძლიერდებოდათ.

ამ კეთილში იყო ალხო, როცა ცხოვრების ტალღამ ტფილისიდან გამოტყორცნა. ბარემაც არ მინდოდა ქალაქი მოშორება, მაგრამ რას ვიზამდი? განა ქარი ეკითხება ფოთოლს, სურს თუ არა იმას ტავის მზრდელ ტოტს მოშორდეს, როცა ჰგლეჯს და ჰაერში აფრიალებს? ახალს საცხოვრებელ ადგილას ისეთი ჯაჭვით დავები, რომ იმასტან ამირანის ჯაჭვი უბრალო ძეწკვად მიმაჩნდა. რამდენიმე წელიწადი პირი ვეღარ ვიბრუნე ქალაქისაკენ. ბოლოს გამოვედი და სურვილის მოსაკლავად ყველა ქუცა უბანს დავუწყე სიამოვნებით თვალიერება.

დახურულ ბაზარში რომ შევდიოდი, მარცხნივ მივიხედე, მინდოდა ალხო მენახა, მაგრამ ეხლა იმ დუქანში ვირაც გასიებული კაცი იჯდა, მუცელი ტავს მოჰცეოდა, ბურნუთით სავსე ღოროტოტო ცხვირი დაუხვეტა თავლას უგვამდა. შემეზიზნა. თვალი მოვარიდე. ვიფიქრე, ალხოს სხვაგან გადასულა-მეთქი.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ვანქის ეზოს მივატანე და დასათვალიერებლად შევედი. ერთ ქვასათან გამზლართულიყო ვიღაც გლახაკი და მზეზე ემინა. შიშველ ფეხებზე ჩუსტის ნაგლეჯი ეკრა, შალვარი შეჰხეოდა, ტანზე კონკვებად ქცეული მაზარა ეცვა, ჩაჩი თავიდან გადავარდნოდა, თმა გაჰბურძგნოდა; აწეწილი წვერ-ულვაში ჩაღბულათი ჰქონდა სავსე. შუბლი ღრმად ჩაჰნაოაჭებოდა, სახე დაჰმეჭოდა, ყბა გამოვარდნოდა, დაჰმცვებოდა. მეცნო გლახაკი. ცოტა ხანს შევდეგ და გავცდი. გონებიდან აღარ გამშორდა გლახაკის სახე; ფიქრი დასტრიალებდა იმას, ცდილობდა გამოერკვია იმისი ვინაჰბა. სწორედ ჩემი ნაცნობი იყო, მაგრამ ვინ? ისე გამიტაც ცნობისმოყვარეობამ, რომ უკან დავბრუნდი. დავაკვირდი გლახაკს. დიდ, ნაცნობი იყო, მაგრამ ვინ, ვინ? ჩემს მზერაზე გლახაკს გამოედვიდა, შეიშმუშნა, თვალები მომაჰყრო.

ალხო იყო, სწორედ აზაზი ალხო!

-კაცო, ალხო, შეენ?!-დავეკითხე, მაგრამ იმის ამღვრეულ თვალებში აზრი ვერ ამოვიკითხე.

-კაცო! შენ არა ხარ აზაზი ალხო, მარმამას ქმარი?-გავუმეორე.

მარმასას ხსენებაზე გლახაკი ამოდგა და დამამტერდა. აზრი აუჩნდა თვალებში მომიახლოვდა.

-დათიკოჯან, შენახარ?!

-მე ვარ, მე! ვაი შენ, ჩემო თავო! ეს რა ყოფაში გხედავ? დავუწყე გამოკითხვა რომ გამეგო ყველაფერი, მაგრამ მალე შევნიშნე, რომ ეს კაცი თავის წკუაზე არ იყო. შემეცოდა. არ მინდოდა იმის ისე მიტოვება და ვუთხარი გამომყოლიყო. დამმორჩილდა. გვიარეთ ვანქის ვიწრო ქუჩა და მუხრანიანთ ხიდზე საიფოვიანთ დუქანში შევედით. მოვიტხოვეთ სასმელ საჭმელი. მედუქნეს გაუკვირდა; წამჩურჩულა, ეგ გლახა გიჟიაო. ვანიშნე თავი დაენებბინა ჩემთვის. ალხომ დაიწყო ჰმა, მაგრამ უმადოთ, უნდომლად. ღვინო მივაწოდე. იმან თავი წაუქცია ღვინოს, მარმამა მიხსენია და საშინლად ამოიკვნესა: «ვაი შენს დამკარგავს!»

-განა აღარა გყავს შენი მარმშა?-დავეკითხე მე..

-აქამდინ არ იცი?! -მიპასუხა იმან ისეთი კილოთი, რომელშიაც გაკვირვება და საყვედური იხატებოდა.

მარმშას სიკვდილის გაგონებაზე გული მეტკინა, თიოთქო ჩაწყდა ერთი იმ სიმებთაგანი, რომელიც აკავშირებს ჩვენს გულს ამ ქვეყანასთან; არვიცი გულის სიღრმეში ოდესღაც ნაგრძნობი სურვილი ჩამრჩენიყო, თუ მეწყინა სიმშვენიერის მექონ არსების დამიწება, რადგან მშვენიერება ასე ძუნწდა არის გაბნეული ქვეყანაზედ. მინდოდა გამომეკითხა ყველაფერი დაწვრილებით, მაგრამ ალხოს ჩემი აღარ ესმოდა რა. მოთქმით ტიროდა. უეცრად კარგმა აზრმა გამირბინა თავში.

-ალხო! მინდა მარმშას საფლავი ვაკურთხებინო, მაჩვენე.

ამ სიტყვებმა გამოარკვიეს და ახტაცებაში მოიყვანეს გლახაკი. მაზარის კალთით მოპიწმინდა ცრემლები, მადლობის თვალთ შემომხედა და წამოდგა. გავუსწორდი მედუქნეს და გავყევი. წავიყვანეთ მღვდელი, გვიკურთხა საფლავი და დაბრუნდა. მე მარმშას საფლავს დავუწყე თვალთვლება. მთელ სასაფლაოზე იმისთან სუფთად შენახული სამარე არ იყო. კუბოს მაგვარი დიდი ქვა ედო. ლოდის ერთ გვერდზე ლექსი იყო ამოჭრილი, მეორეზე მიცვალებულის ვინაობა ეწერა. ზომოდან ამოკვეთილი იყო თავდახურული ქალის სურათი, რომელიც ახლად იყო წამლებით შეღებილი, საფლავის ქვაზე ოდნავ დამჭკნარი ყვავილი ეყარა ველისა.

ალხომ შემატყო, რომ საფლავს ვათვალთვლებდი და იამა...

-ყოველ დღე მოვდივარ «ჩემი სახლობის» სანახავად. ქვა ამ წინაზე შევალბინე ხელახლად. მღვდელიც მომყავს, როცა გროშებს შევაგროვებ, რკინის მოაჯირი უნდა გავაკეთებინო. შიგ ვარდებს დავრგავ, წყალს არ მოვაკლებ, ვახარებ. ახ, რომ ჯერ ფული არა მაქვს! მე ხომ ყველაფერი დამტაცეს. წამართვეს.

ალხო დაემხო ქვას და ჩასძახა თავის მარმშას, უამბობდა ჩემ მოსვლას, შეშჩიოდა ქვეყნის გაუტანლობა სიავეს; ეხვეწებოდა -წამიყვანევო; ემდურებოდა-მოულოდნელად თავი რად დამანებე, ბედნიერება რად მომისპეო. ცრემლად იღვრებოდა. ბეჩავი მარმშაც პასუხს აძლევდა ტავის ალხოს, სამარიდან ესაუბრებოდა.

[1899 წ.]

ისე ჩავკრა...

მთას მკლავით შემოეხვია ტყიანი კალთა ს. შმორიანისათვის და ისე მოუმწყვდევია ის, რომ მარტო კარებიდა დაუტოვია ალაზნის ფართო ველისაკენ; ეს ვიწრო გზაც ჭაობად არის გადაქცეული, რადგან სოფლის მდინარე იქ ივაკებს, იფანტება, ტბორდება ადგილ-ადგილ და ისე ჟღენთავს მიწას, რომ მხოლოდ დახელოვნებულ მეურმეს შეუძლიან ურემი შეიტანოს სოფელში და ერთხელ მაინც არ ჩაუვარდეს ის მორგებამდინ ჭყანტობში.

ზაფხულობით შმორიანი კარგი სანახავია: გარს მოჯრილ მთებზე ბიბინებს ლამაზად შენახული სახელმწიფო ტყე, დაბლობში კიდევ ნოტიო ნიადაგზე ხასხასი გააქვს მწვანეს. დამცდელი კია, რადგან ქარი არ იცის ამ ტაფობში და ბული ადგილობრივ ბრუნავს; მოხუცებულს იშვიათად შევდებით აქ; ხალხი ციებ-ცხელებით

ჩაყვიტლებულია და გაგოდრილი. ზამთრობით კი მკვდარია სოფელი, თოვლში ჩამარხული.

ქრისტეშობის 22 იყო, როდესაც გზას დასდგომოდა ამ სოფლის მეზატონე ოთარ ჩამბარაშვილი და თელავისკენ ექნა პირი. სუსხიანი დღე იდგა; ქარს ემუშავნა იმ დამეს: თოვლი ეხვეტნა და ზვინებად დაედგა. ჯერ კიდევ არ დაეთავებინა შრომა: ისევ მიეზიდებოდა ფიფქს და თან თავს იქცევდა სტვენა-ზუზუნით. ოთარს ნაბადი ესხა, თავზე ლეგა ყაბალახი ეხვია. უკან ჩაქჩაქით მიზდევდა მაზარაში გახვეული მოჯამაგირე, რომლის ცხენს ვეებერთელა ხურჯინი ეკიდა. ცხენებიც მხედრებივით მოზუზულიყვნენ; ქარი ძუაფაფრით ეწეოდა იმათ გზის იქით, რომ ნაბუქრებში შეეხვივ-დაებინავებინა.

- მერე რა გასჭირებოდა ამ დარბაისელ კაცს, რომ გზას დასდგომოდა ამისთანა დარში, როცა პატრონი ძალს არ გააგდებს კარში? და რომ ოთარი დარბაისელი გვამი იყო, ამას თქვენც შეატყობდით სახეზე, თუ სახე ესე მთლიანათ არა ჰქონიყო შებორბლილი.

- რამ გამოაცილა ოთარი ოჯახს და თავმოყვარეობამ, მეტადრე ცოლის ზვიადობამ. დიახ; პირველობა შრომაშიც პირველობაა, სასიამოვნოდა ჰვხანს გულს და ამ მეთაურობის დათმობა სხვისათვის ძნელია და მძიმე. აი როგორ იყო საქმე:

შმორიაში ორი განაყოფი ოჯახი ცხოვრობს მეზატონეებისა. წინათ ოთარის ოჯახი უფრო მდიდარი და მოწყობილი იყო, იფრო გავლენიანი სოფელში და მეთაურობდა, შემდეგში კი ომანის ოჯახს უფრო შეუწყეს ხელი გარემოებებმა, ის თანდათან წარმატებაში შედიოდა და პირველობას ეწვდებოდა, ოთარის ოჯახი კი უკან-უკან იწევდა და თუ აბრუს არ იტებდა, თუ წინანდებურად პამპლუქობდა, ეს ან მამულეების ნაჭერ-ნაჭერ გაყიდვით, ან იმათ დაგირავებით, ან მამასისხლად აღებული კერძო ვალებით. აი ეხლაც ბედნიერი დღეები რომ იყო კარზე მომდგარი, ოჯახი სადღესასწაულოდ ინდა მოწყობილიყო, რომ მტწრს თვალები დასდგომოდა. ამიტომაც ძალუცა ძალას ატანდა თავის ქმარს თავდარიგი დაეჭირა, თელავში გასულიყო და ყველაფერი შემოწტანა სახლში: ქალაქური ხორაგი, ტკბილეულობა, სასმელები, ყველასათვის თითო რამ ახალი ჩასაცმელ-დასახური, რომ ყვავს...

ოთარი ანთებული ბუხრის წინ ათვალთერებდა გრძლად ჩაწმახნულ სიას და არ იცოდა, როგორ გაედინა თვალწყალი.

- ქალო, ე სასმელები რაღად გვინდა? ჩვენ ძველ ღვინოებს რომელი ქალაქური სასმელები შეედრება? რაყი და თაფლიც შინა გვაქვს და შეანელებდი. ის ხომ მაინც გვეცოდინებოდა, რომ მოსაწამლი რამ საფერავი არ ურევია შიგ.

- შენ კიდევ შენსას გაიძახი! ეგენი ხომ ყველა გლეხის სახლშიც იქნება. გეუბნები, ვნახე-მეთქი სავაჭროს სია, შენმა რძალმა გენუამ რომ გაატანა თელავში თავის ქმარს ომანას. და ვიცი, რაც არის საჭირო. ორიოდე გროშისათვის მასხარად უნდა ააგდებინო რაღა ოჯახი!

- ფული სრულებით არა გვაქვს და აბა ამ დანაყელზე რა გავყიდო, ან სად ვისესხო?

- ეგ ადრევე უნდა გეფიქრა! არ იცოდი რომ დღესასწაულები იყო მომავალი და ხარჯი დაგვჭირდებოდა?

- მაინც რა ვქნა ეხლა?

- რა ვქნა! რა ვქნა! მიდი თელავში ხათასთან და უთხარი ხელი გაგვიმართოს: უარს არ გეტყვის, პატივცემულია ჩვენგან.

- უარს არ მეტყვის, მაგრამ მამასისხლად მასესხებს: და ხომ იცი ისეც რამდენი წვრილ-წვრილი თამასუქი უჭირავს ჩვენი, მერემ წამოგვივლის და ი «დემურასეულ» ზვარს წაგვართმევს ვალში; დიდი ხანია კბილებს ილესავ იმ ზვარზე.

- მერმე ვისი ბრალია, რომ თამასუქები უჭირავს? ნუ მისცემდი რა! შე რომ...

- კარგი, კარგი! წავალ. მომამზადე ხვალისათვის, მიატანა პირში ოთარმა. მეუღლის ხმაში ნაწვნივი სიმჭახე შენიშნა და იცოდა, რომ მალეცა აიღეს- აიჭურვა და მისი შებმა დაუფიქრებლობა იქნებოდა. რითი აიჭურვა? როგორ აგიხსნა, თუ არ გამოგიცდია? მრავალგვარია და წვრილმანი ეს იარაღი, თვალ-უჩინარი მაგრამ ისე მოშხამული, რომ ლომს დასცემს ძირს და უღონო ბრაზით მიწას აბდღვნივინებს. ან კი რაღა საჭირო იყო მოაზრება? საცა იმდენი ხარჯი მიგორავდა და გარს ვალ-ვახშს იკრავ იხვევდა, დეე ესეც იქ ყოფილიყო.

თელავში თვალნათლივ შემოვიდა ოთარი. ფირუზას სასტუმროში ჩამოხტა და გაყინულ გათოშილი ბუხარს მიუფიცხდა. მაგრამ ქალაქში მომწყვდეულმა ოთარმა ძალიან იგრძნო უფულობა და დაღონდა; უსიამოვნო აზრმა გაურბინა თავში, რომ არ მასესხოს, ხომ ხელცარიელი უნდა დავბრუნდე სახლშიო, და ცუდად შეიშმუშნა. ჩაიც აღარ დალია, ისე პირდაპირ გასწია ხათასკენ.

შინ დაუხვდა ხათა. იმას არც დუქანი ჰქონდა, არც სხვა რამე იმისთანა საქმე, რომ მუდმივ უკან დევნა სჭირებოდა: ფილს ათამაშებდა და იმით მდიდრდებოდა. არამც თუ მემამულეები ეჭირა ამით ხელში, თელავის ბაზარშიაც ბატონობდა. ხათას დიდი სახლი ეხლა ჩაბნელებული იყო, მხოლოდ ერთ ფანჯრიდან მოსჩანდა სინათლე. ბიჭმა დარბაზში შეიწვია ოთარი და თან ლანძვარი აანთო. მძიმედ და ძვირფასად იყო მორთული დაკრიალებული დარბაზი, მაგრამ ისე ციოდა შიგ, როგორც საყინულეში. კიდევ კარგი, ხათამ მალე გამოჰხედა სტუმარს და საოჯახო ოთახში შეიწვია. აქ კი ბუხარი გიზგიზებდა და თბილოდა, თუმცა ძალიან მძიმე სუნი კი იდგა. მამ რა იქნებოდა, როცა მთელი ოჯახი ამ ერთ ოთახში ცხოვრობდა, რადგან სახვა ოთახებს არ ათბობდნენ, თუმცა ფართო ეზო სავსე იყო შეშის ზვინებით, ჭიგო-ფიჩხით და კუნძმანძით. ახლა, შე დალოცვილო, კიდევ იმისთვის იყო ეზო შეშით სავსე, რომ უფრთხილდებოდნენ, თორემ თუ აექარებინათ, გასასყიდად დამზადებულ შემასაც მალე დაანაცრებდნენ ამ სუსხიან ზამთარში.

ხათამ გაიგო თუ არა ოთარის მოსვლა, მაშინვე მიხვდა, რომ ეს ბუზი მის ქსელს ვერ ასცდებოდა, მაგრამ მისულს არ შეამჩნევინა ეს და ისე მიიღო, თითქო სრულებით არ მიხვდა მის განზრახვას; ეს იყო მიზეზი, ოთარმა კარგა ხანი ვერ მოახერხა ფილის თხოვა და სტუმარ-მასპინძლი უგემურად დეჰავდნენ სიტყვას.

-იცი, ხათა, სენთან ფულის სასესხებლად მოვედი.

-ფულისა, მერმე, შე დალოცვილო, ვინ მომცა ფული?! განა ჯერ არ გაჰყიდე ღვინო?..

-ღვინო კიდევ გავყიდე და კიდევ დავხარჯე. უთუოდ უნდა მიშოვნო, ხომ იცი, გაინაღდებ; სარგებელიც რამდენიც გინდოპდეს, იანგარიშე. მაინც წვრილ-წვრილი თამასუქებითა მართებს სენი და ბარემ შევაერთოდ, ერთი თამასუქი დავწეროთ და გირაოდაც რომელიმე მამული აიღე.

-ეჰ, ოთარ, შენ კიდევ ისე ლაპარაკობ, თითქოს შენთვის არ მემეტებოდეს, ან სარგებლის გულისათვის გიმართავდე ხელს. კარგი ნაცნობი ბრძანდები პატივცემული ვარ თქვენს ოჯახში და მინდა მეც პატივი ქცე, მაგრამ ეხლა ძალიან ცუდ დროს მომასწარი.

-მამ, რა ვქნა? ატასი სასყიდელი რომდამაბარეს და ცარიელი ხომ ვერ დავბრუნდები შინ. უნდა სხვას მივმართო.

-სავჭრო გაქვთ? ეგრე ბრძანეთ რაღა! იცი, ხვალ გავიდეთ ბაზარში და რაც გინდათ ავიღოთ; ჩემზე დავაწერუინებ: ანგარიშებს ჩამოვართემევ და მერე მე ვგიაგარიშებ.

-ეგ კარგი, მაგრამ ერთი ხუთიოდე თუმანი ისე ნაღდადაც მჭირდება.

-ეჰ, ეგეც ადვილია! ოჯახსი მობრძანებულხარ და ხელცარიელს როგორ გაგისტუმრებ.

აქ სტუმრობა მადლობა გადაუხადა და წავიოდა მაგრამ მასპინძელმა არ გაუშვა, ჩაი მიართვა, თეთრი კბილი უჩვენა, მოუთითლიბაზა.

ამ მეგობრებს მეორე დღეს აბრუნდის მარაზიაში შევხვდი. უნდა იცოდე, რომ თელავში ყვეკლას ორ-ორი სახელი ჰქვია, ერთი ნათლობისაა, რომელიც ბერჯელ აღარც კი ახსოვს პატრონს, მეორე საყოველთაო, როგორც, მაგალითად, ნოდა, ტიტია, ლიმონა, ღვრინჭილა, დუმბაცა, წრუტა, ხონჩა, ჭიდაო, ლაწიანი, ქურახანა, სღვაგასქდა, ოჯახს უნდა და სხვა. ჰო, იმას ვამბობდი, აბრუნდის მალზიაში ვისხედით და ვმუსაიფობდით, თვალს წყალს ვალევენებდით, როცა ხათა და ოთარი შემოვიდნენ იქ. ჩვენ უფრო მარაზიებში და მალაზიის კარებზე ვატარებთ თავისუფალ დროს; შევიკრიბებით ხოლმე და ხან ამ მთისას ვამბობთ, ხან იმ მთისას; მყიდველიც შედიგადის და ახალ-ახალ მასალას იძლევა სალაპარაკოთ; ათას ჭორსა და ახალ ამბავს ვტყობილობთ აქ. ხათამ ამოიღო ჯიბიდან სია, თი სხვანაირად გაუშტერა თვალი აბრუნდის და მოითხოვა საქონელი: ჩაი, შაქარი, ყავა, შოკოლადი, კამფეტები, ფისტა და ათასი სხვა. მე იმან გამაკვირვა, რომ მედუქნე ყველა საქონელს უფრო ძვირად აფასებდა, ვიდრე მაზანდა იყო. მართალია საქონელი ძვირად იყიდება თელავში, მაგრამ ფასი კი მთელ ბაზარში ერთნაირი დგა, რადგან არარაის დიდი ბაზარი და ვაჭრები ერთმანეთს თვალს ადევნებენ. ხათამ კი ყველაფერი მეტად აანგარიშებინა. ოთარმა შენიშნა ეს და ფასების დაკლება მოინდომა.

-არმენდობი?! თელავის ბაზარი აი ამ ჩემი ხუთი თითისავით ვიცი და მომატყუებენ!-შეუხრინწიანა ხმამ ოთარს და თან თავისი გარუმბული თითები წინაღამ ცხვირში წაატაკა. ჩაუწერეს სავაჭრო. გაჰყვა ბიჭს ოთარტი. ხათამ ანგარიში რომ მიიღო და ნავაჭრის ჯამს დახედა, წამოიძახა: «ისე ჩავკრა, რომ სისხლმა ამოასხას!» ისეთი სასტიკი ხმით იყო ეს წარმორთქმული, რომ ყურადღება მივაქციეთ.

ამ ამბავმა რამდენიმე წუთი მიიპყრო ჩვენი გონება, შემთხვევა მპოგვცა სიტყვა ჩამოგვეგდო ეხლანდელ მემამულეების ყოფა-ცხოვრებაზე და გულიდან გადაგვივარდა, რადგან შეჩვეულები ვართ ამგვარ საქმეებს. მთლადაც გადამავიწყდებოდა ეს ამბავი, თუ შემთხვევით კიდევ ერთად არ მენახა ეს ორი კაცი.

ამ წინაზე ნოტარიუსთანა მქონდა საქმე. შევედი და ჩამოვჯექი; ჯერს ვუცდიდი. მაგიდასთან ხათა და ოთარი ისხდნენ. ხათას რამდენიმე თამასუქი ეწყო წინ; ის თითო-თითოს იღებდა და კითხულობდა, ნატარიუსი კიდევ ანგარიშობდა. ოთარი მაგიდის წინ იჯდა, უყურებდა ამ ორ კაცს, თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად, მაგრამ თვალები კი ისე ჰქონდა მოტაცებული რომ, ვგაიონებ, არც კი ესმოდა, რასა ჰკითხავდნენ; იმას აზრი სხვაგანა ჰქონდა; იქნება გონების თვალი პრისტავსაც ხედავდა, რომელიც ხათას ვალში სწერავდა მის «დემურასეულ» ზვარს. ხათა კი მუხათად ჩასდევდა თავის საქმეს. ოთხმოცდაექვსი თუმანი ვალი შესდგა თამასუქებიდან.

-ეს ხომ ოთხმოცდაექვსი თუმანი.ახლა გუშინ რომოგართვით ოცი თუმანი, ექვსი მანეთი და ორი აბაზი, მაშასადამე შესდგება ასექვსი თუმანი, ექვსი მანეთი და ორი აბაზი. ეს ბუჩულიც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს. მაშ, დარჩება ას ექვსი თუმანი.

-ხომ მიიღეთ ამ კაცისაგან ოცი თუმანი, ექვსი მანეთი და ორი აბაზი, -ჰკითხა ნოტარიუსმა ოთარს და თან თვალის უპეებში ღიმილი შეაჩნდა, რადგან მაშინვე მიხვდა, რომ ხათა აქ სარგებელს ანგარიშობდა.

-დიახ, მივიღე, -მიუგო ოთარმა.

-მალთან პატოსანი!-მიუგო ხათამ.-ეხლა უნდა დაიწეროს თამასუქი ერთი წლის ვადით და გირაოდ უნდა მომცეთ «დემურასეული» ზვარი ჯარიმებისა მე არა ვიცი რა,

ჰარმად აღებული მე არა მინდა რა; გირაოც რა საჭირო არის თქვენგან, მაგრამ რას იზამ?
სიკვდილის შვილნი ვართ და ვინ იცის ხვალეს რა მოაქვს.

გამოველ, რადგან ეს საქმე ჭიანჭურდებოდა, მე კი არ მეცალა.

[1901 წ.]

მიეხმატკბილა გოგონას

კვირა ცხოველო და ცხოველო,
შენს სალოცავად და მოველო!
შენ დალოცვილო და საყდარო,
გაბია და ორი კარები;
შიგ შადიან, გამოდიან და
თავდახურული და ქალები!..

მიიმღეროდნენ ხარი მხარ გადაჭდომილი სოფელ შვინდიანის ახალგაზრდა ბიჭები. ბიჭებს ყველას სათუთად და კოხტად ეცვა, მაგრამ ჩაცმა-დახურვით და სეხედულობით ძალუმანთ ონისე ირჩეოდა იმათში. მაღალ მკერდს წითელი გულისპირი უმშვენებდა; ბეჭები ერთი მხარი გამოუვიდოდა. თითბირის რგოლებიანი საცვეთები მჭიდროდ შემოჰკროდნენ სვეტებივით ჩამოსხმულ წვივებზე. ძრღვიანი ხელი რომ გამოედვა ამხანაგისთვის. ვეფხის ტოტი გეგონებოდათ. პირხმელი ბიჭი იყო, წვერულვამ ახლად აშლილი. გრძელ ბეწვიანი ქუდი ეხურა წინ შეკრეჭილი. დამწყობი სიმღერისა მელორიაანთ ჭიჭიკა იყო, რომლის ხმა ზარის წკრიალივით ეფინბოდა აბიბინებულ არე-მარეს.

ამ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს პატარა ბიჭუნების ბრბო მოსდევდა სახრეებით, ხლჯოხებით, ჩომბახ-კეტებით ხელში. დიდი აღელვება და ახტაცება ეტყობოდათ ამათ; ხმამაღლა უგმობდნენ, ერთმანეთს ასწრობდნენ, ურბენდნენ, ეკმათებოდნენ; ხან მმღერლებს წაუვლიდნენ წინ და ფეხებში ედებოდნენ.

ბიჭო, მე თითონ იქ ვიყავი და ვნახე, როგორც იყო ეგ ამბავი: რომ დასწვდა საპალნით სავსე ურემს ღერძში, ქარი გაუტარა ურმის თვალს, ააციმციმა.

-ეგ რა არის, ბიჭო! ერთხელ ალოსა ვხნავდით, ონისემ ულლი გაიდო მკლავებზე, ულლის ერთ თავზე ჩვენებიანთ ალექსა ჩამოეკიდა, მეორეზე ისემიანთ თომა და სამოცი ნაბიჯი გაატარა.

-ბიჭებო, ბიჭებო! ყეენობას რომ მაგან ფაშანთ ჯუნა დასცა, ძლივსლა წამოდგა დევივით ვაჟკაცი.

- ვნახე! მოგვერდი უგდო და ისე ოხრულად გადმოაგდო, წარბი გაუხეთქა.

-მაგან თუ გვერდზე მოიგდო, კამეჩს გადმოიტანს, ძან ღონე აქვს მკლავში.

-ბიჭებო! დრეს თითქო თავის ქეიბზე არ არის ონისე, ჩაფიქრებულ ჩანს.

-ძალიან მოჭიდავეს ამბიობენ ქართლელ ბიჭს ალბათ იმან დაალონა.

-ასლან-ბატონს დაუბარებია ის ბიჭი; თურმე დაჰპირდა, ერთ კამეჩს გაჩუქებ, თუ ონისეს გალახავო.

-ჩვენი ბატონისათვის უთქვამს: დურმიშხანს! ისეთ ბიჭს დავიბარებ, დევს ბეჭს მოსტეხსო; შენი ონისე პირის ქარად არ ეყოფაო.

გახდნენ ხევს, შეუდგნენ აღმართს. ფერდობს ცხვრის ფარასავით შეჰფენოდა მლოცავი. ზევით ვაკე რომ ადგილი ჩანდა აქა-იქ ხეებით დაჩრდილული. ეს ადგილი ხალხით იყო გაჭედული. წითელ-ყვითელით მორთული ქალ-ყრმა, ჭრელ ფარდაებით გადახურული ჩარდახები აათასფერებდნენ ისეთს აყვავებულ მიდამოს.

ამ სერზე, შუა ადგილას, იყო კვირა ცხოველი, რომელიც დიდძალ ხალხს იზიდავდა გარშემო სოფლებიდან. მაგრამ დლოცვილი საყდარი კი არსადა ცანდა ორ კარებიანი; მხოლოდ ყორე რამ იყო ახავსებული ქვებისაგან გაკეთებული, მაცვლის ჯაგებით დაძეძვნარით გარმოდებული. ყორიდან გაოცებული ჯოჯოები იმზირებოდნენ, ქვებში დამფრთხალი ხვლიკები დასლიკინებდნენ. შუაზე ესვენა ხავს მოკიდებულივე ფიქალის ნაჭერი, რომელზედაც კაცის სახე იყო ამოჭრილი, მთელი სახე კი არა, მარტო ცალი თვალი, ცხვრის ახევარი და დასწვრივ ტუჩ-ნიკაპი. არვიცი, საფლავის ქვის ნატეხი იყო ეს უწინდელი ნაქანდაკები, კერპის რამ ნაშთი თუ ქვაზე ამოჭრილი ხატის ნამტვრევი; მხოლოდ ხალხი დიდ პატივს სცემდა მას, მოწიწებით ეცედრებოდა და უფრო მეტ სანთელს უნთებდა, სანამ განსპეტაკებულ ხატს, რომელიც იქვე დაფარნაზე დაესვენებინა ხუცესს.

ან რა საწირო იყო იმის ძიება, რს ნაშტი იყო ეს ნამტვრევი, როდესაც ხალხის თვალში სწორედ ის იყო კვირა ცხოველი-ცხოველი, როდესაც სწორედ ის ნაშთი აგონებ-ახსენებდა ცხოველმყოფელს არსებას, როდესაც ამ ქცვის ნატეხის სემწეობით სავსებით სრულდებოდა სამღვთო საქმე?! გახსოვს, ერთი კაცი კუნძზე ხტომით რომ ადიდებდა დამბადებელს? არა? მომისმინე! წმინდანები მიადგენე ზღვას. ნახეს, კაცს კუნზი დაუდვია და ხან გადახტება ზედ, ხან გადმოხტება. გაუკვირდათ. ჰკითხეს მიზეზი. ღმერთს ვადიდებო, მიუგო. არგცოდნიაო, უთხრეს; ამოიღეს ხატი, დაუსვენეს, ასწავლეს «მამაო ჩვენო» და უბრძანეს, ეს ლოცვა თქვიო. მერმე გაშალეს ზღვაზე ანაფორები, დასხდნენ ზედ და წავიდნენ. კაცს ლოცვა შეეშალა, შიგადაშიგ სიტყვები დაავიწყდა. გაექანა ზღვისაკენ, გაშალა ზედ თავისი ჩოხა და გასრიალდა. წმინდანებს რომ მისწვდა, იმათ განცვიფრებით ჰკითხეს გარჯის მიზეზი და როცა გაიგეს, უთხრეს: წადი, ძმაო, ისევ შენებურად ილოცე: ღმერთს შეუსმენია სენი ვედრება, სასწაულის შნო მოუნიჭებუიაო.

ყორესთან რომივიდნენ ბიჭები, სიმღერა შესწყვიტეს, ქუდები მოიხადეს, მიუახლოვდნენ სიწმინდეს. ონისემ სანთელი დაანთო, დაემხო მიწას და ერთ წამს მხურვალეთ სეავედრა თავისი თავი ხატს. წმოდგა, თვალი გადავლო ყორის გარშემო მომდგარ ქალებს და თავმომწონეთ მოიღერა ყელი: იცოდა, გოგოები სურვილით უყურებდნენ ახალგაზრდა ფალავანს.

ჯერ მზე საშუადღეოზე არ იყო მოსული, როდესაც ეს ამოდენი მლოცავი ისხდა ჯგუფ-ჯგუფად ნიშის გარშემო მდელიოზე და ნადიმობდა. ყოველ მხრივ სიმხიარული ისმოდა, ყველგან კეთილი მოჩანდა. კაცთ აღტაცებული ძახილი საკრავების მწყობრ ხმას იმადლებდნენ, ცამდინ აჰქონდათ კაცთა ხადილის ამბავი. ყველა იღიმებოდა, იცინოდა, მღეროდა, ცეკვავდა; მხიარულობდნენ ხატის კარს.

რატომ არ უნდა ემხიარულნა ქართველს მეუფისას, როდესაც ყოვლად მოწყალეს მიუნიჭებია მისთვის ტურფად შემკული ქვეხანა, ამ სოფლადვე სამოთხისებურ წალკოტში დაუმკვიდრებია ის? ქართველს ღვთის კარს მისვლა სასიამოვნოდ მიაჩნია, როგორც ქორწილში წასვლა და ამისათვის საქორწილოდ ირთვება ამ დროს, პირს ღიმი უქრის. რა აქვს მეუფის სახლში დასადონებელი, რომ ცხვირი ჩამოუშვას/ ან როდის ბრძანა ყოვლად კეთილმა, ჩემს კარს ნუ იმხიარულებთო? თუ გიყვარვართ, ნუ დაუშლით ქართველს საყდრის კარს ლხინს! რას გიშლით იმისი მხიარულება? ორიათას წელიწადზე მეტია, რაც ღვთის ვედრება სამხიარულო საქმედ მიუჩნევია ქართველს და რად გინდათ ეხლა სამგლოვიარო რადმე ჩათვალოს ეს? მაინც რა მიზეზი გვაქვს გავებუტოთ დამბადებელს, ან შიშით ვრწოდეთ მის წინაშე? მართალია, გვსჯის და ადრეც ბევრჯელ დავუსჯივართ თავსუბუქობისათვის, მაგრამ რა ვუყოთ: მთლად ხომ არ მოუძულეებივართ, ზურგი არ შეუქცევია ჩვენთვის. მაშ, რა ნება გვაქვს ამისთანა ყოვლად შემძლებელი და მოწყალე მამისას დაღრეჯილი მივიდეთ, თავპირი ჩამოგვტიროდეს მის კარს, ზეთი ჩამოგვდიოდეს?

ხალხი მხიარულობდა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე ადიდებდა შემოქმედს; ვისთვისაც რა ნიჭი მიემადლებინა, იმ ნიჭს იჩენდა, რომ ესიამოვნებინა კეთილთა მომნიჭებელი; დამკვრელი უკრავდა, მეღექსე ლექსობდა, მომღერალი მღეროდა, მოცეკვავე ცეკვავდა; მშვენიერები აღარ ჰკრძალავდნენ თავს, მოსდებოდნენ აყვავებულ მინდორს, რომ ყველას ემზირნა მათთვის და მათ გამჩენისათვის მაღლი შეიწირნა. თუ კი ყვავილთა სიმშვენიერე გვათკობს და ცისკენ გვახედებს, ადამიანთა სიკვლუცე უფრო გულს არ უნდა გვიღობდეს და მაღლობის თვალთ აგვახედებდეს ზეცისკენ! მაშ სასიამოვნო არ იყო - კაცისათვისაც და ხატისათვისაც სასიამოვნო - როდესაც ოსიყმიანთ თებრონია ჩამოზზრიალდა და ეშხით აავსო მაყურებლები? ჯელებმა ნდომით ტუჩები ააცმაცუნეს. ბოქაულმა მკლავები გაშალა, თუმცა კუდა ტალავარზე ქართული ცეკვა ისე დამშვენდა, როგორც... მოხუცმა მოძღვარმაც ტაში შეაწია, აკურთხა, პირჯვარი გადასახა გოგონას; ვაი რომ თებრონიას ფაფუკ ფეხს ქუსლიანი ფეხსამოსი ეხამუშებოდა, თორემ ნამდვილად მაშინ ჰნახავდით მის მაღლიან ტანის რხევას.

ვისთვისაც მკლავში ძალა მიეცა შემოქმედს, ის თავის ძალას იჩენდა ღვთის კარზე, რომ ყველა ესიამოვნებინა მისდამი მიმადლებული უნარით.

4

საჭიდაო რომ დაუკრეს, მარღვები ათამაშდნენ; ლაჩარმაც კი იგრძნო ძალთა დუღილი და წელში გაიმართა. ბრძოლა უბრალო მოჭიდავეებმა გამართეს,, მაგრამ სხვადასხვა სოფლების გაჯიბრებამ თანდათან თავი იჩინა და ფალავნების რჩევა დაიწყეს. დიდად სიამოვნებდა ხალხი ამ სანახავით. ის კი იყო, მეიდანნი არა ჰქონდათ მებრძოლთ, ყველა ზედ აწყდებოდა, თუმცა გზირები სახრეს არა ჰზოგავდნენ მაყურებლების დასაწევად.

- ონისე იხდის, ონისე! - გაისმა ხმა და ხალხს აღელვება დაეტყო.

გზირებმაც ეხლა მეტი ფხა გამოიჩინეს, ადგილი დაატოვებინეს მაყურებლებს. ფარგლის ერთმა კუთხემ იმ სუფარას უწია, საცა ბოქაული და ღვდელი ისხდნენ. ისე რომ ამ საპატიო ხალხს შეეძლო ნადიმი არ შეეწყვიტნა, ისე ემზირნათ სეირისთვის. ზურნამ როპმ შეუმაღლა, მარჯვნივ მხრიდან ისკუპა ქართლელმა და მოსაწონი ნარა ჰქმნა: ოთხი-ხუთი ასმით შემოუარა ვეებერთელა წრეს. ამ მარჯვე ვაჟკაცს რომ შეხედეს, ონისეს საქმე საეჭვოდ ჩასთვალეს. გამოვიდა ონისეც. ფერი სცვლოდა.

ქართლელმა დაინახა თუ არა ის, დასჭყილვა, შურდულის ქვასავით გაექანა მისკენ და ისეთი სალმა ჰკრა, მუხას მოამტვრევდა; ონისე გადურჩა, თუმცა ძლიერ შეტოკდა. ახლა მეორე მხრიდან დაეცა ქართლელი, ჰკრა ხელები მხრებზე და მახიური გამოუსვა, ონისე გადუნქა, მაგრამ შეიმაგრა თავი: საშინელი ძალა ჰქონდა მუხლში. ეწყინა ქართლელს, გაჯავრდა; - ალალივით დაურბინა, ჰსწვდა, მოუკრიფა მარჯვენა მხარეზე ჩოხა, მისცა ბეჭი და მოგლიჯა ვაჟკაცი მიწიდან. ხალხში კვნესასავით გაისმა უცნაური ხმა. ონისე ბეწვზე გადარჩა: დროზე მოჰკრა მარცხენა ხელი ილლიაში და არ გადაჰყვა. ქართლელმა ეხლა კი იგრძნო მოპირდაპირეს მოუხეშავი ძალა და შეკრთა. შეირკინნენ, მკლავები ჩაკეტეს. ონისეს ქვეიდან მოჰყვა მკლავი, მაგრამ არას იმჩნევდა: მაჯის იმედი ჰქონდა. ბევრი ეცადა ქართლელი, ბევრი ხერხი მოაგვარა, ბევრი მახე დაუგო, მაგრამ ფონს ვერ გავიდა. დაიღალა ბიჭი, დაიქაცნა. ონისე კი თანდათან ფხას იჩენდა, ლომდებოდა. ბოლოს ერთი მედგრად დაიქნია ფალავანი, უგდო მოგვერდი და გადაატრიალა. დასცეს ყიჟინა აკოცეს. დაასაცუქრეს. წარუდგინეს ბოქაულს. მოუწონეს სიმძლავრე. მოძღვარმა აკურთხა ფალავანი. მასპინძელმა თასი აუვსო.

-ეს ბიჭი ღირსია ჩვენმა სუფრის თაიგულმა თავის ხელით მიართოს ღვინო-ბრძანა ბოქაულმა.

-აი სამართლიანი სიტყვა! სწორედ ღირსია ცვენი ონისე მაგ ჯილდოსი, -დაჰკრა კვერი მოძღვარმა.

ფალავანნი რომ გავიდნენ მოედანზე, თებრონია წამოყელყეკლავდა და გულის ძგერით დაუწყო ბრძოლას მზერა. როდესაც პირველში ქართლელი მედგრად დაეცა ონისეს და დააძალა, ქალი სულ ათრთოლდა; გულში კვირა ცხოველს ეხვეწებოდა, გამარჯვება ონისესათვის მიენიჭებინა. როდესაც შემდეგ ფალავნები შეიკრიბნენ და ბრძოლა გაგრძელდა, ქალი ჯერ მუხლზე წამოჯდა, მერემე მთლად წამოდგა და მზერად გადაიქცა ქალი ისევ გზაზე იდგა და გამარჯვებულისათვის თვალი ვერ მოეშორებინა, როდესაც სავსე თასი მისცეს ხელში და უბრძანეს ფალავანისთვის მიერთმია, აწითლდა, აიტკრიცა გოგო, მაგრამ, მეტი გზა არ იყო, წინ წადგა ფეხი. ბიჭმა ჩამოართვა თასი, ერთი შეხედა აღელვებულ გოგონას და იგრძნო მედგარი ძალა, რომელიც ელვასავით გამოკრთა ქალის თვალებიდან, შანთვით დაესვა იმის გულს დააძალა შინდიაური სამფსონი ლელვანარელმა დალილამ, დაიმონა.

5

-რა სიომ გადაჰკრა დალოცვილმა! თუ ღმერთს უნდა, მზის ცასვლამდინ მთლად ავკრეფავთ კალოს,-თქვა დათიამ და ტყავის ქუდი გადაიწია, შუბლი ნიავს მიუშვირა.

-შენ თუ ეგრე წამოსჯექ კვერის თავს და ჩიბუხს უმარჯვე, უფრო ადრეც ავკრეფთ, -წაიბუზღუნა ონისემ და გააქანა სავსე არდანი ზვინისაკენ.

-შენ ეი! მისამარ ჩუმად იყავ, თორემ ავიღებ სახრეს და იმდენს აგაყვანებ, ვერ დასთავალო,-შეუტია ბერიკაცმა და მიუბრუნდა ცოლს:

-დახე ამ რეგვენს, როგორ თავს წავიდა ბოლო დროს!

-რად იცი, კაცო, ეგეთი ლაპარაკი? ვაჟკაცთა სახელგანთქმული განა ბალღია, რომ ცემას უქადი.

-დაჩუმიდი, დედაკაცო, თორემ ვნახოთ!

-ამაყვანებ, განა ბალღი ვარ; მუშაობ, თავს არა ვზოგავ, მადლიერი კი არავინ არის.

-რომ მუშაობ, შენ სახლში მუშაობ და შენ საჭმელს; ახლა მადლის ტყავს ვინდა წამოგასხამს.

-ოხრად დარჩეს! ერთი კაცი ვარ, თავს ყველგან დავირჩენ, -თქა ონისემ, დაახეთქა არდანი კალოზე და გაიარა ეზო.

-დახე ამ... -შეუკუროთხა დათიამ და გაადევნა თვალი მიმავალ ბიჭს. ადგა, მოჰკიდა არდანს ხელი. დაიწყო მუშაობა. ერთხანს უჩუმრად შრომობდა; ბოლოს გამოეხმაურა დიაც:

-დედაკაცო, შენ როგორა ფიქრობ, რამ გადარაია ე ბიჭი?

-კარგად ვიცი, რამაც გადარია. -მაშ, თქვენს სიტყვაზე უნდა გამატაროთ, რაღა?

-ბიჭს ის გოგო მოსწონს და ხელს რად უშლი?

-დედაკაცო, მერმე კედელაანთ რაღა პირით შევხედო, რომ სათავისოთ გამოელია მა ბიჭს; რითი ვწუნობთ ან ქალს ან ოჯახს?

-დასაწუნი რა აქვთ, მაგრამ ბიჭს რომ გული არ მისწევს. მართალია, კეკა უფრო ლამაზია თებრონიაზე, მაგრამ სუსტი გოგოა, ჩვენი ბიჭის შესაფერი არ არის.

-მაგას კი მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა: თხელი ქალია, ბიჭს კი, შეხედე, ბუღასავით დასხვილებია კისერი.

-ჰოდა, ნება მიეც, კაცო, თორემ ინანებ: ე საქმეზე ხომ გული აიცრუვა, ახლა ქალაქს აპირობს წასვლას, იქ ვიმუშავებო.

-რაო? ქალაქსა?სახლ-კარს ვიღას ინაბარასა სტოვებს. ხედავთ გავტყდი, დავუძღურდი.

-ისე მოაწყე რომ აქვე დააბა ბიჭი, თორემ, გახსოვდეს, მთლად გულს აიყრის აქაურობაზე,-მიუგო ცოლმა და განაგრძო კალოს გვა, რადგან შეატყო რა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მისმა სიტყვამ.

-განა არა, არ მეჭაშნიკებოდა, რომ მალ-მალ მიჰყვანდათ ბიჭი ქალაქს საჭიდაოდ: ფულს სოულობდა და ამფსონებ იცენდა. თუ ერთი იქაურ წყალს დაეწაფა, აქეთ ვეღარ ვაქნევინებ პირს. მაშინ ხომ დამინიავდება მამაპაპეული ოჯახი. ან რას უნდა გახდეს ქალაქში? ჩვენი კაცი მანამ არის ღონიერი, სინამ ნიადაგზე უდგა ფეხი; თუ მიწას უმტყუნა, ამსუბუქდება, გაქსუვდება, იქნება რამე ავაზაკობსაც გადააწყდეს. ეი! დედაკაცმა თუ გაიწია, ამირანს აითრევს. სწორედ ამის მოგონებულია ეს ჯოჯოხეთური ხერხი. მეტი რა ღონეა, უნდა დავყვე, -ფიქრობდა ბერიკაცი.

-ადამიანო!-აიმაღლა ხმა, -აქვს რამე მზითები ოსიყმიანთ გოგოს?

-არვიცი! ან რად გინდა სხვისა რამ: ისე როგორ დავკვეითდით, ერთი გოგო ვერ შევონახოთ.

-შენახვა კი არ გაგვიჭირდება, მაგრამ ქვეყანაა: იტყვიან, შეეხვეწნენ, ცარიელ-ტარიელი შემოიყვანესო.

-რას დაეძებ, რას იტყვიან! ან ცარიელს რად გამოუმეებ... ჯნსალი გოგოა. მხარში ამომიდგება, ოჯახის ბურჯი შეიქმნება. ჩვენი ბიჭი გაგიჟებით უყვარს და ესეც ერთი ღვთის წყალობაა.

-სწორედ მოგაჯადოვათ გოგომ შენცა და შენი შვილიც!-მიუგო დათიამ.

და განაგრძო მუშაობა. მერმე შესდგა, დაეყრდნო არდანს და გასძახა შვილს:

-ონისე, ჰა ონისე! რასაგდიხარ მანდ, ხელები დამაწყდა.

-ონისე ზლაზვნით წამოპდგა, წამოვიდა. შეხედა დედას, შეატყო, მისდა სასურველად მიხრილიყო საქმერ და დატრიალდა თავისებურად. მამა, ისევე ყალიონი ააბოლა.

-აფსუსი არ არის ამისთანა მიწის მუსამ ქალაქმა ჩაითრიოს თავის წუმპეში, - გაიფიქრა იმან და ხმა აიმაღლა:

-ბიჭო, ონისე, ჩვენი ჭროლა ხარი დამაბუნდა, კბილებიც არარ ერჩის რომ ჩალა გაღეჭოს.

-მუხლშიაც მოწყდა. კალოში ძლივს დაათრევს ფეხებს და გუტანში როგორა გამოდგება. წავალ ქალაქში და ვიყიდი სხვას.

-ძალიან გაიკვალე ქალაქი გზა. ვინ იცის, რას შემოგატყუებენ.

-მაშ რა ვქნათ?

-რავქნათ და იმდღეს მითხრეს, ოსიყმიანთ კარგი მოზვერი ჰყავთო გასაყიდი. გადადი ლელვანარში და შეევაჭრე. უბრალოდ კი არ ჩააყარო ფულები.

ონისემ ტავი ჩაღუნა და მუშაობას უმატა.

-რას გაჩუმებულხარ, ბიჭო? ხვალვე გადადი! კალო კი ჩაუშალე დილით, თორემ მე აღარ შემეძლიან. შუა დღემდის კიდევ გადმოიყვან.

6

ჯერ სად იყო განთიადი, როდესაც ონისე ასულიყო ზვინზე და ძნებს ისროდა. რიჟრაჟზე ჩაშლილი იყო კალო და მემრე რა მადლიანად! ისე აეწეწა სალექი, ვაჯკაცს სარტყლამდინ სწვდებოდა. გადააბრუნა კევრებიც და აათრია. სოფელში რომ ხმაურობა ჩამოვარდა, ონისე უკვე სალამაზოდ ირთვებოდა, კიკინებს ისწორებდა. გაუდგა სასიხარულო გზას. ჯერინავით მიხტოდა. საცა რო დაუხვდებოდა, ჩომბახს იბჯენდა და იმოდენაზე ხტებოდა, თითქო ალგრთზე ფრინავსო. მზის ამოსვლისას კურდღელს წააწყდა, რომელიც გზის პირას ბალახსა ჰკიკნიდა. შეუჭყივლა, გამოეკიდა. რა საკვირველი იქნებოდა, რომ კიდევ დასწევოდა. ფრთები ჰქონდა ბიჭს შესხმულიდა ფრინავდა.

- ნეტა მარტო დამხვდეს გოგო, რომ სათქმელი ვუთხრა და გული ვიჯერო. ვეტყვი: ვარსკვლავი ხარ ჩემი ხარიპაია; ისე მიმუქებ, როგორც ჭრაქი ბნელაში. ერთი შენი ნაზუქი ლოყები ცამაკბეჩინა! ისე შეგინახამ, როგორც თვალის ჩინს; გაგიფრთხილდები, როგორც ხარის ქედს. რა ძირს იხედები, შე დასანელებელო! შავფხის უღვაშეებით არ დაგიფენია წამწამი! ქიშმიშით გამოიგზრდი! ოცნებობდა ონისე.

ჯერ პირველადაც არ იყო კალო ნაქცევი, როცა ონისე მიუახლოვდა ლელვანარს და არწივივით მიავლ-მოავლო თვალი ოსიყმიანთ მთელი ოჯახობა კალოზე დაინახა, ძალიც კი იქ ეგდო; მხოლოდ თებრო არსადა ჩანდა.

-ალბათ შინა ფუსფუსებს, -გაიფიქრა ონისემ და გაეკრა ღობეს. გასცდა ბაღს, გაიარა სახსა და ბაკას შუა და შედგა. გაიფიქრა:

-საჭიდაოდ გასვლისას რომ მეშინოდეს ესე, გაულახავი არ გადავრჩებოდი!

-გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და პირდაპირ თებრონიას წაადგა ტავს. ჩრდილი რომ შედგა დერეფანში, გოგო წელში გაიმართა, შეანათა ბრდვიალა თვალები მოსულს. ბიჭის დანახვაზე მთალად აიტკრიცა: თავსაფრის ყურს ხელი აიკრა, სახე აიხვია; ერთი გაუღიმა თვალებით და დაიხარა, ისევ გვა დაიწყო. ონისეს ნატვრა აუსრულდა, მარტო ცაიგდო გოგო, მაგრამ რა? ენა დაუდუნდა, ხმა ჩაუწყდა, სათქმელი ვერ უთხრა. ისე დაეფანტ-დაეშალნენ სიტყვები, როგორც ალალის წამოქროლებზე ჩიტები. დაეყრდნო ჩომბახს, დაუწყო მზერა პირდაღრენილმა. დახრილ გოგოს გუნდებივით ძუზუები გამობუმტოდნენ კაბიდან და ცოცხის ყოველ გაქნევაზე ოდნავ თამთამებდნენ; ბეჭებიდან გადმოვარდნილი ჯამბარასავით ნაწნავი მიწას სწვდებოდა; აფუებული ფეხები აზრუმულ ჩუსტებში ვერ ეტეოდნენ, აბურტებულიყვნენ. ცოცხი ეთამაშებოდა ბუცუცებს: ხან ერთს გაუქროლებდა წინ და გაჰკრავდა ტოტს, ხან მეორეს; ხან გვერდზე შემოურბენდა რომელსამეს და ზედ გადაევლებოდა, თეთრ წითელ კვალ გადაავლებდა. ონისემ თვალი ვეღარ მოსწყვიტა ცოცხის ცელქობას, აპირთვად ვნებათა ღელვით და ნამეტნავისაგან გულისა მიეხმატკბინა გოგონას:

მეჩვენა

1

შარშან ღვინობისთვეში მომიხდა ეს ამბავი. დილიდანვე უგემურად გავხდი. ავად არ ვიყავი, ისეგამოურკვეველი რამ მალეღვებ-მაშფოთებდა, არ მასვენებდა. მიზეზი კი არა ჩანდა რა. თანაც მარცხენა თვალის თამაში ამიტყდა, აღარ დადგა და აღარ! ამან უფრო დამაღონა. დაცდილი არა გაქვთ თვალის თამაში? მე კი დავცადე და ცუდადაც.

ვიცი, რომ ცრუმორწმუნეობაა ეს; იმასაც გეტყვით, რისაგანა ხდება სხვადასხვა ასოს მღერა, მაგრამ რა ვუყოთ? ადამიანი ყოველთვის მისდევს ამა თუ იმ ცრუმორწმუნეობას. თქვენც ხომ გაქვთ ზოგი რამ დაცდილი.

ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ბევრი იმისთანა საქმე გამართლდა, რაც წინათ თვალთმაქცობა და ცრუმორწმუნეობა ეგონათ. ვინ მოიფიქრებდა, რომ სხვის აზრების გაგება შეიძლებოდა, ჯერ გამოუთქმელი აზრებისა; ან განკურნება უწამლოდ არამც თუ მარტო შეხებით, სიტყვითაც; ან ჩაკეტილ ყუთში ნივთების დათვლა-დათვალიერება; ან შელოცვა და სხვა ამისთანები?! ეხლა კი დასაბუთდა ყველა ეს.

არა, იმას კი არ ვამბობ, “ასოსამღერლიც” როდისმე დასაბუთებული წიგნი შეიქმნება-მეთქი. წაკითხული გაქვთ “ასოსამღერელი”? ჰოდა, მეც თქვენსავით მთლად უნიადაგოდ მიმაჩნია ეს წიგნი. მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ არა მაქვს კარგად დაცდილი თვალის თამაში და უფრო დამანაღვლიანა ამან.

კაემანი რომ გულს მომაწვა და დამიმძიმდა გუნება, ფიქრთ გასართობლად ის წიგნი ავიღე, რომელსაც ბევრჯელ გადუწმენდია ჩემთვის ნაღვლის ბურუსი. მაგრამ ეხლა სრულებით არ იმოქმედა: აზრს ვერ ვუკვირდებოდი, სიტყვათა წყობის მშვენიერებას ვერა ვგრძნობდი; ფიქრი დაჟინებით იმეორებდა წაკითხულიდან ერთსა და იმავეს: “აქა თავსა გარდავიქცევ, ახლო მახლავს დიდნი კლდენი”. დავკეცე წიგნი. მაინც ვერ მოვიშორე თავიდან ეს გულის გასაწვრილებელი სიტყვები. დავიღალე, სკამს მივეყრდნე, თვალეზი დამიმძიმდა; არ კი ჩამძინებია, ყველაფერს კარგადა ვგრძნობდი. უეცრად მომესმა ძახილი:

- დათიკო! დათიკო!

წამოვდექი, მივიხედე-მოვიხედე, არავინ იყო. გავედი მეორე ოთახში, იქ ყველას ეძინა. აივანზე და ეზოშიც არავინა ჩანდა. გამიკვირდა, შემოვბრუნდი შინ. შიში არ ვიცი ზაზოგადოდ, მაგრამ ეხლა უნებლიეთ ამიტანა შიშმა, თმა ყალზე შემიდგა. კიდევ მომესმა ძახილი. ამავე დროს კარები სწრაფად გაიღო და ოთახში შემოვიდა ჩემი კარგი მეგობარი ათი წლის უნახავი სოსანა. მაგრამ რა სახით! თავი ჩაჩეჩვილი, მარცხენა მკლავი შოლტივით ჩამოშვებული, სისხლში გაბასრული. შედგა სოსანა ჩემ წინ მთლად უნუგემობად გადაქცეული; თვალეზში სასტიკი ტანჯვა ესახებოდა. სახტად დავრჩი, ღონე მომელო, ტყვიასავით დავმძიმდი, სკამიდან ველარ ავიწიე. ჩვენებამ აღარ დამაცალა, რომ გონს მოვსულიყავ და სიტყვა რამე მეთქვა, ისეც მიეფარა. ძლივს გამოვერკვიე.

მეორე დღეს წერილების დამტარებელმა ვეებერთელა წიგნი მომაწოდა. ზედ წარწერას რომ დავხედე, ჩემი მეგობრის ხელი ვიცან, იმ მეგობრისა, რომელიც ისე საცოდავად გამომეცხადა წინა ღამეს. გამიკვირდა, გავხსენ. დაწერილი რვეულები იყო. რვეულებშია სუფთად დაკეცილი პირსახოცი იყო, რომლის კუთხეზე მოექარგათ ასოები “თ” და “ს”. ერთ მომცრო რვეულს ზევიდან ეწერა:

“ძვირფასო ამხანაგო, ჩემო ერთგულო მეგობარო დათიკო! ამ წერილს რომ გახსნი, მე იქნება აღარც კი ვიყო. მომიგონებდე. შენის მეტი ვერვინ მიცნობს, შენის მეტმა არავინ იცის ჩემი გული და ჩემი მისწრაფებანი. ცხოვრებამ დამჯაბნა, სამსალა შემასვა და ველარ ვგრძნობ თავს კარგად. თუ რამ ქაღალდები ან წერილები მქონდა, დავწვი, ეს ნაწერები კი ველარ გავიმეტე, გიგზავნი ეს რვეული მოლომდის ჩაიკითხე. მიმიხვდები, გაიგებ იმას, რამ გამითახსირა აზრები, გამიტეხა გული, წარმტაცა იმედები; გაიგებ, რამ გამხადა უსარგებლო, რამ მაქცია მჩვრად”.

ავლელი. ვიგრძენ, გასჭირებიყო ჩემ ძმომილს, დიდი რამ სევდა შემოსწოლოდა. ტყუილად კი არა მწერდა, ველარ ვხედავ ცხოვრების მიზანს და უაზრო ცხოვრებას არყოფნა სჯობიაო. მაგრამ როგორ უნდა მეშველა შორიდან? ან რითი უნდა მეშველა იმ კაცისათვის, იმ ოდესმე აზრიან და გრძნობით სავსე კაცისათვის, რომელიც ამისთანა ბნელ დასკვნამდის მისულიყო, ამისთანა განწირულებაში ჩავარდნილიყო?

“წაიკითხე! მიმიხვდებიო” ჰაი, ჰაი, მიუხვდი! გული მატკინა; ბევრი რამ გადმიშალა თვალ-წინ, რაც ისე ძვირფასი იყო ჩემთვის, მაგრამ რაც უწყალოდ შეიმუხრა, დაიფანტა, განქრა ცხოვრების ეკლიან გზაზე; მივხვდი, რამ გატეხა ის ვაჟკაცი, რამ დაამარცხა ისე საზარლად.

მიგიხედნიათ უკან ცხოვრების გზაზე? გადაგივლიათ თვალი წასულ დროისათვის, უმნიშვნელოდ, უაზროდ გავლილი წლებისათვის? ხომ დაგნანებიათ ფუჭად გავლილი დროც და თქვენი თავიც? თუ ეს გიგრძენიათ, მიხვდებით ჩემი მეგობრის სულისკვეთებას, თუ არა და მისი ნაწერივერ გაგრძნობინებთ იმ დარდს, იმ უიმედო სევდას, რომელმაც დააბოლოვა ეს საიმედო კაცი. ვერ გაგრძნობინებთ, იმისთვის ვამბობ, რომ იმის ნაწერებში ნათქვამს ვერ უმორჩილდება ნაგრძნობი, რომ ვერ მოუხერხებია გულის ნადული მთლად ჩახლართოს სიტყვების ბადეში. აი რვეული.

188... წლის თიბითვის პირველი იყო, როდესაც სწავლა გავათავე და გამოვეთხოვე სასწავლებელს, სადაც ოთხი წელიწადი ფეხმოუცვლელად გავატარე. ხომ გახსოვს, მოსკოვში რამოდენა ახალგაზრდობამ მოვიყარეთ მაშინ თავი? გარშემო ქალაქებიდანაც შეიკრიბნენ და ერთმანეთს ვუცდიდით, რომ ერთად გავდგომოდით სასიამოვნო გზას სამშობლოსაკენ. ათამდის განათლებული ახალგაზრდა!.. განა ცოტაა ეს? გამოგზავრების წინა დღეს საღამოს ჩაი ღირსახსოვარ კრებად გადაგვექცა. რამდენი გულის ქარმტაცი აზრი წარმოითქვა! ჩვენ კრებაში მაშინ რამდენიმე ჩრდილოელიც მოჰყვა. რა განათლებული ბიჭები იყვნენ! ესმოდათ ჩვენი გულისძგერა, გრძნობდნენ ჩვენს ლტოლვილებას და ძმურად თანაგვიგრძნობდნენ, რადგან ისინიც ხალხის სამსახურისთვის ემზადებოდნენ, იმითაც თავიანთი თავი ერის თავისუფლებისა და სიკეთისათვის ჰქონდათ მსხვერპლად გამზადებული აკი ბევრმა იმათგანმა შესწირა კიდევ თავი იმ წმინდა აზრებს.

მაშინ გულწრფელად ვსახავდით ჩვენ თავს მოციქულებად, ყველა ჩვენგანს თავი მახარობლად მიაჩნდა; რადგან ბევრი რამ კეთილი უნდა გვეხარებინა ჩვენი დაქვეითებული მოძმეებისათვის, ჩვენი დაჩაგრული ერისათვის, ჩვენი წამებული სამშობლოსათვის.

- ცოტანი არა ვართ, საყვარელო ძმებო! - გვეუბნებოდა აღტაცებით ნესტორი. - აი, აქ ათნი შევიყარენით, სხვა ქალაქებშიც ხომ გვეყვანან ხალხისათვის თავდადებულნი. ახლა უცხო ქვეყნებიდან მოგვივლენ განვითარებული მშრომელები, იცით რა შეუძლიან ერთი აზრით გამსჭვალულ ამოდენა მუშაქს?! გულს ნუ გაიტეხ, ჩემო მშვენიერო, წამებულო სამშობლო. თორმეტმა კაცმა მთელ ქვეყანას მოჰფინა ნათელი ქეშმარიტებისა, გამოიყვანა კაცობრიობა საუკუნო სიბნელიდან, შესძლო სიყვარულის გამეფება და ჩვენი ტვირთი ხომ რამდენად მსუბუქია ამაზედ! ჩვენ, შენ შვილებს, ფიცი დაგვიდვია შეუდრკომლად მივდიოთ იმ წმინდა მოღვაწეების კვალს და სიციცხლე გავსწიროთ, ოღონდ გამოვიყვანოთ წარმატების და თავისუფლების ნათელ გზაზე!

ნესტორმა ჩვენი გულისნადები გამოთქვა: ყველა ჩვენგანი გრძნობდა მაშინ თავის ამ მოვალეობას და ყველა სიხარულით მოისწრაფოდა ამ ეკლიანი გზისაკენ. ამისთვის იყო, რომ აღტაცებულებმა ერთმანეთს მტკიცე პირობა მივეცით არავითარ სიძნელეს არ შევშინებოდით და ამ პირობას დასამტკიცებლად ძმურად გადავკოცნეთ ერთმანეთი. ხომ გახსოვს რამდენ ჩვენგანს ცრემლი მოუვიდა მაშინ, წმინდა გრძნობის ნადული სანატრელი ცრემლი.

ჰაი, ჰაი, მახსოვს! განა იმისთანა წუთები ავიწყდება კაცს?! ეხლაც თვალწინ მიდგას ის კრება და იმ კრებაში მშვენიერი ახალგაზრდა სოსანა; ეხლაც ვხედავ მის დიდრონ ლურჯ თვალებს, ნეტარების ცრემლით სავსე მიმზიდველ თვალებს. კარგად ვიცოდი, რა მახვილი და ძლიერი გონება ამოჰფარებოდა მის ფართო შუბლს, რა გრძნობათა მორევი ტრიალებდა მის მოსიყვარულე გულში; არ ვიცი, რადა და სოსანას სახე ივანე მახარობლის სახეს მაგონებდა, იმ ხატს ვამბობ, რომელზედაც ღვთისმეტყველს მშვენიერი სახის ახალგაზრდათა ხატავენ. დიდი იმედი მქონდა სოსანასი, მით უფრო, რომ ის ცოტაოდენი ქონების პატრონიც იყო და, მამასადაძმე, ცხოვრებაში ისე ძალიან არ დასჭირდებოდა ქედის დრეკა.

რა ძალიან მეჩქარებოდა სამშობლოში მოსვლა! ყოველი საათი უცხო მხარეს დაკარგული დრო მეგონა; დარწმუნებული ვიყავი, რომ შევდგამდი თუ არა ფეხს ჩემს საყვარელ ქვეყანაში, მაშინვე დავადგებოდი საკეთილო გზას, რომელსაც უნდა გამოეყვანა ჩვენი ერი კვლავ ისტორიულ ასპარეზზე, ცაეთრივნა ის დაწინაურებული ხალხების რიცხვში და საპატიო ადგილი მიენიჭებინა მისთვის. გემიდან გადმოსვლისას, ფოთში, რომ სამშობლო მიწას ვემთხვიე, ამით გულწრფელად მივესალმე მთელ ჩვენ ქვეყანას, როგორც მოსიყვარულე შვილი; ის ცრემლი რომელიც თვალთ მომადგა მაშინ, ნეტარების ცრემლი იყო. იცი, თემს ცხოვრებაში ის წუთი იყო ყველაზე ბედნიერი და მშვენიერი.

პირველ ხანში ბედმა გამიღიმა და იმ ქალაქში ვიშოვნე ადგილი, საცა გავიზარდე. ჩემ სახლშივე დავბინავდი. ბედმა გამიღიმა-მეთქი, რადგან ბევრი ჩვენგანი ვერ შოულობს ჩვენშივე ადგილს, თუმცა ცდილობს და ეღრეჯება უფლების მქონებლებს. ნუ იფიქრებ, რომ ჩვენში განათლებული ახალგაზრდობა მომეტებული იყოს, სანამ

მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში ამისთანა კაცებისა, არა! მაგრამ ხომ იცი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს და, მაშ, რაღა დასაყენებელია ის შინ!

სამუშაოდ პედაგოგიური ასპარეზი ამოვირჩიე. მართალია, ამ ასპარეზზე მოღვაწე ვერც სახელს და ვერც სახრავს ვერ მოიხვეჭს ადვილად, მაგრამ მე ხომ ამას არ მივსდევდი: ეს საქმე წმიდაა, დიდ შედეგიან საქმედ მიმაჩნდა და იმისთვის მოვკიდე ხელი. აქ შენ ხელშია ხალხის მომავალი, შენ თვალწინ მიმდინარეობს ახალ-ახალი თაობა და შეგიძლია გზა წაუშარტო მას. განავითარო, მოამადო ცხოვრებისათვის, ჩაუნერგო მაღალი აზრები და კეთილშობილური გრძნობები. ამაზე პატიოსანი სამუშაო! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ თვითეულ ჩემს მოსწავლეს თან ვატანდი ასაღორძინებლად საუკეთესო ნაწილს ჩემი სულისას: ძვირფას აზრებს და მისწრაფებებს, ფაქიზ გრძნობებს, საკეთილო მიდრეკილებებს, ხოლო ეს კეთილი იპნეოდა სამშობლო ნიადაგზე, ვრცელდებოდა, იზრდებოდა, მატულობდა, რადგან ჩემი მოწაფეები თითონაც ხომ ავრცელებდნენ მიღებულ კეთილს უფრო გაძლიერებულს, გამშვენიერებულს, განსპეტაკებულს.

მოვეწყე ჩემთვის და თითქმის განცალკევებული ვცხოვრობდი. ხომ იცი, მომწონდა განმარტოებით ყოფნა, ისე კი, რომ ჩემ შორიახლო ედულნა ცხოვრებას. არ მინდოდა ცხოვრების ზღვის ტლღებში მესრიალნა და ავყოლვიყავ იმათ დენას, მხოლოდ მიყვარდა ამ ზღვის პირას ყოფნა და იმის ღელვის მზერა. მეგონა, ესე თვალწინ, თუმცა ცალკე რომ მექნებოდა ცხოვრება, უფრო შემეძლებოდა მისი თვალყურება და მისთვის მიმართულებების მიცემა. ის კი აღარ ვიცოდი, რა ძლიერი ყოფილა ამ ზღვის ტალღა, რა მანძილზე სცოდნია იმას ჩქაფუნე; კარ-ფანჯრიდან შემომივარდა ის, ამიტვიტივა და დამთქა.

მე ხომ დედის მეტი არავინა მყავდა და აბა რას მოვიშორებდი გვერდიდან! ჩემთანა ცხოვრობდა. პირველ წლებში ძალიან ვუხაროდი იმას ამპარტავნობდა ჩემით, თავი მოჰქონდა; ჩაცმა- დახურვას უმატა, საყდარში უფრო წინა დგებოდა, მასლაათში მეტ დარბაისლობას ჩემობდა; კვებულობდა, დიდი წარმატება და სიმდიდრე მოელის ჩემ სოსანასაო. ხანი რომ გავიდა, დედას ეჭვი დაეხადა, ვგონებ მოვტყუვდი ამ კაცშიო, და შემომიჩნდა როცა სათავისოდ დამიგულეებდა და დროს ჩაიგდებდა, მარიგებდა, ჩამჩიჩინებდა. მეტადრე ჩვენ პაწაწინა მამულზე ზრუნავდა.

- აი, შვილო, - მეტყოდა: - ცვენ მამულს წლეულ ღობე დასჭირდება და უნდა შემოვავლოთ; საზაფხულოდ სახლიც რომ შევაკეთოთ, ძალიან კარგი იქნება, მტერს თვალები დაუდგება. იცი, შვილო, წყლის მხრიდან რომ საბრაალანთ მიწაა ჩვენ მამულში შემოჭრილი, იმ მიწის შეძენას ან ფულით ან რამე ხერხით ბევრსა ცდილობდა მამაშენი, მაგრამ არ დასცალდა ცხონებულს. ეხლა საბრაალანთ გაუჭირდათ და იმ ნაჭერს ჰყიდიან; ხელიდან გაშვება არ შეიძლება. მიწა კი არა, ოქროა, ოქრო, ის დალოცვილი.

- მერე ფული სადღა ვიშოვნოთ, დედი?

- ფული? აქამდისაც ბევრი უნდა გეშოვნა ფული. ამენდე ჯამაგირი. კიდევ რამე საშვალება გამოძებნე: სწავლული კაცი ჩამოხვედი რუსეთიდან და ეხლა შენ თითებიდანაც ოქრო უნდა გცვივოდეს.

კარგად მესმოდა, რომ ყველა ეს და ბევრი სხვა ამისთანები, რასაც დედაჩემი ჩამჩურჩულებდა, სასარგებლოც იყო და საჭიროც; ამიტომა ვცდილობდი ისე მეცხოვრნა, მამულის შემოსავლიდან არა დამეხარჯნა რა, ზედვე მომეხმარებინა იმისთვის, მაგრამ ჩემ პაწაწინა ადგილს ცოტა შემოჰქონდა, თავის თავის გაუმჯობესება და გადიდება მხოლოდ ნელ-ნელა შეეძლო. დედაჩემს კი ეჩქარებოდა, ცდა არ მოსწონდა. რა უნდა მექნა? ჩემ გასამრჯელოდან თუ რასმე გადავარჩინდი

წიგნებისათვის მინდებოდა; გარდა ამისა, ვცდილობდი ცოტა რასმე ფულითაც დავხმარებოდი თემ ღარიბ მოსწავლეებს. თუ ძმა ხარ, ქველმოქმედებაში ნუ ჩამომართმევ ამას: ეს ვალად მიმაჩნდა, რომელსაც გადახდა უნდოდა. გახსოვს ჩვენი ფსიხოლოგი ვიქტორი?

ვიქტორ დიმიტრის ძე? როგორ არ მახსოვს ის ხვთის კაცი! ბრწყინვალე გონებისა, განათლებული, მჭერმეტყველი, მართალი, გილჩვილი. გაჭირვებულების ქომაგი იყო: თავის ჯამაგირიდან ნახევარიც არ შეჰქონდა შინ, მოსწავლე ახალგაზრდობას ურიგებდა. შავ ტანისამოსში გამოწყობილი, წელში მოხრილი მარტოხელი მოხუცი. შესდგამდი თუ არა ფეხს იმის სახლში, ჰნახავდი, მეცნიერება იყო იქ გაბატონებული, სწორედ წინგთ საცავსა ჰგვანდა იმისი ბინა. რამდენი ცოდნა იყო მოთავსებული იმ შესახედავად თითქმის ბეჩავ კაცში! აუდიტორია იყო მისი სამფლობელო, ის შეუდარებელი იყო კათედრაზე. სახე - გაბრწყინებული, თვალეზადუნებული ამბობდა მოკლედ, ნათლად, ჭკვიანად; მსმენელს გონებას უტყვევებდა. აკი აუდიტორია ყოველთვის სავსე იყო მის თაყვანისმცემლებით. იმის მთავდაბლობაზე ხომ ზღაპრებს მოგვითხრობდნენ. ერთს გეტყვით: ერთხელ ერთი ახალი შეგირდი მოსულიყო ეტლით. თურმე იმ დროს გამოდიოდა სასწავლებლიდან ვიქტორი. უბრალოდ რომ ეცვა, ახალგაზრდას მსახური ჰგონებოდა და ეზანებინა ბარგის წლება. იმასაც აელო ბარგი და გაჰყოლიყო. დაენახათ, ელდა სცემიყოთ, მისცვივნოდნენ, ბოდიში მოეხადნათ თავხედის მაგივრად. სოსანა იმ პროფესორზე წერს: ალბად ის უნდა მითხრას, რომ იმ ღვთის მიერ კაცს რაც ჩვენზე სიკეთე აქვს, იმისი გადახდა მინდოდაო.

- იმას ვამბობდი: დედას არ მოსწონდა, რომ სამსახური დიდ ფულს არ მამლევდა და ჯავრი მოსდიოდა.

- შვილო, - მეუბნებოდა ის, - აგე გიტო მახიშვილი მარტო ოთხ კლასიანია, მაგრამ დახე როგორ დიდებულადა ცხოვრობს: მზარეული, ხელზე მოსამსახურე. მოახლე; ცოლშვილი თაიგულივით მორთული გამოჰყავს. რა ჰქონდა? არაფერი! ეხლა კი მამულიც შეიძინა. სარჩოს პირი აქვს და იმისთვის! ან აგერ ჩვენებური დიაკვნის შვილი. წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდვლად არის და ამბობენ, წელიწადში სამას თუმანს არა აჯერებსო; თანაც უშრომლად ცხოვრობს, როგორც საპატიო ვინმე, შენ კი თავს აკლავ მაგ წიგნებს და რვეულებს, ზედ გადაელიე დალღებს, ხვავი კი არა აქვს შენს შრომას: ძლივსა სცხოვრობ. გაიხედ - გამოიხედე, მიდექ- მოდექ. ზხოვრებას ნუ დაეჩაგვრინები, შვილო!

მეც ვიხედებოდი გარშემო და ვატყობდი, რომ ცხოვრება ისე არ იყო მოწყობილი, როგორც სასწავლებლის ფანჯრებიდა სჩანდა, რომ არ ვიყავ ცხოვრებისთვის კარგად დამზადებული, - იმ ცბიერ, გულქვა, მოსისხლე ცხოვრებისათვის, რომელიც აწ სჩქევს ჩვენ გარშემო. მაგრამ თანაც მწამდა, რომ ეს ცხოვრება უკუღმართი იყო და შეგნებიულ მუშაკთ უნდა ჩაგვეყენებინა ის ღირსეულ კალაპოტში, მიგვეცა მისთვის ის მსვლელობა, რომელიც შეჰფერის ადამიანის ყოფას. წარმოდგენილი მქონდა, რა ნელ-ნელა უნდა მომხდარიყო ეს ცვლილება, რამდენი დრო და მსხვერპლი უნდა მოსდომნოდა ამს, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ბოლო ჩვენი იყო და მივდიოდი ჩემ გზაზე, გულდინჯად უყურებდი მახლობელთ დრტვინვას და მეცადინეობას, რომ როგორმე წავეწიეთ ცხოვრების ჭაობისაკენ.

რა გამემტყუნებინა დედა და განუვითარებელი მახლობელნი, როცა ჩემი განვითარებული ამხანაგებიც ისევე უყურებდნენ საქმეს. ხომ წმიდა საქმე გვეჭირა ხლში, მაგრამ ყველას მხოლოდ ცხოვრების მოსახვეჭ საშვალეზად მიაჩნდა ის და ჩვენ შორის მარტო ქონებაზედა იყო საუბარი. არავითარ სიმდაბლეს და ჭუჭყს არ

ერიდებოდნენ, ოღონდ შეეძინათ რამე. ქრთამებსაც კი იღებდნენ, ქრთამებს! ფული და სიამოვნება! ასე ეწერ მათ დროშაზე და რადგან ჩვენი სამსახური ვერ იძლეოდა ამას, ისინი ჰგომბდნენ ჩვენ ხლობას, ჩარჩობაზედაც კი დაბლა აყენებდნენ მას. მართალია, ზოგიერთს შერჩენოდა ცოტა რამ წინანდელი მისწრაფებანისა, მაგრამ რა! ეს ნაგლეჯები იყო იმ მშვენიერი მიზნებისა, რომლებსაც ოდესმე ესულდგმულებინა ისინი. ამგვარად იმ ასპარეზზედაც, რომელზედაც მე ვმუშაობდი და რომელიც ისე წმინდად მიმაჩნდა, გამეფებულყო არსებით პურზე უკიდურესი ბრძოლა; ამ ზრუნვას და უგვან თავმოყვარეობას ჩაენთქა ყველა მაღალი აზრი და ყველა ფაქიზი გრძნობა. ეს გარემოებაც გარს მეხვეოდა, მესეოდა და უნდოდა ჩავეთრიე ცხოვრებისავე ჭაობში.

გავედი ხალხში, გავიცან ყველა, ვისიც გაცნობა შეიძლებოდა ჩემ გარემოებაში და რომ დავაკვირდი, ისევ ის ძირითადი მისწრაფება შევნიშნე ყველა წოდებაში, რაც ასულდგმულებდა ჩემ მახლობლებს და ამხანაგებს: მოყვასის დაჩაგვრის სურვილი და მის ბედის ნანგრევებზე თვის კეთილდღეობის დამყარების წყურვილი, ერთის მხრივ, ხოლო ურცხვად გამოფენა, ლირფად სარგებლობა, მარცვა- გლეჯით შეძენილ ქონებისა და ქედის დრეკით მოპოებულ პატივისა, მეორე მხრივ. მე იმავ უფრო შემადრწუნა, რომ ფლიდი და უსინდისო მძარცველი ვინმე, რომელიც ავაზაკობით გამდიდრებულიყო, რომელსაც მოყვრისთვის სისხლი გაეშრო და მით გასუქებულიყო, ეხლა ხალხის კეთილის მყოფელობას ჩემობდა. ბრბოც შესძახოდა: დიად, პატიოსანო ბატონო! უვიც ვისმე, რომელიც გაიძვერობით ან სხვის წყალობით გადიდებულიყო, დაჰვიწყებოდა თავისი უტვინობა, ჰკვასა ჩემობდა. ბრბოც შესძახოდა: დიად, ჩვენო ბრძენო!- ბრბომ კარგად იცოდა, ვისთანაცა ჰქონდა საქმე, მაგრამ რა ექნა? ნასუფრალს ელოდა და კუდს იქნევდა.

სხვადასხვა წოდებაში, სხვადასხვა ოჯახისი ფერსა ცვლილობდა ეს ძირითადი მისწრაფება, ზოგან ვარდის ფურცლებითაც იყო იგი შეფერვლილი, მაგრამ ცოტა ოდენი დაკვირვება იყო საჭირო, რომ ადამიანს შეენიშნა ის. ამგვარად აქაც იგივე ჭაობი დამიხვდა, რომელიც წინადაც მეზიდებოდა თავისკენ, რომელიც ადგილ-ადგილ მწვანით შებიბინებულიყო, რომ უფრო ადვილად შევეტყუებინე.

არ კი იფიქრო, კაცთ მოძულე გამხდარა და მარტო ბოროტს ჰფიქრობსო. არა! მე შევნიშნე ის ორიოდეც, რომლებსაც რაღაც მანქანებით შერცენიათ საღი აზრები და პატიოსანი გრძნობები, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა გარიყულნი და განმარტოვებულნი იყვნენ! რა სევდას და სულით ობლობასა გრძნობდნენ! მაინც ისინი იყვნენ ჩემთვის ლამპრებად და თვალს ვერ ვაშორებდი, როგორც გაჭირებული ნაოსანი კანდელს. ამ რჩეულთა არსებობა მარწმუნებდა, რომ საღი იყო ჩემი მისწრაფება, თუმცა ჩვენს გახრწნილ ცხოვრებაში ჯერ უნიადაგო. ეს მამხნევებდა და იმისთვის არ მეშინოდა იმ ქსელებისა, რომლებსაც გარს მახვევდა ცხოვრება. ეს კი იყო, რომ დავნალვლიანდი და უფრო განზე გავიწიე, თავი გავითავისწინე. არ მეშინოდა-მეთქი, იმისთვის ვამბობ, რომ ჯერ არ ვიცოდი, რა მარჯვე ხაფანგები ჰქონიყო ცხოვრებას დაგებული ჩემისთანა ურჩების შესაპყრობლად, და ან მოსაქნელად, ან მოსასპობლად. გამიგონე!

5

სხვა ახირებულ აზრებს შორის იმ აზრმაც ამიყოლია, რომ სამშობლო სიტყვიერებისათვის შემიძენია რამე. ვიცოდი, რამოდენა განძი იქნებოდა ჩემთვის, თუ შეგროვდებოდა ხალხის გონების მაწარმოები - ზღაპრები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები, ზმები, ენისგასატეხები, იარარის სახელები და სხვა ამისთანები. მოვისურვე ამ მასალის შექუჩება.

პირველ წელიწადსვე, როცა საზაფხულოდ გაუშვით მოსწავლეები, გამოვეწყე უბრალოდ და გაუდექე გზას. ფეხით ვირჩიე სიარული. მინდოდა სოფელ-სოფელ მევლო, ყველგან დავრჩენილიყავ, გამეცნო ხალხი, მივეყოლ- მოვეყოლიყავ იმას და ადგილობრივ ამეკრიფა ეს მასალა, რომ უფრო ხალასი და თავანკარი ყოფილიყო. რამდენიმე საფხული მოვანდომე ამ საქმეს და მივაღწიე კიდეც მიზანს: დიდძალი მასალა შევეკრიბე, თუმცა ბევრი წვალეზა გამოვიარე, ბევრი დაცინვა ავიტანე, რადგან ყველას ეუცხოვებოდა ჩემი ქცევა, მეტადრე ის, რომ სულ უბრალოდ ჩაცმული ფეხით მივდევი ჩემ მიზანს.

- კაცო! იქნება საზანდრობას აპირებ?

- თითქო ჰყვანანო აი მაგ კაცს! აბა რა მაგისი საქმეა შაირ-გამოცანებისთვის სოფელ-სოფელ წაწალი და კალოებზე გდება?

ბევრ რასმე ამისთანას და ამაზე უარესსაც მასმენდნენ, მაგრამ რას დავდევი! მე ჩემი მიზანი მქონდა და შევასრულე კიდეც: აკი გითხარ, დიდძალი მასალა შევეკრიბე-მეთქი. ეხლა ეს რვეულები ერთად შევაგროვე და შენ გიგზავნი. ნუ დაჰკარგავ.

ფოშტით რომ მომივიდა, ეს რვეულები იყო. ჩაწერილებს ზოგან შემკრების შენიშვნები აქვს ჩართული. ვუფრთხილდები. ნეტა ვინმე იკისრებდეს დასტამბას.

ან კი რა იყო, ჩემო კარგო საკვირვე-საკიცხავი ჩემ მოქმედებაში? უბრალოდ მეცვა, რადგან გზაში ეხლანდელი ჩვენი ტანისამოსი უხერხულია და გამოუსადეგარი: ფეხით დავდიოდი უმეტეს ნაწილად, რადგან იაფადაც მიჯდებოდა და არც საჭიროდა ვრაცხდი სოფლიდან სოფელში გადასასვლელად ეტლები მექირავნა. მერე რამდენი განსხვავებაა იმაში. ეტლიდან გადახედვით გაგიცვნიათ რომელიმე მხარე, თუ ფეხით გივლიათდა უნებლიეთ ყველაფერი გითვალთვლებიათ! რამდენი შესამჩნევი რამა ვნახე!

აი სწორედ ამ ტანტალშივე შევხვდი იმას, რამაც სულ სხვა ელფერი დაზღო ჩემ ცხოვრებას.

ერთხელ რკინის გზით მივდიოდი დანიშნულ ადგილამდის, რომ იქიდან დამეწყო ჩვეულებრივი სიარული. ჩემ გვერდით მსხდომმა მგზავრებმა რაღაც უაზრო ლაპარაკი გააბეს, ერთმანეთს აუხირდნენ და ხმა შეუმაღლეს. მე ყოველთვის მაწუხებდა ლაპარაკში ჯიუტობა და ღრიალი. შევბუზრდი, ავდექი და ფანჯრიდან დავიწყე ცქერა თუმცა გზა ნაცნობი იყო, მაგრამ ბუნების სიდიადე მშვენიერებამ მაინც მომტაცა თვალი. ვიწრო ხეობაში მომწყვდეული მდინარე იბრძოდა და ჩუხჩუხებდა, ქვდებოდა; მასდგომოდნენ უზარმაზარი მთები, რომელთა კალთებიც ნიაღვრებს ჩაერეცხათ. შიგადაშიგ გამოჩხრიალებდნენ ანკარა ნაკადულები. შორს ისევ მთები და მთები. ვიცნობდი იმ მთებს, ვიცნობდი ყვავილებით მოფენილ ველებსაც იმ მთებს შუა. სიამოვნებით ვისმენდი მათ საუბარს, თუ მომიხდებოდა მათთან ყოფნა, რადგან მომწონდა და მართობდა მათი ნათქვამი. ბევრ საგულისხმოს უბნობდნენ ისინი და ჩახჩახა ნაკადულებიც ემოწმებოდნენ. ბევრჯელ ისეთ გილწარმტაც რასმე მომითხრობდნენ, რომ ნაკადულებიც კი შესდგებოდნენ და სმენად გადაიქცეოდნენ; ყვავილებს ხომ ცრემლიც მოსდიოდათ ლამაზ თვალებზე. იცი? ის მთები მომავალზედაც ბევრს რასმე უბნობდნენ, რადგან შორსა ჰხედავდნენ მაღლიდან. ვაი, რომ ენა დამიდუნდა და ვეღარ მოვახერხე იმათი ნათქვამის მოთხრობა!..

იმას ვამბობდი: ფანჯარაში ვიდექე და ვტკბებოდი ბუნების სიმშვენიერით, მაგრამ თანაც სხვა სიამოვნებასა ვგრძნობდი, რომელიც ამ სანახავიდან არ უნდა წარმომდგარიყო: ვგრძნობდი სიხარულს, თითქმის ნეტარებას და ამავე დროს რაღაც მეწეოდა თავისკენ, ძლიერად და ალერსიანად მეზიდებოდა. მივიხედე იქითკენ და

გული გამინათლდა, მივხვდი საიდან მოდიოდა ეს ძალა: იქით ფანჯარიდან ნაზი რამ ქმნილება გადმოჩენილიყო და ჩემკენ მოეპყრო თვალები; გზის სიო თმას უშლიდ-უწეწავდა. დიახ, იმის მონამულ კილოიან თვალებიდან გადმოდიოდა ის სასიამოვნო ძალა, რომელიც მე მხიბლავდა. იცი რა არის მონამული თვალი? ზოგი თვალი მშვენიერია, მაგრამ მშრალი; მე სასტიკი მგონია ესეთი თვალი და, თუნდ მომეწონოს, მეშინიან. ზოგი თვალი ისე მშვენიერად არ არის მოკალმული, მაგრამ ცვარი ადგია, ლმობიერების ნამი, მონა ვარ ამისთანა თვალებისა. თანაც ის დალოცვილი თითქო მილიმოდა თვალებით. სწორედ მილიმოდა! აღმა ამკრა, ავირიე, დავტკბი. ახალგაზდა ვიყავი და სავსებით ვიგრძენ ანდამატური მიმზიდველობა. აღარც მომიშორებია თვალი.

გაჩერდა მატარებელი. გადმოვედი. ამ სადგურთან მდინარეს შენაკადი ერთვის. პატარობისას მენახა ეს ადგილი და მინდოდა იმის ხელახლად დათვალიერება. ჩამოვჯექი ბექზე და ჩავყურებდი მთებიდან გამომავალ ღონიერ წყალს. აქ ვიწრო ხევი უეცრად თავდებოდა და ცელქი მდინარე გახარებული ხტოდა, თავისუფლად ამოვისუნთქევო; არ იცოდა, რომ ეხლავე ჩაიხვევდა მას უფრო დიდი წყალი და მოსპობდა მის ყოფას. ოცნების მორევში შეეცურდი. ბევრს მაგონებდა ეს მდინარე წარსულიდან. ამ ხეობაში ბოლომდის, სანამ ჩვენ ყოფას სხვა ჩაიხვევ- ჩაითრევდა და მოსპობდა. გრგვინავდა ქართველთა დაუდგრომელი ცხოვრება...

წარმოიდგინე ჩემი განცვიფრება: რამდენისამე ხნის შემდეგ ის ქალი თემკენ მომავალი დავინახე. ზორბა ტანის მოხუცებულს მოსდევდა გვერდით. ჩემ ახლო ჩამოსხდნენ. გამომეხმაურნენ. საუბარმა მალე ისეთი მიმოხვრა მიიღო, რომ მე ყველაფერი გულახდით ვუამბე მათ. ძალიან მომიწონეს აზრი და რადგან მეც იქით მივდიოდი, სადაურებიც ისინი ყოფილიყვნენ, მთხოვეს იმათთან ერთად წავსულიყავი. ხომ უნდო ხასიათი მაქვს, ამ კაცს კი მაშინვე ბალღივით მივენდე-მაგრამ ისეთი ვინმე ჰყვანდა იმას გვერდით, რომ...

6

ათასში ერთხელ მოუვა ადამიანს ბედი, როგორშიაცმე ჩავვარდი მაშინ. სახლში დამე მივედით. მეორე დღეს აივანზე რომ გამოველ, გულს შუქი შემომადგა, ისე მომეწონა არემარე. სახლი გორაზე იდგა. გორაკს ზევით მხარეს შექანებული ვაკე ჰქონდა, რომელიც ტყის პირამდის უწევდა; ქვევით მოზრდილი დაღმართი ველს უერთდებოდა; ველს მდინარე ჩამოუდიოდა, რომლის ხევისაც ტირიფები ანიშნებდნენ: ორივე მხარეს მოსჯროდნენ იგინი. გაღმა გაფანტული გორები და მინდვრები მთლად ვენახებად და ყანებად გადაექციათ დაღმართი აივანს ახლოვე იწყებოდა და მთლად ხეხილით იყო სავსე. აივნის სურაიერები და მოაჯირი აყვავებულს ფათალოს დაეფარა. მზე ის-ის იყო ამოდიოდა. პეტარა ღრუბელი აფარებოდა მნათობს, შუაზე გაეპო ის და წითელ-ყვითლად აფერადებულები: სხივებში ჰყუმპალაობდა. ვიგრძენ, დავტკბი: ხომ იცი, გული მჭარბობს!

ამ განცხრობაში ვიყავი, როდესაც ქვევიდან ბილიკზე მომავალი ქალი დავინახე. ხელში სველი ყარყარა ეჭირა. შორიდან ვერ ვიცანი, მაგრამ რომ მომიახლოვდა და გამიღიმა... ის იყო, დილის ცისკარი! პირი დაებანა ი დალოცვილს, პირსახოცი მხარზე ეფინა; შენამული თმა ლოყას ჩაჰკროდა. გინახავს მაღლიანი ლოყა, რომლიდანაც სხივები გამოსჰვივნიან და აფეროვნებენ? არა?! ადვილი შესამჩნევია: იმის დანახვაზე მხოლოდ ერთი ნდომა გიპყრობს - კოცნის სურვილი, კოცნისა! სწორედ ისეთმა სახემ შემომანათა.

- დილა მშვიდობისა, ყმაწვილო! - მომესალმა თეკლე.

პასუხისათვის აღარ მეცალა. ჩავირბინე, ხელი ჩამოვართვი, პაწაწინა გაგრილებული ხელი, რომელიც მთლად ჩაიკეტა ჩემ თათში. მიკვირს, როგორ შევიმაგრე თავი და გაფუჩქვნილი ვარდი არ მოვწყვიტე წალკოტში. ალბათ ჩემმა მოკრძალებამ დამიხსნა ამ განსაცდელისაგან.

- რა ადრე ამდგარხართ! პირიც კი დაგიბანიათ. განა აქ ახლო არის წყალი?

- განთიადისას ვდგები. მიყვარს ჩიტებთან ერთად მივესალმო ნათელს. წყარო ბაღის ბოლოშია, აგერ იმ მუხასთან.

მე უნებლიეთ პირსახოცს შევხედე. მიმიხვდა.

- მოითმინეთ, პირსახოცს ჩამოვირბენინებთ!

- პირსახოცს მეც ჩამოვიტანდი, მაქვს, მაგრამ... გთხოვთ ეგ პირსახოცი მათხოვოთ.

ქალმა არ იუცხოვა ჩემი გაბედულობა, გადმომცა პირსახოცი, მხოლოდ ბოდიში მითხოვა, სველიავო.

როცა წყაროსთან ვიჯექი და თეკოს პირსახოცს აღტაცებით, დავეყურებდი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ავგაროზ მეფისათვის მართლა შეეძლო პირსახოცს მიეტანა სასურველი სახე და შვება: მე ცხადად ვხედავდი ჩემ პირსახოცზე თეკოს სანატრელ სახეს. სწორედ სველი ადგილით შევიწმინდე პირი, იმ ადგილით, რომელსაც ქალის ნათელი სახე მიჰკარებოდა. ჩემ პირსახოცზე-მეთქი, იმისთვის ვამბობ, რომ ის ნივთი ეხლა ჩემია და , აჰა, შენთვის მიანდერძნია, ჩემ სახსოვრად შეინახე. ჩააკვირდები, ჩემ თეკას სახეს დაინახავ ზედ.

ეს რომ წავიკითხე, მაშინ მივხვდი, რად იღო პირსახოცი იმ რვეულებში. სათუთად მაქვს შენახული. მე ვიცი, ჩემი მეგობარი ხანდისხან მოდის იმ სოფლით, რომ დაეკონოს ამ მისთვის სანატრელ სახეს. ზოგჯერ მეც შევნიშნავ იმ სახეს ბუნდად. როცა გრძნობები მთლად გამოფაქიზდებიან და გონების თვალი გადამეწმინდება, მეც ცხადად ვიხილავ იმ სახეს.

- თუ რამე გრძნობამ შეგიპყრო, ან რამე აზრმა, ხომ ვეღარ ამჩნევ დროთა მსვლელობას. მეც ესე მომივიდა. მზეს კარგა მოევლო, როცა მსახური ჩამოვიდა და დაიძახა, ბატონი ჩაის მიაართმევს და მობრძანდიო.

7

ერთი კვირა დავრჩი თეკოსას და ეს ხანი დღესასწაული იყო ჩემთვის. იქ ვიგემე აზრიანად მოწყობილ სავსე ოჯახში ცხოვრება, იქ ვტკბებოდი სულით. გული და გონება მეფურჩქნებოდა ყოველი კეთილის მისაღებად, რადგან ძლიერად მოქმედებდნენ ჩემზე ჩემი ერის მოყვარული განვითარებული მოხუცი, რომელმაც მამობრივი სიყვარულით შემოთვისა, და გასაშლელად გამზადებული ჩემი ქვეყნის უკეთესი ყვავილი, რომელიც ესე მოულოდნელად დამიახლოვდა, მომენდო.

ვაი თუ ტეკო სწორედ ის ნახევარი იყო ჩემი არსებისა, რომელსაც იმთავითვე განმაშორა შემოქმედმა და რომელიც უნდა მეძებნა ამ ქვეყნად! ხომ გახსოვს: ქალ-ვაჟი დასაბამიდანვე გაპობილი ნახევრები არიან ერთისა და იმავე ქმნილებისა, ამისათვის ესე ძლიერად მიელტვიან ისინი ერთმანეთს ამ სოფლად და უსაძღვრო სიხარულს ეძლევიან, როცა პოულობენ. ბედშავი კი შესცდება, სხვის ნახევარს მიითვისებს და ამ სოფლადვე დაიმკვიდრებს ჯოჯოხეთს. ძმაო ტკბილო! ამბობენ, ადამიანს სიციცხლეში ერთხელ ჩამოურბენს იღბალი, ფრთას შეახებს და ვაი იმას, ვინც ვერ შეამჩნევს იმ წუთს: იმას წილად უბედურებაა დარჩებაო. მე სწორედ მაშინ დავკარგე ბედი, მაშინ!

მასპინძლის ოჯახს სტუმარი მოსდევდა. უფრო ხშირად დადიოდა ერთი ტანწვრილი მაღალ-მაღალი მხარბეჭიანი ვინმე თენგიზი, რომლის ბრგე შეხედულება და გამბედავი, თითქმის თავხედი ქცევა უნებლიეთ აფიქრებინებდა კაცს, რომ თავისუფლად უნდა ყოფილიყო აღზრდილი. მაინც სკოლის დამჩაგრელი უღელი დიდხანს არა სდგომოდა სქელ ქედზე და უზრუნველ ცხოვრებას გაელაღებინა. რა ბანქო, რა სიმღერა, რა სმა, რა ცეკვა! სული იყო მოქეიფე საზოგადოებისა. პირველ ნახვაზევე, - მე და თეკო ერთად ვისხედით - ამხედდამხედა და თავი მიმანება: ალბად ვეფუქსავატე. ეს ახალგაზდა ისე იქცეოდა ქალს, როგორც თავის მსხვერპლს: თურმე მოსწონდა და იმედიცა ჰქონდა, როგორც დიდ მდიდარს. თეკოს კი მაინცდამაინც ვერ შევატყე მისდამი ლტოლვილება, თითქო კიდევ ეშინოდა მისი. არც არაფერი იყო იმათ შორის საერთო, გარდა იმისა, რომ ორნივე მშვენიერები იყვნენ სხეულით: თეკოსთან შედარებით თენგიზი ველური იყო.

ბედი დავკარგე-მეთქი, იმისთვისა გწერ, რომ ბგრძნობ, თეკო ჩემი იქნებოდა, თუ ცვდილიყავ, ნამდვილად ჩემი იქნებოდა.

ერთი საღამო ჩამრჩა გონებაში. ბევრნი შეიყარნენ. ჩაი, ხუმრობა, ბანქო, მუსიკა. საზოგადოება ეშხში მოვიდა და ცეკვა გაიმართა. როიალის ხმაზე მეც იშტაზე მოველ, მაგრამ რა უნდა მექნა, რომ ფეხი არ მოვდევდა?! თავს ვიწყევლიდი, როცა თეკოს მოჰხვევდნენ წელზე ხელს და ასრიალებდნენ. ვინც ცეკვა იცოდა, ყველასა ჰქონდა უფლება მოჰხვევოდა ქალს და მის ახლო ყოფნით, მისი შეხებით, მისი სუნთქვით ენეტარნა. იცი? მაშინ დავგმე ის ღამეები, როცა მე წიგნს ჩავჩიჩინებდი, ჩემი ამხანაგები კი სამხიარულო სახლებში დროსაც ატარებდნენ, დროს გატარებასაც სწავლობდნენ, ნამდვილი ცხოვრებისათვის ემზადებოდნენ. ალბად, უფრო ჰკვიანები იყვნენ. აბა რის მაქნისი ხარ ცხოვრებაში, თუ ან სიმღერა, ან დაკვრა, ან ცეკვა არ იცი? თუ არ მისდევ ან ბანქოს, ან ღვინოს? სწორედ ზეთი იქნები და მოსაწყენი ვინმე.

ესე ვიგრძენ ჩემი ტავი და გავიდოდი კიდევ დარბაზიდან, მაგრამ რომ არ სემეძლო! გაცელქებულ თეკოსაგან მოხიბლული ვიდექი და შევცქეროდი ხალხს. თემნგიზის თათს რომ დავინახავდი თეკოს წელზე სისხლი მემღვრეოდა. რასა სასცილო ვიქნებოდი, რომ შეემჩნიათ ჩემი ღელვა! თეკო კი მამჩნევდა, სწორედ მამჩნევდა. მაშ რა იყო, რომ ცდილობდა მორიდებოდა თენგიზს და ისე ხშირად ახარხებდა თვალი თვალში გაეყარა ჩემთვის?

ვახშმად რომ დავჯექით, გული გულის ადგილას ჩამიჯდა, რადგან ჭამა ვიცოდი და მასლაათისაც არ მეშინოდა. ადღეგრძელეს საბედოები. საუბარი ქორწინებაზე ჩამოვარდა.

-საქართველოში უწინ პატარებს ათხოვებდნენ და ჰკვიანათაც იქცეოდნენ: ქალი პატარობითვე ეთვისებოდა ოჯახს, სეიგნებდა მის მიმართულებას და ნამდვილი შვილი ხდებოდა სახლისა,-სთქვა მასპინძელმა.

-ვერ დაგეთანხმებით, ბატონო, და ვერ მოვიწონებ იმ ჩვეულებას. ეხკლანდელი კანონითაც ხომ შეიძლება ცამეტი წლის ქალის გათხოვება, მაგრამ ამ ჰასაკშიც ქალი ჯერ ძლიერ სუსტია, ზრდა არა აქვს დამთავრებული და ქორწინების ტვირთს ვერ აიტანს, დაიჩაგრება, დაავადდება.

-ეგ არ ითქმის საზოგადოდ, -მიუგო სხვამ, - რადგან ამისტანა თბილ ქვეყნებში, როგორც ჩვენი სამშობლოა, ადრე შედის ჰასაკში ადამიანი. ბუნებაც გვანიშნებს ამას: ამ ხანებში ჩვენში ქალს მოწიფულობის ნიშნები აჩნდება.

-გავსინჯოთ!-ცამოართვა სიტყვა ლონგინოზმა,-ჩვენი ჩვეულება გამოცდილებაზე იყო დამყრებული, რადგან ჩვენში მართლა ადერ მოიწიფება ადამიანი და ამ მხრივ არაფრის შიში არ არის. ამ ჩვეულებას დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა ხალხის

გამრავლებაში: იმ ხანში, რიოდესაც ეხლა ქორწინდებიან, უწინ შვილებით იყვნენ სავსე. მაგრამ საქმე ის არის, როგორ უნდა იდიასახლისოს ეხლა იმისთან ნორჩმა? უწინ დიდი ჯალაბებთან ვცხოვრობდით, ოჯახის საქმეში ატასი მშველელი და მწვრთნელი ყავდა გამოუცდელს; ეხლა კი წვრილ წვრილ ოჯახებადა ვართ დაყოფილნი და სახლის მოვლა-წამართვა უნდა გაუძნელდეს ნორჩ ქალს, მით უმეტეს, რომ ქმარი გარეთ შრომას ანდომებს დროს.

-მართალსა ბრძანებ!-სთქვა ბაბემ და ტან ჯიდა წარბები აჭიმა,-იქნება ეგეც იყოს მიზეზი ეხლანდელ ოჯახის გათახსირებისა. ახალგაზრდა დიასახლისმა არ იცის ფულის ყადრი, ვერ მოუხერხებია ზოგვა-ყაირათი: საცა ერთი უნდა, იქ სამი მიდის და სახლი გაჭირვებაში ვარდება; ეს გაჭირვებული ცხოვრება თავს აბეზრებს ქალს და გულს უცრუვებს იმ სახლზე, საცა მოახლესავით შრომა სჭირდება ფუნთუშა ხელები ეშაშრება სახე ელანძება, გართობა ენატრება. ქალი ჯერ უტუჩება სემტანს, ცოტა შემოგაქვსო, მერე ეჩვევა მასთან კამათს და ხმას იმაღლებს, ბოლოს თავსა ჰშველის: ან სხვა წყაროსა სძებნის სიამოვნებისა და სემოსავლისას, ან გარბის სახლიდან, რომ თავისუფლად იფრინოს ყვავილიდან ყვავილზე და თავის ახალ ქალობ არ ჩააჭკნოს უმაღლოდ.

-სწორედ ეგ გარემოება აქვთ კარგად შეგნებული ჩვენ ვაჟებს და მაგრობენ, უფრთხიან ცოლის სერთვას, მეტადრე უმზითვით.

-ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ უწინედლივით ადრე ქორწინება მოუხერხებელია ეხლა: ვერც ქალი, ვერც ვაჟი ადრე ვერ ამთავრებს სწავლას და სკოლაშივე ხომ ვერ გადავწერთ ჯვარს.

-გლებკაცობა?

-გლებებსაც დაბრკოლება აქვთ: სამხედრო ბეგარის გადახდას დაუწყეს ცდა, ოცდაერთწლამდის ერიდებიან ჯალაბობის ტვირთს.

-თქვენ რაღას იტყვით?-მომიბრუნდა მასპინძელი.

-იმას მოგახსენებთ, ბატონო, რომ ყველანი ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მხოლოდ მე ისე მგონია, რომ ზოგიერთმა განათლებულმა, ვისაც ნამდვილად შეუგნია ჩვენი ეხლანდელი ყოფა, არც ძალიან უნდა იზრუნოს სახლობას მოეკიდოს.

-როგორ, როგორ?!

-ეხლა ჩვენს ერს თავდადებული მუშაკები ეჭირვება, რადგან ის გონებითს წყვდიადში დაიარება, გადატაკებულია, ზნეობით დაქვეითებული, დამონავებული ყოველმხრივ და ყვლასაგან; თუ დროზე არ მიეშველნენ რჩეულნი, განადგურდება-არარაობის მორევი ჩასძირავს იმას. ეს საქმე კი ისე მიძიმეა, რომთავგანწირულ მშრომლებს თხოულობს, ისეთ მშრომლებს, რომლებსაც თავი უნდა ჰქონდეთ მოყვასისათვის გადადებული. ქრისტემ რომ მოწაფეები გააგზავნა დამონებული ხალხის სახსნელად, უთხრა: ნუ წაუღებთ თან ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც სპილენძს, ნურც მეტ სამსელს, ესეიგი დაანაბეთ თავი თქვენ თავზე ზრუნვას, ხალხს მიხედეთ, იმაზე იზრუნეთო. ესევე უნდა მოიქცეს ეხლანდელი მოღვაწე: უნდა დაუტეოს ყოველივე და შეუდგეს იმ ეკლიანის გაკაფვას, რომელშიაც ესე ვაგლახად გაბმულა ჩვენი ხალხი, და რადგან ქორწინებული ზრუნავს სოფლისას, თუ ვითარ სათნო ეყოს ცოლს, ამისთვის სჯობს, რჩეულმა დაუტეოს ეს ზრახვა და დასდოს სული თვისი მოყვასისა თვისისათვის.

-ეგრეთი უარყოფა თავისთავისა ოცნებაა.

-არც ხელსაყრელია! წელანაც სთქვეს, რომ ადრე ქორწინებას ხალხის მოშენებაცა ჰქონდა მიზნათ. ესევე უყურებდნენ საქმეს დიდებული სჯულის მდებლები მოსე და მაჰმადი, რადგან ესმოდათ ხალხის ზალ და კეთილ დღეობა მის სიმრავლეზედაც არის

დამოკიდებული. ესეც რომ არიყოს, მთელ აიაში მრავალცოლობაა მიღებული, რადგან ეს უფრო შეესაბამება ჩვენ ბუნებას, და შენ კი ლამის ერთცოლობაც აგვიკრძალო.

-მე ამას ათასში ერთისათვის ვამბობ. რაც შეეხება ტავის უარის ყოფას საკეთილდღეოთ, ოცნება არ არის ეს: თავდადებულებს იცნობს ჩვენი ისტორია; ახალი ცხოვრებაც გვიჩვენებს ორიოდე მაგალითს.

-განა ისე არ შეიძლება მოხდეს,-წარმოსთქვა თეკლემ მორცხობით,-რომერის სიკეთით გამსჭვალულ ვაჟკაცს შეგნებული და ამავე გრძნობით გატაცებული ქალი შეხვდეს ცხოვრების გზაზე. მშინაც საჭირო იქნება განცალკავება?

-მაშინ აღარ, ჩემო ნუგეშო, რადგან ამისთანა არსება ხვთისაგან მოვლენილი ანგელოზი იქნება იმ რჩეულის გასამხნეველად,-მიუგო მამამ.

-კარგით, კარგით! ახლა ბანი გვითხარით!-გაგვაწყვეტინა საუბარი ტენგიზმა და შემოსძახა.

8

გადიოდა დრო. ვმუშაობდი ნელ-ნელა და ნნაშრომიც ტანდათან ხვავდებოდა. შენ თითონ ნახავ, რამოდენა მასალა სევაგროვე, თუმცა მარტო ერთი მხარე დავიარე. მაგრამ ცოტა გული გამიტყდა, რადგან ვერ დავაბეჭდინე ნაშრომი: მეთითო არა მოქონდა სედლება, არც გამოცდილი ვიყავი სტამბავაჭრობის საქმეში, სხვასაც ვერავის გავაბედიხე ეკისრა ეს საქმე. ძალიან კი მინდოდა დამსტამბინებინა: ვფიქრობდი, იმ მასალას ზედიზედ გამოვცემ და როცა წიგნებს გასინჯავენ და დააფასებენ, მაშინ უფრო გამინათდება შრომის გზა და გავიგებ, როგორ უნდა განვაგრძო-მეთქი საქმე.

ამასობაში სამსახურშიაც ველარ გამიღიმა ბედმა; პირველად რომ თეთრი კბილები მიჩვენა, მერე შავი გული გადმიღელა, უიმისოდაც ხომ ჩვენს სამსახურში წინ სავალი გზა არ არის, მეტადრე ჩვენთვის, როგორც პირველად შეხვალ მასწავლებლად ისევე რჩები ბოლომდის, არც გრძელდება არც მოკლდება. ეს გარემოება, მარტალია, უფრო დედაჩემს ადარდებდა, სანამ მე, მაგრამ ამას ზედ სხვაც დაერთო: ჩემმა ხალხთან დაახლოვებამ ის შესძინა რომ ბატონებმა გვერდგვერდზედ დამიწყეს ყურება, ე რა ღობე-ყორეს ედბაო და ცდილობდნენ გაეხათილებინათ ჩემი შკოლაში შრომა. ეს ძალიან მხვდებოდა გულზე; მე თავს ვაკლავდი ჩემს საყვარელ საქმეს ისინი კი განგებ თვალებს იბრმავებდნენ; ხეპრე და უგულო მასწავლებლობას წინ სწევდნენ, მე კი მჩრდილავდნენ. ამხანაგბნიდანაც ხომ განაპირებული დავრჩი, რადაგნ ვერ ავყევი მათ. ყველა ამას ზედ ერთოდა დედაჩემის დაუცხრომელი დრტვინვა:

-შენ, თავი, შვილო, ისევ ბაღლი გგონია და გაჰყოლიხარ რაღაცეებს. ზღაპრები, ლექსებიო... ვის ეკადრება?! შეაყვარე თავი უფროსებს და წინ წადი სამსახურში. ან დაანება ტავი შკოლას, მეტი გზა აღარ არის თუ?! ესე მოიქეც თირემ ინანებ. აგერ შვიდი წელიწადია მანდა ხარ და ვერც ქონი მოიკარ, ვერც მატვი.

-ყველამ რომ ეგრე იფიქროს, მას ვიღამ ასწავლოს ბაღლებს?

-გეყო! ისეთი უასრებლო ყოფილა ეგ ხელობა, რომ მარტო ლაჩარი შერჩება მაგას ბოლომდის, ცოლ-შვილის დრო კაი ხანია გაქვს და რითი აპირებ ჯალაბობის შენახვას?

ჩამჩიჩინებდა დედა და როგორც დანიჟებულმა წვეთმა გახვრიტოს ქვა, ისე ნელ-ნელა, მაგრამ ძლიერათ მოქმედებდა ჩემზე მისი ჩივილი, რადგან თუ ცხოვრების მხრივ შევხედავდი საქმეს, მართალი იყო: სხვა სარბიელზე ვინც ჩემი ნახევარი არ იყო, ერთიორად წინ წასულიყო.

-დედა თავისას არ იშლიდა და ახლა სხვა საშვალელებს მიჩვენებდა გამდიდრებისას.

-ჯიუტი კი ხარ, შვილო, მაგრამ კიდევ არის სხვა გზა:

მოვნახოტ მდიდარი ქალი, იმისი მზითვით შეავსე შენი ნაკლულევანება და, დე, ნუ შეევევი მაგ შნს საყვარელ საქმეს. აი თუნდაც ჯანდაკაანთ ციალა. კარგი ქალი, კაი მოქცა ღმერთმა და მდიდარი: ვენახი, სახნავ-სათესი, სახლები ქალაქში თუ სოფლად. იმის მამას მეტი არავინა ჰყავს და შენ დაგრჩება. ქალს ხომ უყვარხარ და უყვარხარ.

-მე ცოლს არ ვირთავ.

-მაშ, ბერად შედეგ! კარზე მომდგარ ბედს ნუ ჰკარგავ, გამიგონე!

ვერ გავუგონე! კარგი ქალი იყო ციალა: ლამაზი, მდიდარი, თავისათვის განათლებულიც, მოსაქმეც; შეეძლო გაებედნიერებინა ვაჟკაცი, მაგრამ არ წამოვიყვანე: გულმა არ მითხრა. იქ ხომ თეკოს ვერ შევბედე, იმპიდაუბანელ უბედოსავით, რომელმაც სისხამ დილაზე ზარაფხანასთან პარკით ფული იპოვა და მაშინვე არ აიღო, პირუბანელამ როგორ შეეკადროვო. თითქოს სანამ მტკვარზე პირს დაიბანდა და ულვაშს გაიწვეპავდა, ზინეტს იქ დააბოგინებდნენ! სამსახურშიაც ესე მომივიდა: რამდენიმე წლის წინათ ზურგი შევაქციე ერთ სახიერო გზას, რომელზედაც ძლიერი ნაცნობი მაყენებდა; მერე ვერ ვასიამოვნე უფროსებს, რომლებსაც შეეძლოთ ჩემი საქმე წაემართად. იცი, ძმაო, იმ ზღაპრულ კაცივით მომივიდა რომელსაც საშოვარზე წასვლის დროს უმკითხავეს. ღმერთი იმდენს მოგცემს, შინამდინაც ვერ მოიტანოვო გზაზე ის გადააწყდა ჯოგს, ნახირს, ფარას, თამბალითით დატვირთულ ჯორ-აქლემს, ოქროს და შეეძლო ყველა ამის შოვნა, მაგრამ ხელი არ მოჰკიდა: რად მინდა, ღმერთი იმდენს მომცემს შინამდისაც ვერ მივიტანოვო. აკი ვერაფერი მიიტან შინ და ხელცარიელი დაბრუნდა: მეც ბევრ კეთილს ავუქცეუიე გვერდი ციციანთელას დევნაში.

ისე გარდაიცვალა დედა, რომ ვერ მოესწრო ჩემ «ბედნიერებას». არამგონია, საიქიოს კეთილი ამბავი ცაეტანოს იმას ჩემზე მამიჩემისთვის. იმის შემდეგ სახლი დამიცარიელდა, კერა გამიცვიდა, ყველაფერმა შნო და ბარაქა დაჰკარგა. თანაც რაღაც მოუსვენრობამ შემიპყრო, ყველაფერი უაზროდ მეჩვენებოდა.; საქმეზედაც ველარ მივაგდე ჩემი თავი.

ეს სულის კვეთება ჯერ დედის სიკვდილს მივაწერე; მერე ყური დავუგდე ჩემ თავს და მივხვდი, რომ მიზეზი უფრო ღრმა იყო ჩანერგილი: მარტოობა მომბეზრებოდა, ჩემი არსება ცალს დაეძებდა. მივხვდი, რომ ჩემი აზრები განმარტოებით შრომაზე ჩემთვის არა ყოფილიყვნენ გამოჭრილები. მოშენებისადმი მისწრაფებამ ძლიერად იჩინა თავი და მაგრძნობინა, რომ ეს ბუნებითი ლტოლვილება არის სანდო, კანონიერი და სავალდებულო, ხოლო მისი უარყოფა თვით არსის წინააღმდეგობაა, რადგან მუდმივი წარმოშობა და გამრავლება ძირითადი თვისებაა არსისა. მივხვდი ამას და დავფათურდი: გავექანე თეკოსკენ, -ანგელოზად ქცეულიყო. იმისმა მამა ჯერ იტირა და მერე ჩამჩურჩულ საიდუმლოდ, როცა სევდა სასტიკად მტანჯავს, ჩემი თეკო მოფრინდება ხოლმე ჩემთან და მანუგეშებსო. მივმართე ციალას, -სხვა გზა მოენახა. ვისაც სად გული აეტოკებინა ჩემთვის, უკვე აჰყოლიყო ცხოვრების ჩარხს. დავრჩი მარტო სრულებით გამსჭვალული და ეს ნდომები საგანს ეძებდნენ, რომ შემომხვევ-შემოალერსებოდნენ გარს. ამ ხანში ძალიან დავნადვლიანდი სიმხიარულე გამიფრინდა. კმაყოფილებამ ხელი აიღო ჩემზე. ნაცნობებმა მიაქციეს კიდევ ამას ყურადღება. მაშინ იყო, რომ სევდის ალების დასაშრეტად ნინუას მიუჯექ. მაწყნარებდა. შენ არ გიცდია ნოესებური?

ამისთანა მდგომარეობაში ვიყავი, როდესაც ერთხელ თეტრში მოვყევი. «სამშობლოს» ადგენდნენ. ბევრი ხალხი მოსულიყო. პირველი მოქმედება რომ გათავდა, ბუფეტში დავლიე, კუპატი ავიღ და დარბაზისაკენ გავსწიე. გავიარე, ხალხი ავათვალ-ჩავათვალე და დარბაზის ბოლოს კაპიტო დავინახე. ხომ გახსოვს კაპიტო ფუნჩიშვილი? იმას კი ძალიან ახსოვხარ და! ვიღაც ქალი მისდევდა გვერდზე. ისეთივე კაბა ეცვა ქალს, როგორც ეკოს მაშინ, სტუმრობაში. ტანითაც ძალიან გვანდა. გული გატამიტრიალდა იმის დანახვაზე, ისეთი ხალხით გავსწიე იმისკენ, თითქო ეს-ეს არის ჩემი თეკო უნდა ვნახო-მეთქი. შემომხედა ქალმა და თვალეზშიაც ვამსგავსე: ისეთივე კილოიანი თვალი, მაგრამ მშრალი. მე მაშინ კარგად არ ვიცნობდი მშრალ თვალებს. უფრთხილდი! თეკოსავით თეთრ-წითლად დაჟღაჟი გაჰქონდა, სასიამოვნო სანახავი იყო.

-ჩემი ბიძაშვილი თეკლე!-მითხრა კაპიტომ. -გთხოვთ იცოდეთ, რომ წელს დაამთავრა სწავლა და თავისი თავი უგანატლებულეს და უმშვენიერეს ქალად მიაჩნია.!

გავიცანი. გამეხარდა. ისე შემვარდა ამ ქალზე გული, თითქო მართლა ჩემი თეკო ყოფილიყო. ანტრაქტები იმასთან გავატარე. მოქმედების დროსაც თვალს ვერ ვაშორებდი. აკი გითხარი, გული სასიყვარულოდ მქონდა-მეთქი ღია და საგანს ელოდდა. მეგონა, სწორედ ჩემთვის შამოფრენილიყო ეს ჰაეროვანი ქმნილება ციდან. მთელი ღამე ვგრძნობდი მის თბილ ხელს.

-აი, ჩემოთაო, გონებამ კიდევ მოგივლინა ცალი და ვინძლო უწინდებურად არ მოიქცე. რა ძალიან ჰგავს ჩემ თეკოს! სახელიც რომ იმისი ჰქვია! მაგრამ, ახ! მაინც ჩემი თეკო არ არის. რა მარგალიტი დაკვარგე! უთუოდ წამომყვებოდა, რომ გამეხედნა და ვცდილიყავ.

გავიდა ხანი. დაუახლოვდი თეკლეს, შევეჩვიე. კაპიტომ შემატყო და ცდილობდა ჩვენ შეყრას. მომწონდა, სწორედ მომწონდა! მხოლოდ გულზე ისა მკბენდა რომ ქალი სულ მორთვა-მოკაზმაზე და გართობაზე ჰფიქრობდა.; სხვა საგანზე ლაპარაკი არ მოსწონდა, არც ეხერხებოდა. არშიყი ქალი მოჩნდა.

-ეს არაფერი, -ვამხნევებდი ჩემ თავს, -კარჩაკეტილ პანსიონში დანატრებულ ყველაფერს და ეხლა ჟინსა ყრილობს; იქ შებეზრებულა აზრის მუშაობით და ეხლა გართობას ელტვის; მოიწყენს ყველა ამას, დარბაისელი ქალი დადგება. გადავწყვიტე სიყვარულის გამჟღავნება. გამახსენდა დედიჩემის აზრი მზითვით ხელის მონაცვლებაზე, მაგამ ვიფიქრ:

-თუ რამე უნდათ მისცენ, კიდევ მისცემენ. რა საკადრისია ფულზე ლაპარაკი, განა ვაჭრობ! უმზითვოდაც არა გვიშავს რა: რახან დიასახლისია, დატრიალდება სახლში და ყველაფერს სარისტას მისცემს, ვენი შემოსავლითაც ვიცხოვრებთ: არც ისე ღარიბი ვარ.

გადავიხადე ქორწილი. გავიდა პირველი ხანი დატკობისა. ჯერ ყველაფერი თითქო გვარიანად მოეწყო, სემდეგში კი რაღაც ღრუბლების ნაფლეთები გამოჩნდნენ ჩემ ცაზე: ჯერ ერთი, რომ ქალი მთალად ცარიელი გამოისტუმრეს და ეს არ მიამა, რადგან შეძლებული ოჯახიდან წამოვიყვანე; მერე გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავვარდი, რადგან ის წამოვიყვანე პირველი სიყვარულის ეშხით, თეკოს ეშხით. მაგრამ ქცევით როგორღაც არა ჰგვანდა იმას: გვიან დგებოდა, უქმად იყო, სარკეს აწუხებდა; ხელეებს ისე უფრთხილდებოდა, რომ ღამეც კი ხელთათმანები ეცვა. ჩვენებური არც არაფერი მოსწონდა, არც არაფერი იცოდა, არც არფრის შესწავლას აირებდა. გაზეთი ხომ მომდიოდა იმასაც კი არ ხსნიდა. მარტო ერთადერთს მეცნიერულ გამოცემას ეტრფოდა «ვენსკი შიგს». არ გიკითხავს ეს ჟურნალი? აფსუს! სახში არც წესი, არც

სისუფთავე არა მყარდებოდა. მსახურებმა სახე დაიუკაცურეს, აღვირი წაიყარეს, გაგვაჩანაგეს. მე თითარც დრო, არც შნო არა მქონდა წესი დამემყარებინა და განადგურებულ სახლს რომ ვხედავდი თვალებიდან წინწკლები მცვივოდა, მეუღლე ჩემ თეკოთ აღარ მესახებოდა. ამას ჰგრძნობდა ქალი, მემრიხებოდა. იყო ისეთი წუთებიც როცა თეკლე მომიღებებ-მომეჩნებოდა, მაშინ ჩემ თეკოდ ვსახავდი იმას და ეშხით სანთელივით ვდნებოდი. იქნება, ბოლოს და ბოლოს შევჩვეულიყავით ერთმანეთს და მოვთავსებულებიყავი, რომ ეშმაკი არ აგვყოლიყო ჩრდილივით: ერთი ჩათუქსესანი ვინმე შემოეჩვია ჩვენ სახს და ვეღარ მოვიგლიჯე თავიდან. ძალიან შეექვსნენ ერთმანეთს ისა და თეკლე. ცოლი მერომ მებუზღუნებოდა, იმას ეხმატკბილებოდა. არ მომწონდა. გამნა ეჭვი მქონდა, ისე არ მომწონდა.

-ქალო, ყოველთვის უცხო კაცის სახლში ძნელი ასატანია: იქნება რა საქმე გვაქვს ან რა გუნებაზე ვართ.

-ახლა ეგ დაიწყე! შენს სახმსახურში ერთობი, დროს ატარებ და გინდა მე მარტოობაში ამოვიხრჩო. ცალკე ტუჩობა გყვარებია. იქნება მეც გიფრთხობ სანატრელ მარტოობას? გავჩუმდი; ერას ვიტყოდი?..

საფხულმა მოატანა. ჯერ ახალ გაზაფხულზევე შეუდგა ჩემი მეუღლე ქალაქიდან გასვლის თადარიგს და სულ ზაფხულის დროს გატარებაზე ფიქრობდა. საზაფხულო ტანისამოსი შეიკერა. წულები, ქოლგა-თათმანები და ათასი სხვა წვრილმანი დაიმზადა. ერთი ხელი საცხენოსნო ტანისამოსი გამოიწყო. ყველა ამას შორიდან ვათვალისწინებდი და არ მეჭაშნიკებოდა, რადგან ჩემ მამულში ვაპირებდი საზაფხულოდ ყოფნას და ამისთანა სამზადისები სულ მეტი იყო. ისიც მკბენდა გულზე, რომ ვეზირობა ამ საქმეში ხელაღებით ჩაბარდა უშანგს. ჩემთვის ჯერ არ გაემქლავნებინათ რა პირდაპირ. ერთხელ მოქანცული მივედი სახლში. ვფიქრობდი, ცოტას დავისვენებ-მეთქი, რადგან საღამოზედაც საქმეები მქონდა. ოჯახში არ მამიხაროდა, დაჩვეული არ ვიყავი ღიმილით დამხვედროდნენ შინ. მაგრამ იმ დღეს ერთობ გავთახსირდი: შეველ თუ არა, თეკლემ ზურგი შემომამქცია და კუდის ქბევით გასრიალდა მეორე ოთახში; შევალე კაბინეტის კარი და იქ სსავარძელში უშანგი გამოჭიმულიყო. დავლონდი სადილზე თეკლე მოქუშული ჩაცქირებოდა მათლაფაში და ყველაფერს წუნობდა. ავლელი, ლუკმა გამიმწარდა. უშანგი კი ილუკმებოდა და ხამუმ-ხამუმ ღიღინებდა. ღრენად მესმოდა ეს ღიღინი; მარჯვენა თავისთავდ იწვდებოდა იმისკენ. ნეტავი ავყოლიყავი გულის თქმას და ყელში ვწვდომიყავი!

-დროა სააგარაკოთ გასვლისა!-სთქვა თეკლემ და მეგობარს შეხედა.

-დროა!-მიუგო იმან და ჩანგალი აატამაშა: -შავარდნაანი იმ კვირიან მიდიან; იორამანთაც დაუქირავებიათ სააგარაკო სახლი.

-დროა და წაიდეთ, -ვთქვი მე:-მალე გავათავებ საქმე. მაინც მიხედვა ეჭირება მამულს.

-წვეულ წყლებზე გავატარებ ზაფხულს. თქვენ ხომ იქ იქნებით?-ჰკითხა თეკლემ მეგობარს.

-მეც იქ წამოვალ!-მიუგო იმან.

-წყლებზე რა გვინდა როცა ჩვენი სახლ-კარი გვაქვს სოფლად. ვიგრილებ კიდეც, მამულსაც მივხედავთ.

-სოფლადაო?! დედაშენი ხომ არა გგონივარ, ლობიო გაგიმარგლო: ვინ დადის ეხკლა სოფლად, რომ მარტოობით ამოირთოს სული! თუ განათლებულებში სდებ თავს, განათლებულად იცხოვრე!..

-ძვირად დაგვიჯდება. არც ჰავით, არც ბუნების სიმდიდრე-სიკეკლუცით არ არის დასაწუნი ჩვენი სოფელი. სახლის წინ ბალი გვაქვს, ქვევით მდინარე ჩამოუდის, მერე

მშვენიერი ტყე იწყება. აკი გიყვარდა, საყვარელო, ადრე ადგომა და წყალზე პირის დაბანა. ფრინველების ჭიკჭიკ-ჟრიაშულიც ხომ მოგწნს და ჩვენი არე სავსეა ათასფერ ჩიტუნებით. რა მშვენიერი ყვავილები იზრდება მდინარის პირს! მაშინდელივით ყვავილის კონებს მოგიძღვნი ჩემო თეკო! გახსოვს, შენ რომ ...

-რას ბოდავ? დამცინი თუ ბალღი გონივარ? ისე ლაპარაკობს, თითქო ამათ სოფელში ვიყავი გაზრდილი. შენი სამასხარავოც გავხდი რაღა!-გამაწყვეტინა სიტყვა თეკლემ და ტირილი მორთო.

ძალიან დამორჩილებულები ჰყვანდა, ძმაო, ცრემლები. თუ მოისურვებდა, ცა მოწმენდილზე ისეთ ქვითინს ამოუშვებდა კაცს გული ამოუჯდებოდა. ერთი წუთის შემდეგ ისევ მოიკრიალებდა. თვალთმაქცი იყო! გავიტრუნე. ვგრძნობდი, რომ დამნაშავე ვიყავ, მეგონა, ისევ ჩემ თეკოსთან ვმუსაიფობ-მეთქი. ახ, არ მომდიოდა! როცა ან გრძნობა გამიტაცებდა, ან ფიქრი, ჩემი თეკო მეგონებოდა ხოლმე თეკლე და ისე ველაპარაკებოდი. წინათაც რამდენჯერმე მომსვლია ესეთი შეცდომა და ენა ჩამვარდნია, რა შემინიშნავს. აღარ მახსოვს, როგორ ავდექი სუფრიდან, ის კი ვიცი, რომ ძალიან ვცდილობდი ყელში არ ვწდომიყავი უიშანგს, რომელიც უსტვენდა და წალის ჭყვინტს ათამაშებდა.

10

ბევრი ვიჯავრე, ბევრი ვუმტკიცე ჩემ ცოლს ამისთანა გადაწყვეტილების უაზრობა, რადგან არც საჭიროება მოითხოვდა სააგარაკო ადგილებში სიარულს და საზარალოც იყო, მაგრამ ამოდ რას ვიზამდი? დავეყვი. “დედაკაცმა გაიწია, ცხრა უღელა ხარმა ვერაო”. არა გვქონდა საამისო შეძლება და როცა ეს გავუხსენე, ცივად მიპასუხა:

ეგ ჩემი საქმე არ არის! საშუალების შოვნა შენი ვალია, თუ შენახვა არ შეგეძლო, რაღაზე მირთავდი?

ჰო და, რად ვირთავდი?! თავში ქვა უნდა ვიცე და ფული ვიშოვნო! ქორწილის ხარჯმა, სახლის მოწყობამ, ქალის მორთვამ და ათასმა წვრიმალმა ისეც გამაჩანაგეს, ვალებში ჩამაგდეს. ამ ვალებსაც გასტუმრება უნდოდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და მამულის დაგირავება ან გაყიდვა გადავწყვიტე; სხვა გზა აღარ იყო. თეკლესაც ეს უნდოდა: როგორღაც ეჯავრებოდა ის ჩვენი სოფლის მამული, არ ვიცი კი რად მუშტარი ხელად ამიჩნდა.

როცა მამული გავყიდე და ფული ჩავიბარე, ვიგრძენ, ბოღმით როგორ გადაბრუნდა დედაჩემი საფლავეში.

სანამ ამ საქმეს მოვაგვარებდი, ჩემი მეუღლე გადავასახლე საზაფხულოდ. ერთ კვირაზე უშანგიც გაჩნდა იქ. ფული რომ მივუტანე, თეკლემ მხიარულად მიმიღო. ლამაზად მოწყობილიყო ცხოვრება: დილის ძილი, სადილი სტუმრებით, - რამდენიმე ოფიცერიც შემოსჩვევიყო სახლს, - საღამოობით ჯირითი ან ფეხით ტყე-ღრე წანწალი, ღამე ცეკვა და ქალაღლოტო. აგარაკის ახლო გზა მისდევდა, ფრიალოზედ შემორტყმული; გზის ზევით დაბალი ხშირი ტყე, გზის ქვევით თვალუწვდენელი ხევი, რომელშიაც ნაკადი ჩაჩხრიალებდა. ხევში ერთ ალაგას გამოქვაბული კლდე იყო და წყარო სდიოდა ამ ხევისკენ უყვარდა თეკლეს სიარული.

- ნაკადი რომ ჩამოჩუხჩუხებს და კლდე ბანს აძლევეს, ამ ხმაურობის ყურისგდება ძალიან მომწონს, - მეტყოდა თეკლე, თუ გუნებაზე იყო, და თავს ისე ეშხიანად გადაჰხრიდა, რომ ძნელი იყო, ბროლის ყელში არ გეკოცნა. სწორედ თეკო იყო ამ დროს, ჩემო თეკო!

- იცი, სოსან, გამოქვაბულში რომ წყალი სწვეთს, კლდის ცრემლები მგონია ის. ცოტა მლაშეც რომ არის! როცა იქა ვზივარ სიგრილეში, ვნატრობ გავიგო, რასა სტირის სალი კლდე...

რა ვიცი, რასა სტიროდა სალი კლდე. ერთხელ მეც ჩამათრიეს ხევში და როცა იმისთანა მიყრუებულ-მივარდნილ ადგილას ჩემი ცოლი ვაჟკაცებთან დავინახე, ვიგრძენ, რომ ის შავი კლდე ჩემ შავ ბედს დასტიროდა...

ხან მიტკვებოდა ცოლი და ვმშვიდდებოდი და ხან მიწყრდებოდა და ვმფოთავდი; საზოგადოდ კი ისე ვგრძნობდი ტავს როგორც გველით სავსე შამში: ყოველ წუთს დაგესლას მოველოდი ხანდისხან რაღაცა მიზეზისაგამო მეც ჩამითრევდნენ ქეიფში: წამო, კაცო, «საბმელი რომ გეწოდეს ხელი მოითფეო». უბედურება ის იყო, რომ ხელის მოთრობას თუ მოვინდომებდი, ვიწვებ-ვირუჯებოდი და სასაცილო ვხდებოდი.

ბევრჯელ დამადაბლა ამ აყოლამ. ერთს გიამბობ:

ერთი სტუმარი ეწვია ჩვენს სააგარაკო ადგილს. ამ უცხო სტუმრის მოსვლამ არია მონასტერი. იმის პატივსაცემად საღამოს გამართვა მოიწადინეს და ქალები დაგიჟდნენ: აღელვებულნი დარბოდნენ, ემზადებოპდნენ, ჩურჩულებდნენ, ვაჭრობდნენ, აზომ-აკერვინებდნენ. თეკლემ ჯერ მაფრინა სავაჭროსათვის. დამავალა, ჩემთვისაც ამელო შესაფერი ტანისამოსი. როცა ვუთხარ სუფთა ტანისამოსი მაქვს მეთქი, გაკვირვებით მიპასუხა:

-როგორ შეიძლება! მთლად ახლებში უნდა იყო გამოწყობლი, თორემ რას იტყვიან!

რადღესაც სტუმრობა იყო დანიშნული, იმ დღეს კარზე არ გასულა თეკლე, არ ეცალა: სულ პირის ხეხვა-მზადება. ტანისამოსის მოზომ-მიკოსება. სარკის წინ ბრუნვა-ტრიალი; ტურნულებსაც კი არჩევდა, რომელი უფრო მაღიანად გამომაჩენსო. მეც მომრთეს, თეთრი თათმანები ჩამაცვეს გარშემომირბინეს და თუმც ტუჩი ამკრეს, მაინც წამიყვანეს. ჩემ სორიახლო იყავ და თვალი მადევნე, როცა ბატონიშვილი მიკითხავს და ჩემს გაცნობას მოისურვენს, შენც წარმადგენ. თუ ეს ესე ვახერხე, დიდ ხეირს შევეყრებით: იქნება მოეწონო, დაგიახლოვოს და რამე სასარგებლო საქმეში გაგაბას. მე უნდა გიწინამძღვრო, თორემ შენთვის ფხა და შნო არ მოუცია ღმერთს.

მეტისმეტმა სურვილმა ცოტა აგვაჩქარა: როცა მოვედით, მარტო ორიოდე ადამიანი დატრიალებდა დარბაზში არ იამა თეკლეს, შემომიტია, დროს გასაგებად უნდა წასულიყავთო. ხმა არ გავეცი, არ მინდოდა გუნება გაჰფუჭებოდა.

დაიწყეს ცეკვა. მუსიკის გრიალმა, აფერადებულ ხალხის ტრიალ-ზურიალმა, კაბების შრიალ-ფრიალმა თავბრუ დამასხა. თვალები ამიჭრელა. საჩემო აქ არა ხდებოდა რა, მაგრამ წასვლის ნება არა მქონდა; შევეყურებდი ბრბოს გაოგნებული და სწორედ ვედარავის ვარჩევდი. მხოლოდ როცა ჩემი ცოლი გამომიგმანებდა ხოლმე რომელსამე ვაჟკაცთან ერთად, მაშინ მოვდიოდი ცნობას და გულზე ვსკდებოდი, რადგან ვაჟის მკლავი თითქო ხასად, თითქო ურცხვად აკვდებ-ეწმანებოდა თეკლეს წელს.

გამოვიდა ბატონიშვილიც. მოთელილი სახე ჰქონდა, დაღლილი თვალები. ნახევარ საათამდინ დაჰყო დარბაზში. წარმოუდგნენ ზოგიერთნი. ერთ მარწყვივით გოგოს თვითონ მიაქცია ყურადღება, თვალები გაუბრწყინდა, საალერსო უთხრა, პატარა ხელს უსრესავდა. მაფგრამ რას გამორჩებოდა. ტყავში გახვეული ხელიდან სითფიოსაც ხომ ვერ იგრძნობდა. ალბათ ძალიან გამაბრუუა ხალხის თვალ;იერებამ, რომ ვერ გავიგე, როგორ მომახლოვებულიყო მეუღლე. უეცრად ჩამომწია სახელი, შემომანათა ბოროტად აღზნებული თვალებით და ჩამსისინა:

-რა გზაში ჩახირულხარ?! გალაჯულა, გაუფართხია ხელები და ყბა დადრენია! ნეტა რას აკეთებდი ოთხ წელიწადს რუსეთში, რომ მიხვრა-მოხვრაც ვერ ისწავლე?! შენ მოიღწობ ჩემ ყმაწვილქალობას, შენ!

წამოვედით.

-სწორედ ჩემს უმწობას მიაწერს თეკლე, რომ მისმა დიდებულობამ ვერ შენიშნა ის და ჩემზე იყრის ჯავრს, - ვფიქრობდი გაწბილებული.

11

ამის შემდეგ მალე მოელო ჩემ ოჯახს ბოლო. ხომ გითხარი, თეკლე ხასად იქცეოდა და ჯავრი მომდიოდა-მეთქი. განსაკუთრებით ისა მწყინდა, რომ ძალიან დაიახლოვა უმანგი. ის კაცი უსინდისოდ იქცეოდა, რომუცხო ოჯახს აწუხებდა, თუ ის არ ჩამომდგარიყო ჩემს სახლში, იქნებ მე და თეკლე მოვრიგებულებიყავით, მაგრამ იმას რომ ვუყურებდი, იმ ჩემი ცოლის მახლობელს გონება მემღვრეოდა, ვირეოდი, ეჭვი კი არა მქონდა. რა წარმოსადგენი იყო, რომ სკოლიდან ახლად გამოსული ნასწავლი ქალი, რომელიც ფაქიზი გრძნობებით და ჩვეულებებით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული, ისე მალე შესტოპავდა გარყვნილების წუმპეში და ისიც გაუჭირებლივ! მე მეგონა, რომ თეკლე მარტო ყოფნამ დააღონა, რადგან ჩემ შინ არ ყოფნის დროს მარტო რჩებოდა უსაქმოდ, და იმისთვის დაუახლოვდა-მეთქი ამ კაცს.

-გაგვიჩნდება ბალღი, სახლი ახმაურდება და ამისათანა ნაცნობები თავისთვად მოგვშორდებიან, - ვფიქრობდი.

განა არა, ამხანაგები და ნაცნობები მაგრძნობინებენ, მეუღლე საექვოდ გექცევაო, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევდი, თუმცა ეჭვით რაღაც მიღრღნიდა გულს.

სააგარაკოთ რომ გავედით ზაფხულში, ეჭვმა იმატა, ფართო ადგილი დაიჭირა ჩემ გულში. ეს მოხდა ნიშანდობრ იმის შემდეგ, რაც ერთხელ უფსკრულ ხევში ჩამათრიეს და გამოქვაბული მიჩვენეს. როცა თვალი მოვაღვლე იმ მიყრუებულ ადგილს და იქვე კლდეში თითქო განგებ გამოკვეთილ საგრილობელს, არ მეჭაშნუიკა: ერთობ მაგარი ზნეობა-ხასიათისა უნდა ყოფილიყვნენ ქალ-ვაჟი, რომ იმ მივარდნილ ადგილს ეტარებინათ დრო და ერთმანეთის ნდომა არ შეჰპარვოდათ. სხვა არა იყო რა, ვვაჟვაც შეედლო ძალა ეხმარა ქალზე და მის წივილ-კივილს მხოლოდ ჭუპჭუკა წყარო მოისმენდა გულგრილად.

ჩემ ეჭვიანობის ზრდას ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი: ხშირად მომდიოდა ხელმოუწერელიწიგნი, რომელშიაც უცნობი კეთილისმყოფლი ბრმა-ყრუს მეძახდა და თეკლეს ცუდ ქცევაზე მიმითითებდა. ამისთანა წერილი არც კი უნდა წაიკითხოს ადამიანმა და მეც ჯერ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ შემდეგ, როცა წერილში ნიშნულად მისახელებდნენ სხვადასხვა გარემოებას, მეც ყურები ვცქვიტე.

-გამოსცადე, -მწერდა ის, -და დარწმუნდები, რომ მოჭორებულს არას გეუბნები; შენი თვალთ დაინახავ. გირჩევნია ეხლავე გაიგო ყველაფერი და ტავს უშველო, თორემ ისე მიდის შენი საქმე, შეიძლება უარესიც დაგემართოს.

ავდექი და მეც გამოვცადე. ნეტა ღმერთი გამწყრომოდა და არ მეწაღნა. სულ უბრალოდ მოვიქეცე. მე ხომ სამსახურის გამო ადრე ადგომასა ვარ ნაჩვევი, იქაც ადრე ვდგებოდი და სასეირნოდ მივდიოდი. ვგონებ არც ერთი ადგილი არ დამრჩა გარშემო უნახავი. წიგნიც მიმქონდა თან. შინ ესე ათსაათზე ვბრუნდებოდი, როცა თეკლეც გამოდიოდა ჩაის სასმელად. უმანგიც, რასაკვირველია, იქ იყო ჩაიზე. ამ ჩვეულებით ვისარგებლე. ერთხელ ძალიან ადრე შევბრუნდი სეირნობიდან; ეზოში რომ შევედი,

მოახლე შემეფეთა, როგორღაც საეჭვოთ გამიღიმა და თან საწოლ იოთახის ფანჯრებისკენ მიიხედა. ელცვასავით მეცა ეს მისი ქცევა. გავქანდი სახლისკენ. საწოლი იოთახის კარები რომ შევგლიჯე, თეკლე და უშანგი ერთად ვნახე. გადვირიე. შეტყორცნილ სკამით კაც თავი გავუხეთქე, დედაკაცსაც სახე დავუშავე; სკამს ჯერ ისევ ანთებული ლამპარი გადმოემზღვრია და იოთახსალი მოედო. საზარელი ამბავი დატრიალდა. მე გამოვარდი. ქალაქს წამოველ. მაშინ იყო, რომ ხმა დამიგდეს შეიშალაო.

ამ მამის შემდეგ თეკლე აღარ მინახავს: სამშობლოსას წასულიყო. ნურც მიჩვენოს ღმერთმა! მეშინიან, ძმაო, ძლიერ მეშინიან იმისი. ეხლა ისევ მარტო ვცხოვრობ. სკოლაშიაც დავდივარ და ვასწავლი. მაგრამ როგორღაც აღმაცერად მიყურებენ იქ. იმ დრეს უფროსმა კაბინეტში შემიხმო და მითხრა, გირჩევნია სამი-ოთხი თვე დაისვენო, დაწყნარდე და ისე ძმეუდგე შრომას; ამისი ნება გაქვს, მე მოგიწყობ საქმესაო. მართალი მითხრა: იმ ამბის აქეთ ძალიან ალელვებული ვარ. კაცო, მთლად კი არ გამომაძევეონ სკოლიდან! როცა მომაგონდება, რა უბედურება დამატყდა თავს, ტვინი მიხურს, მინდა კბილით დავგლიჯო ყველაფერი. დავივიწყე, მიუტევე, ხომ გახსოვს მეძავუის ამბავი. ვერა, ძმაო, ვერა! მახსოვს, რომ მეძავ დედაკაცს ქვა არავინ დაჰკრა, მაგრამ ისიც მესმის ეხლა, გულგრილად რად უყურებდნენ: უცხონი იყვნენ; ის მეძავი არც ერთის იმათგანის ცოლი არ იყო. აბა იმათში ერთ-ერთი იმისი ქმარი ყოფილიყო, თუ იქვე არ ჩააქვავებდა!

12

ძალიან შევწუხდი, დავიტანჯე, ჩამიშავდა ყოფა. არ ვიცოდი, რა მექნა, სად გადავარდნილიყავ, რა ქვისათვის მეწყვიტა თავი. გამეგონა, ყანწის ძირში ყოველივე კეთილი მოიპოვებო, ცოტა ნაცადიცა ქონდა ეს და მივეყვი: ნოესებურს ვეწაფე, რომ ტავი დავიწყებისათვის მიმეცა. ვერ მიფონა! ცეცხლზე ნავთი დამისხა, აზრები ამიმღვრია, გრძნობები გამისისხლიანა. თავი გავანებე! არჩაგიხედნია ყანწის ძირში? თუ ძმა ხარ, ნუ ჩაიხედავ! ბნელა იქ, ძალიან ბნელა!..

საქმე რომ გამიჭირდა, ისევ ჩემმა თეკომ მომცა შვება, ისევ იმ ანგელოზმა სემიწყნარა ტანჯვა სემიმსუბუქა.

ხომ იცი, ადამიანი სიკვდილით არ ისპობა მთლად; ის იცვლება, უფრო ჰაეროვანი ხდება, ისე რომ ადგილი და დრო ვეღარ ზღუდავენ მას გონება და გული ისევ წინანდებური რჩება, მხოლოდ უფრო ამალეებული, განსპეტაკებული, განვითარებული მახვილი. სამყარო სავსეა ამისთანა ჰაეროვან არსებებით. ისინი არიან, რომ ხანდისხან გვევლინებიან და ციური ამბები მოაქვთ, ციურ ჰანგებს გვიგალობენ. ჩემი თეკოც იმათშია ეხლა. წინათვე გაეგი იმას ჩემი დარდები და ხანდისხან მოდიოდა სანუგეშებლად. ეხლა, როცა სიცოცხლე მთლად ჩამიბნელდა, ხშირ-ხშირად მესტუმრება, მანუგეშებს, მაყურებს, სიხარულის სხივებს მფენს. ყოველდამ მოუთმენლად ველი იმას. ნეტა ვიცოდე, რომელს ვარსკვლავზედა აქვს სავანე! მოვა, გამიღიმებს და სევდა უკუ მეყრება. ხომ გახსოვს, რა მშვენიერი ღიმილი იცის? როცა ძლიერ დარდიანს დამიგულეებს დამიჯდება და მელაპარაკება, მიმღერის. ისეთს ხომ მშვენიერი სიმღერა იცოდა და ეხლა მთლად ახტაცებაში მოვეყვარ: ზეციური კილო დაუსწავლია. ნეტა ერთი გაგაგონა მისი წკრიალა ხმა! საღამოობით ფანჯარას ვაღებ და იქიდან შემოფრინდება ხოლმე მენატრება მოვექდო, მაგრამ შეხბის ნებას არ მამღევს.

-ჯერ, სასურველო,-მეუბნება ის, -ისევ მიწიერი, არსება ხარ; როცა ეგ ხრწნადი ხორცი მოკვდება და დაიშლება, მაშინ უხრწნელ, მსუბუქ, ნათელ, ჰაეროვან ხორცს

შეიმოსავ, ჩემსავით უკვდავი შეიქმნები და მერე ერთად ვიცხოვრებთ, აღარ ავშორდებით ერთმანეთს. ჩემმშვენიერ სავანესაც გიოჩვენებ.

ამას რომ მეტყვის, ბროლის მკლავებს გამომიწვდის, ჰაერზე შედგება და უკან-უკან იწევს ფანჯრისაკენ; თან მიღიმის, თვალებით მიაღერებს. მე მივდევ ფანჯრამდის, მაგრამ მერე უკანა ვდგები: მეშინია. ხომ იცი, მესამე სართულზე ვცხოვრობ. ჩემი შიში არ მოსწონს ჩემ თეკოს: მე რომ უკან ვდგები, იმასა სწყინს, თვალები ცრემლით ევსება. რა მიყვარს მის ცრემლები! ნეტა კოცნით ამომამრობინა ის მარგალიტის წვეთები. მიმძიმს, თან დათან უფრო მიმძიმს უიმისო გაძლება, აღარ შემიძლიან. მოვიკრებ ერთხელ ძალას, გულს გავიმაგრებ და გავყვები, უთუოდ გავყვები!

ეს რომ წავიკითხე, ელდა მეცა. მივხვდი, რაც ამზავი იყო ჩემი მეგობრის თავს და დავაპირე ქალაქს წასვლა, მაგრამ გვიანდა ყოფილიყო, ტელეგრამამ საზარელი ამბავი მოიტანა: წუხელ, შუადამისას, მასწავლებელი იოსებ სანდომიძე, რომელიც სარიდონიანთ სახში სცხოვრობდა, მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა და გარდაიცვალაო.

[1981 წ.]

პრაფესორი

თამამშოვის ქარვასლაში, ცხენის რკინის გზის სადგომთან, თათარს რომ ხილის მაღაზია აქვს გამართული, იმ მაღაზიიდან გამოვიდა ექვთიმე უნდობელი და ქავაფენილზე დაიწყო სიარული. დროს გასატარებლად ქალაქის პარკიდან ყურძენს არჩევდა და შეექცეოდა. მარჯვენაზე თათმანი არ ეცვა; თეთრ ხელს ფაქისად შენახული ფრჩხილები და ბრილიანტის ბეჭედი უმშვენებდნენ. ხანი რომ გამოვიდა, მოუთმენლობა დაეტყო ახალგაზდას, სახე მოექუშა, ტუჩების კვანძი დაიწყო; მთლად უგუნებოდაც შეიქმნებოდა ის და ბრასზე მოვიდოდა, თუ თვალი არ შეესწრო თალღამაანთ მართასათვის, რომელიც ქარვასლიდან გამოვიდა და ეტლს დაუპირდაპირდა. ექვთიმემ უცბად დაიმშვიდა სახე და ღიმილით გასწია ქალისაკენ, მოიკთხა, მოწიწებით ჩასვა ეტლში და ზრდილობიანათ მოუხადა ქული.

-თქვენ კი არ წამოზრდნდებით, ყმაწვილო?-შეეკითხა ქალი და გასწორდა.

-არა, ბატონო, მე ჯერ საქმე მაქვს, -მიუგო ექვთიმემ.

დაიდრა ეტლი. ქალმა გადმოხედა ვაჟს და გაუღიმა; მხოლოდ ტუჩებით კი არა, მოსაჩვენებლად-ეგრე ხომ მეც გავიღიმებდი-გაუღიმა მაღლიანად, მთელი არსებით გაუმუქა პირს ვარდი გადაიფინა.

ექვთიმე რომ დავინახე ესე მოსათნოუბულ-მოკოპწიავებული, მაშინვე ვთქვი:

-სარიქად, ბიჭებო, ჩვენ მგელს ბატკნის ტყავი წამოუსხამს და სწორედ მოიტყუებს ი ჯეირანს-მეთქი.

საბუთი მქონდა ესე მეფიქრა, რადგან ახლო ვიცნობდი სინდისამომწვარ, ზნეობაგანადგურებულ ექვთიმეს. დატანჯულები ვიყავით იმისაგან. ცბიერი, ძუნწი, მატყუარა; ამხანაგის დასმენა, მეგობრის გაუტანლობა, ბეჩავის დაჩაგვრა, ძკლიერთან ღრეჭა-ყველა სისამაგლე გამოუვიდოდა ხელიდან. საკვირველი ის იყო, რომ არაფერ სიმდაბლეს და უღირს ქცევას არ უადრისობდა, საძრახ და საგონებლ საქმეს ისე უყურებდა, როგორც ვეულებრივ რამ მოქმედებას. რადგან ესე ესმოდა საქმე, არცა ჰმალავდა თავის უზნეობას. ისე მიამიტად გვიამბოვბდა თავისაგანჩადენილ ავაზაკობას და თან ისე გულუბრყვილოდ შემოგვეყურებდა თავისი ჭრელი თვალებით, თითქო რამ საქები ჩაუდენიაო. დაგვაბეზლებდა და როცა ავი დაგვემართებოდა, თავის

საქციელს საქვეყნოდ მოგვითხრობდა სიცილით; მოიპარავდა და, თუ მოვასწრობდით, ხითხითებდა; ნივთს რასმე გავიფუჭებდა და, რომ ვჯავრობდით, ხარახრებდა. არ ესმოდა ბოროტის სიავე და, რომ ვამხილებდით, უკვირდა. გგონიათ, უნიჭო იყო? არა. გონება მახვილი იყო, მხოლოდ ზნეობითი სიბინძურის შეგნება არა ჰქონდა. მართალია, ბოროტებას თვით ბოროტებისათვის კი არ ჩაიდენდა, -ესეთებიც შემხვედრიან, -მაგრამ თუ ბოროტებას მისთვის მცირეოდენი სარგებლობის ან სიამოვნების მოტანა შეეძლო, მის თვალში სიავე აღარ იყო ის. ეშმაკურ კლიტეებით ჰკეტავდა ყუთს, რომ როგორმე არ გაეღოთ ამხანაგებს. შეძლებუყლი დედ-მამის შვილს ათასი სანუკვარი მოსდიოდა, მაგრამ არ მახსოვს ამხანაგისთვის მიეწოდებინოს; მიჯდებოდა კუთხეში და სჭამდა, ან როცა დავიძინებდით მაშინ შეექცეოდა. ერთხელ როგორღაც მოვახერხე და შაქარი ვესესხე. ჩაის რომ ვსვამდი, მომიბრუნდა:

-ნუ მაჩვენებ, რომ ჰსვამ: ჩემეულ შქარს რომ ჰკვნეტავ, ასე მგონია, თითონ მე მკბენ! ხუმრობა არ გეგონოთ, გულწრფელად მითხრა: ესეთი ბუნება ჰქონდა. თუ ვინმე კარგ ნიშანს მივიღებდით გაკვეთილში, შურით კვდებოდა, კანკალებდა, თეხელ ტუჩებს კვნეტით დაისიებდა.

- კაცო! განათლებული ადამიანი ხარ და ვერ შეგიგნია, რომ მხოლოდ ეჩობა, თავისკენ თლა, მხოლოდ თავისთვის ზრუნვა და სხვის მიწასთან გასწორება არც საკადრისია, არც სასარგებლო; კაცი კაცის წამალია, იცოდე!

-ცხოვრება ბრძოლაა, სასტიკი, დაუზოგველი ომი და საკადრის - საპატიო მხოლოდ ის არის, რაც ჩემთვის, პირად ჩემთვის არის სასარგებლო, რაც მე გამომიყვანს გამარჯვებულს ამ არსებისათვის ბრძოლიდან; ადამიანი ადამიანისთვის მგელია, იცოდე!

-გაგიგონია სიტყვა და კი არ გაგიგია. პირუტყვები ხომ მხეცები და ნადირები არიან და იმათაც კი ესმით, რომ თავის მოდგმასტან ბრძოლა არ გამოდგება და კავშირი სჯობია ფონს გაგასვლელად: უფრო ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ და იფარავენ განსაცდელში ერთმანეთს, რომ დაიცვან თავიანთი მოდგმა მოსპობისაგან. შენ ხომ ადამიანი ხარ, გონიერი არსება და როგორ ვერ შეგიგნია ეს?

-მოგცლია! გონიერი არსება რომ ვარ, კიდევ იმისთვის უფრო ნათლად მესმის არსებითი ბრძოლის აზრი, იმისთვის უფრო გამორკვეული, განყენებული და თავისუკანასკნელ დასკვნამდინ მიტანილი მაქვს იგი აზრი.

რა უნდა გვეთქვა? როგორ უნდა გაგვეგებინებინა ყრუსათვის სიმათა ჟღერა?

ქალმა რომ კითხვა, თქვენ ხმ არ წამობრძანდებითო, იმისთვის ჰკითხა, რომ ექვთიმეც იმ ეზოში ცხოვრობდა, საცა მართა; არც კი ვიცი, შემთხვევით დაექირავებნა ექვთიმეს ის სახლი თუ განზრახ. მისი ორი ოთახი ლამაზად იყო მოწყობილი. მეტადრე დამშვენებული იდგნენ მაგიდა და საწიგნე, რომელზედაც ტანშერჩევით ჩამომწკრივებულიყვნენ ყდაში გამოწყობილი წიგნები. მემრე რა სუფთები! თითქო ადამიანის ხელი არ მიჰკარებიათო. მისი საწოლი არშიყი დიაცის ლოგინს მოგაგონებდათ. მოხდენილად იცვამდა, კუდმოგლეჯილ-გამოწუთხულს კი არა, თითქმის დარბაისლურს მსახური არ ეჭირა; სადგომის მოვლა და ჩაის წყალი სახლის პატრონის ვალი იყო. ბევრი მდგურები იდგნენ ეზოში. მეზობლები ჯერ მოკრძალებით ექცეოდნენ ახალ მდგმურს, მაგრამ მალე შეიჩვივნენ, რადგან თავაზიანად ეპყრობოდა ყველას. მერე რა ხასიათებს იჩენდა! მე ვიცი უდროვოდ ან მთვრალი შემობრუნდებოდა შინ, ან ამფსონებს შეჰყრილა საბანქოოდ! ცხოვრობდა თავისთვის გუგულივით; მისი მაღალი ხმა არავის გაუგონია.

- სწორედ ანგელოზია ეს კურთხეულის შვილი! - იტყოდნენ ხოლმე მეზობლები.

ჯერ კაცები შეიჩვია: ამას თავაზიანად მოიკითხავდა, იმას ძმურად გაუღიმებდა, სხვას რასმე უამბობ-წაუკითხავდა, ზოგს უწერ-უანგარიშებდა; ყველას დაუზარებლივ ეხმარებოდა, თუმცა ოდნავ ამპარტავნულად. ქალებმაც გაიცნეს, დაუახლოვდნენ, შეეჩვივნენ; დაიშინაურეს, სახლშიაც შედიოდნენ. მერე რა იყო აქ სამრახისი? ძმასავით უყურებდნენ. ზოგი მურაბას შეუტანდა, ზოგი ხილს მიართმევდა, სხვა - საჭმელს, თუ საგანგებოს გააკეთებდა. ენანებოდათ მარტოხელი ახალმოშენე. ნალბადიანთ მართამ ართხელ ფარჩის ყელსახვევიც უფეშქაშა.

ქვრივიც აჰყვა. მოსაკითხს არ აკლებდა, ექვთიმე უფრო მაშინ ჰმალავდა ბრჭყალებს, როცა ქვრივს შეხვდებოდა; ზრდილობად გადაიქცეოდა ხოლმე; მხოლოდ ამოიოხრებდა, ისიც მორიდებით; თანაცისე ზედმიწევნით შეისწავლა მისი ასავალ-დასავალი, რომ უთუოდ შეხვდებოდა, თუკი ქალი გამოვიდოდა შინიდან. ჯერ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა შეხვედრას, მერე შეეჩვია ქალი ამისთანა შემთხვევებს, ბოლოს მოფიქრებული საქმის ელფერი დაედო შეყრას. მართამ ეხლა ყურადღება მიაქცია ჩაცმა-დახურვას, რადგან კოხტად გამოწყობილ ვაჟკაცთან უხდებოდა გავლა და არ სურდა ჩრდილი მიეყენებინა იმისთვის. ძამაც გამოიცვალა და მაღალი თავი დაიხურა: დრო იყო. მარტოხელი ქალი შეეთვისა კიდევ ექვთიმეს და თუ თვალს შეასწრობდა მისკენ მიმავალს, თითონაც შეეგებებოდა ღიმილით. მიგიქცევიათ ყურადღება ემხიანი ქვრივების სიარულისთვის? დაათვალიერეთ! სხვანაირად დადიან: არ კი ცქრიალობენ, ქვექვეით მიგოგმანობენ, ტანს ოდნავ არხევ-აქანებენ.

დადგა გიორგობა, მონიჭებულმა წვივებმა და ტალახმა მოწამლეს სული. მდიდრები ვერა გრძნობენ ბუნების ამგვარ ცვლილებას, რადგან სადგომები და მოწყობილება, გართობა და ფუფუნება არ აგიბინებთ ამათ ბუნების სიავეს. მხოლოდ ფანჯრებიდან და ეტლებიდან ადევნებენ თვალს ტაროსს. ღარიბი კი ქალაქშიაც ბუნების მონაა, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული და თავის კანზე სცდისმის სისასტიკეს; იქ უფრო საგრძნობელიც არის მისი სიმძაფრე, რადგან გაჭირვება მეტია. ამისთანა ხალხისათვის ზამთრის დაწყება მტრის შემოსევაა. მართა არ იყო ამისთანა მდგომარეობაში, მაგრამ მოლუშულმა ცამ დაანაღვლიანა ქალი, მით უფრო, რომ ხმის გამცემიც არავინა ჰყავდა, გადაოგნებულ დედამთილის მეტი. გული რომ სევდით ევსებოდა, განგებასა ჰგმობდა უდროოდ დაქვრივებისათვის; განსვენებულსაც უწყრებოდა, თითქო მას თითონ სდომებოდეს ლამაზი ცოლის მიტოვება. ჯეელი იყო, სიცოცხლით დაუმტკბარი და ნაღვლობდა დროს გასატარებლად მეზობლებს უძახდა. სხვებიც ასე იქცეოდნენ, რადგან თანაბარი ხალხი ცხოვრობდა ეზოში, ერთმანეთს შერჩეული. ექვთიმესაც ჰპატიჟობდნენ. რატომ არ უნდა ეცათ პატივი ამ უწყინარ ყმაწვილისათვის?! ერთ საღამოს საუბარი ცხონებულზე ჩამოვარდა.

- კიდევ კარგი, რომ რკინის გზის მმართველობამ უნუგეშოდ არ გაუშვა იმისი გაუხარელი ცოლი და დამწვარი დედა.

- კაცმა იმათ ერთგულობას შეაკლა თავი და ცოდვა იქნებოდა, არ მიეხედნათ იმის ოჯახისათვის.

- სამასი თუმანი მოგცეს განა? - შეეკითხნენ მართას.

- დიახ, ბატონო!

- მე რომ საქმესა ვხედავ, იმის ოჯახისათვის სამუდამო პენსია უნდა დაენიშნათ, - თქვა ექვთიმემ.

- ჯერ ხომ ახალი საქმეა და ნეტა აღარ შეიძლება დავა? - ჰკითხა სხვამ.

- როგორ არა, შეიძლება დავის აშლა, მიუგო ექვთიმემ და მიუბრუნდა მართას:

- თუ თქვენი ნებაც იქნება, მე ვითავებ მაგ საქმეს და კარგადაც დავაბოლოვებ.

- ვერ შეგაწუხებთ; ვერ შემოგბედავთ გაგსარჯოთ ჩემი საქმისათვის.

- რა შეწუხება! ჩემთვის სასიამოვნოა კეთილი საქმის გაკეთება. ერთი პირობა კი: გამოტანილი ფულით სადილი უნდა გაგვიკეთოთ მეზობლებს.

- ბატონი ბრძანდებით! ისეც სასიამოვნოა კეთილი ნაცნობების სტუმრობა.

ამის შემდეგ ექვთიმეს საბუთი მიეცა მოურიდეבלად ევლო მართასას, ან ქალათებით ხელში გაჰყოლიყო იმას ქალაქში და, რახან ერთხელ შეაბიჯა წალკოტში, მარტო ყნოსვით რად დაკმაყოფილდებოდა?! აკი არც დაკმაყოფილდა და მოსწყვიტა ტურფა ვარდი. ქალის დასამშვიდებლად, მისი სინდისის დასამძინებლად ბევრი რამ აღუთქვა მაშინ ექვთიმემ რას აგებდა? აღუთქმა სიტყვაა, მხოლოდ ქარი და იცით რა ბაჯადლოზე ახურდავებდა იმ ბურბუშელა სიტყვებს?

- თავს შემოგველე, ჩემო ნუგემო! ნეტა პირველადვე შენ შეგხვედრიყავ, რომ შენზედ დამეწყ-დამესრულებინა ჩემი ქალობა, - ეტყოდა მართა და ჩრდილი გადურბენდა ნათელ სახეზედ.

- ნუ მეტყვი მაგას, ნუ გამაგონებ! ბედნიერი ვარ და ვმადლობ განგებას, რომ ეხლა მაინც შემახვედრა შენი თავი; ბევრი ისე კვდება, თვალსაც ვერ მოჰკრავს თავის იღბალს,- ანუგეშებდა ექვთიმე და დაუკოცნიდა მაცვალ თვალებს.

მთელი ზამთარი თავდავიწყებულ სიამოვნებაში გაატარეს, რადგან ერთს ეგონა დაკარგული სიყვარული გაორკეცებულ-გაბრწყინებული ვიპოვეო და ნეტარებდა, მეორე - კმაყოფილებას ჰგრძნობდა, რომ მისმა მოაზრებულ-მოფიქრებულმა მოქმედებამ მშვენება ჩაუგდო ხელში დავლად და სტკბებოდა. გარემოებებით სარგებლობა იცოდა ექვთიმემ და არამც თუ დაინებია ქალი, ხელიც მოითბო. რა ვიცი, ყოველ დღე კი მისდიოდა მართას სახლიდან დახურულ-დაფარებული და მაშ რა იყო?

ესე სტკბებოდნენ ტრფიალნი აღებამდინ. მაშინ კი ჭია შეაჩნდა მათ ბედნიერების ყვავილს: აღებაში უნდა დაეწერათ ჯვარი, ექვთიმე კი არაფერ ამბავში იყო. თანაც ტრფობის ნაყოფმა თავი იჩინა. შეშინდა ქალი, გამოუტყდა მიჯნურს და აღუთქმა მოაგონა. ექვთიმე ერთი უსიამოვნოდ შეიბღერტ-შეიშმუშნა, მაგრამ მალე შეიმაგრა თავი და გადაიხარხარა.

- მერე რა გეფიქვება? მე, რასაკვირველია, ავასრულებ ჩემ სიტყვას, მაგრამ, იცი, საყვარელო, სჯობია თავიდან მოვიშოროთ ცოდვის შვილი.

- როგორ?

-ადვილად. ბებიებმა იციან ეგ ხელობა!

-მაგისტანა საქმე მოვიქმედო?! არასოდეს! ეგ ხომ კაცის მკვლელობაა! შენ მირჩევ მაგას?!- სთქვა ქალმა და ჩაინავალ-ჩაითუთქა.

ექვთიმე მიხვდა, რომ მართა ამ საქმის ჩამდენი არ იყო და გაწბილდა; ჯავრით ტუჩები ჩაისისხლა. იმას უნდოდა მთლად გაერყვნა ქალი, ეს ავაზაკობაც ესწავლებინა, რომ დაემონავებინა ის და იქამდინ ეყურა, მანამ ჩერჩოლა დარჩებოდა გადასაყრელი. მით უფრო ემძიმა ეს ექვთიმეს, რომ ჯერ ვერ გამძღარიყო ეშხით და წინანდებურად უთქმიდა მიჯნურისათვის გული. გაიფიქრა, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო და შეიკავა თავი; ბრჭყალები დამალა, გაუცინა, თავის სასტიკ სიტყვებს ხუმრობის ფერი დასდო, მიუალერსა, პატიოსნება მოუწონა, დაშოშმინა და საქმე ნაადგომევამდინ გადაადებინა.

- იცოდე, გვირგვინქვეშ შემეტყობა,- ღიმილით ეუბნებოდა თვალცრემლიანი.

- ნუ გეფიქრება, ჩემო სიცოცხლე: ერთიორად ზვირფასი იქნება ჩემთვის.

სინანდებურად დაიწყეს მტრედებმა ლულუნი, მხოლოდ ერთი რომ ბუდის კეთებაზე ზრუნავდა, მეორე-იდუმალ მარჯვე დროს ეძებდა გაფრენილიყო. სიამოვნების ფიალაც ვეღარ იყო წინანდებურად ანკარა: ღალატის შხამს ილექავდა ხანდახან, მოატანეს დღესასწაულებმა. ექვთიმე გამოეთხოვა რამდენიმე დღით მართას

ეგონა სოფელში წავიდა თადარიგის დასაჭერად, მაგრამ ელდა ეცა, როცა ექვთიმეს ბარგს დაუწყეს ზიდვა. სახლის პატრონმა უთხრა, ფული დაუტოვებია და ბარგის გადაზიდვა დაუვალეზიო. მართა ადგილობრივ ჩაკეცა უბედურებისსიმზიმემ. ბევრი ახეთქა თავი ქვას, მაგრამ ვერც ხვეწნამ, ვერც მუქარამ, ვერც ცრემლმა ვერ გააღზვეს კაცის გული. ქვას რა მოაღზობდა?! გაუბედურდა ქალი; მის პატარა ზაფხულს სასტიკი ზამტარი დაენაცვლა, ვარდი ზაფრანად გაუხდა, ჩაქკნა-ჩაიშალა უცხო ყვავილი. ბუნება კი შეუფერხებლად მიდიოდა ტავის გზაზე და ექვთიმეს მაგივრად პაწაწინა ლუარსაბი ჩაუსვა მართას კალთაში.

-და, და! რა ღვთის გარეგანი ყოფილა, გენაცვათ,-იბერტყავდნენ საყელოს მეზობლები,-გველიც არ დასტოვებს თავის წიწილს უმწეოდ და ეს რა ჰქნა ი შეჩვენებულმა!

მანამ ადამიანს პირში სული უდგას, რამე მიზანი და იმედი უღვივის გულში. მოუსპეთ მას ცხოვრების აზრი, მოუღეთ ყოველივე იმედი, განდევნეთ ოცნების სამფლობელოდან და ის მოისპობს თავს. ბუნებამ იცის ეს და ერთი გაცრუებული იმედის ნაცვლად სხვას უელვებს თვალწინ და ესე იტყუილებს საფლავის კარამდინ. თუმცა ერთობ სასტიკი იყო მეხი, რომელიც დაატყდა მართას და მოჰგლიჯა მას ნამუსის საბურველი, მაგრამ განგებამ ხელთ ახალი მიზანი მისცა ცხოვრებისა, ახალი მოვალეობა და იმედი დაუსახა წინ და არ გაუწყვიტა სიცოცხლის ბეწვი. ეს აზრი ცხოვრებისა პაწაწა ლუას აზრდა იყო, ხოლო იმედი-რომ ის საზღაურს მიუზღვავდა დამღუპველს. ქალმა თავი გამოიღო და თავისი ყოფა ჩვილს შესწირა. ისევ ძამა ჩაიცვა, ყველაფერს ზურგი შეაქცია და მთელი თავისი არსება თავს შემოავლო შვილს. ამ თავდადებით, თავისთავისადმი სასტიკად მოჰყრობით ისევ დაიმსახურა თანაგრძობა, განკიცხვა სიბრალულად გადაიქცა. ბატონიშვილურად ზრდიდა პატარას. სუფთად ჩაცმულ-გაღაჟღაჟებულ ბავშვს ისე ვერ აუვლიდით, არ მოგეაღერსნათ. დედის სიხარული იყო. თუ ხანდახან გაეღიმებოდა მართას და სეცდა უკუ ეყრებოდა, მხოლოდ ხუჭუჭა ლუა იყო ამის მიზეზი. მართა ეტრფოდ-ეაღერსებოდა შვილს. ეუბნებოდა. მოუთხრობდა, არიგებდა, თითქო მართლა ჰსმენოდა რამე პატარას.

-აი, შვილო, მამაშენმა თავი დაგანება. დაგაგდო, დაგაობლა, მაგრამ, თვალი დაუდგეს იმას, ობლის ძამა ღმერთია. გაიზრდები, ისქწავლი, კაცი დადგები; მამაშენი ხომ უბრალო მასწავლებელია, შენ პროფესორი გამოხვალ, პრაფესორი, პრაფესორი! პრაფესორი, პრაფესორი!...

როცა ესე ახტუნ-აკუნტრუმებდა ბავშვა მწარედ გაეღიმებოდა ხოლმე.

მოზრდილი ბიჭი იყო ლუა, როცა ამცდა თვალიდან. რამდენიმე წელიწადი აღარა გამიგია რა იმისი. ერთხელ შუა ბაზრისდკენ მივდიოდი; სალაყბოს რომ ამოვცდი დათაიროვის სახლების ბილიკზე შევდექ, პატარა ბიჭი დავინახე მომავალი ჩარექით ხელში. მოხტოდა, ერთ ფეხ წინ მაქანებდა, გასძახოდა: «შახთალაბო, შაალაბო!» სწორედ ჩემს წინ ჩაატყაპუნა წვერწაგლეჯილი ჩუსტები. უფროს ნანახი მოვდიოდი, გუნება ამღვრეული და შევუტეე. გაკვირვებულმა ბიჭმა ქრელი თვალეზი რომ შემომანათა, მაშინვე ვიცანი.

ბიჭო, ლუა, შენა ხარ?!

ლუა ვარ, მაშ!

სად მიდიხარ? ვისთან ხარ?

ვა, ფინაჩ გიგუასთან არა ვარ! მიკიტანთან მივდივარ რაღა.

-დედაშენი მართა სადღაა? როგორ არი?

-დედაჩემი! რამდენი ხანია ლოგინად არის ჩავრდნილი,-მომიგო ბიჭმა და გამცდა; თან გაიწვრიალა: «მამა მომიკვდა, დავრჩი ობლად! დედაჩემი სხვას გაჰყვა პურის მცხოვრება! გულ...»

წაველ. მთავარმართებლის სასახლეს რომ დაუპირდაპირდი, ექვთიმე ეტლს მოაგრიალე; მუხლებზე შალი ეფარა, ზიზილ-პიპილები აესხა: სამსახური გამოეცვალა. მიცნო, ქუდი მომიხადა, ქოლგის ტარი წაატანა მეეტლეს. ფეხი ავაჩქარე: ერთობ აღრენილი ვიყავი.

[1901 წ.]

ისნის ცისკარი

(ისტორიული მოთხრობა)

I

1795 წელს თუმცა ნესტიანი და გრილი გაზაფხული იყო, მაგრამ მაისის გასულს ჩამოცხა და სწრაფად ააშრო დედამიწა. ეს სიციხეები იყო მიზეზი, რომ საამ გოსტამაბიშვილი განთიადზევე დაადგა ტფილისის გზას. მზეს ჯერ არ მოეწვლო, როდესაც აიარა თელეთის აღმართი და ქვაყრილთან ავიდა. აქ არა ცხელოდა, კოჯრის სიო სწვდებოდა, სასიამოვნო სიგრილესა ჰყენდა, მგზავრი შესდგა შესასვენებლად და გადახედა გამოვლილ გზას.

წინ ტაშირი გადაეშალა, რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით კრწანის-კოჯრის კლდეები მოსჯროდნენ, სამხრეთით ალგეთი ჩამოუდიოდა, აღმოსავლეთით - მტკვარი. ტაშირის გარშემო მოსჩანდნენ კუმისი, ვაშლოვანი, ერტისი, ლოუბანი, ბორბალო, მარაბდა, და ძირს, ქვაყრილ დასწვრივ, თელეთი; ზედ ვაკეზე - წალახური, კოდა, ჭაობი და მუხათი. თელეთის თავქვე რომ თავდებოდა, ტაშირი უეცრად ძირს ეშვებოდა და ეს დაბლობი თითქმის სოფელ კოდამდის უწევდა; კოდის ვაკეს და ამ დაბლობს ჰყოფდა ასიოდე ადლის სიმაღლე დაღმართი - "გადასახედავი"; დაბლობის დასავლეთი ნაწილი ეჭირა სოფელ კუმისს, რომელიც ჯაგნარი ტყით დაფარულ კლდეებს მიჰყრდნობოდა; აღმოსავლეთისაკენ მოკამკამებდა კუმისის ტბა. ოდესმე მთელი ეს ტაფობი ტბის საგუბარი უნდა ყოფილიყო. ტბის გადასწვრივ იწყებოდნენ იაღლუჯის ბორცვები და ასდევდნენ მტკვარს მარჯვნივ.

ამ ტაშირს სამი გზა სჭრიდა: ერთი შემოსდევდა იაღლუჯსა და მტკვარს შუა; მეორე შუაზე სჭრიდა ვაკეს, გადმოდიოდა კოდაზე და უერთდებოდა პირველ გზას სოღანლუხთან, შავნაბადას დასწვრივ, სადაც კრწანისის კლდეები აწყდებოდა; მესამე, საცალფეხო გზა, გაუვლიდა ძირს ბორბალო-ერტის-ვაშლოვანს, გადადიოდა კუმისის თავს, შემოსდევდა კოჯრის ხევს და ტაბახმელაზე დაემშვებოდა ძირს. კოდის გზას კუმისის ბოლოს ასცდებოდა ბილიკი, აუვლიდა თელეთს, ავიდოდა ქვაყრილთან, ჩაუვლიდა „ორსულ კლდეს" და წინანაურის წყაროსთან გადიოდა. მტკვრის პირის გზა და კოდისა უმთავრესი გზები იყვნენ სპარსეთიდან ტფილისში; მარტო ესენი ვარგოდნენ ჯარისა და ურმებისათვის.

თითქმის მთელი ეს სოფლებით სავსე ტაშირი შემუშავებული იყო, ვენახ-ბალებით და ყანებით მოფენილი. მეტადრე მშვენიერი ბაღნარ-წალკოტები იყო გაშენებული ბორბალოს დასწვრივ, კოდასკენ; ამ ადგილს "ნარგიზები" ერქვა. გადასახედავის ფერდობი მაღალი ჯაგნარით იყო დაფარული. კუმისის ხევს ჩასდევდა ტბამდის ჭალა. აღმოსავლეთიდანაც ჩამოსდევდა ტბისკენ ბუწნარიანი ხევი რამ.

კარგა ხანი უყურა საამმა ამ ოფლით მორწყულ ტურფა არეს და ამოიოხრა:

- ცოდვა არ არის, ეს მშვენიერი მხარე მტერმა გაანადგუროს! ლამის დავრწმუნდე, რომ ბატონი ერეკლე დამაბუნდა, გამჭრიახოზა დაჰკარგა. წამოვიტყუებ მტერს და ტფილისამდის არ შევებმიო. მერე რომ ეს სურვილი ჩვენი დამლუპველია! საბარათიანო, მართალია, ყოველთვის პირში მისცემია მტერს, მაგრამ უბრძოლველად-კი არასოდეს! ეხლა ესეთია მეფის სურვილი. უნდა აოხრდეს საქართველოს ეს ბჭე... მეფე ხარ თვითმპყრობელი და გემორჩილებით, მაგრამ გახსოვდეს, რომ ხელმწიფობა გაქვს მოცემული უფლისაგან, რომელიც გამოიკითხავს საქმეთა შენთა და გამოიძიებს გულის სიტყვათა შენთა!..

II

სასტიკ სიცხეებს სწრაფად გაეხმო და გაეტრუსნა ტფილისის მიდამო. ქალაქი დაცალიერებულიყო: ბატონიშვილები, თავადობა და მოქალაქობა სულ სოფლად გაკრეფილიყვნენ. ქუჩა-მოედნები დაობლებულ-დაღონებული იდგნენ: ზურნა-დუდუკის ხმა ათასში ერთხელა ისმოდა დუქან-ბაღებში, ქუჩებში ტახტრევანდით აღარავინ დაბრძანდებოდა, აღარც ვინ მოკაზმულ-შეიარაღებული მოაგელვებდა ბედაურს; ყაბახი ცარიელი იდგა, აღარავინ გროვდებოდა იქ გასართობ-სავარჯიშოდ; ხალისით სავსე სალაყბოც-კი გულჩათხრობილი გამოიყურებოდა, რადგან მეფის ოჯახობა გაესტუმრებინათ და სასახლე ჩაეკეტნათ. სიცხით დათენთილ ვაჭრებს პირდაღებული ეძინათ ფიშტალ-დაზგაზე; ათასში ერთი მუშტარილა მიიზღაზნებოდა იმათ დუქნებისაკენ მტვრიან ქუჩებზე. მხოლოდ სადამოობით აჟიჟინდებოდა ქალაქი, მაგრამ მაშინაც ტფილელები თავისებურად არ ატარებდნენ დროს დაირ-ნაღარით, თამაშით, სიმღერით, ან ზღაპარ-ისტორიების სმენით და შაირ-ლექსებში გაჯიბრებით. არა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა, აღელვებული ბაასობდა, სალაპარაკო ისა ჰქონდათ, რომ შეძლებული ოჯახები მთლად გაიკრიფნენ ქალაქიდან და ქონებაც თან გაიტანეს, გაიხიზნენ.

- რა დაემართათ წლეულ, რომ ყველა სოფლად გასვლას ეშურება? სიცხე-პაპანაქება როდის არა ყოფილა, მაგრამ ესე კი არ დაცალიერებულა ქალაქი! - გაკვირვებული კითხულობდა ერთი.

- ეტყობა, აქ სხვა რამ ამბავია, თორემ ქონების გაზიდვა და სახლების ამოფიცვრა რაღა არის? - ამბობდა სხვა.

- ვაჭრები არიან შემკრთალნი და ხიზნავენ ყველაფერს, თორემ სახლიდან ჯერ არაფერიც არ წაუღიათ; ხაზინაც-კი ისევ სავსეა.

- ბატონი მეფის სახლობაც თურმე ისევ ჩამობრუნდება, როცა ცოტა აგრილდება. რომ საშიში იყოს რამე, გამოგვიცხადებდნენ, აიყარენითო.

- მანამ ერეკლე ცოცხალია, არაფრის შიში არ არის: არ დამარცხებულა ის, არც დამარცხდება!

- ზარაფი მიღუაც რომ დაფაცურდა! აბა თუ იმის ყუთში ერთი მუჭა გროშების მეტილა ეყაროს! სადღა არის, პარკებით რომ ეწყო ოქრო-ვერცხლი?! ძველები ჩაუცვამს, მითომ-და საწყალი ვინმე ვარო.

- დადის მოვალეებში და ყველას აწუხებს, ფული დამიბრუნეთ, გავკოტრდიო. რა შვილია! ეტყობა, რამე იცის და თადარიგს იჭერს, თორემ იმისთანა მღვარსლავს რა გააკოტრებდა?

- ამბობენ, ყეინმა ერეკლეს კაცი გამოუგზავნა: ან რუსზე ხელი აიღე და მე დამიყონადი, ან შენ ქვეყანას წავახდენო. ერეკლეს თურმე გაეცინა. ძალად მეგობრობა ვის გაუგონია, მობრძანდიო.

- სწორედ მტრის შემოსევას ელიან, თორემ ეს ამოდენა იარაღის მზადება რა არის ან ციხე-გალავნებზე აჩქარებული მუშაობა?

მართლა-და ქალაქი რომ დაცარიელებული და მიყუჩებული იყო, ციხე-სიმაგრეებზე დიდძალი ხალხი მუშაობდა. მეტადრე ბევრი მუშა ედგა შაიტახტს, სადაც ზარბაზნები ელაგა, სეიდაბადის კარს, განჯის კარს, ციხის კარს და კოჯრის კარს, სადაც ეხლა აწყობდნენ ზარბაზნებს. მთელი დღე მუშების სიმღერა და ძახილი გაისმოდა. ურემი ურემზე მოდიოდა, მასალით დატვირთული. ნაბრძანები იყო, სწრაფად გაემაგრებინათ ეს ადგილები.

დიდი სამუშაო ჰქონდათ აგრეთვე მეხანჯლეებს დ აუარებელი იარაღი შეეკვეთნათ იმათთვის. სიონის ქუჩაზე ისხდნენ მაშინ ეს ხელოსნები და ამდღე ჩარხების ბზრიალი და ჩახი-ჩუხილა ისმოდა. საქმე რომ აუარებელი ჰქონდათ, ისე გაყვინიზებულიყვნენ, რომ მუშტარს აბუჩად იგდებდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ.

III

საღამოს ლოცვები ჯერ არ დარეკილიყო. როდესაც საამი მეხანჯლე ბურჯელის დუქანში შევიდა და ოსტატი იოთამე იკითხა. ქარგლებმა ახედ-დახედეს მოსულს, მაგრამ ხმაც არ გასცეს, ისევ განაგრძეს თავიანთი საქმე. მუშტარს ეუცხოვა ხელოსნების ესეთი ქცევა და რიხიანათ შეეკითხა:

- სად არის-მეთქი ოსტატი იოთამე?

ეხლა-კი დაუშვა უფროსმა ქარგალმა კვერი და გამოეხმაურა:

- რათა გნებავთ უსტაბაში? თუ იარაღის შეკვეთა გსურთ, ვერ ავიღებთ, ისეც ბევრი საქმე გვაქვს.

- შენ იმას გიბრძანებ, სად არას-მეთქი იოთამე? - შეუტია მოსულმა და უნებლიეთ წინ წადგა ფეხი.

ეს-კი აღარ მოეწონა ქარგალს. შეიკუმშა და მოკრძალებით მოახსენა: ოსტატი შეუძლოდ იყო, დღეს შინ დარჩაო. მუშტარი გამოტრიალდა და დახურულ ბაზრისაკენ გასწია.

- თითონვე უჭირს და თითონვე ბრაზდება! - ჩაილაპარაკა

ქარგალმა და ღონივრად მოიქნია კვერი.

- იცი, ოსტატო, ეგ საამ გოსტაშაბიშვილი იყო, მუხათის მებატონე: შარშან რომ დიდმა ოსტატმა სოფელში წამიყვანა, მაგათ ბაღში ბევრი ხილი ვჭამე, - უთხრა შეგირდმა, რომელიც ფუქსს უბერავდა.

- ბატონი საამ გოსტაშაბიშვილი! რატომ მაშინვე არა სთქვი,შე. . . ! - შეუკურთხა ქარგალმა და ჭკუა ასწავლა, წაუთაქა.

საამი დიდი ოსტატის ნაბატონარი იყო და უსტაბაშს ბევრჯერ ჩამოეგდო იმაზე ლაპარაკი, როგორც მის ხელში აზრდილ და ეხლა განთქმულ ვაჟკაცზე.

საამმა გაიარა დახურული ბაზარი, ჩაიარა მეიდანზე, გავიდა ძველ ხიდს. ხიდის ყურთან წმ. აბოს ნიშზე პირჯვარი გადისახა, ხატს ემთხვია და შეუდგა აღმართს. მეტეხის ციხესაც ამაგრებდნენ, თუმცა აქ ბევრი მუშა არ იდგა, რადგანაც ციხე თითონაც მიუდგომელი იყო. თანაც მტკვარ გაღმა, და მაშინდელი იარაღით სწორეთ შეუვალი. გზა გარს უვლიდა ციხეს. საამი მიდიოდა და თან თვალს არ აშორებდა სიმაგრეს; სიამოვნებასა გრძნობდა, რომ ესეთი დარაჯი ედგა თავს დედაქალაქს. ავიდა მაღლა და მტკვრის ხეობას გადახედა.

მტკვარს აქ ძალიან მაღალი კიდე აქვს. საამს აქედან ხელის გულივით გადაეშალა მიდამო, შურის ციხიდან დაწყებული სოღანლულამდის. ამ მტკვრისა და კრწანისის შუა მომწყვდეულ ადგილს განიერი ბოლო მდინარისა და წინანაურის ხევის შუა აქვს, წვერი სოღანლულისაკენ. აღმოსავლეთისაკენ მტკვარი თანდათან უახლოვდება კლდეს. ადგილი თანდათან ვიწროვდება და იქ, სადაც კლდე დააწყდება, საურმე გზაღა დარჩება მთისა და მდინარის შუა. ეს ვიწროები კარებია, საიდანაც შემოდის ტფილისში სპარსეთიდან მომავალი გზა, რომელიც ერთადერთი ფარსაგი გზაა ჯარის გამოსატარებლად მტკვრის მარჯვნივ, რადგან კლდე თუმცა ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ საღია, საშინლად დახრამული და შეუძლებელია იმაზე ლაშქრის გადაყვანა, თუ გზა მცირეოდნად მაინც არის გამაგრებული. კარგა ხანი იდგა აქ საამი და გულდასმით ათვალიერებდა ადგილმდებარეობას. ეტყობოდა, ამ თვალიერებამ კარგ გუნებაზე დააყენა ვაჟკაცი, რადგან მოღუშული სახე ნელ-ნელა გაუბრწყინდა და თვალეში სიხარული დაეტყო.

- სწორად ბრძნულად მოსაზრებული გეგმაა ქვეყნის დაცვისა! - გაიფიქრა იმან, - არწივის თვალი აქვს კურთხეულს. ჩვენ-კი ჯერ შეგვიგნია მისი განზრახვა და გვიკვირს, გვწყინს მისი ბრძანება. მართალია, მინამ მტერი მოვა აქ, ჩვენი სამოურაო კიდეც აოხრდება, მაგრამ განა არა სჯობს, მამულის ერთი ნაწილი დაზიანდეს, მტერს

კი ბოლო მოეღოს, მინამ მთელი სამეფო გაოხრდეს? სწორედ რომ სხვაგან არსად არის ესეთი მარჯვე ადგილი ურიცხვი მტრის შესაგუბებლად, მის ამოსაღრჩობ-ამოსაშრობად. ან რა ძალიან ვწუხვართ: ხალხს გავხიზნავთ და ნადავლსაც ამ ვიწროებში დავაყრევინებთ!

საამმა გახედა კლდის წვერებს, რომლებიც მოსჯროდნენ და ზედ დაჰყურებდნენ ქალაქს. დახრილი მზის სხივები ეალერსებოდნენ იმათ და აბრწყინებდნენ.

- დავით ბატონიშვილისათვის უბრძანებია ქვაყრილის გამაგრება, ზარბაზნების დადგმა. თუ აჩქარდა თავისებურად და მარჯვედ დახვდა მტერს, არავის გადმოაწაწანებს ზევიდან: იქ ასი ათასი შეუძლიან შეიმაგროს და გადაჩეხოს. მთლად-კი უნდა შემოვიტყუოთ მტერი ამ ვიწროებში. აქ იმათ ჯარს საძრაობა არ ექნება, ვერ გაიშლება და იმათი მხრიდანაც იმაზე მეტი ვერ მიიღებს ბრძოლაში მო-ნაწილეობას, რამდენიც ჩვენი მხრივ; მაშინ გამარჯვება ჩვენია. ბატონიშვილიც შეიძლებს კლდის ბილიკებით ჩამოუშვას მეომრები და გვერდიდან შეუტოს მებრძოლს. ვხედავ ბრწყინვალე აზრს ცხებულისას! ვგონებ მოამბეც აღარ გავუშვავთ. ჩვენ ჯარს ზურგი ციხეზე ექნება მიყრდნობილი; თუ გარისხდა ღმერთი და ვიძლიენით, სიმაგრეს შევეფარებით; მტერი მაინც ბევრს ვერას გაიტანს ჩვენგან.

ასეთ დასკვნამდის მივიდა საამი ადგილ-მდებარეობის დათვალიერების დროს და იმედებით აივსო.

IV

ეხლა ხომ მთლად დასახლებულია მტკვრის ნაპირი, მეტეხიდან დაწყებული გოგილოს აბანომდის. ისე, რომ ხევზე გადახედვა გინდათ, უნდა ვისიმე ეზოში შეხვიდეთ, ან ერთ-ერთ წუმპიან ბილიკს ჩაჰყვეთ მტკვრის პირამდის. მაშინ მდინარის ნაპირი ბევრგან იყო თავისუფალი, თუმცა მეტეხის ახლო მაშინაც მჭიდროდ ცხოვრობდნენ. მეხანჯლეების უსტაბაშს იოთამე ბურჯელს აქა ჰქონდა სახლი. სახლის კედელი ზედ კლდის პირზე იყო მოკიდებული და ისე მკვიდრად, რომ სალის დანგრევა უფრო საფიქრებელი იყო, მინამ ამ კედლისა. ოთხ დაბალ სვეტზე ებჯინა ფართო საჩეხი, რომელიც ზაფხულობით მშვენიერ საგრილობელს წარმოადგენდა: სიო არასოდეს არ აკლდა, მტკვრის გუგუნი ნანად მოისმოდა, თვალთ დასატკობლად დიდებული სურათი იხატებოდა წინ. სახლის მარჯვნივ ბაღია იყო გაშენებული. ფიცრულით შემოზღუდული ეზო წინ ჰქონდა მოქცეული, მტკვრისკენ-კი არა, ქუჩის მხარეს.

საამი რომ მივიდა, იოთამე ბაღჩაში ჩუჩუნებდა. ქოშებზე იდგა, თავზე ლურჯი ხელცახოცი ეკრა, ახალუხი ეცვა ღილებჩახსნილი. ხელოსანი მიეგება სტუმარს, პატივცემით მოიკითხა, სახლში შეიწვია. საამმა ბაღჩაში ამჯობინა ყოფნა და სტუმარ-მასპინძელმა უნაზ ქვეშ მოიკეცეს ხალიჩაზე. ცოტა ხნის მუსაიფის შემდეგ საამმა უთხრა მისვლის მიზეზი.

- ჯარი უნდა შეიკრიბოს. ბატონ მეფეს უბრძანებია, საუკეთესო ვაჟკაცები დაარჩიეთ და იარაღს მიაქციეთ ყურადღებაო. სამოცამდის მეომარს გამოვიყვან ჩემ

საყმოდან. ოცდახუთი მხედრის მოწყობილებაა საჭირო. დანარჩენს ზოგს თითონა აქვს იარაღი, ზოგს ჩემი ჯაბახანიდან დავურიგებ. საჭიროა თოფი, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი. ეს უსათუოდ უნდა მომიმზადო.

- როდისთვის გვიბრძანებ, ბატონო?

- მარიამობისთვის პირველებში უნდა იყოს მზად.

- შევიძლებ თქვენთვის მაგ სამსახურს, თუმცა ბევრი საქმე-კი გვაქვს მოყრილი. მხოლოდ ნება გვიბოძეთ, ზოგი რამ ვიყიდო, სხვა რომ მე გავაკეთო.

- როგორც მოახერხებ, ოღონდ სანდო იარაღი-კი იყოს და თავის დროზე, - მიუგო საამმა და ჩააბარა ბეი.

ამის შემდეგ სტუმარმა წასვლა დააპირა, მაგრამ იოთამემ არ გაუშვა, ხილი შეაპატიჟა. შებრუნდა შინ მასპინძელი. სტუმარი მუთაქას დაეყრდნო და ოცნებას მიეცა. ხილი მოართვა სინით მასპინძლის ქალმა თინანომ. საამმა რომ ფეხის ხმა გაიგო, წამოჯდა, მაგრამ როცა შეხედა ქალს, ზეზე წამოდგა და ზრდილობიანად მიესალმა; მის ქცევას მოკრთალება დაეტყო, თან ქალს თვალი ვეღარ მოსწყვიტა. ქალი კიდევ მოტრიალდა, საამი-კი ჯერ ვერ გამორკვეულიყო, განცვიფრებული შეჰყურებდა მიმავალს. არც საკვირველი იყო ესა: მის წინ გაიარა ისნის ცისკარმა, მოსაჩვენებელმა სიმშვენივრემ.

ბუნება სცდილობს განახორციელოს ქალში უმთავრესად სიმშვენივრე. ის ისწრაფვის ზედმიწევნით გამოსახოს მასში ეს უცვალელებელი დარგი ღვთაებრივი არსებისა. ამისთვის არის, რომ ისე ვეთაყვანებით ქალთა მშვენებას: ღვთაებადა ვსახავთ მშვენიერს, რადგან თვით ღმერთთა მასში ერთმხრივ განხორციელებულ-გამოთქმული. მაგრამ ბუნების ესეთი ლტოლვილება ადვილად ვერ ახწევს თავის მიზანს, ბუნება ყოველთვის ვერა ჰქმნის ქვეყნიურ მძიმე და ბნელ ნივთიერებისაგან ზეციურ ნათლის შესაბამ სახეს. შემოქმედებითი ძალა მხოლოდ ხანდისხან ეწევა სავსებით თავის სურვილს და მაშინ ღირსგვყოფს ვიხილოთ ქვეყნად ღვთაებრივი ელვარება. ისტორიაში აღნიშნულია ამისთანა მაგალითები; ცხოვრებაშიაც შეხვდება კაცი ამისთანა ნიმუშებს. ამ ათიოდე წლის წინად სცხოვრობდა ამისთანა ქალი ტფილისში, წყაროს უბანში. უბრალო ხალხის შვილი იყო. ის რომ საზოგადოებაში გამოსული ყოფილიყო, ხალხი ფარვანასავით შვმოეველებოდა თავს. მაინც ბევრი მიდიოდნენ ქალის სანახავად, თუმცა ადვილი არ იყო მისი თვალის მოკვრა, რადგან ერთობ მოკრთალებული ხასიათი ჰქონდა და ათასში ერთხელ გამოდგებოდა ქუჩის კარებზე. ამისთანა იშვიათი მოვლენათაგანი იყო თინანოც. თუმცა ჯერ არ გავსილ-გაბადრულიყო თხუთმეტი წლისა, მაგრამ არამც თუ მხოლოდ ისანში, მთელ ქალაქში იყო მოფენილი მისი სიმშვენივრის ხმა. საათნავა მოეხიბლა იმის სიტურფეს და თინანოზე გამოღებულ მის ლექსებს უბან-უბან დამღეროდნენ; იმან დაარქვა ქალს ისნის ცისკარი. თინანოს განსაცვიფრებელი სილამაზე იმაში მდგომარეობდა, რომ: გამჭვირვალე სხეული შეჰმოსოდა, სხიოსანი. ქალი მაშინვე მიხვდა, რა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია ახალგაზრდა მებატონეზე და შერცხვა, მის ბროლის სახეს სისხლი მოადგა და ააგზნო.

- ჩემი ქალი გახლდათ, თინანო, - მოახსენა იოთამემ.

- მშვენიერებაა! - გულწრფელად წარმოსთქვა საამმა, - რატომ არ მინახავს აქამდის?

- ვერა ნახავდით, ბატონო, რადგან სოფლად არ მომყვანდა და შინაც იშვიათად მყვანდა: იასე დეკანოზი ზრდიდა ცხრა წლიდან, ნათესავად მოხვდება დედის მხრივ.

- მაშ ნასწავლიც იქნება.

- მოძღვარი ძალიან უქებს სწავლას; ჩემ შვილს ეფრემს არ ჩამოუვარდებაო.

ყმაწვილკაცს ისევ თინანოზე უნდოდა სიტყვის განგრძობა, მაგრამ თავი შეიმაგრა. ხილი იხილეს, უბრალო მსხალი საამს შაქარლამაზე უტკბესი ეჩვენა.

V

საამი მეორე დღესვე უნდა დაბრუნებულიყო სოფელში, რადგან საქმე გაარიგა და სიცხე-პაპანაქებაში ქალაქში დარჩენა ვერაფერი სასიამოვნო იყო. მაგრამ არამც თუ მეორე დღეს ვერ წავიდა, ერთი კვირაც მეტი მოუხდა ტფილისში ყოფნა. მხლებელი დარწმუნებული იყო, რომ მეორე დღეს გაუდგებოდნენ გზას და დილაადრიანვე შეკაზმა ცხენები. ბატონს რომ მოახსენა, ცხენები მზად გახლავსთო, იმან გაკვირვებით შეხედა მსახურს.

- ვინ გიბრძანა შეკაზმეო? ჯერ სავაჭრო არ მიყიდნია, არსაით მივმდგარ-მოვმდგარვარ და წავიდე?! მოხსენ ცხენებს!

მსახური ერთხანს პირდაღებული შესცქეროდა ბატონს, მერე გაბრუნდა ბრძანების ასასრულებლად.

- ნეტა იცოდეს კაცმა, რა აქვს სავაჭრო? ან თითქო ამ ქალაქ-დღეში ბაზარში გასვლას ველარ მოვასწრობდიო და გზადაგზა ვერ ვიყიდით, თუ რამე გვინდა? ან რა უნდა გვინდოდეს? სახლი ისევ სავსეა ყოველივე ღვთის მოწყალებით, - ფიქრობდა მსახური.

საამი დარჩა იმ დღეს ქალაქში, მაგრამ სავაჭრო არც-კი მოჰგონებია. მთელი დღე ადელვებული იყო: შადი-გადიოდა, ერთ ალაგას ვერ ისვენებდა, წესიერად ვერ ისადილა, სადილს უკან არ დაიძინა; უმიზეზოდ ჯავრობდა, ხან მეტის-მეტად ტკბებოდა და მხლებელს ელაზღანდარებოდა. მსახური გააკვირვა ბატონის ამნაირმა ქცევამ და დაუდგრომლობამ, მაგრამ რას შეებედავდა. მზე ჯერ არც-კი იყო გადახრილი, როცა ბატონი გამოეწყო და ულვაშის გრეხით გავიდა შინიდან. მხლებელი შებრუნდა და დაეგდო იატაკზე გაღეღილი, მაგრამ სიგრილეს ნაჩვევი მაინც ოფლში ცურავდა, შამფურივით ბრუნავდა.

- ნეტა რაღას აკეთებს ამ ჯოჯოხეთ ქალაქში ის დალოცვილისშვილი? ხომ მორჩი საქმეს და წადი, რაღა! ცხენიან-კაციანად რაზე გვხარშამ და სულს გვიხუთამ! მაგრამ ბატონი ბატონია, თუნდ ჭკვიანი იყოს, თუნდ სულელი: იმის ფიქრებს და

ქინიანობას კაცი ადვილად ვერ მოუვლის თავს. მერე როგორ უცნაურად იქცევა!
თითქო უკბინა რამემ, ზედ გულზე უკბინაო.

- კარგა ხანია, ქალაქში არა ვყოფილვარ, - ფიქრობდა საამი, - დავათვალიერო
მაინც აქაურობა, თვალს წყალი დავალევინო; მინდა კიდეც დანამდვილებით ვიცოდე
აქაური ქუჩა-მეიდნები და ადგილ-მდებარეობა, რადგან ბრძოლა აქ უნდა მოხდეს და
საჭიროა ზედმიწევნით ახსოვდეს ადამიანს ყველაფერი.

საამმა აღმა ჰქნა პირი, გაიარა მტკვრის კარი და წყალს გადაადგა. აქ დაუწყო
თვალიერება არაგვის ხიდის ბურჯებს, რომლების გარშემო წყალი დულდა და
ქაფდებოდა.

- მკვიდრად ჩაყრილი ქვა, - გაიფიქრა იმან, - კიდეც უმაგრდება ზვირთების
დენას, იმათი ჩამყრელის მარჯვენა-კი, მძლავრ ნუგზარ ერისთავის მარჯვენა,
დამიწებულია.

გაიარა გარეთუბანი და ავიდა ყაბახზე. ასპარეზი ეხლა ცარიელი იდგა, ქვეითა
თალარზე მტრედები შემომსხდარიყვნენ. მოაგონდა, რამდენი ხალხი ზიმზიმებდა აქ
იმ დღესასწაულში, როდესაც იმან პირველივე შეტყორცნით გადმოაგდო თალარიდან
ვერცხლის თასი. თვით ერეკლემ უქო მაშინ სიმარჯვე. ომს რომ გადიყრის ბატონი
მეფე, კიდეც გაჰმართავს აქ დღესასწაულს. მაშინ საამი თინანოს სახელზე გავა
მეიდანს. როგორი შურით შეხედავენ ბანოვანნი, როდესაც საამი ცალ მუხლზე
დაყრდნობილი მიართმევს თინანოს ჯილდოდ ალებულს თასს!.. ახ, როგორ
ანგელოზებრ დახრის თინანო თავის სამოთხე თვალებს! მე ვიცი, სიმშვენიერეს
დაუწუნებენ! ავიდა ქაშუეთთან, შემობრუნდა, გახდა ხევს, ქართლის კარით შევიდა
ქალაქშივე და სიონისკენ გასწია.

დახურულ ბაზარზე რომ მიდიოდა, არაჩვეულებრივი მოძრაობა შენიშნა.
ბაზრის ბიჭები მოედნისაკენ გარბოდნენ, ზოგი ოსტატიც დაედევნა უკან. საამმაც
ააჩქარა ფეხი. მეიდანზე ხალხს მოეყარა თავი. შუა ხალხში თეთრი ყოჩი ეჭირათ.
მაღალი ცხვარი იყო, გრძელ რქიანი, ქოჩორი ენდროთი ჰქონდა შეღებილი. ყელზე
ეჭვანი ება. ქერით დაეთროთ, თვალეები აჰრეოდა, ხალხს ეტანებოდა. ხიდის ყურიდან
სხვა ჯგუფები გამოჩნდა, რომელსაც წინ თათარი მოუძლოდა ქურთული ლეგა ყოჩით.
ეს უფრო დიდი ცხვარი იყო. რქები უკანა ჰქონდა გადატანილი და მერე წინ
შემოგრებილი; რქების წვერები დაეხერხათ. გააკეთეს წრე. გადგნენ ყოჩები.
ქართული უფრო მეტ მანძილს აკეთებდა და ფიცხობდა. ისეთი ჭახუნი მოისმა,
გეგონებოდათ, ტვინი შეანთხიეს ერთმანეთსაო. მესამე დაჯახებაზე თეთრს ერთობ
მაღალი კამარა მოუვიდა და მოპირდაპირეს რქები დაბლა მოარტყა. ყოჩი
დაბორიალდა, ნესტოდან სისხლი წასკდა. მეორე მხრიდან ყიჟინა დასცეს, მაგრამ
გამწარებული თეთრი მაშინვე გამოფხიზლდა და ისეთი სისწრაფით, ისეთი
ძლიერებით ეჯახა მეორეს, რომ უკანა ფეხზე დაზნიქა ის და გაამრუდა, მარჯვნივ
მიხარა. აღარც აცადა: იქვე ახლო გაუკეთა კამარა, დაჰკრა მძლავრად აღმაცრივ,
დასცა ძირს ლეგა და ზედ შედგა. თათარი რომ აქამდის ჩაკუნტებული შეჰყურებდა
ბრძოლას, ეხლა წამოხტა, იძრო დანა და უნდოდა ჩაეკრა თეთრისთვის. მაგრამ ხელი
ჰკრეს, წრიდან გააგდეს.

საამმა ისევ განაგრძო გზა. მივიდა ლეღვის ხევთან და აბანოებისკენ შეჰყვია.

- კარგი იქნებოდა, ბარემ მებანა. მაგრამ ჯერ დარჩეს; ხვალ წამოვალ განთიადისას, ბიჭსაც წამოვიყოლებ, - იფიქრა და უნდოდა სეიდაბათზე გასულიყო, მაგრამ უნებლიეთ პირი იბრუნა, ისნის ხიდზე გავიდა, მეტეხს აუარა, გუშინდელ ადგილიდან გადახედა მტკვარს, დასათვალიერებელი აღარა აღმოჩნდა-რა. ჩაჰყვა ქვემოთ იოთამეს სახლისკენ.

- ხომ ამოველ და ბარემ წმ. ბარბარეში ვილოცავ; კიდევ დავათვალიერებ, რამდენად მარჯვე იქნება მტრის შეყენება, თუ იმან მტკვარზე გამოსვლა მოისურვა ან კახეთის ხიდით, ან სოღანლუღის ფონით.

თინანთან სახლის წინ ფეხი დააწყნარა და ბევრი ათვალიერა ეზო-ყურე, მაგრამ ვერავინ შენიშნა. მხოლოდ დათვიამ იცნო გუშინდელი სტუმარი, კუდის ქნევით მოეგება. საამს უამა ძაღლის ნახვა, მისი მეგობრულად მიეგება და ხელი დაუსვა ჭკვიან ცხოველს.

VI

როდესაც საამი დაბრუნდა წმ. ბარბარედან და თინანთან სახლ წინ ამოიარა, მზე ახალი ჩასული იყო. ეზოს კარი ღია დახვდა. იოთამე ალაყაფის კარებთან იჯდა. ბაღჩაში პირისფერმა კაბამ გაიელვა. საამს უცნაურად აუბგერდა გული. ოსტატი წამოხტა, მხიარულად მიეგება.

- აქათ სადა ბრძანებულხართ, ბატონო?

- წმ. ბარბარეში ვილოცე და მტკვრის ნაპირიც დავათვალიერე იმ მხარეს.

- დაიღლებოდით, ბატონო, შემობრძანდით.

- არა, გმადლობ: გვიანდა არის.

- რას მიბრძანებთ! მობრძანდით, ბატონო! საათნავაც უნდა მოვიდეს, დამპირდა: მოგეხსენებათ, მეგობარია ჩემი. მცირე ვახშამი გავშალოთ ბახჩაში. მობრძანდი, შენი ჭირიმე, ნუ იუკადრისებ ჩემ ოჯახს!

- ნუ იტყვი მაგას! სასიამოვნოა პატივცემულ ადამიანთან დროს გატარება. საათნავას სიმღერა ხომ, დიდი ხანია, არ გამიგონია, აღარ დავმტკვარვარ მისი ჰანგებით.

ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მოსალოდნელ ომზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ამ ამბავმა ააღელვა მომღერალი, ემზზე მოიყვანა და რამდენიმე საგმირო ლექსი იმღერა. მერე სააშიკო ხმები ითქვა. ღვინო რომ შეუჯდათ, ხუმრობითაც ბევრი იხუმრეს. მელექსემ მოხერხებული ხმებით ია-ვარდი გადააყარა გაშლილ სუფრას. საამისთვის მხოლოდ ის აჩრდილებდა ვახშამს, რომ ქალი იმათთან არ იჯდა. დუქნის ბიჭი რომ ხელზე ემსახურებოდა სტუმრებს, თინანო სარისტას აძლევდა, თვალყურს ადევნებდა. მხოლოდ როცა საათნავა მღეროდა, ქალი აღარ შორდებოდა სუფრას და

აღზნებული თვალებით შეჰყურებდა მგოსანს. მთვარის შუქზე სავსებით ისახებოდა მისი ჰაეროვანი მშვენიება; ხშირი თმის კულულები სხივებივით მოსჯროდნენ სპეტაკ სახეს; უმანკოება იხატებოდა მის თითქო ოდნავ გაკვირვებულ თვალებში. საამი განიმსჭვალა სურვილით, უნდოდა თვალი არ მოეწყვიტა ქალისთვის, მაგრამ გაბედვით ვერ უმზერდა: ეხატებოდა, ეკრძალებოდა შეემჩნევიდნენა გრძნობა.

- აფსუს, რომ კეთილშობილთაგანი არ არის, თორემ ამ ანგელოზს სამეფო ტახტის დამშვენება შეუძლიან, - ფიქრობდა საამი.

მთვარე ჩაესვენა, როცა სტუმრები გამოეთხოვნენ მასპინძელს. საამი აღტაცებაში მოეყვანა თინანოს და ისე ძლიერ უთქვამდა მისთვის გული, რომ თავის შემაგრება უძნელდებოდა. მისი გონება ეხლაც თინანოს უმზერდა, მხოლოდ იმასა ჰხედავდა, იმას ეტრფოდეალებოდა; სხვა ყველაფერი ბნელს ჩაენთქა მისი აზრისათვის.

სირაჯხანაზე დაბრუნდა. ქუჩის თავში, მიკიტნის დუქნის წინ, ორი კაცი შეექცეოდა. ერთს მოკლე ახალუხი ეცვა, ნაოჭად ასხმული, განიერ შარვალზე მწვანე ყანაოზის სათავე ეკერა, ტყავის ქამარზე ვერცხლის ბალთები და წოწოლა ღილები ესხა; მაღალყელიანი ჩუსტები ეცვა. ღილებჩახსნილ ახალუხიდან წითელი მოვის პერანგი უჩანდა. წვერი მოეშვა. ბღღვრიალა თვალები და ჯილა წარბები საშიშ იერს აძლევდნენ მის სახეს. მეორე უფრო ახალგაზრდა იყო, მომცრო ტანისა. თეთრ ჩოხაზე შალის სარტყელი ერტყა, ფოჩებიანი; საცვეთ-ქალამნები ემოსა. თეთრი წამწამით მოზღუდული წითელი თვალები აცაბაცა დაურბოდნენ. საამმა რომ ჩამოიარა, მოქეიფებმა ყურები სცქვიტეს.

- ბიჭო, ტიტებ! ეს ის თავადიშვილი არ არის, წელან რომ მეიდანზე დაგვისხლტა ხელიდან?

- ის არის! სადა ყოფილა?

- ერთი კიდევ ვცადოთ! მაშინვე მოუჩხრეკდი მაგას ჯიბეებს, თუ ი თათარს უდროვოდ არ ეძრო დანა.

- არა, ყოჩმაც ცუდ დროს გვიმტყუნა! - სთქვა შავწვერამ და წამოხტა.

დამის ოსტატები აედევნენ საამს. ჩოხიანი კედელ-კედელ მიცურავდა, მეორე შუა ქუჩაზე მიდიოდა. სირაჯხანის თავქვე რომ ჩაათავეს და ჯვარედინ გზაზე მივიდნენ, შავ-წვერა გადუდგა მგზავრს და სალამი მისცა:

- ბატონს გაუმარჯოს!

- გაგიმარჯოს! - მიუგო საამმა და გზა განაგრძო. ავაზაკი წინ გადაელობა და უბრძანა ჯიბეები ეჩვენებინა.

საამი გამოერკვა ოცნებას. შეემლო იქვე გაეგმირა კაცი, მაგრამ იარაღის ხმარება აზრადაც არ მოსვლია; მხოლოდ გაიკვირვა იმ კაცის კადნიერება. ავაზაკმა ხელი სტაცა საყელოში. ვაჟკაცმა ნახა, რომ ავაზაკი აღარ ხუმრობდა, სარმა გამოჰკრა, ანაზდეულად დასცა ძირს თავხედი და გულზე მუხლი დააბჯინა. ამ დროს მეორე

ამხანაგი მიეპარა საამს უკანიდან, იძრო საცვეთიდან ბებუთი და დასცა. საამი წამოხტა, ხმალი იშიშვლა, მაგრამ ჯიბგირმა ერთი თავი დალუნა და ისე გაქანდა რიყისაკენ, როგორც შურდულის ქვა. წაქცეულმაც იდროვა, სიბნელეში მიიმალა.

ეხლა-კი გული მიეცა ასასს, რომელიც მიწოლილიყო კომბლით ხელში და თავი მოემძინარებინა: მიეშველა დაჭრილს. საამს უნდოდა, ბინაზე წასულიყო, მაგრამ რადგან დიდი მანძილი იყო იქამდის, სისხლი-კი თქრიალით გასდიოდა, იოთამეს სახლსვე მიატანა. ძალიან კარგიცა ჰქმნა, რადგან დუქანში აბა ვინ მოუვლიდა იმას? ასასმა მიაცილა სახლამდის.

VII

ამ უსიამოვნო შემთხვევამ შეაწუხა იოთამე. დაჭრილი თავის დას სიდონიას და ქალს ჩააბარა. თითონ-კი ძამნა ბაჯიაშვილთან წავიდა, რომელიც განთქმული ექიმი იყო მაშინ. დოსტაქარმა ჭრილობა რო გასინჯა, მაშინვე ირმის თასმა მოუჭირა ზევით, იარას პირი უყო დაგამოწოვა; გამოავლო წამალი რამ და იქვე მომზადებულ მალამოთი შეუხვია.

- დროზე მოვასწარი! თითონ ჭრილობა თქვენისთანა ვაჟკაცისათვის არაფერია, მაგრამ ბებუთი მოწამლული ყოფილა, - უთხრა ექიმმა.

საამმა მოისურვა თავის ბინაზე წასვლა, მაგრამ არც სახლის პატრონმა, არც ექიმმა არ გაუშვეს, რადგან მოვლა ეჭირვებოდა და იქ ხელს ვერავინ შეუწყობდა.

- ესეც რომ არ იყოს, - უთხრა ექიმმა, - ეხლა თქვენი დამვრა შეუძლებელია: იარა დაიჟღლება, ჰავას აიღებს და გაარჯლდება. ერთი კვირის შემდეგ შეიძლებთ ცხენზე ჯდომას, პირდაპირ შინ წაბრძანდებით.

- მანამდინ-კი ჩემი სასურველი სტუმარი უნდა ბრძანდებოდეთ! გთხოვო, ისე გულდინჯათ იყოთ ჩემს ოჯახში, როგორც საკუთარ სახლში, - შესთხოვა მასპინძელმა.

მეტი გზა არა ჰქონდა საამს, უნდა დაჰმორჩილებოდა. პირველად ეხატრებოდა, ეჩოთრებოდა სხვის სახლში წოლა, მაგრამ მალე შეეჩვია, რადგან გულწრფელი პატივცემით და სიყვარულით ეპყრობოდნენ ყველანი. თინანოიანი იმიტომ-კი არ ექცეოდნენ ავადმყოფს ღმობიერად, რომ ის ბატონკაცი იყო და მისგან რამეს გამოელოდნენ, არამედ იმიტომ, რომ თითონ ოჯახი იყო გულდია, სტუმართმოყვარე და მოსიყვარულე. გაჭირვებული მტერიც რომ შეჰფარებოდათ, იმასაც არ მოაკლებდნენ ზრუნვას.

საამმა ცნობისმოყვარეობით დაუწყო მასპინძლის ოჯახს თვალიერება. ამგვარი მოწყობილი სახლი ახალი რამ იყო მისთვის და უცნობი. ჯერ იმან მიიქცია საამის ყურადღება, რომ აქ შრომა იყო პატივცემული, გაბატონებული. ოჯახის უფროსი ხომ დილიდან საღამომდის მუშაობდა. სახლშიაც მისი და სიდონია და ქალი თინანო დაუღალავად საქმობდნენ, დაუსვენებლივ ტრიალებდნენ, დღიურ ვარამს ებრძოდნენ. და ყველა ამას ასრულებდნენ უჩუმრად, როგორც რომელსამე აუცილებელ მოძრაობას, ადრიდანვე შეთვისებულს. მსახური არა ჰყვანდათ, დუქნის

ბიჭს მოჰქონდა, რაც საჭირო იყო. სახლი მაინც ყოველთვის დალაგებულ-დასუფთავებული იდგა, სადილ-ვახშამი თავის დროზე მზადდებოდა, ყველა კუთხეში სისუფთავე სუფევდა, ყველაფერი დარეცხილ-დაქათქათებული იყო. ამასთანავე მოზოშილი არავინ დადიოდა, ჩაცმულ-დახურულები ტრიალებდნენ. არამც თუ სახლის საკერავ-საქსოვი არ გაჰქონდათ კარზე, თითონვე ასწრებდნენ საბაზრო ხელსაქმის კეთებას. თანაც შრომას მთლად ვერ ჩაენთქა ისინი, რაღაცა მანქანებით კიდევ რჩებოდათ დრო გონება-გრძნობის სავარჯიშოდ. სახლში ჰქონდათ "ვეფხისტყაოსანი", "ქალ-ვაჟიანი", "ვისრამიანი", "ამირან-დარეჯანიანიანი", "ყარამანიანი" სურათებით, ზოგიერთი საეკლესიო წიგნი, კარაბადინი. ყველა ეს საუნჯე ხელუხლებლად არ იდო ყუთში. თინანომ მთლად იცოდა წიგნების შინაარსი,

"ვეფხისტყაოსანს"-ს ხომ ზეპირათაც კითხულობდა. გარდა ამისა, ოჯახში სასტიკად დაცულ უფროს-უმცროსობასთან მოთავსებულიყო ერთმანეთის გულითადი სიყვარული. ესეთი ოჯახი ახალი ხილი იყო-მეთქი საამისათვის, რადგან თუმცა იცნობდა მარად მშრომელ გლეხის ოჯახს, მაგრამ იქ შრომა ყოველთვის სამძიმო ტვირთად მიაჩნდათ, აუცილებელ სატანჯველად: გლეხი არ იყო ნამდვილი მესაკუთრე, არ იყო თავის ნაღვაწის პატრონი, მისი ოფლიც და ქონებაც ბატონს ეკუთვნოდა, მისი შრომა იყო ნაძალადევი და ამისათვის სამძიმო; შრომას იქ თანა სდევდა ავობა, ღრიალი, ლანძღვა და ცემა უმცროსისა თუ საქონლისა. თავად-აზნაურის ოჯახში კიდევ გაბატონებულიყო სიზარმაცე, და რაც უფრო დიდებული იყო ოჯახი, იმდენად მეტი იყო იქ უსაქმოზა, ისე რომ ბატონკაცურად ცხოვრება და უქმად ყოფნა ერთიდაიგივე იყო; კეთილშობილთ ოჯახსაც არ ედგა სამირკვლად სათნოება, რადგან უქმობასაც, როგორც ნაძალადევი შრომას, არ შეეძლო სიმშვიდის და კეთილ-განწყობილების გაღვიძება. საამი იცნობდა კიდევ სამღვდელთა ოჯახს, მაგრამ იქ საკურთხებლად გაწვდილ მარჯვენაზე სიხარბის დალი დაესვა ეშმაკს და წაეხილწა.

იოთამეს სახლი რომ მოეწონა საამს, ეს იმ ოჯახის ხასიათიდან წარმომდინარებდა. მაგრამ საამი რომ აღტაცებაში მოიყვანა იმ ოჯახმა, ამას-კი სხვა სარჩული ჰქონდა: ამის მიზეზი თინანო იყო. ქალი ეხლა აღარ უფრთხობდა საამს, აღარ ეკრძალებოდა; ისე უყურებდა იმას, როგორც ავადმყოფს, სასიამოვნო ავადმყოფს, რომელსაც ხელის შეწყობა და მოვლა ეჭირვებოდა. თინანომ ისე შეიგნო ეს თავის მოვალეობა, ისე შეუწყო ხელი ავადმყოფს, ისე შეუწონა მის ხასიათს, რომ სენი გაუადვილა ვაჟკაცს. შეუდარებელი შემწე შეიქნა დოსტაქრისა.

- ეს ღვთისაგან დალოცვილი, - იტყოდა ხოლმე ექიმი, - ისე აზრიანად და მარჯვედ ირჯება, თითქო თავის დღენი ამ საქმეში გაუტარებიაო.

უფრო სასიამოვნო ის იყო, რომ ქალის სათნოებით სავსე წრფელ გულთან შეთხზილი იყო ხასიათის წრთვნილება. ქალის გუნებაში სიმხიარულე სჭარბობდა, აღტაცებული მხიარულება-კი არა, რომელიც გიჟმაჟობით გადაიქცევა ხოლმე, არამედ დინჯი სიმხიარულე, რომელსაც თანა სდევს ფიქრ-ნაღვლის ანგელოზი და ფრთას არ ამორებს. ზნე-ქცევის სიმარტივე-სიფაქიზეს ჩაცმა დახურვის სიმარტივე-სიფაქიზეც შეჰხამებოდა. დაცქრიალებდა ქალი, როგორც ნათლის ქულა რამ, ოჯახის ყოველ კუთხეს ასინათებდა, ყველას გულს ათბობ-ამუქებდა.

ამ ქართველი ხელოსნის ოჯახმა და მისმა შრომა-სიყვარულზე დამყარებულმა წყობილებამ ხომ ასიამოვნა ვაჟკაცი. თითონ საამმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ოჯახზე. ბატონი ამ ხალხს წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც ნებიერი რამ სულდგმული, მბრძანებელი, ჟინიანი, თვითნება, რომელსაც ყველაფერში და ყოველგან მხოლოდ თავის თავი ახსოვს, რომელიც სხვისაგან მხოლოდ სამსახურსა და მონობას თხოულობს. საამი-კი არ აზიზობდა და სიმტკიცით იტანდა ტკივილებს, მისი გმინვა არავის გაუგონია; მერე სულ ფრთხილობდა, არავინ შეეწუხებინა გაუჭირებლივ, ხოლო მცირეოდენ სამსახურსაც-კი მაღლობით იღებდა; ესე ექცეოდა ის არამც თუ მასპინძლის სახლობას, თავის მსახურსაც, რომელიც ბრყულად მედიდურობდა, ყვინტყვინტებდა, თუმცა პატრონის ჩუმად-კი, რადგან დიდი შიში და ხათრი ჰქონდა ამ ლმობიერ ბატონისა.

- ამისთანა კეთილშობილ მებატონის ხელში ყმა უბედური არ არის, - გაიფიქრებდა ხოლმე იოთამე.

- სწორედ ბედნიერ ვარსკვლავზე იქნება დაბადებული ის ქალი, რომელიც ამ ვაჟკაცს შეხვდება, - ფიქრობდნენ ქალები.

თინანოს მით უფრო მოსწონდა თავის ზრდილი ავადმყოფი, რომ ჭრილობამ უფრო დაამშვენა ის: შავი წვერ-ულვაში მეტად ეშხიანად ეხვეოდა გარს მის აწ მკრთალ სახეს, შავ თვალებს თითქო უფრო უდიდრონებდნენ თვალ ქვეშ ჩამუქებული უბეები; ეს თვალები გულს სასიამოვნოდ უტოკებდნენ თინანოს, რადგან აღტაცება იხატებოდა იმათში, თუ ქალი მიუახლოვდებოდა ვაჟკაცს.

VIII

იმდენად მორჩა საამი, რომ შესძლო ცხენზე ჯდომა. ეხლა თუმცა შეეძლო წასულიყო სოფელში, მაგრამ კიდეც დარჩა ცოტახანი, თითქო აღარ მიუხაროდა შინ, გული დაჰბმოდა იქ. მაგრამ როდემდის? წასვლა საჭირო იყო, ხანის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. უკანასკნელმა ვახშამმა მეტი ხანი გასტანა. საამი შესთვისებოდა სახლს, ოჯახის წევრებიც შესჩვეოდნენ იმას და გაყრა ეძნელებოდათ. ვახშამზე ისევ მოსალოდნელ ბრძოლის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი.

- ამოდენა ხალხი რომ იხიზნება, თქვენ როგორა ფიქრობთ ამაზე? - შეეკითხა იოთამე.

- კარგია, რომ ფრთხილობენ, თავდარიც იჭერენ. მაგრამ ქალაქი თუ აოხრდა, განა სოფლები-კი ხელუხლებლები დარჩებიან? მტერი თარეშს დაიწყებს, უპატრონო სოფლებს გაანადგურებს.

- მაშ მე არ გავხიზნო სახლობა?

- უნდა გახიზნო, თუ სადმე მიუვალი ადგილი გეგულება. ესეთი ადგილი-კი მხოლოდ მთებია.

- ბატონ ერეკლეს რომ უბრძანებია, ქალაქამდის უნდა მოვიტყუო მტერი და აქ შევებრძოლოვო, უწუნებენ ამ განკარგულებას.

- ეგრე ფიქრობს, ვისაც საქმე არ ესმის. მეც არ მომწონდა მისი ბრძანება, მანამ საქმეს ჩავაკვირდებოდი; ეხლა-კი სხვა არის. როგორა გგონია, ანაზღადად მომზადებული ჩვენი ჯარი გაუძლებს გაშლილ ადგილზე ალა-მაჰმად-ხანის უთვალავს და გაწვრთნილ ლაშქარს? ვერა! მაგრამ თუ ჩვენი ჯარი ესეთ სიმაგრეს მიჰყუდებს ზურგს, როგორც ტფილისია, მაშინ ერთი ასსა სძლევეს.

- მართალსა ბრძანებთ! ცოდვა არის ერეკლეს ომის შესახებ აზრი დაუწუნონ, მაგრამ ათას ხმას ავრცელებენ.

- ბევრი მტერი ჰყავს ბატონს. შემოხიზნულ უცხო ტომებისას არას გეტყვით; იმათთვის საქართველო არ არის სამშობლო ტკბილი, ისინი პირად სარგებლობას მისდევენ და განსაცთელში სანდონი არცა ყოფილან, არც იქნებიან, მაგრამ მათი მტრობა და ვერაგობა ანგარიშში მოსატანი არ იქნებოდა, თუ იმათ ხელს არ უწყობდეს შინაური არეულობა: ბატონიშვილების ერთმანეთში მტრობა და მძლავრთა თავხედობა.

- სწორედ ეგევე ბრძანა იმ დღეს ჩემმა ოსტატმა და ღმერთს შესთხოვა, განსაცთელი აეცილებინა მეფისათვის, - სთქვა მორცხობით თინანომ.

- იასე დეკანოზი ჰკვიანი კაცია და იცის, როგორ სწარმოებს საქმე. დაიხსნას უფალმა მეფე და ქვეყანა განსაცთელისაგან!

- მე ესე მოვიფიქრე: თუ რამე საფასური გვაქვს, დავფლავ მიწაში, შევემზადები გასახიზნად და მოვიცდი, რადგან მეფე აქ იქნება და, მაშასადამე, ეს ადგილი ყველაზე ძლიერი ადგილია ეხლა. თუ გაჭირდება, თითონ ბატონი ერეკლე გვიბრძანებს, გაიხიზნებითო. მანამდის-კი ვიმუშავებ; სარგებლობაც რომ იქით იყოს, სწორედ ეხლა სჭირია ქვეყანას ჩემი ხელობა, - სთქვა იოთამემ.

- თუ გაჭირდა, მაშინ მე გაგხიზნავთ თქვენცა და იასე დეკანოზის სახლობასაც; ბირთვისის ციხეში აგიყვანთ.

- შენი იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, ჩემო ბატონო!

- თუ თავი ხელთ მექნება, ხომ თითონ მე ვიცი, როგორც მოვიქცევი, თუ არა, ნიშანს მოგცემთ და ჩემი ყმები აასრულებენ ჩემ სურვილს; - ეს რომ სთქვა, ამოიღო ბეჭედი და თინანოს მიაწოდა. - დედი ჩემის სახსოვარია ეს ბეჭედი, ჩემთვის მთელ ქვეყანაზე უძვირფასესი; გთხოვთ, ჩემ სახსოვრად გქონდესთ ეს... ეს ნივთივე იქნება ის ნიშანი, რომელსაც მოგახსენებთ. გადააბრუნეთ, ამენდე, ამოჭრილია "თ" და "გ": დედაჩემსაც თინათინი ერქვა.

ქალმა თითქმის უნებლიეთ გაიწოდა ხელი ძვირფას ბეჭდისაკენ და თან მამას შეხედა. იოთამე ერთ წამს შეფიქრდა და ნება დართო ქალს.

- მე ვილოცავ განსვენებული დედათქვენისათვის! - სთქვა აღტაცებით ქალმა და ნივთს მიუაღერსა.

იოთამე შევიდა ოთახში და ცოტა ხანს უკან ხმალი გამოიტანა. მახვილი უბრალოდ იყო შემოსილი, ერთი ვერცხლის ბალთა არ ება. მართო ნივთი საამს და მოახსენა:

- ეს მცირედი სახსოვარიც ჩემგან ინებეთ!

საამმა ჩამოართო ხმალი და რომ ამოიღო, თვალეზი გაუბრწყინდა, აეგზნო.

- ერთ ციხედა ღირს!

- იცანით! - სთქვა იოთამემ სიამოვნებით. მერე ჩამოართო საამს ხმალი და, რომ ეჩვენებინა მისი სიკეთე, თითქმის დაკეცა. ისევ გადასცა ნივთი ახალ პატრონს და ნაღვლიანადა სთქვა: - ოსტატი ვარ, დღეს ხელობაში წინ ვერვინ წამიდგება, მაგრამ მაგის მსგავსი მახვილის გაკეთება ვერ მოვახერხებ. ჩააკვირდით! ფოლადის წმინდა ძაფისაგან არის შეთხუზული მთელი ხმალი, არკი ლაპლაპებს, ბუნდად ბრწყინავს, როგორც გველის კანი.

- ნეტა, ვისი ნაქონია ეს პატიოსანი იარაღი?!

- შემთხვევით ჩამივარდა ხელში. ზარაფ მილუასთვის მიეყიდნა ერთ მეტივეს ვერცხლის ყაწიმები და ეგ ხმალი. ტყეში ვმუშაობდი და ხეებს რომ ვათვალიერებდი, მორზე დაყრდნობილი შეიარაღებული ოსმალი დავინახე; შემეშინდა, გავიქეცე; სხვა მხრიდან მოვუარე, კაცი ისევ იქ იყო, არ ინძრეოდა; მოვიმარჯვე ცული, ფეხაკრეფით მივეპარე, - მკვდარი ყოფილიყო. ეს ხმალი და ყაწიმები იმას ავყარეო, ეამბნა. მაშინვე ვიცანი ნივთი და ვიყიდე.

IX

აბანოებიდან მეჩუსტეებისაკენ მისდევდა აღმართ-დაღმართი ქუჩა, რომელსაც მოკლე გზით გადმოჰყვანდა მეიდნის თავში. ამ ვიწრო ქუჩაზე მღებრები ისხდნენ. ზარაფ მილუას აქა ჰქონდა სახლი. სამ-სართულიანი შენობა იყო; სარდაფს ორი ოთახი ედგა ერთმანეთზე, ისე რომ მთელი სახლი სამი ოთახი იყო ზედიზედ აშენებული. სახლის კედელში ისეთი ვიწრო კიბე ასდევდა, რომ კაცი კაცს გზას ვერ აუქცევდა. მთელი შენობა პაწაწინა კომპს წარმოადგენდა. სახლს თარო-თახჩები და განჯინები ჰქონდა დატანებული. უბანი მჭიდროდ იყო დასახლებული, დილიდან საღამომდის ირეოდა ხალხი.

მაშინდელ დროში ზარაფხანა ბანკს წარმოადგენდა. ფულის დახურდავება და ამაში გროშების აღება სახელდახელო რამ იყო ზარაფისათვის. უმთავრესი მისი საქმე ის იყო, რომ ზარაფხანაში ფული შეჰქონდათ შესანახადაც და გასასესხებლადაც. ზარაფი ამ შეტანილ ფულს ათამაშებდა, აღებ-მიცემობდა. ზარაფსვე აზარებდნენ შესანახად ძვირფას ნივთებს, თუ საშიშროება მოითხოვდა. თუ ზარაფი ნდობას დაიმსახურებდა, მის ხელში დიდი ფული ტრიალებდა.

დუქანი მილუას ბაზაზხანის ქიმში ჰქონდა, სიონისკენ. დიდი მდიდარი კაცი იყო, თუმცა არ იჩენდა სიმდიდრეს და ძუნწადა სცხოვრობდა. როცა ომიანობის ამბავი გავრცელდა, მაშინვე სარისტა დაიჭირა.

- ომიანობა გაჩნდება, დავიდარაბა... ვინ იცის, რა მოხდება! - ფიქრობდა ის. - ქალაქი ჯარით აივსება, ხმალი დატრიალდება, თასი მოკვდება, ბევრი დაიკარგება. მერე ვინლა გამინაღდოს ჩემი ფული? სჯობია, სარჩო შევაგროვო, ყველაფერი ანგარიშში მოვიყვანო და ისე დავხვდე არეულობას. რამდენიც უფრო მეტი ნაღდი გაქვს ხელში, იმდენი უფრო ძლიერი ხარ და უშიშარი ამისთანა გაჭირვების დროს. ესეც იქით იყოს, ჭკვიანი კაცი, თუ ნაღდი აქვს ხელში, ბევრ სახეირო საქმეს გააკეთებს ამისთანა დროს. რამდენი ძვირფასი ნივთი ან მამული გაიყიდება მაშინ ჩალის ფასად! როცა ჩხუბობენ, ტვინი აღარ რჩებათ თავში და ოქროს ბზესავით აპნევენ. მეომარი რომ ხმაღს ატრიალებს, მოქალაქე ვერცხლს უნდა აპრიალებდეს.

მაშინ იყო რომ მიღუამ უბრალო ტანისამოსი ჩაიცვა, საზარაფო ყუთში ნაღდი შეამცირა; სესხით აღარავის არ აძლევდა, თუ არ დიდი გირაოთი, და მოვალეებში დაიწყო სიარული ფულის მოსაგროვებლად.

ამავე დროს სხვა დარდიც გაუცხოვლდა მიღუას და ღრღნიდა. საქმე ის არის, რომ ზარაფს ერთი პირი ცოლ-შვილი ამოეჭამნა; ამბობდნენ, სიძუნწით ამოაღრჩოვო, და სწუხდა, რომ მის აუარებელ ქონებას მემკვიდრე არა ჰყვანდა. გადაწყვიტა მეორე ცოლი შეერთო.

- რა მიჭირს? ჯერ ისევ ჭარმაგადა ვარ. რითი მჯობიან თავსუბუქი ჯელები? თვალ-მარგალიტში ჩავსვამ ცოლ-შვილს... განა ცხოვრებულ თალაღას-კი არ შეეძლო ოქროს ღილებიანი ქათიბი ჩაეცვა, ვერცხლის ქუსლებიან ქოშებზე შემდგარიყო და სულ ყაბლუფლავი ეჭამნა, მაგრამ ჭკვიანი იყო, ყაირათიანი. როგორ უხაროდა ხოლმე, როცა მოგებას შემოვიტანდი! არ დასცალდა საწყალს, დოვლათით გაეხარნა. ეჰ, ღვთის ნებაა ყველაფერი! განა ჩემ თალაღას-კი არ ენანება ახლა, რომ ამოდენა შემდლებას პატრონი აღარა რჩება. რომ შეეძლოს ცხოვრებულს, ამომძახებდა: "მიღუჯან, ახლა რასა ზიხარ ეგრე და ცოლს არ ირთამ?! გინდა შენი ძმა სოსიას აჭალბუჭულები გაახარო! ერთი მემკვიდრე გაუჩინე ჩვენ ქონებასა. მაგრამ ახლა სადღა ვიშოვო თალაღას საბადლო ქალი? არა, ვინ დამიჭერს ქალს, რომელი მოქალაქე გამიბედავს, ქალა არ მომცეს, მაგრამ ვაი თუ ვინმე ქარი შემომივარდეს სახლში!..

მიღუას გასაჭირი ეხლა ეს იყო, და თავის მოვალეებში რომ დადიოდა ან ნაცნობებში, ეს აზრი ჩრდილივით თანა სდევდა, ამ დღე თავს დასტრიალებდა, ჩასჩურჩულებდა, მოსვენებას არ აძლევდა აი, ეხლა იოთამესთან რომ მიდიოდა ვალის გასანაღდებლად, თან ის აზრი მისდევდა:

იმ დღეს მკითხავმა რა კარგად გაიგო ჩემი დარდები! მითხრა, სამებარს იქ იპოვი, სადაც არ ელიო: თუმცა სიძნელე გხვდება წინ, მაგრამ შენი მარჯვენიდან რაღაც ძალა გამომდინარებს და იმითი სძლევო; ბოლოს, შენ გიერთდება, არ ვიცი, დიდი რამ ზინეთი თუ სხვა გულის სისრულეო. ჩემ ყისმათზე ამბობდა, რაღა! ნეტა, ვინ იქნება? ჩემ მარჯვენას ფული უჭირავს და ალბად ის ძალა დაინახა ხელის გულზე, - ფიქრობდა ზარაფი.

იოთამე გზაში შეხვდა. მიღუამ იქვე სთხოვა ფული. ზეინკალს ჰქონდა ნაღდი, დაჰპირდა გასწორებას, წაიყვანა, უანგარიშა, ჩააბარა, თამასუქი დაახვეინა. მერე

იოთამემ უამბო საამის სტუმრობა, რომ მალე უნდა მომხდარიყო დიდძალი მტრის დასხმა. ამაზე რომ ლაპარაკობდნენ, ეზოს კარი გაიღო და ქალები შემოვიდნენ.

მიესალმნენ სტუმარს. როდესაც მიღუამ თინანო ნახა, ძალიან მოეწონა.

- ეს თინანო არ არის, შენი ქალი?

- ის არის!

- რას წარმოვიდგენდი, პატარა თინანო ამოდენა გაიზდებოდა და ესე გაიფურჩქნებოდა! თვალში ჩინი ჰქონია საათნავას რომ ლექსი უთქვამს ამაზე. მართლა, რომ ცისკარია, მნათობლად აღმომხდარი! - სთქვა მიღუამ და ისეთმა აზრმა დაჰკრა თავში ელვასავით, რომ თითონვე შეკრთა.

- "რა ქალია! - ფიქრობდა ზარაფი გზადაგზა, - სწორედ ბაჯალლოა. ბედი გაქვს რაღა, მიღუ! შენ ოქროს ტახტზე სწორედ მაგისტანა ვარსკვლავი უნდა დაბრწყინდეს. მერე ეგ ქალი იოთამეს მემკვიდრეა და მისი ქონებაც მე დამრჩება. მაგრამ ძალიან ნორჩია ჩემი თინანო, მე-კი თმაც გამითეთრდა. ეჰ, თმას რა ჰკუა აქვს! ჩემი ოქროების სხივზე ჩემი თმაც ყორნის ბოლოსავით იბჰყვრიალებს. რა უშნოდ ვიყავ ჩაცმული! ერთი კიდეც ვნახამ და..."

X

ჯერ წირვები არ დარეკილიყო, როცა მიღუა ირთვებოდა, საუკეთესო ტანისამოსს იცვამდა: ბურნუთის ფერი განიერი შარვალი, ყოშებიანი ახალუხი, შავ მაუდის კაბაზე ფოჩებიანი სარტყელი, ხარაზის წაღები ყელზე სოსან ტყავ-წაკრული. ჩამოიცვა თავზე ბუხრის წოწოლა ქუდი და ჩაიხედა სარკეში. თითქმის მოეწონა თავისი თავი. მხოლოდ ის არ ესამოვნა, რომ ახლად მოპარსული პირის კანი გაფხევილ საქალამნეს დაჰგვანებოდა.

- მაშ ვერა ვარ პატივსადები მოქალაქე? შნოთიც-რა მიჭირს! მაგრამ ნეტა ე თვალეები რათ მეწირპლება? - სთქვა და ლურჯი ხელსახოცი გამოისვა კილოებში. - ამბობენ, კილოდაბმული თვალი სიძუნწის ნიშანიაო. სიძუნწისა-კი არა, ჰკუის ნიშანია; თუ - რა, მე, უპოვარ-უშოვარმა კაცმა, როგორ შევიძინე ამოდენა სიმდიდრე?! აკი გეუბნები, ჩემი სიმშვენივრე - ჩემი ჰკუა და უნარია-მეთქი.

გასწია ზარაფმა ისნისაკენ. იოთამეს გაუკვირდა მიღუას მისვლა, ყურები ცქციტა, ვნახოთ, რა უნდა ამ კაცს, რადგან ეს უსაქმოდ არსად წავა და მერე ესე მორთულიო!.. არაფერი-კი არ შეამჩნევინა, გულდია დაუხვდა. ლაპარაკში სადილობამაც მოატანა და რაღას გაუშვებდნენ სტუმარს. ქალებიც იქვე დატრიალებდნენ, აზრადაც არ მოსვლიათ მორიდებოდნენ ნაცნობ ბერიკაცს. ყარყარა თინანო რომ დაცქრიალებდა, მიღუას პირში ნერწყვი მოსდიოდა და თან გაბედულობა ეკარგებოდა, იმედი ერყეოდა.

- ახ, ნეტა შეიძლებოდეს ჯეელობის ყიდვა! ჩემ ნახევარ ქონებას მივცემდი, ვინც ახალგაზრდობას დამიბრუნებდა, - ფიქრობდა ზარაფი.

სადილზე ბერიკაცმა ლაპარაკს უმატა, გამხიარულდა, აღტაცებაში მოვიდა. ათასი რამ ამბავი სთქვა, ბევრი იოხუნჯა, იკლიკანტური სადღეგრძელოები დალია. აცინა ქალები. გამოთხოვებისას იოთამეს გადაეხვია, ქალებს ხუმრობით ხელზე აკოცა.

- ვინა სთქვა, მილუა გატყდაო? ნახეთ, რამდენი შნო გამოვიჩინე! რა უხდება სიცილი ჩემ თინანოს! ოხაი! ის რომ ბაგეს გახლეჩდა, ისე მინათდებოდა გული, თითქო ზინეთით სავსე ზანდუკი ავხადე-მეთქი. ბედი ჩემკენ არის. ჯიბეცარიელმა ჯელებმა რა იციან მაგისტანა საუნჯის ყადრი! - ფიქრობდა შეზარხოშებული ზარაფი და თავისთავად ილიმებოდა.

მილუამ მეორე დღესვე დაუძახა განთქმულ მაჭანკალ ფეფენას.

- იცი, ფეფენჯან, ისეთი საქმე მომიგონია შენთვის, რომ თავის დღეში ისეთი რამ არ გაგეკეთებინოს, სიზმრადაც არ მოგჩვენებოდეს.

- რა იქნება იმისთანა, რომ გამაკვირვოს? ბატონიშვილები მსაქმობენ და ისიც არ მიკვირს. ძვირფას ნივთს შეაგულეზბდი სადმე...

- მერე რა ძვირფასია! მთელი ქალაქის ფასია. მინდა მთელი ჩემი დოვლათი ფიანდაზად გავუშალო იმას.

- ჰოო? ეგ სხვა არის! მერე, ვინ არის ის ბედნიერ ეტლზე დაბადებული მნათობი?..

- სწორედ რომ მნათობია, აღმოსავლეთის ვარსკვლავი, ისნის ცისკარი.

- იოთამეანთ თინანო?! უი, დამიდგა თვალი!

- თვალი დაგიდგა! რა თითს იფარებ ტუჩებზე? სწორედ ჩვენი იოთამეს ქალი.

- ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, რა შენი ფანდია ისეთი ნორჩი ვინმე, გამოუცდელი?

- ხნიანი და გამოცდილიც შენა ხარ, მოდი, შეგირთამ! ის თუ ნორჩია და სილამაზით განთქმული, მე დარბაისელი ვარ და სიმდიდრით განთქმული. გეუბნები, ჩემ ოქროს ტახტზე მარტო იმისთანა მთვარეს შეშვენის ჯდომა.

- ძნელი საქმეა.

- არა მეთქი! გუშინ იქ ვიყავ სადილად. ძალიან გაეხარდათ ჩემი მისვლა; ბევრი ვიმხიარულეთ. ფულს, იცოდე, პატივცემა და სიყვარული სდევს თანა.

- ახლა მამა და მამიდაც რომ დაგთანხმდნენ, იასე დეკანოზი არ დაგთანხმდება, იმის გაზრდილია თინანო. არც ქალი გაგიჟდება ვგონებ, შენთვის.

- ყბას ნუ მადგამ, ნავსო! ისევ სჯობია, ხამფერა დავსაქმო.

- დასაქმე! - სთქვა ფეფენამ და ჩადრს წამოავლო ხელი.

- დაიცა, ადამიანო! რა ფხუკიანი რამ გახდი ამ ბოლო დროს! შენისთანა ენამოქარგულმა რომ ეს საქმე ვერ მოაგვარო, დასაჯერებელი არ არის. ახლა იმისთვის ინაზები, მეტი მომცესო. ჰა, ხუთი თუმანიც შენი გასამრჯელო იყოს.

- რა ბრძანებაა! ხუთ თუმნად იმისთანა მზეთუნახავი ჩაიგდო ხელში! ათ ნაკლებ არ შეიძლება. ორი თუმანი ეხლავ და რვაც, როცა საქმე საქმეზე მოვა.

სასიძომ ჩინჩი დაიწყო, მაგრამ მაჭანკალი გაკერპდა და თავის სიტყვაზე გაატარა ის. როცა მილუამ ესეთ გამოცდილ ადამიანს ჩაუგდო ხელში საქმე, დამშვიდდა. ფულით გალადებულს აქამდის ყველა სურვილი უსრულდებოდა და ახლაც დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა, ოქროს გასაღებით შესძლებდა სამოთხის კარის გაღებას.

- ახალი სული შემოვა სახლში, გამოუცდელი; ხალხიც აირევა. ეს ნაცნობი, ეს მოყვრებიო; ახლა ომიანობა, ერთმანეთის ჟლეტა, - ფიქრობდა მილუა და ფუსფუსებდა.

ზევით ოთახში გადაჭედული ყუთი ედგა, ქვევით ოთახში სკივრი ჰქონდა თახჩაში შედგმული; ამ ზანდუკებს ზედაც არ შეხედა. დაალო კლიტით დაკეტალო განჯინები და სარქველ-დაფარებული ქოთნები გადმოალაგა; ზოგში ცერცვი ეყარა ზევიდან, ზოგში ლობიო, სხვაში ბუმბული და, ვინ იცის, კიდევ რა. რომ წამოაპირქვავა ჭურჭელი, სულ ოქრო-ვერცხლი წამოიბნა, ფული და ნივთებივე გამოალაგა სხვადასხვა კუნჭულებიდან და ჭერიდან. ეს ხაზინა სულ ერთ პარკში მოაქცია და სარდაფში ჩაიტანა. სარდაფს ქვემო ოთახიდან ჰქონდა ჩასავალი. ბნელოდა, რადგან ერთადერთი ფანჯარა რკინებით იყო გამაგრებული და ფიცრით ამოჭედული. ხარახურა ეყარა. მიალაგა ერთი კუთხე და თხრა დაიწყო. თითქმის არშინზე ამოაჩინა საძირკველი და მერე ქვების გამოლაგება დაიწყო კედლიდან. რკინის ყუთი გამოჩნდა. ყუთი რომ გააღო, სანთლის შუქზე ზინეთმა ლაპლაპი დაიწყო.

- მარტო ცხოვრებულმა თალალამ იცოდა ეს სალარო. როგორ უხაროდა, როცა ვაჩვენებდი! ჩემ სულსაც-კი ვანდობდი იმას. თინანოჯან! როცა შენც თალალასავით ისწავლი ყადრ-ყაიმათს, გიჩვენებ ამ ზინეთს და მაშინ თუნდ ხამის კაბა გეცვას, ხანის ცოლსაც არ დაუკრავ თავს.

ჩაუმატა ჩამოტანილი საუნჯე, დაკეტა ყუთი, ამოაშენა, მიაყარა მიწა, დატკეპნა და მტვრიანი რაგინდარა მიაწყო.

- იყავ აქ უშიშრად! როცა დამშვიდდება ქვეყანა, ისევ ნახავ მზეს, მზესავით დაიწყებ ბრწყინვას და ჩემ ახალ ცოლ-შვილს გაახარებ.

ამოვიდა ზევით, ახადა სკივრი. ქალის ტანისამოსით იყო სავსე. ამოალაგა გასამზევებლად და თან ზუზუნებდა, იწირპლებოდა:

- როგორ უფრთხილდებოდა კურთხეული! ყაირათი იცოდა. ეხლა ისევ გამოდგება ყველაფერი, ახლის ყიდვა აღარ დამჭირდება; ვერ-კი დაადგება კარგად. ჩემი თინანო წერწეტია, ის-კი დაბალი იყო და სრული. მაგრამ რა უშავს, გადააკეთებს, სიგანიდან ამოიღებს, სიგმეს მისცემს.

გააღო გადაჭედული ყუთიც. შიგ დავთრები ეწყო და ხელის ყუთით ცოტაოდენი ფული.

- თუ აიკლეს სახლი, ამ ყუთს გასტეხენ. ვეტყვი, ეს არის მეთქი ჩემი ავლადიდება.

მიღუამ დიდი ხანია სახლი დაალაგ-დააწყნარა. აგერ მესამე დღე იყო, რაც მაქანკალი გაგზავნა იმან, ამბავი-კი არაფერი ისმოდა. მოუსვენრად იყო სასიძო, ჯავრობდა. ბოლოს მოვიდა ფეფენა, მაგრამ ცუდი ამბავი მოუტანა:

- ყველას გამოვუცხადე სახლში შენი სურვილი. იოთამე ერთი გაშტერდა და მერე თქვა: მომღვარმა იცის, მე უიმისოდ საქმის დამჭერი არა ვარო. ქალი ჯერ გაჰკვირდა, ვერ გაეგო, რას ვეუბნებოდი, მერე ტირილი დაიწყო და თან ი თავადიშვილის ბეჭედი რომ აქვს. იმას იხუტებდა გულში.

- ყურუმსაღო! რატომ არ უთხარ, თუ მაგისტანა ბეჭედს თუნდ ერთ ყუთს მოგართმევს-თქო.

- ვუთხარ, მაშ. მაგისტანები ვუთხარ! ახლა სიდონიამ რომ გაიგო, მომყო პირი და ისე დამცოფა. შენი ორი თუმნის წყალი ველარ გამრეცხს.

- თინანოს ამზდელმა რაღა თქვა? იყავ იასე დეკანოზთან?

- სწორედ იმისთვის დავიგვიანე, რომ ისიცა ვნახე. ესე თქვა, თინანო უოქროვოთაც საკმაოდ ბრწყინავსო.

- ისე გავუხდი საქმეს, თავიანთი ხორცი ვაგლეჯინო კბილით! სულ ვიხვეწიებ, ჯერ ვერ მიცნობენ! - ყვიროდა ბერიკაცი და გამწარებული დარბოდა ოთახში.

ფეფენამ კრინტი აღარ დასძრა; ნელ-ნელა მიიწია კარებისაკენ და გაჰქრა.

XI

მოიწია ქართველებზე უსაზომო რისხვა: გატყდა სატახტო ქალაქი; აიკლეს, დაანგრიეს, დაწვეს, ააოხრეს, შეაგინეს საქართველოს დედა-ქალაქი და ცრემლი ადინეს ივერიის მეოხ-მფარველ დედასა ღვთისა. ხალხი გაშტერდა, დაიბნა, განადგურდა. დამარცხებამ-კი არ მოსწყვიტა ხალხს წელი: დამარცხება და გამარჯვება ძმები არიან; ბრძოლაში გამოწვრთნილმა ქართველებმა კარგად იცოდნენ ეს და ერთი ომის წაგებით გულს არ გაიტეხდნენ; ერს გული მოუკლა იმან, რომ ღალატი შეამჩნია. მერე რა დროს? როცა უძლიერესი მტერი ედგა კარს. მერე ვის? თითონ ამადარ მეფის შვილებს, იმ ოჯახს, რომელიც დადგენილი იყო მამულის ჭირისუფლად, რომლისათვისაც ქართველობას ჩაებარებინა თავისი ბედ-იღბალი,

რომელიც პირველად თითონ უნდა შესწირვიყო სამშობლოს... დალატმა აიმაღლა თავისი ბილწი ქედი ერეკლეს ოჯახიდან, იმ ერეკლესი, რომელმაც უზომო ღვაწლი დასდო საქართველოს, რომელმაც უზომო სისხლი დასთხია მამულის აღსადგენ-ასაღორძინებლად, იმ ერეკლესი, რომელიც სიცოცხლითვე გმირად დასახა ქართველობამ, რომელსაც თავყვანსა სცემდა ქართველობა... თუ უცხოებმა, მძლავრი მტრისაგან წაქეზებულ-მოსყიდულმა უცხოებმა, ხელი შეუწყეს თვით მეფის შვილების და წარჩინებულების დალატს, აქ რა იყო გასაკვირველი ან მოულოდნელი?! აკი თითონ მეფესაც ამ ამბავმა დასწყვიტა გული.თორემ ჯერ სად იყო ის ძლეული, როდესაც საქართველოს საუკეთესო შვილნი ისევ ფეხზე იდგნენ შეიარაღებულნი, შებოჭილ ლომებივით კბილთა ღრჭენით გასცქეროდნენ ხოჯა-ხანის ბანაკს ტფილისის ნანგრევებზე, საითაც არ უშვებდნენ მათ მუხანათი მეთაურნი... ამ შემთხვევაში ხალხის გული და ერეკლესი ერთნაირად გრძნობდა, ერთიდაიგივე ვარამი სწამლავდა მათ გულს, რადგან ერეკლე განხორციელება იყო ქართველთა გულისა და განუწყვეტელი კავშირი არსებობდა მათ შორის.

ბევრ ოჯახს მოელო მაშინ საცხოვრებელი, მრავალს მოჰგლიჯეს ნამუსის საბურველი, ბევრი სიცოცხლით სავსე არსება მოსხლეს, ბევრი აატირეს. იასე დეკანოზი არ გავიდა ქალაქიდან და როცა ყიზილბაშები დაეცნენ მის სახლს, უშიშრად დახვდა წინ. მისმა საპატიო შეხედულებამ და სპარსულის ცოდნამ მიიქცია იმათ უფროსის ყურადღება, რომელიც მოუძლოდა ძლევადასილ ჯარის ბრბოს და იმის დახმარებით თითონაც გადარჩა სიკვდილს, თავის სახლობაც გადაარჩინა. იმის ოჯახთან ერთად გადარჩა მისი აღზრდილი თინანოც. მიღუამ რომ გაიგო, მტერი შემოვიდა ქალაქში, გააღო სახლის კარები და პურმარილით ხელში მიეგება ყიზილბაშებს. მაგრამ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ხარხარით გადაქელეს გულდია მასპინძელი და რამდენიმე წამის შემდეგ ნაბუარაღა გამოდიოდა მისი სახლის კარ-ფანჯრიდან. მიღუა მაინც ჰმადლობდა ღმერთს, რომ ცოცხალი გადარჩა.

ყიზილბაშებმა გატეხეს ტფილისი ენკენისთვის თერთმეტს. სამი დღე არბევდნენ ქალაქს და თავიანთი სიმძლავრე იმითი დაათავეს, რომ ბევრი სამღვდელთაგანი მტკვარში გადაჩხეს. ამის შემდეგ დაწყნარდა მტერი, ყეინმა ბრძანება გასცა, ქალაქის მცხოვრებლებს ნულარ შეაწუხებთო, და ამ ბრძანებამ მოქმედება იქონია აღვირწახსნილ მეომრებზე, რადგან ყველამ იცოდა, რა ახლო სდევდა მის ბრძანებას ხმალი. გაიარა პირველმა თავზარდამცემმა შიშმა; ქალაქი ნელ-ნელ დაშოშმინდა, რამდენადაც-კი შეიძლება დაწყნარდეს განადგურებული, მტრის ბანაკად გადაქცეული ქალაქი. გადარჩენილებს ცხოვრება უნდოდათ და ქალაქის ძარღვმა ისევ დაიწყო ფეთქა, თუმცა სუსტად და უსწორ-მასწოროდ. დუქნები დაილო აქა-იქ. სცდილობდნენ სოფლებიდანაც დაეწყო ისევ დენა სანოვავის მომტან ხალხს, რადგან ძალიან უჭირებდათ საქმეს საჭმელ-სასმელის უპოვნელობა.

გამოჰყო თავი მიღუამაც. მიიხედ-მოიხედა, ტანტალი დაიწყო. მიჰყო ხელი თავის საქმეს. აუარებელი სამკალი დახვდა: ნადავლი საქონელი ბზის ფასად გადიოდა. სახლში კიდევ იპოვა ცოტაოდენა ნაღდი და იმის ჯადოქარმა თითებმა სწრაფად დაუწყეს ზრდა იმ თანხას. უფრო მეტ შნოს გამოიჩენდა ზარაფი და დიდ სიმდიდრეს შეიძენდა, მაგრამ თრთოდა, ყოველწამს თავდასხმას ელოდდა ავაზაკებისაგან, რომლებიც მაინც დათარეშობდნენ ქალაქის ქუჩებში. ეს შიში იყო

იმის მიზეზი, რომ მიღუამ ძლიერ მფარველს ვისმე დაუწყო ძებნა; კიდევ ამოირჩია მფარველად სელიმ-ხანი და მოახერა იმასთან გაცნობა.

ფეფენაც გამოძვრა სოროდან. მიავლ-მოავლო თვალი, სუნი იკრა, ალლო აართო ამ დომხალივით არეულ ხალხს და მიჰყო ხელი ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას. მაჭანკალი იყო, თავის ხელობით უნდა ეცხოვრნა, მაგრამ თათრებს ჯვარს ხომ ვერ დასწერდა, ცოლების შოვნას ხომ ვერ შეუდგებოდა იმათთვის და სცდილობდა დროებით მეუღლეები მოეძებნა ამ მოსხეპილ ვაჟკაცებისთვის ფეფენა მიმინოსავით ათვალეირებდა ხელსაყრელ მასალას გადარჩენილ ხალხში და მარჯვედა ჰყიდდა ნებითა თუ უნებლიეთ. ამ ნადირობაში მღებრების ქუჩამდისაც მიაღწია და აქ მიღუას დანახვაზე ბრწყინვალე აზრი მოუვიდა თავში.

- მიღუჯან, რა მიამა შენი ნახვა! მადლობა ღმერთს, მშვიდობით გადარჩენილხარ!

- გმადლობთ, შენ ხომ ეშმაკებსაც დაუძვრები ხელიდან!

- კიდევ ხომ არ მიწყრები? მაშინ შენგანაც გავილანძღე, იმათთაგანაც გათახსირებული დავრჩი. ეხლა გიჩვენებ, რომ ფეფენა ბიაბროდ გახდას არავის შეარჩენს.

- მაშ გასალანძლი არ იყავ, ფეფენ? ოცი თეთრი მინალთუნი ჩაგითვალე ხელში, შენ-კი ერთი ბისტისაც არა გააკეთე-რა.

- შენზე არ ვამბობ, შენი მოვალე ვარ, თუმცა ათი თუმნისაცა მლანძღეს მაშინ. ეჰ, რაც იყო, იყო! მე იოთამეაანთზე ვლაპარაკობ. ეხლა ჩემკენ არის ბედი, იმათი სული ჩემ ხელშია.

- როგორ, ფეფენჯან? ქალაქშია თინანო? თანახმა გახდა?

- შენ კიდევ შენსას გაიძახი! თანახმა-კი არა, ისე უნდა გაუხადოთ საქმე. თავის ხორცს იგლეჯდეს კბილით, მუხლის თავით გვეხვეწებოდეს! ხომ გახსოვს, როგორ ემუქრებოდი?

- მახსოვს მაშ! მაგრამ ეხლა როგორ უნდა ჩავიგდოთ ხელში!?

- იშტა გაქვს? როგორ უნდა ჩავიგდოთ ხელში!? ჩემი დაპირებული რვა თუმანი?

- ყურუმსალო! ჯერ ორი თუმნისა რა გაგიკეთებია, რომ ახლა კიდევ რვა მოგცე!

- რას ჯავრობ? მე ჩემი ვეცადე მაშინ და თუ ვერ გავასალე დახავსებული საქონელი, რა ჩემი ბრალია! ეხლა სულ სხვაა-მეთქი.

- მერე, ვინ მომცა ხელად ფული!.. ხომ ხედავ, ამიკლეს!

- მშვიდობით! სხვა ვინმე თინანოს ერთ ნახვაში მომცემს სამ მაგოდენას.

- კარგი, მამა გიცხონდა, იმის ჯავრს ნუ ჩამაყოლებ და თუნდა ყმად დაგისახლდები.

- შენ ჩემი რვა თუმანი მომე, რა ჭირად მინდა შენი ყმობა! ფეფენამ ჩაიდო ფული ჯიბეში. მერე მიუბრუნდა მილუას:

- კარგად დაიხსომე: შენი თინანო ქალაქშია, იასე დეკანოზისას; ხელზე საამისეული ბეჭედი უკეთია. გესმის?

- მესმის!

- გახსოვდეს, მილუაჯან, ბეჭედი რომ გადმოატრიალო, თვალზე ორი ასოა ამოჭრილი "თ" და "გ" თინანო გოსტაშაბიშვილისა, რაღა! ყური დამიგდე! საამი ეხლა იმ ჯარების უფროსთაგანია, რომლებსაც მეფე ერეკლე თავს უყრის ერთად, რომ ყეინს გზა შეუკრას და ქალაქში მოიძწყვიდოს. თინანოს კავშირი აქვს ყეინის მოღალატეებთან. ის ბეჭედი ნიშანია იმათ შორის. მიხვდი?

- მიხვდი!

- ეხლა ეს საიდუმლო რომ იცი, ან თინანო შენ უნდა წამოგყვეს ცოლად. ან შენი მოვალეობა უნდა აასრულო და აცნობო ღალატის ამბავი ყეინს.

- ტარტაროზი ხარ!

XII

ფეფენა გატუსტუსდა ჩადრ-აკაპიწებული, თან ბოროტად ილიმებოდა:

- არა, თქვე კაი ადამიანებო. გალანძღვას რაღას მემართლებოდით? არ მიეციო ქალი, ძალიან კარგი ქენიო, მაგრამ ვერ იტყოდით, თუ, ფეფენაჯან, თითონ შენ იცი, რა შეუფერებელია მილუა ჩვენი თინანოსთვის; მოდი, ერთი ყინულზე გააცურე ი ქოფაკი, რომ არც მწვადი დასწო, არც შამფური; აი, ესეც შენი ფეხის ქირა. ააჰა, მორჩა და გათავდა! თორემ ძალღათან რომ მაბამდით პატროსან მანდილოსანს, რა გეგონათ!

- მაგნეა, ნამდვილი შეითანი! მთლად ხელში მომცა თინანოანი, თავებ დააყრევინებენ, თუ გაუგეს, მაინც ისე არ ევარგება საქმის მოხერხება, როგორც ფეფენა ამბობს: დაშინებით ის მე არ წამომყვება და ტყუილად ავაზაკად გამოვალ, ან რა შნო ექნება ძალის-ძალად წამოყვანილ ცოლს?! - ამბობდა მილუა და ფიქრობდა. სხვა გზას ეძებდა. - ესე სჯობია. - მოიფიქრა ბოლოს: - ამ ამბავს მე სელიმ-ხანთან მივიტან, საიდუმლოდ; ის ყველას დაატუსაღებს; მე ჩავალ შუაში, ვიპატიებ ქალს ან გამოვისყიდი, თუ გაჭირდა; დამხსნელად გამოვალ. იქიდან პირდაპირ ჩემ სახლში წამოვიყვან. მაგრამ თინანოს სილამაზემ რომ თვალი მოსტაცოს სელიმს და ქალი თავისთვის მოინდომოს... ახი იქნება! შე კაი ქალო. გეუბნებიან, თუ მობრძანდი, ოქროს ტახტი გამიმზადებია შენთვის, დაბრძანდი! რაღას ჯიუტობ? - ამბობდა მილუა და ემზადებოდა.

ზარაფმა აარჩია საუკეთესოდ შემკული ხანჯალი და წავიდა. სელიმ-ხანი მაშინ გიორგი ბატონიშვილის სასახლეში ცხოვრობდა, წმ. გიორგის ეკლესიის გვერდზე, დიდი სახლის გადასწვრივ. ტფილისი რომ ააოხრეს, ბატონიშვილის მეგობარმა განჯის ხანმა არც დაანგრევინა ეს სასახლე. სელიმი აქ დაბინავდა. მოგეხსენებათ, რომ უმთავრესი ბანაკი ყიზილბაშებმა სოღანლულში დაჰკრეს, თითონ ტფილისში-კი რამდენიმე ადგილი დაიჭირეს ჯარებით. ხანი შინაურულად დახვდა, პერანგის ამარა. მილუამ მდაბლად დაუკრა თავი ზღვენი მიართო.

- ვინ იცის, რომელ ვაჟკაცს აჰყარე, ბრძოლის ველზე დაცემულს...

- რა ბრძანებაა! გიროში დამრჩა. ზარაფი გახლავარ, ისევ ჩემ ხელობას მივდევი; ცოტა რამ ხურდა ჩამრჩა ჯიბეში, იმას ვატრიალებ.

- სხვა რა ახალი ამბავი იცი? ხალხი რას ფიქრობს?

- ყეინის მზესა ფიცულობს, მისგან ქვეყნის დამშვიდებას ელის.

- შენ რომ დაგიჯეროს კაცმა, ქართველებს გაჰხარებიათ ჩვენი შემოსვლა და დაჰვიწყებიათ ერეკლე.

- ერეკლეც უყვარდათ, სანამ შეეძლო ქვეყნის დაფარვა. ეხლა-კი სხვა არის.

- თუ სხვაა, მაშ რატომ არ მოჰყავთ შეპყრობილი მეფე ყეინთან?

- ეგეც მალე იქნება ღვთის მადლით!

- ოღონდაც, თუ ერეკლე მეფეს ბევრი ჰყავს შენისთანა ერთგულები! - სთქვა ხანმა და შუბლი შეიკრა.

მილუას არ ეამა ხანის ესეთი საუბარი და დაეჩქარა გაეცხადებინა მისვლის მიზეზი, რომ მოეგო სარდლის გული და თავის სურვილიც გაეხორციელებინა.

- ერეკლეს ერთგულები ვიყავით, სანამ მეფე იყო. ეხლა განგებამ მოჰგლიჯა იმას გვირგვინი და ბრწყინვალე ყეინს მისცა ის. ჩვენი ვალია, ამას იქით ყეინს ვემსასუროთ.

- მარტო სიტყვით! თორემ რატომ აქამდის არ ვიცით, სად არიან ან ერეკლე მეფე, ან ის ჯარები, რომლებიც ჯერ არ ამოგვიწყვეტია?

- საქმითაც, ბატონო! სწორედ მაგისტვის გხლებივართ, - თქვა ზარაფმა და მონას შეხედა.

- ახალი იცი რამე? - ჰკითხა ხანმა ცნობისმოყვარეობით და ანიშნა მონას გასულიყო.

- ღალატს აპირებენ ქალაქში. იასე ღვდლის სახლი დაუდვიათ ბინად. მეხანჯლეების უსტაბაშის ქალი სცხოვრობს იასესას და იმ ქალს კავშირი აქვს საამ

გოსტაშაბიშვილთან, რომელიც საბარათიანო ლაშქრის სარდალი გახლავს. ქალის მამას დიდძალი იარაღი გაუგზავნია იმ ლაშქარში. მოგეხსენებათ, ის ჯარი უვნებლად გადარჩა.

- მართალია, იმ ჯარმაც ვერ მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა და გადარჩა ამოჟლეტას. მოღალატეებმა ისე მოუხერხეს ერეკლეს, რომ უჯაროდ დასტოვეს ბრძოლის დროს. ეს სწორედ ჩვენი ყისმათი იქნებოდა, თუ მეფეს თავი არ დაეხწია; ეხლია-კი, როცა ერეკლე თავისუფალია, სწორედ აქ არის ჩვენი საფრთხე: იმას შეუძლიან ისარგებლოს იმ ხელუხლებელ ჯარებით, - სთქვა ხანმა და მიუბრუნდა მთხრობელს: - რითი ამტკიცებ შენ ნათქვამს?

- იმითი ვამტკიცებ, რომ ქალს ხელზე უკეთია საამის ბეჭედი, რომლის ქვაზე ამოჭრილია ასოები "თ" და "გ" და რომელიც ნიშნად არის შეთქმულებისაგან მიცემული; კიდევ იმით, რომ თითონ საამს ზეინკლის სახლში არჩენდა ჭრილობისაგან ექიმი ბაჯიაშვილი; კიდევ იმით, რომ დიდძალი იარაღი გაგზავნეს საამის ჯარში.

- ჰმ! - ჩაიხმაურა ხანმა და დაფქრდა.

- მე ჩემი მოვალეობა ამისრულება, ყველაფერი მომიხსენებია და ღმერთმა ქნას, მაცთურს არ დაებრმავებინოს საწყლები და გამართლდნენ. მაინც და მაინც წინათვე გთხოვთ, ის ქალი მე მაპატიოთ, რადგან იმას შეთქმულებისა არა გაეგება-რა და მოტყუებით ჩაითრევდნენ საქმეში. იმის წონა ვერცხლს მოგართმევთ ზღვანად - ეუბნებოდა მილუა და თან თავს უკრავდა.

მაგრამ ხანი ეხლა ყურს აღარ უგდებდა ჯაშუშს, სხვაზე ფიქრობდა. შემოჰკრა ტაში. მონები შემოვიდნენ. ხანმა უბრძანა, ტანისამოსი მიერთმიათ მისთვის.

XIII

როგორც ყეინის წარჩინებული სარდალი და მასთან დაახლოვებული, სელიმ-ხანი ყოველდღე ეახლებოდა შაჰინ-შაჰს ბრძანების მისაღებად. ეხლაც იქით გაემგზავრა, თან იმას ფიქრობდა, მოეხსენებინა ყველაფერი, რაც უამბო მთხრობელმა, თუ ჯერ გამოეკვლია საქმე და მერე ეცნობინებინა. იმ აზრს დაადგა, ყველაფერი ეხლავე ეამბნა, რადგან ეშინოდა, იქნება, შაჰმა კიდევ იცის ეს საქმე და თავხედობა იქნება დაუშმალავო. იმისთვის ეშინოდა, რომ ალა-მაჰმდ-ხანს ძნელად გამოეპარებოდა რამე და კარისკაცები ბევრჯელ გაკვირვებულნი რჩებოდნენ, ნეტა ისეთი რა თილისმა აქვს, რომ ყველაფერს იგებსო.

- უამბობ, გავიგებ, რა გუნებაზეა ყეინი, რა აზრზე დგა და ისე მოვაგვარებ საქმეს, - იფიქრა ხანმა.

ყეინი აივანში ბრძანდებოდა. ხალიჩაზე იჯდა, ბალიშზე დაყრდნობილი გაჰყურებდა მთებს. ვერც-კი შეამჩნია სელიმ-ხანის შესვლა და მისი სალამი. სხვა რამ ფიქრს გაეტაცნა ირანის მფლობელი. სხვა ჭმუნვა ესახებოდა ჭკვიან თვალებში. ბოლოს მოეგო თავს მიაქცია ყურადღება კარისკაცებს. ყეინი არ ააღელვა ამბავმა.

- გამოიძიე. თუ ტყუილი გამოდგეს, დამსმენს თავი გააგდებინე! - ბრძანა შაჰმა და ისევ ჩაფიქრდა.

შეჰბედეს, ჰკითხეს ჭმუნვის მიზეზი.

- ხომ ჰხედავთ იმ ბუმბერაზ მთებს, კავკასიის მწვერვალებს? ეხლა იქ იმყოფება ის არწივი, რომელიც მე დავაფრთხე ბუდიდან: იმ მთების ბატონია ის.

- გვიბრძანე, მძლეოთა მძლეო!

- მიუწდომელია! ძალა არ გამოდგადგება იქ... იმ მთების იქით საშინელი ვეშაპი ბუდობს. საზარლად იზრდება, ძლიერდება. ირანის ლომს მხოლოდ ამ მთების არწივთან ერთად შეუძლიან იმ ვეშაპთან ბრძოლა; თუ არა, სპარსეთსაც დაამცირებს, დასჩაგრავს, ჩანთქავს. მაგრამ აქ ყველა მოუჯადოებია იმ გრძნეულს! - ამბობდა წინათგრძნობით გატაცებული ხელმწიფე და რაღაც ჩვენებიდან ვერ გამოჩეულიყო.

მეორე დღეს სელიმ-ხანს მიჰგვარეს დასმენილები და თითონ გამოჰკითხა საქმე. დაპატიმრებულებმა ყველაფერი გულახდით უამბეს, რადგან დასაფარიც არა ჰქონდათ-რა. როცა ფეფენამ მარილიანად მოუთხრო თავის მაჭანკლობის ამბავი, ხანმა ღიმილი ვეღარ შეიკავა.

- მეფეთ-მეფე მოწყალე თვალთ უყურებს დამონავებულ ქართველებს, თორემ ყველას თავებს დაგაყრევინებდით. მიპატიებია! გაგანთავისუფლებთ ყველას, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ვერ გამოვუშვებ ვერც ამბის მომტანს, ვერც იმ ქალს, რომელსაც სარდლის ბეჭედი აღმოაჩნდა.

ამ სიტყვებზე ქალს ფერი ეცვალა. იოთამემ ტირილი დაიწყო, იასე მღვდელი ერთ წუთს შეყოყმანდა, მერე წადგა და მტკიცედ მოახსენა:

- არა მსურს თავისუფლება, სანამ საქმეს არ გამოიკვლევთ. გაუშვით ქალი, მე დავრჩები აქ!

- გეშინიან, რომ ეგ ყველაფერს გაამჟღავნებს და გინდა, განსაცდელი აიცდინო? ვერავინ დაგიფარავთ, თუ დამნაშავეები აღმოჩნდებით, თუ არა - ხელს ვერავინ შეგახებთ: ვსეთია ყენის ნება. გაიყვანეთ! - მიუბრუნდა მსახურებს.

ამ ბრძანებაზე მამამ გულში ჩაიკრა ქალი.

მოძღვარმა გადასახა ჯვარი და თავზე აკოცა ცრემლმორეულმა.

- გფარვიდეს ანგელოზი უფლისა და გამცნოს სულმა წმინდამა, ვითარ ანუ რასა იტყოდე. გახსოვდეს, შვილო ტკბილო, წმ. მოწამე ქეთევან!

ქალს გული ამოუჯდა; უკვდავების წყარო მარგალიტის ნამებად გადმოდუღდა გიშრის ღარებზე და ეპკურ-ესხურა ბროლ-ლალის არე-მარეს.

მილუამ ნახა, რომ საქმე სახიფათოდ დატრიალდა და ფეხქვეშ ჩაუვარდა ხანს: თრთოდა, ცოცავდა, კალთებს უკოცნიდა, თავს ახეთქებდა - განთავისუფლებას ევედრებოდა. ხანს ზიზღი მოჰგვარა კაცის ამგვარმა სულმდაბლობამ და ქოშის წვერი წაჰკრა სახეში. გაათრიეს.

თინანო მარტო დაიხელთა სელიმმა. დიდხანს უმზერდა გაკვირვებული. ამგვარი სიმშვენიერე ჯერ არ ენახა. უკვირდა ქალის ნათლით შემოსილი სხეული. მისმა ნაწნავებმა, რომლებიც კულულებად მოფუშულიყვნენ და სხივებად ეხვეოდნენ ნაზ სახეს, მოაჯადოვეს ვაჟკაცი, მიიზიდეს; უნებლიეთ ხელი შეახო ქალის თმას. თინანო გადახტა უკან. კედელს აეკრა.

- მშვენიერებავ! არ გენანება შენი თავი?

ქალი შიშით თრთოდა, ხმას არ იღებდა. კაცს შეეცოდა ნაზი არსება, თავი შეიმაგრა, უკან დადგა.

- იქნება არ იცი, რა სასჯელი მოგელის ხელმწიფის ღალატისათვის? შეეკითხა ხანი და ხმაში ღმობიერება დაეტყო.

ქალი ააგზნო საზიზღარმა სიტყვამ; გასწორდა წელში, გაბედვით შეხედა მტარვალს:

- არ მიღალატნია მეფისათვის. თორემ ლუკმა-ლუკმა დასაგლეჯი ვიქნებოდი!

- დიდებული ყენია თქვენი მეფე და მის წინააღმდეგ გიპირებით შეთქმულება.

- არავითარი შეთქმულება არ გვიპარიბია! არც საჭიროა ჩემისთანების დახმარება: საქართველოს კიდევ ჰყვანან თავდადებულნი.

- ერთი იმათგანი საამ გოსტაშაბიშვილიც არის, რომელსაც თავის საყვარელიც - ვერ დაუხსნია ტყვეობიდან.

- სტყუი, უსჯულო! საამს ერთადერთი სატრფო ჰყავს ტყვეობაში - თავისი სამშობლო; მე მხოლოდ მავედრებელი ვარ, მიენიჭოს მას გამარჯვება.

ისე დაშვენდა ქალს აღელვება, რომ მტარვალს სისხლი აუქოჩქოჩდა; წამოხტა, მიუახლოვდა.

ძალიან გიყვარს შენი ქვეყანა? გაგანთავისუფლებ, ყველა სურვილებს აგისრულებ, გესმის? ყველა სურვილებს! - ჩასჩურჩულა ვნებით გამსჭვალულმა ვაჟკაცმა და მძლავრათ მოჰხვია მკლავები.

- თავს მოვიკლავ! შეჰკივლა ქალმა და ჩაიკეცა.

თავდავიწყებული ვაჟკაცი შესდგა ერთ წამს ამ სასოწარკვეთილ კივილზე. ამავე დროს გაისმა კარების რაკუნნი. ხანმა იძრო ხანჯალი და ვეფხვივით გადახტა, რომ

გაეგმირა თავხედი, მაგრამ უცხად დაუშვა მახვილი: ყეინის ბრძანება გადმოსცეს, დაუყოვნებლივ ჰხლებოდა.

ყეინი აღელვებულა დაჰხვდა სელიმს.

- ეხლავე შეჰკრიბე რაზმი და გადი სათარეშოდ. სამი დღე მომიცია ვადა. საგძალი შეაგროვ; მსურს დაუყოვნებლივ დავბრუნდე სპარსეთს. თუ ქართველების ჯარი ნახო, თუნდაც მცირე, არ შეებრძოლო. გამოტრიალდი! - უბრძანა შაჰმა.

სელიმ-ხანი ძალიან გააკვირვა ყეინის ბრძანებამ. მაშინვე ფეხზე დააყენა რაზმი. მთლად შეჭურვილი და გზად გამზადებული შებრუნდა თინანოსთან.

- ნუ გეშინიან, თვალთა ნათელო! გამოგცადე; მეგონა იმდენად გიყვარს მამული, რომ თავს შესწირავდი იმას.

- სანატრელია, ვემსხვერპლო ქვეყანას; მაგრამ, იცოდე, საქართველო მხოლოდ პატიოსან მსხვერპლს შეიწირავს... თავს მოვიკლავ! ხელთა მაქვს, ავისრულო სურვილი.

სელიმი ერთხანს აღტაცებით უყურებდა თავის ტყვეს, მერე უთხრა:

- არ გაბედო! აჰა, ჩემი ვაჟკაცური სიტყვა: ნუ გეშინიან ნურაფრისა!

სარდალმა ჩააბარა ქალი საჭურისს და უბრძანა თვალისჩინივით გაფრთხილებოდა.

XIV

საამ გოსტაშაბიშვილი დაბრუნდა სოფელში. მოართვეს შეკვეთილი იარაღიც. ეხლა მას შეეძლო, თავისი რაზმი საუკეთესოდ შეიარაღებული გამოეყვანა. დროც იყო: შინ სარდლის ბრძანება დახვდა. დაუყოვნებლად მისულიყო მთელი თავისი რაზმით მარაბდას. როცა საამი მივიდა დანიშნულ ადგილას, თითქმის მთელი სადროშო დახვდა შეკრებილი. ჯარი ალგეთის პირას იყო დაბანაკებული, ქოთიშში, რადგან თუმცა ჯერ ისევ ძალიან ცხელოდა დაბლა, მაგრამ მდინარე ერთობ საჭირო იყო ამოდენა ხალხისთვის. რაზმების წინამძღვრები-კი ზევით დაბინავებულიყვნენ, მარაბდაში, ზაალ ბარათაშვილისას და სისხლის ღვრის მოლოდინში წითელ ალგეთისპირულით იკლავდნენ ჟინს. საამმა თავის რაზმისთვის ალაჩოყები დიდ ჭანდართან გააკეთებინა, ალგეთის პირას, და თითონაც ამ ხის ქვეშ დაიდგა კარავი.

სადროშოს ლაშქარი თითქმის მთლად იყო-მეთქი შეკრებილი, აკლდა მხოლოდ თრიალეთის რაზმი, რომელიც აქამდისაც უნდა მოსულიყო, მაგრამ ჯერ ამბავიც არ ისმოდა. მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა; სარდალმა გადასწყვიტა, მეორედ გაეგზავნათ კაცი და აეშურებინათ ხალხის შეყრა. ბრძანების აღმასრულებლად საამი ამოირჩია.

- შენისთანა სანდო და მოხერხებული არავინა მყავს, შენ უნდა წახვიდე თრიალეთში რაზმის ასაჩქარებლად; რაც უფრო სწრაფად იმგზავრებ, ისა სჯობია:

უეცრად რომ ბრძანება მოვიდეს, პირშავად შევრჩები ბატონ მეფეს, ნაკლები კაცი მეყოლება.

სარდლის მოსაზრებით ამ ბრძანების ასრულებას მოასწრებდა საამი, რადგან ხოჯა-ხანისა ჯერ სწორედ არა ისმოდა-რა.

- ალბათ, ჯერ არეხს არ გამოსულა მტერი, თორემ გავიგებდით და ბრძანებაც მოგვივიდოდა ჯარის მოძრაობის შესახებ, - ფიქრობდა სარდალი და თითებზე ითვლიდა, რამდენი ხანი მოუწადებოდა საამი წასვლა-მოსვლას.

დათანხმდა საამი. მხოლოდ პირობა დასდეს: მოუვიდოდა თუ არა მეფის ბრძანება, მაშინვე კაცი უნდა ეფრინა საამისკენ, რომ ის დროზე მოჰშველებოდა თავის რაზმს.

კარგა ხანი მოუწადა საამი დავალებულ საქმის გამოწყობას, რადგან დიდი მანძილი და სახიფათო ადგილი ჰქონდა მოსავლელი. მაგრამ ისეთ მოწყობილ და ახოვან რაზმს წამოუძღვა წინ, სწორედ სასიამოვნო სანახავი იყო.

დაბრუნებული საამი იმან გააკვირვა, რომ ლაშქარი ფარცხისში ნახა დაბანაკებული; თანაც ბანაკი აბნეული იყო, ჯარი განახევრებულიყო, დაქსაქსულიყო. ამასთანავე ისეთი ამბები გაიგონა, რომ იმის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა.

- ჯარი დავწიეთ აქეთ, არ გვინდოდა შევჩეხებიყავით ყეინის ურიცხვ ლაშქარს, რომელიც მოაბნელებდა არემარეს. ალგეთს რომ გამოვიდნენ, ორ ნაწილად გაიყვნენ, ერთი მტკვრის პირ-პირ წავიდა, მეორემ კოდის გზაზე გადმოქელა სოფლები.

- მაშ მტერმა ისე გადმოიარა ჩვენი მხარე, რომ ვერაფერი ვერ ავნეთ?

- რას ვავნებდით, როცა ბრძანება არა მიგვიღია-რა! საომრად მომზადებულ ჯარს განსაცთელში ხომ ვერ ჩავაგდებდით ჩვენი ნებით!.. მხოლოდ კოდაზე დავეცით ღამე ყიზილბაშებს ერთი სამოციოდე კაცით, ზოგი რამ ბარგი წავართვით და ათიოდე ტყვე მოვსხლიტეთ.

- მაინც ვერაფერი გამიგია ამ საქმისა.

- რა დიდი გაგება უნდა! რევაზ ანდრონიკაშვილის კაცმა ხომ გიორგი ბატონიშვილის განკარგულება მოიტანა: ჯარი არ დასძრათ, ეს ჩემი ნებაა პატივსადები მიზეზების გამო და როცა დრო მოვა, მე თითონ გიბრძანებთო. ჩვენც ველოდით. ესეთივე ბრძანება მისვლიყოთ საგარეჯოს მოურავს გიორგი ჩოლაყაშვილს და ქიზიყის მოურავს ზაქარია ანდრონიკაშვილს; იმათი ჯარებიც არ ახლდა მეფეს.

- მერე?

- მერე და ჩვენი უბედურება! ყეინი ტფილისს მოადგა. ერეკლე შეებრძოლა ხუთიათასიოდე კაცით და, ხომ იცით, იმისი ამბავი, ხმალ-და-ხმალ გაეპო იმოღენა

სპა, ყეინის კარავს დაჰპირდაპირებოდა. თურმე შეკრთა ყიზილბაში და ყეინიც შეფიქრიანდა.

- ვახ, სად ვიყავ!

- ახლა შიგ ქალაქში ამოსჩენოდა ბატონს მოღალატეები და მტრის ჯარს კოჯრის გზით შესძლოლოდნენ.

- ბატონი? ბატონი ერეკლე?

- ძალით გაეყვანათ ომიდან, არაგვისკენ გაეტაცნათ.

- მადლობა ღმერთს, მთლად არ დავღუპულვართ! მაშ გაოხრდა, გაოხრდა ქალაქი?

- მთლად დაუწვავთ და დაუნგრევიათ.

- ჩვენი მხრიდან არავინ ედგა რაღა ერეკლეს მხარში?

- როგორ არა, ზაალ ორბელიანი იყო იქ თავის რაზმით: ყიზილბაშები რომ დაინახა, აღარავის გაუგონა და პირდაპირ ეახლა ერეკლეს. ათიოდე კაციღა გადარჩენილა იმის ხალხიდან. თურმე თითონაც დაჭრილია და მეფეს ახლავს თან. ნეტა ჩვენც ურჩობაზე დაგვედო თავი!

ჩამოვარდა სიჩუმე. ისხდნენ დაღონებულნი, თითქო ცხედარი უდევთ წინაო. მაინც ძვირფას მკვდარსა გლოვობდნენ: გული მოჰკვდომოდა საქართველოს.

ისევ საამმა დაარღვია სიჩუმე:

- დიდი უბედურება დაგვტეხია თავს, რისხვით მოტრიალებულა ჩვენზე ცის ბორბალი, მე კი არაფერი ვიცოდი! მე რომ ვყოფილიყავ...

- ყოველ წუთს მოველოდით ბრძანებას, რომ კაცი გამოგვეგზავნა და ნამდვილი შეგვეტყობინებინა შენთვის, ამიტომ...

- მაგაზე არ მოგახსენებთ. მე რომ ვყოფილიყავ-მეთქი თქვენ ადგილას, კაცს გავგზავნიდი ბატონიშვილთან და თითონ მეფესთანაც: იქნება გამოგზავნეს ბრძანება. მაგრამ რამე მიზეზით ვერ მოაღწია ჩვენამდის.

- რა ბრძანებაა! განჯას რომ მოვიდა ყიზილბაში, კაცი ვახელით ბატონიშვილს და შემოეთვალნა, მზად იყავით, ბრძანებას ელოდეთო. გვინდოდა, ახლა თითონ ბატონისთვის შეგვეტყობინებინა, მაგრამ ისე გრიგალივით წამოვიდა მტერი, რომ ვეღარა მოვახერხეთ-რა.

- იცით რას გავბედავ? ან მთლად დაბნეულან ჩვენი წინამძღვრები, ან ღალატია აქ, საზიზღარი ღალატი თვით ბატონიშვილისა და იმის მახლობელთაგან! ხომ ისევ სისხლს უშრობდნენ მოხუც გმირს!

- ყველას გულში გვქონდა ეგ.

- მტერს რომ უკან დავდევნებოდით, დიდ სამსახურს გავუწევდით ბატონს მეფეს: სოდანლულიდან შევუტევდით, ჩვენები გაიგებდნენ, საბარათიანო ლაშქარი მოაწვავო, შავარდნის ფრთებს შეისხამდნენ. ჩვენამდის გამოაპობდნენ ლაშქარს.

შემდეგ იმაზე დაიწყეს ბჭობა, რა უნდა ექნათ ეხლა, რა გზას უნდა დასდგომოდნენ. დაასკვნეს, მეფისათვის ეცნობებინათ როგორმე თავიანთი მდგომარეობა და პირდაპირ იმისგან მიეღოთ განკარგულება. რადგან სწორედ არ იცოდნენ, სად ბრძანდებოდა ეხლა მეფე, ამისათვის უმჯობესად სცნეს ტფილისში შეეპარებინათ კაცი, გაეგო ქალაქის მდგომარეობა და იქიდან ეღონათ ღონე რამ. თითონ საამმა იკისრა ამ საქმის შესრულება. მეო, სთქვა იმან, აქ დამდგომი მაინც არა ვარ, ქვეყნის საქმეც და ჩემი პირადი მოვალეობაც მიწვევს ტფილისში და უთუოდ უნდა წავიდეო.

XV

საამს გათვალისწინებული ჰქონდა, რა ძნელ საქმეს შეუდგა, იცოდა, თუ ჩაუვარდებოდა ხელში ყიზილბაშებს, სიკვდილს ვერ გადარჩებოდა, და ამისათვის ყოველივე გულდასმით მოიფიქრა.

- ქალაქში უნდა წავიდე, - უბრძანა თავის მოურავს, - დიდი სიფრთხილე მმართველს და ვამჯობინე სანოვანის გამყიდველ გლეხად მოვიროთ. თან ლექსოსა და ვანოს წავიყვან. ხვალვე გავუდგები გზას. ყველაფერი მოამზადე. აი, ეს წიგნიც; თუ რამე უბედურება შემემთხვა, აბრამ მოძღვარს მიაღწიე და იმან გახსნას: ჩემი ანდერძია შიგ მოხსენებული.

- ბატონი ბრძანდებით! მაგრამ არა სჯობია. თითონ მე გაიხლოთ? იქნებ გამოიყენოთ ჩემი გამოცდილება.

- არა, გიორგი, შენ აქ იქნები საჭირო, რო მაშინვე აასრულო ბრძანება, თუ რამე შემოვთვალე.

შინ რომ სარისტა დაიჭირა საამმა, მერე კოდაზე გადავიდა მკითხავთან. მაშინ აქ ალთუნაანთ მარება მკითხაობდა, რომელმაც მთელ საქართველოში გაითქვა სახელი თავის გულთმისნობით. ყიზილბაშების გავლის დროს მარება თავის კერას არ მოსცილებია; მთელ სოფელში ეს ერთი ადამიანი დახვდა თათარს.

- რახან ვაჟკაცებს ლეჩაქი დაუხურავთ და ომს გაურბიან, მაშ ვილა უნდა დახვდნენ მტერს წინ, თუ არ დედაკაცები? - ამბობდა ბებერი.

მკითხავი კარებ წინ იჯდა ძაძით მოსილი. არც ფეხზე წამოუდგა საამს არც მიესალმა.

- რა დაგმართია, მარეხი, ვეღარ მიცან საამი?

- ვეღარ; შენ ბატონი საამი არ უნდა იყო: ის მტერს არ დაემალეებოდა, სისხლის ღვრის დროს სანთლით სამეზღველი არ გახდებოდა.

- ძაძა რაღად შეგიმოსია; განა მოგიკლეს ვინმე ი უსჯულოებმა?

- მომიკლეს! საქართველოს გული მომიკლეს და იმაზე ვზივარ მგლოვიარედ. ალბათ, ჯერ არ გაგიგია ეს. რომ წვერი მოგიპარსავს, სადღესასწაულოდ მოკაზმულხარ.

- კარგი, ბებერო, დაწყნარდი, ჭკვიანი ადამიანი ხარ და ვერ მიმხვდარხარ, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემ გულში! - უთხრა საამმა წყენით.

- ახლა რა გინდა ჩემგან?

- შემომხედე და გაიგე! ხომ გულთმისანი ხარ!

დედაკაცმა თვალი თვალში გაუყარა საამს. თვალების ავზარი გამომეტყველება მოუბრბილდა. სახლში შეიწვია. ამოიღო მიწიდან ვერცხლის თასი, აავსო წყლით და შიგ ალმასის ბეჭედი ჩააგდო.

- იჯექ ეგრე გაუნძრევლათ, ბეჭედს თვალი არ მოაშორო, შენი საგონებელი იფიქრე!

დედაკაცმა დაიწყო სახლში სიარული, ყველა კუთხე დაათვალიერა, ყველა კედელს ხელი ახლო. შემდეგ მიუახლოვდა საამს, რამდენჯერმე ჩამოუტარა ხელი ჰაერში თვალებ წინ და უბრძანა, თვალი თვალში გაეყარა იმისთვის. საამმა ჩახედა ბებერს შავ თვალებში, რომლებიც ეხლა გველის თვალებით ბრწყინავდნენ, ისარს უყრიდნენ, გონებას უტანჯავდნენ - და შეზარა.

- ტფი... ილ... ისი უპა... ტრონო... ნოდ აო... ოხ... აოხრ...და... გაი... ჟლი... ლიტ... ნენ... თი... ნა... ანო... საყვა... რელი...ტყვე... ეობ... აში... ტყვეობაშია... ბეჭ... ედი... - ამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მკითხავი და თან ისე ებრძოდა გონებას, რომ ჭირის ოფლი დაასხა; ბოლოს მთლად გაუჭირდა, ჩაჩუმდა, გარინდდა, თითქოს ჩაეძინაო.

საამი იჯდა განცვიფრებული და ვერ გამორკვეულიყო. ან როგორ არ გაოცებულიყო, როცა მარჩიელმა მისი გულის პასუხი გაიგო. ის საიდუმლო, რომელიც სტანჯავდა საამს; სახელიც კი ამოიკიოხა, მის გულზე დაწერილი სატრფოს სახელი. მკითხავი მოვიდა ცნობას, გამოერკვა.

- ესე არ გამჭირებია გულის პასუხის გაგება, - სთქვა იმან, - მფარველი ანგელოზი ახლო აღარა მყავს, განშორდა უსჯულოთაგან შელახულ ადგილებს და ისე მკაფიოდ აღარ მესმის მისი ხმა. წადი, შვილო, აასრულე შენი განზრახვა, მოსწმინდე შენი წილი ცრემლი ატირებულ სამშობლოს. წმიდა გიორგი მუხათისა გიძლოდეს წინ!

დაადგნენ ქალაქის გზას. დაგლეჯილ ჩოხებში იყვნენ გამოხვეულნი, ჩაჩები ეხურათ; დატვირთულ ცხენებს მიერეკებოდნენ. ასცდნენ ნარგიზებს, გაუარეს ბორბალ-ერტის-ვაშლოვანს, თავს გადაუარეს კუმისს, აჰყვნენ მარჯვნივ კოჯრის ხევს

და ტაბახმელ-ოქროყანის გზით დაეშვნენ ძირს. ჩუმად მიდიოდნენ. ათასში ერთხელ თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს სიტყვას. საამი დარდიანად იყო, რადგან მძიმე საქვეყნო საქმე ეტვირთნა და საკუთარი ჯავრიც ტვინს უღრღნიდა: თინანოს ამბავი არ იცოდა, გული ეტანჯებოდა.

- არ მეგონა, თუ ესე ძვირფასი შეიქმნებოდა ჩემთვის თინანო, ფიქრობდა საამი. -
- ყოველჟამს თანა მდევს მისი ნათელი სახე. განუშორებელი გახდა ჩემი გონებიდან. ვინ იცის, რა გაჭირვებაშია? იქნებ ფიქრობს, სიტყვას უღალატა, აღთქმა დაივიწყაო; იქნება იმასაცა ფიქრობს, მოღალატეებში ურევია, მეფის ბრძანებას ეურჩა, ჯარი არ მოაშველაო...

ამ აზრმა გული ატკინა ვაჟკაცს და თავი ველარ შეიმაგრა, მხლებლებს გაუზიარა ფიქრი:

- ასე მგონია, რომ ქალაქში მარტო თათრებისაგან არ მოგველის შიში, ჩვენებსაც უნდა ვუფთხილდეთ.

- ეგ როგორღა იქნება, ბატონო?

- ეცოდინებათ, რომ ჯარი არ მიაშველეს ბატონს და გამწარებულები იქნებიან; შეიძლება მოღალატეები ვეგონოთ.

- მართალსა ბრძანებ ბატონო, - მიუგო ერთმა.

- მტრის სისხლით უნდა მოვიბანოთ ეგეთი ეჭვი, - სთქვა მეორემ.

როცა ტაბახმელას თავქვეებიდან ტფილისი დაინახა საამმა გული, მძლავრად აუტოკ-აუჩქროლდა. ეხლა მიხვდა, რა საუნჯე დაეტოვებინა ქალაქში. დაიწყო თვალიერება, უნდოდა მოეაზრნა თინანოანთ სახლი.

- ვაი თუ ტყვედ წაიყვანეს უმწეო ქალი ან მოკლეს, ან... - აქ ისეთმა ფიქრმა გაუელვა თავში, რომ სიმწვავით გველივით დაიკლავნა.

ჩასცდნენ ოქროყანას. ციხეს რომ გადახედა საამმა და ზედ ყეინის დროშა დაინახა, ბოლმით ცრემლები წამოსცვივდა.

XVI

ტყუილად ათვალიერებდა საამი იოთამეს სახლს, ამაოდ ეძებდა. თუნდა ეპოვნა ის ნანგრევებში და გონების თვალთ განეჭვრიტა, მაინც ველარ დაინახავდა იქ თავის ბედის ვარსკვლავს, რადგან იმ მნათობის ბრწყინვალეობას მოეხიბლნა და მიეზიდნა შირვან-დევი, რომელიც თავს ევლებოდა მას, ეშხით თვრებოდა, ჩანთქმას ჰლამოდა; ველარ დაინახავდა იქ თავის თინანოს, რადგან ის დატყვევებული ჰყვანდა შაქ-შირვანის ხანს სელიმს, რომელიც თითონაც დატყვევებულიყო მზე-ქალის ეშხით.

ქუდბედი დაჰყოლოდა სელიმ-ხანს: ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული რჩებოდა, ყისმათისაგან დაჯილდოვებული. ტფილისის ადების დროსაც იმას

გაუდიმა იღბალმა: იმისი ბაირადი აფრიალდა პირველად ქალაქის გალავანზე. დიდებულმა ყეინმა შენიშნა ეს და პირს აკოცა, ლაშქრის წინ აკოცა პირს. ეხლაც იმავე იღბალმა სელიმს მიჰგვარა კარს ტფილისის უმშვენიერესი ასული, აღებულ ქალაქში იმასა ჰხვდა წილად უძვირფასესი საუნჯე. რა შურს აღძრავს დიდებულებში, როდესაც გურჯისტანიდან ამისთანა სხივოსანს არსებას ჩაიყვანს სპარსეთში! თინანო დედოფალი იქნება ჰარამ-ხანისა, იქნება მთელი სპარსეთისაც, ვინ იცის; სხვა ხათუმები მხოლოდ მოახლეები იქმნებიან კეკლუცისა. ისნის ცისკარს შეჰშვენის ირანის ცისკრობა, როგორც თვით სელიმს ბრწყინვალე... მაგრამ ჯერ არ მოწვენილა ჟამი. მგოსნები იქაც ააკვნესებენ თინანოსთვის სიმებს... თითონ მზექალა? ის დაჰმორჩილდება თავის ხვედრს, როცა ჰნახავს, რა სიმდიდრეში, რა პატივში, რა დიდებაში ჩავარდება. მთლადაც დაივიწყებს საქართველოს და ვიღაც საამს. როდესაც იგი, სელიმი, სიყვარულით გაათბ-გაანათებს მშვენიერის გაციებულ-ჩაბნელებულ გულს. და რომ ეხლავე ეგემნა თინანოს, რა მოსიყვარულე გმირის ტყვე შეიქმნა ის და რა ფუფუნებაში ყოფნა მოელოდა იმას, სელიმი წასვლის დროს ზრდილობიანად, ნამდვილ სპარსულ ზრდილობიანად, დაემშვიდობა ქალს; არც-კი მიუახლოვდა, რომ უდროვოდ არ შეემღვრია მისი ნაზი გრძნობები, თუმცა, - ღმერთო! - რა ძლიერა ჰსურდა ჩაჰკონებოდა იმ შემკრთალ - განცვიფრებულ ანგელოზს!

- ამზად! ჩემ სიცოცხლეს გაბარებ, გაუფრთხილდი! შენ იცი ჩემი გულის ამბავი!
- უბრძანა საჭურისს.

თინანომ მადლობა იგრძნო თავის მპყრობელისადმი და ვაჟკაცი წინანდებურად შესაზარი აღარ ეჩვენა. ასეთია კაცის გული: თვით ბოროტებამაც რომ გცეს პატივი, იმაშიაც იპოვი კეთილ მხარეს.

ერთგულმა საჭურისმა უნაკლულად შეასრულა პატრონის ბრძანება. ქალი ბატონიშვილის ოთახში მოათავსა. მეორე სართულში იყო ეს ოთახი, მაღალი და ვრცელი. აღმოსავლეთით დიდ თახჩაში ძვირფასი შემკული ხატები ესვენა. ამ მხარესვე იყო მოთავსებული კოხტად ნაგები პატარა ბუხარი, რომლის თავს იდგა ზარის საათი. ჩრდილოეთით იდგა საწოლი ტახტი, მდიდრად მორთული და წითელი ხავერდით მოდებული; კედელზედაც წითელი ხავერდი იყო შეფენილი. ამ ტახტის წინ იდგა ხავერდ-ფენილი მაგიდა, რომელზედაც ეწყო საწერ-კალამი და ქაღალდი; შუაზე იდგა ხელის ყუთი, რომელიც ეხლა უძვირფასესი სამკაულით აევსოთ. დასავლეთით იდგა გრძელი ტახტი, ქეჩა-ხალიჩით მოფენილი, გარ-მოწყობილი მუთაქებით, რომლებსაც ნაქსოვი ფარჩა ჰქონდა გადაკრულა, იატაკი იყო დაგებული ერთი მთელი ოთახის ზომის ორხოთი; კუთხეებში იყო მიდგმული სპილენძის რგვალი მაგიდები. რომლებზედაც ათასი თვალწარმტაცი რამ ელაგა. რაც რამ უძვირფასესი აეღოთ დავლად, ყველაფერი მოიხმარა საჭურისმა ქალის სადგომის დასამშვენიებლად, მაგრამ თანაც ისე გაამარტოვა, ისე გააცალკევა ქალი, როგორც ზღაპრული მზეთუნახავი.

თუმცა ღრმა ჭმუნვით იყო მოცული თინანოს გული, მაინც ქალი იყო ის, ახალგაზრდა ქალი, და როცა ნახა, რა დედოფლურად მოაწყეს ის მეფეების სადგომში, გაერთო, თითქო ჩრდილს მიეფარა მისი მწარე ხვედრი და მით უფრო ადვილად, რომ ეს სიმდიდრე ან სულ არ ენახა ქალს, ან სხვის ტანზე და სხვის ოჯახში მოეკრა გაკვრით თვალი.

ღირსიც იყო თინანო დიდებულ ცხოვრებისა, ცოდვა იყო მისი შვენება შესაფერად არ ყოფილიყო შემძკული: ჩამომავლობითაც შეშვენოდა ბრწყინვალე ყოფა. თინანო უბრალო ზეინკლის ქალი კი არა, თავადის ქალია, მდიდარ და სახელგანხთქმულ წარჩინებულისა, ეს ოთახი მისი საკუთარია, მოყვარულ მამისაგან მისთვის მიჩემებული. რა მშვენებია ეს ვერცხლში ჩასმული, თვალ-მარგალიტით მოჭედული პატარა სარკე; ბიძამ აჩუქა თინანოს ეს ნივთი, ომიდან რომ დაბრუნდა, მაშინ. განა არ იცოდით ესა?! ხომ ხედავთ სარკეში თინანოს ანგელოზებრივ სახეს, გარს რომ კულულები შემოხვევიან სხივებივით? ფერმკრთალი იმისთვის არის, რომ მთელი ღამე ძილი არ მოსვლია. პირველ ღამეს რომ ჩაიძინა და სიზმარი ნახა, სიხარულით გული აუტოკდა, იმ გულის ცემამ გამოაღვიძა ის. აღარ დაეძინა და აღარ! მერე იცით, ვინ ეჩვენა თინანოს? საამი! რა შვენოდა საგმირო მორთულობა, როგორ თრთოდა და ღელავდა მისი თეთრი რაში.

- აი, ჩემო სიცოცხლე, ხომ გაჩვენე საქმენი საგმირონი, ხომ მოვსპე მამულის მტერი, ჩემი ხელით მოვკვეთე თავი იმ უსჯულოს და ეხლა რაღა გვიშლის შეუღლებას? ღირს მყო მოგეახლოვო, სიცოცხლე!

- განა აქამდის-კი ედგა რამე წინ ჩვენ კავშირს. გმირო თავდადებულო? რა აღუდგებოდა წინ სიყვარულის უძლეველ ძალას, მაგრამ სამშობლო რომ მტრის ხმაღ ქვეშ ჰკვნესოდა. იმისთვის არ მოგეცი პასუხი.

- ეხლა, სასურველო?

- ეხლა, როდესაც ვნახე მტერი ძლეული, შენის მარჯვენით დათრგუნვილი, ეხლა...

ნაზად დახარა ქალმა წამწამთა ჯარი. მიხვდა გმირი. ჩაეკონა.

- ჩემო ყველაღ! - ჩასჩურჩულებდა ვაჟკაცი და თვალეზს უკოცნიდა.

- რა ტკბილია ის კოცნა! უკვდაეზის შეხეზაა!

ნეტარეზის ნაპერწკალმა დაჰკრა ქალს თხემით ტერფამდის და დაბუგა.

- რად გამშორდი ეგრე ცივად. ჩემო იმედო? ნუ, ნუ მომეკარეზი! შენ, დიდებული გმირი ქვეყნისა, ბრწყინვალე თავადი. მე კი ხელოსნის ქალი. მხევალი შენი, ასული შენის ნაყმევისა... გულმა დამძლია და გავკადნიერდი, გავბედე გამესწორეზინა თვალი შენი შარავანდედისათვის და დავისაჯე... მომხედე, მხოლოდ მომხედე, კიდეღ დამანახვე ვაჟკაციური შენი სახე! ერთხელ, მხოლოდ ეხლა და... გაგშორდეზი, გავალ ქვეყნით, განდეგილთა სავანეში ვილოცავ შენთვის სიკვდილამდის.

- ნუ მეტყვი მაგას! მშვენებერეზა თვით უფალია უფლებათა, ხოლო შენ განხორცაელებეზა ხარ მშვენებერეზისა და უმაღლესი ქვეყნიურ დიდებულთა, მაგრამ... - თქვა საამმა და ძვირფას ნივთეზს გადაავლო თვალი.

- უი, დამიდგა თვალი! ხომ არა გგონია, შენი თინანო ამეეზით შეისყიდოს ვინმემ? სამოთხეზე ვერ გავცვლი ჩემ სიყვარულს, ქვეყნის სიყვარულს, ქვეყნის

სიმდიდრე ჩალად მიმაჩნია უშენოდ... ძალა?! ძალას ვერვინ იხმარებს ჩემზე, რადგან სიკვდილი ხელთა მაქვს, - ამბობს თინანო და გულზე გაკეთებულ შანას უჩვენებს. - სიკვდილი მყავს აქ დატყვევებული, წუთზე გადამაფრენს ამ ქვეყნით და იქ მოგეგებები სპეტაკ-უმანკო, როგორც სხივი რამ.

- უიმე! - შესძახა ქალმა და ოცნებიდან გამოსულმა თრთოლა დაიწყო, როცა გაიღო კარი და მის წინ მოწიწებით წასდგა საჭურისი.

- მე ვარ, მზეთა-მზე, მონა და ფებთა მტვერი შენი. რისთვისა კრთები? გმირთა-გმირი სელიმი დაბრუნდება ხვალ და მალე წავალთ გამარჯვებულნი სპარსეთში. იქა ჰნახავ, რა ბრწყინვალეა თქვენი მეუღლე.

- მიშველე, საამ! - შესძახა სასოწარკვეთილებით ქალმა და გადაესვენა.

- შორს არის შენი საამი, ვერ დაგიხსნის! ვედარავინ გიხსნის შენ ჩვენი ხელიდან!
- სთქვა გესლიანად მონამ და ვარდის წყალი აპკურა გულ-შემოყრილს.

XVII

სცდებოდა კაცთ არამსგავსი: საამი ახლო იყო, ძალიან ახლო.

მგზავრები ჩავიდნენ სოლოლაკის თავქვე. ქალაქის გზები თათრებს ჰქონდათ დაჭერილი და გარს შემოეხვივნენ. საამმა ანიშნა მხლებლებს, იმისკენ მიეწინათ, რომ ერთად ემოქმედნათ, თუ საჭიროება მოითხოვდა. ყარაულმა გასინჯა მიტანილი სანოვაგე და ყეინის კარს გაგზავნა. აიღეს, ფასი უთქმელად ჩააბარეს. ამ პირველმა ნაბიჯმა გაამხნევა საამი.

- მეგონა დაგვატყვევებდნენ და. ნახო, როგორ პატიოსნად მოგვეპყრნენ! - ამბობდნენ მგზავრები. საამმა დააბინავა ცხენები, უბრძანა კაცებს, არსად წასულიყვნენ და გასწია ავლაბრისაკენ. გზა-გზა შენიშნა, რომ თათარი დამშვიდებით არ იდგა ქალაქში. ქუჩები სავსე იყო ურმებით, ჯორ-აქლემით, ცხენებით; მეტეხის ციხესთან ბარგს აბარებდნენ.

- სათარემოდ თუ აპირებენ გასვლას, - იფიქრა საამმა.

გული ძლიერ აუბგერდა, როცა თინანოანთ სახლს მიუახლოვდა. გაოხრებული დახვდა სახლი: გალავანი შემოერღვიათ, საჩეხი მოეგლიჯათ. ბაღჩა გადაეკაფათ, კარ-ფანჯარა მიეღეწნათ. დაღონდა. შეიხედა ფანჯრებიდან - არავინა სჩანდა, ძალლი დათვიაც-კი არ მიეგება. გულდაწყვეტილი საამი გამობრუნებას აპირებდა, როდესაც მეზობლის სახლიდან მონძებში გახვეული დედაბერი ამოძვრა.

- რა გინდა, კაცო, ვის ეძებ?

- იოთამე მინდა, უსტაბაში იოთამე. აქ აღარა სცხოვრობს?

- შე კაი კაცო, და განა ადამიანის საცხოვრებელია არის ე ნანგრევები?!

- მაშ სად ვიპოვო? საჭირო საქმე მაქვს.

- რა ვიცი, სად იქნება? ვინ იცის, არის კიდევ სადმე ცოცხალი, თუ არა!

ამ ლაპარაკში დედაკაცი თანდათან უახლოვდებოდა საამს და აკვირდებოდა.

- კაცო, ვინ ხარ შენ? თითქო მეცნობიო.

- რაში გეკითხება ჩემი ვინაობა? - მიუგო საამმა და გამობრუნდა, რადგან ეშინოდა, არ მიცნას დედაკაცმა, არ გამცესო. ავადმყოფობის დროს მეზობლები ხშირად ხედავდნენ საამს და შეიძლებოდა ეცნო.

- იმ თავადიშვილსა ჰგავს, იოთამეანთ რომ მოარჩინეს, - ფიქრობდა დედაკაცი. დიდ იმედებს აძლევდა მაშინ საწყლებს, გაჭირვების დროს-კი დაიკარგა. დახე, როგორ ქურდულად დაძვრება!

საამი იასე მღვდლისას წამოვიდა. თუ გავიგებ რასმე ან ქვეყნის საქმისას, ან ჩემი დარდისას, სწორედ იქ გავიგებო, ფიქრობდა ის. იასეს სახლი არ იყო ისე გაოხრებული, როგორც იოთამესი. თითონ მოძღვარმა გამოხედა. შეხედა საამს და ელდა ეცა. მაშინვე შეიწვია, კარები ჩაკეტა.

- რისთვის გასჯილხარ, ბატონო, და განსაცდელში ჩაგიგდია თავი?

- დავალებული მაქვს გავიგო, სადა ბრძანდება ბატონი ერეკლე, ან რასა ფიქრობს და რას აპირებს.

- აქ სწორედ არავინ იცის ეგ. ის-კი ნამდვილია, რომ დროზე მოასწრო და გაეცალა მტერს; არაგვის ხეობისკენ წაბრძანდა.

- ნეტა როგორ აპირებს ქვეყნის შველას? ომგარდაუხდელი ჯარები მზადა გვყვანან.

- ქიზიყის ჯარიც მზადა ყოფილა, საგარეჯოსიც, მაგრამ შველის მაგივრად რევაზ ანდრონიკაშვილს იმ ჯარებით ჩვენი ხალხივე დაურბევია.

- ჩვენც გავიგეთ მაგ ავაზაკების ამბავი. ვერ მივმხვდარვართ, როგორ მოხდა, რომ შეკრებილი ჯარები თავის დროზე ვერ ეახლნენ მეფეს, არც ჩვენ მიგვიღია ბრძოლაში მონაწილეობა; ბრძანებას ველოდდით.

- მერე არ მოგსვლიათ ბატონის ბრძანება? მეფე ხომ კაცს კაცზე ჰგზავნიდა ყოველ მხარეს.

- არ მოგსვლია! მაინც ახლა რა უნდა ეშველოს ქვეყანას?

- თათრის წასვლის შემდეგ გამოირკვევა ყველაფერი და შესაფერი მსჯავრი დაედება.

- განა გადის თათარი ქალაქიდან?!

- ხოჯა-ხანი მთლად იყრება ამ დღეებში, სპარსეთში მიემართება.

- ჩვენ ნაცნობებიდან ბევრი დაიღუპა?

- მთელი ქალაქი სისხლით მორწყეს და გადაბუგეს.

- იოთამე?

- დაიღუპა! სახლის აკლების დროს სიდონია ხანჯალზე ააგეს. შემდეგში თინანო წაიყვანეს ტყვედ და იოთამე შეშლილივით შეიქმნა; გავარდა, ერეკლეს უნდა მოვახსენო, შვილი დამიხსნასო.

- თინანო ტყვედ წაიყვანეს სად არის ეხლა? ცოცხალია?

- ცოცხალია, სელიმ-ხანსა ჰყავს ტყვედ, - უთხრა მოძღვარმა და უამბო ქალის დაპატიმრების ამბავი.

- მაშ უსჯულოს სათამაშო გამხდარა ქალი!..

- არასოდეს! თინანო ჩემი გაზრდილია და თავს მოიკლავს, შეურაცხყოფას-კი მოითმენს. კიდევ მოახერხებს, თუ თავის განწირვა დასჭირდა: შხამით შემზადებული აბი აქვს თან.

- უნდა დავიხსნა თინანო ან არ მინდა თავი ცოცხალი! - სთქვა საამმა და ზეზე წამოხტა.

იასემ შეხედა საამს და თვალეზი აეხილა. შეატყო, რა ძვირფასი გამხდარიყო მისი აღზრდილი ამ ვაჟკაცისათვის და გული უფრო ეტკინა, რომ ეს ბედი ვეღარ ეღირსებოდა ქალს.

- უთუოდ უნდა დავიხსნა! - განაგრძო საამმა. - დავეცემი სელიმ-ხანის სადგომს და მოვიტაცებ ქალს. ორი კაცი სხვა მყავს აქ. იარაღი უნდა გვიშოვოთ, უიარაღონი შემოვედით ქალაქში.

- დაბრძანდი, ბატონო, მოვიფიქროთ. იარაღის შოვნა შესაძლოა, მაგრამ თქვენი განზრახვის ასრულება შეუძლებელია: სელიმი გიორგი ბატონიშვილის სასახლეშია დაბინავებული, რომელიც დანგრევას და აკლებას ჯავათ-ხანმა გადაარჩინა. გარს ყარაული არტყია, ეზოში ათასი ხალხი ირევა. მართალია, თითონ სელიმი სათარეშოთ არის გასული, მაგრამ მაინც ბევრი მეომარი ახვევია სასახლეს და ძალიანაც ფრთხილობენ. ორი კაცით აბა რას გახდებით?!

- მაშ გამოვისყიდოთ! მთელ ჩემ ქონებას მივცემ.

- შეუძლებელია! სელიმი ისეც მდიდარია და ეხლა ხომ ყელამდის არის სავსე ნადავლით; ქალი ძალიან მოსწონს და არ გასცვლის ოქროში, არ დასთმობს.

მინც დაასკვნეს ყოველ შემთხვევისთვის საამს დაეთვალე რეზინა სასახლე. თუ შესაძლო იქნებოდა, ეზოშიც შესულიყო, რომ ის მინც გაეგო, რომელ ოთახში ჰყვანდათ ქალი ჩაკეტილი.

საამი მიუახლოვდა სასახლეს და დაუწყო თვალე რეზინა. ორთ-სართულიან სახლის ბანზე თეთრი დროშა იყო ამართული, რომელზედაც ოქროსფრად იყო სურათები გამოყვანილი. ფართო ეზოს მაღალი გალავანი ერტყა, ზევით სართულის ფანჯრები ჩაკეტილი იყო, ფარდა ჩამოფარებული. იგრძნო საამმა, რომ თინანო აქა ჰყვანდათ, მაგრამ რომელ ოთახში? საამი ცდილობდა განეჭვრიტა გონების თვალით მთელი სასახლე, დაენახა თავისი საუნჯე, მაგრამ ამოდ. მინც თვალი ვეღარ მოეწვიტნა ფანჯრებისთვის, რომლებზედაც ეხლა კრთებოდნენ ჩამავალი მზის სხივები და იქნება თინანოს ეალერსებოდნენ. ვინ იცის, რამდენი ხანი იქნებოდა ესე ჰვრეტად გადაქცეული, თუ ქუჩაში ხმაურობა არ ატეხილიყო. გამოჩნდა თეთრ-ტაიჭოსანი მხედარი, რომელიც ჯარს მოუძლოდა წინ. წოწოლა ქუდი ეხურა; ჰინით შეღებილი წვერი მტვერს დაეფქვილა. ახოვანი რამ ვაჟკაცი სჩანდა. გამოეგებნენ სასახლიდან, მოწიწებით ჩამოართვეს ცხენი. ქუჩა ანჩხატამდის ხალხით აივსო.

XVIII

საამმა რომ სელიმ-ხანის დაბრუნება ნახა, მოტყდა, მოიღვარსლა. ქაჯნი მოესწრნენ და ძნელად შესამართი საქმე შეუძლებელი შეიქნა. გამობრუნდა მჭმუნვარე, აზრმეხუთვილი. შეიარა იასესთან, ჟანგისფერი ედვა, ბოდმას ტვინი შეერყია, თვალეები ამღვრეოდა. იასე მაშინვე მიხვდა, რომ ბოროტი რამ წაჰკიდებოდა ვაჟკაცს.

- დაბრუნდა სელიმ-ხანი. თინანო იმისია, თუ არ მოვსპე ის ჯალათი.

- შეუძლებელია! იმოდენა მხლებლებში ვერ მიატანთ სელიმამდის. თუნდაც მოჰკლათ, რა გამოვა? თინანო ისევ ტყვედ დარჩება და, იქნება, უარეს დღეშიც ჩავარდეს.

- მაშ ეწიოს მტარვალი გულის წადილს?!

- ვერ ეწევა-მეთქი! ავი მოგახსენე, თინანოს აქვს საშუალეა აიცილოს შეურაცხყოფა. სელიმიც არა ჩქარობს, ცდილობს შეიჩვიოს ქალი, არ გაამწაროს, რადგან ეშინიან, თავი არ მოიკლასო.

- რაზმი რომ თან მახლდეს, პირდაპირ დავეცემოდი სასახლეს ეხლა-ვი მიჩვენია მკვდარი ვიყო! - სთქვა საამმა და თავი ჩაჰკიდა.

ამ დროს მოისმა ძაღლის ყევა და კარის რახუნნი.

- მიხსენ მე, უფალო, მდევართა ჩემთაგან! - სთქვა ხუცესმა და გავიდა.

რომ შემობრუნდა, თან შეიარაღებული თათარი შემოიყვანა. საამმა ხანჯალს ხელი გაიკრა, მაგრამ უეცრად შესდგა.

- შტრაფილ-ბეგ!

- მე გახლავარ, ბატონო საამ!

- რა გინდა?

- თქვენი მშვიდობა! მეგობრად მოვსულვარ.

- კეთილი!

- გაიხელით, რომ სამსახური გაგიწიოთ და გადაგიხადოთ თქვენი სიკეთე, - სთქვა შტრაფილმა და მიუბრუნდა იასეს: - ბატონმა საამმა სიკვდილს გადამარჩინა ერთხელ.

- საიდან გაიგე ჩემი აქ ყოფნა?

- სასახლეს რომ დასტრიალებდი, მაშინ დაგინახე. სელიმ-ხანის რაზმში ვარ; ბორჩალოდან სხვებთან ერთად მეც გამომიტაცეს მაშინვე გიცანი, მაგრამ ხმა არ გაგეცი, რომ სხვებსაც არ მიექციათ შენთვის ყურადღება; იქიდან აგყვევი. უთუოდ მნელი რამ საქმე გაქვთ და გთხოვთ, მენდოთ მეგობარს.

საამი ცოტა ყოყმანის შემდეგ მიენდო კაცს, - მეტი გზა არ იყო, - და უამბო თავისი გასაჭირი. შტრაფილმა მოისმინა ყველაფერი და აღუთქვა დახმარება. ახლა იმაზე დაიწყეს ბჭობა, როგორ უნდა მოეგვარებინათ საქმე და დაეხსნათ ქალი ტყვეობიდან. გამოირკვა, რომ ქალის მოტაცება ან გამოპარება, ან გამოსყიდვა შეუძლებელი იყო. ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა მოთათბირენი მდუმარებდნენ. ბოლოს საამსვე მოუვიდა სახიფათო ფიქრი რამ:

- ქალი ხომ თან უნდა წაიყვანოს სელიმ-ხანმა და გზაზე განვათავისუფლებ! იქ ციხე-გალავანი მაინც არ ერტყმება გარს და პირდაპირ მივუხდები.

- როგორ, განა შესაძლოა ყეინის ძლევამოსილ ლაშქარს მიჰმართო? - გაიკვირვა შტრაფილმა.

- სხვა გზასა და იმედს ვერა ვხედავ. თუ წადილს ვერ შევისრულებ, სიკვდილს მაინც სასურველს მივხვდები; გაიგებს, რომ სიტყვა ავუსრულე, დამიტირებს.

- მხოლოდ თავგანწირულ კაცს შეუძლიან მოუვიდეს მაგისტანა აზრი, - სთქვა მღვდელმა.

- არც ეგრე შეუძლებელია ჩემი განზრახვის შესრულება! მომისმინეთ: ლაშქარი დაიმედებული გაუდგება გზას, გრძლად წავა, გაიძაბება; ტყვეებს ყეინთან ახლო არ ატარებენ და მაშ საუკეთესო ჯარიც მოშორებით იქნება. საქმე ეხლა ის არის, მარჯვე ადგილს დახვდეს კაცი და სწრაფად იმოქმედოს. რაზმი გაწვრთნილი მყავს, იმედი მაქვს.

ეხლა ეს რჩევა ჭკუაზე ახლო ეჩვენათ. გონების თვალთ აათვალიერ-ჩაათვალიერეს გზა და უფრო ხერხიანათა სცნეს, მოეტაცნათ ქალი სადმე სოდანლულიდან დაწყებული ვიდრე იალლუჯამდის. თუ კუმისის კლდეებამდის უვნებლად მიაღწევდნენ, მაშინ დევნა საშიში აღარ იქნებოდა, რადგან საამმა კარგად იცოდა ამ კლდეების ყოველივე ბილიკი და ღრანტე-დარანი, იქ ადვილად აიცდენდა მდევარს. ისიც მოიფიქრეს, როგორ უნდა გაეგო საამს, რა ადგილას მოჰყვებოდნენ გზაზე სელიმის ტყვეები. ესე დაასკვნეს: შტრაფილ-ბეგს უნდა ედევნებინა თვალი და ქალაქიდან რომ ჯარი დაიძვრებოდა, ენახნა, რა ადგილას მოჰყვებოდა ტყვე. ეს ამბავი უნდა ეცნობინებინა იასესათვის და ისიც კაცს აფრენდა მოკლე გზით. გაგზავნილს ქვაყრილზე დახვდებოდა საამის კაცი და ბინამდის მიიყვანდა.

- ვეცდები არ მოვშორდე იმ ეტლს, რომელშიაც ქალი იჯდება. გახსოვდეს, რომ წითელ, ცხენზე ვზივარ და წითლები მაცვია. ვეცდები შემნიშნო და მაშინ მომყვი. ზედ მიგიყვან, - დაჰპირდა შტრაფილი.

- თუ საწადელი ამისრულდა, ძმად დაგსახავ.

- მე სიცოცხლე მომნიჭებია თქვენგან! ესეც არ იყოს, ყენი მიდის, ჩვენ-კი ისევ მეზობლად ვრჩებით.

საჭიროდ დაინახეს ეცნობებინათ როგორმე ეს ამბავი ქალისათვისაც. მამა იასემ დასწერა ბარათი: სთხოვა, გული შეენახა, არა აეტეხნა-რა თავის თავისთვის. ჰქონებოდა სასოება იესოზე, რომელმაც შემუსრა თვით ბჭენი ჯოჯოხეთისანი და განათავისფლა სულნი მართალნი. სხვა ვერაფერი დასწერა, ეშინოდა წიგნი არავის ჩაჰვარდნოდა ხელში. შტრაფილმა აღუთქვა ეცნობებინა როგორმე ქალისთვის, რომ საამს თავი გადაუდვია მისთვის.

XIX

საამი იმ დღესვე გამოვიდა ქალაქიდან. შტრაფილ-ბეგმა თითონ მიაცილა სოლოლაკის კარებამდის, რომ დაბრკოლება რამ არ შემთხვეოდა. იმავე ღამეს ავიდა საამი ფარცხისს როდესაც აცნობა მეფის ამბავი, ქალაქის მდგომარეობა, ყენის მზადება წასასვლელად, ძალიან გაუკვირდათ. ვერ გაეგოთ, რატომ თავისებურად არ მოქმედებდა ბატონი ერეკლე, რახან მშვიდობით გადარჩენილიყო; რატომ გრიგალივით გარს არ უვლიდა ქვეყანას, რატომ არწივივით თავს არ დასტრიალებდა მის ბუდეში ჩასახლებულ მტაცებელს!.. მით უფრო საკვირველი იყო მარად მხნე მეფისაგან ისეთი უზრუნველობა, რადგან იცოდა, რომ ქართველების უმთავრესი ძალა ფეხზევე იდგა, რომ მის საშველად გამზადებული იმერეთის ჯარი ჯერ ისევ თითქმის ხელუხლებელი იყო, რომ ლეკ-ჩერქეზთა ჯარიც მხოლოდ იმის მოწოდებას ელოდდა.

- ამოდენა ლაშქარი ფეხზეა, თითქმის ხელუხლებელი და ხოჯა-ხანის მომწყვდევა აოხრებულ ტფილისში როგორ უძნელდება ბატონ ერეკლეს?! - ჰკვირობდნენ სარდლები.

ის აღარ იცოდნენ იმათ, რომ კრწანისის ველზე ბატონი სასიკვდილოდ დაიჭრა, რომ მას მკერდში მოხვდა ღალატის გესლით მოწამლული ისარი და გული გაუგმირა, მოუკლა, ხოლო უგულოდ თითონ ერეკლეც ვეღარ გმირობდა.

ვერც ის გაეგოთ, ალა-მაჰმად-ხანს რაღა დაჰმართოდა, რომ იყრებოდა მთელი თავისი ჯარით. იმან მარჯვედ ჩაიგდო ხელში დედაქალაქი და უმთავრესი სიმაგრე, მკერდზე მუხლი დაადგა მის ფეხქვეშ განრთხმულ საქართველოს და იმის მაგიერად, რომ ძლევა-მოსილი ლაშქრით გაევილო ქვეყანა კიდითი-კიდე და დაემონებინა, ის ერთ წუთს შედგა თავისივე გამარჯვებით დამთვრალ-გაბრუებული და ეხლა ირანისკენვე მიისწრაფვოდა; ვერ გაეგოთ, რომ მოაჯადოვა ეს გამოცდილი სარდალი, რომ ვერ მოეხერხებინა ესარგებლნა გამარჯვებით.

ის აღარ იცოდნენ იმათ, რომ კრწანისის ველზე გამარჯვებული კეისარი ჭკვიანი და გამოცდილი მეფე იყო, ჰხედავდა, რა შემთხვევითი იყო მისი გამარჯვება და რახან თითონ ერეკლე გაუშვა ხელიდან, დარწმუნებული იყო, რომ ეს მოხერხებული ფალავანი შეინძრეოდა, რასმე უცნაურს მოაგვარებდა, გამარჯვებულ ყეინს საარაკოდ გახდიდა.

საამმაც არ იცოდა, როგორ უნდა ახსნილიყო ყველა ეს ამბები. არც ეცალა ეფიქრნა ამაზედ, მისი გონება სხვა დარდებით იყო გამსჭვალული: მისი მზეთუნახავი შეეპყრა დევს, გატაცებას უპირებდა და უნდა ეზრუნა რამე; თუ ეხლავე ვერ უშველიდა, თუ ეხლავე ვერ გამოსტაცებდა ტყვეს, ქალი მისთვის საუკუნოდ იქნებოდა დაკარგული.

საამმა მაშინვე წამოიყვანა თავისი რაზმი, გადმოვიდა მუხათს, ამოირჩია ოცი საიმედო მხედარი და საუკეთესოდ შეაიარაღა ისინი. გაიგეს, საამმა მცირე რაზმი გამოაწყო, რაღასაც აპირებსო და მოვიდნენ მასთან: ერტელი იაია გაბაშვილი, ბორბალოელი ზაზა სოლოლაშვილი, ენაგეთელი თენგიზ ბარათაშვილი, წალახურიდან ელიზბარ ჯორაშვილი და კოდიდან ბიძინა ყაფლანიშვილი. ესენი სულ თავზე ხელაღებული ახალგაზრდობა იყო, სიმამაცედ გადაქცეული; სულ ხმალზე იყურებოდნენ, ყოველჟამს ბრძოლა სწყუროდათ, საუცხოვოდ იყვნენ შეიარაღებულნი და ისეთ რაშებზე ისხდნენ, კაცს თვალი ზედ დარჩებოდა.

მოვიდა ქალაქიდან კაცი და იასე მღვდლის წერილი მოართვა საამს. მოეწერნა, ყეინი ხვალ გავა ქალაქიდან, მზად იყავიო. საამი დაადგა გზას. ხუთმეტი რჩეული ცხენი წაიყვანეს მარჯვად სულ დაკაზმულები. ჩაიარეს გადასახედავი, ტბისკენ შეუხვიეს, ჩაჰყვნენ კუმისის ხევს და ხევშივე დაიდეს ბინა, ტბის ახლო. დადამდა. ბრძანება გასცა საამმა, ცეცხლი არ დაენთოთ, ხმაურობა რომ არ აეტეხნათ. მოუარეს ცხენებს. დასხდნენ ვახშმათ. აქ საამმა დაწვრილებით უამბო ყველას, რასაც აპირებდა; ჩააგონა, რამდენ სიფრთხილეს, სიმარჯვეს და მამაცობას მოითხოვდა ეს მისი ცდა. მერე გადაარჩია კაცები და უბრძანა თავის მოურავს:

- ეს ათი კაცი, თხუთმეტი ცარიელი ცხენი აქ უნდა დარჩეს ხვალაც; შენთვის ჩამიბარებია ესენი. ცხენიან-კაციანად მზად უნდა იდგეთ. როცა დაბრუნებულნი აქამდის მოვალწევთ, დაღლილ ცხენებიდან ამ დამზადებულ ცხენებზე გადავსხდებით. მაშინ ყველანი შევერთდებით, ყველანი დასვენებულ ცხენებზე

ვისხდებით და მტერი ჩამოგვრჩება. თუ კუმისს მივალწით, კლდეებში გავიფანტებით და მღვეარი ხელცარიელი დარჩება.

- არა სჯობია, ბატონო, ყველანი მივიდეთ მტერზე? - ჰკითხა მოურავმა.

- არა! მოსატაცებლად თხუთმეტიც ვეყოფით, საბრძოლველად

- კი ოცდახუთიც წვეთია ზღვაში, - მიუგო გაბაშვილმა.

- ცოტანი რომ ვიქნებით, უფრო არ მოგვაქცევენ ყურადღებას, ახლო მიგვიშვებენ, - დასძინა ჯორაშვილმა.

ირიჟრაჟა. წამოიშალა საამის რაზმი. თხუთმეტი კაცი იდგა დამზადებული. საამს ჭმუნვა ეტყობოდა, რადგან ქალაქიდან კაცი ჯერ არ მოსულიყო და დაწვრილებითი ცნობები არა ჰქონდა მიღებული; არ იცოდა, რომელ ადგილას იქნებოდა სელიმ-ხანის ჯარი ან ბარგი, რომ პირდაპირ იქით მიემართნა. მაგრამ ამ ხანში სწორეთ საამისაკენ იყო ბედი: მოვიდა მოამბეც.

- მე თითონა ვნახე, - მოახსენა იმან, - როგორ დაეწყო და გამოემართა ჯარი. ქალი ტახტრევანდით მოჰყავთ. იმედი მაქვს პირდაპირ მიგიყვანოთ. მოვკალ ბილიკებზე ცხენი.

გაემართნენ. გასცდნენ ტბას, გაჰყვნენ იქითა ხევს, მიუახლოვდნენ გზას და ჩამოხდნენ. ხევზე მოდებული ბუწკნარი ჰფარავდა ჩასაფრებულებს. დაუწყეს თვალიერება. ისე ჩანდა გზა, როგორც ხელის გულზე. მალე იჩინა თავი ლაშქარმა. მზის სხივებზე იარაღს ლაპლაპი გაჰქონდა. პირველი დასტები წყობისათ მიდიოდნენ. გუგუნი იდგა ჰაერში. გული აუტოკდათ გმირებს: ცხადად დაინახეს მთელი სიძნელე თითქმის შეუძლებლობა განზრახულ საქმისა და თითქო შეკრთნენ.

- ამ ლაშქარში თითონ ყეინი ბრძანდება. ხედავთ, როგორ ლაპლაპებენ რახტები და იარაღი, - სთქვა მოსულმა.

ცხენოსან ლაშქარს ქვეითი ჯარი მოსდევდა, გუნდ-გუნდად დაყოფილი, შიგადაშიგ ცხენები და აქლემები ირეოდნენ. აგერ გამოჩნდა თეთრი ბაირადიც, რომლის ოქროს ბუმტზე მზის სხივები სხლტებოდ-კრთებოდნენ.

- სელიმ-ხანის ბაირადი! - იცნო საამმა.

- დიად, იმის რაზმი გახლავთ; ამ გუნდშია ქალი, - სთქვა მოსულმა.

საამს ისე აუძგერდა გული, რომ უნებლიეთ მკერდზედ იტაცა ხელი.

- დროა, ძმებო! - მიუბრუნდა საამი ამხანაგებს. მერე დასწვდა, აიღო სამი თითით მიწა და შეჭამა: - ეს იყოს ჩვენთვის წმინდა საიდუმლო!

ყველამ აიღო მიწა და ღვთის სახელობაზე შეჭამა. გადაკოცნეს ერთმანეთი, შესხდნენ.

- მომბაძეთ! - შესძახა მხნეთ საამმა და გაემართა.

XX

ჯგუფად და წყნარად მიდიოდნენ გმირები, რომ უფრო ნაკლებ მიექციათ ჯარის ყურადღება. ძალიან დაუახლოვდნენ მიმავალ ლაშქარს. საამი ჭვრეტად გადაიქცა. მოსულმა ანიშნა საამს და ერთ ჯგუფს დაუპირდაპირდნენ. ბრბოდან გამოათამაშა ტაიჭი წითლად შემოსილმა მხედარმა და გაექანა მიმავლებისაკენ, მაგრამ მალე უკან შეაბრუნა ბედაური. მოსხლიტა საამმაც ცხენი, მიჰყვა მხედარს და ზედ მიაწყდა ტახტრევანდს, რომელშიც თინანო იჯდა. შეიქნა ჩოჩქოლი. საამმა ჰკრა ტყვია წინ გადაგებულ თათარს და ამოგლიჯა ქალი ჩარდახიდან.

- დამიხსენ, საამ! - ამოიკვნესა თინანომ და მიეჭლო მხედარს.

საამმა იშიშვლა ხმალი და გამოატრიალა ტაიჭი. დაცალეს სხვებმაც თოფები. უკან მოექცნენ წინამძღვარს. გრიგალივით წამოვიდა მხედართა ჯგუფი. გონს მოსულმა ყიზილბაშებმა დასცეს ყიჟინა და წამოაყარეს ტყვია ამ ერთ მუჭა ხალხს, მაგრამ მხოლოდ ორი ჩამოაგდეს: ძალიან დაიფარა მხედარნი შერჩეულმა ჯავშანმა, შეიქნა დევნა. დიდძალი ცხენოსანი გამოეკიდა გმირებს, მაგრამ ისინი შერჩეულ ცხენებზე ისხდნენ და გამოასწრეს. თათრის მხრიდან ზოგიერთი მხედარი წინაურდებოდა, უახლოვდებოდა ქართველებს, მაგრამ ისინი მარჯვედ იბრუნებდნენ პირს და ტყვიით გადმოაგდებდნენ დაწინაურებულს. გამოსცდნენ ტბას. მიატანეს ჩასაფრებულებს. იმათ ადრევე შენიშნეს ამხანაგების მოქმედება და მზად დახვდნენ. მსწრაფლ დაიცვალეს ცხენები. ეხლა საქმე მოგებული იყო: ძალიან დაწინაურდა რაზმი. მიაღწიეს ვაჟკაცებმა კუმისის ღელეებს და სწრაფად გაიფანტნენ. გაუჩინარდნენ.

თოფის სროლამ და ყიჟინამ ყეინის ყურებამდის მიაღწია. მოახსენეს, რა ამბავი მოხდა. ბრძანა, ცოცხლები მომგვარეო თავხედები, დაბადების დღე შევანანოვო. მდევარი რომ ცარიელი დაბრუნდა, ყეინს მიწის ფერი დაედო, გესლიანათ გადახედა სელიმ-ხანს და ბრძანა:

- წაგებულ ომს უდრის ეს მარცხი!

1901 წ.

ის სახლი ახლაც შეგიძლიათ იაზროთ, თუ მირზოვეისეულ ქარხანასთან გახვალთ და იქიდან შემოხედავთ ამ მხარეს; სვეტები ისევ დარჩენილა, თუმცა საჩხი-კი აღარ არის ზედ წამომდგარი, რადგან სახლი უკან დაუწევიათ და ახალ გეგმაზე აუგიათ.

ბაღლობისას გამიგონია ეს ლექსი. არ ვიცი, აქვს ვისმე ჩაწერილი, თუ ისიც დაიკარგა საათნავას ბევრ სხვა ლექსებთან ერთად. ვ.ბ.

ეს ის ეფრემი იყო ალექსიევი, რომელმაც მღვდლობაში, გიორგი მეფის დროს, ღვინისათვის სახმარ ჭურჭლის ქება დასწერა ლექსად. ვ.ბ.

ამ ბაჯიაშვილებს გვარად მოუდიოდათ ექიმობა. იმისი ჩამომავლები ეხლაც ექიმობდნენ. შეუდარებლები არიან გატეხილისა და ჭრილობის მორჩენაში. თითონ ძამნა ერეკლეს განთქმულ ექიმბაშს ივანე ყარაშვილს არ დაუვარდებოდა.

გლები დღესაც ისე ლანძღავს თავის საქონელს, თითქო სხვისა არისო ვ. ბ.

თურმე სულ ორმოცი წელიწადი არ იქნება მას აქეთ, რაც ეს ხაზინა იპოვნეს. მილუასეული სახლი დაენგრიათ მაშინ ამოჩენილიყო. დიდი განგაში გამოეწვია ამ ზინეთის პოვნას.

გიორგი მეფის სუფრაჯი, მაშინ მთლად ახალგაზრდა მემკვიდრე.

ეს უშველებელი ჭანდარი დღესაც დგას მარაბდაში. კვირამლობით სანთელს უნთებენ. რამდენიმე თხრობაა ხალხში დარჩენილი ამ ჭანდარზე. ზოგი ამბავი ხოჯახანის დროსაც შეეხება.

კოდაზე ალთუნაანთ ოჯახიდან ისევე გამოუვლელად გამოდიოდნენ მკითხავები, როგორც ბარნაველების სახლიდან მღვდლები. არ არის დიდი ხანი, რაც ალთუნაანთ ოჯახიდანვე ჰქონდა განთქმული სახელი მკითხავ ნინოს. არ ვიცი, კოდელ ნინოს შემდეგ მოისპო იმ ოჯახიდან მისანი, თუ კიდევ არის

შენიშვნები

ვარიანტები

ვ. ბარნოვის თხუზულებათა პირველ ტომში შევიდა ოცდაერთი მოთხრობა და რომანი. ზოგიერთი მათგანი («რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან», «მართალი კაცი», «ნუშო», «სვიმონ ხელი», «პრაფესორი», «პატარა ლევანი», «ხარაზი», «ემმა») მხოლოდ პერიოდულ პრესაში იყო გამოქვეყნებული. ზოგ რომანსა დამოთხრობას მოეპოვება ავტოგრაფი, ბევრი მათგანი ძლიერ ნასწორებია და კარგად არ იკითხება.

მწერლის ოჯახში დაცული არქივის შესწავლით გამოირკვა, რომ ვ. ბარნოვი საბოლოოდ დამუშავებულად დაბეჭდილ ტექსტებსაც არ თვლიდა. მას თავისი ხელით უსწორებია პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნაწარმოებები: («სურათები ხევსურების ცხოვრებიდან», «სვიმონ ხელი», «ნუშო», «ნალიტა და ფეთება» და სხვ). ჩვენ, რასაკვირველია მწერლის ნასწორებ ტექსტებს დავეყრდენით და ის ძირითადად მივიღეთ.

დაბეჭდილ ტექსტებთან ავტოგრაფის შეჯერებით გამოირკვა, რომ «მეჩვენა» ყველა გამოცემაში დაბეჭდილია შმოკლებით. წინა გამოცემებში ცენზურის მიერ გამოტოვებულია ავტორის მსოფიძხედველობის გარკვევისათვის ფრიად საყურადღებო ადგილები. ეს გამოტოვებული ადგილები (არც თუ იშვიათად მთელი გვერდები) წინამდებარე გამოცემაში აღვადგინეთ ავტოგრაფის მიხედვით.

ტომს ერთვის ვარიანტები და შენიშვნები, სადაც გათვალისწინებულია ვარიანტული წაკითხვები, რომელიც მოიპოვება ვ. ბარნოვის სიცოცხლეში დაბეჭდილ ტექსტებში ან ხელნაწერებში.

დ. რ.

პირობითი ნიშნები

განყოფილებაში «ვარიანტები და შენიშვნები» თხუზულებათა სათაურების შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედვით დამზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტები.

ნაწარმოებები დალაგებულია ხრონოლოგიურად, დაწყებული პირველ გამოქვეყნებული ტექსტით. თითოეულ მათგანს მიწერილი აქვს ლიტერი

(მრგვალ ნაბეჭდიდან, დამთავრებული ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად ფრჩხილებში), რომლითაც ისინი აღნიშნული არიან ვარიანტების ჩვენებისას.

A ნიშნავს იმ პირითადად წყაროს, რომლის მიხედვითაც არის ტექსტი დაბეჭდილი ამ გამოცემაში.

რომ ვარიანტების ჩვენება უფრო ნათელი და თანაც კომპაქტური ყოფილიყო, მიღებული გვაქვს შემდეგი ნიშნები:

+ტექსტს ემატება (მაგ. : მეფე + ქებული B ნიშნავს : B ვარიანტში «მეფე»-ს ემატება «ქებული»),

- არ არის (მაგ. : ისანი- A,ნიშნავს : «ისანი» სიტყვა A ვარიანტში არ არის).

[ნაცვლად (მაგ: მშვიდი) წყნარი CD ნიშნავს: ჩვენს გამოცემაში. დაბეჭდილი «მშვიდის» ნაცვლად CD ვარიანტებში იკითხება «წყნარი»]

=სიტყვები გადასმულია (მაგ: კაცი მაღალი= BCნიშნავს: ვარიანტებში იკითხება « მაღალი კაცი»).

T- საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი.

V- ვ. ბარნოვის ოჯახში დაცული მწერლის პირადი არქივი:

სურათები (გვ. 11 - 27)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: V ავტორის მიერ ჩასწორებული. B ტექსტი (A)ზოგიერთი გასწორებული ფურცელი ავტორს გადაუწერია] ნ ა ბ ე ჯ დ ი: «დროება», 1878წ., №220 - 227. ()B ს ა თ ა უ რ ი: A-ში ავტორს პირველად დაუწერია «ნათელა», შემდეგ გადაუხაზავს და თავზე დაუწერია «სურათები», მარჯვნივ კი მიუწერია: (ეტნოგრაფიული) , ამის ქვევით - (ხევსურების ცხოვრებიდან); რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან B.

11.* 3 ახლად] ჯერ ახლად B, Aში «ჯერ» ავტორს გადაუხაზავს. მტრედისფრად - A როცა] როდესაც B; როცა+ ჩვენ B . 5 ეხებოდა+ სხეულს და B; A-ი « სხეულს და» გადახაზულია; და იგი] თითქმის B; «და იგი» Aში შემდეგაა ჩაწერილი. 6 არე + ერთიანათ B . 7 ნაბიჯზედ + სწორეთ B. 8 კობტად] თავის ანკარა წყალით მშვენივრად B. 9 მისი ანკარა წყალი... ქვებში] რომელიც ეტყობა ხანდისხან ხელში მთლად უჭირავს ხოლმე ამ B . 10 რიყეზედ + აქა-იქ B; აქ A უკანასკნელი გადაუხაზავს ავტორს. დიდრონი + წიფლის B; ხეები + ოდესმე ABAში «ოდესმე» ავტორს გადაუხაზავს; «ნაზიდი»Aში ავტორს გადაუხაზავს, მაგრამ შემდეგ ხელახლა ჩაუწერია; მდინარისაგან] თემმურასაგან B. 12 ნისლი + ცოტ-ცოტათ B ; იქით+ ცრდილოეთის მხრივ B; მაღალი +თითქმის B . 13 მწვერვალი] წვერები სულ მთლათ B ; მწვერვალი] Aში ყოფილა «წვერები», გაუსწორებია ავტორს. იყო] იყვნენ B; Aში იყო დამალული] დაწერილი ყოფილა « იყენენ დამალულნი.» გაუსწორებია ავტორს. 15 აქათ- იქით მოსჯროდნენ = B; აქათ- იქით + მაღალი B; აქათ-იქით + მოსჯ. A შემდეგ ავტორს «მოსჯ» გადაუხაზავს. 16 წიფლები + წიფლების B ; ქვეშ + სხვადასხვა B. 17 ერთმანეთს გადასჭდობოდნენ და] ერთმანეთზე გადაჯდომილნი წარმოადგენდნენ ერთს B; წარმოადგენდნენ] მშვენიერი B. 18 ჰაერი + თვისის ზეგავლენით B; და - B; ამხნეებდა + კაცის A გადაუხაზავს ავტორს. 19 ატკობდა + მოგზაურის B ; Aში «მოგზაურის «გადახაზულია ავტორის მიერ. მიიქცევდა + კაცის B.

12. 3 ჰქონდა + მაგრამ B. 5 უჭირდებოდათ + ასვლა B; მაღლამაღლა] მაღლა და მაღლა B. 6 ხდებოდა + მთის წვეროებზე მოცურავდნენ შავი ღრუბლები და B . 7 მივაღწიეთ] ავედით B; რომელიც] რომლებიც A რომელიც + მთლად B. 8 დაგვფარა + ჩვენც B; ტყე + თანდათან B. 9 რამდენიმე + გზა B. 11 ძლივ] ოჰ ძლივ B . 12 ვაჰ] ახე B; რომ + ეხლა ეს B. 14 სამხრეთისაკენ + ჩვენი B; მოჩანს + ხოლმე B. 15 მიჩვენა] მხარეს მიმითითა B. 16 და + ხშირის B . 17 მთები + ცოტა ხანის შესვენების შემდეგ ისევ

წავედით B. 18 მთის წვერზე + კარგა მოზდილი B; ვაკეს ცეცხლის კვალი] ვაკე დაგვხვდა რომელსაც კაცის ხელი B; ეტყობოდა + აქვე იყო B. 19 რამ ჩანდა - B; სადაც + მარტო ცეცხლისგან B ; ძელები - B. 21 ვკითხე თანამგზავრს] უთხარი მგზავრს B. 22 აქ + მიპასუხა იმან B; ყარაულები] ყარაული რუსები B. ვილაცამ] ვილაც B. 23 გადასწვა] ყაჩაღებმა დაწვეს B; ცხოვრობს + აქ, შიშიც კი არ არის აგრე რიგათ, თულები ათასში ერთხელ იმალებიან ამ ტყეში, სიცივისა და ბუქისა კი შიშია ზამთარში B . 25 ყოველივე + ჩვენ წინ B. 26 ილეოდა] ჰქრებოდა და B; ვაკდებოდა] გადადიოდა ვაკეზე B; ხევიდან + პირიდან B. 27 ძლიერდებოდა] უფრო მალლა ისმოდა B ; გამოჩნდა + პატარა შენობაც, - ეს იყო B. 28 აბრუნებდა + წიფლის B; ნაკადი + აი B. 29 თანამგზავრმა] მგზავრმა B. 31 ტყე + თანდათან B; დიდი ხეები] უზარმაზარი წიფლები მხოლოდ B ; ჩანდნენ + ამათ მაგივრად გზის პირებზე გამოჩნდნენ თხილისა და სხვა დაბალი ხეების ბუჩქები . B 32 კაცის... დაეტყო] თანდათან უფრო ეტყობოდა კაცის ხელი B . 33 ახოებიც + ცოტა ხნის შემდეგ B. 34 იყო] არის გასული B. 35 წაერთმია] წაურთმევია B ; სამფლობელო + უდაბურ B; ტყისათვის + ჩვენს იქით დარჩა თვალგადაუწვდენი ტყე B; გაგვეშალა] გაიშალა B.

13. 1 გარს] მთლად B; შემოეზღუდათ + ერწოს B. 3 მთები + დიდი B; დაფარულნი] მობურულნი B; ჩრდილოეთით + მხრივ B. 4 დაბურულნი] დაფარულნი B; ტყით + მის ბადლად B . 6 ვაკეს - B; სამზღვრავდა + ერწოს ვაკეს თითქმის სწორეთ B. 7 გადაჭიმული + მრთლათ B ; გომბორი] გომბორის მთა B; გომბორი + გომბორის მთა იმას B. 8 საზღვრებზე] სამზღვარზე B ; იმას კავშირი - B; ჰქონდა + კავშირი B; მთებთან + მალლიდან თითქოს B; 9 მაღალი მათ... ცის სივრცეში] მათ და იკარგებოდა ჰორიზონტთან ისევ ისეთივე სიმაღლით ჩრდილოეთით და სამხრეთით B. 10 რაც] რამდენიც B . 11 უფრო] თანდათან B; დაბლდებოდნენ + თითქო საამბოროდ ემზადებიანო B. 14 ხედავ + მითხრა მგზავრმა შენიშნა რა, რომ აღმოსავლეთისკენ ვიყურებოდი B ; გომბორის მთა] გომბორია B; მთაა + ამ მთების ბოლოც იქ დააწყებოდა B ; ზედ ძირზე + კიდევ გომბორისა B. 15 ჩამოუდის] ჩამოდის B; რა] ოპ რამდენი B; იცის + ივრის წყალში B; ნაკადულები] წყლებიც B. 16 იორში - B; კი + ა იქ B; აი იქ - B. 17 თანამგზავრმა - B; მინდვრების შუაში] საშვალ მშვენიერის მინდვრებისა B. 18 ადგილი... წნორები] ალაგი იმის გაყოლება ჩანდნენ ჯაგები B. 20 როცა + ახლო ; B პირას] პირზე B. 21 საქონელი] გამორეკილი ხარები B; ქალი + ზურგ შექცევით B; და + რაღაც B; ხელს] ხელებს B. 22 წინდასა ჰქსოვდა - B; ჰქსოვდა + ხარების მწყემსი იყო B; გაიგო + ჩვენი B; ხმაურობა + უცებ B; შემოგვხვდა] შემოიხედა B. 23 მემრე ცოტა - B; და განაგრძო ხელსაქმე] ცოტათ და ისევ დაუწყო ცოდვილი წინდის ჩხირებს B. 24 თითონ ბერას] ჩვენი ალუდას B . 25 დაუსწორდით + იმას ; B შევაყენეთ + და მგზავრმა დაუწყო ქალს ლაპარაკი B. 26 დაუძახა ქალს ამხანაგმა - B ; რომ შენ...სად არის] სადა გყოლიათ, რომ ნახირში არ გაგირეკიათ B. 28 უპასუხა] უთხრა B. 29 ჩემი ძმა სხვაგან არის - B. 30 ბერაი] ალუდა B; არის + შინ არის ეხლა B. 32 არის] ასს, ეხლა კი შინ არ ას. ნაკორდალში წავიდა B . 33 თიანეთიდან + ცოტა საქმე მქონდა იმასთან B. 34 გუშინ + წუხრს B.35 კითხვა გადაუგდო ქალს ჩემმა ამხანაგმა] ხანი ილაპარალეს იმათ B. 36 მე + იმ B .

14. 1 იმან + რაღაც B; 2 მოილო] მოილეს B . 3 ნათელას + ტანზე B; შინ ნაქსოვი] შავის წმინდის და მტკიცე B; კაბა... გამოჭრილი] კაბა, მაგრამ ჩვენებურ კაბასავით კი B. 4 იყო + ის B; გამოჭრილი + არამედ B; წარმოადგენდა] წარმოგვიდგენდა B; პერანგს + კარგა B. 5 ჩაღილული - B; კაბა ძირს... ასხმული ქოქობოდ] რომელიც მარჯვენა მხართან იყო დილით შეკრული, ძირს კაბა იყო მორთული თითქმის ერთი არშინის სიბრტყე ნაოჭით ასხმული ქოქობითი (აბორქით) B. 7 ფერადი.] შეხამებული თითქმის შვიდივე ფერით ცისარტყელისა B; და + ეს ფერები B; ფერი] ცალკე B. 8 ფოჩებიანი - B;

სარტყელი + ისევ B ; შალისავე +შალისა მისი B. 10 მორთულები + იყვნენ B . 11 გვერდგაჭრილი] ევროპული B; გვერდგაჭრილი +ეცვა ისევ იმნაირი B; შალის ჯუბა + თითქმის სიურთუკულად უფრო კი ფართოდ გამოჭრილი ჯუბა. B 12 მორთული + სხვადასხვანაირი ზოგი B; გაკეთებული - B; ქსოვილებით] მოქსოვილი B; დ ა+ ზოგი B . 13 ყვითელი სკლატისაგან - B; სკლატისაგან + მაუდისაგან B; ჯვრებით თუ სხვა სახეებით] ფიგურებით B. 14 მძივის ფუნჯი ეკიდა] ეკიდა ოთხიოდ ფუნჯი B. 16 თავზე + იმგირგილივ B. 18 ფეხზე] ქალის წვრილ ფერხთ ჰფარვიდნენ B; პაჭიჭი ეცვა] პაჭიჭებითური B; ზედ + სუფთა B; სუფთა + კობტად ჩახლართული B; ქალამნები + თვითონ B. 19 იყო + მისი სახე მრთლად B. 20 მოუვლელობას + ცოტაოდენი B; იმისთვის + (ეს კვალი უფრო ამშვენებდა იმას ჩემს თვალში) B. 21 ნიკაპი = სუფთა ტუჩები B; ხშირი + მუქი წაბლის ფერი B. 22 მრგვალ + და B; სახეს + ამავე სახი9ს სამკაულად წარმოგიდგენტ იმის B; ლოყებზე + ორი B ; ნაცვრეტები + რომელიც B . 23 უკეთდებოდნენ + მას ლაპარაკის დროს B. 24 რამდენჯერმე + აიხილა და B; ჩემკენ + თავისი B. 25 სავსე + თითქმის B; ჰფარვიდა +იგი B. 26 მათ + ჩემგN B; ქარით] ტყით B; სურათმა + თითქმის B. 27 მას + რომელსაც B. 28 ერეოდა + დამამშვენებელი B. 29 ვიცი + ცემო ძმავ B. 30 ქალი + კი B. 32 უთუოდ + ეგ საწყალი B. 33 მოუყენებენ + ვუთხარ მე B.

15. 3 რათა + კაცო B; ზის] არის B. 5 ქსოვნა + კერვა B. 8 ჰქსოვენ + ოჰ ; B თითოთითო + ხევსურის B. 9 ტანისამოსზე + თითქმის სრულებით B. 10 ფული + სულ შინა ჰქსოვენ B. 11 მომწონს + საწყალი B. 13 მიტკლის - B;ნ იცმენ + მიტკლისას B; არა + პერანგებს B. 15 ქალები + კი B; პერანგებს + მართლა B. 16 სამუშაოდ + კი B. 18 მართალია] მარა B. 20 გარდა + ესენი B. 21 კალოში] მემრე B. 22 იციან + კალოში და ყველაფერშიაც B. 25 თავდაცული - B. 31 გამოგვეგება] და გადმოვსხედით რა ცხენებითგან გამოვიდა B. 32 მობრძანდით + დავით B.

16. 2 წისქვილის + ბორბლისაგან ნაპობი B. 3 სახლთან] სახლის B; სახლთან + ახლო B . 5 და + თითქმის B. 8 მოგაგონებდათ + ზედ B. 9 საქარეთი; შემდეგ B-ში (სქოლიოში) წერია: « რადგანაც ბოლი უბუხროთ ამოდის სახლის შუაზედ გაკეთებული ჭერიტგან და ცოტა ნიავიც კი მის გამო ბოლსა უკანვე აბრუნებს, ამისთვის ხმარობენ ფიცარს, რომელსაც ქარის მხრივ ააყუდებენ ხოლმე, ამას მოსასაქარებელს ემახიან» - გადაუხაზავს ავტორს. 11 სამრევლოები + ყოფილან, როგორც გავიგე შემდეგ B. 12 მოვლენათაგანია + აი რა დანიშნულება აქვთ იმათ B; მშობიარე + დედაკაცი B. 17 მაშინვე + იმას B; და + ერთ B. 18 დაასახლებენ + აქვე მისცემენ სასმელ – საჭმელს B. 19 მომვლელი + დედაკაცი B . 26 აქ + ვგონებ B ; დიაცი] მშობიარე B . 27 გადიან + ქალები B; რიგის + თვის წიდოვნების B; დროს -შემდეგ B-ში წერებულა: « ცხადია ის, თუ რა სავნებელია ამისთანა სიწმინდის ძეგნა და მშობიარეს კარზე გაგდება ამისთანა გაჭირებაში მმართველობასაც ბევრჯერ თურმე აუკრძალავს ეს ჩვეულება, მაგრამ, ხომ იცით, რაც საუკუნეებს ხალხის გულში ჩაუნერგია კარგია თუ ავი, იმის ამოფხვრა ერთბაშად ძლიერ ძნელია» -გადაუხაზავს ავტორს. 27 დროს + ჩვენ B; 28 სახლისა + შუა B ; შუა - B. 29 ქვით - კირის + ნაგები B ; ხუთი ოთხკუთხი ადლის] ხუთ კვადრატული არშინის B. 31 ყავრული ეხურა] ეხურა ფიცრის ყავრული B; შუაში + ერთი საჟენის სიმაღლეზედ B; ორი ადლის სიმაღლეზედ - B. 32 რომელშიაც + ერთი 7. 33 იდგა] იდგნენ B.

17. 2 ძეწკვი] ჯაჭვი B. 6 მზე + ნახევარ B. 14 არის + მელანო B. 16 მომდევადა + მე B. 23 კოშკს + შვილო B; მღვდელმა + ხევსურები B. 25 კურდღელა] + იალსრის B. 26 იყო + საწყალი კურდღელა B. 27 კურდრელა - B. 27 არის + ჰო B. 29 სიტყვა + რაც საწყალმა თქვენი ჭირი წაიღო B. ღამეს + ბევრი B; ჩაფში + სალოში B. 30 გადაჰვარდნიყო] გადაჰვარდნოდა B; ცოტალა] სამი დღელა B .

18. 2 ხუცესმა] კურდღელამ B; თურმე+ ერთხელ B. 4 ხუცესს კურდღელას . B 8 რეკავდნენ + ხოლმე ხუცები, თუ რა გავლენა ჰქონდა ბერიკაცს ერწოვლებზე და სხვა მთიულებზედაც ესა სჩანს იქიდან რომ B. 9 მაინც + შეიქმნა B. 10 ხუცესი] კურდღელა B. 11 თანდათან] წლითი წლით B. 14გყაბულობთო] გწყალობთო B. 17 ეს ადგილი] იაღსარი B . 18 ელოცნათ + მართლაც და ეხლაც კი როდი ეკარებიან იაღსარს, დაუმატა მეღანომ B ; მოაწყდებოდა + ხოლმე B. 26 ხუცესიც] კურდღელაც B; 29 ხატს] იაღსარს B. 30 ხუცესი] კურდღელა B. 33 მხარტყავი] ცხვარ-ტყავი B; 36 სხვა] იქ B.

19. 1 დაჩოქილი + ხევსური B. 8 მაინც + კი B . 15 კუნძზე + იყო B ; ჩამჯდარიყო + ის B. 17 ფეხზე + ოო B. 19 ვუპასუხე + მე B. 21 ბოლიც +ქვე B. 22 მოუსაქრა + ბანს მემრე B; კარებწინ + უხვად B. 23 ხეებს + კარებ წინ B . 25 შეგვიწვია + შინ B; 26 ჰქონდა + ის B. 28 ჭრიალით - B.; მიმიძრვოდა + თვითონ . B 31 ფეხი + ეტყობოდა კარგა მოზრდილს B . 32 რომ + სულ B; შემენჯღრა] შემომელეწა B. 33 ღია + ფიცრის B. 34 ცამოვსხედით + ერთ B; კერაზე + ზედ B.

20. 5 მაგრამ + ჩემი B, 16 ხომ + ძლიერ B. 18 შეჩვეულნი] ქვე B. 21 ბაგაც + ეტყობოდა B. 22 საქონლისა + მთლად ოჯახობა რაღაცა დამაფიქრებელ შთაბეჭდილებას იღებდა ჩემზე B. 24 ტანისამოსი +მთლად B. 25 ისხდნენ + პატარა B; ბალრები + სულ B. 26 ტანთსაცმელში + და შემოგვეცქეროდნენ B. 30 მოჩანდა] ესხა B. 36 დიაცს + სთქვა და მომაწოდა ხინკალი B.

21. 1 ყოფილა + მე B; ვიცოდი + ვუთხარ მე B. 4 როდესაც + ჩვენ B; ავიშალენით + და მე წავედი შინ კარგა დამბალი არყით B. 5 კვირა დილაა, მოჰქრის ცივი ნიავი... გვ. 24 -ე 4 შე ღვთისაგან დამწვაროე - B. 8 ლხინი + მეტს B; მომეწყინა + აქაურის B. 10 მშვენიერება + შეხედულობა B; და + მთლათ B. 13 აგორებს] დათამაშებს გაყვითლებულ ფოთლებს და B; გმინვით + და სტვენით B . 17 მეტყოდა + ხოლმე B. 26 ხმა] სული B. 27 ამოეფარა + ერთ სქელ B.

25. 5 სიფრთხილით] ნელ-ნელა ვსუნთქავდით მე B. 8 ნათელა] მზია B. 14 მე + ქვე B. 16 წაედ] წევდ B. 24 იყოს + უთხარ მე B. 35 მოისმა + რაღაც B. 36 ყმუილი + საწყალს B.

26. 2 ძაღლებს + არ B. 4 გავიგონეთ + სამრევლოს B. 23 და + მალე B. 35 რა + ვუპასუხე მე B.

27. 5 წუთს] მინუტს B . 11 ყვირილი + შეიქმნა B. 15 მოგვიძრვნიან + აწ B . 16 თოვლს + ხოლო B; ქარი + ათამაშებს რა B. 17 ჰვენს + მას უხვად B. 18 მიეცა] შთაეფლა B. 19 ძილს] ძილში B; ძილს + შეიქმნა B; ანთებული] მარად ღვზნებული B.

ჩენი ლამაზა (28 - 35)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : « ცისკარი», 1887 წ; №4.

ვ ბარნოვის თხუზულებათა სიაში, რომელიც შედგენილია ავტორის მიერ, ეს მოთხრობა არ არის შეტანილი.

ს ე ს ე (გვ. 36 - 43)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჯურნ. « ჯეჯილი», 1899 წ., №2 (B); « ფერად - ფერადები,» 1934 წ., გვ. 316 - 322 (A)

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი - გიორგი მეათე, სვიმონ მეფის ძე, მეფობდა ქართლში 1600 - 1614 წლებში.

ჯ ა ფ ა რ – ფ ა შ ა - თავრიზისა და ვანის ბეგლარ ბეგი, ოსმალეთის სულთანის ბრძანებით მოვიდა ქართლში დიდძალი ლაშქრით აჯანყების ჩასაქრობლად და რომელმაც დაატყვევა სვიმონ მეფე ნახუდურთან მომხდარ ომში 1600 წელს.

ხ ა რ ა ზ ი

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: Vავტორის მიერ ჩასწორებული B ტექსტი. (A)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ცალქე ჭიგნად. 1888 წ. (B); “ ჯეჯილი”, 1894 წ., № 4 (B)

ს ა თ ა უ რ ი: პაპუნა B.

44. 3 ყველა] თელავში ბევრი B ; პაპუნას + თითონ B; ბატონთანაც] ბატონ ერეკლესთან B. 4 ელაპარაკნა + იმას B; პაპუნა არ... იდგა] პაპუნა ცხოვრობდა ქუჩის პირას B . 5 ქუჩის..... 6 სცხოვრობდა - B. 7 პაპუნა] ხარაზი B . 8 შეხედვითაც + კი B; ყველას] ბევრის B. 10 ზოგისთვის... 12 ჰყვანდა - B. 11 მასალას კარგს ახმარებდა - B. 12 თხოვნა] დაფასება B; ჩინჩი] ვაჭრობა B; თუ ვადაზედ... საქმეს - B. 13 მუმტარი] მუმტარიც B. 14 ამისთვისაც ეტანებოდა] მისდევდა იმას B. 15 ჯერ ისევ] პაპუნა B. 16 სამი] ხუთი B; ვაჟი] ბავშვი B; პაპუნამ - B; თავისი დათიკო - B . 17 იქ შეენახნა] ყმაწვილი B . 18 დატოვა + დათიკო B. 19 ცდილობდა შეჰშველებოდა] შველოდა კიდევ . B; პაპუნას] ხარაზს B. 21 ის - B; ცოტა ხანს იავადმყოფა - BBC

